# ხუროთმოძღვრების კონსერვაცია

## *პრინციპები, მოსაზრებები*

# CONSERVATION OF ARCHITECTURE

## *PRINCIPLES, CONSIDERATIONS*

**თბილისი 2007 Tbilisi**

**ხუროთმოძღვრების კონსერვაცია** *პრინციპები, მოსაზრებები*

**CONSERVATION OF ARCHITECTURE** ***PRINCIPLES, CONSIDERATIONS***


რედაქტორი: **დ. თუმანიშვილი**

Editor: **D. Tumanishvili**

მთარგმნელი: **მარინე მაისურაძე**

Translate by **M. Maisuradze**



© საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, 2007
Ministry of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia, 2007

© გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი
G. Chubinashvili National Research Center for Georgian Art History and Heritage Preservation



საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და
სპორტის სამინისტრო

Ministry of Culture, Monuments Protection and
Sport of Georgia

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და
ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

G. Chubinashvili National Research Center for Georgian Art
History and Heritage Preservation

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2007 წლის სახელმწიფო პროგრამა

State Programme for Cultural Heritage Preservation for the Year 2007



© ICOMOS
© English Heritage
© Council of Europe



ყდაზე: სტაპლტონ-ჰოლი, ლონდონი. ადგილზე გაკეთებული ანალიტიკური ჩანახატი.
*წიგნიდან: K. Clark, Informed Conservation, London, 2001*

გამომცემლობა „ნეკერი“, 2007

Publishing House Nekeri, 2007

ISBN: 978-99940-987-6-7

# სარჩევი


**კონსერვაციის პრინციპები** /მაიკლ პეტცეტი/ ..... 13

**კონსერვაციისა და რესტავრაციის საერთაშორისო ქარტიების წინასიტყვაობა ვენეციის ქარტიიდან 40 წლის შემდეგ** ..... 14

**I. ძეგლები და ღირსშესანიშნავი ადგილები მათი ავთენტურობის მთელი სისავსით** ..... 14

**II. კონსერვაციის, რესტავრაციის, განახლების და აღდგენის პრინციპები** ..... 17

კონსერვაცია ..... 18

რესტავრაცია ..... 19

განახლება ..... 22

შემადგენელი ნაწილების შეცვლა და შევსება ..... 24

ასლებით ჩანაცვლება ..... 27

**III. მოვლის, შეკეთების და სტაბილიზაციის, რეაბილიტაციის და მოდერნიზაციის, რეკონსტრუქციისა და გადაადგილების პრინციპები** ..... 28

მოვლა ..... 28

შეკეთება და გამაგრება ..... 29

*რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია* ..... 31

რეკონსტრუქცია ..... 32

ძეგლების გადაადგილება ..... 36

**IV. არქეოლოგიური მემკვიდრეობის, ისტორიული რაიონების (ანსამბლების) და სხვა კატეგორიის ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების შენარჩუნების პრინციპები** ..... 37

არქეოლოგიური ძეგლები და ღირსშესანიშნავი ადგილები ..... 37

ისტორიული რაიონები (ანსამბლები) ..... 41

ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების სხვა კატეგორიები ..... 42

**V. შექცევადობის არჩევანი** ..... 42

**VI. ძეგლის შენარჩუნების პლურალისტული მიდგომა ვენეციის ქარტიის მიღებიდან 40 წლის შემდეგ** ..... 44

ქალაქის ისტორიული ანსამბლების უსაფრთხოების დაცვა ცვლილებების პერიოდში /ჰერბ სტოველი/ ..... 49
წინასიტყვაობა .....50
ა. მართვის სახელმძღვანელო .....51
1. სახელმძღვანელოს შედგენა.....51
2. სახელმძღვანელოს გამოყენება .....51
3. სახელმძღვანელოს შემდგომ .....51

ბ. მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქების მართვა.....52
1. ისტორიული ქალაქების-რაობა .....52
2. განსაკუთრებული შემთხვევა: მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქები.....53
3. ისტორიული ქალაქების კონსერვაცია .....55
*კონსერვაციის რაობა .....55*
*ურბანული დაცვის პრინციპები .....56*
4. ისტორიული ქალაქების სათანადო განვითარება.....59
*ისტორიული ქალაქების „მდგრადი განვითარების“ მიდგომა .....59*
*მართვის სტრატეგიები.....62*

გ. დაგეგმვის საკითხები ისტორიულ ქალაქებში:
კონკრეტული შემთხვევების ანალიზი.....63
1. ინტეგრირებული კონსერვაცია დაგეგმვის პროცესში.....66
*1. კონსრევაციის მხარდაჭერის განვითარება .....66*
*2. ინტეგრირებული ადმინისტრაციული სტრუქტურები .....66*
*3. გენგეგმები .....71*
*4. ხელისუფლებასთან თანამშრომლობა.....84*
*5. შესაფერისი განვითარების შეფასება .....84*

2. საზოგადოებრივი ამოცამენის განხორციელება .....90
*1. ბინათმოწყობა/საცხოვრისი .....90*
*2. მუნიციპალური სამსახურები.....95*
*3. ტრანსპორტის მოძრაობის მენეჯმენტი .....95*
*4. საფეხმავლო სივრცეების შექმნის გამოცდილება ..... 100*
*5. ტურიზმი ..... 100*

დ. კონსერვაციის პროგრამების მართვა ისტორიულ ქალაქებში:
კონკრეტული შემთხვევების ანალიზი .....101

1.საორგანიზაციო სტრატეგია ..... 101
*1. კონსერვაციის გუნდი* ..... 102
*2. კონსერვაციის პროცესი* ..... 102
*3. კონსერვაციის გეგმა* ..... 102
2. დოკუმენტაციის შედგენა და შეფასება ..... 103
*1. მემკვიდრეობის აღნუსხვა* ..... 103
*2. ისტორიული და არქიტექტურული კვლევა* ..... 106
*3. არქეოლოგიური კვლევა* ..... 106
*4. ღირსშესანიშნავი ადგილების და ანსამბლების შეფასება* ..... 110
*5. მენეჯმენტის სისტემების დოკუმენტაცია და ინვენტარიზაცია* ..... 110
3. პრინციპები და სტანდარტები ..... 113
*1. პრინციპები და ქარტიები* ..... 113
*2. პროექტირების და კონსერვაციის ძირითადი პრინციპები* ..... 121
*3. ახალი მშენებლობების ძირითადი პრინციპები წესები* ..... 125
4. სტიმულირება ..... 127
*1. მატერიალური სტიმულირება* ..... 127
*2. აღიარება და დაჯილდოება* ..... 132
*3. წვრთნის პროგრამები* ..... 132
5. მეთვალყურეობა და შემოწმება ..... 135
*1. ძეგლად აღიარება და სიაში შეტანა* ..... 135
*2. შეღავათები და შეთანხმებები* ..... 135
*3. ხანძარსაწინააღმდეგო და სიცოცხლის უსაფრთხოების წესები* ..... 136
*4. ზონირება* ..... 136
6. კონსერვაციის ხელშეწყობა და საზოგადოების გათვითცნობიერება ..... 137
*1. უკვდავყოფა* ..... 137
*2. წარდგენა და განმარტება* ..... 137
*3. საზოგადოების გათვითცნობიერება* ..... 138
7. საზოგადოების მონაწილეობა ..... 140
*1. საჯარო კონსულტაციები* ..... 140
*2. ფართო მასების – "ფესვების" მექანიზმი* ..... 141
8. გარემოს კონტროლი ..... 142
*1. სამრეწველო დაბინძურება* ..... 142
*2. ტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეული ვიბრაცია* ..... 144
*3. მიწისძვრები და სტიქიური უბედურებები* ..... 144
ბიბლიოგრაფია ..... 148

# კომპეტენტური კონსერვაცია


ისტორიული ნაგებობებისა და მათი ლანდშაფტის
გააზრება კონსერვაციისათვის /კეიტ კლარკი/ ..... 149

შესავალი ..... 150

რეზიუმე ..... 151

1. გააზრების როლი კონსერვაციაში ..... 153

1.1 მნიშვნელოვნება და კონსერვაცია ..... 153

1.2 როდის არის საჭირო ინფორმაცია? ..... 154

1.3 რანაირი ინფორმაცია არის საჭირო? ..... 154

1.4 რა ოდენობის ინფორმაცია არის საჭირო? ..... 155

1.5 ვინ არის ამის პასუხისმგებელი? ..... 155

1.6 ვინ იხდის საფასურს? ..... 156

1.7 დაფინანსების წყაროები ..... 156

1.8 ჩვენი „სახელმძღვანელო პრინციპებების“ მასშტაბი ..... 157

1.9 ტერმინების განსაზღვრა ..... 158

2. ცვლილების მართვა ..... 159

2.1 ზემოქმედების შეფასება ..... 159

2.2 საჭიროება და დასაბუთება ..... 161

2.3 სამუშაოს გამოკვეთა ..... 161

2.4 მნიშვნელოვნების განსაზღვრა ..... 161

2.5 ზემოქმედების დადგენა ..... 162

2.6 ზემოქმედების შესუსტება და შემცირება ..... 163

2.7 კდკა-ს მნიშვნელობა ღირსშესანიშნავ ადგილებზე
ზემოქმედების შესუსტების თვალსაზრისით ..... 164

3. გააზრება დიდ პროექტებთან მიმართებით ..... 166

3.0 აუცილებელი მინიმალური ინფორმაცია ..... 166

3.1 პირველი ეტაპი: შეფასება ..... 167

*3.1.1 სწრაფი შეფასება* ..... 167

*3.1.2 ისტორიულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასება* ..... 167

*3.1.3 განცხადება კონსერვაციის შესახებ და კონსერვაციის გეგმა* ..... 168

3.2 მეორე ეტაპი: წინასწარული კვლევის ჩატარება ..... 168

*3.2.1 ანაზომები* ..... 168

*3.2.2 არქეოლოგიური ანალიზი* ..... 169

3.3 მესამე ეტაპი: მიზანმიმართული საგანგებო კვლევა ..... 169

3.4 მეოთხე ეტაპი: ანალიზი სამუშაოების მსვლელობაში ..... 170

*3.4.1 აზომვა და ანალიზი* ..... 170

*3.4.2 დასანგრევი ქსოვილის ფიქსაცია* ..... 171

3.5 მეხუთე ეტაპი: ანგარიშგება, არქივში შეტანა და გამოქვეყნება ..... 171

3.6 დასკვნები, სპეციფიკაცია და კონტრაქტის დოკუმენტაცია ..... 172

4. ინფორმაცია დეგულეგით განსაზღვრული მიმდინარე საქმიანობის წარმოებისთვის ..... 174
4.1 სიაში შეტანილ ნაგებობათა თაობაზე შეთანხმება ..... 174
4.2 საკონსერვაციო არეალები ..... 175
4.3 არქეოლოგიური ღირსშესანიშნავი ადგილები ..... 175
4.4 ლანდშაფტი, პარკები და ბაღები ..... 176
4.5 სიაში არშესული ნაგებობები ..... 176
4.6 გარემოზე ზემოქმედების შეფასება ..... 177
4.7 ფიქსაცია და ანალიზი მუშაობის მსვლელობაში ..... 177
4.8 სიაში შეტანილ ნაგებობათა მთლიანი განადგურება ..... 178
4.9 ნაგებობათა გადატანა ..... 178
4.10 ნაგებობებთან დაკავშირებული მიწაში მყოფი ნაშთების დაკარგვა ..... 179
4.11 ეკლესიისთვის დადგენილი პროცედურები ..... 179
4.12 სამეფო ოჯახის წვლილი განვითარებაში და ჩატარებული სამუშაოები ..... 179
5. მოვლა-პატრონობა, შეკეთება და მენეჯმენტი ..... 180
5.1 მოვლა-პატრონობა ..... 180
5.2 შეკეთება ..... 180
5.3 ტექნიკური ანგარიშები, მდგომარეობის შემოწმება და ხუთწლიანი ინსპექტირება ..... 181
5.4 ღირსშესანიშნავი ადგილის მენეჯმენტი ..... 182
6. კონსერვაციისა და მენეჯმენტის დაგეგმვა ..... 183
6.1 კონსერვაციის გეგმები ..... 183
6.2 განცხადება კონსერვაციის შესახებ ..... 184
6.3 მენეჯმენტის გეგმები ..... 185
6.4 როდის არის ისინი გამოსადეგი? ..... 186
6.5 მიმართება გეგმასა და პროექტს შორის ..... 186
6.6 ვისი დასაწერია გეგმა? ..... 187
6.7 კონსერვაციის გეგმის რეზიუმეები ..... 187
6.8 დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ..... 187
6.9 განხორციელება და განხილვა ..... 188
6.10. საკონსერვაციო არეალის შეფასება ..... 188
6.11 სიაში შეტანილ ნაგებობათა მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები ..... 189
7. ისტორიულ ნაგებობათა და ლანდშაფტის გააზრების ხერხები ..... 189
7.1 მეცნიერული სტანდარტები ..... 189
7.2 ისტორიული კვლევა ..... 190
*7.2.1 წყაროების გამოყენება* ..... 190
*7.2.2 რუკის აღდგენა პირვანდელ მდგომარეობამდე* ..... 190
*7.2.3 ისტორიული სახებანი* ..... 191
*7.2.4 სხვა წყაროები* ..... 191
*7.2.5 მითითებები* ..... 191
7.3 აზომვა და ანალიზი ..... 191

*7.3.1 ჩანახაზები* ..... 192
*7.3.2 მეტრული კვლევა* ..... 192
*7.3.3 მეტრული კვლევის დასრულება* ..... 193
*7.3.4 რა ოდენობის დეტალებია საჭირო?* ..... 194
*7.3.5 ანალიტიკური ნახაზები* ..... 194
*7.3.6 აღწერა* ..... 195
*7.3.7 ფოტოგადაღება* ..... 195
7.4 ანალიტიკური მოდელები ..... 195
*7.4.1 ფაზებად დაყოფა* ..... 196
*7.4.2 დანომრვა* ..... 196
*7.4.3 ტიპოლოგია* ..... 196
*7.4.4 სივრცეთა მონაცემთა სქემები და გეოგრაფიული ცნობარი* ..... 197
7.5 სპეციალური კვლევა ..... 197
*7.5.1 არქიტექტურის დაფერვის კვლევა* ..... 197
*7.5.2 არქეოლოგიური გათხრები* ..... 198
*7.5.3 სტატუსი, ხელობა და პროექტი* ..... 198
*7.5.4 დენდროქრონოლოგია* ..... 198
*7.5.5 გახსნა* ..... 199
*7.5.6 ტექნიკური კვლევა* ..... 199
*7.5.7 ეკოლოგიის შეფასება და ხეების შესწავლა* ..... 199
*7.5.8 გეოფიზიკა, ჭაბურღილებით კვლევა და დისტანციური ზონდირება* ..... 199
*7.5.9 ხედებისა და გარემოს ანალიზი* ..... 200
7.6 მნიშვნელოვნების განსაზღვრა ..... 200
7.7 ანგარიშები ..... 201
*7.7.1 ანგარიშის აუცილებლობა* ..... 201
*7.7.2 ანგარიშის შინაარსი* ..... 202
*7.7.3 დასურათება* ..... 202
*7.7.4 ანგარიშის გავრცელება* ..... 203

**დანართები** ..... 204

დანართი 1 კონსერვაციაზე დაფუძნებული კვლევისა და ანალიზის დაკვეთა ..... 204
დანართი 2 კდკა-ს სანიმუშო რეზიუმე ..... 207
დანართი 3 სპეციალური ტერმინოლოგიის ლექსიკონი ..... 212
დანართი 4 ლიტერატურა ..... 215
დანართი 5 რჩევის მოძიების წყაროები ..... 218

**არქიტექტურული მემკვიდრეობის დაფინანსება** /ევროპის საბჭოს სპეციალისტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული დოკუმენტი/.....221

**წინათქმა** ..... 223

**შესავალი** ..... 224

**I ნაწილი – კონსერვაციის დაფინანსების პრობლემები** ..... 225

**I. მემკვიდრეობის კონსერვაციის კულტურული და ეკონომიკური ფასეულობა** ..... 225

**A.** კონსერვაციის კულტურული ღირებულება .....226

**B.** კონსერვაციის ეკონომიკური ღირებულება.....228

*a) უძრავი მემკვიდრეობა, როგორც ეკონომიკური ფაქტორი* .....228

*b) პირდაპირი ეკონომიკური სარგებელი* .....228

*c) არაპირდაპირი ეკონომიკური სარგებელი* .....229

**II. მემკვიდრეობის კომპონენტების დიფერენციაცია და პრობლემების განსაზღვრა** ..... 230

**A.** დაცული მემკვიდრეობა და დაუცველი არქიტექტურა.....230

**B.** მემკვიდრეობისმიერი აკრძალვები და დაფინანსების პრობლემები.....232

**III. კერძო ინვესტიციების ზეგავლენა ობიექტების რესტავრაციაზე ობიექტების რესტავრაცია ეკონიმიკურ ციკლში** ..... 233

*a. ეკონომიკური ფაქტორები რესტავრაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში*.....233

*b. ეკონომიკური გათვლები რესტავრაციაში გადაწყვეტილების მისაღებად* .....234

*c. კონსერვაციისათვის გამიზნული სუბსიდიების ეფექტიურობა*.....236

*რეაბილიტაციის პროცესში კერძო ინვესტიციების გამოყენების არსებული საზღვრები*.....237

*a ინვესტიციების ტიპები*.....237

*b რეაბილიტაციის სპეციფიკური რისკებით განპირობებული შეზღუდვები*.....238

*c შეზღუდვები, რომლებიც მიმართულია ახალმშენებლობებისათვის უფრო ხელსაყრელი შეღავათების გაცემის პრაქტიკის საპირისპიროდ* .....238

**II ნაწილი – დაფინანსების სტიმულირების ღონისძიებები**..... 240

**I. ძველი შენობების შენარჩუნებისა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფოებრივი წამახალისებელი ფაქტორების გაძლიერება**..... 240

**A.** პროექტების დასაწყებად ხელსაყრელი პირობების შექმნა.....240

*a) შენობების გამოყენების ხელშემწყობი საშუალებები* .....240

*b. გეგმარებისა და ურბანული განვითარების პოლიტიკის მხარდაჭერა* .....241

*c. საველე ოპერატორების გამოყენება ადმინისტრაციული ბარიერების გადასალახავად* .....241

*d. საიჯარო პოლიტიკა*.....242

*e. პროექტის გაუმჯობესებული მართვა* .....242

B. ფინანსური სტიმულირების ფაქტორები ..... 242
*a სუბსიდირება* ..... 242
*b. დაბეგვრის გავლენა რეაბილიტაციაზე* ..... 243
*c საგადასახადო შეღავათები* ..... 243
C. იურიდიული პირობები ..... 245
*a. საქმიანობის დასაწყებად სახელმწიფო გარანტიების საჭიროება* ..... 245
*b. პროგრამის მართვის სათანადო სტრუქტურების გამოყენება* ..... 246

II. სპეციფიკური ინტერვენციების განვითარება მემკვიდრეობის ამა თუ იმ კატეგორიისათვის ..... 249
A. მემკვიდრეობის კლასიფიკაცია ..... 249
B სახელმწიფო დაკვეთებისა და სუბსიდიების მნიშვნელობა ..... 249
C. რეაბილიტაციის მხარდაჭერა სოციალური საბინაო უზრუნველყოფის მიზნით ..... 250
D. მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები ან გადასახადებისგან განთავისუფლება ..... 251
*a. ფისკალური ქმედებების მიმოხილვა ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში* ..... 251
*b. ძირითადი მხარდასაჭერი სტიმულები* ..... 254
E. „მეცენატობისა“ და „სპონსორობის“ ახალი მოდელები ..... 255
*a. მემკვიდრეობის „მეცენატობა“ და „სპონსორობა“: ჯერაც ნაკლებგანვითარებული* ..... 255
*b. დაინტერესების სტიმულირება* ..... 255
*c. თანადაფინანსების პროცედურები (“matching grants” წილობრივი სუბსიდია)* ..... 259
*d. ტრადიციული საქველმოქმედო მიდგომების გამრავალფეროვნება და ფირმების წახალისება: შესაბამისი იურიდიული ბაზის საჭიროება* ..... 259
*e. მემკვიდრეობის კონსერვაციის სპეციალური ფონდები* ..... 260
*f. ფირმებს შორის თანამშრომლობა მემკვიდრეობის პროექტების მხარდასაჭერად* ..... 260

დამატებითი ევროპული ინსტიტუციური დაფინანსება ..... 261
A. ევროპის საინვესტიციო ბანკის სესხები (EIB) ..... 261
B. ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდი (ERDF) ..... 261
C. დახამარება წვრთნისთვის ..... 262

დანართი I
არქიტექტურული მემკვიდროეობის კონსერვაციის დაფინანსების საკითხებზე მომუშავე სპეციალისტთა ჯგუფის წევრები ..... 263
დანართი II
ჯგუფის წევრების მიერ მომზადებული დოკუმენტები ..... 263

## რედაქტორისგან

რამდენიმე წელია უკვე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა საქართველოში სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტადაა გამოცხადებული. მართლაც, ჩვენი ხალხის მიერ შექმნილი თუ ჩვენს მიწა-წყალზე დაუნჯებული, სხვადასხვა დარგის ძველისძველი თუ ბოლოდროინდელი ნაწარმოებები ჩვენი წვლილია კაცობრიობის სულიერ საგანძურში, ამასთან კი ჩვენი წარსულის მოწმობაც და სამომავლო გზის მაჩვენებელიც.

ჩვენს კულტურულ დანატოვარში ერთი უმთავრესი ადგილი ხუროთმოძღვრებას უჭირავს – ეკლესია-მონასტრებსა და ციხე-სიმაგრეებს, ძველ ქალაქებსა და ისტორიულ სოფლებს... სწორედ არქიტექტურა აყალიბებს გარემოს, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, განუმეორებელ იერს სძენს თვით ჩვენს ულამაზეს ბუნებასაც.

ამიტომაცაა, რომ მრავალი სხვა ქვეყნის მსგავსად, ისტორიული ხუროთმოძღვრება საქართველოშიც, ერთი საუკუნეა უკვე, ზრუნვის საგანი გახდა. მკვლევართა და არქიტექტორთა მეცადინეობით საბჭოურ ხანაშიც ბევრი რამ გაკეთდა, არცთუ მცირედი კეთდება დღესაც, გამოჩენილ პროფესიონალთა წყალობით გვაქვს ანგარიშგასაწევი ტრადიციაც. მაგრამ ბოლო ოცი წლის რთულმა ვითარებამ, მანამდე კი – "რკინის ფარდამ" მუშაობის წესიც მოარღვია და საერთაშორისო უახლესი გამოცდილების ათვისებაც შეაფერხა. ამასთან კი, რესტავრაციის დარგში მომუშავეთ, ბუნებრივია, არ აქვთ ახლანდელ, ჩვენთვის ახალ, სოციალურსა და ეკონომიკურ ვითარებაში მოქმედების ჩვევებიც. ყოველივე ეს ერთად საკმაოდ რთულ მდგომარეობას აჩენს.

ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა თუ კერძო ფონდების თაოსნობით დაიწყო რესტავრაციის უახლეს მონაპოვართა ამსახველი ლიტერატურის თარგმნა და გამოცემა. ამგვარივეა წინამდებარე კრებულიც. მასში შედის მსოფლიო წამყვანი სპეციალისტების ნაშრომები, რომელნიც ყველა კულტურულ ქვეყანაში სახელმძღვანელოდ მიიჩნევა. მართალია, ზოგიერთი მათგანი წლების წინათაა დაწერილ-დასტამბული, მაგრამ ზოგიერთი "ტექნიკური" მონაცემის გარდა (შეცვლილი მისამართები, საკონტაქტო პირთა სახელები და ა.შ.), ისინი არაფრით მოძველებულა და დღესაც სავსებით აქტუალურია.

კრებულში შესული მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია – აქ ნახავთ საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების განმარტებებსაც (*მ. პეტცეტი, კონსერვაციის პრინციპები, კონსერვაციისა და რესტავრაციის საერთაშორისო ქარტიების წინასიტყვაობა ვენეციის ქარტიიდან 40 წლის შემდეგ*; – თავად ამ დოკუმენტების უმრავლესობა ქართულად უკვე არსებობს და აქ აღარ მოვიტანეთ), ისტორიული ქალაქების დაცვა-აღდგენის მეთოდოლოგიაც (*ჰ. სტოველი, ქალაქის ისტორიული ანსამბლების უსაფრთხოების დაცვა ცვლილებების პერიოდში. მართვის სახელმძღვანელო*), აღდგენითი სამუშაოების წარმოების წესებიც (*ქ. კლარკი, კომპეტენტური კონსერვაცია*) და რესტავრაციის დაფინანსების საკითხებზე მსჯელობაც (*არქიტექტურული მემკვიდრეობის დაფინანსება*) – მეტად მნიშვნელოვანს იმაში დასარწნუმებლად, რომ სიძველეთა მოვლა-პატრონობა სულაც არ არის ქვეყნის გამაჩანაგებელი ფუფუნება.

ვფიქრობთ, ყველა ეს ნაშრომი დიდად დაეხმარება ყველას, ვისაც გულთან მოაქვს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა და ყველასვე შეგვახსენებს, რომ უმთავრესი მიზნის, ყოველივე ღირებულის შენარჩუნების მისაღწევად მთავარი მუდმივი ფიქრი და განსჯაა, არა მზა რეცეპტების ძიება, არამედ სხვადასხვა დარგის მცოდნეთა შეერთებული შემოქმედებითი მუშაობა.

მაიკლ პეტცეტი

# კონსერვაციის პრინციპები

## კონსერვაციისა და რესტავრაციის საერთაშორისო ქარტიების წინასიტყვაობა ვენეციის ქარტიიდან 40 წლის შემდეგ

ICOMOS, 2004

MICHAEL PETZET

# PRINCIPLES OF CONSERVATION

## *INTRODUCTION TO THE INTERNATIONAL CHARTERS AND PRINCIPLES*

**40 Years after Venice Charter.**

ICOMOS, 2004

## კონსერვაციისა და რესტავრაციის საერთაშორისო ქარტიების წინასიტყვაობა ვენეციის ქარტიიდან 40 წლის შემდეგ

ვენეციის ქარტია, ძეგლების და ღირსშესანიშნავი ადგილების კონსერვაციისა და რესტავრაციის საერთაშორისო ქარტია (1964), გაჟღერებული 40 წლის წინ ისტორიული ძეგლების არქიტექტორთა და სპეციალისტთა მე-2 საერთაშორისო სიმპოზიუმზე, საფუძვლად დაედო ძეგლების და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს (ICOMOS), რადგანაც ვენეციაში, ქარტიის თანადროულად მიღებულ იქნა რეზოლუცია, ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს შექმნის თაობაზე: ძირითადი „რეზოლუცია" ეხებოდა „ძეგლების და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნას," რომლის გენერალური დამფუძნებელი კრება ჩატარდა კრაკოვში, ერთი წლის შემდეგ. კონგრესის გამოქვეყნებული მასალების წინასიტყვაობაში ICOMOS-ის პირველმა პრეზიდენტმა პიერო გაცოლამ მართებულად ხაზი გაუსვა ამ მჭიდრო კავშირს: *შეხვედრის შედეგები ძალზე მნიშვნელოვანია. საკმარისია გავიხსენოთ, თუ როგორ შევქმენით ძეგლების და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს — ICOMOS – ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს უმაღლეს სააპელაციო სასამართლოს ძეგლების რესტავტაციის, ძველი ისტორიული ცენტრების, ლანდშაფტებისა და ზოგადად მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობის მქონე ადგილების სფეროში. ამ ორგანიზაციას ევალება უხელმძღვანელოს სპეციალიზებული კადრების შექმნას, მათ დაკომპლექტებას და დაწინაურებას. მისი ვალდებულებაა თვალყური ადევნოს საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლა და აგრეთვე უნდა იზრუნოს, რათა დააარსოს ადგილობრივი საერთაშორისო კომიტეტები, რომლებიც შეძლებენ აწარმოონ კონსულტაციები ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა იუნესკო, ევროპის საბჭო და სხვ. იკომოსის შექმნამ ამოავსო ის ნაპრალი, რომელსაც ყველა ერი მტკივნეულად განიცდიდა და დააკმაყოფილა ის საჭიროება, რომელიც ესოდენ საგრძნობი იყო ყველა ცალკეული ადგილობრივი საკონსერვაციო ორგანიზაციისათვის. მაგრამ უპირველეს ყოვლისა, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ასამბლეის ყველაზე მნიშვნელოვანი დადებითი შედეგი არის რესტავრაციის საერთაშორისო წესების ფორმულირება; ეს არა უბრალოდ კულტურული ცხოვრების ეპიზოდია, არამედ ეს არის ისტორიული მნიშვნელობის ტექსტი. ფაქტიურად, მან დააკანონა ვალდებულება, რისი უარყოფის უფლება არავის აქვს, რისი სულისკვეთებაც ყველა სპეციალისტმა უნდა გაითავისოს, თუ არ უნდა, რომ იგი გარიყული აღმოჩნდეს კულტურული ცხოვრებიდან. კანონად ქცეული ნაფიქრი წარმოადგენს უცილობელ დოკუმენტს, რომლის იურიდიული ძალა დროთა მსვლელობაში კიდევ უფრო გამტკიცდება და, ამგვარად, სამუდამოდ დაუკავშირებს ვენეციის სახელს ამ ისტორიულ მოვლენას. ფაქტიურად, ვენეციის ქარტია მთელი მსოფლიოსათვის გახდება ოფიციალური კანონი კულტურული ობიექტების კონსერვაციის სფეროში.*

პიერო გაცოლას მიერ (ადამიანი, რომელიც მოითხოვდა იკომოსის მოღვაწეობის ძალზე მაღალ სტანდარტს, იმ სტანდარტს, რომელიც ჩვენ ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ მომავალშიც) ვენეციის ქარტიის, იკომოსის დამფუძნებელი დოკუმენტის მიმართ გამოთქმული ეს სიტყვები სავსებით მართებული იყო. ეს ქარტია, რომელიც შემდგომ წლებში დაიმოწმა იკომოსის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულმა სხვა ქარტიებმა და კანონებმა, მართლაც წარმოადგენს ისტორიულ დოკუმენტს, ტიპიურს იმ დროისათვის, როდესაც იგი იყო შექმნილი და შესაბამისად, კვლავ და კვლავ მოითხოვს ახლებურ ინტერპრიტაციას. და მაინც, იგი წარმოადგენს შეუცვლელ „იარაღს" ჩვენი საქმიანობისათვის საერთაშორისო დონეზე. მცდელობა, დაიწეროს „ვენეციის ახალი ქარტია", რისი მაგალითიცაა 2000 წლის კრაკოვის ქარტია, დიდად აზრიანი არაა.

## I. ძეგლები და ღირსშესანიშნავი ადგილები მათი ავთენტურობის მთელი სისავსით

*წარსულის სათქმელით გაჟღენთილი ისტორიული ძეგლები, რომელთაც დღევანდლამდე მოაღწიეს, ესაა საუკუნოვანი ტრადიციების ცოცხალი მოწმეები. ადამიანები უფრო და უფრო ნათლად აცნობიერებენ კაცობრიობის ღირებულებათა ერთობლიობას და აღიქვავენ კულტურის ძეგლებს როგორც საერთო მემკვიდრეობას. უკვე აღიარებულია მომავალი თაობების ამ მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობაზე საერთო პასუხისმგებლობა. ჩვენი ვალდებულებაა მათი შენარჩუნება და მომავალი თაობებისთ-*

*ვის გადაცემა.* ეს არის ვენეციის ქარტიის შესავალი, რომელმაც ბოლომდე ვერ განსაზღვრა ავთენტური ძეგლის მნიშვნელობა, რომელიც უნდა შემოვუნახოთ მომავალ თაობებს. ეს დავალება ნარას კონფერენციას (1994) უნდა შეესრულებინა. *ავთენტურობის ნარას დოკუმენტი იზიარებს ვენეციის ქარტიის სულისკვეთებას, ეფუძნება მას და კიდევ უფრო ზრდის მის მასშტაბს კულტურული მემკვიდრეობის მიმართ ზრუნვისა და დაინტერესების გაფართოების პასუხად* (ნარას დოკუმენტის პრეამბულა). ნარას დოკუმენტი, ერთ-ერთი ყველაზე მნიშველოვანი სამეცნიერო ნაშრომი თანამედროვე კონსერვაციის თეორიაში, შეეცადა განესაზღვრა „ჩანაფიქრის, მასალისა და ოსტატობის ავთენტურობის ტესტი", 1972 შემუშავებული წლის მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის განსახორციელებლად ისე ფართოდ, როგორც ეს შესაძლენელი იყო და თანაც ისე, რომ მნიშვნელოვანი პარაგრაფი 13-ის მიხედვით მასში მკაფიოდ გათვალისწინებული ყოფილიყო კულტურული მემკვიდრეობის არამატერიალური ღირებულება: *კულტურული მემკვიდრეობის ბუნების, მისი კულტურული შინაარსის, საუკუნეების მანძილზე მისი ევოლუციის გათვალისწინებით ავთენტურობაზე მსჯელობა უკავშირდება სხვადასხვა გზით მიღებული ინფორმაციის სანდოობას. ინფორმაციის წყაროები მრავალნაირია. ეს შეიძლება ეხებოდეს ფორმას და დიზაინს, მასალას და ნივთიერ შედგენილობას, გამოყენებას და ფუნქციას, ტრადიციებსა და ტექნიკას, ადგილმდებარეობას და გარემოს, სულიერებას და გრძნობებს და სხვა შინაგან თუ გარეგან ფაქტორებს.*

მრავალი ამ ფაქტორიდან უკვე შესულია ვენეციის ქარტიაში, მაგ., ავთენტური ადგილმდებარეობა და გარემო, პარაგრაფი 6: ძეგლის კონსერვაცია გულისხმობს მისი გარემოს დაცვას, თუ ისიც ღირებულია. *იქ სადაც არსებობს ტრადიციული გარემო, იგი შენარჩუნებული უნდა იყოს. არავითარი ახალი შენობა, ძველის ნგრევა ან მოდიფიკაცია, რაც შეცვლის მასის და ფერის ურთიერთ კავშირს, არ შეიძლება იყოს ნებადართული.* ასევე პარაგრაფი 7: *ძეგლი წარმოადგენს განუყოფელ ნაწილს ისტორიისა, რომლის მოწმეცაა იგი და იმ ბუნებრივი გარემოსი, სადაც იგი გვხვდება.* ძეგლების შენარჩუნების შემდეგი წინაპირობა ეხება მის გამოყენებას და ფუნქციას, რის შესახებ ქარტიის პარაგრაფი 5 აცხადებს შემდეგს: *ძეგლების კონსერვაცია ყოველთვის უფრო ადვილია, თუ ისინი შეიძლება სოციალურად გამოსადეგი გახდეს. ასეთი გამოყენება სასურველია, მაგრამ ამან არ უნდა გამოიწვიოს შენობის გეგმარების ან დეკორის შეცვლა. მხოლოდ ამ ფარგლებშია შესაძლებელი იმ ცვლილებების განხილვა და ნებადართვა, რასაც მოითხოვს ნაგებობის შეცვლილი ფუნქცია.* ეს პარაგრაფი მიანიშნებს შეზღუდვებს, რომლებიც უნდა თან ახლდეს ძეგლის გამოყენების მიზნით ჩატარებულ სახეცვლილებებს. შეზღუდვები განსაკუთრებით ხაზგასმული უნდა იყოს დღევანდელ მენეჯმენტში „გამოყენების ფეტიშიზმის" ტენდენციების გათვალისწინებით („ძეგლი გამოყენების გარეშე დაკარგულია"). არ დავიწყებთ დეტალურ ანალიზს იმისა, თუ რა შედეგი შეიძლება მოიტანოს ძეგლის გამოყენებამ, როგორც გარკვეული კატეგორიის ძეგლების დაცვის წინაპირობამ. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ძეგლის „სასარგებლო ფუნქციონირებაში" ჩვენ ვგულისხმობთ არა მარტო მის ფაქტიურ გამოყენებას, როგორიც უნდა იყოს იგი, არამედ მის კულტურულ აზრსაც, როგორიცაა მისი, როგორც „ხელოვნების ძეგლის" ესთეტიკური ღირებულება ან როგორც „ისტორიული ძეგლის" ისტორიული ღირებულება (მაგალითად, ისტორიული ნაგებობის ფუნქცია, როგორც სივრცობრივი და ისტორიული „ორიენტირი").

მაგრამ ვენეციის ქარტია ყურადღებას ამახვილებს არა მარტო ძეგლის გარემოსა და ფუნქციაზე, არამედ ფორმაზე, მასალაზე და ტექნიკაზეც, ავთენტურ ძეგლებსა და ღირსშესანიშნავ ადგილებზე მთლიანობაში — ძეგლები „მათი ავთენტურობის მთელი სისავსით." ქარტიის მთავარი საზრუნავია ავთენტური ნივთიერი ქსოვილის დაცვა და კონსერვაცია. მაგრამ ძეგლის „ორიგინალურობა" არ ეხება მხოლოდ მის პირვანდელ სახეს, არამედ უფრო გვიანდელ ცვლილებებსაც მოიცავს: *ყველა პერიოდის ღირებული წვლილი... სათანადოდ უნდა იყოს დაფასებული* (პარაგრაფი 11). ქარტია აგრეთვე ხაზს უსვავს ძეგლის ყველა შემადგენელი ნაწილის ერთიანობის ხელშეუხებლობას და ძეგლისა და მისი დეკორის ურღვევობას, რომელიც არ შეიძლება ამოგლეჯილი იყოს კონტექსტიდან: *ქანდაკება, კედლის მხატვრობა ან სხვა დეკორი არ შეიძლება განვაცალკევოთ ძეგლიდან, თუ ეს არ არის მისი დაცვის უზრუნველყოფის ერთადერთი საშუალება* (პარაგრაფი 8).

ნებისმიერ შემთხვევაში, კონსერვაციის პრაქტიკას, რაც გულისხმობს მონაცემთა შეგნებულ შენარჩუნებას, უნდა შეეძლოს დაასაბუთოს ცალკეული ისტორიული ფენების დაკარგვა, გარკვეულ პირობებში ან ზოგ შემთხვევაში დაუშვას დანაკარგები, რათა ძეგლმა შემდგომში უწყვეტად განაგრძოს ფუნქციონირება. მხოლოდ როგორც მეცნიერული დისციპლინა შესძლებს კონსერვაცია დაარეგულიროს და აწონ-დაწონოს, რისი დაკარგვა ღირს იმისთვის, რომ მეტი შეინარჩუნო, გადალახოს ის პრობლემები, რაც ყველა სამუშაო გადაწყვეტილებას სდევს თან. ძეგლების კონსერვაციასა და რესტავრაციისას უნდა მივმართოთ ყველა დარგის მეცნიერებას და ტექნოლოგიებს, რომელთაც ძალუძთ თავისი წვლილი შეიტანონ არქიტექტურული მემკვიდრეობის შესწავლასა და დაცვაში, აცხადებს ვენეციის ქარტიის პარაგრაფი 2. ამგვარად, დღევანდელ დღეს ძეგლის შენარჩუნების მეცნიერული ასპექტი სრულიად აშკარად საყოველთაოდ აღიარებული მოთხოვნაა. ეს ასევე ეხება დოკუმენტაციას, რომელიც წინასწარ უნდა მომზადდეს და თან დაერთოს და აბოლოვებდეს ყოველ ცალკეულ პროექტს, რომელიც შესრულებულია იმ მეთოდებისა და პრინციპების თანახმად, რაც აღწერილია მომდევნო თავებში. ამ სიტყვებით

მთავრდება ვენეციის ქარტიის პარაგრაფი 16. სრულიად აშკარაა, რომ ძეგლის დაცვა-შენარჩუნება უნდა ეყრდნობოდეს მეცნიერულ საფუძველს, მაგრამ პრაქტიკაში ამას ხშირად ივიწყებენ სხვადასხვა მიზეზთა გამო: *ყველა სახის სამუშაოს შესრულებისას, იქნება ეს კონსერვაცია, რესტავრაცია თუ გათხრები, მას თან უნდა ახლდეს ანალიტიკური და კრიტიკული ანგარიშის შემცველი დაწვრილებითი დოკუმენტაცია, დასურათებული ფოტოებით და ნახაზებით. დასუფთავების, გამაგრების, გადაკეთების და ინტეგრაციის ყოველი ეტაპი, ისევე როგორც მუშაობისას აღმოჩენილი ტექნიკური თუ ფორმალური მაჩვენებლები, ჩართული უნდა იყოს ამ დოკუმენტაციაში. ეს ანგარიში უნდა მოთავსებული იყოს არქივში ან რაიმე სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებაში ისე, რომ ხელმისაწვდომი იყოს კვლევითი მუშაობისათვის. ასევე სასურველია ანგარიშის გამოქვეყნება. ზოგიერთი მოსაზრება უკვე იყო ფორმულირებული ვენეციის ქარტიის წინამორბედ ათენის ქარტიაში* (VIIc "საერთაშორისო დოკუმენტაციის ღირსებები").

და ბოლოს, ვენეციის ქარტიის, როგორც „კონსერვაციის სფეროში ოფიციალური კანონის" საერთაშორისო მნიშვნელობა პარაგრაფ 1-ში განსაზღვრული ძეგლის კონცეფციითაც განისაზღვრება, რომელიც დიდ წილად ეფუძნება ევროპულ ტრადიციებს: *ისტორიული ძეგლის კონცეფცია მოიცავს არა მარტო ცალკეულ არქიტექტურულ ნაგებობას, არამედ ქალაქისა თუ სოფლის გარემოს, სადაც აღმოჩენილი იქნება ამა თუ იმ ცივილიზაციის ნიშნები, მნიშვნელოვანი პროცესისა ან ისტორიული მოვლენის მოწმობა. ეს ეხება არა მარტო ხელოვნების დიდებულ ნიმუშებს, არამედ, წარსულის უფრო მოკრძალებულ ნამუშევრებსაც, რომელთაც დროთა მსვლელობაში შეიძინეს გარკვეული მნიშვნელობა.*

განსაზღვრავდა რა „ძეგლს" ისე, რომ იგი „წარსულის მოკრძალებულ ნამუშევრებსაც" მოიცავს, „ვენეციის ქარტია", მისი მიღების დროს, ალბათ, იმ ძეგლებსა და ღირსშესანიშნავ ადგილებს გულისხმობდა, რომლებიც რამდენიმე წლის შემდეგ, 1972 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციამ განსაზღვრა როგორც „კულტურული მემკვიდრეობა." თუმცა ყველა სახის ძეგლებში იგულისხმებოდა არა მარტო „განსაკუთრებული ღირებულების" ძეგლები, რაც წარმოადგენდა კონვენციის მოთხოვნას:

– **ძეგლები:** *არქიტექტურის, მონუმენტური ქანდაკების და მხატვრობის ნაწარმოებები, არქეოლოგიური ხასიათის ნაგებობები ან ელემენტები, წარწერები, გამოქვაბული საცხოვრებლები და თვისებათა ერთობლიობა, რომელთაც გააჩნიათ განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულება ისტორიის ხელოვნების და მეცნიერების თვალსაზრისით;*

– **შენობათა ჯგუფები:** *ცალკეული ან ერთმანეთთან დაკავშირებულ შენობათა ჯგუფები, რომლებიც მათი არქიტექტურით, მათი ერთგვაროვნებით ან მათი ადგილით გარემოში წარმოადგენს განსაკუთრებულ უნივერსალურ ღირებულებას ისტორიის, ხელოვნების და მეცნიერების თვალსაზრისით;*

– **ღირსშესანიშნავი ადგილები:** *ადამიანის ხელით შექმნილი ან ადამიანისა და ბუნების საერთო ქმნილებები და ზონები, არქეოლოგიური ტერიტორიების ჩათვლით, რომელთაც გააჩნიათ განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულება ისტორიული, ესთეტიკური, ეთნოლოგიური თუ ანტროპოლოგიური თვალსაზრისით.*

რა თქმა უნდა, თავისთავად ცხადია, რომ ვენეციის ქარტიის გამოცემიდან ათეული წლების განმავლობაში წარმოდგენა „კულტურული მემკვიდრეობის" თაობაზე თანამედროვე საზოგადოების თვალში საგრძნობლად გაფართოვდა – გავიხსენოთ თუნდაც „კულტურული ლანდშაფტის" ან „კულტურული მარშრუტების" კატეგორიები, შემუშავებული შემდგომ მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის განხორციელებისას ან მზარდი ინტერესი სოფლის დასახლებების და ხალხური არქიტექტურის მიმართ, ინდუსტრიული ეპოქის მემკვიდრეობის ან „ახალი" მემკვიდრეობისადმი და მხედველობაში ისიც მივიღოთ, რომ XX საუკუნე უკვე ისტორიაა. მაგრამ კულტურული მემკვიდრეობის ასეთი კატეგორიებიც სავსებით შეესაბამება „ვენეციის ქარტიას", თუ კულტურული მრავალფეროვნების შესაბამისად ტერმინებში „ძეგლები" და „ღირსშესანიშნავი ადგილები" ჩვენ ვგულისხმობთ მათ ყოველგვარ ფორმას. თუ „ყველაფერი, რაც რაიმეს გვაგონებს" შეიძლება იყოს „ძეგლი", ციცერონის გვიანკლასიკური განმარტებისამებრ (omnia monumenta sunt quae faciunt alicuius rei recorgationem), საზოგადოებრივი ინტერესი „სამახსოვრო საგნების" დაცვისა და კონსერვაციის მიმართ შესაძლოა ყოვლისმომცველი იყოს და გავრცელდეს წმინდა ადგილის ავთენტურ სულზეც, რომელიც ძალიან ძნელად საგრძნობია და გარდასულ დღეთა მოწმეებზედაც, რომლებიც ვითომცდა ურღვევი მასალისაგან არიან შექმნილი.

## II. კონსერვაციის, რესტავრაციის, განახლების და აღდგენის პრინციპები

ჯერ კიდევ ისტორიული ძეგლების რესტავრაციის ათენის ქარტიამ განასხვავა ერთმანეთისაგან რესტავრაცია და კონსერვაცია მათი ვიწრო მნიშვნელობით, შემდგომ კი ვენეციის ქარტიის სათაურში ორივეა მოხსენებული — ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების კონსერვაციისა და რესტავრაციის საერთაშორისო ქარტია — და გამოყენებულია შესაბამისი პარაგრაფების ქვესათაურებად, კონსერვაცია — პარაგრაფები 4-8, რესტავრაცია — პარაგრაფები 9-13. მიუხედავად ამისა, დღესდღეობით კონსერვაცია-რესტავრაცია იხმარება ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების შენარჩუნების ზოგადად ყველა სახის ღონისძიებების განსაზღვრისათვის — ე. ი. შენარჩუნება ან კონსერვაცია-რესტავრაცია ზოგადად. აქედან გამომდინარე ჩვენი საერთაშორისო ქარტიების მართებულად გაგებისათვის ჯერაც აუცილებელი და საჭირო რჩება განვასხვავოთ კონსერვაცია და რესტავრაცია მათი ვიწრო მნიშვნელობით. ტერმინი „კონსერვაცია-რესტავრაცია“, რომლიც ხშირად გვხვდება რესტავრაციაზე ნაწერებში (მაგ., „კედლის მხატვრობის კონსერვაციის პრინციპებში“) მხოლოდ აძლიერებს ხშირად განუყოფელ კავშირს ამ ორ მეთოდს შორის. ამავე დროს, თითოეული მათგანი გულისხმობს შენარჩუნების ღონისძიებების სრულიად განსხვავებულ მიდგომას, დაწყებული პრეისტორიული ნაშთების კონსერვაციით ვიდრე ისტორიული ძეგლების ინტერიერისა და ექსტერიერის და მათთან ერთად ყველა სახის ხელოვნების ნიმუშების, გამართულობისა და მოძრავი ობიექტების კონსერვაციიდან რესტავრაციამდე.

ძეგლების შენარჩუნების ისტორიაში განსაკუთრებით განსხვავებულად ტერმინი რესტავრაცია განისაზღვრებოდა. თუ ზოგიერთ „პურიზმისაკენ მიდრეკილ“ კოლეგებში ტერმინი „რესტავრაცია“ კვლავაც იწვევს უარყოფით ასოციაციებს, ეს იმიტომ, რომ ჯერაც არ გამქრალა შედეგები იმ ბრძოლისა, რაც 1900 წლის ახლოს გაჩაღდა რესტავრაციის XIX ს-ში მიღებული მეთოდების წინააღმდეგ, რომლებიც მეტ-ნაკლებად რეკონსტრუქციაზე იყო ფოკუსირებული (მათ წარმოსაჩენად „რესტავრაციის“ ვიოლე-ლე-დიუკიდ სახელგანთქმული განსაზღვრებაც კმარა). ამის გათვალისიწნებით უნდა გავიგოთ არა მარტო გეორგ დეიოს ცნობილი გამონათქვამი — „გააკეთე კონსერვაცია და არა რესტავრაცია,“ არამედ ვენეციის ქარტიაში ჩანაცლებისა ან თუნდაც რეკონსტრუქციისადმი ძალზე მკაცრი დამოკიდებულება. ეს განსაკუთრებით ნათელი ხდება პარაგრაფ 9-ის ფრანგულ ვერსიაში: *La restauratio est une opération qui doit garden un caractere exceptionnel* (!) (მაშინ, როდესაც ინგლისურად ვკითხულობთ შემდეგს: *რესტავრაციის პროცესი უაღრესად სპეციალიზირებული სამუშაოა).* აღსანიშნავია ასევე, რომ ამ კონსტექსტში ტერმინი „რეკონსტრუქცია“ მხოლოდ ერთხელ არის ნახმარი ვენეციის ქარტიის პარაგრაფ 15-ში, რომელიც ეხება გათხრების შედეგებს, იმ დროს, როცა ტერმინი „განახლება“ საერთოდ არ არის ნახსენები. მიუხედავად XIX საუკუნის რესტავრაციის მეთოდების უარყოფითი გამოცდილებისა, XX საუკუნეშიც ძალიან ხშირად აწარმოებდნენ არა მარტო ძეგლების კონსერვაციასა და რესტავრაციას, არამედ ფაქტიურად მათ განახლებასა და რეკონსტრუქციასაც.

ამ ვითარებაში თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში ეს ტერმინები ნახმარია რაიმე დიფერენციაციის გარეშე — რესტავრაცია, როგორც ზოგადი ტერმინი რესტავრაციისა და კონსერვაციისთვის, განახლება რესტავრაციის მაგივრად ან პირიქით, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ზოგ ქვეყნებში ტერმინი „რეკონსტრუქცია“ იხმარება რესტავრაციისა და განახლების მაგივრად მიუხედავად იმისა, შენობის რეკონსტრუქცია ტარდება, რესტავრაცია, განახლება ან უბრალოდ კონსერვაცია. რადგან პრაქტიკაში ეს ცნებები ხშირად გადაფარავს ხოლმე ერთმანეთს, ძეგლის შენარჩუნებისათვის კონსერვაციის, რესტავრაციის და განახლების მეთოდები ზუსტად უნდა იყოს გაგებული. გარდა ამისა, სამწუხაროდ, ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ძეგლის შენარჩუნების მიზნით ჩატარებული სამუშაოებისას იკარგება ძირითადი მიზანი, თითქოს ნისლის კედლით იფარება და ასეთ ქმედებას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამართლებენ წარმატებული „რესტავრაციის“ ან „განახლების“ საკვანძო სიტყვებით, რაც ფაქტიურად ფარავს ყოველნაირ სამუშაოს — უკიდურეს შემთხვევაში, ორიგინალის განადგურებასაც კი. კვლავ უნდა გავიმეოროთ: ძეგლის შენარჩუნების ყველა სახის ღონისძიება — იქნება ეს კონსერვაცია, რესტავრაცია, თუ განახლება — უნდა ემსახურებოდეს ძეგლის და მისი ისტორიული ნივთიერი ქსოვილის შენარჩუნებას; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ორიგინალი იმ სახით, როგორიც იგი ჩვენამდე მოვიდა, მისი სხვადასხვა ფენებით და მისი ღირსშესანიშნავი, თუ, ერთი შეხედვით, მეორე ხარისხოვანი თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილებით. სათაურით „მიზანი“ ვენეციის ქარტიამ პარაგრაფ 3-ში მოკლედ შეაჯამა ძეგლის შენარჩუნების თავისთავადაც აშკარა წინაპირობა: ძეგლების *კონსერვაციის და რესტავრაციის მიზანია დაიცვას ისინი, როგორც ხელოვნების ნაწარმოები და ისტორიული დოკუმენტები.*

**ამ ძირითადი მიზნიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ რიგ შემთხვევებში მისაღებია მხოლოდ კონსერვაცია, მისი ვიწრო მნიშვნელობით; რესტავრაცია ან განახლება შეიძლება შესაძლებელი ან სასურველი იყოს მხოლოდ გარკვეული წინაპირობებისას ან იქნებ მკაცრად უნდა იყოს უარყოფილი.**

შემდგომში განახლების მეთოდთან დაკავშირებით, რომელიც ბევრად უფრო შორს მიდის ვიდრე რესტავრაცია, ძეგლის შენარჩუნების კონსერვაციის და რესტავრაციის ტრადიციული მეთოდები არ იქნება განხილული რესტავრაციის და განსაკუთრებით კი განახლების სამუშაოების იმ შესაძლო

საფრთხის დაწვრილებითი მითითების გარეშე, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ვენეციის ქარტიიდან 40 წლის შემდეგ. ასევე, XXI საუკუნის დასაწყისში ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების თანამედროვე გააზრების თანახმად, ეს ტერმინები გულისხმობს ღონისძიებათა ფართო სპექტრს, იმ დროს, როცა ადრე ტერმინები კონსერვაცია, რესტავრაცია და განახლება ძირითადად იხმარებოდა მხატვრობისა და ქანდაკების ნაწარმოებთა მიმართ ან „ხელოვნების ძეგლების" კონტექსტში ძეგლის შენარჩუნების „კლასიკურ" სფეროში. შემდგომში კონსერვაცია ნახმარი იქნება მისი ვიწრო მნიშვნელობით, და არა როგორც კონსერვაცია ზოგადად.

## *კონსერვაცია*

**კონსერვაცია (conservare) ნიშნავს შენახვას, შენარჩუნებას.** ამგვარად, ძეგლის შენარჩუნების ძირითადი პოზიცია ყველაზე სუფთა სახით გამოიხატება კონსერვაციაში: **კონსერვაცია წარმოადგენს ძეგლის შენარჩუნების უმთავრესს პრინციპს.** გამაგრების და უსაფრთხოების ღონისძიებებთან ერთად, საკონსერვაციო სამუშაო იცავს ძეგლის ნივთიერ ქსოვილს, ხელს უშლის მის შემდგომ დაზიანებას, რის გამოც მას უნდა მიენიჭოს აბსოლუტური უპირატესობა ყველა სხვა ღონისძიებასთან შედარებით. სამწუხაროდ, ეს პრინციპი არ არის ერთხელ და სამუდამოდ უზრუნველყოფილი რამ, რადგან ხშირად ძეგლის ცალკეული ნაწილები დიდ ფასად განახლებული ან რეკონსტრუირებულიც კი არის, იმ დროს, როცა მისი სხვა შემადგენელი ნაწილები განაგრძობენ ნგრევას და მიტოვებულია სასწრაფო საკონსერვაციო სამუშაოების გარეშე.

ყველა ის საშუალება, რომელიც ემსახურება ძეგლის ნივთიერი ქსოვილის შენარჩუნებას, უნდა მიჩნეულ იქნას საკონსერვაციო სამუშაოდ. კონსერვაცია შეიცავს, მაგალითად, ძეგლის ისტორიული ქსოვილის კონსოლიდაციას, ქვის ქანდაკების გაჟღენთვას, წამლის ინექტირებას ბათქაშის ფენის ქვეშ გაჩენილ სიცარიელებში, სურათის ან შეღებილი ქანდაკების ფერადოვანი ზედაპირის შემტკიცებას, სურათის საფუძველის გამაგრებას და სხვ. ისტორიული შენობების შემთხვევაში, კონსერვაცია გულისხმობს ყველა სახის ღონისძიებებს, რაც წინ აღუდგება შემდგომ ნგრევას და დაიცავს ისტორიულ ქსოვილს. ამან შეიძლება მოიცვას სტრუქტურული გამაგრება სათანადო დამხმარე კონსტრუქციებით, ან ძეგლის შემადგენელი ნაწილების შეცვლა ან შემადგენელთა დასრულება იმ ზომამდე, რაც ხელს შეუშლის მის შემდგომ დაზიანებას. ამ მიმართებაში, დაზიანებული ქვების განუწყვეტელი შეცვლა ქვისმთლელების საკათედრო სახელოსნოების მიერ ავლებს სასაზღვრო ხაზს კონსერვაციასა და რესტავრაციას შორის. უფრო მეტიც, გარდა ტრადიციული ხერხებისა, გარკვეულ შემთხვევებში ისტორიული ქსოვილის გადასარჩენად კონსერვაციაში უნდა გამოყენებული იყოს ახალი ხელმისაწვდომი ტექნოლოგიებიც. ამ საკითხს სპეციალურად ეხება ვენეციის ქარტიის პარაგრაფი 10: *იქ სადაც ტრადიციული ხერხები შეუფერებელი აღმოჩნდება, ძეგლის გამაგრება შეიძლება მიღწეულ იქნეს კონსერვაციის და კონსტრუქციის ნებისმიერი ახალი ტექნოლოგიით, რომლის ეფექტიურობა დადასტურებული იქნება მეცნიერული მონაცემებით და დამტკიცებული გამოცდილებით.* სიფრთხილე გვმართებს იმ მეთოდების მიმართ, რომლებიც არ არის სათანადოდ შემოწმებული ან ტესტირებული, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მოცემული ძეგლი არ შეიძლება გადავარჩინოთ სხვა რაიმე გზით. ზოგიერთ შემთხვევებში – ქვის ფიგურის სრული გაჟღენთვა აკრილის ფისით, როდესაც მისი გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს, – შექცევადობის პრინციპიც კი იგნორირებული უნდა იყოს კონსერვაციაში.

შეკეთების სამუშაოები, რომელიც ცდება არსებული ნივთიერი ქსოვილის უბრალოდ დაცვას, აღარ შეიძლება შედიოდეს საკონსერვაციო სამუშაოს სფეროში. მაგალითად, ნაპრალის შევსება, იქნება ეს ნახატის ბზარი, თუ ქალაქის ზღუდის განარღვევი, არ მიიჩნევა საკონსერვაციო სამუშაოდ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთ შევსებას მოითხოვს ის ტექნოლოგიები, რაც გამოიყენება ძეგლის უსაფრთხოებისათვის. ამის საწინააღმდეგოდ, იმ ნაწილის მოშორება, რომელიც ძეგლს საფრთხეს უქმნის, შეიძლება მიჩნეულ იქნას მნიშვნელოვან საკონსერვაციო საშუალებად. ხანდახან ეს შეეხება ახალი დროების მოტანილ მინამატებს, იმ ზომით, რამდენადაც ისინი ფაქტიურად საფრთხეს უქმნიან ისტორიულ ქსოვილს (მაგ. დანადგარი, რომელიც იწვევს სტრუქტურულ ზიანს, ან ახალი მობათქაშება, რომელიც შეიცავს ცემენტს).

ნანგრევები, განსაკუთრებით კი ციხე-დარბაზების ნანგრევები, რომელთა შენარჩუნების თაობაზე XIX საუკუნის დამლევს მიმდინარეობდა გაცხარებული კამათი, წარმოადგენს კონსერვაციის საუკეთესო ილუსტრაციას, რაზედაც მიუთითებს ვენეციის ქარტია: *როდესაც საქმე ნანგრევებს ეხება, საჭიროა ზედმიწევნითი კონსერვაცია. . .* ასეთ შემთხვევაში ძეგლის ღირებულებას ისიც იწვევს, რომ ის ფრაგმენტირებულია, ნანგრევებად ქცეული, რაც წარსულს მოგვაგონებს და ისტორიას "დროის იარებად" გვითვალსაჩინოებს. რეკონსტრუქციასა (მას კი დღესაც შეიძლება გადავეყაროთ) და იმ იდეას შორის მანევრირებას, რომელსაც შიგადაშიგ თავისი მხარდამჭერები უჩნდება – დავაცადოთ ნანგრევებს „მშ-

ვენებით გაქრობა“ (ეს უკანასკნელი გასაგები რეაქციაა რეალურად არსებული ძეგლის განადგურებაზე, რაც პირველ დამოკიდებულებას მოყვება), კონსერვაციის გეგმამ უნდა მოიძიოს სწორი გზა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში: მაგალითად, კედლების სტაბილიზაცია, მაგრამ მხოლოდ სტაბილიზაცია და არა ნანგრევების ხასიათის გაყალბება არასაჭირო დამატებებით. წამოზრდილი მცენარეების მოშორებაც კი, რაც თითქოსდა ცხადია კონსერვაციის დროს, ძალზე გულდასმით უნდა იყოს მოფიქრებული; მიუხედავად იმისა, რომ მცენარეების ზრდა საფრთხეს უქმნის ძეგლის ნივთიერ ქსოვილს, მას მაინც შეაქვს თავისი წვლილი ძეგლის საერთო „ცხოველხატულ“ ხასიათში. ნაგებობის მნიშვნელოვანი კომპონენტის (ისეთი, როგორც ფრესკის ფრაგმენტები ციხესიმაგრის სამლოცველოს ნანგრევებში) გარდაუვალი განადგურების შემთხვევაში, გადახურვა შეიძლება გახდეს აუცილებელი საკონსერვაციო ღონისძიება, მაშინაც კი, თუ ეს ეწინააღმდეგება ძეგლის ბუნებას. ამიტომაც გასაგებია რომაული აბანოს მთლიანად კონსერვირებული კედლის ნარჩენების და მოკირწყლული იატაკის გადახურვა, რომელიც რამდენიმე წელიწადში სრულიად განადგურდებოდა ამ დამცველი სახურავის გარეშე. ციხე-დარბაზების ნანგრევების შემთხვევაში, კედლის გარკვეული ნარჩენების და სხვა აღმოჩენილი მასალის საუკეთესო კონსერვაციაა მათი დატოვება მიწის ქვეშ. სამწუხაროდ, ხშირად გათხრებს აწარმოებენ მოყვარულები და, სათანადო ზედამხედველობის გარეშე, ეს ადამიანები უმოწყალოდ ანადგურებენ თავიანთ აღმოჩენებს.

მარტოოდენ ნანგრევების მაგალითით როდი ვრწმუნდებით, რომ კონსერვაცია ნიშნავს ძეგლის შენარჩუნებას თუნდაც მის ფრაგმენტულ მდგომარეობაში: ფრესკის, ქანდაკების, ლარნაკის ან ეპიტაფიის ფრაგმენტები წარმოადგენს საგნებს, რომელთა ისტორიული სახე არ უნდა იყოს „გაყალბებული“ რესტავრაციის ან განახლების გზით შეტანილი დამატებებით.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, **გარკვეული კატეგორიის ძეგლებისათვის კონსერვაცია არის უპირველესი და ერთადერთი საშუალება!** სხვადასხვა მიზეზთა გამო აშკარაა, რომ ეს, კერძოდ, ეხება ძეგლებს, რომლებიც გაიაზრებიან მუზეუმის მსგავს კონტექსტში. ამის საპირისპიროდ, დასახლებული ძველი ქალაქები არ შეიძლება შენარჩუნებული იყოს როგორც ისტორიული რაიონები, სადაც მხოლოდ კონსერვაციის მეთოდი გამოიყენება. იმისთვის, რომ ძეგლების მრავალი კატეგორიის „გამოყენებითი ღირებულება“ მოითხოვს მათ შეკეთებას და მნიშვნელოვან რეაბილიტაციას, რაც ცდება კონსერვაციის მეთოდს და მოიცავს შენარჩუნების სხვა მეთოდებსაც, როგორიცაა რესტავრაცია და ზოგ შემთხვევებში განახლებაც კი. და მაინც, კონსერვაცია არის და ყოველთვის იქნება ათვლის წერტილი ძეგლის შენარჩუნების საკითხზე მსჯელობისას.

## *რესტავრაცია*

**ჩააატარო რესტავრაცია (restaurare) ნიშნავს აღადგინო;** ქვევით ის არ იქნება განმარტებული, როგორც ზოგადად ძეგლის შენარჩუნების ძირითადი სამუშაოს აღმნიშვნელი ტერმინი, არამედ, როგორც საშუალება, რომელიც დიფერენცირებული უნდა იყოს კონსერვაცია და დაცვისაგან ისევე, როგორც განახლებისაგან. ვენეციის ქარტია აცხადებს, რომ რესტავრაციის მიზანია *შეინარჩუნოს და გამოავლინოს ძეგლის ესთეტიკური და ისტორიული ღირებულება და ეფუძნება ორიგინალური მასალის და ავთენტური დოკუმენტების პატივისცემას.* ამგვარად, იმისთვის, რომ „გამოვავლინოთ“ ძეგლის ავთენტური და ისტორიული ღირებულებანი, უფრო მეტი უნდა მოვიმოქმედოთ, ვიდრე უბრალოდ მისი „შენარჩუნება“ ან კონსერვაციაა; ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოვკვეთოთ ძეგლის ღირსებები, რომლებიც დაფარულია (რა მიზეზითაც უნდა იყოს), დამახინჯებულია ან დაზიანებულია, ნიშნავს „აღვადგინოთ“ ისინი. მაშინ, როდესაც ძეგლის არსებული ნივთიერი ქსოვილის კონსერვაცია მხოლოდ ცდილობს, რამდენადაც ეს საჭიროა, ტექნიკური საშუალებებით გაამაგროს გარკვეული მონაკვეთები და მოსპოს ნივთიერი ქსოვილის დაზიანების მიზეზი, რესტავრაციის ზრუნვის საგანია ძეგლის, როგორც ისტორიის და ხელოვნების მოწმობის მთლიანი იერი.

გარდა თავდაპირველი ქსოვილის სტაბილიზაციისა და კონსერვაციისა, რესტავრაცია ამატებს ახალ ელემენტებს ისე, რომ არაფერი მოაკლდეს პირვანდელ ქსოვილს. თუ, მაგალითად, მხატვრობას ბზარი გაუჩნდება, რაც სერიოზულად აუარესებს მთლიან გარეგნულ ეფექტს, განურჩევლად თვით დაზიანებული ფართობისა (ის შეიძლება შედარებით მცირე იყოს), მას ფერს დაადებენ ხოლე. რესტავრაციის მრავალი შესაძლებლობა, რაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გულდასმით უნდა იყოს აწონ-დაწონილი, მერყეობს მხატვრობის ნეიტრალური „კორექტირებიდან,“ განადგურებული ელემენტების მთლიანად შეცვლამდე, როგორც ეს ხდებოდა დეკორატიული ბათქაშის ბზარის ან გარკვეული რიგის არქიტექტურული ქანდაკების შემთხვევაში. მაგალითად, მალი, რომელიც ჩამოინგრა კონსტრუქციული დაზიანების გამო სხვა მხრივ უვნებელ აღორძინების დროინდელ სასახლეში, ვერ იქნებოდა კონსერვირებული შუა საუკუნეების ციხე-დარბაზების ნანგრევების მიმართ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, – საზოგადო ესთეტიკური შთაბეჭდილებისათვის მას მომიჯნავე მალების შესაბამისად აღადგენდნენ.

რესტავრაციას შეუძლია წავიდეს უფრო შორს, ვიდრე ჰარმონიზირება ან დანაკლისის შევსებაა,

რათა გამოასწოროს წინადროინდელი რესტავრაციების დამახინჯებები. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს კი, რომ ახალმა რესტავრაციამ შესაძლოა ცალმხრივად განსაზღვროს კონკრეტული ესთეტიკური და ისტორიული ღირებულებანი ან „გააყალბოს“ კიდევაც ისინი, რითიც ისევე „დაამახინჯებს“ ძეგლს, როგორც ეს გააკეთა წინა რესტავრაციამ, რომლის შეცდომები გახდა ახალი ჩარევების საბაბი. რესტავრაციას ასევე შეუძლია ახალად გამოავლინოს სრულიად დაფარული ძეგლი, ისეთი როგორც გვიანი ნაშენით დაფარული კლასიკური ტაძარი, ან შუა საუკუნეების ფრესკა ინტერიერის დეკორის გვიანი ფენების ქვეშ.

კონკრეტული ფენის ხელახალი წარმოჩენისას — ისეთი როგორიცაა მხატვრობა, რომელიც არ ჩანს, მაგრამ ფაქტიურად ძალიან კარგადაა დაცული კირის რამდენიმე ფენის ქვეშ — ყოველთვის უნდა დავსვათ კითხვა: რა არის იმ ძეგლის რესტავრაციის მიზანი, რომელიც შედგება სრულიად განსხვავებული ისტორიული ფენებისაგან? (რაც, მოგეხსენებათ, საკმაოდ ხშირია). ძეგლის ასაკის და ისტორიის მაჩვენებლებად თითოეული ეს ფენა უაღრესად ღირებულ ნაწილს წარმოადგენს. თუ წარმოვიდგენთ, რომ შუა საუკუნეების ფრესკას (უნდა იქნეს წარმოჩენილი?) ზემოდან ფარავს ბაროკოს ეპოქის მხატვრობა, ამას კი XIX საუკუნის ფერწერა, ან რომ ბაროკოს დროინდელი ჯვარცმის ორიგინალური მრავალფეროვნება (უნდა იქნეს წარმოჩენილი?) ზემოდან დაფარულია არანაკლებ რვა შესაბამისი პოლიქრომიის ნახატით, რომ რომაული ტაძარი (უნდა იქნეს წარმოჩენილი?) ინტეგრირებულია ბიზანტიური ეკლესიის კომპლექსში, მაშინ ნათელი გახდება ის პრობლემები, რაც თან ახლავს ყველა სახის სარესტავრაციო სამუშაოებს. ეს პრობლემები განსაკუთრებით რთულდება, და ძალზე ხშირადაც, თუ რესტავრაცია უკომპრომისოდ ორიენტირებულია არსებულ ან სავარაუდო „პირვანდელ მდგომარეობაზე,“ რასაც უყოყმანოდ უნდა შეეწიროს გვიანდელი ისტორიული ფენები. ფაქტიურად, მხოლოდ წინასწარი დეტალური კვლევის შედეგების განხილვის შემდეგ შეგვიძლია ჩვენ შევუდგეთ მუშაობას, დიდი სიფრთხილით და ვენეციის ქარტიის პარაგრაფი 11-ის თანახმად, რომელიც სრულიად მკაფიოდ უარყოფს XIX საუკუნის რესტავრაციის პრაქტიკას, რომლის მიზანი იყო „სტილის ერთიანობა:“ *პატივი უნდა ვცეთ ძეგლის ნაგებობაში შეტანილ ყველა პერიოდის ღირებულ წვლილს, რადგან სტილის ერთიანობა არ წარმოადგენს რესტავრაციის მიზანს. როდესაც ნაგებობა შეიცავს ერთმანეთზე დადებულ სხვადასხვა პერიოდის ნახელავს, ქვედა ფენის წარმოჩენა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და როდესაც ის, რაც მოშორებული იქნება ნაკლებად ღირებულია, ხოლო ის, რაც მზის შუქს იხილავს, წარმოადგენს დიდ ისტორიულ, არქეოლოგიურ და ესთეტიკურ ღირებულებას და თანაც საკმაოდ კარგადაა შენახული, რომ გაამართლოს ასეთი ქმედება.*

ამგვარად, აუცილებელია განსაკუთრებული სიფრთხილე; რესტავრაციის მიზანი არ უნდა იყოს შეთანხმებული მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ „ისტორიულ მდგომარეობასთან,“ თუ ეს ქმედება გამოიწვევს სხვა „ისტორიული მდგომარეობის“ განადგურებას. პრინციპულად, პირველ რიგში დაცული უნდა იყოს არსებული, დროთა განმავლობაში ევოლუციის შედეგად გაჩენილი ქსოვილი, ის უნდა იქნას მიჩნეული იტორიულ მდგომარეობად. მხოლოდ ზედმიწევნითი ანალიზის შემდეგ, შესაძლებელია გამართლებული იყოს ნაკლებად მნიშვნელოვანი ნახელავის მოშორება, რათა წარმოვაჩინოთ „დიდი ისტორიული, არქეოლოგიური და ესთეტიკური ღირებულების“ მასალა. გარდა ამისა, რაოდენ მნიშვნელოვანიც უნდა იყოს ადრინდელი მდგომარეობა მოგვიანო ცვლილებებთან მიმართებით, ის იმდენად კარგადაც უნდა იყოს დაცული, რომ „გაამართლოს ეს ქმედება“. რომანულ შეღებილ ხის ქანდაკებაზე დარჩენილი საღებავის რამდენიმე მარცვალი ისევე ვერ გაამართლებს მთლიანად შემონახული ბაროკალური შეფერილობის მოცილებას, როგორც შუა საუკუნეების ნათალი ქვის კედლის ნარჩენების არსებობა მთელი ნაგებობის დანგრევას, რომელიც საუკუნეთა მანძილზე დაშენდა მასზე.

რესტავრაციის პროექტი, ძეგლის დაცვის ღონისძიებებში უნდა ასევე ითვალისწინებდეს ძეგლის ფუნქციას და მის კავშირს გარემოსთან. ასე, დიდი არქიტექტურულ კომპლექსში შემავალი მონასტრის ეკლესია თავისი დეკორატიული მორთულობითურთ, **„ცალ-ცალკე რესტავრირებული“** არ უნდა იყოს. მუზეუმისთვის შესაძლოა აზრი ჰქონდეს ხელახლა წარმოაჩინოს ღვთისმშობლის გვიანგუთური ქანდაკების XV საუკუნის პოლიქრომია, რათა გვიანი დანამატების მოშორებით მოხდეს მისი ფრაგმენტირებული მდგომარეობის საბოლოო კონსერვაცია. მაგრამ იმავე ქანდაკებას ბაროკოს დროინდელ საკურთხეველში მოთავსებულს, რა თქმა უნდა, უნდა შევუნარჩუნოთ ბაროკალური პოლიქრომია. XVII საუკუნის საკურთხეველი, რომელიც მდებარეობს XVIII საუკუნის ერთიანად ხელახლა მორთულ სივრცეში, არ უნდა წარმოჩინდეს თავისი პირვანდელი ფერადოვნებით, არამედ უფრო სასურველია, გამოვავლინოთ მისი მეორე ან, თუგინდ მესამე ვერსია, ის, რომელიც სრულ ჰარმონიაში იქნება გარემო სივრცესთან. რესტავრაციის ისეთი ხერხიც კი, რომელიც ძალზე მარტივად და აშკარად გამოიყურება, როგორიცაა გაყვითლებული ლაქის მოშორება იმისთვის, რომ გამოვავლინოთ ძველი მხატვრობა ან მარმარილოს მოპირკეთება, სათუო შეიძლება იყოს, თუ „დროის ღირებულების“ მქონე შრის მოშორებით შეიცვლება ურთიერთკავშირი ნამუშევრის სხვა კომპონენტებთან ან ძეგლის სხვა დამახასიათებელ ნიშნებთან და „განცალკავებით რესტავრაცია“ გამოგვივა.

ძეგლის სხვადასხვა ფენების და რესტავრაციის პროექტის განსხვავებული მიზნების და წინაპირობების გათვალისწინებით, ეგრეთ წოდებული „ანალიტური რესტავრაცია“ პერიოდულად წარმოშობს

ზედმეტობებს, გვიბიძგებს ერთდროულად დავიცვათ და გამოვავლინოთ ძეგლის ყველა ცალკეული ისტორიული მდგომარეობა, თუნდაც ნაწილობრივ. სასახლის ბაროკოს დროინდელ ფასადზე შემორჩენილი აღორძინების პერიოდის არქიტექტურული დეკორი, ადრე შუა საუკუნეების ღიობები, ხელახლა წარმოჩენილი გვიანგუთური მხატვრობის ფრაგმენტები და რომაული თლილი ქვის ნარჩენები, ყველაფერი ამის დანახვა შესაძლებელი გახდა ერთადერთ მალზე, და მივიღეთ დაცული „ნიმუში." იგივე შეიძლება ითქვას ქანდაკებაზე, რომლის ცალკეული ნაწილები განსხვავებული პერიოდების წარმომჩენადაა რესტავრირებული. თუკი მნიშვნელოვანი და საჭიროა წინამორბედი ისტორიული მდგომარეობის მეთოდურად საღი წინასწარული კვლევა და დოკუმენტაცია იმისთვის, რომ დავადგინოთ ძეგლის ძირითადი ხასიათი, რაც გახდება რესტავრაციის გზამკვლევი პრინციპი, სარესტავრაციო გეგმა ორიენტირებული უნდა იყოს ძეგლის ევოლუციაგანცდილ ისტორიულ და ესთეტიკურ მთლიანობაზე. **მოწმობა-მაჩვენებლების დაცვა აუცილებელია, მაგრამ კვალის ძიება თვითმიზნური არ უნდა იყოს და არ უნდა განსაზღვრავდეს რესტავრაციის მიზანს.**

გარდა ამისა, ადრინდელი ისტორიული ვითარებაც შესაძლებელია რეკონსტრუირებულ იქნას, მაგრამ ქაღალდზე, სამეცნიერო პუბლიკაციად. რაც შეეხება, მაგ., გვიანგუთურ ფრაგმენტებს ბაროკოს დროინდელი ეკლესიის ინტერიერში, ალბათ, სასურველი იქნებოდა მათი არა რესტავრაცია, არამედ ხელახალი დაფარვა (თუ საჭიროა, რესტავრაციის მერე), იმ მიზნით, რომ არ დაირღვეს ძეგლის ესთეტიკური და ისტორიული მთლიანობა. „ფანჯარა წარსულში," რაც რესტავრაციის მსვლელობისას გაიხსნა, მაშინღაა დასაშვები, როდესაც შეუმჩნეველ ადგილზეა განლაგებული და ვერ მოახდენს ზემოაღწერილის მსგავს უარყოფით ზემოქმედებას. საზოგადოდ კი, მოსარიდებელია "ანალიტური რესტავრაციის" ზედმეტობები, რაც წარმოადგენს „ცალმხრივი რესტავრაციის" განსაკუთრებულ სახეობას.

ეს რა თქმა უნდა, ეხება არა მარტო კონკრეტულ სარესტავრაციო პროექტებს და მრავალი დეკორატიული კომპონენტის შემცველ ძეგლებს, არამედ ერთი ისტორიული უბნის შიგნით სარესტავრაციო სამუშაოებსაც. ხის კარკასის ხელახალმა წარმოჩენამ, თუ მას ცალკე განვიხილავთ, იქნებ წარმატებული სარესტავრაციო ნამუშევარი მოგვცეს, მაგრამ მოედნის კონტექსტში, სადაც არის მხოლოდ ბაროკოს შენობები ან ბაროკოს სტილში ტრანსფორმირებული შუასაუკუნოვანი სახლები, მსგავსი ჩარევა უარყოფილი უნდა იყოს, როგორც მოედნის ისტორიული ანსამბლის დამახინჯება და დარღვევა. ასევე უნდა უარვყოთ XIX საუკუნეში სახეცვლილი ქუჩის იერის რესტავრაციისას მისთვის შუა საუკუნეების „პირვანდელი მდგომარეობის" დაბრუნების იდეა; არცთუ იშვიათად რესტავრაციის არაპროფესიულ გაგებაზე დამყარებული მასირებული ჩარევა ძეგლთა განადგურების მიზეზიც ხდება.

თუ „ანალიტიკური რესტავრაცია" – ისტორიული მდგომარეობის „ნიმუშის შემზადების" ნაირსახეობა, რაც სრულიად სამართლიანად, ძალზე ნაკლებად გვხვდება დღევანდელ პრაქტიკაში – ზიანს აყენებს ძეგლის საერთო გარეგნობის ჰარმონიულობას და გარკვეულ ადგილებში ნივთიერი ქსოვილის განადგურებას იწვევს, ერთადერთ ისტორიულ მდგომარეობამდე **„უკან დაბრუნების რესტავრაციის" იდეა,** კონცეპცია, რომელიც წარამარა იჩენს თავს, გულისხმობს ძეგლის ყველა ფენის მოშორებას. მუდმივი კონფლიქტი ძეგლის შენარჩუნების, ისტორიული ქსოვილის კონსერვაციისა და დაცვის მკაცრ მოთხოვნებთან აქ წინასწარ არის დაპროგრამირებული, ისევე როგორც კონფლიქტი რესტავრაციის პრინციპთან, რაც ზემოთ უკვე ნახსენები იყო ვენეციის ქარტიის პარაგრაფ 11-ში: მისაღეებია არსებული მდგომარეობა, ხოლო კონკრეტული ადრინდელი მდგომარეობის აღდგენა კი – მხოლოდ საფუძვლიანად დასაბუთებულ გამონაკლის შემთხვევებში.

და ბოლოს, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ზოგად კავშირს რესტავრაციის თითოეულ პროექტსა და ძეგლების კონსერვაციისა და შეკეთების ზემოთ აღწერილ პრინციპებს შორის. უპირატესობა უნდა მიენიჭოს კონსერვაციის ინტერესებს, ძნელი საკითხების გადაჭრისასაც, რასაც სარესტავრაციო პროექტის მიზნები წარმოშობს. უფრო მეტიც, ზოგადად რესტავრაცია მართებულია მხოლოდ მაშინ, თუ გამაგრების და კონსერვაციის აუცილებელი სამუშაოები წინასწარ არის ჩატარებული ან ტარდება თანადროულად.

პრინციპები, რომლებიც ზოგადად ეხება შეკეთებას – მხოლოდ აუცილებელი სამუშაოების ჩატარება და შექცევადობა – სარესტავრაციო სამუშაობებისათვისაც ასევე ჭრის. და მაინც, რადგან უმნიშვნელო ისტორიული ფენის გადაადგილებაც კი, რომელიც ნებადართულია სერიოზული განსჯის შემდეგ, წარმოადგენს ისეთ ჩარევას, რომლის აღდგენა შეუძლებელია, საჭიროა მიღებულ იქნას პასუხისმგებლობის განსაკუთრებული ზომები ძეგლის კეთილდღეობის უზრუნველყოფათვის. ამიტომ პარაგრაფ 11-ში ვენეციის ქარტია მოითხოვს სხვადასხვა სპეციალისტების მონაწილეობას ყველა შესაძლებლობების აწონ-დაწონის მიზნით: *ერთმანეთთან გადაჯაჭვული ელემენტების მნიშვნელობის შეფასება და იმ გადაწყვეტილების მიღება, თუ რომლის განადგურებაა შესაძლებელი, არ უნდა იყოს მინდობილი მხოლოდ ერთ ადამიანზე, რომელსაც ევალება ამ სამუშაოს შესრულება.*

რესტავრაცია, რომელიც ცდილობს დაფაროს და ამოავსოს ნაპრალები, რომლებიც აუარესებს ძეგლის საერთო გარეგნულ მხარეს, შეიძლება დაკავშირებული იყოს შეკეთების პრინციპთან, რომელიც იყენებს ისტორიულ მასალებსა და მეთოდებს. ეს განსაკუთრებით ეხება ისტორიული ნაგებობების შენარჩუნებას, მაშინ როცა ცალკეულ ხელოვნების ნიმუშთა შემთხვევაში, ხანდახან უნდა გაკეთდეს აღდგენითი

შევსება განსახვავებული მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მის შეცვლას დაზიანების გარეშე და დაფუძნებული იქნება შექცევადობის პრინციპზე. რა თქმა უნდა, ისევე როგორც ეს იყო საკონსერვაციო სამუშაოების შემთხვევაში, არა მხოლოდ ტრადიციული, არამედ უახლესი სარესტავრაციო მეთოდები (რასაც აქ ცალკე ვერ განვიხილავთ) უნდა იყოს გამოყენებული *იქ, სადაც ტრადიციული ხერხები უვარგისი აღმოჩნდება,* როგორც ეს ნათქვამია ვენეციის ქარტიის პარაგრაფ 10-ში.

## *განახლება*

**რენოვაცია (renovare) ნიშნავს განახლებას** და კონსერვაციასა და რესტავრაციასთან ერთად, წარმოადგენს ძეგლის შენარჩუნების მესამე ფართოდ გავრცელებულ მეთოდს, თუმცა იგი არ არის საგანგებოდ მოხსენებული ვენეციის ქარტიაში. განახლების უშუალო მიზანია ძეგლის ესთეტიკური მთლიანობის მიღწევა იმგვარად, რომ იგი „კვლავ ახალი გახდეს“ (გარეგანი სახე, ძეგლის ხილვადი ზედაპირი, და სხვ.), მაშინ, როდესაც საკონსერვაციო სამუშაოების გზით „მისი კვლავ ხილულად ქცევა“, გაწმენდა ან ხელახლი წარმოჩენა ნაკლული ადგილების შევსებასთან ერთად კვლავ რჩება რესტავრაციის პრეროგატივა.

ისეთი ძეგლის განახლება, რომელსაც გააჩნია მრავალი ისტორიული ფენა წარმოშობს მიზნებთან დაკავშირებულ იმავე უთანხმოებებს, რაც უკვე განხილული იყო რესტავრაციის კონტექსტში. ამასთან დაკავშირებითაც ვენეციის ქარტიის პარაგრაფი 11 აღნიშნავს: განახლების სამუშაოების აღიარებული პრინციპი ის უნდა იყოს, რომ ძეგლი განიცდის ევოლუციას და მასში შეიძლება იყოს არაერთი, ერთიმეორეზე დადებული ფენა; არც ერთი ფენა არ შეიძლება შეეწიროს ესთეტიკურ მთლიანობას, რაც განახლების მიზანს წარმოადგენს, თუ არ არსებობს ამის დამაჯერებელი დასაბუთება, რაც უნდა ეყრდნობოდეს დეტალურ კვლევას და ყველა დადებითი და უარყოფითი მხარის გულდასმით აწონ-დაწონას.

როდესაც განვიხილავთ კონსერვაციას, როგორც უზენაეს პრინციპს, რომელიც მიესადაგება ნებისმიერ მცდელობას ძეგლის შენარჩუნების საქმეში და შეზღუდვის პრინციპს, როდესაც ძეგლთა შეკეთებისას ვისაზღვრებით ყველაზე ღირებულით და აუცილებელით, შეიძლება თქვან, რომ კონსერვაცია ყოველთვის საჭიროა, რესტავრაცია გამართლებულია კონკრეტულ პირობებში, ხოლო განახლება, რაც თავისთავად ახლის შექმნას გულისხმობს და, შესაბამისად, რაღაცის განადგურებას, არ შეესაბამება ძეგლის შენარჩუნების ძირითად მოთხოვნებს. ამგვარად, დეიოს სიტყვების „დააკონსერვე, ნუ აღადგენ“ მაგივრად ხომ არ სჯობია, რომ ვთქვათ „დააკონსერვე, აღადგინე სადაც აუცილებელია, არ განაახლო”?

სინამდვილეში კი ისეა, რომ დღესაც „განახლების“ სახელით შემაშინებელი ოდენობის ისტორიული ქსოვილი ნადგურდება, ისევე როგორც მრავალი „სარესტავრაციო“ სამუშაოების დროს. **ყველა სახის განახლებითი სამუშაოს დიდი საფრთხე** მდგომარეობს იმაში, რომ მას წინ უძღვის სულ ცოტა, ძეგლის ზედაპირის გულმოდგინე „გაწმენდა:“ ბათქაშის სრული ჩამოხსნა და განახლება; ძველი საკურთხევლის ყველა ადრინდელი ფენების თავიდან მოშორება იმ მიზნით, რომ შეიქმნას ახალი „მიგნებულის მიხედვით“ ან უფრო თავისუფლადაც, ავტორიტეტული სპეციალისტების „გემოვნების თანახმად;“ ქანდაკებებიდან ფენების ჩამოთლა და, შესაბამისად, ხელოვნების ნიმუშის მხატვრული და ისტორიული სახის ძირითადი ნაწილის განადგურება; გამოფიტული ხის ან ქვის ქანდაკების თითქმის მთლიანი გადაკეთება „გადათლის“ გზით მანამ, სანამ ნივთი საბოლოოდ დამახინჯდება და მისი ცნობაც კი შეუძლებელი გახდება. მსგავსად ამისა, საფლავის ქვის ან ქვის პორტალის ქვიშით გადახეხვა დაუზიანებელ, „ჯანმრთელ“ ფენამდე იგივეა, რაც თავდაპირველი ზედაპირის ახლით შეცვლა. ეს ის დანაკარგებია, რომელთა აღდგენა შეუძლებელია და რაც კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ შექცევადობის ზოგადი პრინციპი ძალაში უნდა იყოს განახლების სამუშაოების ჩატარებისასაც. ამ კონტექსტში ასევე უნდა აღინიშნოს განახლებისას შეუფერებელი მასალის გამოყენების საფრთხე; დისპერსიული საღებავები, მაგალითად, დამანგრეველი ზიანის მიზეზი გამხდარა ბათქაშით ან სტუკოთი დაფარულ კედლებსა ან ქვის ზედაპირებზე.

იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ მსგავსი დაზიანებები, უპირველესი მოთხოვნა – სათანადო მეთოდებით დამუშავებული ისტორიული მასალების გამოყენება – განახლების სამუშაოებმაც უნდა დააკმაყოფილოს. აქ გვეძლევა ტრადიციული მეთოდების მოხმარების, შესწავლის, გადმოღების და ტრადიციული მასალის მოშველიების კარგი შესაძლებლობა. ამ დროს ვლინდება განახლების კონტრასტი კონსერვაციისა და რესტავრაციის რთულ სფეროებთან, რომლებიც, როგორც ზემოდ იყო აღწერილი, ვერაფერს გახდებიან რესტავრაციის თანამედროვე ტექნოლოგიების და ახლად შემუშავებული მეთოდების გარეშე. გარდა ამისა, თუ განახლების სამუშაოები ტარდება განმეორებით დროის მოკლე ინტერვალებში, გინდაც კარგად ნაფიქრი და ტექნიკურად კორექტული ღონისძიებები, ისინი წარმოადგენს საფრთხეს ძეგლის ნივთიერი ქსოვილისათვის, რადგან თუნდაც წინასწარი გასუფთავების სამუშაოები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თავდაპირველ ქსოვილზე.

მიუხედავად ჩვენს მიერ აღნიშნული უდავო საფრთხეებისა, განახლების პროექტი, რომელიც რე-

ალურად ითვალისწინებს კონსერვაციის პრინციპებს, შეიძლება განხილული იყოს როგორც ძეგლის შენარჩუნების საშუალება. რაც უნდა გავახსენოთ ჩვენს თავს, რომ განახლების სამუშაოების შედეგად წარმოშობილი ახალი ფენა ვერასოდეს გახდება ძველი ქსოვილის ტოლფასი, მისებრ „ხანოვანების ღირებულების“ მქონე, ძეგლის შენარჩუნების სფეროში არსებობს ისეთი შემთხვევები, სადაც განახლება წარმოადგენს ძეგლის ისტორიული და მხატვრული იერის და მის ქვეშ თავდაპირველი ფენის კონსერვაციის ერთადერთ გზას. **ამგვარად, განახლების ღონისძიება გამართლებულია, თუ იგი კონსერვაციასავით ქმედებებს მოცავს და თუ დადგინდება, რომ კონსერვაციის განხორციელება შეუძლებელია.** და მაინც, ისევე როგორც კონსერვაციის და რესტავრაციის შემთხვევაში, ასეთი განახლება უნდა გულისხმობდეს, რომ „ემსახურება ორიგინალს,“ რომელიც არ უნდა დაშავდეს ამ სამუშაოების შედეგად და დაცული უნდა იყოს შემდგომი საფრთხისაგან.

იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ ძეგლი, რომელიც სერიოზილადაა გაცვეთილი, გამოფიტული ან დაბინძურებული, მისი შემადგენელი კომპონენტები შესაძლებელია განახლებული იყოს. მაგალითად, შესაძლებელია ახალი თეთრი კირის საფარის დადება მის ძველ ფენაზე, როდესაც იგი ძალზე დაჭუჭყიანებულია თანამედროვე გათბობის სისტემის გამო ისე, რომ შემდგომში არ იყოს გამორიცხული ამ ძველი თეთრი კირის ბათქშის დასუფთავება და კონსერვაცია. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით გამოსადეგია ნაგებობის ექსტერიერების შემთხვევაში, სადაც გაცვეთილი და გამოფიტული თავდაპირველი ბათქაში და საღებავის ფენები შეიძლება მხოლოდ ზემოდან დადებული შესაბამისი დამცველი საფარის ქვეშ იყოს დაცული. ახალი საფარი შეიძლება შესრულებული იყოს როგორც ისტორიულის რეკონსტრუქცია, რაც დასაბუთებული იქნება კვლევითი სამუშაოებით. და ბოლოს, არის შემთხვევები, როდესაც ძველი ბათქაში ისე ძლიერ არის დაზიანებული გამოფიტვის შედეგად ან გარემოს დაჭუჭყიანების მიზეზით, რომ მისი შენარჩუნება კონსერვაციის მეთოდებით შეუძლებელი ხდება და ერთადერთი, რაც შეიძლება გაკეთდეს, არის მისი განახლება. ამგვარ ვითარებაში ექსტერიერის ფერწერული დეკორი, რომლის მხოლოდ კვალიღაა შემორჩენილი, შეიძლება განახლებული იყოს - ანუ, გამეორებული — კვლევის შედეგებზე დაფუძნებით შერჩეული საღევაბის ახალი შრის საშუალებით. ეს არის ერთადერთი გზა, შემოუნახო შემდგომ თაობებს ძეგლის ესთეტიკური გარეგნობა. როგორც ეს რესტავრაციის შემთხვევაში იყო, რა თქმა უნდა, მრავალი ფენის მომცველი სინჯების გამოკვლევით, ბევრი სხვადასხვა შესაძლებობა შეიძლება გამოჩნდეს. რა უნდა გაიმეორონ განახლებისას, აღორძინების, ბაროკოს თუ ნეო-კლასიკური პერიოდის მოხატულობა? თუ მან უნდა გაიმეოროს XIX საუკუნის ერთგვაროვანი ოქრისფერი ფასადი? სასახლის ფასადს ეხება საქმე თუ ქალაქის ისტორიულ რაიონში მდებარე უბრალო ქალაქური სახლის ფასადს, გადაწყვეტილება უნდა მიღებულ იქნას დაცვის ზოგადი გეგმის ჩარჩოებში, სინჯებისა და შენობის ისტორიის გულდასმითი ანალიზის საფუძველზე და გარემო პირობებთან შეთანხმებით.

მაშინ, როდესაც ისტორიული შენობის ექსტერიერის განახლება კოორდინირებული უნდა იყოს მის გარემოსთან, ინტერიერის განახლებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემორჩენილი ელემენტების ძველი, ისტორიული ზედაპირი, განსაკუთრებით ის დეკორატიული დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც თავისი სიძველით წარმოადგენს „ხნოვანების ღირებულებას“; მაგალითად, ყურადღება უნდა მიეპყროს ინტერიერის განახლებული ფერადი ზედაპირების ცვალებად ინტენსივობას. ასევე მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს განახლების სამუშაოების დაცვითი ზემოქმედებაც. ამგვარად, **განახლება, როგორც დაცვა** ეფექტური საშუალებაა მაშინაც კი, როდესაც იგი ფარავს „ხნოვანების ღირებულებას“ ან რომელიმე შუალედურ მდგომარეობას, რომელიც ესთეტიკური და ისტორიული თვალსაზრისით იმსახურებს შენარჩუნებას. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ რომანული პერიოდის კოშკის ახალი მობათქაშება გამოფიტული ქვების დასაცავად; მიუხედავად იმისა, რომ პაწაწინა ნაშთების მიგნებით შეიძლებოდა დასაბუთებულიყო ადრე საუკუნეებში აქ მობათქაშების არსებობისა, ახალმა მობათქაშებამ ჩაანაცვლა, ფაქტიურად კი გაანადგურა კოშკის „მხატვრული“ და ამასთანავე „კანონიერი“ ვერსია მისი დაუცველი ქვის წყობით, როგორც იგი გამოიყურებოდა XIX საუკუნიდან მოყოლებული. ქვის ან ხის საფასადო ქანდაკების განახლება კვლევის შედეგებითა თუ მსგავსი შეღებილი ქანდაკებების ანალოგიებით მიგნებული პოლიქრომიის გამოყენებით, ასევე შეიძლება ითავსებდეს გარეგნულ ესთეტიკურ ცვლილებასა და დაცვის ფუნქციას.

უდავოა, რომ **განახლება გამორიცხულია გარკვეული კატეგორიის ძეგლების შემთხვევაში, რადგან მათთვის მხოლოდ კონსერვაციის და რესტავრაციის სამუშაოებია დაშვებული.** განახლება უარყოფილი უნდა იყოს როგორც კანონიერი მეთოდი მრავალი „ხელოვნების ძეგლისათვის“, კერძოდ კი, იმ ობიექტებისათვის, რომელთაც უნდა ჩაუტარდეთ მხოლოდ კონსერვაცია ან რაიმე მიზეზთა გამო რესტავრაცია, მაგრამ დაუშვებელია მათი განახლება. ეს ეხება ფერწერას, ქანდაკებას, ხელოვნების ან ხელოსნობის ნიმუშებს; მაგალითად, ეკლესიის სალაროში დაცულ ბარძიმს შეელახება ისტორიული ღირებულება, თუ მოხდება მისი მთლიანი ხელახალი მოოქროება, ხოლო ასეთი მიდგომა კვალიფიცირებული იქნება, როგორც განახლება. ეს აგრეთვე ეხება არქეოლოგიურ ძეგლებს და ფრაგმენტებს, რომელთაც შეიძლება ჩაუტარდეთ კონსერვაცია, ან თუ მართებული და საჭირო იქნება, რესტავრაცია; მაგრამ ასეთი ობიექტების მთლიანი „განახლება“ გაანადგურებს მათ დამახასიათებელ თავისებურებებს როგორც Mმაჩვენებელ-მოწმობებისას. **განახლების ფართოდ გავრცელებული მეთოდები მისაღებია**

**ძეგლის შენარჩუნების პრაქტიკაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურად შეუძლებელია თავდაპირველი ქსოვილის კონსერვაცია და იგი საჭიროებს შეცვლას, ან თუ ძველი ქსოვილი მეტი ვეღარ გაუძლებს გარემოს ზეგავლენას და გამოყენებას და დაცვის მიზნით ზემოდან უნდა დაიფაროს.** ორივე შემთხვევაში განახლების სამუშაოები უნდა იყოს დასაბუთებული და განმტკიცებული ძეგლის შენარჩუნებაზე ორიენტირებული წინასწარი კვლევითა და შენარჩუნების გეგმით.

ისტორიული შენობების შემთხვევაში განახლების სამუშაოები შეიძლება მიზანშეწონილი იყოს ისეთ ადგილებში, სადაც ადრეული პერიოდების მრავალგზისი ცვლილებების შედეგად ისტორიული ქსოვილი თითქმის აღარ არის შემორჩენილი და ერთადერთი, რაზეც უნდა ვიზრუნოთ, არის ახლის შეთავსებადობა ძეგლის შემორჩენილ ქსოვილთან, ან იქ სადაც ისტორიული ქსოვილის შენარჩუნებაზე ზრუნვა სხვა ინტერესებს ვერ გადაწონის.

რომ შევაჯამოთ ჩვენი მცდელობა გამოვავლინოთ განსხვავება კონსერვაციის, რესტავრაციის და განახლების სამუშაოებს შორის, უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ **ერთად ისინი წარმოადგენს ძეგლის შენარჩუნების ღონისძიებების დიფერენცირებულ სისტემას;** სხვაგვარად რომ ვთქვათ, არის ძეგლები, რომელთაც სხვადსხვა ვითარების გამო შეიძლება ჩაუტარდეთ მხოლოდ კონსერვაცია და არა რესტავრაცია, ან შეიძლება ჩაუტარდეთ კონსერვაცია და რესტავრაცია, მაგრამ განახლება სრულიად მიუღებელია. უფრო მეტიც, **კონსერვაციის, რესტავრაციის და განახლების ღონისძიებები ერთიერთკავშირშია,** ასე რომ, ამა თუ იმ ვითარების შესაბამისად, ეს სამუშაოები შეიძლება ჩატარდეს ერთიმეორის შემდეგ, ან ერთდროულად. ამის მაგალითად გამოდგება ინტერიერის მობათქაშებული დეკორატიული ნაძერწობის მოოქროება. კარგად შენახული კომპონენტებისათვის უბრალი კონსერვაცია სრულიად საკმარისია; მცირე ნაპრალები უნდა შეივსოს, ხოლო ზოგი ადგილები „გაპრიალდეს“ რათა მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდეს კონსერვირებული ელემენტების მთლიან ესთეტიკურ სახეს, რაც უკვე რესტავრაციაა; ოთახის ერთ მხარეს არსებული მოოქროვება, რომელიც სერიოზილადაა დაზიანებული ჩამოჟონილი წყლის მოქმედებით, უნდა განახლდეს ტრადიციული ოქროს მოკილიტების ტექნიკით, რაც თავისთავად უკვე განახლებაა. სხვა შემთხვევაში განახლება შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონსერვაციის ღონისძიებადაც კი გარკვეულ ზომაზე მაინც: მაგალითად, კვლევითი ანალიზის საფუძველზე ერთი ან მეტი ისტორიული ფერადოვანი შრის ხელახალი ნაწილობრივი წარმოჩენა, ბათქაშის ქვედა ბადის კონსოლოდაცია (ანუ, კონსერვაცია) და ერთერთი შუალედური ფენის სრული განახლება. ახალი მობათქაშების ქვეშ ყველა ისტორიული ფენა ბევრად უფრო კარგადაა დაცული (ყოველ შემთხვევაში, როდესაც საქმე ფასადს ეხება), ვიდრე მაშინ, როდესაც ხდება მათი სრული ხელახალი წარმოჩენა, რომელიც ყოველთვის დაკავშირებულია დანაკარგებთან, რასაც შემდეგ მოსდევს თავდაპირველი ქსოვილის კონსერვაცია და რესტავრაცია და, შესაბამისად, მათი გამოქარვის საფრთხეში ჩაგდება.

## *შემადგენელი ნაწილების შეცვლა და შევსება*

კონსერვაციის, რესტავრაციის და განახლების ღონისძიებები განსხვავებულ მიმართებაშია ნაკლული ადგილების შევსების და მათი შეცვლის საკითხებთან: იქ, სადაც ტარდება არსებული ისტორიული ქსოვილის მხოლოდ კონსერვაცია, შეცვლის ხერხის გამოყენება საჭირო არ არის; მეორე მხრივ, რესტავრაცია გულისხმობს დაზიანებების შევსებას და გარკვეულ დონეზე, შეცვლასაც კი, რაც, გარკვეულ გარემოებებში, საჭირო ხდება ასევე განახლების სამუშაოების დროს. ვენეციის ქარტიის პარაგრაფ 12-ში განხილულია ელემენტების შეცვლის ან გამოცვლის მეთოდი „რესტავრაციის“ კონტექსტში და ნათქვამია, რომ *დაკარგულის ჩანაცვლებული ნაწილები ჰარმონიულად უნდა იყოს ინტეგრირებული მთლიანობაში, მაგრამ ამავე დროს, უნდა გამოირჩეოდეს ორიგინალისგან, რადგან რესტავრაციამ არ უნდა დააყალბოს მხატვრული და ისტორიული მოწმობანი.*

ამ კონტექსტში, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ძეგლი წარმოადგენს ისტორიულ დოკუმენტს სწორედაც იმ ფრაგმენტულ მდგომარეობაში, როგორც მათ ჩვენამდე მოაღწიეს. საფლავის ქვის ფრაგმენტი, ფიგურის ტორსი, კედლის მხატვრობის ნარჩენები, ქალაქის კედლის ან ციხე-სიმაგრის ნანგრევები – ეს ის ისტორიული მემკვიდრეობაა, რომელიც ექვემდებარება მხოლოდ კონსერვაციას, ან, თუ აუცილებელია, ძალზე შეზღუდულ რესტავრაციას; ახლით შეცვლა მხოლოდ გააყალბებს და შელახავს მათ „ძეგლობას“. ეს ასევე ძალზე მნიშვნელოვანია მცირე ან თუნდაც მინიმალური ცვლილებების შეტანისას, რომლის აუცილებლობა, უმეტეს შემთხვევაში, არც არსებობს. ხშირად ასეთი ცვლილებების მიზეზი ხდება გაზვიადებული სწრაფვა სრულყოფილებისაკენ, რაც უმიზეზოდ ანადგურებს ძეგლის „ხანოვანების ღირებულებას.“ მაგალითად გამოდგებოდა ნათალი ქვის ფასადის ყველა მცირე დაზიანების არასაწირო „მოწესრიგება“ ხელოვნური ქვის მასალის გამოყენებით მაშინ, როდესაც სახიფათო პირაპირის ან ნახვრეტის ამოვსება მართლაც საშური იქნებოდა, რათა შემდგომში თავიდან აგვეცილებინა თავდაპირველი მასალის მნიშვნელოვანი შეცვლა. **აუცილებელია სიფრთხილის გამოჩენა როგორც დიდი, ისე მცირე მაშტაბის ჩანაცვლების მიმართ.**

მეორე მხრივ, ისტორიული ნაგებობები, განსაკუთრებით კი ექსპლუატაციაში მყოფი შენობები საჭიროებს შეკეთების სამუშაოებს, რაც გარკვეულ ჩანაცვლებასაც გულისხმობს. ეს განსაკუთრებით ეხება ძეგლების დიდ რაოდენობას, რომლებიც საცხოვრებელი მიზნით გამოიყენება ან წარმოადგენს საზოგადოებრივ შენობებს. თაღებიანი შიდა ეზოს მალი, რომელიც ჩამოინგრა კონსტრუქციული დაზიანების შედეგად, უნდა შეიცვალოს; ხანდახან საჭირო ხდება შენობის დაზიანებული მოპირკეთების შეცვლა თუნდაც ჰიგიენის დაცვის თვალსაზრისით. ხიდების დამცველის, წმ. ნეპომუკის ქანდაკების დაკარგული თავი უნდა აღდგენილ იქნას, თუ ქანდაკებას გარკვეული ფუნქცია ეკისრება. ზოგადად კი, ჩანაცვლებისადმი ერთგვარად თავშეკავებული დამოკიდებულება უნდა ვიქონიოთ, რათა ისტორიული ქსოვილი ყოველთვის „დომინირებდეს“ და ისე „ატარებდეს“ ახლად დამატებულ ქსოვილს, რომ ძველის ნაცვლად, ახალს არ დაემსგავსოს. უფრო მეტიც, ჩანაცვლების საკითხისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძეგლის ინდივიდუალურ და მხატვრულ მახასიათებლებს; გარკვეულ ვითარებაში ისინი გვიკრძალავს ყველა სახის ჩანაცვლებას გარდა მსუბუქი დაშტრიხვისა, რის გარეშეც ძეგლის მთლიანი იერი შეილახება. მეორე მხრივ, ხანდახან თავდაპირველი მხატვრული გეგმა მიოთხოვს დაკარგული ელემენტების აღდგენას, მაგალითად, ნაპრალის შევსებას სტუკოთი მოპირკეთებულ ჭერზე, ან თავდაპირველი გეგმარების თანახმად, სავაჭროების დამატებით დამახინჯებული ნეო-რენესანსის სტილის ფასადის პირველი სართულის ღიობების გაუქმებას და სხვ.

პრინციპში, ძეგლი, რომელსაც ემჩნევა სხვადასხვა ისტორიული ეპოქის გავლენა, ნაკლებად საჭიროებს ჩანაცვლებას, ვიდრე “Gesamtkunstwerk,” რომელიც შექმნილი იყო ერთადერთი ლოგიკური გეგმის მიხედვით და რომელსაც არ განუცდია გარეგნული ცვლილება, რის გამოც ყოველი ბზარი ისევე დამანგრეველია, როგორც ნაპრალები მოხატულობაზე. და ბოლოს, დანაკარგის შევსება მაშინვე, როგორც კი ის აღმოჩნდება უფრო მეტად მოსანდომია, ვიდრე ათწლეულებისა თუ საუკუნეების წინ დაკარგული დეტალების აღდგენის საეჭვო პრაქტიკა.

ჩანაცვლების სასარგებლო და საწინააღმდეგო არგუმენტები განპირობებულია სხვადასხვა მხატვრული, ისტორიული და ფუნქციური ფაქტორებით. მათში გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული ძეგლისათვის შემუშავებული რესტავრაციის კონცეფციის მთლიანობაში მათი სერიოზული განხილვის შემდეგ. ჩანაცვლების „როგორ“ მერყეობს მსუბუქი დაშტრიხვიდან რესტავრაციის პროექტში, ნაწილობრივ კოპირებამდე, ან ნაწილობრივ რეკონსტრუქციამდე, რაც თანაბრად მოსაფიქრებელია და წარმოშობს კითხვას. ახალი უნდა იყოს ძველის იმიტაცია, თუ უნდა ჩანდეს მისი თავისებურება და თავდაპირველ ქსოვილთან მეტ-ნაკლებ კონტრასტს ქმნიდეს. ამ კონტექსტში წარმოიშვება კითხვა ისტორიული თუ თანამედროვე მასალების და ტექნოლოგიების გამოყენების თაობაზე.

აქ ისევ უნდა მივმართოთ ვენეციის ქარტიის პარაგრაფი 12-ს, რომლის მიხედვით *ჩანაცვლება ჰარმონიულად უნდა იყოს შერწყმული მთლიანობასთან, მაგრამ ამავე დროს უნდა გამოირჩეოდეს ორიგინალისაგან, რაც იმასაც გულისხმობს, რომ ჩანაცვლება ჯერაც არ გამხდარა ორიგინალის გაყალბება.* ეს, მაგალითად, ეხება სხვადასხვა სახის დაფერვას, რასაც რესტავრაცია მოითხოვს. იმის მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დაზიანება ობიექტის მთლიანი გარეგნული იერისათვის, დანაკლისის შევსება შეიძლება პიგმენტირებული ან ნეიტრალური „ტონირებაც“ იყოს და „გამოსახვაც“, რომელიც მომდინარეობს არსებული კომპოზიციიდან, მაგრამ მხოლოდ დეტალური (ან ახლოდან) დათვალიერებისას ჩანს, რომ ეს ჩანაცვლებაა. მეორე მხრივ, განახლებული ადგილი ძალიან კონტრასტული არ უნდა იყოს, რომ არ შელახოს ხელოვნების ნიმუშის საერთო იერი. როდესაც საქმე ეხება სკულპტურულ ჯგუფს, რომელიც ისეა დაზიანებული, რომ ძნელი გასაგები ხდება, თუ რა არის მისი სათქმელი, მიდგომა განსხვავებული უნდა იყოს: შეგნებულად არ იქნება შეკეთებული მცირე დაზიანებები, მაგრამ ის ნაწილები, რომლებიც აუცილებელია ძეგლის იდეის გაგებისათვის განახლებული იქნება შექცევადობის პრინციპის თანახმად. მსგავსად ამისა, ძლიერ დაზიანებული საფლავის ქვის ან გზისპირა სამლოცველოს ჯერ კიდევ შესამჩნევი ორნამენტული ან ფიგურული ელემენტები არ უნდა იყოს განახლებული ფრაგმენტურად, არამედ უფრო სასურველია შეივსოს მისი გარე მოჩარჩოება და განახლდეს (ძველის თანახმად) კარნიზი და გამოწეული სახურავი, რაც მნიშვნელოვანია ძეგლის დაცვისათვის ქარის ზემოქმედებისაგან. არქიტექტურული ნაწილების ჩანაცვლებისას, რისი მიზეზი შეიძლება იყოს უბრალო კონსერვაციის საჭიროება (ისეთი, როგორც ახალი საბურავი), ან კონსტრუქციული აუცილებლობა (ბზარის შევსება), ასევე უნდა ვიხმაროთ ნეიტრალური ხერხები, რაც გამოიხატება ისეთი მასალის გამოყენებაში, რომელიც გამოირჩევა ისტორიული ქსოვილისაგან (მაგ., აგურის განსხვავებული ფორმა, ან ქვის განსხვავებული წყობა). ამგვარად, არქიტექტურული ფრაგმენტის ხასიათი არ არის გაყალბებული „იმიტაციით“, რომელიც ქმნის ძეგლის დაცულობის მდგომარეობის ყალბ შთაბეჭდილებას მოდური „კონტრასტით“.

შევსება-დასრულების სამუშაოებისას, რაც ჩვეულებრივი შეკეთების სამუშაოების ნაწილია, ავთენტური მასალის სწორი და ტრადიციული გამოყენების პრინციპი დასაშვებია იმ დონემდე, სანამ ეს შეესაბამება კონსერვაციის მიზნებს. ვითარება განსხვავებულია, თუ ფუნქციური მიზნები მოითხოვს ახალ ელემენტებს, მაგ., გეგმარებაში ახალი მოწყობილობების ჩართვისას (თანამედროვე ფორმები და მასალები აღმოჩნდება ძველის გვერდით), ან ისტორიული ნაგებობის კომპლექსზე მიშენება, რათა გაფარ-

თოვდეს მისი ფუქციები. ვთქვათ, ეკლესიას ესაჭიროება მგალობელათა ახალი მერხები, ან სადიაკვნოს დამატებითი სათავსო სჭირდება – ასეთი შემთხვევებისთვის ვენეციის ქარტიის პარაგრაფი 13 იძლევა სპეციალურ მითითებას ვიყოთ განსაკუთრებით ფრთხილი და პატივი ვცეთ ჯერ კიდევ შემორჩენილ ქსოვილს: *დამატებები დაუშვებელია მანამ, სანამ მათ გარეშე ზიანი ადგება ნაგებობის საგულისხმო ნაწილებს, მის ტრადიციულ გარემოცვას და ბალანს მის კომპოზიციასა და გარემოს შორის.*

უფრო მეტიც, **ჩანაცვლების „როგორ“ უპირატესად დამოკიდებულია ფორმასა და მდგომარეობაზე იმ ნაწილისა, რომელიც უნდა შევსებულ იქნას, ასევე როგორც წინანდელი მდგომარეობის შესახებ ჩვენ ცოდნაზე.** თუ ჩასანაცვლებელია ძლიერ დაზიანებული ელემენტი, რომელსაც ველარ შეაკეთებ, თუ გაწყვეტილი პროფილი შეკეთდება, თუ შეივსება ვოლუტებიანი ფრონტონი, რომლის მხოლოდ ნახევარია შემორჩენილი, ან თუ ჭერზე დაკარგულია სტუკოს სიმეტრიული მოპირკეთების ნაწილი და მის მაგივრად ახალი გაკეთდება – მაშინ ჩანაცვლება, რომელიც იმეორებს ორიგინალს, დასაშვებია და რიგ შემთხვევებში აუცილებელიც კი. შესაცვლელი ნაწილის გარეგნული სახე შეიძლება აღდგენილ იქნას იმ ზუსტი გრაფიკული და ფოტო მასალის მიხედვით, რომელიც ასახავს მის წინა მდგომარეობას. მაგრამ, თუ დაწვრილებით არაფერი ვიცით ამ ელემენტზე, რომელიც შესაძლოა უკვე დიდი ხანია დაკარგულია, ან საერთოდ არ უნდა ვცადოთ მისი ჩანაცვლება, ან, როგორც ეს მსუბუქი დაშტრიხის შემთხვევაში იყო, ორიგინალი უნდა შეიცვალოს „ნეიტრალურად,“ იმ მეთოდით, რომელიც ზემოთ იყო განხილული. ფიგურული დეკორის შემთხვევაში, როგორიცაა ფრონტონის დაკარგული გამოსახულებები, მაშინაც კი, როდესაც ცნობილია, რა იყო ადრე გამოსახული, იქ, იქნებ, თავი თანამედროვე ქანდაკებამ უნდა სცადოს, რა თქმა უნდა, დაკარგული ნაწარმოების გარემომცველი კონტექსტის გათვალისიწნებით.

და ბოლოს, არსებობს ძეგლების კატეგორია, კერძოდ კი ჯერაც ექსპლუატაციაში მყოფი გარკვეული სამრეწველო ძეგლები, რომელთა ნაწილები მუდმივად უნდა იცვლებოდეს, მათი თავდაპირველი ფორმით და თავდაპირველი მასალით. მუდმივი ჩანაცვლების განსაკუთრებული ფორმა, რომელიც შეიძლება გავიაზროთ მუდმივ შეკეთებად, გახლავთ კათედრალების ქვისმჭრელთა სახელოსნოების კალატოზების მიერ ქვების შეცვლა. ეს გულისხმობს დაზიანებული ელემენტების შეცვლას დაწყებული ჩამოცვენილი ნათალი ქვიდან მხატვრულად გაფორმებულ ნაწილებამდე; ეს სამუშაოები საუკუნეების მანზილზე არსებული ნივთიერი ქსოვილის ფორმასა, მასალასა და ხელობაზე იყო მიმართული. ბოლო დროს ზოგიერთ ასეთ ძეგლზე ამგვარი სამუშაოები ნაკლები გამოწვლილვით თუ შეგნებულად „ტლანქად“ შეასრულეს; მხოლოდ ჩაჟინებული დათვალიერებისას თუ შეიძლება ეს რამ „თანამედროვედ“ აღვიქვათ..

მიუხედავად იმისა, რომ ამ გაუთავებელმა ცვლამ შეიძლება მიგვიყვანოს ძეგლის თავდაპირველი ქვის მასალის სრულ განახლებამდე, როგორც ქვისმჭრელთა ტრადიცია, რომელიც უწყვეტად გრძელდება საუკუნეების მანძილზე, ესეც უნდა მივიჩნიოთ აუცილებელ მუდმივ პროცესად, რომელიც ძევს არსებულის მოვლასა და შეკეთებას შორის. პროცედურა უფრო წააგავს ძეგლის ყოველდღიურ დაცვით ან სარესტავრაციო სამუშაოებს, ვიდრე განახლებას, რადგან ნაგებობის ზედაპირი ერთიანად არასოდეს არის გადაკეთებული, თვით მისი მოზრდილი მონაკვეთებიც კი. ასეთი ნაწილობრივი ცვლილებები მოითხოვს არა მარტო ტრადიციული ოსტატობის ფლობას, არამედ, თუ ეს შესაძლებელია, გამოყენებულ უნდა იქნას მასალა, მოპოვებული თავდაპირველი ქვის სამტეხლოდან. თუ ეს შეუძლებელია იმიტომ, რომ ან ძველი ქვა აღარ მოიპოვება, ან გარემო არ არის მდგრადი დაჭუჭყიანებს მიმართ (და ამიტომ საჭირო გახდება მისი მეტისეტად მალე განახლება), მაშინ მოგვიწევს ვიხმაროთ მსგავსი თვისებების მქონე შესაბამისი ქვა.

ისეთი ჩანაცვლებისასაც კი, როდესაც ოსტატობას ვერაფერს დაუწუნებ, მხოლოდ აუცილებლით შემოზღუდვის პრინციპის თანახმად, მხოლოდ სულ შელახული ქვები ღა უნდა იყოს შეცვლილი იმ დროს, როცა უწყინარი მცირე დაზიანებების განახლება არაფრით იქნება გამართლებული. ამ კონტექსტშივე უნდა განვიხილოთ ქვის წყობის შესწავლაც; ეს საქმიანობაა, რაც ხშირად დიდი გულისყურით და დაკვირვებით არ სრულდება კათედრალების ქვისმჭრელთა მიერ, რადგან ჩანაცვლება მათთვის არის ჩვეულებრივი ტრადიციული სამუშაო. ასეთი შემოწმებების მიზანი უნდა იყოს კონსერვაცია in situ (თავის ადგილზე), კერძოდ მდიდრულად მორთული კომპონენტებისა, როგორიცაა პროფილები, ვიტრაჟების ალათები, პინაკლები, სკულპტურული ელემენტები თავისი ინდივიდუალური მხატვრული ხელწერით, ან ნაგებობის კონსტრუქციული ისტორიისათვის საკვანძო მნიშვნელობის მქონე ნაწილები. ამგვარად, ქვის წყობა შენარჩუნებული უნდა იქნას რაიმე გადაკეთების გარეშე, რაც ანადგურებს არა მარტო კედლის ზედაპირს, არამედ ქვისმჭრელთა შემორჩენილ სიმბოლოებს და დროთა მსვლელობით მიყენებული მცირე დაზიანებების საუკუნოვან კვალს. ქვების დაცვის სათანადო გეგმა უნდა შემუშავებულ იქნას კონსერვაციაზე ორიენტირებულ წინასწარი კვლევების საფუძველზე.

## *ასლებით ჩანაცვლება*

ზოგ შემთხვევებში, კვლევის შედეგად შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ექსტერიერის ფიგურული ელემენტები უკვე იმდენად დაზიანებულია, რომ მათი გადარჩენის ერთადერთი გზა არის ქვისმთლელის მიერ მათი ასლის გაკეთება, ხოლო ორიგინალი უნდა გადატანილ იქნას ინტერიერში ან რაიმე უსაფრთხო ადგილას. რესტავრაციის კონცეფციის კონტექსტში ასლების შესაძლებლობის თაობაზე (ვენეციის ქარტია ამ საკითხს დეტალურად არ განიხილავს) ათენის ქარტიაში უკვე გაკეთდა კრიტიკული შენიშვნები, თუმცა ის ბოლომდე არ გამოირიცხა მონუმენტური ქანდაკების დაზიანების გარკვეული მდგომარეობის შემთხვევაში: *რაც შეეხება მონუმენტური ქანდაკების შენარჩუნებას, კონფერენციის აზრით, ხელოვნების ნიმუშების მოშორებას იმ გარემოდან, რომელსაც ისინი განეკუთვნებიან, პრინციპულად არ უნდა შეეწყოს ხელი. იგი იძლევა რეკომენდაციას, მეტი სიფრთხილისათვის, ნაქანდაკევი ორიგინალი იქ იქნას დაცული, სადაც ჯერც იმყოფება, ან, თუ ეს შეუძლებელი აღმოჩნდება, გაკეთდეს ჩამონასხამი.*

რეპლიკაცია – ე.ი. არსებული ორიგინალიდან, ან სხვა ასლიდან ასლის გაკეთებას ხელოვნების ისტორიაში ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნია. ამისი ნათელი მაგალითია პილიგრიმების მიერ მხატვრობისა და ქანდაკების ნაწარმოებების უთვალავი მცირე ზომის ასლებით გამრავლება. **მაგრამ რეპლიკაცია ძეგლთადაცვით ღონისძიებად მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუკი ასლი შესრულებულია იმ მიზნით, რომ დაიცვას არსებული ორიგინალი: კოპირება, როგორც ძეგლის დაცვის საშუალება.** ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ორიგინალის უნიკალურობა, რადგან არა აქვა მნიშვნელობა, რამდენად ზუსტია ფორმა, მასალა ან მასშტაბი, რეპლიკა ყოველთვის არის ახალი ობიექტი და მხოლოდ მიმსგავსებულია ორიგინალს, მისი შეუცვლელი ისტორიული და მხატვრული განზომილებით.

ორიგინალის ჩასანაცვლებად ასლის გაკეთება, რის შესახებ ზემოთ ფასადის ქანდაკების კონტექსტში ითქვა, საშუალებას გვაძლევს დავიცვათ ხელოვნების ნამუშევარი, რომელიც უკვე აღარ შეიძლება დატოვებულ იქნას თავის თავდაპირველ ადგილზე ისე, რომ არ დავარღვიოთ საზრისი იმ საერთო სახვითი პროგრამისა, რომლის ნაწილიცაა იგი. ცნობილ მაგალითებს შორის არის სტრასბურგის საკათედრო ტაძრის ქანდაკებები, რომლების განასახოვნებს ეკლესიას და სინაგოგას. გარკვეულ დონემდე ასეთი ასლი შეიძლება მიჩნეულ იყოს ნაწილობრივ შევსებად, რომელიც მთლიანობის აღდგენას ემსახურება. ეს ხერხი ასევე გამოსადეგია პარკების ქანდაკებების შემთხვევაში, სადაც ყოველი ცალკეული ფიგურა, სადაც კი ის მდებარეობს, წარმოადგენს მთლიანი მხატვრული კონცეპციის არსებრივ ელემენტს; თუ მათი თავდაპირველ ადგილას დატოვებით გაგრძელდება მათზე გარემოს უარყოფითი ზემოქმედება, ასეთი ქმედება გამართლებული არ იქნება და ასეთ შემთხვევებში უმჯობესია მათი ასლებით შეცვლა, ხოლო ორიგინალები შეიძლება დაცული იყოს მუზეუმისებრ გარემოში. ცალკეულ შემთხვევებში აზრიანია კომბინირებული ხერხების გამოყენება: ძეგლის საფრთხეში მყოფი ელემენტების ასლის გაკეთება, ან შევსება და კონსერვაცია ორიგინალებისა, რომელნიც იმდენად დაზიანებულია, ან ისეთი ცვლილებები განიცადეს ადრეული რესტავრაციების შედეგად, რომ მათი დაზიანების შეუქცევადობა უაზროს ხდის მათ მუზეუმში გამოფენას. დაშავებული ძეგლების სიმრავლის გათვალისწინებით, თუნდაც მხოლოდ ქვის ქანდაკებებისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მიდგომის გამოყენების არე მაინც ძალზე ვიწროა: კიდევაც თუ არსებობს შენახვის სათანადო პირობები, ორიგინალებს მაინც უნდა ჩაუტარდეთ კონსერვაცია, რათა არ გაგრძელდეს მათი შემდგომი დაზიანება – ასპექტი, რაც ხშირად ყურადღების მიღმა რჩება. და რომელმა მუზეუმმა ან საცავმა უნდა ჩაიბაროს საკათედრო ტაძრიდან ჩამოხსნილი ვიტრაჟი, რომელიც ასლით არის შეცვლილი? რამდენიმე განსაკუთრებული შემთხვევის გარდა, ასეთი ფანჯრები უნდა დარჩეს და აღდეგეს თავიანთ თავდაპირველ ადგილში და დაცული იყოს შესაფერისი დამცველი შუშით.

ქვის მატიანეები, რაც მრავალი კულტურული ლანდშაფტის დამახასიათებელი ნიშანია – გზისპირა სამლოცველოები, ჯვრები, საგზაო ნიშნები, ქვის ღობეები და სხვ. – უნდა დაცული იყოს in situ იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც შესაძლებელია ქვის კონსერვაციის მეთოდების გამოყენებით, მაშინაც კი, როდესაც ნათელია, რომ ასეთი ტექნოლოგიები არაადეკვატურია; საჭიროების შემთხვევაში რესტავრატორების ვალდებულებაა მათი შეკეთება. მსგავს ძეგლებთან მიმართებაში, მხოლოდ მათი სრული განადგურების საფრთხე გაამართლებს ორიგინალის ასლით ჩანაცვლებას.

შემდეგი საკითხია, თუ რა დონემდე უნდა იმეორებდეს ასლი ორიგინალს მასალის და ტექნოლოგიის თვალსაზრისით: ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სერიოზული დაფიქრება გვმართებს იმის თაობაზე, თუ რა იქნება საუკეთესო გადაწყვეტა – ხელით ნაკეთი თუ სკულპტურული ასლის გაკეთება დედნის მასალით, თუ ჩამოსხმის თანამედროვე ტექნილიგიებიდან ერთერთის გამოყენება; რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში წინაპირობა უნდა იყოს, რომ ორიგინალი არ დაზიანდება.

გარდა ზემოხსენებული მაგალითებისა, ძეგლის დაცულ ადგილას გადატანით გადარჩენის საშუალებები ძალზე შეზღუდულია, რადგან ისტორიულ ნაგებობას ვერ გადავაადგილებთ და ვერც მისი ასლით შევცვლით. და მაინც, **არსებობს ასლით შეცვლის განსაკუთრებული შემთხვევები, რაც ემსახურება თანამედროვე მასობრივი ტურიზმით შექმნილი საფრთხისაგან მნიშვნელოვანი ძეგლების გადარჩე-**

**ნას.** ლასკოს გამოქვაბულების მოხატულობებს, რომლებიც არ შეცვლილა ათასწლეულების მანძილზე, დაემუქრა მნახველებისგან გამოწვეული კლიმატური არამდგრადობის საშიშროება. გამოქვაბულის დახურვამ და იქვე ზედმიწევნით ზუსტი ასლის აგებამ, რომელსაც ასევე დიდი რაოდენობის ტურისტები სტუმრობენ, გადაარჩინა ორიგინალური მოხატულობა. მეორე წარმატებული მაგალითია ბულგარეთში კასანლიკის ცნობილი თრაკიული სამარხის "ტურისტული ასლი." ასეთი მიდგომა შეიძლება გამოვიყენოთ როგორც მოდელი ისეთი ძეგლებისათვის, რომლებიც მასობრივი ტურიზმისაგან ზიანდება.

## III. მოვლის, შეკეთების და სტაბილიზაციის, რეაბილიტაციის და მოდერნიზაციის, რეკონსტრუქციისა და გადაადგილების პრინციპები

თუკი წარსულში კონსერვაცია და რესტავრაცია უტარდებოდათ ძირითადად ხელოვნების ნიმუშებს და ხელოვნებისა და ისტორიის ძეგლებს, ე.ი. ისინი „კლასიკური" კონსერვაცია-დაცვის სფეროში გამოიყენებოდა, სხვადასხვა სახის მოვლა, შეკეთება და გამაგრება, რეკონსტრუქცია და ხელახალი აშენება მას შემდეგ ხდება, რაც არსებობს არქიტექტურა. ამიტომ, როგორც ჩვეული სამშენებლო მეთოდები ისინი არა მარტო ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების კონსერვაცია-რესტავრაციისათვისაა საინტერესო. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მოვლისა და შეკეთების პრაქტიკა და კონსერვაციის მრავალ პრინციპსაც შეიძლება „შეკეთება" დაერქვას, თუმცა ტერმინი „შეკეთება" პირდაპირ არ არის ნახსენები ვენეციის ქარტიაში. ამის ნაცვლად, პარაგრაფ 4-ში „კონსერვაციის" სათაურის ქვეშ, რომელიც ეხება ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების მოვლას, პირველ რიგში ნათქვამია: *ძეგლების კონსერვაციისას არსებითია მათი მოვლის მუდმივობა.*

### *მოვლა*

მთელი კულტურული ლანდშაფტები იღუპება იმიტომ, რომ შენობებს მოვლა აკლიათ. ეს განსაკუთრებით ზიანს აყენებს საუკუნოვანი ტრადიციის მქონე მიწის არქიტექტურას, რომლის არსებობა მთლიანად მუდმივ მოვლაზეა დამოკიდებული, და ასევე მიტოვებული სოფლებისა და ქალაქების ქვის ნაგებობებს. სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული მოვლის ნაკლებობა წარმოადგენს პრობლემას, რომელიც ზოგჯერ იმდენი ხანია უყურადღებოდ მიტოვებული, რომ შემდეგ საჭირო ხდება საკმაოდ ძვირი შეკეთების ჩატარება. ასეთ ვითარებაში ჩნდება კითხვა, არის თუ არა დაზიანება ისე შორს წასული, რომ შეკეთება უკვე შეუძლებელია; უნდა ვაღიაროთ თუ არა ძეგლის სრული განადგურება, თუ ერთადერთი ალტერნატივა რადიკალური განახლება და რეაბილიტაციაა. შემდგომში ძეგლის შეკეთების ზოგადი ცნებით ჩვენ ვიგულისხმებთ კონსერვაციის, სტაბილიზაცია-გამაგრების, რესტავრაციისა და განახლების და დაკარგული ელემენტის ჩანაცვლების ღონისძიებებს, მაშინ როდესაც მოვლა აღნიშნავს ლიმიტირებულ, უწყვეტ შენარჩუნების სამუშაოებს.

ჩვეულებრივი შენობების მოვლისაგან განსხვავებით, ისტორიული ნაგბობების მოვლისას ყოველთვის უნდა ვითვალისწინებდეთ როგორც ნივთიერი ქსოვილის, ასევე კონსტრუქციის „ძეგლობასაც". ამ პირობებში მოვლა იქნება ძეგლის შენარჩუნების ყველაზე მარტივი და ფაქიზი ხერხი, რადგან იგი დაიცავს მას შესაძლო დაზიანებებისაგან, განსაკუთრებით კი გამოფიტვისაგან და, ამგვარად, ძეგლს საუკუნეების განმავლობაში უვნებლად შეგვინარჩუნებს.

ისტორიული ნაგებობების მოვლა გულისხმობს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა ღარების გასუფთავება, ჩამოვარდნილი კრამიტის დამაგრება, სამუშაოები, რაც პატრონს თვითონ შეუძლია გააკეთოს და რაც თავიდან აგვაცილებს ძეგლის ძლიერ დაზიანებას. ნათელია, რომ ასეთი მოვლა ორიენტირებული უნდა იყოს არსებულ მასალაზე და ხელოსნობის იმ სახეობებზე, რომელთა მოშველიებითაცაა აგებული ისტორიული შენობა. მოვლის ისეთი ღონისძიებებისთვის, როგორიცაა ისტორიული შენობის კომპონენტების ან ფასადების მობათქაშების ან შეღებვის შეკეთება, აუცილებელია პროფესიული რჩევისათვის მივმართოთ ძეგლთა დაცვის სააგენტოს. სწორი მოვლა მეტად შედეგიანია, როდესაც ისტორიული ნაგებობა სათანადოდ არის გამოყენებული (კერძოდ, საცხოვრებელად). მოვლის სამუშაოები, რომელიც უტარდება ცალკეულ ისტორიულ შენობებს, შეიძლება წაადგეს ქალაქსაც, რომელიც თავის ხნოვანებაზე უარს არ ამბობს და მაინც ძალიან ცოცხალია, ძველი ქალაქიც, რომელიც არც ზედმეტად „გაპრანჭულია" და არც დანგრევის პირასაა, რაც, თავისთავად, შეიძლება ძალიან ცხოველხატული იყოს, მაგრამ უაღრესად სახიფათოა ისტორიული ქსოვილისათვის.

გარდა მუდმივ გამოყენებაში მყოფი ნაგებობებისა, ზოგიერთი კატეგორიის ძეგლები – მიჯნის

ქვები იქნება ეს თუ ციხე-დარბაზების ნანგრევები – მხოლოდ ხანგამოშვებით მოითხოვს მოვლის სამუშაოებს, მაგრამ ასეთი სამუშაოები კვლავ და კვლავ უნდა ტარდებოდეს; ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ისტორიული ქსოვილისათვის დიდი ზიანის მომტანი კედელში გამოზრდილი მცენარეების მოშორება. კიდევ სხვა ისეთი ტიპი ძეგლებისა, რომლებიც მუდმივ ინტენდიურ მზუნველობას მოითხოვს, როგორიცაა ისტორიული პარკები, თავისი ბილიკებით და მცენარეებით (ფლორენციის ქარტიის „მოვლა და კონსერვაციის“ პარაგრაფი). ზოგიერთი სამრეწველო დანიშნულების ძეგლები – მაგალითად, ძველი მატარებლები, ორთქმავლები ან კაშხლები – რომლებიც ტექნიკურად მოძველებულია და მეტ-ნაკლებად სამუზეუმო ექსპონატები გახდა, ასევე მოითხოვს ინტენსიურ „მომსახურებას,“ თითქოს ჯერ კიდევ გამოიყენებოდეს. მეორე მხრივ, მიწისქვეშა არქეოლოგიური ძეგლები საუკუნეებისა და ათასწლეულების განმავლობაში რაომე მოვლის გარეშე შეიძლებოდა შენარჩუნებულიყო, თუკი მათ ადამიანის ხელისაგან მუდმივი საფრთხე არ დაექმუქრებოდათ.

ისტორიული ნაგებობების დეკორატიული ელემენტები მოვლის განსაკუთრებულ პრობლემებს წარმოშობს. არსებობს შესაძლო დაზიანებების ფართო სპექტრი, რაც ხშირად გამოწვეულია უყურადღებობით, ინტერიერის სივრცეში არასწორი კლიმატური პირობებით, ეკლესიებში ყვავილებისა და სანთლების შეუსაბამო მოპყრობით, თითქოსდა ძეგლისათვის მოსავლელად მისი დალაგებით და მტვრის გადაწმენდითაც კი. ხელოვნების ფაქიზი ნიმუშებისათვის თითქოსდა უწყინარი გასუფთავებაც კი დიდი საფრთხის მომტანია; ასეთ შემთხვევებში მოვლა უნდა დაეკისროს მხოლოდ შესაბამის სპეციალისტებს.

ამ კონტექსტში უნდა ვახსენოთ ტენდენციის დამსახავი მოდელი, რომელიც აქამდე ნაკლებად იყო გამოყენებული: **მოვლის თაობაზე კონტრაქტი იდება რესტავრატორებთან** განსაკუთრებით დაზიანებულ (მაგალითად კლიმატური მიზეზების გამო) მნიშვნელოვან დეკორატიულ ელემენტებთან დაკავშირებით. ამნაირად ადრევე იქნება დადგენილი საშიშროება, რაც ხელოვნების ნაწარმოებს ემუქრება; მცირე დაზიანებები შეიძლება შეკეთებულ იქნეს რესტავრატორების მიერ ყოველწლიურად, დიდი დანახარჯების გარეშე. ხანგრძლივი დროის განმავლობაში მცირე საკონსერვაციო სამუშაოების წარმოება თავიდან აგვაცილებს სერიოზული რესტავრაციის ჩატარების აუცილებლობას. ეს, რა თქმა უნდა, მოვლის იდეალური შემთხვევაა, მაგრამ ფაქტიურად იგი არაფრით განსხვავდება იმ მოვლისაგან, რასაც იჩენს ავტომობილის მფლობელი თავისი მანქანის მიმართ. და მაინც, ავტომობილი ყოველდღიური გამოყენების საგანია, რაც შეიძლება ახლით შევცვალოთ მაშინ, როდესაც ჩვენი ისტორიული ნაგებობების უნიკალური გამართულობა შეუცვლელია: ელოდო, როდის დადგება შემდეგი სერიოზული რესტავრაციის ჩატარების დრო, ხშირად ნიშნავს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენო ძეგლს. სხვადსხვა მოდიფიკაციებით ეს მოდელი შეიძლება მიესადაგოს **მოვლის შესახებ შეთანხმებას საზოგადოდ ისტორიული ძეგლების შენარჩუნების გამო;** შესაძლებელი უნდა იყოს, რომ სხვადასხვა სფეროებში დახელოვნებულმა რესტავრატორებმა და ხელოსნებმა მოუარონ გარკვეულ ისტორიულ ნაგებობებს, რა თქმა უნდა, სახელმწიფო საკონსერვაციო სამსახურებთან შეთანხმებით.

თუ რამდენად სერიოზულად უნდა მივიჩნოთ მოვლის შედეგები, ჩანს **განზრახ უგულველყოფის შესაძლებლობიდან,** რის შედეგადაც ძეგლის ასაღებად საჭირო პირობები შეგნებულადაა შექმნილი. და ბოლოს, გარკვეული **დაცვითი ღონისძიებები კატასტროფების და უბედური შემთხვევების წინააღმდეგ** (როგორიცაა ხანძრის საწინააღმდეგო სისტემები, ძარცვისგან თავის დაცვა და სხვ.) ასევე უნდა ჩაითვალოს მუდმივი მოვლის ნაწილად, რაც უზრუნველყოფს ძეგლის შენარჩუნებას. ასეთი მოვლის დაგეგვმა, ამასთან, უნდა ითვალისწინებდეს შესაბამის, ძეგლის შენარჩუნებაზე ორიენტირებულ წინასწარ გამოკვლევებს.

## *შეკეთება და გამაგრება*

მიუხედავად იმისა, რომ საზღვრები მოვლასა და შეკეთებას შორის ძალზე არამდგრადია, ზოგადად, ძეგლის შეკეთება უნდა განისაზღვროს, როგორც სამუშაო, რომელიც ტარდება შედარებით დიდი ინტერვალებით და ხშირად უჯერო მოვლითაა გამოწვეული. ძეგლის ცალკეული კომპონენტები შესაძლოა შეკეთებულ იყოს, დამატებული ან ჩანაცვლებული. ჩვენ მუდმივ შეკეთებაზეც კი შეიძლება ვილაპარაკოთ, როდესაც მხედველობაში გვაქვს ზოგიერთი ძეგლის ქვების ჩვეული შეცვლა, რისი მაგალითიც შუა საუკუნეების საკათედრო ტაძრების ქვისმჭრელთა სახელოსნოების მუშაობაა.

შეკეთების პირველი პრინციპი უნდა იყოს: **ყველა სამუშაო უნდა ეყრდნობოდეს გულდასმით ანალიზს და მხოლოდ ნამდვილად აუცილებელით უნდა იყოს შემოფარგლული!** შეცდომაა ვიფიქროთ, რომ დღევანდელ დღეს არასაჭირო სამუშაოების მაღალი ფასი გარანტიაა იმისა, რომ მხოლოდ სასარგებლო სამუშაოები ჩატარდება. გარდა გაზრდილი ფასისა, სხვადასხვა ფაქტორებს – როგორიცაა სხვა ფუნქციით გამოყენება, გამოყენების სტანდარტების გაზრდა, არაადეკვატური წინასწარი გამოკვლევები, არასწორი დაგეგმარება, შეუსაბამო ტექნოლოგიები, სამუშაოს დაბალ დონეზე შესრულება, ან ხანდახან ძეგლის „შენარჩუნების“ არასწორი, პერფექციონისტული გეგმა – მივყევართ **არასაჭირო რადიკალურ**

**განახლებამდე**, რის შედეგად ისტორიული ქსოვილდან ფაქტიურად აღარფერი რჩება.

გარდა აუცილებელით შემოზღუდვის პრინციპისა, თითქოსდა აშკარა, მაგრამ მაინც ძალზე მნიშვნელოვანი პრინციპია, რომ შეკეთება ყოველთვის უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე განახლება (ე.ი. შემადგენელი ნაწილების შეცვლა): **რამდენადაც შესაძლებელია შევაკეთოთ, ნუ განვაახლებთ!** საზოგადოდ, შეკეთება გულისხმობს მასალის ან ნაგებობის კომპონენტების ძალზე ფრთხილ და ლოკალიზებულ გადაადგილებას.

ხელოვნების რესტავრაციის სფეროში ამ პრინციპის პარალელების ჩამოთვლის გარეშე, აუცილებელია ნათლად განვუმარტოთ მათ, ვინც გეგმავს სამუშაოებს, და განსაკუთრებით კი ხელოსნებს, ვინც ამ სამუშაოებს ასრულებს, თუ რაში მდგომარეობს აუცილებელით შემოზღუდვის პრინციპი და რომ უპირველესი მიზანია ძეგლის შეკეთება და არა განახლება. დღევანდელ დღეს ხელოსნები ამის ნაცვლად ახალი კედლის აშენებას ძველი კედლის ხელახალ მობათქაშებას, გადახურვის ახალი კონსტრუქციების გამოჩარხვას, სახურავზე კრამიტის ხელახალ დალაგებას, ახალი იატაკების დაგებას, ახალი ფანჯრების და კარების გაკეთებას და სხვ. არიან შეჩვეული. ის ფაქტი, რომ ძეგლის შენარჩუნების პრინციპები მოითხოვს შემოზღუდვას მხოლოდ აბსოლუტურად აუცილებელი ღონისძიებებით, და, ამგვარად, შეკეთების სამუშაოებით, რაც შეესაბამება დაზიანების რეალურ მასშტაბებს – სხვა სიტყვებით რომ ვთქვთ, არსებული კედლის გამაგრებას და შეკეთებას, ძველი მობათქაშების ნაპრალების შევსებას, სახურავის დამაგრებას, იმ ფანჯრების და კარების შეკეთებას, რომლებიც ცუდად იხურება – ხშირად მოითხოვს რადიკალურ ხელახალ გააზრებას არა მარტო სამუშაოების დამგეგმავების და შემსრულებლების მხრიდან, არამედ ძეგლის მფლობელების მხრიდანაც. ჩვენი თანამედროვე, ერთჯერადი გამოყენების საზოგადოებაში მასალის შეკეთების ან მისი გამოზოგვის უნარი (რაც წინა საუკუნეებში ეკონომიის მოსაზრებებით სალაპარაკოც არ ყოფილა) ან ჯეროვნად არ ფასდება, ან სრულიად დაკარგულია. ჩვენ საამწყობო კონვეიერით ვაწარმოებთ არა მხოლოდ სამომხმარებლო საქონელს, არამედ მთელ შენობებს, რომლებიც ამორტიზაციის შემდეგ ფაქტიურად ხდება „ნახმარი“, ერთჯერადი გამოყენების ნაგებობები. დღეს ყველას კარგად ესმის, რომ სოფლის ძველი ჭურჭლის კარადა შეკეთების შემდეგ მშვენივრად ასრულებს თავის დანიშნულებას და, ამავე დროს, წარმოადგენს ძვირფას განუმეორებელ ნივთს (რომელიც ძვირად გაიყიდება ხელოვნების ნაწარმოებთა ბაზარზე), მაშინ როდესაც ახალი კარადა, გაკეთებული ძველის იმიტაციით, შედარებით ნაკლები ეღირება. ის, რომ მატერიალურ ღირებულებისაგან სრულიად დამოუკიდებლად, პატივი უნდა მივაგოთ განუმეორებლობას, როგორც ისტორიის მოწმობას, რაც გვაიძულებს შევაკეთოთ და არა შევცვალოთ ისტორიული კიბეები და რკინის მოაჯირები, შევავსოთ ბათქაშის ნაპრალები და არა მთლიანად შევცვალოთ მობათქაშება. სამწუხაროდ, ყველასთვის ეს როდია ნათელი.

როგორც ძეგლის მოვლა იცავს ტრადიციული ტექნოლოგიით დამუშავებულ თავდაპირველ მასალას, ასევე ძეგლის შეკეთება უნდა ჩატარდეს შესაბამისი მასალებით და ტექნოლოგიებით, თუ კი აუცილებელი არ არის ძეგლის შენარჩუნების მიზნით იყოს გამოყენებული თანამედროვე საკონსერვაციო ტექნოლოგია. ეს ნიშნავს: **შეკეთებისას გამოვიყენოთ ტრადიციულ მასალები და ტექნოლოგიები!** კარი, ფანჯრის ჩარჩო, გადახურვის სტრუქტურა უკეთესად იქნება შეკეთებული თუ შესაბამის ხის მასალას გამოვიყენებთ; ძველი მობათქაშება ანალოგიური ტექნოლოგიით უკეთესად იქნება შევსებული; ამის მსგავსად, აგურის წყობა ყველაზე კარგად შეკეთებული იქნება აგურით, ყორე-წყობის კედელი ქვაყორეთი და სხვ. თანამედროვე ცემენტის ბათქაში, დამატებული ძველ მობათქაშებაზე ან გამოყენებული როგორც ახალი მობათქაშება ძველი კედლის წყობაზე, არა მარტო ესთეტიკურ პრობლემას წარმოადგენს, არამედ მალე იქცევა სერიოზულ, შემდგომი დაზიანების გამომწვევ პრობლემად.

რამდენადაც შესაძლებელია, შეკეთება ხელით უნდა იყოს შესრულებული კვალიფიცირებული ხელოსნების მიერ. რა თქმა უნდა, გონივრულობის ფარგლებში დასაშვებია აგრეთვე თანამედროვე ხელის იარაღების და მცირე ზომის ელექტროხელსაწყოების გამოყენებაც, მაგრამ თანამედროვე სამშენებლო მოედნის ფართო მასშტაბის ტექნიკური საშუალებები საზოგადოდ არ უნდა იყოს გამოყენებული, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ისტორიული ნაგებობის არასაჭირო ნგრევა. ასეთ შემთხვევაში, თავი და თავი ისტორიული ტექნიკის იმიტაციის მოთხოვნა კი არაა, არამედ გაწაფულობით გაფაქიზებული შეკეთება, მორგებული მშენებლობის წინანდელ მეთოდებსა და, მეტადრე, ძველ ზედაპირებს.

ტრადიციული მასალების და ტექნოლოგიების გამოყენებით შეკეთების პრინციპი იმას არ ნიშნავს, რომ ყველა შემთხვევაში გამორიცხული უნდა იყოს უთანამედროვესი ტექნოლოგიებიც – მაგალითად, თუ ტრადიციული შეკეთება ვერ უშველის დაზიანებას, ან თუ შეკეთება გაანადგურებს ძეგლის ძირითად მახასიათებლებს იმ დროს, როდესაც თანამედროვე ტექნოლოგიები უზრუნველყოფს ისტორიული ქსოვილის უფრო წარმატებულ დაცვას. გარკვეულ შემთხვევებში სტაბილიზაცია-გამაგრებისათვის გარდაუვალია კონსერვაციაზე ორიენტირებული ტექნოლოგიების გამოყენება.

საზოგადოდ, ძეგლის შენარჩუნების იგივე პრინციპები ასევე ეფექტურია, თუ, გარდა მარტივი შეკეთებისა, საჭირო გახდება ზოგიერთი დაზიანებული ელემენტის მთლიანი შეცვლა: მაგალითად, გადახურვის ტრადიციული თიხის კრამიტის გამოყენება, რომელსაც, გარდა ესთეტიკური ეფექტისა, გააჩნია განსხვავებული ფიზიკური თვისებები, ვიდრე მის შემცვლელ ბეტონის კრამიტს; ფანჯრის ხის

ჩარჩოების გამოყენება პლასტიკურის ნაცვლად; ფანჯრების ხის დარაბების გამოყენება შტორების ნაცვლად; ფასადის ასბესტო-ცემენტით ან პლასტიკატით მოპირკეთების გავრცელებული მეთოდების უარყოფა, და სხვ. ეს ნიშნავს **უარი განაცხადო თანამედროვე მრეწველობის ერთჯერადი მოხმარების საქონელზე,** რისი პროპაგანდაც მიმდინარეობს ყოველდღიურ რეკლამაში; გარდა მათი განსხვავებული მახასიათებლებისა, ეს პროდუქცია ისტორიულ ნაგებობას თუ დაამახინჯებს.

კიდევ ერთი რამაა მნიშვნელოვანი ძეგლის შენარჩუნების ყველა სახის სამუშაოებისათვის – შექცევადი შეკეთების პრინციპი: ჩარევა განპირობებული შეკეთების სამუშაოებით, როგორიცაა მოგვარება და კომპონენტების ჩანაცვლება „გაუქმებადი“ უნდა იყოს. ეს პრინციპი, არაპირდაპირ გამოთქმული ვენეციის ქარტიაში, ძირითადად შეფარდებითია – მეტ-ნაკლები შექცევადობა – და ნაკლებად გულისხმობს „აბსოლუტურ“ შექცევადობას, რაც ძალზე იშვიათად შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი.

მაგრამ ნათელია, რომ შეკეთება, რომელიც იზღუდება მართლაც აუცილებელით – ქვის კიბის დაზიანებული საფეხურის შეკეთება პატარა ნაწილის ჩამატებით, ან ჭერის კოჭის შეცვლა – რა თქმა უნდა, ბევრად უფრო ადვილად შექცევადია (როდესაც მომავალში საჭირო გახდება შემდგომი შეკეთებების ან ცვლილებების ჩატარება), ვიდრეიმ შემთხვევაში, თუ ბეტონით მთლიანად ჩანაცვლებულია კონსტრუქციის ელემენტები თუ სისტემები (მაგ., კიბე, ჭერი, კოჭები და საყრდენები). გარდა აუნაზღაურებელი დანაკარგებისა, რაც მოსდევს ასეთი სამუშაოების ჩატარებას, ბევრად უფრო ძნელი (ან თითქმის შეუძლებელი) იქნება მოაშორო მთლიანი ბეტონის კარკასი, ვიდრე შეცვალო რამოდენიმე კოჭი. უფრო მეტიც, არათუ აღებული, მთლიანად „ხელახლა აშენებული“ ისტორიული ძეგლიც კი, თუ არ იყო გათვალისწინებული შექცევადობის პრინციპი, დაკარგავს თავის ისტორიული მოწმობის ხასიათს.

**ძეგლების შეკეთება მოიცავს ასევე ძეგლების სტაბილიზაციის და დაცვის ტექნოლოგიებსაც.** მაშინ როდესაც ზოგადად შეკეთება ეხება დაზიანებული ელემენტების მოშორებას და შეცვლას ახალი მასალებით, რის შედეგად ვიღებთ მასალის ან ნაგებობის შემადგენელი ნაწილების ძალზე ფრთხილ შენაცვლებას, რაც იფარგლება მხოლოდ რეალურად დაზიანებული ადგილით, **სტაბილიზაციის ღონისძიებებს გააჩნია კონსერვაციაზე ორიენტირებული მიზნები, რაც, რამდენედაც შესაძლებელია, გამორიცხავს მასალების ან სტრუქტურული ელემენტების შეცვლას.** აქაც თითქმის შეუძლებელია თავი დავაღწიოთ ჩარევას თავდაპირველ ქსოვილში, მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, რომლებიც ეხება განმტკიცებას, გაჟღენთვას, შტიფტებით დამაგრებას ან ისეთი ნივთიერებების შეყვანას, როგორიცაა კირის ან ცემენტის ხსნარები. ხშირად ასეთი, თითქოსდა „უხილავი“ ჩარევები საკმაოდ ქმედითია. ტექნოლოგიების შორისაა შემცვლელი კონსტრუქციული სისტემები და დამცველი აღჭურვილობა გამოფიტვის, სინათლის ზეგავლენის და სხვათა წინააღმდეგ. სტაბილიზაციის ტექნოლოგიები მოიცავს ძეგლის შემადგენელი მასალების და კონსტრუქციების ფართო სპექტრს, დაწყებული პიგმენტების კონსერვაციითა და მოხატულობის ფენების, მობათქაშების, ისტორიული ფუნდამენტის დაცვის, კედლების და მზიდი სისტემების ჩათვლით. გადაწყვეტილების მიღება შეკეთების საჭიროების და რაობის შესახებ ან იმის გამო, დაცვის როგორი ღონისძიებებია ჩასატარებელი, ერთი ურთულეს და სპეციელიზებულ გეგმარებით ამოცათაგანია, რომლის გადასაწყვეტად შენარჩუნების სპეციალისტებმა ინჟინერთან, ქიმიკოსთან ან რესტავრატორთან ერთად უნდა შეიმუშაოს ძეგლის ბუნებას შეფარდებული ტექნიკური გეგმა.

წინასწარი გამოკვლევების გარეშე, რომელიც დაადგენს ძეგლის კონკრეტულ ისტორიულ მახასიათებლებს და განსაზღვრავს დაზიანებებს, კვალიფიცირებული გადაწყვეტილების მიღება ამ სფეროში შეუძლებელია; უფრო მეტიც, შედეგები ნაუცბადევიც იქნება და ძეგლის შენარჩუნების მიზნების მხრივ ძნელად გასაკონტროლებელიც.

## რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია

ძეგლების შეკეთებასთან დაკავშირებით, ტერმინი რეაბილიტაცია დღევანდელ პრაქტიკაში გულისხმობს უფრო ყოვლისმომცველ და სერიოზული შედეგების მქონე სამუშაოებს, ვიდრე ძეგლის შენარჩუნებაზე ორიენტირებული შეკეთების ის ფორმები, რომლებიც აქ იყო აღწერილი. დღეს ტერმინი რეაბილიტაცია გულისხმობს ბევრად უფრო მეტს ვიდრე „აღდგენა;“ იგი მოიცავს სამუშაოებს, რომელიც ნაწილობრივ აუცილებელია, ხოლო ნაწილობრივ კი ძალზე დიდი მასშტაბისაა და რადიკალური. თანამედროვე სტანდარტების და პირობების მორგების საჭიროება, ან ნაგებობის სხვაგვარი გამოყენება ხშირად ხდება ასეთი სამუშაოების გამომწვევი მიზეზი. ხანდახან ეს არის მოდერნიზაციის ღონისძიებების შედეგი, რაც ყოველთვის არ შეესაბამება ნაგებობის ისტორიულ სტრუქტურას.

სარეაბილიტაციო სამუშაო, ჩატარებული იმ მიზნით, რომ მოარგოს შენობა დღევანდელ საცხოვრებელ საჭიროებებს (მაგ. გათბობის ახალი სისტემის დაყენება, ან ელექტროგაყვანილობის და სანიტერული სისტემების განახლება), ჩვეულებრივ მოიცავს **მოდერნიზაციის აუცილებელ ღონისძიებებს, რაც ცდება ძეგლის შენარჩუნებაზე ორიენტირებულ შეკეთების სამუშაოებს.** მაგრამ ძეგლის შენარჩუნების ძირითადი პრინციპი აქაც ძალაში რჩება: მოდერნიზაციის სამუშაოებით გამოწვეული ჩარევა თავდა-

პირველ ქსოვილში მაქსიმალურად ლიმიტირებული უნდა იყოს, თუმცა ამან ხელი არ უნდა შეუშალოს ძეგლის შემდგომ გონივრულ გამოყენებას. რაც უფრო გულდასმით ჩატარდება ძეგლის შენარჩუნებაზე ორიენტირებული წინასწარი კვლევითი სამუშაოები, რაც ამგვარი პროექტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, მით უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნება ძეგლის შენარჩუნებისათვის. წინასწარი კვლევა გვაჩვენებს, მაგალითად, თუ სად შეიძლება, ან არ შეიძლება ჩაიდოს მილები, შესაძლებელია თუ არა გვიანი კედლების მოშორება ისე, რომ ამით არაფერი დავაზიანოთ, თუ რა გზით შეიძლება ყველაზე კარგად შესწორდეს კონსტრუქციული სისტემა და სხვ. ეს ეხება ისტორიულ საცხოვრებელ შენობებს, დაწყებული ფერმერული სახლებიდან სასახლეებამდე, ისევე როგორც საეკლესიო ნაგებობებს. ეკლესიების შემთხვევაში, რეაბილიტაცია და „მოდერნიზაცია“ (ჩვეულებრივ გათბობის სისტემის გაყვანა) მოიცავს სერიოზულ ინტერვენციას იატაკში და, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენების ზონაში. აშკარაა, რომ საზოგადოებრივი შენობების რეაბილიტაცია, რაც ცდება შეკეთების სამუშაოებს, დროდადრო აუცილებელი ხდება და მოიცავს დიდმოცულობიან ჩარევას, რაც განპირობებულია შენობის ფუნქციით და სპეციალური მოთხოვნებით, რომელნიც რეგულირდება უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ზომებით და სტანდარტებით, სადაც შედის ბრანდმაუერები, სათადარიგო გასასვლელები, ახალი კიბეები, ლიფტები და სხვ.

ტერმინი **ქალაქების რეაბილიტაცია** გულისხმობს ქალაქური კვარტალის ან მთელი ქალაქის რეაბილიტაციას. ქალაქურ რეაბილიტაციას წინ უნდა უძღოდეს ეკონომიური და სოციალური სტრუქტურის ფართო გამოკვლევა. ზოგ შემთხვევაში ეს ეფუძნება საზოგადოებრივ მოთხოვნებს – მაგალითად, რომ შეიქმნას „ცენტრალური საქმიანი კვარტალი“ უნივერსალური მაღაზიებით, მანქანების გასაჩერებელი შენობებით და სხვ. – რაც ნიშნავს მოცემული ისტორიული სტრუქტურის უარყოფას. ქალაქების გამოხშირვით განახლება, რაც ფართოდ იყო დანერგილი პრაქტიკაში ბოლო ათწლეულების განმავლობაში, გამოიხატა ან ყველა ისტორიული ნაგებობის მოსპობაში, რამაც ძეგლთადაცვითი თვალსაზრისით, „რეაბილიტაციის“ საწინააღმდეგო შედეგი მოიტანა, ან გამოიწვია ფართო მასშტაბიანი ნგრევა და რესტრუქტურება ერთი-ორი ისტორიული შენობის შენარჩუნებით, რაც ასევე ძეგლთა „მარაგის“ და ისტორიული ინფრასტრუქტურის განადგურების ტოლფასია. ხელაღებით ნახმარი ტერმინი „ქალაქის განახლება,“ ძეგლთადაცვითი კუთხით შეიძლება „ძეგლის განადგურებას“ აღნიშნავდეს. ახლა საბედნიეროდ, გამოხშირვით განახლება გამონაკლისს წარმოადგენს და ბევრ შემთხვევაში ქალაქის რეაბილიტაცია სრულდება „სახლ-სახლ.“ საუკეთესო შემთხვევებში ძეგლის შენარჩუნებაზე ორიენტირებული ქალაქის რეაბილიტაცია ტარდება შეკეთების სამუშაოების უკვე აღწერილი პრინციპების თანახმად, ხოლო აუცილებელი მოდერნიზაციის სამუშაოები დიდი სიფრთხილით არის მორგებული ისტორიულ ქსოვილს. და ბოლოს, რა თქმა უნდა, რეაბილიტაციის წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ისტორიული ნაგებობის შესაბამის გამოყენებაზე.

გამოხშირვით განახლებამ, როგორც თანამედროვე ტექნოლოგიის „მიღწევების“ ყველაზე შთამბეჭდავმა მაგალითმა დაამტკიცა, რომ რეაბილიტაცია, რომელიც ორიენტირებულია ძეგლის შენარჩუნებაზე, მოითხოვს სამუშაოების ძალზე ფრთხილ, უფრო ტრადიციული მეთოდებით წარმოებას. თანამედროვე ტექნოლოგიები სასურველი არ არის, თუ მათი განხორციელება მოითხოვს პროცედურებს tabula rasa –ს მეთოდის მიხედვით, ან თუ ისინი უამრავ დაზიანებებს იწვევს: მაგალითად, დიდ განარღვევს ქალაქის გალავანში (რაც ფაქტიურად არის იმ შენობის ნახევრის განადგურება, რომელიც „რეაბილიტაციისათვის“ არის გამიზნული), მხოლოდ იმიტომ, რომ აღჭურვილობით „თავი მოიწონო“ და იმუშაო „რაციონალურად.“ აქაც უმეტეს შემთხვევებში ეკონომიკურადაც უფრო ხელსაყრელი იქნებოდა გვეწარმოებინა სამუშაოები ძეგლის შენარჩუნებაზე ორიენტირებული თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, არ უნდა შეილახოს ნამდვილად აუცილებლით შემოზღუდვის პრინციპი და, აქედან გამომდინარე, შეკეთების პრინციპი, რაც აქ კიდევ ერთხელ არის ხაზგასასმელი: ნამდვილად გაცვეთილი ისტორიული ქსოვილის (ფანჯრების ან სხვა დეტალების) შესაცვლელად, გამოყენებული უნდა იყოს შეკეთების ის პრინციპი, რომელიც მიმართავს ტრადიციულ მასალასა და ტექნოლოგიებს.

## *რეკონსტრუქცია*

რეკონსტრუქცია გულისხმობს იმ შენობათა ხელახალ აგებას, რომელთა განადგურება გამოწვეული იყო უბედური შემთხვევებით, ბუნებრივი კატასტროფებით (მაგ., მიწისძვრა), ან საომარი მოქმედებებით; ძეგლებისა და ზოგადად ღირსშესანიშნავი ადგილების მიმართებაში იგი გულისხმობს დაკარგული ორიგინალის ხელახალ შექმნას სურათის ან წერილობითი აღწერილობის საფუძველზე. ასლი ან რეპლიკა, რეკონსტრუქციის საპირისპიროდ, ახდენს ჯერ კიდევ არსებული ორიგინალის დუბლირებას. ნაწილობრივი რეკონსტრუქცია, როგორც ძეგლის შენარჩუნების ღონისძიება, უკვე განხილული იყო იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა ძეგლის დაკარგული ნაწილების შევსებასა და ჩანაცვლებას.

რეკონსტრუქცია, რა თქმა უნდა, არ არის აკრძალული ვენეციის ქარტიის მიერ, როგორც ამას ხშირად ამტკიცებენ; პარაგრაფ 15-ის ის ნაწილი, რომელიც ეხება განსახილველ საკითხს – *ყველა სახის*

*რეკონსტრუქციის სამუშაოები აპრიორი გამორიცხული უნდა იყოს. ნებადართული არის მხოლოდ ანასტილოზი, ანუ ძეგლის აღდგენა მისი დარჩენილი, მაგრამ დაცალკავებული ნაწილებისაგან,* – ეხება მარტოოდენ არქეოლოგიურ გათხრებს. ამის საწინააღმდეგოდ, ათენის ქარტია განიხილავს ანასტილოზის მეთოდს, როგორც რეკონსტრუქციის განსაკუთრებულ ფორმას ყველა სახის ნანგრევებთან მიმართებაში: *ნანგრევების შემთხვევაში... გადადგმული უნდა იყოს ნაბიჯები, რათა აღვადგინოთ ნებისმიერი ორიგინალური ფრაგმენტი, რომელსაც შეიძლება დავუბრუნოთ თადაპირველი ფორმა (ანასტილოზი), სადაც კი ეს შესაძლებელია* (ათენის ქარტია, VI, კონსერვაციის ტექნოლოგია). არქეოლოგიურ კონსერვაციაში მრავალი მიზეზი არსებობს, რათა ანასტილოზს უპირატესობა მიენიჭოს, თუმცა თვალსაჩინოებისათვის არქეოლოგიური ძეგლების შენარჩუნების სამუშაოები ხანდახან მოიცავს ნაწილობრივ რეკონსტრუქციას ისტორიული კონტექსტის ნათელსაყოფად. არის კიდევ ერთი, კერძოდ ისტორიული ბაღების სფერო, სადაც რეკონსტრუქციას სრულიად აშკარა მიზეზების გამო (იხ. ფლორენციის ქარტია, „რესტავრაცია და რეკონსტრუქცია," პარაგ. 14, 17) განსაკუთრებული ადგილი აქვს. და მაინც, ზოგადად ჩვენ შეიძლება დავასკვნათ, რომ ვენეციის ქარტიის ავტორები, თუნდაც იქიდან გამომდინარე, როგორ მკაცრად ზღუდავს ქარტია ჩანაცვლებას (რაც პარაგრაფ 12-ის თანახმად *უნდა განსხვავდებოდეს ორიგინალისაგან*), საკმაოდ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი რეკონსტრუქციის სამუშაოების მიმართ.

**სკეპტიციზმი ყველა ფორმის რეკონსტრუქციის მიმართ,** უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება იმას, რომ ისტორია შეუქცევადია: გარკვეულ შემთხვევებში ფრაგმენტული მდგომარეობა გვთავაზობს ერთადერთ ღირებულ, არაფალსიფიცირებულ მხატვრულ სახეს. მართლაც, მთლიანად დანგრეული ძეგლიც კი წარმოადგენს ისტორიის საბუთს, იმ საბუთს, რომელიც დაიკარგებოდა რეკონსტრუქციის ჩატარების შედეგად ისევე, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში ზოგიერთი ციხე-სიმაგრის ნანგრევები გახდა „ძველ სტილში აღდგენის" მსხვერპლი. იქ, სადაც ისტორიის ამგვარი კვალის კონსერვაცია უნდა მოხდეს, რეკონსტრუქცია არც უნდა ვახსენოთ. უფრო მეტიც, ძეგლი, რომელსაც შეიძლება ჩაუტარდეს რესტავრაცია ან განახლება, ან კიდევ გამაგრების ან შეკეთების სამუშაოები, არ უნდა იყოს დანგრეული და ახლად შექმნილი, როგორც რეკონსტრუქცია, „უფრო ლამაზად, ვიდრე ადრე იყო." მაგრამ ჩვენ მუდამდღე ზუსტად ასეთ მიდგომას გვთავაზობენ. ამგვარად, რეკონსტრუქციისადმი უარყოფითი მიდგომა ეფუძნება იმ რეალური საფრთხის გააზრებას, რაც ემუქრება დღემდე შემორჩენილ ისტორიულ ნაგებობებს და არა უბრალო ანტიპათიას (რასაც ვხვდებით ძეგლთადაცვით თეორიაში) XIX საუკუნის „სარესტავრაციო" სამუშაოებისა და იმ საშინელი ზიანის მიმართ, რაც მიაყენა თავდაპირველ ისტორიულ ქსოვილს (მეტადრე შუა საუკუნეების ძეგლებს) ასე თუ ისე, ვიოლე-ლე-დიუკის ყაიდის „მეცნიერულ" ჰიპოთეზებზე დამყარებულმა რეკონსტრუქციის ტენდენციამ.

რეკონსტრუქცია, რომელიც არათუ ენაცვლება დაკარგულ ძეგლს, არამედ ამართლებს და ხელს უწყობს არსებული ძეგლის განადგურებას, მომაკვდინებელ ზიანს აყენებს დღემდე შემორჩენილ ისტორიულ ნაგებობებს. როდესაც საქმე „ხელოვნების ნიმუშებს" ეხება, ერთსულოვანი საზოგადოებრივი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ **რეკონსტრუქციას არ შეუძლია შეცვალოს ორიგინალი,** მაგრამ დიდი ჯაფაა საჭირო, რათა დაარწმუნოთ იგივე საზოგადოება, რომ ისეთი გამოსაყენებლი ობიექტები, როგორიცაა სკამები ბაროკოს ეკლესიაში, ასევე არ შეიძლება შეიცვალოს მათი ასლებით; ეს ხშირად ნაკლებადაა გააზრებული ისტორიული შენობების მიმართებაშიც. ამგვარად, ნაგებობების გამოყენების მოგონილი თუ რეალური სირთულეების გამო, სახლებს და, მეტადრე, კი კომერციულ შენობებს ემუქრება სრული განახლება, შეკეთების ნაცვლად, დანგრევა და „ძველი ფორმით რეკონსტრუქცია", თანაც სასურველია ფუნდამენტზე, რომელიც არასოდეს არსებულა, ან ამ მოუცილებელი მანქანების სადგომებით. ამ კონტექსტში „რეკონსტრუქციის" ცნება ძირითადად მხოლოდ ექსტერიერს ეხება, მაშინ როდესაც ინტერიერში ყველაფერს ასხვაფერებენ და იატაკის დონეც იცვლება ისე, რომ „რეკონსტრუირებული" ფასადი უნდა „აიწიოს", რომ მოერგოს დამატებით სართულს. ის, რაც რჩება ძეგლიდან შეიძლება იყოს ნაგებობის რამდენიმე ელემენტი, „კომპრომისად" ჩაყოლებული ახალ შენობაში: გერბიანი ქვა, თაღედი, და სხვ.

რეკონსტრუქცია არსებული ძეგლის ადგილზე, რომელიც მოითხოვს ორიგინალური ძეგლის მოშორებას, გამორიცხული უნდა იყოს როგორც მისი დაცვის ზომა. ამ მიდგომის მოდიფიკაცია – **დემონტაჟი და ხელახალი აშენება არსებული მასალების გამოყენებით** – ასევე თითქმის ყოველთვის იწვევს სერიოზულ დანაკარგებს, თუმცა ტექნიკურად შესაძლებელია შენობის ნათალი ქვის ან ხის ელემენტების გამოყენებით, ნალესობისა და შემავსებელთა არარსებობისას. ძელური ნაგებობები ჩვეულებრივ ასეთ პროცედურას ნაკლები დანაკარგებით უძლებს, თუ სამუშაოები ფრთხილად და კვალიფიციურად ტარდება. ნათალი ქვით ნაგები შენობების შემთხვევაში იკარგება შენობის სხვა კომპონენტებთან ბმები და მაკავშირებლები; მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც რეკონსტრუქციისას გამოიყენება არსებული ელემენტები, არსებობს კონსტექსტის დაკარგვის პრობლემა. შენობები შემავსებლებით, მობათქაშებით, ნაშენის კონგლომერატით, მასიური ქვის წყობით და ა.შ., ასეთი პროექტების განხორციელებისას ჩვეულებრივ კარგავენ თავისი ისტორიული ქსოვილის უმეტეს ნაწილს. ამგვარად, რეკონსტრუქცია არსებული მასალის გამოყენებით, მიუხედავად იმისა, რომ გულისხმობს დემონტაჟსა და ხელახალ

აგებას, წარმატებული შეიძლება იყოს მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევებში. წინაპირობებია ძეგლის შენარჩუნებაზე ორიენტირებული წინასწარი გამოკვლევები და არსებული ობიექტის დაზიანების ისეთი საშიშროება, რასაც სხვაგვარად ვერ აიცილებ.

მიუხედავად ზემო ხსენებული საფრთხეებისა, **გარკვეულ პირობებში რეკონსტრუქცია, ისევე როგორც კონსერვაცია, რესტავრაცია და რენოვაცია შეიძლება მივიჩნიოთ ძეგლის შენარჩუნების ნებადართულ მეთოდად**. ძეგლის შენარჩუნების კონტექსტში, რეკონსტრუქცია ჩვეულებრივ უკავშირდება შენობისთვის ამა თუ იმ მიზეზით დაკარგული მდგომარეობის დაბრუნებას, სახვითი, წერილობითი თუ ნივთიერი წყაროების მოშველიებით; ის შეიძლება მოიცავდეს ელემენტთა გასრულებასა თუ ნაწილობრივ რეკონსტრუქციას და სრულ რეკონსტრუქციასაც, არსებული ელემენტების გამოყენებითა თუ მათ გამოუყენებლად. რენოვაციის პროექტების ჩარჩოებში მოხატულობის თავდაპირველი სქემის რეკონსტრუქცია – მაგალითად, ოთახის ინტერიერის დეკორის აღდგენა, ან ექსტერიერის გადაღებვა ფერის კვლევის შედეგების თანახმად – შესაძლოა სიკეთის მომტანი იყოს ძეგლის საერთო ესთეტიკური იერისათვის. შენობის ისტორიული გამართულობის რეკონსტრუქცია, რომელიც მხოლოდ კარგად დასაბუთებულ სიტუაციისასაა მართებული, ასევე შეიძლება ამ კონტექსტში განვიხილოთ. და ბოლოს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნაგებობის ისტორიული სახე შეიძლება რეკონსტრუირებულ იქნეს ნახაზების და მოდელების სახით, რათა შევქმნათ საფუძველი კონსერვაციის პროექტის კონცეპციის განხილვისათვის სასარგებლო მასალა, თუმცა სხვადსხვა მიზეზების გამო კონსერვაცია შეიძლება არც იყოს განხორციელებული.

ნაწილობრივი თუ მთლიანი რეკონსტრუქციის დროს აუცილებელი პირობაა ვრცელი დოკუმენტური ინფორმაცია სარეკონსტრუქციო მდგომარეობის შესახებ; თუმცა რეკონსტრუქცია იშვიათად თუ ჩაივლის რაიმე ჰიპოთეზის გარეშე. ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომელიც წაეყენება კულტურული ობიექტებს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად, კონვენციის სამოქმედო დირექტივების თანახმად არის *ის, რომ რეკონსტრუქცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ტარდება ორიგინალის სრული და დეტალური დოკუმენტაციის საფუძველზე და არავითარ შემთხვევაში ჰიპოთეზების და ვარაუდების მიხედვით.* ამგვარად, ამ კრიტერიუმის თანახმად, მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანისას რეკონსტრუქცია გამორიცხული არ არის, მაგრამ იგი მოითხოვს სანდო მეცნიერულ დასაბუთებას. ვენეციის ქარტიის პარაგრაფი 9-ის შენიშვნები, გარკვეული თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია კონსერვაციისათვის: *რესტავრაცია ძალზე შეზღუდული პროცესია. იგი... ემყარება თავდაპირველი მასალის და ავთენტური საბუთების გათვალისწინებას. იგი უნდა შეწყდეს იქ, სადაც ვარაუდი იწყება...* „

ზემორე მსჯელობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ რეკონსტრუქცია არ არის „აკრძალული“ და იგი არ არის აუცილებლად მიჩნეული ძეგლთადაცვით „ცოდვად“, ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე ძალზე გულდასმით უნდა იყოს აწონ-დაწონილი. ისევე როგორც არასაკმარის ჩვენებებზე და საკამათო ჰიპოთეზებზე დამყარებული დაკარგული ნაწილების რეკონსტრუქციით შევსება ფაქტიურად აყალბებს ძეგლს, ასევე არ შეუძლია დაუზუსტებელ „შემოქმედებით რეკონსტრუქციას“ რეალურად აღადგინოს დაკარგული ძეგლი – ფორმის მხრივაც კი, რომ არაფერი ვთქვათ მის ისტორიულ განზომილებაზე. გარდა ამისა, ხშირია გაუგებრობა დაკარგული ორიგინალის მასალის და ტექნიკის, ხელობის და მხატვრულ შესრულებასთან დაკავშირებით. გარკვეულ პირობებში, რეკონსტრუქცია გარდა მკაფიო სამეცნიერო საფუძველისა, მოითხოვს აღდგენას თავდაპირველი ფორმებით და მასალით, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი ოსტატობა და ნიჭი; რა თქმა უნდა, ყველა შემორჩენილი ისტორიული ქსოვილი მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული. პრინციპიალური მოსაზრებებით, რეკონსტრუქცია, რომელშიც ჩართულია ის თავდაპირველი ელემენტები, რომლებმაც არ განიცადეს სახეცვლილება, უფრო გამართლებულია, ვიდრე ის რეკონსტრუქცია, რომელიც ცდილობს ახალად შექმნას მხატვრული მონაცემები, რომელმაც საუკუნეების მანძილზე განიცადა განვითარება და, აქედან გამომდინარე, მისი „რეპროდუცირება“ ნაკლებად შესაძლებელია.

განსაკუთრებულ შემთხვევებში რეკონსტრუქცია ასევე შესაძლებელია იმ მიზნით, რომ აღუდგინოს გარემოცვა ფრაგმენტირებულ ძეგლს, შემორჩენილ გამართულობასა და დეკორატიული ელემენტებს ან ძეგლის მნიშვნელოვან კომპონენტებს. ამ კონტექსტში რეკონსტრუქციის სამუშაოებისას ქვის წყობის, კედლის, ან სხვა რაიმე ფრაგმენტების გადახურვა ზოგჯერ შეიძლება მომგებიანიც კი იყოს კონსერვაციის თვალსაზრისით. ასეთი მიდგომის ნების დართვისათვის დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ იგი არ დააზიანებს არსებულ ისტორიულ ქსოვილს, მაგალითად თავდაპირველი ძირითადი ელემენტების შეცვლით, ან გამაგრების ღონისძიებებით. და, ბოლოს, რეკონსტრუქცია შეიძლება გამართლებული იყოს ისტორიული კომპლექსების, ან განსაკუთრებით ერთიანი ანსამბლების შემთხვევებში, როდესაც დაზიანება (არა აქვს მნიშვნელობა, თუ რამ გამოიწვია იგი) ამცირებს, აუარესებს ან ამახინჯებს მთელ ანსამბლს. ამის საუკეთესო მაგალითია ვენეციის სან მარკოს კამპანილას 1908 წელს ჩატარებული რეკონსტრუქცია, მისი უეცარი ჩამონგრევის შემდეგ, რადგან იგი წარმოადგენდა ამ ისტორიული მოედნის განუყოფელ ელემენტს.

ამ კონტექსტში **კატასტროფებისა და საომარი მოვლენების შემდეგ ხელახალი აშენება** ასევე იმსახ-

ურებს ყურადღებას. სრულიად დამოუკიდებლად ძეგლის შენარჩუნების მოსაზრებებისაგან, ასეთი ხელახალი აშენება იშვიათად ყოფილა სრულიად ახლის შექმნის პროცესი, თვით წარსულ საუკუნეებში და ათასწლეულებშიც კი. ეკონომიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ხელმისაწვდომი მასალის ზომიერი გამოყენებაში იკვეთება ტენდენცია ყოველივე არსებულის გამოყენება; ფაქტიურად, ხანდახან ეს ემსგავსებოდა მიდგომას, რასაც შეიძლება „რეკონსტრუქცია“ ვუწოდოთ. აი, მაგ., ორლეანის საკათედრო ტაძარი: ჰუგენოტების მიერ დანგრეული, იგი XVII-XVIII სს-ში აღდგენილ იქნა გუთურ სტილში. ხელახლა აგებულ ძეგლს ისეთი განზომილებები აქვს, რაც უბრალო, ეგრეთ წოდებული მეცნიერული საფუძველის მქონე რეკონსტრუქციას არ გააჩნია. მთლიანად თუ ნაწილობრივ დანგრეული ნაგებობების, კერძოდ კი, მონუმენტური ძეგლების ხელახალი აშენება, რომლებიც ვიზუალურად განასახიერებენ ქვეყნის თუ ერის ისტორიას, შეიძლება მიჩნეული იყოს პოლიტიკური თვითდამკვიდრების აქტად. გარკვეული თვალსაზრისით, ეს ისევე სასიცოცხლოდ აუცილებელია მოსახლეობისათვის, როგორც „საკუთარი ჭერი გქონდეს.“ ხელახალი აშენების წინაპირობა, რა თქმა უნდა, არის იმ თაობის ნება, რომელიც ჯერ კიდევ განიცდის ამ დანაკარგებს. ხანდახან გაოცებას იწვევს, თუ როგორ აქარწყლებენ განახლებული ძეგლები კატასტროფით გამოწვეულ დანაკლისს და აღიქმებიან, როგორც ისტორიული საბუთები მაშინ, როდესაც ასეთი სამუშაოები იწვევს ისტორიული ქსოვილის აუნაზღაურებელ დანაკარგებს. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ ძეგლებს, სადაც გადარჩენილი გამართულობის გამოყენება კანონიერს ხდის მათ ხელახალ აშენებას. ასევე განსაცვიფრებელია, თუ როგორ შეიძლება ხელახლა აგებულმა ძეგლმა არა მარტო შეასრულოს მისი ძველი ფუნქციები, არამედ ხელახლა დაიკავოს ადგილი ისტორიაში, მიუხედავად სრულიად განახლებული სამშენებლო ქსოვილისა. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ გოეთეს სახლი ფრანკფურტში. შესაძლებელია ძველი ფუნდამენტის ისტორიულ ადგილზე აშენებულ ნაგებობაში ინტეგრირებული იყოს კატასტროფას გადარჩენილი ისტორიული შენობის ნარჩენები ისევე, როგორც შემორჩენილი გამართულობა და დეკორატიული ელემენტები. გარდა ამისა, ხელახლა აგებული ნაგებობა უნდა წარმოადგენდეს ისტორიული ნაგებობის იმ მდგომარეობას, რაც მას დანგრევამდე ჰქონდა, იმ შემთხვევაში თუ ხელახალი მშენებლობის ნამდვილი მიზანი არის ამონარღვევის მოშორება და არა კატასტროფით მიყენებული ტრადიციის წყვეტილის წარმოჩენა.

განსაკუთრებული მდგომარეობა იქმნება მაშინ, როდესაც არქიტექტურის ისტორიის კვლევის საფუძველზე ხდება შენობის ხელახალი აგება ისე, თუ როგორ გამოიყურებოდა იგი ადრე და არა ისე, თუ რა სახე ჰქონდა მას დანგრევამდე. ასეთი მიდგომის დროს ძეგლი იწმინდება გვიანი პერიოდების ცვლილებებისა და დამატებების „შეცდომებისაგან“ და თვით გადარჩენილი გამართულობაც კი ეწირება ახალ პროექტს იმ მიზნით, რომ კვლავ წარმოჩინდეს არქიტექტურის „თავდაპირველი იერი.“ პროცესი, რომელიც ძეგლის ადრინდელ მდგომარეობაში უკან დაბრუნების მსგავსია, პრობლემატურია ძეგლის შენარჩუნების თვალსაზრისით და გამართლებულია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

შენობის ხელახალი აგების ისტორია ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ – შესაძლო ვარიანტებით, თანამედროვე არქიტექტურის კანონების თანახმად სრულიად ახალი მშენებლობის წამოწყებიდან, იმ შემთხვევებამდე, სადაც რეკონსტრუქცია იმეორებდა ნაგებობების იმ მასალებსა და ფორმებს, რაც მათ დანგრევამდე გააჩნდათ – ვერ იქნება აქ აღწერილი. გინდაც, როგორც ძეგლთა დამცველებმა ვიგლოვოთ იმაზე, რაც უკვე დაკარგულია, ჩვენ უნდა ვაღიაროთ ახლიდან აშენების განსხვავებული მიდგომები, რომლებიც წარმოიშვა ომის შემდეგ. და მართლაც, ჩვენ უნდა განვიხილოთ ახლიდან აშენების შედეგები როგორც ისტორიული სინამდვილე და ვაღიაროთ, რომ ის ნაგებობები, რომლებიც ასე თუ ისე კეთილსინდისიერად იყო რეკონსტრუირებული, დროთა მსვლელობაში წარმატებულად წარმოგვიდგა: მრავალი ხელახლა აშენებული ნაგებობა ახლა თავიდანაა შესული ძეგლების სიაში, როგორც ავთენტური ისტორიული შენობა; მიუხედავად იმისა, რომ ისინი ვერასოდეს შეცვლიან ომის წინა პერიოდის ნაწილობრივ, თუ მთლიანად დაკარგულ ორიგინალებს, ახლა ისინი წარმოადგენენ იმ პერიოდის მაჩვენებელს, როდესაც ჩატარდა მათი რეკონსტრუქცია. დაპირისპირება ნებისმიერი სახის რეკონსტრუქციისადმი, თუ გავითვალისწინებთ მრავალ, ნანგრევებად ქცეულ ისტორიულ ნაგებობას, ეწინააღმდეგება ძველისძველ გრძნობას, სურვილს აღადგინო ნაცნობი გარემო კატასტროფის შემდეგ, კვლავ ერთად შეკრიბო გამოსადეგი მასალა – ანუ ჩაატარო რეკონსტრუქცია. ადამიანების ამგვარ წუხილს არა მხოლოდ ომის შემდგომი ხელახალი მშენებლობებისთვის ჰქონდა ძალა, არამედ ახლად აშენების იმ პროექტებისთვისაც, რაც სხვადასხვა მიზეზთა გამო მხოლოდ ათწლეულების შემდეგ გახდა შესაძლებელი. ამის მაგალითია დრეზდენის ღვთისმშობლის ეკლესია. გარდა ძეგლის მხოლოდ შენარჩუნების ასპექტებისა, გადამწყვეტია ის მოტივაცია, რაც არის ხელახალი აშენების სურვილის მამოძრავებელი ძალა – დანაკარგის გაცნობიერება; ასეთ პირობებში ვადის დადგენის იდეა, როდესაც რეკონსტრუქცია „ჯერ კიდევ“ დასაშვებია, ან „უკვე“ აღარ არის გამართლებული – როგორც ამას ხანდახან გვთავაზობენ – აღარ არის მნიშვნელოვანი.

**რეკონსტრუქციის ობიექტისადმი ფაქიზი მოპყრობა** მოითხოვს ძეგლების გაგებას „მათი ავთენტურობის სრული სისავსით,“ ისე როგორც ნათქვამია ვენეციის ქარტიის პრეამბულაში. ნარას კონფერენციაზე შეთანხმებული ავთენტურობის საბუთის თანახმად, ძეგლის შესაფასებლად არსებითია არა მარტო არაერთგზის სიცოცხლეს დაბრუნებული ისტორიული ქსოვილი, არამედ დამატებითი ფაქტორე-

ბიც, ავთენტური ფორმებიდან – ავთენტურ განწყობილებამდე. ნამდვილი ნივთიერი მდგომარეობის მოთაყვანეთ, რომელთაც ძეგლი „მატერიალისტურად“ ესმით, შეუძლიათ მხოლოდ ავთენტური ქსოვილის მუდმივი კარგვა, ისტორიის ხედვა როგორც ზრდა-განვითარების სწორხაზოვანი პროცესისა; მას ძალუძს აღსასრულის დღემდე ძეგლის საბოლოო სახის დაკონსერვება. მაგრამ ძეგლთა დამცველს, როგორც ისტორიული მემკვიდრეობის ერთგვარ ადვოკატს არნახულად ცვალებად სამყაროში, რომელიც ცდილობს რამდენადმე მაინც შეინარჩუნოს უწყვეტობა ისტორიული მაჩვენებლების გადარჩენით, უნდა ესმოდეს ძეგლის ყველა ავთენტური ფასეულობა, მარტოოდენ ესთეტიკური თვალსაზრისით მოტივირებული „წარმოჩენის“ ფასეულობის, ან ხშირად მივიწყებული „შეგრძნების“ ფასეულობის ჩათვლით, რაც მიდრეკილია კონკრეტული ფორმის თუ ვითარების რეკონსტრუქციისაკენ. ადამიანის გრძნობებთან ერთად, რომლებიც წარმოიშვება კატასტროფების შემდეგ ხელახალი მშენებლობების მიმართ, ისტორიულ ადგილებზე ყოველთვის ჩნდება წარსულის ხელშეხებადობიხ დამატებითი პრობლემა, პრობლემა, რომელიც მეტია, ვიდრე შემორჩენილი და დაკარგული ისტორიული ქსოვილი.

## *ძეგლების გადაადგილება*

ძეგლების გადაადგილება რეკონსტრუქციის ცნების ნაწილს წარმოადგენს. იშვიათ შემთხვევებში გადაადგილება ტექნიკურად შეიძლება შესაძლებელი იყოს დემონტაჟისა და ხელახალი აგების გარეშე, მაგალითად, მცირე შენობების შემთხვევებში, როგორიცაა ბაღის პავილიონი, რომელიც შეგვიძლია გადავაადგილოთ მის ქვეშ ფიცრის შედებით. მაგრამ ყოველი გადაადგილებისას იკარგება ძეგლისა და მისი გარემოცვისა და გარემოს მნიშვნელოვანი კავშირი, მის მდებარეობასთან დაკავშირებული თვით ძეგლის ისტორიული ინფორმაციულობა. ამ კონტექსტში ვენეციის ქარტიის პარაგრაფ 7-ში აღნიშნულია: *„ძეგლი განუყოფელია იმ ისტორიისაგან, რომლის მემატიანეც იგი არის და იმ გარემოსაგან, სადაც იგი გვხვდება. მთელი ძეგლის ან მისი ნაწილის გადაადგილება არ შეიძლება ნებადართული იყოს, თუ ამას არ მოითხოვს მისი უსაფრთხოება, ან თუ ეს არ არის გამართლებული ფრიად მნიშვნელოვანი აუცილებლობის ეროვნული და საერთაშორისო ინტერესებით”.*

ამგვარად, ძეგლის შენარჩუნების თვალსაზრისით, **გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი შენარჩუნება თავდაპირველი მდებარეობის ადგილას ვეღარ ხერხდება,** თუ მას სხვა გზით ვეღარ დავიცავთ, თუ მის ნგრევას ვერაფერი შეაჩერებს. ეს ვითარება დაგვიდგება ხოლმე არა მარტო ისეთ შემთხვევებში, როდესაც, მაგ., საჭიროა ისტორიული ნაგებობების გადაადგილება მაღაროებიდან ნახშირის მოპოვების მიზნით, ან წყალსაცავის აშენებისას სოფლის დატბორვისაგან დაცვის მიზნით, არამედ როდესაც მის ადგილზე გადაწყდება აიგოს ახალი შენობა, არა აქვს მნიშვნელობა, თუ რატომ გაიცა ასეთი ნებართვა. გარდა ამისა, არსებობს იმის საფრთხეც კი, რომ ძეგლის გადაადგილების უბრალო შესაძლებლობა ახლომდებარედ გაშენებული ღია ცის ქვეშ მუზეუმში, ჩათვლილი იქნება მისი დანგრევის გამართლებად. გადაადგილება უმეტესად ეხება სოფლის შენობებს და სასოფლო-სამეურნეო ნაგებობებს, არა მარტო ღია ცის ქვეშ მუზეუმში გადასატანად, არამედ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე. პირველი მოთხოვნა ასეთ შემთხვევებში არის გარანტია, რომ ისტორიული ნაგებობა, მიუხედავად იმისა, რომ შორდება თავის თავდაპირველ გარემოს, ხელახლა აგებული იქნება იმდაგვარივე ტოპოგრაფიულ გარემოში და, შეძლებისდაგვარად, პირვანდელის მსგავს მიდამოში.

და ბოლოს, გადაადგილების უმთავრესი პირობაა ის, რომ ისტორიული ნაგებობა ე.ი. თავდაპირველი ქსოვილი (ან ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტების უმეტესობა მაინც) რეალურად შესაძლებელია იყოს გადაადგილებული. ამგვარად, სუფთა ტექნიკური მიზეზების გამო, ჭეშმარიტი გადაადგილება ეხება ხის ნაგებობებს, კერძოდ კი შენობების ტიპს, რომლებიც წინა საუკუნეებშიც გადაჰქონდათ ხოლმე. მათი კონსტრუქციის ბუნება ხელს უწყობს ძელური შენობების დემონტაჟს, ტრანსპორტირებას და რეკონსტრუქციას. გარკვეულ პირობებში თლილი ქვის ნაგებობაც შეიძლება გადაადგილებულ იქნეს, მაგრამ ყოველი ქვა ცალ-ცალკე და წყობის ყოველი ჰორიზონტალური რიგი ცალ-ცალკე. ამის საპირისპიროდ, მასიური შენობების გადაადგილება ჩვეულებრივ, აზრს მოკლებულია, რადგან მობათქაშებული დუღაბიანი წყობის კედელი საუკეთესო შემთხვევაში, შეიძლება ხელახლა აშენებული იყოს თავდაპირველი მასალის ნაწილობრივ გამოყენებით. იგივე პრინციპები, რაც მიესადაგება სხვა ისტორიული ნაგებობების შეკეთებას – რაც შეეხება ავთენტური მასალების გამოყენებას, ტექნოლოგიებს, ოსტატობას და კონსერვაციულ მკურნალობას – ასევე მნიშვნელოვანია შეკეთების და შევსების სამუშაოებისათვის, რაც გარდაუვალად აუცილებელია გადაადგილებული ნაგებობისათვის. ნაგებობის თავდაპირველი მდგომარეობის მეცნიერული დოკუმენტაცია და ჩანაწერები წარმოადგენს მართებული დემონტაჟისა და ხელახალი აშენების უმთავრეს პირობას.

## IV. არქეოლოგიური მემკვიდრეობის, ისტორიული რაიონების (ანსამბლების) და სხვა კატეგორიის ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების შენარჩუნების პრინციპები

ვენეციის ქარტია ეხება ყველა სახის ძეგლებს და ღირსშესანიშნავ ადგილებს, რაც, მაგალითად, 1972 წლის მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის 1 პარაგრაფში განმარტებულია როგორც კულტურული მემკვიდრეობა. ამ ქარტიის საფუძველზე მოგვიანებით შემუშავდა სხვა ქარტიები და პრინციპები ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების ინდივიდუალური კატეგორიებისათვის. ვენეციის ქარტიამ მთელი პარაგრაფი მიუძღვნა ძეგლის მხოლოდ ერთ კლასიკურ კატეგორიას, სახელდობრ, არქეოლოგიურ მემკვიდრეობას (პარაგრაფი 15 „გათხრების“ შესახებ), რისთვისაც 1990 წელს იკომოს-ის გენერალურმა ასამბლეამ ლოზანაში მხარი დაუჭირა არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის და მენეჯმენტის ქარტიას. წყალქვეშა არქეოლოგიური მემკვიდრეობისათვის ეს ქარტია შევსებული იყო წყალქვეშა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მენეჯმენტის ქარტიით, რომელიც რატიფიცირებული იყო 1996 წელს იკომოს-ის გენერალური ასამბლეის მიერ სოფიაში. შემდგომში ჩვენ აღარ შევეხებით წყალქვეშა არქეოლოგიის საკითხებს, რაც დეტალურადაა აღწერილი იმ ქარტიაში.

### *არქეოლოგიური ძეგლები და ღირსშესანიშნავი ადგილები*

არქეოლოგიური ძეგლები და ღირსშესანიშნავი ადგილები წარმოადგენს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის იმ ნაწილს, რომელიც შეისწავლება არქეოლოგიური მეთოდების გამოყენებით; უმეტესწილად მიწის ან წყლის ქვეშ დამალული, ისინი წარმოადგენს კაცობრიობის ათასწლეულების ისტორიის შეუცვლელ წყაროს. არქეოლოგიური მემკვიდრეობის კონსერვაციაში აქ იგულისხმება „სხვადასხვა ნაკვალევის უსაფრთხოების უზრუნველყოფა“ და არა „საგანძურების თხრა.“ მკაცრი დიფერენციაცია არქეოლოგიურ და არქიტექტურულ ძეგლებს შორის ყოველთვის მართებული არ არის, რადგან არქეოლოგიური ძეგლები ხშირად შედგება მიწის ქვეშ დამალული შენობის ნაწილებისაგან: როგორიცაა ქვის ან ხის კონსტრუქციები, კედლის ნარჩენები, მოხატული იატაკები და სხვ., ისევე როგორც ძველი გამართულობებისაგან შემორჩენილი ნაწილები. და მართლაც, გარკვეულ დონემდე არქეოლოგიური განათხარი შეიძლება გადაიქცეს არქეოლოგიურ ძეგლად და მიიღოს არქიტექტურული ძეგლის სახე, მაგალითად, თუ ციხე-სიმაგრის კომპლექსის შემადგენლობაში გამოვლინდება ნანგრევების ნარჩენები, რაც შემდგომ შესაბამისად იქნება კონსერვირებული. მეორე მხრივ, მრავალი არქიტექტურული ნაგებობა და ქალაქის რაიონებიც კი იმავე დროს წარმოადგენს არქეოლოგიურ ზონებს, მიწის ქვეშ დარჩენილი უფრო წინამორბედი შენობების გამო.

იმის გამო, რომ სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლები დამალულია მიწის ან წყლის ქვეშ, შემუშავდა წინასწარი კვლევის, გათხრების წარმოების და დოკუმენტაციის შედგენის სპეციალური მეთოდები მათი აღნუსხვის და შესწავლის მიზნით. კვლევის მეთოდები მოიცავს ველის დათვალიერებას და იმ მასალის შეგროვებას, რაც საშუალებას მოგვცემს მოინიშნოს არქეოლოგიური ზონები (ტოპოგრაფიული არქეოლოგიური კვლევა), აერო ფოტოგრაფირებას და ცოტა ხნის წინ განვითარებულ გეოფიზიკურ კვლევის მეთოდებს (მაგნეტომეტრია). წინასწარი კვლევის ეს მეთოდები, რომლებიც აქ უფრო დეტალურ აღწერას არ საჭიროებს, მჭიდროდ არის დაკავშირებული არქეოლოგიური მემკვიდრეობის შენარჩუნების უპირველეს მოთხოვნასთან და პრინციპთან: იმ ქვეყანაში, რომელიც მას მიმართავს ამ მეთოდების გამოყენებით არქეოლოგიური ძეგლების კვლევა უნდა შესრულდეს ძალზე ზუსტად და შეძლებისდაგვარად ფართოდ. როგორც ძეგლის შენარჩუნების ყველა სფეროში, **არსებული მასალის წინასწარი კვლევა წარმოადგენს მისი შენარჩუნების წინაპირობას.**

რა თქმა უნდა, ვენეციის ქარტიის ძირითადი პრინციპები ძალას არქეოლოგიური მემკვიდრეობის შენარჩუნების კერძო პირობებისთვისაც ინარჩუნებს. არქეოლოგიური ძეგლები და ღირსშესანიშნავი ადგილები უნდა შენარჩუნებული იყოს in situ და შეძლებისდაგვარად ხელუხლებლად: ისინი უნდა იყოს მოვლილი, დაკონსერვებული და გარკვეულ შემთხვევებში რესტავრირებული. ვენეციის ქარტიის პარაგრაფი 15 ცალკე ეხება არქეოლოგიას: *გათხრები უნდა ჩატარდეს მეცნიერული სტანდარტების და 1956 წელს იუნესკო-ს მიერ მიღებული რეკომენდაციის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს არქეოლოგიური გათხრებისათვის აუცილებელ საერთაშორისო პრინციპებს. ნანგრევები უნდა იყოს შენარჩუნებული და მიღებული უნდა იყოს აუცილებელი ზომები არქიტექტურული ელემენტების და აღმოჩენილი ობიექტების ხანგრძლივი კონსერვაციისა და დაცვისათვის. უფრო მეტიც, ყველა ძალა უნდა იყოს ნახმარი, რომ ხელი შევუწყოთ ძეგლის გაგებას და გამოვავლინოთ იგი, მისი საზრისის დამახინჯების გარეშე.*

არქეოლოგიური გათხრებისათვის მისადაგებული საერთაშორისო პრინციპების თაობაზე იუნესკო-ს ზემოხსენებული რეკომენდაციის მიხედვით, რომელიც გამოსცა გენერალურმა კონფერენციამ

ნიუ დელიში, 1956 წლის 5 დეკემბერს, არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის საუკეთესო პირობები მოითხოვს გათხრების კოორდინაციას და ცენტრალიზებულ დოკუმენტაციას თითოეული ქვეყნის შესაბამისი ოფიციალური ხელისუფლების მიერ, საერთაშორისო თანამშრომლობის გათვალისწინებით; თავიდან უნდა იყოს აცილებული უნებართვო გათხრები და მათ შედეგად აღმოჩენილი ობიექტების ექსპორტი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათხარი მასალის შენარჩუნება და მისი დაცვა ცენტრალურ, თუ რეგიონალურ კოლექციებსა და მუზეუმებში გათხრების ტერიტორიაზე, ან იმ კოლექციებში, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია გათხრების ადგილებთან. და მაინც, 1956 წლის რეკომენდაცია მკაფიოდ არ განსაზღვრავს, რომ გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალა, ზუსტად ისევე, როგორც შემთხვევითი აღმოჩენები, წარმოადგენს მხოლოდ ნაწილს ძეგლისა, რომელიც მრავალწახნაგოვანი ისტორიული ურთიერთკავშირების განსხეულებას წარმოადგენს; ძეგლის შენარჩუნების თანამედროვე პრაქტიკის, როგორც „ნაკვალევების უსაფრთხოების ყოველმხრივი უზრუნველყოფის“ მიზანია შევინარჩუნოთ ეს მთლიანობა იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია. მაგრამ კარგა ხნის მოძველებული აზრი, რომ არქეოლოგია არაფერია, თუ არა უბრალოდ „განძის თხრა“, თითქოსდა ჯერაც გამოკრთის ძეგლთა დაცვის თანამედროვე კანონების შესაბამის პარაგრაფებში.

1956 წლის რეკომენდაციაში გამოტოვებულია არქეოლოგიური მემკვიდრეობის შენარჩუნების თანამედროვე მეთოდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი: განსხვავება იმ გათხრებს შორის, რომლებიც ტარდება სუფთა მეცნიერული თვალსაზრისით და გადაუდებელი **საგანგებო ან გადარჩენის მიზნით ჩატარებული გათხრები,** რაც ბევრ ქვეყნებში წესად იქცა, რადგან არქეოლოგიურ ძეგლებს სულ უფრო ხშირად საფრთხე ისეთ ზომაზე ემუქრება, რაც წინა ათწლეულებში ნაკლებად წარმოსადგენი იყო. აღმოუჩენელი არქეოლოგიური ძეგლების განადგურების მიზეზები არა მარტო კერძო სამშენებლო პროექტებია, არამედ ეგრეთ წოდებული „მიწის შეწუხება“, გამოწვეული საზოგადოებრივი სამუშაოებით, გიგანტური არქიტექტურული და სამოქალაქო საინჟინრო პროექტებით, ახალი სატრანსპორტო საშუალებებით და განსაკუთრებით ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებით, რასაც თან სდევს ნიადაგის ეროზია. სხვა თუ არაფერი, ისტორიული ნაგებობების შენარჩუნების პროექტებთან ერთად მაინც უნდა იყოს მიღებული ზომები, რათა თავიდან ავიცილოთ ნიადაგში ინტერვენცია; ამის ტიპიურ მაგალითად გამოდგება რელიგიური ნაგებობის იატაკის ქვეშ “terra sancta” -ს ხელუხლებლად დატოვება – ნიადაგი, რომელიც თითქმის ყოველთვის წარმოადგენს არქეოლოგიის ინტერესს, მაგრამ ხშირად საფრთხეშია თანამედროვე გათბობის სისტემების გაყვანის გამო.

ყოველი მხრიდან დამუქრებული საშიშროებების პირისპირ, რაც მრავალ ქვეყანაში მოჭარბებული გადაუდებელი გათხრების და გადარჩენის ღონისძიებების გამომწვევი მიზეზი ხდება – თანაც ისეთი რაოდენობით, რომ შეუძლებელია მათი მკაცრი მეცნიერული სტანდარტების თანახმად ჩატარება, – **არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვისა და მენეჯმენტის ქარტია (ლოზანის ქარტია)** პირველად განსაზღვრავს ყოვლისმომცველად არქეოლოგიური მასალის შენარჩუნების პირობებს, მიზნებსა და პრინციპებს. ძალმოსილება კონსერვაციის ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპის – ძეგლების შენარჩუნება რამდენადაც შესაძლებელია ხელუხლენლად თავიანთ თავდაპირველ ადგილებზე – არქეოლოგიური ძეგლებისათვისაც ხაზგასმულია პარაგრაფ 6-ში: *არქეოლოგიური მემკვიდრეობის მენეჯმენტის მთავარი მიზანი უნდა იყოს ძეგლების შენარჩუნება თავიანთ ადგილებზე, მათთან დაკავშირებული ყველა ჩანაწერების, კოლექციებისა და სხვათა ხანგრძლივი შესაბამისი კონსერვაციისა და მკურნალობის ჩათვლით. მემკვიდრეობის ნებისმიერი ელემენტების ახალ ადგილზე გადაადგილება, წარმოადგენს მემკვიდრეობის შენარჩუნების პრინციპის დარღვევას. ეს პრინციპი ყურადღებას ამახვილებს სათანადო მოვლის, კონსერვაციის და მენეჯმენტის საჭიროებაზე. დეკლარირებულია აგრეთვე პრინციპი, რომლის თანახმად არქეოლოგიური მემკვიდრეობა არ უნდა იყოს გათხრების შედეგად წარმოჩენილი ან მათ შედეგად საფარის გარეშე მიტოვებული, თუ გათხრების დამთავრების შემდეგ არ არის გარანტირებული მათი მოვლა და მენეჯმენტი.* ეს უკანასკნელი პრინციპი ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას, თუ მხედველობაში მივიღებთ რა ხალისით – საერთაშორისო დონეზე – ტოვებენ გაშიშვლებულ არქეოლოგიურ ტერიტორიებს *სათანადო მოვლის, კონსერვაციის* და *მენეჯმენტის გარეშე,* საიმოსოდ მხოლოდ, რომ მათ თავს ტურიზმის გამანადგურებელი ზემოქმედება დაატყდეს.

ლოზანის ქარტია მკაფიოდ განასხვავებს აგრეთვე სხვადასხვა საშიშროებებით ფორსირებულ აუცილებელ, სასწრაფო ღონისძიებებსა და სუფთა მეცნიერული მიზნებით ჩატარებულ გათხრებს; ეს უკანასკნელი სხვა მიზნებსაც შეიძლება ემსახურებოდეს, მაგ., არქეოლოგიური ტერიტორიის უკეთ წარმოჩენას. პარაგრაფ 5-ის თანახმად, *გათხრები უნდა ჩატარდეს იმ ადგილებში და იმ ძეგლებზე, რომელთაც ემუქრებათ: განვითარების, მიწის სხვაგვარი გამოყენების, ძარცვის ან ბუნებრივი პირობების გაუარესების საშიშროება.* როდესაც არქეოლოგიური ტერიტორია დასაღუპადაა განწირული, რადგან ვერც ერთმა დაცვითმა ღონისძიებამ ვერ გაამართლა ან ვერ იქნა განხორციელებული, მაშინ, რა თქმა უნდა, გათხრები უნდა შეძლებისდაგვარად დიდი გულისყურით და ფართოდ ჩატარდეს. ამასთან შედარებით, სუფთა მეცნიერული მიზნებით ჩატარებული გათხრები ისეთი ძეგლებისა, რომელთაც არ ემუქრება რაიმე საშიშროება, დეტალურად უნდა იყოს დასაბუთებული; ლოზანის ქარტიაში ეს სრულიად მკაფიოდაა განსაზღვრული *როგორც გამონაკლისი შემთხვევები: გამონაკლისს შემთხვევებში*

*გათხრების ჩატარება შესაძლებელია იმ ღირსშესანიშნავ ადგილებში, რომელთაც არ ემუქრება რაიმე საფრთხე, რათა შუქი მოფინო კვლევით პრობლემებს, ან მოიძებნოს მათი უკეტესი ინტერპრეტაცია, საზოგადოებისთვის მათი წარდგენის მიზნით. ასეთ შემთხვევებში გათხრებს წინ უნდა უძღვოდეს ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელობის ღრმა მეცნიერული შეფასება. გათხრები ნაწილობრივი უნდა იყოს, ისე, რომ მეორე ნაწილი ხელუხლებელად დარჩეს მომავალი კვლევისათვის.* ამგვარად, მაქსიმალურად უნდა მოვერიდოთ ინტერვენციას იმ არქეოლოგიურ ტერიტორიებზე, რომელთაც არ ემუქრება რაიმე საშიშროება, ან შესაძლებელია ამ საფრთხეების ჩვენ ხელთ არსებული კანონიერი საშუალებებით თავიდან აცილება. გამონაკლისია ის შემთხვევები, როდესაც არქეოლოგიური ტერიტორიის ნაწილის გათხრებით შესწავლას შეუძლია გადაჭრას სპეციფიკური მეცნიერული პრობლემები, ან უნდა მოხდეს მნახველებისთვის გათხრების რაიონის სამეცნიერო და დიდაქტიკური მიზნებით მოტივირებული წარდგენა. ასეთი განსაკუთრებული გათხრების წინაპირობა ყოველთვის უნდა იყოს მნახველთათვის წარმოჩენილი გათხრების ტერიტორიის კონსერვირება და დაცვის გარანტია. თუ ამ მოთხოვნების შესრულება არ ხერხდება, მაშინ არც ასეთი „გამომზეურება“ შეიძლება იყოს გამართლებული.

ზემოთხსენებული შეზღუდვა, ისე, რომ თუ არქეოლოგიური ტერიტორია, რომელსაც საფრთხე არ ემუქრება, მხოლოდ იმდენად უნდა გაითხაროს, რამდენადაც მისი უსაფრთხოება არათუ სამეცნიერო, არამედ ძეგლთადაცვითი თვასაზრისითაცაა გარანტირებული, შეზღუდული რესურსების რაც შეიძლება გონივრული გამოყენებიდან უნდა გამომდინარეობდეს: ლოზანის ქარტიის პარაგრაფი 6-ის მიხედვით *ხელმისაწვდომი რესურსების გარდაუვალი შეზღუდულობის გამოისობით, აქტიური მოვლა უნდა ტარდებოდეს შერჩევის საფუძველზე.* უფრო მეტიც, უკიდურესი თავშეკავების მთავარი მიზეზი არის ის, რომ ყოველი გათხრა, გულისხმობს განადგურებას: *იმდენად რამდენადაც გათხრები ყოველთვის გულისხმობს იმ მასალის შერჩევის აუცილებლობას, რომელიც დოკუმენტირებული და დაცული უნდა იყოს სხვა ინფორმაციის დაკარგვის, ან, ზოგ შემთხვევებში, მთელი ძეგლის განადგურების ხარჯზე, გათხრების ჩატარების გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ სერიოზული განსჯის შედეგად* (პარაგრაფი 5). რაც შეეხება გათხრებს, რომლებიც მოტივირებულია სუფთა მეცნიერული ინტერესებით, ხანდახან შესაძლებელია ინტერვენციის შეზღუდვა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შედეგს შეგვიძლია ჩვეულებრივი ჰორიზონტალურ-სტრატიგრაფიული მეთოდის გამოუყენებლად მივაღწიოთ, ვიწრო ზოლის გათხრით; მაგალითად, წრიული კედლის ერთ სექტორს შეუძლია მოგვცეს მთელი საჭირო ინფორმაცია. ასეთი მიდგომით არქეოლოგიური ძეგლი უმეტეს შემთხვევებში ხელუხლებელი რჩება და დაცულია in situ, რაც საშუალებას იძლევა მომავალში ჩატარდეს კვლევები გაუმჯობესებული მეცნიერული მეთოდების გამოყენებით. იუნესკო-ს 1956 წლის რეკომენდაციამ უკვე წამოაყენა თავისი წინადადება ამ საკითხთან დაკავშირებით: *ყოველი წევრი სახელმწიფო მხარს უნდა უჭერდეს სხვადასხვა პერიოდის გარკვეული რაოდენობის არქეოლოგიური ძეგლების ნაწილობრივ თუ მთლიანად ხელუხლებლად დატოვებას, იმ მიზნით, რომ მათი მომავალი გათხრები ჩატარდეს გაუმჯობესებული ტექნიკით და უკეთესი არქეოლოგიური ცოდნით. ყველა დიდ გათხრებზე, რომლებიც ახლა მიმდინარეობს, ქვეყნის ბუნების და კვალად, ის რაიონები, რომლებიც მკაფიო "მოწმობად" გამოდგება, რამოდენიმე ადგილას გაუთხრელად უნდა იყოს დატოვებული იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს გათხრების სტრატიგრაფიის და არქეოლოგიური სტრუქტურის საბოლოო ვერიფიკაცია.*

ამ კონტექსტში ლოზანის ქარტიის პარაგრაფი 5 ეხება მნიშვნელოვან საბაზისო პრინციპს, რომელიც უნდა გამოყენებული იყოს ისეთი ტერიტორიების მიმართ, რომელთაც საშიშროება არ ემუქრება; პრინციპს, რომელიც ყველაფერთან ერთად ხელს უწყობს არადამანგრეველი საცდელი მეთოდების გამოყენებას ფართომასშტაბიანი გათხრების ადგილებში: *ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ინფორმაციის მოპოვებამ არქეოლოგიური მემკვიდრეობის შესახებ არ უნდა გაანადგუროს უფრო მეტი არქეოლოგიური მოწმობა, ვიდრე ამას მოითხოვს დაცვითი ან სამეცმიერო კვლევის მიზნები. აქედან გამომდინარე, ყოველნაირად ხელი უნდა შევუწყოთ არადამანგრეველ ტექნოლოგიებს, მიდამოს და ნიადაგის შესწავლას და საცდელ სამუშაოებს ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელი იქნება და არა ფართომასშტაბიან გათხრებს.*

პრინციპები, რომლებიც მნიშვნელოვანია ძეგლის შენარჩუნებისათვის ზოგადად, ასევე მიესადაგება არქეოლოგიური გათხრებსა და არტეფაქტების შენარჩუნებასაც. ხშირად ობიექტების ძალზე ფრაგმენტული მდგომარეობა საშუალებას გვაძლევს შემოვიფარგლოთ კონსერვაციით, რესტავრაციისა და რენოვაციის ნაცვლად; დასრულების სამუშაოები ტარდება ან ძალზე ძუნწად, ან სულაც არა. შეკეთების და რეაბილიტაციის სხვა პრობლემები, რომლებიც წარმოიშვება არქიტექტურულ ძეგლებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ისტორიული შენობის თანამედროვე მიზნებით გამოყენების დროს, არქეოლოგიური მემკვიდრეობის მენეჯმენტისას უმეტეს შემთხვევებში მოკლებულია რაიმე მნიშვნელობას. როდესაც ავთენტური ფრაგმენტის შევსება მართებულად გვეჩვენება, შესაძლებელი უნდა იყოს შესრულებული სამუშაოს გარჩევა, მაგალითად, დაკავშირების ადგილის ან ფენის გამოყოფით, ან აგურის განსხვავებული ზომით. მაგალითად, ქვის წყობის დამატებითი ფენები, შესრულებული იმ მიზნით, რომ ხელახლა გამოჩნდეს შუა საუკუნეების ეკლესიის გეგმა, ასევე შეიძლება ემსახურებოდეს გათხრების შედეგად აღმოჩენილი თავდაპირველი საძირკველის შენარჩუნებას; ოღონდ, მათ არ უნდა შეცვალონ

ორიგინალი. სინამდვილეში, ზოგიერთი გათხრილი ადგილი, მიტოვებული კედლები, რომელთა ნარჩენები თანდათან იშლება, ბევრად უფრო კარგ მდგომარეობაში იქნებოდა, ახალად რომ დაიფაროს მიწის დამცველი ფენით.

ხშირად არქეოლოგიურ ძეგლებს მნახველებს წარუდგენენ, როგორც „ხილულ ისტორიას", ნაწილობრივი, თუ სრული რეკონსტრუქციის დახმარებით, რაც მართებული მიდგომაა მანამ, სანამ ისტორია არ არის გაყალბებული და თავდაპირველი ნარჩენები – ფაქტიური ძეგლი – არ არის გადაადგილებული. და მართლაც, ზოგ შემთხვაში რეკონსტრუქცია, რომელიც ყოველთვის უნდა ამოიცნობოდეს როგორც რამ ახალი, შეიძლება აგებული იყოს სხვა ადგილას, ისე რომ იგი საფრთხეს არ უქმნიდეს არსებულ ნარჩენებს. ამ კონტექსტში ლოზანის ქარტიის პარაგრაფი 7 აცხადებს, რომ *რეკონსტრუქცია ემსახურება ორ ძირითად ფუნქციას: ექსპერიმენტალურ კვლევას და ინტერპრეტაციას. და მაინც, იგი შესრულებული უნდა იყოს დიდი სიფრთხილით, ისე რომ ავირიდოთ შემორჩენილი არქეოლოგიური მოწმობათა ხელყოფა, ხოლო ავთენტურობის მისაღწევად კი გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა წყაროდან მოპოვებული მოწმობანი. თუ ეს შესაძლებელი და შესაფერისია, რეკონსტრუქცია უშუალოდ არქეოლოგიურ ნაშთებზე არ უნდა დაშენდეს და უნდა ამოიცნობოდეს როგორც ასეთი.*

რეკონსტრუქციის განსაკუთრებული ნაირსახეობა, **ანასტილოზი,** კლასიკური არქეოლოგიის სფეროში განვითარებული მეთოდი, თუმცა მოგვიანებით ასევე ნაწილობრივ დანგრეული ძეგლებისთვის გამოყენებული), განხილულია ვენეციის ქარტიის პარაგრაფ 15-ში: *რეკონსტრუქციის ყველანაირი სამუშაოები იმთავითვე უნდა გამირიცხოს. მხოლოდ ანასტილოზი, ანუ არსებული განცალკავებული ნაწილების ხელახალი მონტაჟი, შეიძლება იყოს ნებადართული. ინტეგრაციისათვის გამოყენებული მასალა ყოველთვის საცნობი უნდა იყოს, ხოლო მისი ოდენობა უნდა შეესამებოდეს იმ მინიმუმს, რაც უზრუნველყოფს ძეგლის კონსერვაციას და მისი ფორმის აღდგენას.* ამ მეთოდის შესაბამისად თლილი ქვის ნაგებობის ფრაგმენტები – მაგალითად, ბერძნული ტაძარი – აღმოჩენილი მიწაზე, ან მის ქვეშ, შეიძლება კვლავ შეერთებულ იქნეს; თავდაპირველ კონფიგურაციას განსაზღვრავს ადგილი, ნამუშავების კვალი, ხის სამაგრების ფოსოები და სხვ. თუ საძირკველი კვლავ არსებობს, ის გამოიყენება იმავე ადგილას. ასეთი აღდგენა მოითხოვს ნაგებობის შესწავლის წინასწარ სამუშაოებს: ნაგებობის ყველა შემორჩენილი კომპონენტის ინვენტარიზაციას, შემდეგ მათ გაანალიზებას და ზუსტად აზომვას, რაც აისახება რეკონსტრუქციის ნახაზში, რომელსაც მცირეოდენი ხარვეზი შეიძლება ჰქონდეს, ისე რომ ანასტილოზისას შესაძლებელი გახდება შეცდომების თავის არიდება. ასევე უნდა შემუშავდეს ტექნიკური გეგმა ხელახალი მონტაჟის დროს დაზიანებების ასაცილებლად და კონსერვაციის ყველა ასპექტის, მათ შორის, გამოქარვის გათვალისწინებით. და ბოლოს, განხილული უნდა იყოს ანასტილოზის დიდაქტიკური გეგმა, სადაც მომავალში ტურისტების მიერ ობიექტის გამოყენებაზეც უნდა ვიზრუნვოთ.

იმისთვის რომ ორიგინალური ფრაგმენტები – კაპიტელი, ანტაბლემენტის ნაწილი, ფრონტონი და ა.შ. – მათ თავდაპირველ ადგილებზე და თავდაპირველ კონტექსტში ვაჩვენოთ, როგორც ანასტილოზის ნაწილი, რა თქმა უნდა, საჭიროა მეტ-ნაკლებად დიდი რაოდენობის დროებითი ნაგებობები. ფრაგმენტები ანასტილოზისში ექვემდებარება მხოლოდ კონსერვაციას და მიწოდებული უნდა იყოს, როგორც ორიგინალები; ისინი არ არის შევსებული, როგორც ეს ხდება რეკონსტრუქციის დროს, ან ჩართული ნაწილობრივ თუ მთლიან რეკონსტრუქციაში. ანასტილოზი შეუძლებელი ხდება, თუ ორიგინალური ფრაგმენტები მეტისმეტად მწირეა და დამხმარე ნაგებობაზე ერთგვარ „მოსართავადღა" გამოჩნდებოდა. ანასტილოზი, მიდგომა, რომელიც გარკვეულ პირობებში მართლაც ემსახურება თავდაპირველი მასალის დაცვას, ასევე წარმოაჩენს ფრაგმენტის განსაკუთრებულ როლს არქეოლოგიური მემკვიდრეობის შენარჩუნებისას.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს **არქეოლოგიური ძეგლების ყოველმხრივი აღნუსხვისა და ინვენტარიზაციის აუცილებლობა, როგორც არქეოლოგიური მემკვიდრეობის შენარჩუნების ძირითადი მოთხოვნა,** რაც განხილულია ლოზანის ქარტიის პარაგრაფ 4-ში: *არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვა უნდა ემყარებოდეს მისი მასშტაბების და რაობის შესაძლო ყოველმხრივ ცოდნას. შესაბამისად, არქეოლოგიური სიმდიდრის ზოგადი შესწავლა წარმოადგენს ძირითად სამუშაო იარაღს არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის სტრატეგიის შემუშავებისათვის. აქედან გამომდინარე, წინასწარი არქეოლოგიური კვლევა უნდა იყოს მთავარი ვალდებულება არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვასა და მენეჯმენტისათვის.* პარაგრაფ 5-ის თანახმად, ამაში შედის შესაბამისი ანგარიშები არქეოლოგიური გათხრების შედეგების შესახებ: *ანგარიში შედგენილი მიღებული სტანდარტების თანახმად ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამეცნიერო საზოგადოებისათვის და შეტანილი შესაბამის რეესტრში, გათხრების დასკვნების დასრულებიდან გონივრულ ვადებში* – სრულიად გასაგები სურვილი, თუ მხედველობაში მივიღებთ სამეცნიერო ანგარიშებს, რომლებიც „გონივრულ ვადებში" არ მოგვეწოდება და რომელთა ლოდინი ხშირად საკმაოდ დიდ ხანს გვიწევს. უფრო მეტიც, თითქმის გარდაუვალი მრავალრიცხოვანი სასწრაფო და გადარჩენის მიზნით ჩატარებული გათხრების გამო, რასაც თან სდევს უამრავი „საპუბლიკაციო ვალი" და არტეფაქსების ურიცხვი მარაგი, ნათელი უნდა იყოს, რომ ახლა, ვიდრე ოდესმე უფრო მნიშვნელოვანია დავიცვათ ჩარევისაგან ჩვენი არქეოლოგიური ძეგლები. საბოლოო ჯამში კი გათხრები შესაბამისი სამეცნირო პუბლიკაციების და აღმოჩენების კონსერვაციის გარეშე სრულიად უსარგებლოა.

კვლავ და კვლავ უნდა გაესვას ხაზი არქეოლოგიური მემკვიდრეობის მენეჯმენტისას ჩატარებული ყველა სახის სამუშაოს ყოველმხრივი დოკუმენტაციის და მეცნიერული პუბლიკაციის მნიშვნელობას. დოკუმენტაცია და პუბლიკაცია სრულიად აუცილებელია, რადგან ყოველი წარმოებული გათხრა სინამდვილეში წარმოადგენს შეუქცევად ჩარევას, რომელიც ნაწილობრივ, ან მთლიანად ანადგურებს არქეოლოგიურ ძეგლს; მართლაც, ბევრ შემთხვევაში გათხრების დასრულების შემდეგ ძეგლი, არტეფაქტების გარეშე, არსებობს მხოლოდ მეცნიერული აღწერილობების და ანალიზის ფორმით და არა როგორც დაუზიანებელი ისტორიული ქსოვილი. ამ მდგომარეობიდან გამომდინარეობს პრინციპი: **არანაირი გათხრები მეცნიერული დოკუმენტაციის გარეშე.** გარკვეული თვალსაზრისით, მეცნიერული პუბლიკაციები, რომლებიც აღწერენ მუშაობის ყოველ ეტაპს და ამით შესაძლებელს ხდიან ვირტუალურად აღვადგინოთ ძეგლი გადარჩენილ არტეფაქტებთან ერთად, უნდა შეენაცვლოს ორიგინალურ ძეგლს. გათხრების დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სხვადსხვა ეპოქების ერთმანეთზე დადებული ფენების და მშენებლობის სხვადასხვა ეტაპების შესახებ; ისტორიის თითოეული ნაკვალევი უნდა გახდეს სერიოზული განხილვის საგანი. არ შეიძლება რომელიმე ფენის ღრმა შესწავლა, ხოლო მეორეს უყურადღებოდ დატოვება; მაგალითად, კლასიკური პერიოდის არქეოლოგმა მოუფრთხილებლად არ უნდა მოაშოროს ბიზანტიური ნარჩენები, და არც პრეისტორიულ ხანაში მომუშავემ დატოვოს უყურადღებოდ შუა საუკუნეების ნარჩენები, რაც მნიშვნელოვანია ამ პერიოდით დაინტერესებული არქეოლოგისათვის.

ნათელია, რომ ყველა ისტორიული ეპოქის **განათხარ არტეფაქტებს უნდა ჩაუტარდეთ კონსერვაცია.** არქეოლოგიური აღმოჩენების კონსერვაცია – კერამიკული ნატეხების აღდგენა, ნესტიან მიწაში აღმოჩენილი ხის ნაკეთობების გადარჩენა, ან ჟანგისაგან პრაქტიკულად ძნელად საცნობი მეტალის არტეფაქტები, რომლებიც სწრაფად და მთლიანად განადგურდებიან კონსერვაციული მკურნალობის გარეშე – ასევე წარმოადგენს განათხარი მასალის მართებულად გამოქვეყნების აუცილებელ წინაპირობას. შემდგომში, მას შემდეგ რაც ჩატარდება მათი მეცნიერული მკურნალობა, არტეფაქტების ერთმანეთთან დაკავშირებული ჯგუფები კი არ უნდა გავაცალკევოთ და მიმოვფანტოთ სხვადასხვა კოლექციებში, არამედ უნდა მოვათავსოთ კონკრეტული რაიონის მახლობელ მუზეუმში ისე, რომ შენარჩუნებული იყოს მნიშვნელოვანი კავშირი ძეგლის თავდაპირველი მდებარეობის ადგილთან რაღაც ზომამდე მაინც.

## *ისტორიული რაიონები (ანსამბლები)*

ვენეციის ქარტია განსაზღვრავს ძეგლებსა და ღირსშესანიშნავ ადგილებს ფართო გაგებით და დაწვრილებით განიხილავს არა მარტო ცალკეულ ძეგლებს, არამედ მათ გარემომცველ პირობებსაც: პარაგრაფ 1-ში ნათქვამია, რომ *ისტორიული ძეგლის კონცეპცია გულისხმობს არა მარტო არქიტექტურულ ნამუშევარს, არამედ ქალაქის თუ სოფლის გარემოს...*, რაც პარაგრაფ 6-თან ერთად (*სადაც კი არსებობს ტრადიციული გარემო, იგი დაცული უნდა იყოს*) შეიძლება გაგებული იყოს, როგორც მითითება **ანსამბლის დაცვაზე.** ვენეციის ქარტიაში ანსამბლების დაცვა ჯერ არ თამაშობს გადამწყვეტ როლს, რაც მიღებულია 1975 წლის ევროპული მემკვიდრეობის კონსერვაცია/შენარჩუნების თეორიაში. უფრო მეტიც, პარაგრაფი 14 „ისტორიული ღირსშესანიშნავი ადგილების“ შესახებ მიუთითებს, რომ როდესაც საქმე ეხება კონსერვაციასა და რესტავრაციას, ვენეციის ქარტიის იგივე პარაგრაფები ეხება ცალკეულ ძეგლებს: *ძეგლების გარემო უნდა იყოს განსაკუთრებული მოვლის საგანი იმ მიზნით, რომ უზრუნველვყოთ მისი მთლიანობის უსაფრთხოება და დავრწმუნდეთ, რომ ეს გარემო დასუფთავებულია და ლამაზად გამოიყურება. ასეთ ადგილებში ჩატარებული საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოები მოტივირებული უნდა იყოს იმ პრინციპებით, რომლებიც ფორმულირებულია წინა პარაგრაფებში.* აქ „ძეგლის მიდამოებში“ იგულისხმება არა მარტო არქეოლოგიური ტერიტორიები, არამედ შენობების ჯგუფები, ანსამბლები, დიდი თუ პატარა ისტორიული რაიონები, ისტორიული სოფლები და ქალაქები. იმაზე, რომ ვენეციის ქარტიის ავტორებს კარგად ესმოდათ ისტორიული ცენტრების პრობლემები, მიუთითებს 1964 წელს ისტორიული ძეგლების არქიტექტორებისა და ტექნიკური მუშაკების იმავე საერთაშორისო კონგრესის მიერ განცხადებული „მოძრაობა ისტორიული ცენტრების დაცვისა და რეაბილიტაციისათვის.“ და მაინც, ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების მნიშვნელოვანი კატეგორიის მიმართ ქარტიაში გაკეთებული იშვიათი მითითებების შუქში, ისტორიული ქალაქების და ქალაქური რაიონების კონსერვაციის ქარტია (ვაშინგტონის 1987 წლის ქარტია), მიღებული იკომოსი-ს გენერალური ასამბლეის მიერ ვაშინგტონში, წარმოადგენდა მნიშვნელოვან აუცილებელ ნაბიჯს, გადადგმულს *ასეთი ქალაქების და რაიონების დაცვის, კონსერვაციისა და რესტავრაციისათვის, ისევე როგორც მათი განვითარებისა და ჰარმონიული ადაპტაციისათვის თანამედროვე ცხოვრებაში.* გარდა სხვა საერთაშორისო დოკუმენტებისა, ამ დოკუმენტს წინ უძღვოდა იუნესკო-ს რეკომენდაცია ისტორიული რაიონების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და თანამედროვე როლის შესახებ (ვარშავა-ნაირობი, 1976).

### *ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების სხვა კატეგორიები*

კიდევ ერთი აუცილებელი დამატება, რაც გულისხმობს ძეგლების იმ კატეგორიებს, რომელნიც არ არის სათანადოდ აღნიშნული ვენეციის ქაეტიაში, განხილულია 1981 წლის ფლორენციის ქარტიაში და ეხება ისტორიული ბაღების შენარჩუნებას: *როგორც ძეგლი, ისტორიული ბაღი უნდა შენარჩუნებული იყოს ვენეციის ქარტიის სულისკვეთების თანახმად. თუმცა, რადგან იგი წარმოადგენს ცოცხალ ძეგლს, მისი მოვლა-პატრონობა უნდა ტარდებოდეს განსაკუთრებული წესების მიხედვით, რაც წარმოადგენს მოცემული ქარტიის განხილვის თემას* (ფლორენციის ქარტია, პარაგრაფი 3). სოფლის ნაგები მემკვიდრეობის ქარტია, რატიფიცირებული იკომოს-ის გენერალური ასამბლეის მიერ მეხიკოში, 1999 წელს, ასევე მიჩნეული უნდა იყოს ვენეციის ქარტიის დამატებად. უფრო მეტიც, ახლო მომავალში უნდა მოველოდეთ, რომ იკომოს-ი და მისი საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტები მიიღებენ ქარტიებს, რომლებიც შეეხება კულტურულ ლანდშაფტებს და კულტურულ მარშრუტებს და, ალბათ, ასევე „ახალი მემკვიდრეობის“ მიმდინარე საკითხებს, XX საუკუნის მემკვიდრეობას, რისი დოკუმენტაცია და შენარჩუნება სრულიად აუცილებელია.

## V. შექცევადობის არჩევანი

ტერმინი შექცევადობა, რომელიც ვენეციის ქარტიამდე არავის უხსენებია, დროთა განმავლობაში სრულიად ჩვეულებრივი გახდა ყველა სახის კონსერვაციის, რესტავრაციის და განახლების საკითხებთან და კონსერვაციისა და ძეგლის შენარჩუნების ყველა იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რაც წინა თავებშია განხილული. ფაქტია, რომ ჩვენი ძეგლები, მთელი მათი ცვლილებებით და დამატებებით, რომლებიც ისტორიული შენობის ნაწილადაა აღიარებული, წარმოადგენს ისტორიის შეუქცევადი პროცესის შედეგს. მათი „ასაკობრივი ფასეულობა“ ასევე წარმოადგენს დაძველების მეტ-ნაკლებად შეუქცევადი პროცესის შედეგს. განა შეიძლება საკამათო იყოს დაძველების „ბუნებრივი“ პროცესის (საკავნძო სიტყვა „პატინა“) შექცევადობა, ან ძეგლის გაახალგაზრდავება, მისთვის „თავდაპირველი ბრწყინვალების“ დაბრუნება, რაც ასეთი სიყვარულით არის ხოლმე აღნიშნული რესტავრაციის შემდეგ. აქ შეიძლება ვილაპაროთ მხოლოდ მდგომარეობის „არაბუნებრივი“ გაუარესების შეჩერებაზე (მაგალითად, გარემო დაჭუჭყიანების ზეგავლენის), ან საფრთხეების თავიდან არიდებაზე, და უბრალოდ ყველაფრის გაკეთებაზე იმისთვის, რომ ნებისმიერი ინტერვენცია, გამოწვეული იქნება ეს კონკრეტული საჭირო მიზეზებით, თუ გარდაუვალი აუცილებლობით, ჩატარდეს ისე, რომ იგი რამდენადაც შესაძლებელია „შექცევადი“ იყოს. „შექცევადობა“ ძეგლის შენარჩუნების საქმეში, როგორც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესაძლებლობის არჩევანი, ნიშნავს მიიღო „ნაკლები ზიანის მომტანი“ (ხანდახან უბრალოდ უფრო გონიერი) გადაწყვეტილება და თავი აარიდო შეუქცევად ინტერვენციას, რომელიც ხშირად მთავრდება ძეგლის, როგორც ისტორიული საბუთის დაკარგვით.

ამ თვალსაზრისით ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ შექცევადობის არჩევანზე ძეგლის შენარჩუნების რამდენიმე თანამედროვე პრინციპის კონტექსტში, რაც ჩამოყალიბებულია ვენეციის ქარტიაში. ძეგლის მოვლასთან მიმართებაში არსებობს ღონისძიებები, რომლებიც უწყვეტად უნდა ტარდებოდეს, და, ამგვარად, გარკვეულ დონემდე ისინი შექცევადია. შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული დონის შექცევადობა აგრეთვე გარანტირებულია შეკეთების სამუშაოების დროსაც, თუ შეკეთების მნიშვნელოვანი პრინციპები, რაც გულისხმობს ტრადიციული მასალების და ტექნოლოგიების გამოყენებას გათვალისწინებულია. მაგალითად, იმ შეკეთებების შემთხვევაში, რომელიც მომავალში კვლავ საჭირო ხდება, ან გამოწვეულია გამოყენებასთან დაკავშირებული ცვლილებებით, შეკეთების სამუშაო, რომელიც შეზღუდულია მხოლოდ აუცილებელით, უფრო შესაძლებელია იყოს შექცევადი, ვიდრე იქნებოდა ყველა კომპონენტების განახლება ახალი მასალების და ტექნოლოგიების გამოყენებით. სალაპარაკოც არ არის, რომ „თავიდან ფეხებამდე“ რეაბილიტირებული ისტორიული ნაგებობა, სადაც შეკეთების ყველა პრინციპია უგულებელყოფილი, კარგავს ისტორიული მოწმობის მნიშვნელობას, თუნდაც არ მოხდეს მისი დანგრევა. იმდენად რამდენადაც ტრადიციული შეკეთების სამუშაოები იფარგლება გაცვეთილი ძველი მასალების ახლით შეცვლით მხოლოდ ნამდვილად დაზიანებულ ადგილებში, შექცევადობის არჩევანი ძირითადად ეხება „შეკეთების შესაძლებლობის“ (განმეორებადი „შეკეთებულობა“) შენარჩუნებას. ამ თვალსაზრისით საკათედრო ტაძრის ქვების შეცვლა, რომელიც განიხილება, როგორც „უწყვეტი შეკეთების სამუშაოები“ შესაძლებელია მივიჩნიოთ „შექცევად“ ღონისძიებად (თუ იგი ორიენტირებულია არსებულ ფორმებზე, მასალებზე და ოსტატობაზე), თუმცა ბუნებრივია, რომ თავდაპირველი მასალის განუწყვეტელი კარგვა თავისთავად შეუქცევადი პროცესია.

რევერსიულობის პრინციპი ასევე იქნება ძალზე სასარგებლო სარეაბილიტაციო ღონისძიებების

შეფასებისას. მაგალითად, ტიხარი, აუცილებელი შენობის გამოყენებისათვის, შეიძლება „შექცევადად“ იყოს ჩართული, როგორც მსუბუქი კონსტრუქცია კედელსა და ჭერში სერიოზული ინტერვენციის გარეშე, და, ამგვარად, მომავალი ცვლილებების დროს შეიძლება სიძნელეების გარეშე იყოს მოშორებული. იგივე შეიძლება ითქვას ინტერიერის ზოგიერთ საჭირო აღჭურვილობაზე ისტორიულ სივრცეში (მაგალითად, კონსტრუქციის სანიტარული ელემენტები), რაც მსგავსად „ავეჯისა“ შესაძლებელია შექცევადი იყოს. ამ თვალსაზრისით ძეგლის შენარჩუნების მომხრეებმა ყოველთვის უნდა დასვან კრიტიკული კითხვა: რატომ უნდა გადაკეთდეს გადახურვის სტრუქტურა ბეტონის „კუბოს მსგავს სახურავად,“ რომელიც ტვირთად აწევს ნაგებობის მთელ კონსტრუქციულ სისტემას, რატომ უნდა იყოს ეკლესიის მთელი ფუნდამენტი შეუქცევადად შეცვლილი ბეტონით? აუცილებელია ისტორიულ ქსოვილში თავიდან ბოლომდე ჩარევა შენობის შენარჩუნებისათვის? განა არ არსებობს საკითხის გადაწყვეტის უფრო მარტივი, ნაკლებ რადიკალური და, ალბათ, უფრო გონიერი გზა? უფრო ფართო პერსპექტივაში, ახალი ნაგებობა, რომელიც მოერგება ძველი ქალაქის გარემოს, რომელსაც სარეაბილიტაციო სამუშაოები უტარდება – ზომიერი გადაწყვეტილება, დაყვანილი აუცილებელ მინიმუმამდე – უფრო შექცევადად გამოიყურება, ვიდრე ისეთი კონსტრუქცია, როგორიც არის მანქანების სადგომი, ან მრავალსართულიანი სახლი, რომელიც სამუდამოდ ანგრევს ქალაქურ სტრუქტურას და ისეთ დაზიანებებს იწვევს, რაც ძეგლის შენარჩუნების თვალსაზრისით ვეღარასდროს გამოსწორდება.

შექცევადობის პრინციპი ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს უსაფრთხოების ახალი ტექნოლოგიების სფეროშიც (ტექნოლოგიები, რომელიც კონსერვაციის მიზნებისათვის აუცილებელია მასალებისა და შენობათა შენარჩუნებისათვის), როდესაც ინტერვენცია, როგორიცაა სამაგრი დეტალები, ლურსმნები, სტატიკური დამხმარე კონსტრუქციები და სხვა ხშირად „უხილავი“, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ძალზე მნიშვნელოვანი; მაგალითად, დამხმარე კონსტრუქცია, რომლის მოხსნა მომავალში შესაძლებელია და რომელიც გამოაჩენს ექსტერიერის ქვის კედლის ისტორიულ წყობას ან გადახურვის სტრუქტურას. მეტ-ნაკლები შექცევადობის შედეგი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს თითქოსდა ხელოსნური შეკეთების დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასებისას, როგორც უსაფრთხო ახალი ტექნოლოგიების საპირწონე, განურჩევლად მისი ფასისა, ეფექტიურობის ხანგძლივობისა და ა.შ. მაგალითად, ქვიშაქვის ფიგურის გამაგრება კაჟმიწა მჟავას რთულ ეთერში ჩაწობის გზით, ან აკრილის ფისით სრული გაჟღენთვით უბრალოდ გარდაუვალი იმიტომ, რომ სხვა ალტერნატივა არ არსებობს, ან იქნებ მეტ-ნაკლებად ჰიპოთეტურ „შექცევადობას“ მივდიოთ და უმჯობესია განვიხილოთ „შეთავსებადობის“ სხვადასხვა ხარისხები? შეთავსებადი (ე.ი. რომელიც თავისი ბუნებით შეეფერება თავდაპირველ მასალას), „არადამაზიანებელი“ მასალით შეცვლის შემთხვევაში, რაც კონსერვაციის და რესტავრაციის სამუშაოების დროს ემსახურება ძეგლის გამაგრებას და შევსებას, დასაშვებია მისი, როგორც „შექცევადი“ მასალის გამოყენება.

ხელოვნების ნაწარმოებზე ჩატარებული ყველა სახის საკონსერვაციო სამუშაოების დროს – პანოებზე მხატვრობის ფენების გამაგრება, დაჭიანებული ხის ქანდაკების მკურნალობა და სხვა – გამოყენებული მასალა აუცილებლად უნდა შემოწმდეს შექცევადობის თვალსაზრისით; ხანდახან უპირატესობა ენიჭება ფრთხილი ინტერვენციით „სიცოცხლის შენარჩუნებას,“ რაც, როგორც წესი, ნაკლებად ხანგრძლივია, მაგრამ გარკვეულ დონემდე შექცევადია. ეს დამოკიდებულია იმ მასალების გამოყენებაზეც, რომლისთვისაც მუდამ ხელთაა შექცევადობის პროცედურად რაიმე სახის „შხამსაწინააღმდეგო“ საშუალება. ამგვარად, თუ ძეგლის ზედაპირზე ვლინდება არაერთი დაშავებული ადგილი, უნდა გვესმოდეს, რომ უფრო ძველი დაშავებული ადგილის „ხელახალი გამომზეურება“ ნიშნავს – შეუქცევადად – უფრო ახალი, თუმცა ასევე „ისტორიული“ დაშავებული ადგილის მოშორებას; რომ ფაქტიურად, ხელახალი გამომზეურება არ უნდა იყოს წინასწარ მიღებული გადაწყვეტილება, არამედ გამართლებული იქნება ყოველმხრივი ანალიზის შემდეგ, რაც მხარს მისცემს მას, როგორც „დიდი ისტორიული, არქეოლოგიური და ესთეტიკური ღირებულების“ მქონეს, როგორც ეს ნათქვამია ვენეციის ქარტიაში. ისეთმა „უვნებელმა“ ღონისძიებამაც კი, როგორიცაა ლაკის გაყვითლებული ფენის მოშორება, რომელიც ციკლურ განახლებით სამუშაოებთა თვალსაზრისით შესაძლოა „შექცევადად“ მოგვეჩვენოს, შეიძლება გამოიწვიოს მხატვრობის ფენის შეუქცევადი დაზიანებები. შექცევადობის მოთხოვნა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც საქმე რესტავრაციულ დამატებებს ეხება. ახალსა და ისტორიულ ქსოვილს შორის წარმოჩენილი „ნაიარევის“ სათანადო და ფრთხილი მკურნალობით ჩვენ შევძლებთ ვილაპარაკოთ თითქმის სრულ შექცევადობაზე, მაგალითად, მხატვრობის დაზიანებული ადგილის წყლის საღებავებით დაფარვა, რისი მოშორებაც შემდგომში ადვილად იქნება შესაძლებელი. ზუსტად ისევე, როგორც ჩვენ ვლაპარაკობთ შექცევადობაზე იმ თვალსაზრისით, რომ „გქონდეს ხელახალი შეკეთების საშუალება“, აქაც ჩვენი საზრუნავია ხელახალი კონსერვაციისა და რესტავრაციის შესაძლებლობა ავირჩიოთ, მაქსიმალურად მცირე დანაკარგებით.

შემთხვევითი არ არის, რომ „შექცევადობის დებატები“ ინიცირებული იყო ძირითადად ფერწერის რესტავრაციის ლიტერატურაში: სავარაუდოა, რომ ფერწერის რესტავრატორებს ყოველთვის აღიზიანებდათ თავისი კოლეგები მათთვის დაშვებული შეუქცევადი ინტერვენციით, როგორც ახლო, ისე შორეულ წარსულშიც. მაგრამ თუნდაც რესტავრაციის ისტორია ბევრ შემთხვევებში წარმოადგენდეს

გაუარესების საგანგაშო პროცესს, მან მაინც არ უნდა მისცეს თავისთავს უფლება იყოს შექცევადი „დერესტავრაციის“ თვალსაზრისით. იმედი უნდა გვქონდეს, რომ რესტავრატორი ფრთხილად მოეკიდება ახლად დადებულ საღებავის ფენას ან რაიმე დამატებებს, რაც უკვე გახდა „ისტორიული ქსოვილის“ ნაწილი, თითქოს ეს ადრე იყო გაკეთებული და ისე „შექცევადად“, როგორც დღეს ჩვენ მოვითხოვთ მსგავსი სამუშაოებისაგან – სამუშაოებისაგან, რომლებიც ღიად უნდა იყოს დატოვებული, რომ ჩვენმა მომავალმა კოლეგებმა შესძლონ შეცდომების გამოსწორება, რადგან ისინი აღჭურვილნი იქნებიან უკეთესი ტექნოლოგიებით და ალბათ, უკეთესი ცოდნით. გარდა საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოების მიმართებაში შემოთავაზებული შექცევადობის არჩევანისა, ეს მიდგომა ასევე სასარგებლო იქნება აღდგენითი სამუშაოებისასაც. ზედაპირის აღდგენა, ალბათ, არის ერთადერთი საშუალება, რომ არა მარტო შევინარჩუნოთ ძეგლის არქიტექტურული გარეგნობა, არამედ ახალი „დამცველი საფარის“ ქვეშ დავიცვათ შემორჩენილი ისტორიული ქსოვილი ისე, როგორც იგი ადრე იყო – იმ პირობით თუ ეს დამცველი საფარი (მაგალითად, საღებავის ახალი ფენის დატანა ისტორიული წყაროების შესაბამისად) შექცევადია; ე.ი. ორიგინალის განახლებადი ხელახალი წარმოჩენა იქნება ისევე შესაძლებელი, როგორც განახლებადი აღდგენა (კვლავ არსებობდეს ხელახალი აღდგენის საშუალება).

მაშინაც კი, როდესაც შექცევადობის პრინციპი კანონიერად შედის ძალაში, იგი გულისხმობს არა მთლიან შექცევადობას, არამედ მეტ-ნაკლებად ჭეშმარიტი შექცევადობის ვარიანტებს, თუ სამუშაო არ არის სრულიად შეუქცევადი და ხასიათდება, როგორც შექცევადი „გარკვეულ დონემდე.“ ამგვარად, არსებობს მკაფიო განსხვავება თეორიულად დამაჯერებელ და პრაქტიკულად განხორციელებად შექცევადობას შორის. ამ კონტექსტში ძეგლის შენარჩუნების პრაქტიკაში ძალზე სასარგებლო მიზანი შეიძლება იყოს შესაძლებლობა განმეორებით ჩატარდეს გარკვეული ღონისძიებები, როგორიცაა უკვე ზემოდ ხსენებული ხელახალი შეკეთების, ხელახალი კონსერვაციის, ხელახალი რესტავრაციის, ხელახალი აღდგენის და ხელახალი დამატებების შესაძლებლობა: ძეგლი, რომელიც უნდა გადარჩეს საუკუნეების მანძილზე, მიუხედავად მისი „ასაკობრივი ფასეულობის“ ზრდისა, ვერასდროს იქნება მხოლოდ „ერთხელ და სამუდამოდ“ შეკეთებული და რესტავრირებული, როგორც შეიძლება ვინმე შიშობდეს, გამომდინარე ჩვენი დროის „ველური“ პერფექციონიზმიდან, რასაც, ბუნებრივია არაფერი აქვს საერთო ძეგლის შენარჩუნების სფეროსთან.

და ბოლოს, ისევე, როგორც ძეგლის შენარჩუნების სხვა ხერხები, შექცევადობის შედეგი ბუნებრივია, დაქვემდებრებული უნდა იყოს კონსერვაციის პრინციპს, როგორც უმთავრეს დოგმას; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძეგლის შენარჩუნებაში ასევე უნდა არსებობდეს წინასწარ განზრახული ან გარდაუვალი შეუქცევადობა, შეუქცევადი ინტერვენცია, როგორც ძეგლის შენარჩუნების ერთადერთი საშუალება. და მაინც, გადაწყვეტილების მიღებას შექცევადობის თუ შეუქცევადობის თაობაზე წინ უნდა უძღვოდეს წინასწარი კვლევითი სამუშაოები; კვლევა, რომელიც მოიცავს სარესტავრაციო აღმოჩენებს, ისევე როგორც ნაგებობის შესწავლას, რომლის „ხელოვნებას“ უნდა ძალუძდეს მცირე უფაქიზესი ინტერვენციებით გავიდეს ფონს. უფრო მეტიც, კვლევითი სამუშაოები მომავალში კვლავ და კვლავ უნდა მეორდებოდეს, რათა ვაკონტროლოთ შედეგები და მუდმივად შევიტანოთ შესწორებები.

## VI. ძეგლის შენარჩუნების პლურალისტული მიდგომა ვენეციის ქარტიის მიღებიდან 40 წლის შემდეგ

ვენეციის ქარტიის მიღებიდან ოცდაათი წლის შემდეგ იკომოს-მა გამოაქვეყნა სამეცნიერო ჟურნალი (*The Venice Charter/ La Charte de Venise 1964-1994).* ჟურნალი, სხვა მასალასთან ერთად შეიცავს იკომოს-ის მე-9 გენერალურ ასამბლეასთან დაკავშირებულ ლოზანის საერთაშორისო სიმპოზიუმის შემაჯამებელ მოხსენებას. სიმპოზიუმის განხილვის თემა იყო ვენეციის ქარტიის აქტუალობა. მოხსენება ხაზს უსვამს *საჭიროებას შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს ვენეციის ქარტიის დოქტრინას, თეორიას და კომენტარებს და ასკვნის: ჩვენ ვადასტურებთ, რომ ვენეციის ქარტია წარმოადგენს ისტორიულ ძეგლს, რომელიც უნდა დავიცვათ და შევინარჩუნოთ. იგი არ საჭიროებს არც რესტავრაციასა და აღდგენას და არც რეკონსტრუქციას. რაც შეეხება მომავალს, არსებობს აზრი, რომ უნდა გაკეთდეს კომენტარები, ან შედგეს პარალელური ტექსტი რათა წარმოვადგინოთ ინტერდისციპლინარული რეგიონალური და ეროვნული პერსპექტივები, რისი მიზანიც უნდა იყოს მომავალი თაობების და მომავალი საუკუნის საჭიროებათა უკეთესი გადაწყვეტა. ქარტია უნდა განიხილებოდეს ფილოსოფიურ და ღია პერსპექტივაში და არა როგორც ვიწრო სპეციალიზაციის ან ტექნიკური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი.* იგივე პუბლიკაცია ასევე შეიცავს ვენეციის ქარტიის მიმოხილვას, რომელიც დაწერილია კევატ ერდერის მიერ 1977 წელს: *ცოტა ხნის წინანდელი რეაქცია... გვიჩვენებს,*

*რომ ვენეციის ქარტია სრულად ვერ პასუხობს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს. ქარტიის მომხრეები და კრიტიკოსები შეიძლება დავაჯგუფოთ სამ ძირითად დამოუკიდებელ ბანაკად. ერთი ბანაკი სავსებით იზიარებს ვენეციის ქარტიის თვალსაზრისს. ამავე ბანაკში შედიან ისინიც, ვინც მხარს უჭერს ვენეციის ქარტიას იმ პირობით, თუ არსებულ დოკუმენტს დანართების სახით დაემატება რეგიონალური ქარტიები. მეორე ბანაკი აყენებს წინადადებას შეიცვალოს ის პარაგრაფები, რომლებიც ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს და მათი ადგილი შეივსოს ახალი პარაგრაფებით. მესამე კი დაჟინებით მოითხოვს ვენეციის ქარტიის ახალი ქარტიით შეცვლას.*

ვენეციის ქარტია ახლა, 40 წლის შემდეგ რომ დაწერილიყო, ასეთ კრიტიკას არ გამოიწვევდა. ეს შეიძლება იმასთან იყოს დაკავშირებული, რომ ეს დოკუმენტი, ამ დროისათვის ბევრ ენაზე თარგმნილი, ცნობილი და დაფასებული მთელ მსოფლიოში, მიჩნეულია ისტორიულ დოკუმენტად, რომელიც არაფრით შეიძლება შესწორებული იყოს. ტერმინი „ძეგლის“ მისეული ფართო განსაზღვრების წყალობით, ქარტია ადვილად შეიძლება ინტეგრირებული იყოს კონსერვაცია/შენარჩუნების საერთაშორისო თეორიისა და პრაქტიკის სამყაროში მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით კულტურული მემკვიდრეობის განსაზღვრებები შორს გასცდა 40 წლის წინანდელს. უფრო მეტიც, მიზნები და შესაძლებლობები, რომლებიც ეთანადება ისეთ საკვანძო სიტყვებს, როგორიცაა „შეკეთება,“ „რეაბილიტაცია,“ „რეკონსტრუქცია“ და „შექცევადობა“ ქმნიან ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების უსაფრთხოების დაცვის ახალ პერსპექტივებს და მოვალეობების ახალ სფეროებს იმ კატეგორიების ძეგლების შენარჩუნებისათვის, რომლებიც ვენეციის ქარტიაში ან გაკვრით არიან მითითებული, ან სულაც არაა ნახსენები.

“კულტურული მრავალფეროვნების და მემკვიდრეობითი მრავალფეროვნების“ შესაბამისად, რაც ნარას დოკუმენტში მკაფიოდაა ხაზგასმული, დიდად მისასალმებელია დაცვისა და კონსერვაციის რეგიონალური პრინციპები, რის მაგალითს წარმოადგენს 1979 წლის ბურას დოკუმენტი (კულტურული მნიშვნელობის მქონე ადგილების ავსტრალიის იკომოს-ის ქარტია), რომელიც უკვე არაერთხელ არის შესწორებული. როგორც ჩანს, ამ პირობებში იმისთვის რომ მთელ მსოფლიოში შევინარჩუნოთ ძეგლები და ღირსშესანიშნავი ადგილები „მათი ავთენტურობის მთელი სისავსით,“ როგორც ეს ნათქვამია ვენეციის ქარტიაში, პლურალისტული მიდგომა, რომელიც მხედველობაში მიიღებს ძეგლის შენარჩუნების რეგიონალურ ტრადიციებს, ფრიად საჭირბოროტო ხდება. ყოველი მხრიდან მომავალი საშიშროების გათვალისწინებით, რაც ჩვენ კულტურულ მემკვიდრეობას ემუქრება, კამათი, აუცილებელი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სწორი გადაწყვეტილების მისაღებად, არაა საჭირო პრინციპებზე „დოგმატურ ბრძოლად“ გადაიქცეს. ნაცვლად ამისა, მნიშვნელოვანია გადავარჩინოთ ის, რისი გადარჩენაც შეგვიძლია ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში. რა თქმა უნდა, წინაპირობები ხშირად დიდად განსხვავებულია და დამოკიდებულია ძეგლთა დაცვის არსებულ თუ არ არსებულ კანონებზე და ეფექტურ მენეჯმენტზე, ისევე როგორც ყველა მონაწილე მხარის შემართებასა და კონსერვაციის პროფესიონალიზმის ხარისხზე.

კონსერვაციის აუცილებელი პლურალისტული მიდგომის ჩარჩოებში ვენეციის ქარტია, იკომოს-ის ფუნდამენტური დოკუმენტი, მომავალშიც იქნება ჩვენი მუშაობის თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული სახელმძღვანელო. მაგრამ სწორედ ამიტომ, ჩვენ არ უნდა უარვყოთ, რომ დღევანდელი გადასახედიდან ვენეციის ქარტია, როგორც ისტორიული დოკუმენტი დაკავშირებულია კონკრეტულ პერიოდთან: გარკვეული თვალსაზრისით ვენეციის ქარტია წარმოადგენს თავისი დროის ამსახველ საბუთს და, აქედან გამომდინარე, საჭიროებს არა მარტო დამატებებს გარკვეულ საკითხებში – დამატებებს, რომლებიც ბევრ სფეროში უკვე განხორციელებულია, არამედ ასევე პერიოდულ განმარტებას. მისი შემუშავების ისტორიის სათავე პარიზის 1957 წლის არქიტექტორებისა და ისტორიული ნაგებობების მკვლევარების პირველი საერთაშორისო კონგრესი და ისტორიული ნაგებობების დაცვის სპეციალისტების იმ შეხვედრის შედეგებია, რომელიც ორგანიზებული იყო მუზეუმების საერთაშორისო სამმართველოს მიერ ათენის კონფერენციაზე, ანუ ათენის ქარტია, რომელიც უკვე რამდენჯერმე იყო ნახსენები. გარკვეული თვალსაზრისით, ვენეციის ქარტიის ზოგიერთი მოსაზრება ვითარდებოდა 1920-30-იან წლებში „ახალი მოძრაობის“ მიერ გამოთქმულ დაკვირვებათა პარალელურად, იხ., მაგალითად, 1933 წლის სიამ-ის (Congres Internationaux d'Archirecture Moderne, დაფუძნებული 1928 წელს) ცნობილი ათენის ქარტია. იმ დროს სიამ-მა ჩამოაყალიბა ახალი ქალაქური გეგმარების წესები, რაშიც ლე კორბუზიესაც მიუძღვის გარკვეული წვლილი.

ვენეციის ქარტიის შემთხვევაშიც კონსერვაციის თეორია და პრაქტიკა, ისე როგორც ისინი განვითარდა XIX საუკუნიდან მოყოლებული, უნდა განიხილებოდეს **მჭიდრო კავშირში შესაბამის „ახალ“ არქიტექტურასთან.** XIX საუკუნის კონსერვაციის პრაქტიკა ევროპაში, „რომანტიზმის პირმშო“, რომელიც წარმოიშვა საფრანგეთის რევოლუციის და სეკულარიზაციის პირველი უმოწყალო დამანგრეველი ტალღის საპირისპიროდ, უნდა განიხილებოდეს „რესტავრაციასა“ და „ახლის შექმნას“ შორის რაღაც გარდამავალად, რაც იმით განისაზღვრება, რომ ისტორიზმის არქიტექტურის წყალობით „ისტორიული სტილების“ არსენალი იოლად ხელმისაწვდომი გახდა. ამგვარად, XIX საუკუნეში, მიუხედავად ისეთი პიროვნებების გაფრთხილებისა, როგორებიც იყვნენ ჯონ რასკინი და უილიამ მორისი, ძეგლთა დაცვის არქიტექტორებს შორის უმრავლესობა სავსებით უჭერდა მხარს „ორიგინალური“ ფორმისა

და ჩანაფიქრის ფიქციას, და „სუფთა სტილის“ და „სტილის ერთიანობის“ იდეებს და ყველა მოგვიანო გადაკეთებას უგულველყოფდა. ამ გაყალბებას მათ შესწირეს არა მარტო დროის ნაკვალევი, არამედ ისტორიული ფენებიც, რომელთაც ევოლუცია განიცადეს საუკუნეების განმავლობაში, ზუსტად რესტავრაციის ვიოლე-ლე-დიუკის ცნობილი ფორმულირების თანახმად: *„Restaurer un èdifice, ce n'est pas l'entretenir, le réparer ou le refaire, c'est le rétablir dans un état complet qui peut n'avoir jamais existé à un moment donne"* (*ძეგლის რესტავრირება არ ნიშნავს მის შენარჩუნებას, შეკეთებას ან ხელახალ აგებას; ეს არის მისი აღდგენა იმ სრულყოფილი მდგომარეობის სახით, რომელიც შესაძლოა არც როდის არსებულა).* XX საუკუნის „კლასიკური“ კონსერვაციის პრაქტიკა, საუკუნის დამდეგს, XIX ს-ის „რესტავრაციის გამოცდილების გადაჭრით უკუგდების კვალად, კონცენტრირებული იყო მხატვრული და ისტორიული ღირებულების მქონე ძეგლების სუფთა კონსერვაციაზე. ამავე დროს, ახალმა მოძრაობამ უარყო ყველა სახის „ისტორიული ბალასტი,“ მხარი დაუჭირა რა „წმინდა“, ყველაზე მარტივ ორნამენტს მოკლებულ ფორმას, როგორც ახალი შესაბამისი ფუნქციის გამოხატვას („ფორმა შეესაბამება ფუნქციას“), წინააღმდეგ ძველთაგან, „ისტორიის საბუთად“ გადმონარჩუნებული ფორმისა. ასეთ პირობებში „სუფთა“ არქიტექტურა და „სუფთა“ კონსერვაცია ერთმანეთის კონტრასტად თუ იარსებებდა, ოღონდ ორთავ „პატიოსნებითა“ და „მასალისადმი სამართლიანობით“ ხელმძღვანელობდა, – ეს გახლდათ კიდეც „ახალი მოძრაობის“ საკვანძო სიტყვები, რომლებიც დღესაც შეიძლება გავიგოთ კონსერვაციის სამუშაოებზე კამათის დროს, თუმცა ისინი ნაკლებად მიესადაგება ისტორიული არქიტექტურის მოვლა-პატრონობას.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, ვენეციის ქარტიის ზოგიერთ პარაგრაფს ატყვია მისი დაწერის დროისათვის ტიპური დამოკიდებულება, ისინი ასახავს იმ პერიოდს, რომელიც არა მარტო ძალზე კრიტიკულად იყო განწყობილი ისტორიზმის ხანის რესტავრაციის, არამედ ზოგადად მისი არქიტექტურის მიმართაც. თვით თვალსაჩინო ძეგლთა დაცვის სპეციალისტებმაც კი ან გაწმინდეს არქიტექტურულ მოწმობათა უმრავლესობა, ან მთლიანად გაანადგურეს ისინი – ნაგებობები, რომლებიც დროთა განმავლობაში თვითონ მიაღწევდნენ ძეგლის სტატუსს. გეორგ დეიოს (იგი 1900 წ-ის ახლოს აღმოცენებული ძეგლთა „კლასიკური“ კონსერვაციის ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანია) ცნობილი დევიზის „დაიცავი, ნუ აღადგენ“ გათვალისწინებით გასაგები ხდება ვენეციის ქარტიის სიფრთხილე რესტავრაციის მიმართ, რომელიც მხოლოდ გამონაკლისს უნდა წარმოადგენდეს (პარაგრაფი 9), ისევე როგორც „განახლების“ უარყოფა, მისი საკმაოდ „ფარისევლური“ დამოკიდებულება ჩანაცვლებისადმი (პარაგრაფი 12) და უფრო მეტიც, რეკონსტრუქციის მიმართ (პარაგრაფი 15). ამ მხრივ მოდერნისტული თვალსაზრისით ძალზე მაცდუნებელი იყო ვენეციის ქარტიის გარკვეული პარაგრაფებით მანიპულირება საკუთარი არქიტექტურული კანონების შესაბამისად, მაგალითად, პარაგრაფი 15, როგორც ნებისმიერი სახის რეკონსტრუქციის ვითომცდა აკრძალვა, ან პარაგრაფი 5, რომელიც ვითომც ბრძანებს, ყველა ძეგლს უპოვო მისი ფუნქცია, თუნდაც ეს ახალი ფუნქცია იწვევდეს მნიშვნელოვან დანაკარგებს.

ამგვარად, ჩვენ უნდა განვიხილოთ **ვენეციის ქარტია, როგორც ისტორიული დოკუმენტი,** რომელიც XIX-XX სს-ის მიჯნაზე „ისტორიზმის“ სარესტავრაციო პრაქტიკის საპირისპიროდ განვითარებული ძეგლთა „კლასიკური“ კონსერვაციის თანახმიერია. შეინიშნება ასევე გარკვეული კავშირი „ახალ მოძრაობასთან“, რომელიც 1960-იანი წლებისათვის დაგაიზარდა „საერთაშორისო სტილში“ და გადალახა ყველა პოლიტიკური საზღვარი და სოციალური სისტემა. აქედან გამომდინარე, 1970-იან წლებში ახალი არქიტექტურის კრიზისს, რაც გამოიხატა ეგრეთ წოდებული პოსტ-მოდერნიზმის წარმოშობით, ასევე უნდა გავლენა მოეხდინა ისტორიულ არქიტექტურასთან მოპყრობის პრაქტიკაზე. ბოლო ათწლეულების არქიტექტურის მრავალმა მიმართულებამ მართლაც შექმნა ახალი პერსპექტივები ისტორიული გარემოს მიმართ სხვადასხვაგვარი მიდგომის შესაძლებობის ჩათვლით, რაც გულისხმობს არა მარტო ფორმისა და მასალის უბრალო კონტრასტს, არამედ შთაგონების წყაროდ ისტორიული არქიტექტურის გამოყენებასაც კი. ამ კონტექსტში შეიქმნა ისტორიული არქიტექტურის შენარჩუნების ახალი შესაძლებლობები. უფრო მეტიც, ურთიერთმიმართება ისტორიულ არქიტექტურასთან განიხილება, როგორც ერთგვარი „შენების სკოლა“, როგორც შეკეთების მდგრადი განვითარების შესაძლებობა, რაც სპეციალისტებმა უნდა გამოიყენონ როგორც პლურალისტული მიდგომა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების სხვადსხვა კატეგორიებზე მორგებული, რეგიონალური ტრადიციების გათვალისწინებით.

ასეთი პლურალისტული მიდგომისას ძეგლის ყველა ღირებულება მხედველობაში უნდა იყოს ისე მიღებული, როგორც ეს 100 წლის წინ შემოგვთავაზა თავის წიგნში „ძეგლთა თანამედროვე კულტი“ (1903წ.) ალოის რიგლმა, ჩამოაყალიბა რა სისტემა „მემორიალური“ და „სადღეისო“ ღირებულებებისა, ახლაც სარგო და უფრო მარჯვე, ვიდრე მატერიალურ/არამატერიალურ, თუ ხელშესახებ/ხელშეუხებად ღირებულებების საკითხები. მაშინ, როდესაც ვენეციის ქარტიამ ვერ შეძლო ბოლომდე განთავისუფლებულიყო ისტორიული ნივთიერი შედგენილობის რამდენადმე ცალმხრივი კულტისგან – ე.ი. ავთენტური მასალის როლის ხაზგასმისაგან – ნარას დოკუმენტმა ბევრად უფრო მრავალმხრივად აღწერა ავთენტური ღირებულებები, ძეგლების და ღირსშესანიშნავი ადგილების ავთენტურ სულიერებასთან ერთად, ვიდრე ხელშესახები და ხელშეუხებადი ღირებულებების შორის ძალზე მარტივი განსხვავების თაობაზე

კამათისას ხდება. ავთენტურ სულიერებასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ვალტერ ბენიამინის მიერ ხელოვნების ნაწარმოებზე ნათქვამი – ის საუბრობს სულიერ გზავნილზე, რაც გამოხატულია ყოველი ძეგლის და ყოველი ღირსშესანიშნავი ადგილის „ნაკვალევსა“ და „აურაში.“ აქ ნაკვალევი გულისხმობს ნაგებობის ისტორიას, რაც გამოხატულია წლებით დამჩნეული კვალით, „დროის ნაიარევებით.“ აურა გულისხმობს არა მარტო სახელგანთქმულ ქმნილებათა აურას, არამედ უფრო მოკრძალებული ისტორიული ძეგლის აურასაც, აურას, რომელიც არსებობს „in situ,” იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ძეგლი უკვე განადგურებულია, ან ძნელად შესაცნობია, როგორც „ისტორიული ქსოვილი.“ ამგვარად, ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების ჭეშმარიტი და ავთენტური სულიერება თავის გამოხატულებას პოვებს მხოლოდ კონკრეტულ ადგილებთან ერთად, იმ სივრცეში, რომელიც გარს ერტყმის კონკრეტულ მიდამოს, ან ჩვენი განმარტებით, კულტურულ ლანდშაფტს, ან კულტურულ მარშრუტს. ასეთ სივრცესთან ერთად შესაძლებელია ჩავწვდეთ დროს, როგორც ისტორიის განზომილებას: დრო, რომელმაც ამ ადგილას გაიარა, პროცესი, რომელმაც ბევრი კვალი დატოვა ობიექტის შექმნიდან მოყოლებული, რომელიც გახდა ძეგლი, სამახსოვრო საგანი მხოლოდ საუკუნეების შემდეგ, ძეგლი რომაული განმარტების მნიშვნელობით, რაც ზემოდ იყო დამოწმებული; დრო, რომელიც არსებობს “Zeitgeist”-ის ფორმითაც, რასაც ძეგლი განასახიერებს. ეს არის ძნელად სათარგმნელი გერმანული სიტყვა, რაც გულისხმობს დროის სულისკვეთებას, რომელიც ასახავს კონკრეტული პერიოდისა, თუ ეპოქის ცხოვრების წესსა და „სტილს“. სივრცე და დრო შეიძლება შეერთდეს ძეგლის სულიერ გზავნილში, – ნამდვილად პარადოქსული, მაგრამ სრულიად ხელშესახები თანაყოფნა წარსულისა.

მომავალში მჭიდრო თანამშრომლობა ჩვენი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების საქმეში მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის (1972წ.) მოთხოვნების თანახმად, აუცილებლად გავლენას იქონიებს კონსერვაციის პრინციპების შემდგომ განვითარებაზე და შორსაც გასცდება ვენეციის ქარტიას, რომელიც მხოლოოდენ ძეგლებისა და ღირსშესანიშნავ ადგილებადწარმოდგენილ კულტურულ მემკვიდრეობას გულისხმობს. ის, რომ გარემოს დაცვა და ძეგლის დაცვა ერთ მთლიანობას წარმოადგენს, რომ ძეგლის შენარჩუნების დღევანდელი პრაქტიკა დაფუძნებულია ზოგადად გარემოს დაცვის მოძრაობაზე, წარმოადგენს ასპექტს, რომელიც არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ, მიუხედავად იმისა, რომ აქამდე ამ კავშირის შესაძლო შედეგებს თვით ძეგლთა დამცველნი საკმაოდ უხალისოდ თუ აღიარებენ. მაგრამ გარემოს უზარმაზარი მასშტაბის მთელი მსოფლიოს მომცველი და მზარდი განადგურებისას ძეგლთა დაცვასაც და მენეჯმენტს ასევე სძენს ჭეშმარიტ მორალურ განზომილებას, რაც თითქმის არ იყო განხილული ვენეციის ქარტიასთან მიმართებაში. მორალური კითხვა, მიმართული ძეგლის დამცველისადმი, მჭიდრო კავშირშია კონსერვაციასა და შენარჩუნებასთან, როგორც უმთავრეს პრინციპთან. და მაინც, „ძეგლის კულტის“ დღევანდელ ჩარჩოებში, მცდელობას შევიმუშავოთ ისტორიული მემკვიდრეობისადმი მოპყრობის ზოგადი მორალური წესები, შესაძლოა საკვანძო ცნებად იმდენად „ავთენტურობა“ კი არა, „უწყვეტობა“ წაადგეს. ისტორიული უწყვეტობის კონცეპცია – უწყვეტობა, რომელიც მხარდაჭერას საჭიროებს და რაც, რა თქმა უნდა, არა მარტო ჩვენ ძეგლებშია განსახიერებული – მნიშვნელოვანია ასევე, როგორც ძეგლის დაცვის მორალური გამართლება: ისტორიული მეხსიერება, აუცილებელი ადამიანისათვის, როგორც ისტორიის ქმნილებისათვის, არ უნდა გაწყდეს. აქედან გამომდინარე, ძეგლები და ღირსშესანიშნავი ადგილები უნდა შენარჩუნებული იყოს; ისინი დასაღუპავად მიატოვო, ინტერესების აწონ-დაწონის კი არა, მორალური საკითხია. ფიგურალური თვალსაზრისით, ეს ეხება არა მარტო ძეგლებით დამშვენებულ კულტურულ ლანდშაფტებს, არამედ ჩვენ ბუნებრივ გარემოსაც, რადგან ჩვენი ბუნების ისტორიის უწყვეტობა, რომელიც მილიონობით წელს ითვლის („ბუნების ძეგლებით“ განსახიერებული) დღეს, როგორც ჩანს, კითხვის ნიშნის ქვეშ არის.

იმედია, რომ ახლა უკვე 40 წლის ვენეციის ქარტია და იკომოს-ის ყველა სხვა ქარტიები და პრინციპები დაიუნჯებენ მორალურ ძალას, რაც დაგვეხმარება ჩვენ ყოველი მხრიდან დამუქრებული გამანადგურებელი ძალების საშიშროებების წინააღმდეგ ჯყოველდღიურ ბრძოლაში.

# ქალაქის ისტორიული ანსამბლების უსაფრთხოების დაცვა ცვლილებების პერიოდში

*მართვის სახელმძღვანელო*

შემდგენელი: ჰერბ სტოველი

მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქებისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სიმპოზიუმი
კვებეკი, კანადა, 1991

**HERB STOVEL**

# SAFEGUARDING HISTORIC URBAN ENSEMBLES IN A TIME OF CHANGE

***A MANAGEMENT GUIDE***

**International Symposium on World Heritage Towns**

**Quebec, 1991**

# წინასიტყვაობა

## *საერთო პროგლემები*

ქალაქის ხელმძღვანელობა დგას ახალი ცხოვრების რეალობის წინაშე. იგი იბრძვის იმ (ხანდახან ყურადსაღები) ზეწოლის წინააღმდეგ, რაც ხორციელდება ქალაქის ძველ უბნებზე; ზედმეტად ბევრი მაცხოვრებელი, ლპობის ზღვარზე მისული ინფრასტრუქტურა, ტურისტების უზომო რაოდენობა, უძრავი ქონებით სპეკულაცია და ტრანსპორტის მოძრაობა არის მხოლოდ ნაწილი იმ წინააღმდეგობებისა, რაც ხელს უშლის ისტორიული კვარტლების შენარჩუნების პოლიტიკის ეფექტიურ განხორციელებას. მდგომარეობა ყველა კონტინენტზე ერთმანეთის მსგავსია.

ეს წინააღმდეგობები წარმოადგენს ბუნებრივი ძალების შედეგს, რაც ხანდახან განსაცვიფრებელი სისწრაფით გარდაუვალად ცვლის საზოგადოებებს. ცვლილებების შედეგად ბევრმა მათგანმა თითქმის სრულიად დაკარგა ძველი ტრადიციები, რაც აისახა მათ ქალაქებზე, იმ ქალაქებზე, სადაც მოსახლეობის უმეტესობა იყრის თავს, ხოლო ერის კულტურა კი თავის გამოხატულებას პოვებს. სიახლე ყველაზე მეტ ზიანს ქალაქებს აყენებს; ამიტომ, ჩვენ ვთვლით, რომ სწორედ ქალაქის ხელმძღვანელობის ვალდებულებაა მართონ ის ცვლილებები, რომლის წინაშეც ისინი დგანან.

როდესაც ამას ისიც ემატება, რომ ცვლილებების მართვა უნდა წარმოებდეს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანილი ქალაქების დაცვის პოლიტიკის კონტექსტში, წარმოიშვება ახალი პრობლემები, საერთო ყველა ასეთი ქალაქისათვის, რაც სამუშაოს შესრულებაში წინ ეღობება მათ, ვისაც ეს ევალება. იმის გამო, რომ ძველი ქალაქები თანაც ცდილობენ არ გაიგუდონ თავის ძველ კედლებში და თანაც წინააღმდეგობას უწევენ სიახლეების ძირგამომთხრელ ძალებს, მათ უნდა მართავდნენ განათლებული და ნიჭიერი ადამიანები. მსგავსად კაპიტანისა, რომელიც ვალდებულია ყველა ამინდში უსაფრთხოდ ატაროს გემი, ესენიც უნდა ეყრდნობოდნენ აღიარებული მეთოდების მკაცრად შესრულებას და მართვის საშუალებების ზუსტ და ეფექტიურ გამოყენებას.

ეს სახელმძღვანელო გამიზნულია იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს გამოცდილების მუდმივ გაზიარებას მათ შორის, ვინც ჩართულია ქალაქური ცხოვრების ყოველდღიური მწვავე საკითხების მოგვარებაში ისტორიულ ქალაქებში, როდესაც ისინი ცდილობენ დაიცვან თავისი განსაკუთრებული ღირებულებები და თვისებები. მოვუწოდებთ მათ, ვინც პასუხს აგებს მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქებსა და ისტორიულ რაიონებზე, შეასრულოს თავისი საქმე მაქსიმალური ენერგიით და შემართებით იმ მოქალაქეების საკეთილდღეოდ, რომლებიც იქ ცხოვრობენ და მოღვაწეობენ.

*კვებეკის კოლოკვიუმის პროგრამის კომიტეტი*

## *დოკუმენტის მომზადება*

სახელმძღვანელო შემუშავებულია პროფესორ ჰერბ სტოველის მიერ, OAA, MRAIC, კვებეკის კოლოკვიუმის პროგრამის კომიტეტისათვის, მართვის სახელმძღვანელოს ქვეკომიტეტის ზედამხედველობით, რომელშიც შედიოდნენ სერჟ ვიო, მიშელ ბონეტი, რობერტ კარონი, მედელაინ გობეილ ტრიუდო და მერი კულენი.

ბატონმა სტოველმა ცალკეული საკითხების შესწავლისა და განვითარების პასუხისმგებლობა გაიზიარა სერჟ ვიოსთან და სხვა სპეციალისტებთან, რომელთაც თავისი წვლილი შეიტანეს კონკრეტული საკითხების კვლევაში.

## ა) მართვის სახელმძღვანელო

### *1.* სახელმძღვანელოს შედგენა

ქალაქმა კვებეკმა, კვებეკისა და კანადის მთავრობასთან ერთად, იუნესკო-ს ფინანსური დახმარებით, მიიპატიჟა მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქების პოლიტიკური თავკაცები და მრჩეველები კონსერვაციის ტექნიკურ საკითხებში კოლოკვიუმზე, რომელიც ჩატარდა ქალაქ კვებეკში, 1991 წლის 30 ივნისიდან 4 ივლისამდე.

კოლოკვიუმის „ქალაქების ისტორიული ანსამბლების უსაფრთხოების დაცვა ცვლილებების ხანაში" მიზანი იყო შეექმნა შესაძლებლობა ამ საკითხებზე პასუხისმგებელ ოფიციალურ პირთათვის, შეეჯერებინათ ერთმანეთის გამოცდილება და შეემუშავებინათ მართვის მიდგომა, რომელშიც ინტეგრირებული იქნებოდა მემკვიდრეობის და განვითარების მიზნები. ეს იყო ცდა რჩეული სამეცნიერო მოხსენებების წარდგენით და მათ გარშემო კამათის საშუალებით ნაპოვნი ყოფილიყო პრაქტიკული საშუალებები ცოცხალი ისტორიული ქალაქების მრავალგვარი საჭიროებებისა და პრობლემების მოსაგვარებლად. კოლოკვიუმს თან სდევდა მართვის სახელმძღვანელოს პირველი გამოცემა, გამიზნული მათთვის, ვინც უშუალოდ ჩართულია ისტორიული ქალაქების მართვაში და ინფორმაციის გაცვლის ქსელის პარალელური განვითარებისათვის, რაც იძლევა ცოდნის, იდეებისა და გამოცდილების გაზიარების საშუალებას.

ქალაქების დაცვის საერთაშორისო საშუალებების განვითარების ისტორიული მიმოხილვის გათვალისწინებით, მართვის სახელმძღვანელო ცდილობს დაეხმაროს თანამედროვე სპეციალისტებს მოქმედების მოდელების შეთავაზებით, რომელნიც ფასეული იქნება მათი პრობლემების გადასაჭრელად.

მართვის სახელმძღვანელოს გამოცემას წინ უძღოდა 1990 წლის ნოემბერში „გააზრების ჩარჩოს" გამოქვეყნება, სადაც აღნიშნული იყო საკამათო საკითხების და თემების ფართო სპექტრი, რომელთა მიმართ კოლოკვიუმზე უნდა ყოფილიყო გაღვივებული და ფოკუსირებული გულისყური. სახელმძღვანელო პრინციპები ქმნის საფუძველს მიმდინარე და მომავალი კვლევის მასალების თავმოყრისთვის, რათა შესაძლებელი იყოს მათი მიმოცვლა მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქებს შორის.

### *2. სახელმძღვანელოს გამოყენება*

სახელმძღვანელო პრინციპები შედგენილია როგორც წიგნი, სადაც მოყვანილია პრაქტიკული მაგალითები და განხილულია კონკრეტული კვლევითი მასალა, რათა მკითხველს მიეცეს შესაძლებლობა აქ აღნიშნული მოსაზრებების პრაქტიკული გამოყენებისა.

შესავალი ბ) თავში წარმოდგენილი საკითხებისა წინ უძღვის გ) და დ) თავებში წარმოდგენილი რიგი კონკრეტული შემთხვევების განხილვას. ეს უკანასკნელი ეხება ისტორიული ქალაქების გეგმარების პრობლემებს, რასაც ვაწყდებით ყველა ძველ ქალაქში, მთელი მსოფლიოში. გ) და დ) თავებში კი დეტალურადაა განხილული სხვადასხვა საკონსერვაციო პროგრამები.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალა მიზნად არ ისახავს ფორმულის მსგავსი პასუხები გასცეს კონსერვაციასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემურ კითხვას. მისი მიზანია, ახსნას კავშირი სწორი მიდგომის არჩევასა და მისი კონტექსტის გამოყენებად მახასიათებლებს შორის. კონკრეტული საკითხების განხილვის მიზანია ვაჩვენოთ, თუ როგორ დაგვეხმარება ანალიტიკური პროცესის მკაცრი დაცვა პატივი ვცეთ მრავალფეროვანი კულტურული ღირებულების, სირთულის და სტრუქტურის ქალაქების ისტორიულ მთლიანობას.

### *3. სახელმძღვანელოს შემდგომ*

სახელმძღვანელოს მიზანია ხელი შეუწყოს დისკუსიებს კოლოკვიუმამდე, კოლოკვიუმის მსვლელობისას და მის შემდგომ. კოლოკვიუმის შემდგომ სახელმძღვანელო განახლდება, მასში შევა ახალი მოსაზრებები, მონაპოვარნი და რეკომენდაციები, რომლებიც სხვადასხვა შეკრებების დროს დაიბადება.

კოლოკვიუმის მონაწილეებს სთავაზობენ წარმოადგინონ ძირითადი მონაცემები და ილუსტრაციები სხვა ნიმუშების შესასწავლად.

იმედია, რომ კოლოკვიუმის დროს დამყარებული ახალი ურთიერთობები და გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს მუდმივი კავშირის შექმნას მათ შორის, ვინც ჩართულია ამ ქალაქების პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და ტექნიკური დახმარების საქმეში. ასევე ვიმედოვნებთ, რომ ამ კოლოკვიუმს მოჰყვება სხვა კოლოკვიუმები, რომლებიც განაგრძობენ იმ საჭირბოროტო საკითხების გამორკვევას, რაც საერთოა მსოფლიო მემკვიდრეობის ყველა ქალაქისათვის.

## ბ) მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქების მართვა

### *1. ისტორიული ქალაქების რაობა*

მთელ მსოფლიოში პატარა და დიდი ქალაქები ერთგვარადაა ორგანიზებული მათი მაცხოვრებლების მოთხოვნილებათა შესაბამისად. ყველაფერი ფუნქციონირებს ქალაქის ადმინისტრაციის თანადგომით, რომელსაც ევალება ყოველდღიური საკითხების მოგვარება, რაც გავლენას ახდენს ცხოვრების უმეტეს სფეროებზე – ტრანსპორტზე, გადაზიდვებზე, მანქანების სადგომებზე, საცხოვრებელ სახლებზე, კულტურაზე, წყლით მომარაგებასა და ბინძურ წყლებზე, ენერგომომარაგებაზე, განვითარებაზე და ა.შ. ხშირად ამ მხრივ ქალაქის შესაძლებობებს მხარში უდგანან რეგიონალური თუ ეროვნული მთავრობები, რომელთაც ძალუძთ პირდაპირი თუ ირიბი დახმარების გაწევა.

მეოცე საუკუნის განმავლობაში მსოფლიოს უმეტეს რეგიონებში ქალაქის გამგეობები თანდათან სულ უფრო მეტ რამეში გაერივნენ და იკისრეს პასუხისმგებლობა მუდმივად მზარდი რაოდენობის საკითხებზე. აქეთკენ მათ უბიძგა მომსახურება-შემწეობის უფრო მაღალი დონის საყოველთაო სურვილმაც და მზაობამაც ახლებური კეთილდღეობის შესანარჩუნებლად უფრო მაღალი დონის გადასახადების გაღებისა.

თავის ეფექტურ საქმიანობაში მთავრობები მეტ-ნაკლებად ანგარიშვალდებული არიან მათი მოქალაქეების წინაშე. მოქალაქეებს შეუძლიათ აირჩიონ თავისი ინტერესების დამცველი ოფიციალური წარმომადგენლები და მიუთითონ ხელმძღვანელებს იმოქმედონ მათთვის საჭირო მიმართულებით; მათ აგრეთვე ძალუძთ აამოქმედონ თანაქმედების და ზეგავლენის სხვა საშუალებები.

ყველა ქალაქი და ქალაქის ტიპის ცენტრი იღწვის, რათა დააკმაყოფილოს თავისი მოქალაქეების ძირითადი მოთხოვნილებები: შესაფერისი საცხოვრებლები, ტრანსპორტი, სამუშაო ადგილები და ღირსეული ცხოვრების ხარისხი. ისტორიული ქალაქური ცენტრები გვთავაზობენ განსაკუთრებული შესაძლებლობების გარემოს, რაც ამდიდრების ასეთი ადგილების მაცხოვრებელთა ცხოვრებას. ამგვარ ცენტრებში ძირითადად გამოიყენება კონსერვაციის მეთოდი, რათა გარანტირებული იყოს მათი შენარჩუნება, გონიერი გამოყენება და მათ ღირსებათა გაუმჯობესება.

თუ საზოგადოების მთავარი მიზანია უზრუნველყოფა ნორმალური საკვებით, საცხოვრებელით და ჯანმრთელობის დაცვით, მთელი ენერგისა და დროის მემკვიდრეობის დაცვისადმი მიძღვნა შეიძლება ზედმეტ ფუფუნებადაც კი გამოიყურებოდეს. ასევე ცალმხრივი მიდგომაა, მარტო იმ შესაძლებლობების განვითარებას გამოედევნო, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის გარკვეული დონის შენარჩუნებას, რადგან ამან შეიძლება დაჩრდილოს მემკვიდრეობის გადაუდებელი საჭიროებები.

ისტორიული ქალაქების მოვლის ათწლეულების გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ მემკვიდრეობის დაცვის მიზნები ყველაზე კარგად მიიღწევა მაშინ, როდესაც ისინი განიხილება მოსახლეთა სხვა ინტერესებთან ერთად. ასეთი მცდელობისას, ის საზოგადოებები, რომელნიც ცდილობენ გაატარონ კონსერვაციის გონიერი პოლიტიკა მრავალ პრობლემას აწყდებიან. განვითარებული ქვეყნების დიდ ქალაქებში, მოქალაქეები ხშირად ტოვებენ ქალაქის ცენტრებს და გადადიან უფრო წყნარ გარეუბნებში საცხოვრებლად. ბევრ განვითარებად რეგიონებში ზუსტად საპირისპირო ხდება: ისტორიულ ნაწილებში პროვინციებიდან ჩამოსული მოსახლეების ან უცხოელების მოზღვავება ხდება. მდგომარეობის ასეთი მკვეთრი ცვლილებების დროს კულტურული თავისებურებების დაცვა ორკეც მნიშვნელოვანი ხდება, მოითხოვს ახალ მიდგომებს და შიდა კულტურული მიმოცვლისადმი ახალებურ მგრძნობიერებას.

XX საუკუნეში ავტომანქანების მოზღვავებამ დაანგრია გამოყენებისა და შენების ტრადიციული წესი, გაზარდა ატმოსფერული დაბინძურება და წარმოქმნა ქალაქის ნაგებობებისათვის ძალზე სახიფათო ვიბრაციის დონე. ზოგან ეკონომიკამ საზოგადოების ხარჯზე პირადი მოგება წამოწია წინ; ზოგან ძეგლების დაცვას ტრანსპორტის და საცხოვრებელი სახლების ინტერესები არჩიეს.

ჩამონათვალი კიდევ შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ ჯამში ეს წინააღმდეგობები მერყეობს ადა-

მიანურიდან ტექნიკურსა და ფინანსურამდე, ხოლო გარკვეული თვალსაზრისით, ყველა გამოხატავს სამ ძირითად პრობლემას: ყველა საზოგადოებრივი რესურსის ხელმისაწვდომობა საერთო საჭიროების ყველა და ყოველგვარი პროგრამების მხარდასაჭერად; პრიორიტეტები მემკვიდრეობის დაცვის გათვალისწინებით; თანამედროვე მოთხოვნილებებთან ისტორიული სტრუქტურების მორგების განხორციელებადობა.

ყოველი საზოგადოება უნდა ცდილობდეს დაამყაროს ბალანსი მოქალაქეების პირადი უფლებების – დაიცვას საკუთარი ინტერესები და იბრძოლოს თავისი მისწრაფებების მისაღწევად – და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის უფრო ფართო გაგებით, როგორიცაა მაგ., მემკვიდრეობის კონსერვაცია. კონსერვაციის შემთხვევაში ამან შეიძლება კომპენსაციის სახეც მიიღოს: მემკვიდრეობითი ქონების მფლობელები, როდესაც მათ თავისუფლად არ შეუძლიათ გამოიყენონ თავისი ქონება, თვლიან, რომ კომპენსაციისათვის მთავრობას უნდა მიმართონ, რადგან ძეგლის დაცვის შეზღუდვები ამცირებს მათი საკუთრების საბაზრო ღირებულებას. ზოგიერთისთვის საკითხი მდგომარეობს საზოგადოების მზადყოფნაში არად ჩააგდოს პირადი დანაკარგები, ოღონდ განხორციელებული იყოს ის, რაც საერთო ინტერესებისათვის უფრო ხელსაყრელია; სხვებისთვის პრობლემა მდგომარეობს იმაში, თუ როგორ მიიღოს კონსერვაციის სიკეთიდან ეკონომიკური სარგებელი.

ქვეყნის მოქმედ კონსტიტუციას შეუძლია გაანაწილოს მემკვიდრეობის კონსერვაციის დამატებითი ვალდებულებები მთავრობის სხვადასხვა დონეზე. და მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ყველა დონის ქმედება ურთიერთგადაჯაჭვულია, სხვადასხვა დონის მმართველობის მანდატი შეიძლება ერთმანეთთან უთანხმოების და მისი მიმდევარი დაპირისპირების მიზეზად იქცეს.

ისტორიულ ქალაქებში მნიშვნელოვანია, რომ უფრო მაღალი დონის მთავრობის წარმომადგენლებმა სერიოზული ყურადღება მიაქციონ ადგილობრივი ხელმძღვანელების საჭიროებებსა და მოსაზრებებს, რადგან მათ უფრო კარგად შეუძლიათ შეაფასონ მემკვიდრეობის ღირებულებანი, რაც დაგვეხმარება განვსაზღვროთ ასეთი სამოსახლეობის რაგვარობა და მნიშვნელობა.

## *2. განსაკუთრებული შემთხვევა: მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქები*

ქალაქები, რომლებიც შესულია მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში, მდებარეობს ყველა კონტინენტზე და ასახავს სამყაროს სხვადასხვა კულტურის მიღწევათა მნიშვნელოვან მხარეს. ზოგიერთი წარმოადგენს ადგილობრივი კულტურის მცდელობებს; სხვები ასახავს ახალ სამყაროში გარედან შემოტანილი ან კოლონიალური ხანის მოღვაწეობის ძლიერ გავლენას. ყველა მათგანში შემოქმედებითად შერწყმულია მრავალფეროვანი გავლენები, რაც ქმნის უნიკალურ ფორმასა და გამოყენების წესს.

სიაში შესული ქალაქების ფორმისმიერი დამახასიათებელი ნიშნების ანალიზი ავლენს ცალკეული სამშენებლო ფორმების, სხვადასხვა მასალის, ფაქტურის და არქიტექტურული გამომსახველობის განსაზღვრის, მათი სიის მოთხოვნების შესაბამისობის დადგენის სირთულეს. ვენეციის დაფლეთილი და დანესტიანებული ოქრის მობათქაშება ვერაფერს ეხმიანება მტკიცე და პრაქტიკული ხის ძელით ნაშენ ნორვეგიის სამთო-სამრეწველო ქალაქ რორროსში. სანას ქვით და აგურით ნაშენ კოშკისებრ სახლებს იემენში არაფერი აქვთ საერთო ბათის გეორგეანული სტილის დახვეწილ არქირექტურასთან. კოლონიური ხანის ‘პუერტო-რიკოს ქუჩების ქსელი ნაკლებად წააგავს შუა საუკუნეების როდოსის ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებს. და მაინც, ყველა მათგანი შესულია სიაში; უფრო მეტიც, ეჭვგარეშეა, რომ მომავალში ეს სია გამდიდრდება კიდევ უფრო მეტად განსხვავებული ქალაქების ჩამონათვალით.

არც ასაკი განსაზღვრავს ქალაქების სიაში შეტანას. 40 წელზე ცოტათი უფრო დიდი ხნის ბრაზილიამ დაიმსახურა ადგილი ამ სიაში ისევე, როგორც ალეპომ ან დამასკომ, რომლებიც, შესაძლოა, თავისი უწყვეტი არსებობის 6,000 წელს უახლოვდებიან. არც არქიტექტურის განსხვავებულობა, დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ალუზიები, საგულისხმო სიმბოლური ასოციაციები ან ქალაქის ქუჩების განსაკუთრებული ხედები ანიჭებენ ავტომატურად ამ ქალაქებს მნიშვნელოვნებას, თუმცა, საბოლოო განხილვისას, თითოეულ ამ ასპექტს თავისი წილი აქვს.

*მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის სამოქმედო წესები* აღწერს კრიტერიუმებს, რაც გვაძლევს იმ ღირსშესანიშნავი ქალაქების შესწავლის და შედარების საშუალებას, რომელთაც აქვთ სიაში შესვლის პოტენციალი.

კონვენცია, ყველა კულტურული ღირსშესანიშნავი ადგილის ღრმა პატივისცემით, სიაში შესატანად ითვალისწინებს „განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულების“ მქონე ძეგლებს, ღირსშესანიშნავ ადგილებს ან არქიტექტურულ ანსამბლებს. დასახელებული ძეგლი უნდა პასუხობდეს კულტურული მახასიათებლის ექვსიდან ერთერთ კრიტერიუმს მაინც, უნდა შეესაბამებოდეს „ავთენტურობის ტესტს“ და უნდა ჩანდეს, რომ იგი სათანადოდ არის დაცული.

აქ არის იმ ექვსი კრიტერიუმის ჩამონათვალი, რომელიც გამოიყენება კულტურული ნომინაციებისათვის.

**ღირსშესანიშნავი ადგილები უნდა:**

1) წარმოადგენდეს უნიკალურ მხატვრულ მიღწევას, შემოქმედებითი გენიის ნაყოფს; ან

2) დროთა განმავლობაში და მსოფლიოს კულტურულ სფეროში დიდი გავლენა მოეხდინა არქიტექტურის, მონუმენტური ხელოვნების, ქალაქგეგმარების, ან ლანდშაფტური არქიტექტურის განვითარებაზე; ან

3) წარმოადგენდეს უნიკალურს თუ არა, იშვიათ მოწმობას ცივილიზაციის, რომელიც აღარ არსებობს; ან

4) წარმოადგენდეს ნაგებობის ან არქიტექტურული ანსამბლის გარკვეული ტიპის ღირსშესავიშნავ მაგალითს, რომელიც ასახავს ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპს; ან

5) წარმოადგენს ადამიანების ტრადიციული დასახლების ღირსშესანიშნავ მაგალითს, სადაც აისახება მათი კულტურა და რომლებიც შეუქცევადი ცვლილებების ძლიერი გავლენის შედეგად აღმოჩნდა დაუცველი; ან

6) გარკვეულად დაკავშირებული იყო ღირსშესანიშნავი უნივერსალური მნიშვნელობის მოვლენებთან, ან იდეებთან, ან რწმენებთან.

კულტურული კრიტერიუმები წარმოადგენს მუდმივი განხილვის საგანს და შეიძლება მოდიფიცირებული იყოს მომავალში, იმ შეუსაბამობის პასუხად, რაც მისი გამოყენების დროს შეიძლება აღმოჩნდეს. მაგალითად, ახლა მიმდინარეობს იმ კრიტერიუმის ჩამოყალიბება, რომელიც მიესადაგება ღირსშესანიშნავ ადგილებს, რომლებსაც გააჩნიათ დიდი მნიშვნელობის როგორც ბუნებრივი, ისე კულტურული მახასიათებლები.

კულტურული ნომინანტები ასევე უნდა პასუხობდეს „ავთენტურობის ტესტს," რომელიც გამოიყენება ჩანაფიქრის, მასალის, ოსტატობის და გარემოს მიმართ. ასევე უნდა ჩანდეს, რომ ღირსშესანიშნავი ადგილები უზრუნველყოფილი არიან სათანადო მოვლით და შესაბამისი მენეჯმენტის მექანიზმებით, რათა გარანტირებული იყოს მათი დაცვა.

შემდგომ, ოპერატიულ წესებში აღნიშნულია, რომ ქალაქური ნაგებობების ჯგუფების განსაზღვრა იყოფა სამ ძირითად კატეგორიად:

1) ქალაქები, რომლებიც აღარ არიან დასახლებული, მაგრამ სადაც არსებობს წარსულის სახეშეუცვლელი არქეოლოგიური მოწმობანი; ისინი ჩვეულებრივ აკმაყოფილებენ ავთენტურობის კრიტერიუმს და მათი კონსერვაციის მდგომარეობა შედარებით უფრო ადვილად კონტროლირებადია;

2) ისტორიული ქალაქები, რომლებიც ჯერაც დასახლებულია და მათი რაობიდან გამომდინარე განვითარდნენ და მომავალში კვლავაც განაგრძობენ განვითარებას, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცვლილებების ზეგავლენით. ასეთი ვითარება ართულებს მათი ავთენტურობის დადგენას და საკონსერვაციო პოლიტიკაც უფრო პრობლემატური ხდება.

3) მეოცე საუკუნის ახალი ქალაქები, რომელთაც, რამდენადაც პარადოქსული უნდა იყოს, ბევრი აქვთ საერთო ზემოხსენებულ კატეგორიებთან: მიუხედავად იმისა, რომ მათი ორიგინალური ქალაქური ორგანიზაცია ადვილად გასაგებია და მათი ავთენტურობა უდავოა, მათი მომავალი მაინც ბუნდოვანია იმიტომ, რომ მათი განვითარება დიდწილად უკონტროლოა.

ამასთან დაკავშირებით განმარტავენ, რომ „სიაში შესატანად ქალაქებმა უნდა მოიპოვონ აღიარება თავისი საინტერესო არქიტექტურით . . [და არა უბრალოდ] მათი, როგორც ისტორიული სიმბოლოს ღირებულებით" (როგორც აღნიშნულია მე-6 კრიტერიუმში). თვისებების დაზუსტებისას, რაც ახასიათებს ასეთ საინტერესო არქიტექტურას, წესები მიუთითებს, რომ ნაგებობათა ჯგუფის „სივრცობრივი ორგანიზაცია, სტრუქტურა, მასალები, ფორმები და . . . ფუნქციები უნდა ძირითადად ასახავდეს ცივილიზაციას ან ცივილიზაციების ცვლას," რომლებსაც ქალაქი წარმოგვიდგენს. ამის კვალად, მითითებულია ისტორიული ურბანული რაიონების ოთხი კატეგორია:

1. ქალაქები, ტიპიური გარკვეული პერიოდის ან კულტურისათვის, რომლებიც თითქმის მთლიანად შემორჩენილია და მომდევნო განვითარებას მათზე დიდი გავლენა არ მოუხდენია. მაშინ სიაში შესატანი ობიექტი მთელი ქალაქია, თავისი შემოგარენით, რომელიც ასევე უნდა იყოს დაცული;

2. ქალაქები, რომლებიც თავისებური მიმართულებით განვითარდა და შეინარჩუნა, ხანდახ-

ან გამორჩეული ბუნებრივი გარემოს შუაგულში, სივრცობრივი ორგანიზაცია და შენობები, ტიპიური მათი ისტორიის რამდენიმე ეტაპისათვის. აქ მკაფიოდ მოსაზღვრულ ისტორიულ ნაწილს უპირატესობა ენიჭება თანამედროვე გარემოსთან შედარებით;

3. "ისტორიული ცენტრები," რომელთაც უკავიათ ზუსტად იგივე ტერიტორია, რაც ძველ ქალაქს ეჭირა და ახლა გარშემორტყმულია ახალი განაშენიანებით. აქ აუცილებელია განისაზღვროს ობიექტის რაც შეიძლება ფართოდ მოხაზული საზღვრები და გათვალისწინებული იყოს გარკვეული დაცვითი ზომები მიმდებარე უბნებთან მიმართებაში;

4. სექტორები, რაიონები და იზოლირებული ერთეულები, დღემდე თუნდაც ნარჩენებად მოღწეული, სადაც შეიმჩნევა უკვე გამქრალი ისტორიული ქალაქების დამახასიათებელი ნიშნები. ასეთ შემთხვევებში შემორჩენილი რაიონები და შენობები საკმარისად უნდა წარმოაჩენდეს ოდინდელ მთლიანობას.

ურბანული ანსამბლების მოქმედ კრიტერიუმებში ყურადღება გამახვილებულია ამა თუ იმ ფორმის ფიზიკურ დამახასიათებელ ნიშნებზე. გასაკვირი არ არის, რადგან ეს არის ღირსშესანიშნავი ადგილების ღირებულებათა ხელშესახები გამოხატულება. ამავე დროს, ისტორიული ქალაქები წარმოადგენს დინამიკურ სისტემებს და მათი გარეგნული ფორმები არ არის ნაკლებ სტატიკური, ვიდრე ცვლილებების გამომწვევი უხილავი ძალები, რაც მათ მიღმაა. კონსერვაციის დაგეგმვისას ფუნქციური მახასიათებლების და მათი მაკავშირებელი რგოლების დადგენა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ღირებული ფორმების დადგენა და დაცვა როგორც ასეთი. მაგალითად, ტრადიციულ ბაზრის ტერიტორიაზე არსებული შენობის ფასადზე ზრუნვა შეიძლება არ გამოიხატებოდეს თვით ამ ბაზრის დაცვაში, თუ თანადროულად არ წარმოებს მცდელობა, რომელიც მიმართულია მისი ცხოვრებისუნარიანობის და სოციალური და ეკონომიკური სტაბილიზაციისაკენ.

ნათელია, რომ განსაკუთრებული თვისებების მატარებელ ქალაქებს განსაკუთრებული პრობლემებიც აქვთ: დაძველებული ინფრასტრუქტურა, არქეოლოგიური ნარჩენები, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მეტროს გაყვანას და ადგილობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესებას, და ბოლოს თვით ამ ქალაქების განსაკუთრებული ხიბლი, რამაც შეიძლება მიიზიდოს მნახველთა გაუთვალისწინებელი რაოდენობა.

მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქების განსაკუთრებულმა თვისებებმა შეიძლება საჭირო გახადოს ისეთი მოვლა-პატრონობა, რაც დააკნინებს მათ სიცოცხლისუნარიანობას და ღირებულებას, როგორც განვითარებადი კულტურის გამოვლინებათა ცოცხალ განსხეულებას. ცდუნება, შემოარტყა ასეთ ადგილებს ბუფერული ზონები, აკრძალო „შეუთავსებელი" საქმიანობა, იქიდან მოსახლეობის ნაწილიც კი გაასახლო და მართო ასეთი „ისტორიული ღირსშესანიშნავი ადგილი", თითქმის რომ დაუძლეველია. და მაინც, მუზეუმი, რა დონისაც უნდა იყოს იგი, მაინც მუზეუმია, სადაც ევოლუციური პროცესები შეჩერებულია, განვითარებადი ელემენტები გაყინულია ევოლუციური კონტინიუმის ერთ ადგილზე და მისი უნარი, უზრუნველყოს საკუთარი არსებობა, ითხოვს ფინანსურ და ადამიანურ დახმარებას, რომელიც სცდება წინათ არსებული საჭიროებების ფარგლებს.

ისტორიული ქალაქების განსაკუთრებული თვისებების მდგრადობის უზრუნველყოფის გასაღები ისეთი ზომების ჩაუტარებლად, რაც შემდგომში არ გამოიწვევს ამ თვისებების შელახვას, მდგომარეობს კონსერვაციული მიდგომის აღიარებაში.

## 3. ისტორიული ქალაქების კონსერვაცია

### *კონსერვაციის რაობა*

კონსერვაცია ახალი საქმიანობა არ გახლავთ. მემკვიდრეობის ელემენტების გამოვლენის, გამოცალკევების და დაცვის შეგნებული მცდელობა სათავეს რომის იმპერიის ხანამდე იღებს. ჩვენი მემკვიდრეობის უმეტესმა ნაწილმა დღემდე თუ მოაღწია, ამას იმ მზრუნველ ადამიანების მიდგომას უნდა ვუმადლოდეთ, რომლებიც გარდასულ დროში ცხოვრობდნენ და ტრადიციული ჩვევების, ოსტატობის და გარემოს გონიერი მართვით არაცნობიერად ისე წარმართავდნენ გაუმჯობესებისა და ცვლილებების შემატებას, რომ მოფრთხილებოდნენ მთელის სიმრთელეს.

მიუხედავად ხანგრძლივი ისტორიისა, დღესაც კონსერვაციის მიზნებზე კამათისას კონსენსუსის მიღწევა ძალზე ძნელია. ერთი სირთულე საკონსერვაციო საქმიანობის გაფართოვებაში მდგომარეობს, რომელიც, თავის მხრივ, პასუხობს მემკვიდრეობის უფრო ფართო განსაზღვრებებს. მემკვიდრეო-

ბის დაცვის მოცულობა გაიზარდა, მოიცვა ხალხური, რისამე დამახასიათებელი და ტიპიური, ასევე უფრო ფართოა მემკვიდრეობის საზრისის გაგებაც. თუ ერთ დროს კონსერვაციის მთავარი მიზანი იყო ნივთებისა და შენობების აღდგენა და თავდაპირველი სახის დაბრუნება, დღევანდელ დღეს ჩვენ უფრო მეტ სიფრთხილეს ვიჩენთ. რასკინის და მორისის გაუთავებელი ჩაჩიჩინებით, ჩვენ მზად ვართ ვაღიაროთ ისტორიულ ადგილებში მცხოვრებ ადამიანთა მიერ შეტანილი წვლილი და ცვლილებები, მაგრამ დიდად არ გვწადია (საამისო, ჩვენთვისაც და მომავალი თაობებისათვისაც დამაჯერებელი საბუთიანობის გარეშეც) რომელიმე მათგანი სხვას შევწიროთ.

თანამედროვე კულტურულ ფორუმების უმეტესობაზე აღიარებული არის კონსერვაციის ის თეორია, რომლის გამავრცელებელი სერ ბერნარდ ფელდენია: „კონსერვაციის მიზანია კულტურული ობიექტის სიცოცხლის გახანგრძლივება და თუ შესაძლებელია, მისი ისტორიული და მხატვრული გზავნილის ნათელყოფა ისე, რომ ამას არ შეეწიროს მისი ავთენტურობა.“ ამ შეხედულების გაზიარებას მთელი რიგი შემდგომი დასკვნაც მოსდევს.

კონსრევაცია გახლავთ . . .

1. კონსერვაცია დაფუძნებულია ღირებულებებზე, როდესაც ტექნოლოგიებისა და მიდგომების შესაბამისობა განსაზღვრულია ცალკეული ობიექტის კონკრეტული ღირებულებით;

2. შესაბამისად, კონსერვაცია სუბიექტურ ამბებსაც მოიცავს; იგი იყენებს მეცნიერულ მეთოდებს მაქსიმალურად ობიექტური გადაწყვეტილებების მისაღებად. გარკვეული თვალსაზრისით ეს ხელოვნებაცაა, მისი საუკეთესო კვლევითი პროცესია მეცნიერება ხელოვნების სამსახურში.

3. კონსერვაციის მიდგომა ყოველთვის ითვალისწინებს ცალკეული შემთხვევების სპეციფიკას, რაც მოითხოვს ადაპტაციას ამა თუ იმ გასაწირისა და ღირებულებისადმი; თავად კონსერვაციის პრინციპები უპირობო არაა, ისინი უნდა შეესაბამებოდნენ ობიექტის ღირებულებათა და გარემოებათა კონტექსტს.

4. კონსერვაციის წარმატება განპირობებულია ღრმა და ხარისხიანად ჩატარებული კვლევითი მიდგომით, რაც განსაზღვრავს ღირსშესანიშნავი ადგილის ღირებულებას და მისი შეკეთების საჭიროებას, და ასევე მინიმუმამდე დაყავს სუბიექტურობა და სათუობა.

5. კონსერვაციის აუცილებელი პირობაა მის სტრუქტურაში მინიმალური ჩარევა, რომლის მიზანია ფუნქციონალური საჭიროებების შეთანხმება მინიმალურ მავნე ზეგავლენასთან (ან მნიშვნელოვან დადებით ზეგავლენასთან) იმ ღირებულებებზე, რაც განმარტებულია როგორც: „უმჯობესია მოუარო, ვიდრე შეაკეთო, უმჯობესია შეაკეთო, ვიდრე აღადგინო და უმჯობესია აღადგინო, ვიდრე ახლით შეცვალო.”

მოკლედ რომ ვთქვათ, კონსერვაციის საზრუნავი ღირსშესანიშნავი ადგილის საზრისის შენარჩუნებაა, რაც, მართლაც, შეიძლება მოითხოვდეს ყველა მნიშვნელოვანი ელემენტის ფიზიკურ გადარჩენას. აქედან გამომდინარე, საკონსერვაციო საქმიანობა შეიძლება უკუმზირალი იყოს (დაიცვა ის, რაც შემორჩენილია), ან წინ იყურებოდეს (გაამაგრო და განაგრძო შენება შემორჩენილ ელემენტებზე), თუკი მცდელობა ერთი თუ მეორე მიმართულებით ღირსშესანიშნავი ადგილის საზრისისმქმნელ ღირებულებებს ეფუძნება მათი უფართოესი სოციალური და ისტორიული კონტექსტით.

## *ურბანული დაცვის პრინციპები*

შეიძლება ითქვას, რომ ძეგლთა დაცვის ახალი ერა ორი, თითქმის თანადროული მოვლენით იწყება. იკომოს-ის (ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭო) შექმნით და ვენეციის ქარტიით, ორივე ისტორიული ძეგლების არქიტექტორთა და სპეციალისტთა მე-2 საერთაშორისო კონგრესს მოყვა, რომელიც ვენეციაში 1964 წლის მაისში ჩატარდა.

ამ მოვლენებიდან 27 წლის განმავლობაში ყურადღება, რაც ისტორიული ცენტრების დაცვის ზომებსა და მათში ახალი სიცოცხლის შთაბერვას ექცევა, მკვეთრად გაიზარდა. მას შემდეგ, რაც ვენეციის ქარტიამ მორიდებით აღიარა აუცილებლობა „მოვიცვათ . . . ქალაქის ის გარემო, სადაც აღმოჩენილია ამა თუ იმ ცივილიზაციის მოწმობანი“, ინტერესმა ამ საკითხის მიმართ ფართო მასშტაბი მიიღო.

იმ დროიდან მოყოლებული იკომოს-ი და იუნესკო ცდილობენ თავი მოუყარონ ურბანული დაცვის ექსპერტების გამოცდილებას სხვადასხვა საერთაშორისო ქარტიებში, კონვენციებში და რეკომენდაციებში.

პირველი ნაყოფი ამ მცდელობამ გამოიღო იუნესკო-ს მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენციაში (1972წ.), რომელმაც ღირსშესანიშნავი ადგილების „მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში“ შეტანით კულტურული მემკვიდრეობის განსაზღვრებაში „ნაგებობათა ჯგუფებიც“ მოაქცია.

თავის მხრივ, კონვენციების სამოქმედო წესებმა გაზარდა ეს განსაზღვრება „ურბანული ნაგებობების ჯგუფებით," და აღიარა „ურბანული სტრუქტურების სიმყიფე" თანამედროვე ურბანიზაციის „თავბრუდამხვევი სისწრაფის" წინაშე. ამით მათ ყურადღება მიაპყრეს აუცილებლობას, ვიპოვოთ ისეთი საკონსერვაციო გადაწყვეტა, რაც მოერგება და გაუძლებს ურბანული ცხოვრების დინამიკურ ძალებს.

მიუხედავად იმისა, რომ „სახელმძღვანელო პრინციპები" მხარს უჭერს მხოლოდ იმ ქალაქების და ქალაქური რაიონების სიაში შეტანას, რომელთაც განსაკუთრებული ღირსებებიც აქვს და, უფრო მეტიც, უკვე უზრუნველყოფილია სათანადო საკანონმდებლო და ფინანსური მხარდაჭერით, მათი მნიშვნელობა იქიდან ჩანს, რომ 1990 წლისათვის მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში ნომინირებული 339 ღირსშესანიშნავი ადგილიდან 73 წარმოადგენს ქალაქურ ანსამბლებს მათი კულტურული და ბუნებრივი მნიშვნელოვნების გამო.

ნაკლებად ცნობილი, ვიდრე მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია, მაგრამ იუნესკო-ს მიერ იმავე დღეს რატიფიცირებული, *კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ეროვნულ დონეზე დაცვის რეკომენდაცია* ყურადღებას ამახვილებს დიალოგზე მემკვიდრეობის განვითარების გარშემო. მასში აღნიშნულია, რომ მემკვიდრეობა „უნდა განიხილებოდეს არა როგორც დაბრკოლება ეროვნული განვითარებისათვის, არამედ როგორც ასეთი განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი." მეტიც, აქ ნახსენებია ღონისძიებები საკონსერვაციო სამუშაოებისთვის სამოსახლოთა ცხოვრებაში ადგილის მისაჩენად და აღნიშნულია მთელი საზოგადოების ამ საქმიანობაში ჩართვის აუცილებლობა.

ამ უცაბედმა მცდელობამ უფრო დიდი წონა შეიძინა, როდესაც იუნესკო-ს გენერალურმა კონფერენციამ 1976 წლის ნაირობის შეხვედრაზე მიიღო *რეკომენდაცია ისტორიული რაიონების უსაფრთხოების დაცვისა და თანამედროვე ცხოვრებაში მათი როლის შესახებ.* ზოგადად, ეს დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებდა გეგმარების პროცესის გამოყენებზე, ყველა თანმდევი სამართლებრივი, ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური ღონისძიებებითურთ, განვითარებისას კონკრეტული ურბანული გარემოს ხასიათის გათვალისწინების უზრუნველსაყოფად.

ნაირობის რეკომენდაცია დეტალურ რჩევას აწვდის ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ მთავრობებს ისტორიული ურბანული რაიონების „უსაფრთხოების დაცვისთვის" აუცილებელ სამართლებრივ, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ღონისძიებებთან დაკავშირებით. „უსაფრთხოების დაცვა" აქ ფართო ცნებაა და გულისხმობს ასეთი რაიონების „იდენტიფიკაციას, დაცვას, კონსერვაციას, რესტავრაციას, რენოვაციას, ტექნიკურ მომსახურებას და რევიტალიზაციას." რეკომენდაციაში ასევე პირველადაა აღნიშნული „კვლევითი სამუშაოების, განათლების და ინფორმირების" მხარდაჭერის აუცილებლობა კონსერვაციისათვის ხელსაყრელი განწყობილების შესაქმნელად. აქვე აღნიშნულია წევრი სახელმწიფოების ერთმანეთთან „საერთაშორისო თანამშრომლობის" დიდი მნიშვნელობა. თუმცა რეკომენდაციის ღირსება იმაშია, რომ იგი იძლევა სპეციფიკურ და დეტალურ რჩევებს სათანადო ღონისძიებების ფორმასა და შინაარსთან დაკავშირებით, სწორედ ამ მისმა სპეციფიურობამ გამოიწვია უთანხმოება ადგილებზე მისი გამოყენებადობის თაობაზე და დიდი ხნით დააკარგვინა რწმენა ამ დოკუმენტისადმი და შეაფერხა მისი გამოყენება.

იკომოს-ის მოსკოვის 1978 წლის გენერალურ ასამბლეაზე ვენეციის ქარტიის გადახედვისას სცადეს დაეზუსტებინათ ურბანული კონსერვაციის პრინციპები. ასამბლეის გადაწყვეტილებამ – ქარტია ისტორიულ დოკუმენტად ჩაითვალოს – წარმოშვა მინი-ქარტიების წყება ისეთ სფეროებში, როგორიცაა კულტურული ტურიზმი, ისტორიული ბაღები, ხალხური შემოქმედება და ისტორიული ქალაქები.

იკომოს-ის ისტორიული ქალაქების კომიტეტის ხელმძღვანელობით 1980- 1986 წლებში მოხდა მთელი რიგი ტექსტების მომზადება და მათი ტესტირება. ამ საქმიანობის შედეგი – *ისტორიული ქალაქების და ურბანული ტიპის დასახლებების დაცვის ქარტია,* მოწონებული იკომოს-ის ვაშინგტონის 1987 წლის გენერალური ასამბლეის მიერ, მაშინვე გახდა ურბანული დაცვის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ქარტია განსაზღვრავს ისტორიული ურბანული რაიონების მნიშვნელოვან თვისებებს, აღწერს სათანადო მიდგომის (თანამშრომლობა, წინდახედულობა, დაგეგმვა) ყველაზე აღსანიშნავ მახასიათებლებს და იძლევა მენეჯმენტის მთელ რიგ სპეციფიკურ დირექტივებს ტრანსპორტის მოძრაობის, სტიქიური მოვლენების, წვრთნისა და სხვ. შესახებ.

ერთხელ შემუშავებულ კონსერვაციის პრინციპებს ხშირად ისე უყურებენ, თითქოს მათ უპირობოდ უნდა მიყვე. თუმცა ისინი ხელთ გვაქვს ცალკეული კულტურისა და კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, არცთუ იშვიათად, საჭირო ხდება მათი მორგება იმ მოთხოვნილებებზე, რომელსაც ამა თუ იმ რეგიონის სპეციფიკა კარნახობს. ზოგიერთი თავის დებულებები, მაგალითად ტრანსპორტის მოძრაობის მენეჯმენტის შესახებ, უფრო მიესადაგება განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას.

ისტორიული ქალაქების ქარტიის შედგენაზე ხანგრძლივმა მუშაობამ ხელი შეუწყო მის ადაპტაციას მთელი რიგი რაიონების კონკრეტულ პირობებთან. ზოგიერთმა ეროვნულმა ქარტიამ, მაგ., 1987 წლის იკომოს-ის ბრაზილიური კომიტეტის "Carta de Petropolis"-მა დაადასტურა ფუნდამენტური პრინციპები, მორგებული ადგილობრივ ვითარებაზე, მაგალითად, იმის საჭიროება, რომ „ურბანული ობიექტის სოციალური ღირებულება. . . უნდა აღემატებოდეს მის საბაზრო ღირებულებას." ადაპტაციის სხვა ცდები ჯერ არ დასრულებულა, მათ შორის იკომოს-ის ეროვნული კომიტეტის ძალისხმევა აშშ-ში,

რათა მიუსადაგოს ამერიკის სპეციფიკას ისტორიული ქალაქების ქარტიის პრინციპები.

საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე ორი ათეული წლის განმავლობაში გაწეულმა ძალისხმევამ, დადგენილიყო და განახლებულიყო ურბანული კონსერვაციის ყველაზე შესაფერისი პრინციპები, გამოკვეთა ცალკეული საკვანძო მომენტები და ცხადყო საჭიროება, განისაზღვროს განსხვავება პრინციპების, სტანდარტების და რეკომენდებული ქმედებების გამოყენებას შორის.

ამ არევ-დარევის გამო ბრალი ნაწილობრივ არსებულ დოკუმენტებსაც მიუძღვის, რადგან მათში ცალკეული ტერმინები თანამიმდევრულად არ არის ნახმარი. ზოგადად, კონსერვატორთა შორის ასხვავებენ *პრინციპებს* (მასშტაბით საყოველთაო განმაზოგადებულ იდეალებს, რომელთაც მუშაობისას უნდა მისდიო), *სტანდარტებს* (ლოკალურ-რეგიონული გარემოებებისა თუ მოუწესრიგებლობის შესაბამისი, გაზომვადი საკონტროლო სამიზნეები, რომლებიც იძლევა იმ საზომს, რომლისადმი შესატყვისობა ადვილად გასაზომია) და *რეკომენდებული ქმედება* (სასურველი მოქმედებები, მოღვაწეობა, ჩვეულებრივ ადგილობრივი მასშტაბის, გამოყენებული პრინციპებისა და სტანდარტების შესაბამისად) შორის.

უახლესი დოკუმენტების წაკითხვა დაგარწმუნებთ, რომ ურბანული კონსერვაციის რვა საკვანძო პრინციპის თაობაზე კონსენსუსია მიღწეული.

### *კონსერვაციის რვა საკვანძო პრინციპი*

1. იმ განსაკუთრებული თვისებების იდენტიფიკაციის აუცილებლობა, რაც მნიშვნელოვნებას ანიჭებს ურბანული ტიპის ისტორიულ დასახლებებს და უზრუნველყოფა იმისა, რომ მისი დაცვისა და მდგომარეობის გაუმჯობესების სათანადო საშუალებები ამ თვისებების გათვალისწინებით შემუშავდება;

2. ინვენტარიზაციის, კვლევის და შეფასების სისტემატური პროცესის აუცილებლობა, რათა დარწმუნებული ვიყოთ, რომ ცალკეული ურბანული ტიპის დასახლებები შეფასებულია ზოგადი სტანდარტების შესაბამისად;

3. ურბანული ტიპის დასახლების შეფასების შედეგების კონსერვაციის გეგმაში გამოყენების აუცილებლობა, რაც განსაზღვრავს ამა თუ იმ ღირსშესანიშნავი ადგილისათვის საჭირო დაცვის დონეს;

4. კონსერვაციის დაგეგმვის აუცილებლობა, რათა მემკვიდრეობის მიზნები ინტეგრირებული იყოს სხვა სოციალური და ეკონომიკური განვითარების კანონიერ მიზნებთან;

5. კონსერვაციის დაგეგმვაში მოსახლეობის თავიდანვე ჩართვის აუცილებლობა, მათთვის კონსერვაციის სამუშაოების განმარტების და წვრთნის ჩატარების გზით; ასევე საზოგადოების გააზრებული თანადგომა არჩევანის გაკეთებისას;

6. აუცილებლობა ფინანსურად შეფასდეს განვითარების ალტერნატივები, რომლებიც ზემოქმედებას მოახდენს ისტორიულ ურბანულ დასახლებებზე, სათანადო სოცილაური და მემკვიდრეობისმიერი ღირებულებების ჩათვლით;

7. აუცილებლობა წავუბიძგოთ ეროვნულ და რეგიონალურ მთავრობებს, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული სამართლებრივი და ფინანსური საშუალებები, რათა ხელი შეუწყონ ადგილობრივ დონეზე კონსერვაციისთვის ხელსაყრელი განწყობილებების შექმნასა და სათანადო ადმინისტრაციული და ფინანსური ღონისძიებების გატარებას;

8. აუცილებლობა კონსერვაციის თითოეული პრობლემა უნიკალურად მივიჩნიოთ, ამა თუ იმ ღირსშესანიშნავი ადგილის საგანგებო ღირებულება — ვითარებების შესატყვისად გადასაჭრელად.

როდესაც ეს პრინციპები ცნობილი გახდება სპეციალისტების წრეში, ისინი შეიძლება გამოყენებული იქნეს კრიტერიუმებად, რომელთა შესაბამისად შემუშავდება რეკომენდებული ქმედებების შესაფერისი ადგილობრივი სტანდარტები და სამოქმედო გეგმები. იმისთვის, რომ ეს იდეალიზებული გზავნილი ყველასთვის გასაგები და მისაღები იყოს, უაღრეს მნიშვნელობას იძენს საგანგებო გულისყური საზოგადოებრივი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისადმი.

# 4. ისტორიული ქალაქების სათანადო განვითარება

## *ისტორიული ქალაქების „მდგრადი განვითარების" მიდგომა*

ეკონომიკური განვითარება და მემკვიდრეობისმიერი ხასიათის დაცვა ხშირად შეუთავსებლად მიიჩნევა. სინამდვილეში, როგორც ეს ბოლო თავში იყო აღნიშნული, კონსერვაციის მიდგომამ შესაძლებელია ორივე შეითავსოს, თუ განვითარების მეთოდები ხელს შეუწყობს და ასახავს მემკვიდრეობითი ღირსშესანიშავი ადგილების ძირითად ღირებულებებს. მათი განვითარებისა და კონსერვაციის შესაძლო ურთიერთკავშირის საწვდომად შეიძლება ბუნებრივი გარემოს დაცვის მოძრაობაზე დაკვირვება წაგვეშველოს.

ამ დარგში, ქალბატონი ბრუნტლენდის გეზისმიმცემმა ნაშრომმა *ჩვენი საერთო მომავალი: მსოფლიო კომისიის მოხსენება გარემოსა და განვითარების შესახებ,* ახლახან ჩამოაყალიბა მდგრადი განვითარების ყველასთვის მისაღები და გასაგები კონცეფცია. ამ, ახლა უკვე ყველასთვის ცნობილმა სიტყვათა შეთანხმებამ შექმნა საფუძველი ორი აშკარად ურთიერთსაწინააღმდეგო მიზანსწრაფვის შესარიგებლად: ეკონომიური განვითარების ინტერესებისა, ერთი, და გარემოს დაცვის ინეტერსებისა, მეორე მხრივ.

ამ მოხსენებაში ორივე მიდგომა კანონიერად არის მიჩნეული, ორივე განხილულია, როგორც ადამიანთა საზოგადოების არსებული სახით გადარჩენისთვის აუცილებელი. სათანადო განვითარების გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ დავაკმაყოფილოთ მთელი მსოფლიოს ადამიანების მისწრაფებები ჰქონდეთ ნორმალური საცხოვრებელი, საკვები და გადაადგილების საშუალებები. ზუსტად ასევე, გარემოს შესაბამისი დაცვის გარეშე ჩვენ შეიძლება წინდაუხედავად დავხარჯოთ ის რესურსები, რომელიც კვებავს თვით განვითარებას და ქმნის ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობისათვის სათანადო საცხოვრებელ პირობებს.

*ჩვენი საერთო მომავალი*-ს გამოქვეყნებამდე, ჩანდა ისე, რომ გზა პროგრესისაკენ გულისხმობდა არჩევანს ამ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ხედვას შორის. ერთი თითქოს ისეთ მწვავე საკითხებს წყვეტდა, როგორიცაა სამუშაო ადგილები, ეკონომიკური დანახარჯების და მთლიანი ნაციონალური პროდუქციის ურთიერთმიმართება; მეორე უპირატესობას ცხოვრების ხარისხს ანიჭებდა. ერთს „დიდი პოლიტიკის" წარმმართველნი მისდევდნენ, როგორც ცხოვრებისეულ სიბრძნეს, მეორე – დისიდენტების უტოპიურ ალტერნატივათაგანი იყო. ჩანდა ისე, რომ ერთი რეალურ სარგებელთან იყო დაკავშირებული, ხოლო მეორე კი ეფემერულ თეორიებთან.

მდგრადი განვითარების კონცეფციამ გვაჩვენა, რომ ეს არაა შავსა და თეთრს შორის არჩევანი. ჩვენ უფრო წაგვადგება, თუ ამოვიცნობთ და მხარს დავუჭერთ განვითარების იმ ფორმებს, რომელთაც ძალუძთ ხანგრძლივი დროის მნძილზე დაიცვან ჩვენი სიცოცხლე და ჩვენი რესურსები. რა თქმა უნდა, განვითარება, მაგრამ კონსერვაციის მიდგომით გამშვენებული.

გადაწყვეტილების მიმღებთათვის, ვისაც ახლებური სიბრძნის სხვა სფეროთათვის, მაგ., ისტორიული ქალაქების განვითარებისათვის, მოშველიება სურდა, ეს კიდევ ორ დამახასიათებელ რისამე მიღებას ნიშნავდა:

- მართული ზრდის აუცილებლობა;
- ჰოლისტური მიდგომის აუცილებლობა.

კულტურული მემკვიდრეობის სამყარო ბევრ და სრულიად აშკარა პარალელებს გვთავაზობს. თუ გაერთიანებული ერების კომისიას ჯერაც არ დაუწყია ამ საკითხთა ანალიზი, ისეთი ჯგუფები, როგორც იუნესკო-ს კულტურული მემკვიდრეობის განყოფილება, იკომოს-ი და ევროპის საბჭო უკვე რამდენიმე ათეული წელია ამახვილებს საზოგადოების ყურადღებას მსგავს კონფლიქტებზე და პერსპექტივებზე. მაგალითად, ევროპაში, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, უკვე 15 წელზე მეტია, რაც „ინტეგრირებული კონსერვაციის" კონცეფცია ამგვარი მიდგომის ყველასათვის ცნობილი მეტაფორა გახდა. იქ ფიზიკური კონსერვაცია დაფუძნებულია გადაწყვეტილებებზე, რომლებიც იმავდროულად აკმაყოფილებს ეკონომიკურ და სოციალურ მიზნებს. ევროპის გარეთ ამ ცნებას ჯერაც არ მოუპოვებია საყოველთაო აღიარება. მაგრამ, რა ენაზეც უნდა ვილაპარაკოთ, ასეთი მიდგომების აღსაწერად, რეალური სირთულე ისაა, ერთად მოვუყაროთ თავი კონსერვაციის სხვადასხვა ეტაპების (ამოცნობა, შეფასება, დაცვა, გამაგრება) მონაწილეებსა და საქალაქო ცხოვრების სხვა მიზნების მოამაგეებს, რათა სამოსახლოს მენეჯმენტის სტრატეგიაში აისახოს პრობლემების საერთო სურათი.

როგორც ბუნების, ისე კულტურის სამყაროში სასარგებლოა დაფიქრება მდგრადი განვითარების ევოლუციურ ნაბიჯებზე. ზოგადად შესაძლებელია სამი ეტაპის გამოყოფა: გამოქომაგება, ინტეგრირება და მდგრადობა.

მდგრადი განვითარების მიდგომა:

1. გამოქომაგება: კონსერვაციის თვალსაზრისის მკაფიოდ ჩამოყალიბება და მათი სხვა ინტერესებთან დაბალანსების მცდელობა;
2. ინტეგრირება: ხელშეწყობა კონსერვაციის მოსაზრებების შერწყმისა განვითარების სხვა ვალდებულებებთან; ამისთვის საჭირო ტექნიკური უნარ-ჩვევების განვითარება;
3. მდგრადობა: მართვის ორგანოებში კონსერვაციის ეფექტიურობის მონიტორინგი; ამ სფეროში ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების გაგრძელება.

გამოქომაგების ეტაპის მიზანია, საკვანძო ღირებულებების რაც შეიძლება მრავალთა მიერ გაცნობიერება და აღიარება. როდესაც ინფორმირებულობა ზრდას დაიწყებს, ის, რაც დაიწყო როგორც მოძრაობა, მიიღებს ინსტიტუციურ ხასიათს და თანდათან ჩაერთვება განვითარებისა და სტრატეგიული განხორციელების პოლიტიკის მთავარ მიმდინარეობაში.

ინტეგრაციის ეტაპზე მდგრადი განვითარება გულისხმობს კონსერვაციის მიდგომის შერწყმას საზოგადეობის იმ ვალდებულებებთან, რომლების ადრე მტრულად იყვნენ მისადმი განწყობილი ან უგულებელყოდნენ მას. როგორც კი საამისო ინსტიტუციური შესაძლებლობები განვითარდება და დაიხვეწება, კვლევის და განვითარების ყურადღების ცენტრში მოექცევა არა სიტყვა „რატომ," არამედ „როგორ."

ამ ეტაპზე გამოქომაგება კარგავს მნიშვნელობას და მის ადგილს იკავებს ძალისხმევა, ტექნიკური დახმარება გაეწიოთ მათ, ვინც ამ სფეროშია დაკავებული.

მდგრადი განვითარების ბოლო ეტაპზე, რომელიც აქ განმარტებულია როგორც მდგრადობა, კონსერვაციის უწყებებს ეძლევათ შესაძლებლობა განავითარონ, შეამოწმონ და დახვეწონ ის საშუალებები, რაც საჭიროა მათთვის დავალებული ახალი სამუშაოების შესასრულებლად. პარალელურად, პროექტისა თუ პოლიტიკის წარუმეტებლობების მონიტორინგით.

ბუნებისა და კულტურის სამყაროთათვის ეს, რა თქმა უნდა, მეტისმეტი გამარტივებაა. მოვლენები ყოველთვის არ მისდევს ერთიმეორეს, ეტაპიდან ეტაპამდე; სხვადასხვა სახის სამუშაოები შეიძლება ერთდროულად შესასრულებელი აღმოჩნდეს. და მაინც, როდესაც საქმე გვაქვს ისტორიულ ქალაქებთან ან ურბანულ რაიონებთან, ძალიან სასარგებლოა ამოსავალი წერტილიდან თავისი საქმეების უკეთესად სამართავად, იმის გაცნობიერება, როგორია ამჟამად მოსახლეთა შესაძლებლობები გამოძებნონ, განახორციელონ და ხანგძლივად შეინარჩუნონ შესაბამისი მიზნები.

## მოსახლეთა ერთობის განვითარების ანალიზი მემკვიდრეობის კონსერვაციისათვის

განსაზღვრეთ მემკვიდრეობის კონსერვაციის სიმწიფის ეტაპი თქვენ ისტორიულ ქალაქსა თუ ურბანულ რაიონში. რა არის მისი დამახასიათებელი ნიშნები?

**გამოქომაგების ეტაპზე მყოფი მოსახლეთა ერთობის მიერ ალბად აღნიშნული იქნება:**

- **საზოგადოების შეზღუდული ინტერესი კონსერვაციის მიზნების მიმართ**

- კონსერვაციის პოპულარიზაციის დაბალი დონე იმ სპეციალისტების მხრიდან, რომლებიც მოღვაწეობენ ეროვნულ და რეგიონალურ დონეებზე

- **კონსერვაციის სუსტი პოლიტიკური გაგება და მხარდაჭერა**

- ურთიერთდაპირისპირება კამათსა თუ კონსერვაციის საკითხებზე;

- **მცირე ან არანაირი ვალდებულებანი ოფიციალური პირების მხრიდან**

- მცირე რესურსების გამოყოფა კონსერვაციის მიზნებისათვის
- პრობლემათა გადასაჭრელად შესაძლებლობების სიმწირე

**ინტეგრაციის ეტაპზე მყოფი მოსახლეთა ერთობის მიერ ალბათ აღნიშნული იქნება:**

- **საზოგადოების ზომიერი ინტერესი კონსერვაციის მიზნების მიმართ**

- საზოგადოებას ზომიერად ესმის და აფასებს ქალაქის ისტორიული მემკვიდრეობის ღირებულებას და იმ ელემენტებს, რაც მას განსაზღვრავს
- დიდი ინტერესი ყველა დონის სპეციალისტებს შორის დაადგინონ საზოგადოების მემკვიდრეობის მართვის სტანდარტები

- **კონსერვაციის გზავნილის ზომიერი პოლიტიკური მხარდაჭერა**

- ნაკლები ურთიერთდაპირისპირება კონსერვაციის საკითხების გამო

- **მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლების სისტემატური თანადგომა კონსერვაციის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად**

- ქალაქის მთავრობიდან კონსერვაციაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა
- კონსერვაციის პროგრამებისთვის საჭირო რესურსებისა და საშუალებების ხელმისაწვდომობა

**მხარდაჭერის ეტაპზე მყოფი მოსახლეთა ერთობის მიერ ალბათ აღნიშნული იქნება:**

- **კონსერვაციის მიზნებისადმი საზოგადოების ცხოველი ინტერესი**

- საზოგადოების მხრიდან კონსერვაციის მიზნებისთვის ისეთივე დიდი მნიშვნელობის მინიჭება, რაც „ჯანმრთელობას“ და „მშვიდობას“ ენიჭება
- კონსერვაციის ღირებულებასა და რაობაში ჩახედული სპეციალისტების დიდი ინტერესი და განვითარების უნარი; ახალი პროფესიული დისციპლინეს გაჩენა

- **კონსერვაციის გზავნილის გათავისება მმართველობითი სტრუქტურების ყველა წახნაგზე**

- ნორმების შეთანხმება კონსერვაციის შედეგების მენეჯმენტში

- **მთავრობის მხრიდან მაღალგანვითარებული ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა კონსერვაციის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად**

- კონსერვაციის მეთვალყურეს როლი მიზნების განხორციელებისაკენ მიმართული პროგრესის მონიტორინგში
- განვითარებული პროგრამების სისტემა და საშუალებები, რომლებიც ადვილად მოერგება ცალკეულ სიტუაციებს.

**რომელ ეტაპზე იმყოფება თქვენი ისტორიული ქალაქი მოსახლეთა ერთობის განვითარების მხრივ კონსერვაციასთან მიმართებაში?**

1. გამოქომაგების?----------; იმიტომ რომ----------
2. ინტეგრირების?----------; იმიტომ რომ ----------
3. სიმდგრადისს?----------; იმიტომ რომ ----------

დასვით ეს კითხვები ერთი წლის შუალედით, რომ მიხვდეთ, თუ რა დონის ცვლილებები მოხდა თქვენს მოსახლეთა ცხოვრებაში.

## *მართვის სტრატეგიები*

სანამ კონსერვაციის სპეციალისტები ხელახლა ამუშავებენ და ხვეწენ ურბანული კონსერვაციის პრინციპებს, ისტორიული ურბანული ცენტრები იზრდება, ვითარდება და იცვლება. ვინც ამ საქმიანობაშია ჩართული, დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას იძენს, როდესაც მრავლისმომთხოვნ თუ რთულ გარემოებებში მათ უხდებათ კონსერვაციის პრინციპების რეალურად გამოყენება; ეს გაკვეთილები ეხმარება მათ შეაფასონ მართვის განსხვავებული მეთოდების შედარებითი ეფექტიურობა.

ისტორიული ქალაქების განხორციელებადი მართვის მეთოდების საკვანძო დამახასიათებელი ნიშნებია:

*1. ქალაქების დინამიკური ხასიათის გათვალისწინება.*

იმდენად, რამდენადაც მნიშვნელოვანი ურბანული ცენტრების მნიშვნელოვნების ღირებულება დიდ წილად ასახავს იქ მცხოვრებ ადამიანთა თვისებებს და ინტერესებს, ღონისძიებათა კარგად მოფიქრებული სტრატეგია მიმართული უნდა იყოს სასურველი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისაკენ და არა უბრალოდ გარემოს ფიზიკური ფორმის დასაცველად. ყურადღების გამახვილება ქალაქისა თუ ისტორიული მიდამოს სისტემურ მახასიათებლებზე (მისი საქმიანობა, ფუნქციები და მათი ურთიერთკავშირი) დაგვეხმარება სწორი მიმართულებით წარვმართოთ გრძელვადიანი სტრატეგია.

*2. საზოგადოების მონაწილეობის მნიშვნელობის გათვალისწინება.*

ნათელია, რომ კონსერვაციის მეთოდების გრძელვადიანი წარმატება დიდწილად იმაზეა დამოკიდებული, რა ზომითაა შესაძლებელი ჩავაბათ სამოსახლოს მოქალაქენი საკუთარი მემკვიდრეობის განსაკუთრებული თვისებების დადგენასა და დაცვაში. ბევრ ქალაქში კონსერვაციის პროფესიონალები, რომლებიც ურბანული მენეჯმენტის ეფექტიური მეთოდების განვითარების უშუალო მონაწილენი იყვნენ, ახლა ეძებენ პრაქტიკულ გზებს, რომ მოქალაქეებთან, როგორც შუამავლებთან ერთად, იმუშაონ, რათა მათ დაადგინონ და დაიცვან თავისი საკუთარი მემკვიდრეობა.

*3. ინტეგრაცია დამატებითი მიზნებით.*

მენეჯმენტის წარმატებული მეთოდები საზოგადოების და კერძო სექტორის საქმიანობის სხვა მართებულ მიზნებთანაცაა ინტეგრირებული.

ურბანული კონსერვაციის ბევრ პროგრამაში, მაგ., საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის ხარჯები მათ მობინადრეებზეა დაკისრებული. როდესაც კერძო პირებს არ ძალუძთ ასეთი ხარჯების გაწევა, მათ ხშირად ასახლებენ განახლებული უბნებიდან. ეს მოვლენა ახლა ცნობილია „ჯენტრიფიკაციის“ სახელწოდებით.

მემკვიდრეობის კონსერვაციის კრიტიკისას მის ელიტარულ ხასიათს აღნიშნავენ ხოლმე ან ამბობენ, რომ ის აუსიცოცხლოებს ერთ დროს სიცოცხლით სავსე ურბანულ უბნებს, თითქოს „აქვავებს“. ჩვეულებრივ, ასეთ შედეგს ვიღებთ მაშინ, როდესაც ნებას აძლევენ კონსერვაციული სამუშაოები სხვა მიზნების გათვალისწინების გარეშე ჩატარდეს.

ამის საპირისპიროდ, ხშირად მემკვიდრეობის დაცვის საქმეს ზიანი ადგება, როდესაც თვალთახედვიდან ეპარებათ მისი უნარი გადაწყვიტოს სხვა პრობლემები, რადგან მას ძალუძს, მაგალითად, მოგვცეს სასურველი ფართი ზომიერ ქირად, ან მიანიჭოს სასურველი იერი რომელიმე საწარმოო დაწესებულებას. კონსერვაციის პროგრამებმა შეიძლება პოზიტიური ეკონომიკური ზეგავლენა იქონიონ მის მიმდებარე რაიონებზეც კი. მაგალითად, რეაბილიტაციის ყოველი პროექტი წარმოშობს სამუშაო ადგილებს სამშენებლო ინდუსტრიაში, რაც, თავის მხრივ, ზრდის მოთხოვნილებას საკვებზე, საცხოვრებელზე და საყოფაცხოვრებო მომსახურეობაზე.

პრაქტიკულ დონეზე, ამ სახის ინტეგრაცია შეიძლება დაწყებულ იქნეს განვითარების წინადადებების განხილვით „სათანადო განვითარების“ პერსპექტივიდან. ასეთი მიდგომა მოითხოვს სხვადასხვა ინტერესების წარმომადგენლების შეთანხმებას იმაზე, თუ რას უნდა ემსახურებოდეს ეს განვითარება – მოგების მიღებას? ესთეტიკურ მიმზიდველობას? ხელმისაწვდომობას? მემკვიდრეობის ხასიათის პატივისცემას? – და რა გავლენა უნდა ჰქონდეს თითოეულ მათგანს. ამ მიდგომას ბევრი დადებითი მხარე აქვს: იგი ხელს უწყობს წინასწარი შეთანხმების მიღწევას საკითხებზე, რომლის თვალშისაცემმა დეტალებმა შეიძლება გამოიწვიოს დადებითი თუ უარყოფითი რეაქცია (და აქედან გამომდინარე, აზრთა პოლარიზაცია); იგი წარმოშობს მოსაზრებებს სასურველი შედეგების მისაღებად და ქმნის გონიერ საფუძველს სწორი არჩევანის გაკეთებისათვის.

*4. წინააღმდეგობრივი მენეჯმენტისადმი დადებითი მიდგომა.*

ინტეგრირებული მიდგომის თანმდევი არის დადებითი მიდგომების გაზიარება წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებების მიმართ.

ისტორიულ სამოსახლოებში შეიძლება წარმოიშვას ორი მრავლისმომცველი ტიპის წინააღმდეგობა: კონფლიქტი მემკვიდრეობის დაცვის ინტერესებსა და სამოსახლოს განვითარებას შორის და კონფლიქ-

ტი სამოქალაქო ადმინისტრაციაში კონკურირებად ინტერესებს შორის.

ცხოვრებისეულ სიტუაციებში კონფლიქტების მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ ორ მხარეს შორის საერთო ინტერესების დადგენის გზით. საამისოდ ჩვეულებრივ საჭიროა მსჯელობის დონე მიზნებსა და ძირითად სათქმელზე ფოკუსამდე ამაღლდეს. ცალკეული პირები, რომლებიც ხშირად კამათის საკითხის ერთ მხარეს იმყოფებიან, ვერ თანხმდებიან მიზნის მიღწევის მეთოდებზე, ან კიდევ გზადაგზა შემატებული ამოცანების თაობაზე. მაგრამ ისინი იშვიათად კამათობენ დასახული მიზნის თვისებებზე. დაპირისპირებისას, განხილვის დონის ამაღლებისას მემკვიდრეობის ქომაგები და განვითარების მომხრეები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ორივე მხარე დაინტერესებულია დადებითი წვლილი შესძინონ სამოსახლოს. ამ აღმოჩენით ისინი ერთ მხარეს — სულ ცოტა, ერთ დონზე, – ხვდებიან და ბევრად ადვილი ხდება შეუთანხმებელ დეტალებთან მიბრუნება. დაპირისპირების დაცხრობა ღირებული ტექნიკაა, მაგრამ სასურველი შედეგის მისაღებად იგი ჩვეულებრივ მოითხოვს პროფესიონალების დახმარებას.

*5. კულტურული ადაპტაციის უნარი.*

წარმატებულმა სტრატეგიამ უნდა აგვარიდოს თავიდან კულტურული ტენდენციების იმპორტირებაც. საკამათო არ არის, რომ კონსერვაცია „ჰოლისტურ“ დამოკიდებულებას უნდა გულისხმობდეს; და მაინც, მსოფლიო კულტურა იმდენად განსხვავებულია თავისი მისწრაფებებით, ორგანიზაციებით და ღირებულებებით, რომ ჰოლისტურ მიდგომას, ან კონსერვაციის რომელიმე სხვა პრინციპს სხვადასხვა სამყაროში სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს. დასავლეთ სამყაროს განვითარებისათვის საჭირო აღმოჩნდა პარტნიორობა მთავრობის მასტაბილიზირებელ ძალებსა (ვინც ზრუნავს საზოგადოების კეთილდღეობაზე კონკრეტულ სფეროში) და კერძო სექტორის მეწარმეებს შორის, რომლებიც „რისკავენ“ თავის კაპიტალს პირადი (და საზოგადოებრივი) მიზნების მისაღწევად; სოციალისტურმა სამყარომ მთელი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ხელში მოაქცია; განვითარებადმა სამყარომ კი მიიღო სარგებელი ორივე წყაროდან, ერის პოლიტიკური ორიენტაციის შესაბამისად. განსაკუთრებული კულტურული პრობლემა მდგომარეობს ცვლილების ტემპში, რომელიც ცდილობს ჩაატიოს განვითარების საუკუნეები ათეულ წლებში ისეთ ქვეყნებში, სადაც არ არსებობს მოდერნიზაციის ტრადიცია. ასეთ ქვეყნებში ძეგლთა დაცვის სფეროში მომუშავე ადამიანებს მოეთხოვებათ უარი თქვან ცოცხალ ტრადიციებზე, იმისთვის რომ შემდგომ უკეთესად დაიცვან ისინი და მოუწოდონ საზოგადოებას ასევე მოიქცეს. ბევრი „განვითარებადი ქვეყანა“ ახლა ცდილობს გადაჭრას ეს თავსატეხი და ყურადღებას – კონსერვაციის სახელით, – ტრადიციული ცხოვრების გზის სიცოცხლის შენარჩუნებას უთმობს, თანაც გაუცნობიერებლად.

## გ. დაგეგმვის საკითხები ისტორიულ ქალაქებში: კონკრეტული შემთხვევების ანალიზი

### *შესავალი*

ისტორიულ ქალაქებსა და ურბანულ რაიონებში შესაბამისი საკონსერვაციო სამუშაოების და პროგრამების შესრულების უზრუნველყოფა მოითხოვს განსჯის უნარს, თუ რამდენად ეფექტიურად მიაღწევს შემოთავაზება საზოგადოებისათვის სასურველ შედეგებს. ჩვეულებრივ, ამ შედეგების განსაზღვრა დაგეგმვის პროცესის გამოყენებით ხდება.

ეს პროცესი მარტივი და რაციონალურია; მისი წარმატება მოითხოვს ხუთი ერთმანეთის მომდევნო ნაბიჯის გადადგმას:

**დაგეგმვის პროცესი**

1. არსებული ვითარების ანალიზი;
2. სასურველი ვითარების ანალიზი (ხედვა);
3. სასურველი შედეგების განსაზღვრა (რაც აუცილებელია ხედვის მისაღწევად);
4. შესაფერისი საშუალებების არჩევანი სასურველი შედეგების მისაღწევად;
5. მონიტორინგი: სტრატეგიის მიმოხილვა და დაზუსტება.

უმეტესი ქალაქები, დიდი თუ პატარა, ისტორიული თუ ახალი, მათი სტრატეგიის და პროგრამების შესამუშავებლად დაგეგმვის პროცესს იყენებს. თუ კონსერვაცია კარგად იქნება პროცესში შერწყმული,

ხედვის განაცხადში (ნაბიჯი მეორე) კონსერვაციის მიზნებიც შევა. ისტორიულ ქალაქებში მესამე ნაბიჯის გადადგმა წრმოშობს შედეგებს, რაც შორს ცდება ბინათმოწყობის და ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირების მიზნებს და მოიცავს ისტორიული ელემენტების ფიზიკურ თვისებებს, რომლებიც საერთო სტრატეგიის ხელშეწყობას საჭიროებს.

შედეგების ოფიციალური ანგარიში, სადაც ყურადღება გამახვილებულია მემკვიდრეობის თვისებებზე, დააკონკრეტებს იმ ფაქტორებს, რომლებიც იდენტიფიცირებული იყო მაშინ, როდესაც ღირსშესანიშნავი ადგილი შევიდა მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში. თუ ისინი ჩამოყალიბდა, ეს იძლევა საფუძველს, რომლის მიხედვით შემოწმდება მეოთხე ეტაპზე შერჩეული კონსერვაციის პოტენციური სტრატეგიის ზემოქმედება.

იმისთვის, რომ დაგეგმვის პროცესმა ძალმოსილება და კანონიერება მოიპოვოს, უნდა ჩატარდეს მაქსიმალურად ფართო სპექტრის სამუშაოები, სანამ უშუალოდ მემკვიდრეობაზე (თუ რაზეც გნებავთ სხვაზე) დავიწყებდეთ ზრუნვას. პირველი ნაბიჯის დროს საშუალება უნდა მოგვეცეს დავადგინოთ ქალაქის ყველა სუსტი და ძლიერი მხარე: ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, სამუშაო ადგილების არსებობა, კულტურული განვითარება, გარემო პირობები. ნაბიჯი მეორე, იმის მიხედვით თუ რა ვითარება დახვდათ და დაფუძნებული იმის ხედვაზე, თუ რა არის „სასურველი“, გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ ნებისმიერი, ნაბიჯ პირველისას მონიშნული მხარის სასურველი მდგომარეობა (ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, სამუშაო ადგილების არსებობა, კულტურული განვითარება, გარემო პირობები) .

მესამე საფეხური ცალკეულ ამოცანებს უსახავს პროგრამებსა და საქმიანობას და ადგენს ყოველ ზემოგანხილულ სფეროში სასურველ შედეგს და საქმიანობას – „არისსა“ და „სანატრელს“ შორის ამოსავსებ შუალედს.

ნაბიჯი მეოთხე შესაძლებლობას იძლევა გავაანალიზოთ ხელმისაწვდომი საშუალებები (მაგ., გადასახადების ამოღება, მომსახურეობის შემცირება, განათლება, ახალი პროექტები და პროგრამები, ძველი პროგრამების რესტრუქტურიზაცია), რომელთაც ძალუძთ მიგვიყვანონ ნაბიჯ მესამეში დასახულ მიზნებამდე. და ბოლოს, ნაბიჯი მეხუთე იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოცდილებაზე დაყრდნობით მიზნები იყოს ზუსტად შეხმატკბილებული, ხოლო პროგრამები კი დაზუსტებული არსებული გამოცდილების შესაბამისად.

დაგეგმვის პროცესის პირველი და მეორე ნაბიჯები დაადგენს ქალაქის მრავალ საზრუნავს, რაც პრიორიტეტულია ქალაქისათვის. ერთ-ერთი მათგანი შესაძლოა იყოს მისი კონსერვაციის მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ კვლევა ამ ეტაპზე გამოკვეთავს კონსერვაციის პრიორიტეტს სხვა სფეროებთან (ტრანსპორტი, საბინაო მშენებლობა) შედარებით.

მას შემდეგ, რაც დაგეგმვა მკაფიო პრიორიტეტების დადგენაში დაგვეხმარება, პროცესი შეიძლება მიუსადაგოთ თითოეულ მათგანს თანამიმდევრობით, იმ მიზნით, რომ შევიმუშავოთ „მოქმედების გეგმა,“ რაც გამოწვლილავს ყოველი პრიორიტეტული საზრუნავის შიგნით გამოკვეთილი ამოცანების მისაღწევად საჭირო პროგრამებსა და საქმიანობას.

თუ დაგეგმვის შედეგად გაირკვევა, რომ კონსერვაცია მნიშვნელოვანი საკითხია, პროცესი დაადგენს დამატებით თვისებებს, მაგალითად, როგორიცაა ქვის წყობის ავთენტურობა შუა საუკუნეების ქალაქში. ამის შემდეგ იგი დაადგენს ასეთი ქვის წყობის ბუნებას, მდგომარეობას და წარმოშობას, შესრულების ოსტატობის და ჩანაფიქრის საყურადღებო ასპექტებს და შემორჩენილი ქვის წყობის სასურველ მდგომარეობას. სათანადო ღონისძიებების შერჩევა უნდა მოიცავდეს საკითხებსა თუ შესაძლებლობას ინვენტარიზაციის ჩატარების, შეკეთების, წარდგენის, მონიტორინგის და კონტროლირებულ მიდგომას ყველა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ზემოდ დასმულ საკითხებთან და არსებულ რესურსებთან და შეზღუდვებთან დაკავშირებით, პროცესმა უნდა წარმოაჩინოს შესაფერისი პროგრამის ელემენტები იმისთვის, რომ დავიცვათ და გავაუმჯობესოთ ქალაქის შუა საუკუნეების ქვის წყობის ავთენტურობა.

როდესაც სხვა თვისებებს ენიჭებათ უპირველესი მნიშვნელობა – ვთქვათ, ტრადიციული კონსტრუქციის მეთოდების შენარჩუნება ალიზით ნაგებ ქალაქში – გასაგებია, რომ პროგრამას სხვა მიმართულება ეძლევა და ყურადღება მახვილდება არა იმდენად მემკვიდრეობის ხელშესახებ მოწმობებზე, არამედ უფრო ადამიანურ ასპექტებზე: ჩვევებზე, მათ გადაცემაზე, განათლებაზე და სხვა.

მაშინ, როდესაც დაგეგმვის პროცესის ლოგიკა სრულიად სწორხაზოვანია, პრაქტიკაში იგი ხშირად უგულიბელიყოფა იმ პროგრამების სასარგებლოდ, რომლებიც გარეგნულად მომხიბვლელია, ან პოლიტიკურ მოგებას გვთავაზობს. მაგრამ, რაც უნდა იყოს მიზეზი, ეს ყოველთვის ზიანს აყენებს საზოგადოების მემკვიდრეობას და მის გრძელვადიან განვითარებას.

სისტემატურმა დაგეგმვამ შესაძლოა ბევრი სარგებელი მოიტანოს:

- ყველასგან მოწონებული სამოსახლოს მომავლის ხედვა, თუ გამოიყოფა შესაფერისი დრო და მონაცემების დემონსტრირება, რომლებიც დაკვირვებას და ანალიზს ეთმობა;
- სასურველი შედეგების მკაფიო ჩამოყალიბება და ალბათობა იმისა, რომ არჩეული მექანიზმები ასეთ შედეგებს გამოიღებს;
- განვითარების უწყვეტობა და პროგრამების და სტრატეგიის დაზუსტება.

## დაგეგმვის პროცესის ძირითადი ქმედებები

**1. არსებული ვითარების ანალიზი:**

- ქვეყნის სუსტი და ძლიერი მხარეების ფართო განსაზღვრა: აქ შედის მემკვიდრეობის ის მახასიათებელნი, რომლებიც ანიჭებენ მას ინდივიდუალობას და ისინიც, რომლების მას აკნინებენ;
- ზოგი ქვეყნები ანალიზის ჩასატარებლად ირჩევენ დახვეწილ ანალიტიკურ ფორმებს, მაგალითად, SWOT ანალიზს (ძლიერი მხარეებს, სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების შეფასება); სხვები კმაყოფილდებიან დადებითისა და უარყოფითის შეჯამებით;
- რა მეთოდიც უნდა ავირჩიოთ, დაკვირვება გვმართებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ტრანსპორტი, საცხოვრებელი, სახოვნება, აღდგენა, არქიტექტურული ინტეგრაცია, ინდუსტრიული საფუძველი და სხვ.

**2. სასურველი ვითარების ანალიზი:**

- დადგინდეს, როგორია საზოგადოების ხდევა მისთვის სასურველი მდგომარეობისა; ამ შემთხვევაში, ანალიზი მოიცავს კონსულტაციებს საზოგადოების ყველაზე დაინტერესებულ ჯგუფებთან, რათა კონსენსუსი მიღწეულ იქნეს სასურველი გრძელვადიანი იმედების საფუძველზე;
- სასურველია ეს ხედვა ჩამოყალიბდეს ისეთ კატეგორიებში, როგორიცაა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, ტრანსპორტი, გარემოს დაცვა და სხვ.

**3. სასურველი შედეგების განსაზღვრა:**

- ფორმალური დაგეგმვის მეტყველებაში ამ ნაბიჯს, ჩვეულებრივ, უწოდებენ „გათვლადი მიზნების დასახვას," როდესაც განისაზრვრება ამოცანები, რომლითაც შეიძლება გაიზომოს პროგრესი;
- პრაქტიკაში იგი მოითხოვს არსებული და სასურველი ვითარების ყველა კომპონენტის გაანალიზებას, მათ შორის განსხვავების დასადგენად; სწორედ განსხვავებაა ის, რაც განსაზღვრავს შედეგებს, რისკენაც მიმართული იქნება ჩვენ მიერ შერჩეული სამუშაოები;
- შედეგები შეიძლება გამოიხატოს როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად: ეკონომიკური ბაზის გადაადგილება ერთი სექტორიდან მეორეში; არქიტექტურის დამახასიათებელი თვისებების დაცვა ან გაუმჯობესება, რაც განსაზღვრავს ადგილის ხასიათს; საბინაო ფონდის და სხვა სტანდარტების ზრდა.

**4. შესაფერისი ღონისძიებების ანალიზი და არჩევანი:**

- როდესაც შედეგები მკაფიოდ იქნება დადგენილი, შესაძლებელი გახდება ხელმისაწვდომი სტრატეგიის მოსალოდნელი ეფექტიურობის განსაზღვრა;
- იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ არჩევანის შესაბამისობაში, ამ ეტაპზე აუცილებელია განისაზღვროს დამატებითი კრიტერიუმები, რასაც უნდა პასუხობდეს შერჩეული მეთოდი (ხელმისაწვდომი რესურსები, მართვის შეზღუდვები, ქვეყნის სტანდარტები) და შემუშავდეს და შემოწმდეს შეძლებისდაგვარად დიდი რაოდენობის განსხვავებული ვარიანტები;
- ბევრ ქვეყანაში ეს არის დაგეგმვის პროცესის მარცხის ეტაპი, როდესაც დაუზუსტებელ ვარაუდებს ეყრდნობიან, ან როდესაც გარკვეული მეთოდების წინმსწრები პოპულარობა ჩაშლის გადაწყვეტილებების მიღების პროცესს.

**5. მიმოხილვა და დაზუსტება**

- შერჩეული ამოცანების შესაბამისობის მონიტორინგი რეალისტური და სასარგებლი კრიტერიუმებით უზრუნველყოფით, რომელთა თანახმად განისაზღვრება ადგილზე მეთოდების ეფექტიურობა;
- გამოყენებული ღონისძიებების ეფექტიურობის მონიტორინგი; იქ, სადაც ისინი არ გაამართლებენ, მათი შენაცვლება ან შეცვლა მიღებული გამოცდილების საფუძველზე.

# 1. ინტეგრირებული კონსერვაცია დაგეგმვის პროცესში

## *შესავალი*

ჩვენი ისტორიული ქალაქების ისტორიული და არქიტექტურული ღირებულებები მხოლოდ მაშინ იქნება სათანადოდ დაფასებული და დაცული, როდესაც კონსერვაციის მიზნები გახდება ქალაქის მთავრობის ყოველი შემადგენელი ერთეულის ფიქრის და ზრუნვის საგანი. მანამ, სანამ მაგ., ის სამსახური, რომელიც ტრანსპორტის საკითხებითაა დაკავებული, თავის მიზნებს კონსერვაციის კრიტერიუმების გარეშე განახორციელებს, ქალაქის ისტორიულ და არქიტექტურულ სიმდიდრეს საფრთხე ემუქრება.

დაგეგმვის პროცესში კონსერვაციის საჭიროებათა შემოყვანა გადაწყვეტილების მიღების სიბრტყეზე, ჩვეულებრივ მთელ რიგ პარალელური ან ლოგიკურად მომდევნო ინიციატივებისაც მოითხოვს:

- აუცილებელია საზოგადოების მხრიდან დახმარების წახალისება და ჩვენება იმისა, რომ მემკვიდრეობის საკითხები საზოგადოების ყოფის მნიშვნელოვანი ნაწილია;
- ქალაქის სამოქმედო გენგეგმისა და თანმდევი, მეორადი გეგმების დამუშავება უნდა ითვალისწინებდეს მემკვიდრეობის კონსერვაციის ამოცანებს და მათი მიზნებს;
- ისტორიული ქალაქების ადმინისტრაციულმა სტრუქტურებმა არა მარტო უნდა შეითავსონ კონსერვაციის ფუნქცია თავის საქმიანობაში, არამედ უნდა უზრუნველყონ მისი მხარდაჭერა; ყოველი სფერო ან განყოფილება ვალდებულია სცნოს კონსერვაცია, როგორც მისი პასუხისმგებლობის ნაწილი;
- კონსერვაციის პოლიტიკის გეზის განვითარება უნდა ეხებოდეს არა მარტო „ისტორიულ ნაწილს," არამედ მან უნდა მოიცვას მთელი ქალაქი და მისი შემოგარენი;
- ისტორიული ქალაქი მზად უნდა იყოს დაუხვდეს გაბატონებულ საბაზრო ძალებს, რათა სათანადოდ დაიცვას კონსერვაციის და სხვა ცხოვრების ხარისხის სხვა მიზნები; ასეთ შემთხვევაში „სათანადო განვითარება" და არა უბრალოდ „განვითარება" ხდება მთავარი მიზანი. ყოველ სამოსახლოში საჯირო განხილვის გზით უნდა გამახვილდეს ყურადღება იმ კრიტერიუმებზე, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა არის „შესაფერისი" ამ მოცემულ კონტექსტში.

## *1.1. კონსერვაციის მხარდაჭერის განვითარება*

კონსერვაციის ეფექტიური პოლიტიკა მოითხოვს ფართო საზოგადოებრივ მხარდაჭერას. და მსგავსად სხვა იდეებისა თუ სარფისა, ასეთი პოლიტიკის სიკეთე აშკარა არ გახლავთ ყველა საზოგადოებრივი ჯგუფისათვის, თუ მის გასათვალსაჩინოებლად რაიმე არ გაკეთდა.

კონსერვაციის ქომაგებმა, რომლთაც სურთ, რომ მათმა გზავნილმა მოიპოვოს მაქსიმალური მხარდაჭერა, შეიძლება დიდი სარგებელი ნახონ იმ ანალიზიდან, რასაც აწარმოებენ მუშაობისას მარკეტინგის სპეციალისტები: მოსაცველი ბაზრის მკაფიო განსაზღვრა და შესაბამისი გზავნილის გამოკვეთა.

როგორიც უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ღირებულებათა „გაყიდვის" მარკეტინგული ტექნოლოგიების მიმართ, აშკარაა, რომ ამ სფეროს სპეციალისტებმა შეიმუშავეს მთელი წყება ანალიტიკური მეთოდებისა და მასტიმულირებელი მექანიზმებისა, რაც ეხმარება მათ დასახული მიზნების მიღწევაში. ამ მეთოდებს შეუძლიათ დიდი დახმარების გაწევა მემკვიდრეობის გზავნილისათვის ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად.

კონსერვაციის მუშაკთა ჯგუფები, კერძოდ, დასავლურ სამყაროში, ყოველთვის ვერ ახერხებენ სათანადო ხიბლი შესძინონ თავის კეთილშობილურ საქმეს. მაშინ, როდესაც გარემოს დაცვის საქმე სახალისოდ „მწვანედაა" შემოსილი, მემკვიდრეობის დაცვა ჯერაც აღიქმება, როგორც სასხვათაშორისო საქმიანობა. მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქებმა დაიწყეს თავისი საერთო საქმის გაყიდვა მარკეტინგის საღი მეთოდების თანახმად, როგორც საერთო დოვლათისა და ამით ამ შეუსაბამობას ბრძოლა გამოუცხადეს.

## *1.2. ინტეგრირებული ადმინისტრაციული სტრუქტურები*

ჩვეულებრივ, ქალაქის ხელმძღვანელები ქმნიან შიდა სტრუქტურებს, რომლებიც კისრულობენ მომსახურების ცალკეულ სფეროებს. სხვადასხვა სამსახურებზე პასუხისმგებელი განყოფილების გამგეები ერთმანეთს ეჯიბრებიან, რათა მიიღონ საჭირო სახსრები მათზე დაკისრებული დავალების

შესასრულებლად. მას შემდეგ, რაც ქალაქის ადმინისტრაცია აღიარებს მემკვიდრეობის დაცვას მისი საქმიანობის მნიშვნელოვან სფეროდ, ამ საკითხზე პასუხისმგებელი პირები გადადიან ქალაქგეგმარების განყოფილებაში, რადგან სწორედ დაგეგმვის მექანიზმის მეშვეობით ერთვება ქალაქი კონსერვაციის საქმეში.

მანამ, სანამ მემკვიდრეობის დაცვა მიჩნეული იქნება „მომსახურებად," მისი შესაძლებლობანი დამოკიდებული იქნება იმ ცალკეული ხმების თუ სამსახურების ძალაზე, რომლებიც საზოგადოებრივი განხილვის დროს იცავენ მის ღირსებას. ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდა არ წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას კონსერვაციის იდეების დასამკვიდრებლად; არც სპეციალური ერთეულის შექმნა, რომელიც კოორდინაციას გაუწევს კონსერვაციის სამუშაოებს და მიზნებს სხვადასხვა განყოფილებებს შორის, უშველის საქმეს. თუ, ბოლოს და ბოლოს, ვაღიარებთ კონსერვაციას სრულუფლებიან სამოქალაქო ამოცანად, იმგვარი განწყობის შესაქმნელად, სადაც საკონსერვაციო საქმიანობა ყიველდღიური ჩვევა გახდება, უფრო სასარგებლო იქნება სათანადო „მიდგომის" გაღვივება სხვა დეპარტამენტებში.

## კონკრეტული შემთხვევების ანალიზი

## გ. 1. 2. ინტეგრირებული ადმინისტრაციული სტრუქტურები

**ედინბურგი, შოტლანდია**

**ედინბურგის ახალი ქალაქის კონსერვაციის კომიტეტის შექმნა**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

ედინბურგი შუა საკუნეების ქალაქია. თავდაპირველი ქალაქი, განლაგებული ვულკანური თხემის ორივე მხარეს და მდინარე ფორტის შესართავიდან ქვეყნის შუაგულისკენ, მისი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო იქნა დასახლებული. მჭიდროდ განაშენიანებულ კლდის ფერდს, რომლის წვერზე აღმართულია ედინბურგის ციხე-სიმაგრე, ხოლო ძირში ჰოლირუდის სასახლე დგას, უჭირავს როიალ მილა – გრძელი ქუჩა, ხშირად გასაოცარი სიმაღლის XVI და XVII საუკუნეების შენობებით და გასაქირავებელი მრვალბინიანი სახლებით. მათი ცხოველხატული კონტურები XVII საუკუნის გრავიორების საყვარელი ობიექტი იყო.

XVIII საუკუნის შუა ხანამდე მისი მნიშვნელოვანი ზრდა არ მომხდარა, მაშინ კი ქალაქი გასცდა მის შუა საუკუნეების საზღვრებს მთის ქედამდე, ნორის ტბის მიღმა, რაც შესაძლებელი გახდა ტბის დაშრობის და იმ ადგილას ხიდის აშენების შედეგად. გეორგიანული სტილის ახალი ქალაქი, რომლის ამოსავალი ჯეიმს კრეიგის 1767 წლის გეგმაა, რასაც შემდგომი სამოცდაათი წლის განმავლობაში მრავალი რამ დაემატა, წარმოადგენს გეორგიანული სტილის ქალაქგეგმარების და არქიტექტურის უნიკალურ ჰარმონიულ მაგალითს.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

ედინბურგი არ ყოფილა დასახელებული მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად.

**3. კონტაქტები** [1]

Desmond Hodges (OBE)
Director
Edinburgh New Town
Conservation Commettee
13 A Dundas Street
Edinburgh,
Scotland EH3 6QG
Tel. 031. 557. 5222

1 კონკრეტული შემთხვევების ანალიზისას მითითებული საკონტაქტო მისამართები მოწოდებულია ისე, როგორც ეს მოცემულია წიგნის 1991 წლის გამოცემაში (*რედაქტორი*).

**ბ. ამოცანები**

- ერთი სააგენტოს ფარგლებში ერთიანი ცენტრის შექმნა ყველა სახის სამუშაოსთან დაკავშირებით, როგორიცაა ედინბურგის ახალი ქალაქის კვლევა, ჯანდაცვა, კონსერვაცია და განვითარება;
- შეიქმნას ხელმისაწვდომი არხი ამ რაიონის მოსახლეობის კითხვების და ინტერესების დააკმაყოფილებს.

**გ. კონტექსტი**

1960-იანი წლების ბოლოს ედინბურგის და, კერძოდ, გეორგიანული სტილის ახალი ქალაქის გადარჩენისათვის ზრუნვამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. ყურადღება გამახვილდა ამ რაიონის შენობების მდგომარეობაზე, რომელთაც საუკუნე-ნახევარს არცთუ საუკეთესოდ გაუძლეს. განსაკუთრებით ძლიერ დაზიანებულიყო კვამლსადენები, კარნიზები, მოაჯირის რიკულები, ქვის წყობის სარტყლები, ფანჯრის არქიტრავები, ფრონტონები, ანუ ყველა დეკორატიული ელემენტი, ხშირად ნაკვეთი უფრო რბილ ქვაში, ვიდრე კედლებისთვის გამოყენებული კრეგლეითის ქვა. ცემენტით შესრულებულმა შეკეთებამ გაამარტივა ორნამენტის კონტურები და დააჩქარა დაშლის ტემპი. საზრუნავი შეიქმნა აგრეთვე ის საფრთხეც, რაც ემუქრებოდა გეორგიანული სტილის ანსამბლების თვალნათლობასა და ჰარმონიულობას. საცალო ვაჭრობის ზრდამ ხელი შეუწყო ერთსართულიანი მაღაზიების გაჩენას კლასიკური ფასადების წინ მთავარ სავაჭრო ქუჩებზე. ტრანსპორტის მოძრაობის ზრდით გამოწვეულმა ვიბრაციამ და დაჭუჭყიანებამ კი საფრთხე შეუქმნა ნაგებობებს, ამასთან მათ მიმართ უფრო უგულისყურო გახდა საზოგადოებაც, რომელიც მოითხოვდა მანქანების მეტ სადგომებს.

ამ მრავალგვარ საშიშროებათა წინაშე, რაც საფრთხეს უქმნიდა ოდესმე შექმნილთაგან ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერი არქიტექტურული ანსამბლის შემდგომ არსებობას, სხვადასხვა დაწესებულებათა და ინტერესთა წარმომედგენლებმა 1970 წელს მოიწვიეს კონფერენცია გეორგიანული ედინბურგის კონსერვაციის თაობაზე.

კონფერენციამ დაადასტურა ედინბურგის საერთაშორისო მნიშვნელობა და ხელი შეუწყო ედინბურგის ახალი ქალაქის კონსერვაციის კომიტეტის შექმნას.

**დ. მიდგომა**

ედინბურგის ახალი ქალაქის კონსერვაციის კომიტეტმა მუშაობა 1972 წელს დაიწყო. თავდაპირველად იგი დაარსდა ადგილობრივი და ეროვნული მთავრობების ფინანსური მხარდაჭერით იმ მიზნით, რომ მას ეხელმძღვანელა და გამოეყენებინა გრანტით მიღებული დახმარება ახალ ქალაქის ფარგლებში ცალკეული ობიექტებისათვის.

ძალიან მალე ნათელი გახდა, რომ გრანტის შესაბამისი გამოყენებისათვის გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი იყო საფუძვლიანი მომზადება, კერძოდ, ახალი ქალაქის სამშენებლო მეთოდების და მასალების ცოდნა. ამ მიზნით შემუშავდა და დაიწერა ძეგლთა მოვლა-პატრონობის სახელმძღვანელო სახელწოდებით – „გეორგიანული შენობების მოვლა და კონსერვაცია," ახლა უკვე მეხუთეჯერ გადამუშავებული, რომელიც მალე გახდა მოდელი იმისა, თუ მოსახლეთ რა პრაქტიკული სახის ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ შესაფერისი სარემონტო სამუშაოების ჩატარებისათვის სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.

საქმიანობის დაახლოვებით ოცი წლის განმავლობაში, კომიტეტმა, რომელიც მოქმედებდა დანბასის ქუჩის 13 ნომერში „მაღაზიის ვიტრინაში" განთავსებული ოფისიდან, განკარგა გრანტების სახით მიღებული 7.5 მილიონ ფუნტზე მეტი და შეძლო შეეკეთებინა ამ რაიონის შენობების მესამედზე მეტი. ეს ქმედებები იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ 1985 შეიქმნა მსგავსი წამოწყება, რომელსაც დაეკისრა ედინბურგის ძველი ქალაქის კონსერვაციის თანხების განკარგვა და გაძღოლა.

კომიტეტი უზრუნველყოფს რაიონის მოსახლეობას მთელი რიგი საყოფაცხოვრებო მომსახურეობებით. იგი მოქმედებს არქიტექტურის გადარჩენის პროგრამის შესაბამისად და ედინბურგის ოლქის ფარგლებში ხელახლა იყენებს ისეთ დეტალებს, როგორიცაა აივნები, კარები, მოაჯირები და ბუხრები. კომიტეტი აგრეთვე გვთავაზობს ტექნიკური უზრუნველყოფის ინსპექციის ყოველწლიურ სამსახურს, რაც სავალდებულოა, თუ ობიექტმა მნიშვნელოვანი შეკეთება განიცადა. გარდა ამისა, კომიტეტი გვთავაზობს ზაფხულის თვეებში ძველ ქალაქში ორგანიზებული თითო კვირის გატარებას და გამოსცემს შესაბამის მეგზურებს. წიგნები, რუკები და ფოტო მასალა იყიდება კომიტეტის ოფისში; ამას გარდა, შექმნილია შესატყვისი ბიბლიოთეკა და ცვალებადი გამოფენა.

*შენიშვნა:*

*მასალა მომზადდა ედინბურგის ახალი ქალაქის კონსერვაციის კომიტეტის ხელმძღვანელის, დესმონდ ჰოჯის დახმარებით და კომიტეტის 1989-90 წლების ყოველწლიური ანგარიშის საფუძველზე.*

# გ. 1. 2. ინტეგრირებული ადმინისტრაციული სტრუქტურები

**რომი, იტალია**

**ისტორიული ცენტრების მართვის ოფისი**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

რომი დაარსებული იყო ძვ. წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში. იგი იყო რომის იმპერიის დედაქალაქი ჩვენი წელთაღრიცხვით I საუკუნიდან V საუკუნემდე, მას აქეთ კი ქრისტიანული სამყაროს დედაქალაქი და პაპის სამყოფელია. 1870 წელს იგი გახდა იტალიის გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი, ხოლო 1980 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქად იქნა დასახელებულ. რომი ახლაც მიჩნეულია განსაკუთრებული რელიგიური და პოლიტიკური მნიშვნელობის ქალაქად. ცოტა ქალაქს თუ მოეპოვება ასეთ შეზღუდულ ფართობზე ამ რაოდენობის მხატვრული ქმნილება, რომლებიც უზარმაზარ გავლენას ახდენენ მსოფლიოს ხელოვნებასა და არქიტექტურაზე.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

პირველი შეთავაზება, რომელიც წარედგინა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტს განსახილველად, ეხებოდა მხოლოდ ავრელიუსის ხანის გალავანში არსებულ ანტიკური ხანის მთავარ ძეგლებს. აქ არ იყო გათვალისწინებული საფორტიფიკაციო ნაგებობები, შუა საუკუნეების ურბანული ქსოვილი, ან აღორძინების ხანის რელიგიური და სამოქალაქო შენობები. უფრო მეტიც, კედლებს მიღმა მდებარე, მაგრამ მასთან დაკავშირებული რაიონები, ისეთი როგორც ვია აპია ანტიკა, პონტე მილვო, კონსტანტინეს პერიოდის დიდებული ბაზილიკები და ქალაქი ვატიკანი, ასევე არ იყო ჩართული თავდაპირველ ნომინაციაში. რომის სიაში შეტანიდან ათი წლის შემდეგ საზღვრები გაფართოვდა და მოიცვა ურბან VIII-ის XVII საუკუნის გალავანი და პაპის კუთვნილი განსაკუთრებული მნიშვნელობის ზღუდის გარეთა ობიექტები.

რომი ნომინირებული იყო მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად I, II, III და VI კრიტერიუმების თანახმად.

**3. კონტაქტები**

Francesco Giovanetti,
Uffico speciale
per gli interventi sul
Centro Storico,
Piazzale Victor Hugo,
1, 00197 Rome,
Tel. 39.6.844.2787
844.282.

**ბ. ამოცანები**

- მუნიციპალურ მთავრობაში შეიქმნას ცენტრი ყველა სახის საქმიანობის საკოორდინაციოდ, რაც ზეგავლენას იქონიებს ისტორიული ცენტრების კონსერვაციაზე;
- მოხდეს კონსერვაციის საშუალებების და გამოცდილების კონცენტრაცია, რომელიც შესაძლებელს გახდის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის, დოკუმენტაციის შედგენისა და დაცვისადმი უაღრესად დახვეწილი და ფართო მიდგომის განვითარებას და ტესტირებას.

**გ. კონტექსტი**

XIX საუკუნიდან მოყოლებული რომი ახლებური გეგმარების და განვითარების ზეგავლენის ობიექტი გახდა, თუმცა ცვლილებები ნელა მომდინარეობდა. რომში მშენებლობის ორ მნიშვნელოვანი პერიოდი გამოიყოფა: პირველი – 1870-დან 1911 წლამდე, როდესაც, მაგალითად, აშენდა ბევრი დღევანდელი სამინისტრო და ლუნგოტევერეს გზები. მეორე პერიოდი დადგა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ; ამ დროს ქალაქი ძალიან სწრაფად გაიზარდა; საცხოვრებელმა ფუნქციებმა ნაწილობრივ გადაინაცვლა ისტორიული ქალაქის ცენტრიდან და ამ რაიონებში მოხდა ადმინისტრაციული, ბიზნესის და მომსახურეობის სფეროს კონცენტრაცია, რასაც შესაბამისად მოჰყვა კერძო ტრანსპორტის რაოდენობის ზრდა. მოსახლეობა საცხოვრებლად პერიფერიაში გადავიდა; ისტორიული ცენტრის შიგნით მოსახლეობის რაოდენობამ იკლო 420,000 მოსახლიდან 1951 წელს, 160,000-მდე 1975 წელს.

1964 წელს დაამტკიცეს რომის ახალი გენგეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იყო ქალაქის გალავნის შიგნით მდებარე ტერიტორიის განსაკუთრებული დაცვა. მაგრამ ამ პროცესების სამართავად არ ყოფილა მიღებული წინასწარი ზომები, რატომაც უკონტროლო ცვლილებებმა და შენობების დანგრევამ დიდი ზიანი მიაყენა ისტორიულ ქსოვილს და საფრთხე შეუქმნა მის მომავალ არსებობას. ამის გამო შეშფოთების და ზრუნვის ნიშნად და როგორც 1975 წელს ევროპულ მემკვიდრეობაში შეტანილ წვლილი, „იტალია ნოსტრამ", კერძო პირთაგან შემდგარმა ორგანიზაციამ, მოაწყო სამეცნიერო კვლევა და გამოფენა, რომელიც ეხებოდა ისტორიული ქსოვილისა და რომში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების არსებულ მდგომარეობას. ამ გამოკვლევამ ყურადღება გაამახვილა იმ საშიშროების ხასიათზე, რაც ისტორიულ ცენტრს ემუქრებოდა.

ეს ადგილობრივი საზრუნავი დაემთხვა იტალიაში ისტორიული ქალაქების კონსერვაციის ახალი პროგრესული პოლიტიკის შემუშავებას, რასაც თან მოჰყვა მისი მხარდამჭერი კანონების მიღება. 1976 წელს, ცვლილებებს ადგილობრივ ადმინისტრაციაში მოყვა ხელოვნებათმცოდნე პროფესორ ჯულიო კარლო არგანის ქალაქის მერად დასახელება. მოკლე ხანში, შეიქმნა ქალაქის ისტორიული ცენტრის კონსერვაციის სამუშაოების კოორდინაციის და დაგეგმვის ახალი ოფისი: "Uffico speciale per gli interventi sul Centro Storico."

**დ. მიდგომა**

ახალი "Uffico speciale per gli interventi sul Centro Storico"-s მიზანი იყო ყოფილიყო საკოორდინაციო ერთეული ქალაქის ისტორიული რაიონის სხვადასხვა სახის დაგეგმვით სამუშაოებში, მისი კონსერვაციის საკეთილდღეოდ. ამ დაწესებულების ხელმძღვანელობა დაევალა პროფესორ ვიტორია კალცოლარი-გიოს, რომელსაც უკვე ჰქონდა მიღებული მონაწილეობა იტალია ნოსტრას ზემოხსენებულ სამეცნიერო კვლევაში და რომლის მოვალეობაში შედიოდა იმ მასალის გამოვლენა და შეგროვება, რომელიც მანამდე მომზადებული იყო სხვადასხვა აკადემიურ და სხვა სახის დაწესებულებებში. 1981-1986 წლებში ეს საქმიანობა გაგრძელდა პროფესორ კარლო აიმონონოს ხელმძღვანელობით; ხოლო ამჟამად პასუხისმგებელი ექსპერტ-კონსულტანტი არის ბატონი პაოლო ბატიცუზი. ბატონი ბრუნო კუსინო არის დაწესებულების ახლანდელი ტექნიკური დირექტორი.

*დაწესებულების ამოცანები იყო:*

- ისტორიულ ცენტრში საცხოვრებელი ფუნქციების შენარჩუნება, გაუმჯობესება და შექმნა;
- ისტორიული ცენტრის მნიშვნელობის და მისი სათანადო გამოყენების ხელახალი შეფასება, მის კულტურულ, ურბანულ და პოლიტიკურ ღირებულებებთან მიმართებით;
- ისტორიული ქალაქის, მისი მნიშვნელოვანი ისტორიული ნიშნების, (არქეოლოგიური ნაკრძალების და „ურბანული პეიზაჟების" ჩათვლით) გარემოსმიერი რეკვალიფიკაციის მომზადება.

განხორციელებულ იქნა მთელი რიგი პროექტებისა. ისინი გულისხმობდა განსაკუთრებულ გულისყურს მუნიციპალურ მფლობელობაში მყოფი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციისადმი. 1978-1980 წლებში ცხრა ობიექტზე მიმდინარეობდა სამუშაოები, რაც მოიცავდა 310 საცხოვრებელ ბინას, 1200 ოთახს (შესაბამისი სოციალური მომსახურეობებითურთ), ასევე 71 ადგილობრივ მაღაზიას და ხელოსანთა სახელოსნოს. გარდა ამისა, სამუშაოები დაწყებული იყო მთელ რიგ საზოგადოებრივ შენობებში. ეს რიცხვები, შესაძლოა მოკრძალებულად გამოიყურებოდეს, მაგრამ ეს იყო ქალაქის მიერ მცხოვრებთა სარგებლობისათვის რესტავრირებული პირველი საცხოვრებელი სახლები. ყურადღება პირველად დაეთმო ხეიბრების და სხვა უმცირესობების დახმარებას.

ერთერთი მთავარი პრობლემა, რომელიც წარმოიშვა ამ სამუშაოებისას, ამოსავალი ინფორმაციის ნაკლებობა იყო. ასევე ძნელი გამოდგა მუდმივად იმის შეტყობა, თუ რა მოქმედება განახორციელეს მუნიციპალიტეტისა თუ სახელმწიფოს სხვა დაწესებულებებმა და დეპარტამენტებმა. გაუმჯობესებული კოორდინაციის და ზედამხედველობის შედეგად შეჩერებული და სასამართლოს გადაცემული იქნა მთელი რიგი უკანონოდ წარმოებული განახლების და „რესტავრაციის" სამუშაოები. უმეტესად ასეთ სამუშაოებში შედიოდა ისტორიული შენობის მთლიანი გარდასახვა და/ან შენობაზე დამატებითი სართულის დაშენება.

გარდა მუნიციპალიტეტის სხვა განყოფილებებთან მუდმივი თანამშრომლობისა ცალკეულ ინტერვენციებისა და სარეაბილიტაციო პროექტების გამო, რაც ჩატარდა ისტორიული ქალაქის ყველა ნაწილში, დაწესებულებამ თავისი ყურადღება გაამახვილა იმ დოკუმენტების განახლებაზე, რომლებიც ეხებოდა ისტორიული ქალაქის როგორც წარსულ, ისე ახლანდელ მგომარეობას. ამჟამად ეს გულისხმობს მონაცემთა კომპიუტერული ბაზის შექმნას. ასევე შესწავლილ იქნა ისტორიული ნაგებობების მშენებლობის ტექნოლოგია, რის შედეგად გამოვლინდა საინტერესო მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა შეიქმნას **Il manuale del recupero** (სახელმძღვანელო რეაბილიტაციისათვის).

ბოლო წლებში წარმოჩენილი მთავარი პრობლემა მდგომარეობს მუნიციპალიტეტის სხვა გან-

ყოფილებებთან და სახელმწიფო მოხელეებთან თანამშრომლობის მუდმივ სიძნელეებში. სირთულეები გვხვდება აგრეთვე კერძო მოქალაქეებთან ურთიერთობისას. ბევრ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის თანამშრომელი ვერ ყოფნის ურბანული გარემო პირობების გაუმჯობესების ეფექტიური გეგმის ჯეროვნად წარმოეჩენას. ამ დაწესებულების არსებობის დადებითი მხარე კი მდგომარეობს იმაში, რომ მან შეიტანა მნიშვნელოვანი ცვლილება ისტორიული ქსოვილის და მისი მდგომარეობის გაცნობიერებაში, ისევე როგორც მასთან მოპყრობის ახალი მიდგომის წინწამონევაში.

Italia Nostra, *Roma sbagliata le consequenze sul centro storico. Contributo della sezione romano di Italia Nostra all'anno europeo del partimonio architettonico,* Bulzoni, Roma 1976.

Vittoria Calzulari, "La mise en valeur du centre historique, interventions et programmes 1976-1981," *Paris projet Amenagement, Urbanisime, Avenir,* No 23.24, 1983, pp 125ff. Vittoria Calzolari, "Roma, il recupero del centro storico durante la prima Giunta di Sinista, 1976-1981," *Riuso urbano? Programmi, Progetti, Interventi Publici.* Editor P.I. Paolillo, PEG Editrice, Edizione. Milano 1982. pp 113ff.

*შენიშვნა:*
*ამ მადალითის მასალა შერჩეული იყო ორი პიროვნების დახმარებით – Jukka Jokiletto of ICCROM და Francesco Giovanetti of the "Ufficio speciale per gli interventi sul Centro Storico."*

### *1.3. გენგეგმები*

ქალაქების უმეტესობა იყენებს გენგეგმებს, რომ შემოგვთავაზოს ზრდისა და განვითარების მიმართულების საუკეთესო გზა დროის განსაზღვრული პერიოდისათვის და შეიმუშავონ განვითარების პროცესთა შეზღუდვის თუ ხელშეწყობის სისტემა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთო ხედვასთან. ამას ხშირად ემატება მეორადი გეგმები, სადაც ყოველი სექტორი დეტალურად არის წარმოდგენილი.

მაგრამ ბევრი ქალაქი, გენგეგმების გამოქვეყნების შემდეგ, უგულველყოფენ მათ. გენგეგმებს, რომლის თანახმად ყოველი შემოთავაზებული აგრესიული განვითარება უარყოფილია, ნაკლები რეალური ღირებულება აქვთ მათთვის, ვისაც გადაწყვეტილებების მიღება ევალება.

ისტორიული ქალაქები, სადაც სრულად და სასიკეთოდაა გამოყენებული გენგეგმების უნარი წარმართოს გადაწყვეტილების მიღება, ამგვარ გეგმებს შემდეგ საკითხებსაც დაურთავენ ხოლმე:

- ქალაქის სხვადასხვა ინტერესების გათვალისწინება გენგეგმის შემუშავების დროს;
- გენგეგმის მითითებების ზუსტი და თანამიმდევრული დაცვა, განვითარების კვალად მისი გადახედვისა;
- გენგეგმაში კონსერვაციის მკაფიოდ ჩამოყალიბებული გეგმების ჩართვა, იმ ზონების მითითებით, რომლებიც განსაკუთრებულ მოვლას საჭიროებს და ამ მოვლის რაობაც.

## კონკრეტული შემთხვევების ანალიზი

## გ. 1. 3. გენგეგმები

**ბათი, გაერთიანებული სამეფო**

**ლანდშაფტების კონცეპციის შემუშავება**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

თანამედროვე ბათი განლაგებულია რომის პერიოდის აკვა სულის ნაქალაქარზე, რომელიც აშენდა ახალი წელთაღრიცხვით 60 წელს იმ წყაროების ადგილას, სადაც ახლაც მოიპოვებენ მილიონ ლიტრზე მეტ ცხელ წყალს დღეში. რომაულ ქალაქში ცხოვრება არ შეწყვეტილა, შუა საუკუნეებში ქალაქი იქ წარმოებული შალეულობის, რევმატიზმით დაავადებულთათვის საავადმყოფოსა და რელიგიური გავლენით გამოირჩა.

და მაინც, ქალაქის მნიშვნელოვნება განპირობებულია XVIII საუკუნეში მისი ხელახალი დაბადებით

ჯონ ვუდის (უმცროსი და უფროსი), რალფ ალენისა და რიჩარდ „კოპწია“ (“Beau”) ნეშის თაოსნობით, რომლეთაც თავისი არქიტექტურული მოღვაწეობით სურდათ ექციათ ბათი მინერალური წყლების მოდურ კურორტადაც და ევროპაში ერთერთ ყველაზე ლამაზ ქალაქადაც, სადაც არქიტექტურა და ლანდშაფტი ჰარმონიულად იქნებოდა შერწყმული და სიამოვნებას მიანიჭებდა სამკურნალოდ ჩასულთ. მათ ქალაქს შესძინეს კლასიკური განლაგება. ჯონ ვუდი უფროსის 1729 წლის დედოფლის მოედანი (Queen Square) და მისივე 1754 წლის მეფეების მოედანი (Kings Circus) წარმოადგენენ პალადიური ორდერის ნიმუშს. მისი შვილის ჯონ ვუდ უმცროსის მოედანი „სამეფო ნახევარმთვარე“ (1767-1776) ასახავს უფრო რომანტიულ ნეო-კლასიკურ სტილს, რომელმაც შემდგომი განვითარება ჰპოვა 1771 წლის სამეჯლისო დარბაზებში და ტომას ბოლდუინის 1799 წლის წყლის ტუმბოების დარბაზში.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

ბათი ნომინირებული იყო მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად გაერთიანებული სამეფოს მიერ, 1986 წლის დეკემბერში, ხოლო დამტკიცებული იყო მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ 1987 წლის დეკემბერში.

ნომინაცია ეყრდნობოდა IV კრიტერიუმის პუნქტს არქიტექტურული ანსამბლის განსაკუთრებული ნიმუშის თაობაზე, სადაც ასახულია ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპი.

ნომინაციაში ყურადღება გამახვილებული იყო ქალაქის მართვის 1984 წლის დაუმტკიცებელი გეგმის სიაში შეტანილი 4900 შენობის დაცვის აუცილებლობაზე და იმ მნიშვნელოვანი ანსამბლების დაცვაზე, რომლებიც განლაგებული იყო ქალაქის ცენტრის მოშორებით (მაგ., პრაიორ პარკი). ბათის ადგილობრივი გეგმა მიღებული იყო 1990 წელს, როგორც ქალაქისათვის კანონის ძალის მქონე დოკუმენტი.

**3. დაკავშირება**

Mr. Colin Fudge,
Director of
Environmental Services,
Bath City Council,
Abbey Chambers, Bath,
United Kingdom BAI INT,
Tel.: 0225-46111,
Fax: 0225-448536.

**ბ. ამოცანები**

- ქალაქის ღირებულების აღიარება, როგორც მთელისა, სადაც ლანდშაფტისა და არქიტექტურის მოვლა საუკეთესო შედეგს გამოიღებს იმ შემთხვევაში, თუ იგი ინტეგრირებულ ყაიდაზე იქნება წარმოებული;
- ლანდშაფტის როლის უკეთ გაცნობიერება ქალაქის ხასიათის განსაზღვრისას;
- დაგეგმვის პროცესის გამოყენება რაიონის პრობლემების, მოქმედების არჩევანის და მათთან დაკავშირებული დადებითი და უარყოფითი მხარეების ცხადსაყოფად.

**გ. კონტექსტი**

მუნიციპალური საბჭოს ადგილობრივი გეგმის კონტექსტში, ქალაქ ბათმა ახლახან წარმოადგინა ბათის ლანდშაფტის სტრატეგიის პრინციპების მონახაზი საზოგადოებრივი განხილვისათვის. სტრატეგია წამოყენებული იყო ქალაქის დასახმარებლად გამკლავებოდა ცვლილებების იმ ძალებს, რაც საფრთხეს უქმნიდა არსებულ ლანდშაფტს. ამ ძალებში იგულისხმება ბუნებრივი ზრდა, მეტოქეობა ბიოლოგიურ სახეობებს შორის, ხრწნა და დაავადება, და ადამიანის საქმიანობა. ლანდშაფტის განსაზღვრებაში შედის ქალაქის ღია ცის ქვეშ მდებარე ყველა უშენი მწვანე ზონა – სემოგარენთა სივცეები, კარმიდამოთა ღია სივრცეები, პარკები და რეკრეაციული ზონები, ბაღები, საბოსტნე მიწის ნაკვეთები, გზის დამრეცი კიდეები, ხეები, ტყეები და ყველა სახის წყალსაცავები. ლანდშაფტის კონცეფციის მისწრაფებაა დაიცვას და გაზარდოს ის, რაც სასარგებლოა, ხოლო ნაკლებად კარგი - გააუმჯობესოს; მისი ზრუნვის საგანია როგორც რიგითი და ბანალური, ისე იშვიათი და უჩვეულო ობიექტები.

სტარტეგია სამ ზონაში ვითარდება. ზოგიერთი ძველი ლანდშაფტი, რომელთაც მიაღწიეს განვითარების ბოლო ეტაპს და დაიწყეს დეგრადაცია; ისინი სასწრაფო აღდგენასა და განახლებას მოითხოვს. მეორე ზონაში შედის ის ტერიტორიები, რომლებიც განიცდიან ახალი განვითარებით გამოწვეულ ზეწოლას, რაც საფრთხეს უქმნის ქალაქის მრავალ მწვანე და ღია სივრცეს, ანადგურებს ხეებს, ტყის მასივებს და სხლტეებს, იჭრება ბუნების ცხოვრებაში. ასეთ შემთხვევაში დანგრევისა და ახლით შეცვ-

ლის ნაცვლად, უპრატესობა ენიჭება არსებული ლანდშაფტის განახლებას და გაუმჯობესებას. მესამე ზონაში იგულისხმება არარეალიზებული პოტენციალი: განუვითარებელი ლანდშაფტები ქალაქის გარეუბნებში და ინდუსტრიულ ცენტრში, რისი გამოსწორებაც დააკმაყოფილებდა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებს.

**დ. მიდგომა**

შემოთავაზებული კონცეპციის მიზანია „იმ სამუშაოების წამოწყება და გადახედვა, რაც უზრუნველყოფს ქალაქის ლანდშაფტის სათანადო დაცვას და მოვლას, ისე რომ მისი ხარისხი კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ბათის მაცხოვრებელთა და სტუმრების სასიკეთოდ."

დოკუმენტში აღწერილია რვა სპეციფიური მეთოდი, რისი დახმარებითაც არის შესაძლებელი ამ მიზნების მიღწევა.

*საზოგადოებრივი ღია სივრცის ტერიტორიების მართვა:*

ლანდშაფტების გაუმჯობესების უსაფრთხოებისა და პარკების და რეკრეაციული ზონების მენეჯმენტის გრძელვადიანი გეგმების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე მეტი ხეების დარგვით ქუჩებისა და ტროტუარების გასნვრივ.

*საცხოვრებელი მასივების ლანდშაფტების გაუმჯობესება:*

ისე, რომ მათაც სრულად შეიტანონ თავისი შესაძლებლობათა წვლილი ქალაქის საერთო გარეგნობაში და იქაც იყოს მომხიბვლელი საცხოვრებელი გარემო, სადაც შესაძლებელი იქნება გართობა და დასვენება.

*განვითარების სამუშაოების ჩატარება:*

გეგმარებით წინადადებაში ლანდშაფტებთან დაკავშირებული პრობლემის დროული გათვალისწინება და პროექტის მაღალი სტანდარტის ხელშეწყობა; ლანდშაფტის განვითარებასთან დაკავშირებული წინადადებების დანერგვა და მენეჯმენტი, სადაც ახალი რაიონების გაშენების დროს დავიწყებული არ იქნება არსებული ლანდშაფტების დამახასიათებელი ნიშნები, არც სქემების შემზადება-მიღებისას და არც შენებისას.

*ხეებზე, სხლტეებზე და ტყის მასივებზე ზრუნვა:*

საღი ხეების, მიწის მასივების და სხლტეების დაცვის პოლიტიკის ხელახალი დადასტურება, მათი სოცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის მიზნით და მათი ახლით შეცვლის გეგმის შემუშავება. ქალაქის ტყის მასივების დაცვის გეგმის ხელშეწყობა, სადაც გათვალისწინებული იქნება კომუნალური გამოყენება, ცოცხალი ბუნების და მეტყეევეობის საჭიროებანი.

*კერძო სექტორთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარება*:

რეგულარული კონტაქტის დამყარება მთავარ მიწათმფლობელებთან ლანდშაფტის ეფექტიური დაცვის მიზნით, მათი მიწების მენეჯმენტი და მდგომარეობის გაუმჯობესება; ამასთანავე, მენეჯმენტის შეთანხმების და გრანტის სახით მიღებული დახმარების გამოყენება, სადაც ამის საჭიროება იქნება; პარკების, ბაღების, ეკლესიის ეზოების და სასაფლაოების ისტორიული მნიშვნელობის დადგენა და მათი კონსერვაციის და რესტავრაციის სამუშაოების ხელშეწყობა; კავშირის დამყარება მოხალისეების ჯგუფებთან და კომერციულ ორგანიზაციებთან ლანდშაფტის დაცვის სამუშაოების შესასრულებლად; ინფორმაციის და რჩევების მომზადება ინდივიდუალურ მიწათმფლობელთათვის; ქალაქის ლანდშაფტის ფორუმის დაარსება ლანდშაფტის საკითხებზე მსჯელობების საწარმოებლად და ისეთი საკითხების წამოჭრა და ფინანსური მხარდაჭერა, სადაც ყურადღება გამახვილდება ინდუსტრიულ ცენტრზე, ქალაქის მისადგომებზე და მდინარის გასავალზე.

*ბათის სამინისმოქმედო ტერიტორიების მართვა:*

უწყვეტი სასიკეთო წვლილის შეტანის უზრუნველყოფა ქალაქის ლანდშაფტის მდგომარეობაში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქალაქის შიგნით გამოცალკევებული სასოფლო-სამეურნეო მიწების მომავალს და საბჭოს მფლობელობაში მყოფ სამეურნეო ნაკვეთებს.

*ცოცხალი ბუნების დაცვა*:

ქალაქის ცოცხალი ბუნების უკეთესად გაგების და ცოდნის ხელშეწყობა, რათა დავიცვათ იგი განვითარების უარყოფითი შედეგებისაგან და მიწის და მდინარეების მართვის გაუმჯობესება ცოცხალი ბუნების საკეთილდღეოდ და ახალი საცხოვრისების გაჩენის მიზნით.

*მოსახლეობასთან მუშაობა*:

ქალაქის საბჭო სამსახურში იყვანს ლანდშაფტის კავშირის თანამშრომელს, ვისი მოვალეობა იქნება ამ საქმეში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა, მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილებების მიღებაში და აქტიური როლის შესრულება ახლო-მახლო მდებარე ლანდშაფტების კონსერვაციისა და გაუმჯობესების პრაქტიკული პროექტების განხორციელებისას.

თანმდევი მსჯელობებისას თითოეული თემა, თუ მეთოდი იგივე წესით განიხილება. სათანადო საკითხისადმი წამძღვანებულ შესავალს მოსდევს შემოთავაზებული ძირითადი ქმედების დაწვრილებით გარჩევა (მიზნის წარმოეჩენა, ისე, როგორც ზევით) და ხელშემწყობი თანმდევი ქმედებების წყება.

*შენიშვნა:*

*განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ბატონ კრისტოფერ პაუნდს, დირექტორის მოადგილეს პოლიტიკის, კონსერვაციის და ლანდშაფტის დაცვის დარგში, მისი ძალისხმევისათვის გადაეხედა და შეესწორებინა ამ საკითხზე ჩვენს მიერ მომზადებული მასალა.*

## გ. 1. 3. გენგეგმები

**ფერარა, იტალია**

**1975 წლის გენგეგმა**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

ფერარა, 100,000 მაცხოვრებლით დასახლებული ქალაქი, რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთ იტალიაში, ბოლონიისაგან დაახლოვებით 50 კილომეტრის მოშორებით, დასავლეთ ევროპაში პირველი წინასწარ შედგენილი გეგმით აშენებული ქალაქი იყო. მოსახლეობის დაახლოვებით ნახევარი ცხოვრობს ისტორიული გალავნით შემოვლებულ ქალაქში. ფერარა დაარსებული იყო როგორც კომერციული სავაჭრო ქალაქი შუა საუკუნეებში, ხოლო XIV და XV საუკუნეებში იგი გადაიქცა აღორძინების ქალაქციხესიმაგრედ. 1492 წელს წარმოებულმა მშენებლობამ თითქმის სამჯერ გაზარდა მისი ტერიტორია, ქალაქში გაჩნდა ბაღები, არხების სისტემა და ბრწყინვალე სასახლე. ქალაქს დიდი მნიშვნელობა აქვს იტალიისა და ევროპისათვის მისი ურბანული გეგმარების გამო, ფორტიფიკაციული საინჟინრო ხელოვნების, აღორძინების პერიოდის არქიტექტურის და ბაღების, ისევე როგორც ფერწერასა და ლიტერატურაში მის მიერ შეტანილი წვლილის გამო. XVI საუკუნიდან მოყოლებული ქალაქის განვითარება შეჩერებული იყო პაპის ადმინისტრაციის მიერ და მხოლოდ XX საუკუნეში განახლდა მისი ზრდა.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

ფერარა არ ყოფილა ნომინირებული მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად.

**3. დაკავშირება**

Carlo Cesari
Ufficio Centro Storico,
Assessorato all'urbanistica,
Comune di Ferrara,
Palazzo Communale,
44100 Ferrara, Italy.
Tel.: 39-532-35001, 41936
Fax: 39-532-740559

**ბ. ამოცანები**

- გენგეგმის შემუშავება, რომელიც დაადგენს პრიორიტეტებს ყველა დონეზე გადაწყვეტილების მისაღებად;
- გენგეგმის შემუშავება, სადაც ქალაქის სასურველი ფორმის და ზრდის შესაძლებლობების საერთო ხედვის ფარგლებში; გათვალისწინებული იქნება ყველა ინტერესები;
- ისეთი გენგეგმის შემუშავება, რომლითაც ვიხელმძღვანელებთ გეგმარების დროს ისე, რომ მასში საჭირო ან მისაღები არ იყოს ხშირი „გამონაკლისი“ დაშვება.

**გ. კონტექსტი**

მეორე მსოფლიო ომის დროს ქალაქს გარკვეული ზიანი მიადგა; ომის შემდგომი გეგმარების მიზანი იყო ურბანული სტრუქტურის ზოგადი განახლება. 1970-იან წლებში ქალაქში დაარსდა გენგეგმის შემუშავების ოფისი, რომელმაც გეგმარებას ახალი ორიენტაცია მისცა, რაც არსებული რეალობის ღრმა ცოდნას ეფუძნებოდა.

1975 წლის გენგეგმის მიზნები იყო:

1. ისტორიული ქალაქის დაცვა კომერციული ხასიათის არამიზანმიმართული ცვლილებებისაგან;
2. კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის, როგორც მნიშვნელოვანი ელემენტის ინტეგრირება რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ კონტექსტში;
3. ისტორიულ სტრუქტურასთან შეუთავსებელი ყველა ფუნქციის გადატანა სხვა ადგილას;
4. ისტორიული რაიონის უზრუნველყოფა ყველა სტანდარტითა და მომსახურებით, რაც აუცილებელია მისი ახლანდელი და მომავალი არსებობისათვის;
5. კომუნიკაციების და ტრანსპორტის მოძრაობის პრობლემების ისეთი გადაწყვეტილების პოვნა, რაც შეესაბამება ყოველი რაიონის მოთხოვნილებას.

**დ. მიდგომა**

გენგეგმაში მითითებულია, თუ რა სახის ჩარევაა შესაძლებელი ყოველ ცალკეულ შენობაში, მისი სტრუქტურის, შესაძლო გამოყენების და კონსერვაციის მდგომარეობის გათვალისწინებით.

ასეთი სამუშაოს შესასრულებლად, გეგმა იყენებს ინტეგრირებული კონსერვაციის პრინციპებს, წარმოდგენილს 1975 წლის ევროპის საბჭოს ამსტერდამის განცხადებაში.

გეგმის მიზანია შეინარჩუნოს ისტორიული ცენტრის არქიტექტურული მემკვიდრეობის ფიზიკური და სოციალურ-ეკონომიკური სიმრთელე და საქალაქო ტერიტორია.

გეგმის ამოცანები ხორციელდება „ფიზიკური კონსერვაციის პროგრამის“ და „მომსახურეობის პროგრამის“ მეშვეობით.

ფიზიკური კონსერვაციის პროგრამა შეიცავს რუკას, სადაც მითითებულია ისტორიული შენობების და ღია სივრცეების სტრუქტურული დამახასიათებელი ნიშნები.

რუკა აკონკრეტებს ინტერვენციის კატეგორიებს, რაც მოსალოდნელია შენობების კონსერვაციის მდგომარეობიდან გამომდინარე და მათ თავსებადობას ისტორიულ ქსოვილთან, ისევე როგორც ასეთი სამუშაოებისთვის საჭირო ტექნიკურ სტანდარტებს.

მომსახურეობის პროგრამა იყენებს ზემოხსენებული სტრუქტურული დამახასიათებელი ნიშნების რუკას, რომელშიც მითითებულია საპროექტო სტანდარტები და სასურველი კეთილმოწყობა (ისტორიული ცენტრის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად), ისევე როგორც სტანდარტები, რაც განსაზღვრავს, თუ როგორი გამოყენებაა ნებადართული და რა ფუნქციებია შემოთავაზებული, როგორც ნაშენი მემკვიდრეობისათვის, ისე მთელი ქალაქისათვის.

აქედან გამომდინარე, 1975 წლიდან მოყოლებული ფერარაში აღარ არის ნებადართული ისტორიული შენობების ნგრევა. ნაწილობრივი ნგრევაც კი – ანუ მხოლოდ ფასადის შენარჩუნება – აკრძალულია. აკრძალულია თავისუფალ ტერიტორიებზე ახალი ნანგებობების აშენება, შესაძლებელია მხოლოდ დაბალი ხარისხის არქიტექტურის უახლესი შენობებით ჩანაცვლება.

ყოველი შენობის გამოყენება, იმის მიუხედავად ისტორიულია თუ არა, გამომდინარე მისი ტიპოლოგიიდან, გარკვეულად შეზღუდულია. მისი გამოშიგვნის ან დანაწევრების თავიდან ასაცილებლად, შეზღუდვები ეხება მთელ შენობას და არა მხოლოდ ექსტერიერის მხატვრულ ელემენტებს.

ჩანაცვლების შემთხვევაში ძველი ელემენტების იმიტაცია ნებადართული არ არის. შესაძლებელია მხოლოდ შენობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნების და მისი ურბანულ კონტექსტში და ქუჩის ხედში პოზიციის შენარჩუნება.

ინტერვენცია ისტორიულ ცენტრში ხორციელდება ან პირდაპირი საპროექტო რეგულაციების მეთოდით, ან კი პრევენციული ურბანული გეგმების საშუალებით, რომელთაც განვითარების დეტალური გეგმები ეწოდება.

გეგმის სპეციფიკურ რუკაზე მითითებულია ის რაიონები, სადაც უნდა გამოყენებული იყოს ინტერვენციის ესა თუ ის სახეობა. რაიონები, სადაც გამოყენებული უნდა იყოს პრევენციის ურბანული გეგმები, არის ზონები, სადაც უნდა ჩატარდეს რეაბილიტაციის სამუშაოები მათი საცხოვრებელ ადგილებად გადასაქცევად, ზონები მონიშნული ურბანული რეორგანიზაციისათვის და ისტორიული კომპლექსები, რომელთაც დაკარგეს თავისი მთლიანობითობა, ერთიანი ორგანული პროექტის თანახმად უნდა აღდგეს.

საცხოვრებელ ადგილად გამიზნულ ზონებში, აუცილებელია დაძველებული და ჩამონგრეული ისტორიული ქსოვილის მოდერნიზაცია; ზონები, რომლებიც ურბანულ რეორგანიზაციას ექვემდებარება, წარმოადგენს რაიონებს, რომელთაც დაკარგეს ისტორიული მნიშვნელობა და უნდა მიენიჭოთ ახლებური კოჰერენტულობა, სადაც ყურადღება გამახვილდება ისტორიული ურბანული სტანდარტების დაბრუნებაზე.

პრევენციული ურბანული გეგმით გათვალისწინებული ინტერვენციების შემთხვევაში, ეს მიდგომა გულისხმობს საზოგადოებრივი, თუ კერძო გეგმის შემუშავებას იმ ზონებისათვის, სადაც უნდა ჩატარდეს რეაბილიტაციის სამუშაოები და შემუშავდეს დეტალური ოფიციალური გეგმა ურბანული რეორგანიზაციის რაიონებისათვის და სამშენებლო კომპლექსებისათვის.

ასეთ ზონებში ინტერვენციების დასაჩქარებლად, შესაძლებელია პირდაპირი მოქმედება, ოფიციალური დადგენილების გარეშეც კი, სპეციალური შეთანხმების გზით, თუ მუშაობის წესები ერთგვაროვანი იქნება და ის თავსებათია გეგმის ორიენტაციასთან.

პირდაპირი ინტერვენციის დროს აუცილებელია ქალაქისაგან მოვითხოვოთ თანხმობა, ნებართვა, დასტური ქვეყნის და რეგიონის კანონების ჯეროვანი პატივმიგებით.

*პროექტმა უნდა მოიცვას შემდეგი:*

- შენობის ისტორიული კვლევა;
- ტიპოლოგიური ანალიზი;
- წინასწარი კვლევა თანდართული ფოტომასალებით;
- შესაძლო კრიტიკული შეფასება;

*ამის შემდეგ, პროექტმა უნდა გვიჩვენოს:*

- შენობის ტიპი გეგმის რუკის შესაბამისად;
- ინტერვენციის კატეგორია, დადგენილი როგორც შემზღუდავი ზღვარი, კვლავ შესაბამის რუკასთან შესატყვისობაში;
- შესრულების ტექნიკური სტანდარტი, რაც ეხება ან პოტენციურ გამოყენებას, ან სამუშაოს სახეობას.

ისტორიული ცენტრის გეგმის განსახორციელებლად, ქალაქმა შექმნა ქალაქის გეგმარების ოფისთან სპეციალური ტექნიკური მომსახურეობა, რომელიც მოქმედებს ორი მიმართულებით:

1) იგი შეისწავლის ყველა მოთხოვნას ისტორიულ ცენტრში საზოგადოებრივი თუ კერძო სამუშაოების ჩასატარებლად; იძლევა ინფორმაციას შესაბამისი სტანდარტების თაობაზე; აწარმოებს ინსპექციას; კონსულტაციას უწევს ტექნიკურ მუშაკებს და კლიენტებს გეგმისა და შესაფერისი მეთოდოლოგიის თაობაზე.

2) ადგენს საზოგადოებრივი რეაბილიტაციის გეგმებს, დეტალურ და მოდერნიზაციის გეგმებს თაოსნობის ხელშეწყობისა და მისთვის სწორი მიმართულების მიცემის მიზნით; კონტროლს და თანამშრომლობას უწევს კერძო სარეაბილიტაციო გეგმებს; ამოწმებს და განაახლებს გეგმას, განხორციელების და კანონმდებლობის თვალსაზრისით; გეგმავს და აკონტროლებს ქუჩების მოწყობილობას და მოძრაობის ინფრასტრუქტურას; გეგმავს და აკონტროლებს მუშაობას საზოგადოებრივი პარკების ტერიტორიაზე.

გაითვალისწინა რა ქალაქის მფლობელობაში მყოფი ნაშენი მემკვიდრეობის მნიშვნელობა, ადმინისტრაციამ საზოგადოებრივი სამუშაოების ოფისში შექმნა სპეციალური ტექნიკური მომსახურეობა მემკვიდრეობის კონსერვაციისა და გამაგრებისათვის საჭირო ყველანაირი სამუშაოს შესასრულებლად.

გენგეგმა, ისტორიული ცენტრის ჩათვლით, მიღებულ იქნა 1975 წელს და დამტკიცებული 1977 წელს. იგი განაახლეს 1985 წელს, ხოლო ახლა მიმდინარეობს მისი მთლიანი გადამუშავება.

რაც უნდა მოხდეს, ახალი ურბანული გეგმა დაეფუძნება ისტორიული ცენტრისადმი არსებულ მიდგომას, თუნდაც იმ მნიშვნელობის გამო, რაც მას რეგიონალური კანონებისთვის აქვს – ფერარის გეგმა მათთვის ამოსავალია. ამ მიმართებით, კიდევ ერთი ორიენტირი იყო ქალაქის გალავნის რესტავრაციის პროექტი, რომელიც აღიარებულია ურბანული მოდერნიზაციის აუცილებელ ელემენტად, როგორც ისტორიული ცენტრისათვის, ისე ქალაქის გარეუბნებისათვის.

*შენიშვნა:*
*ეს მასალა შეკრებილ იქნა იუკა იოკილეტოსა და კარლო ცეზარის დახმარებით.*

## გ. 1. 3. გენგეგმები

**ჰავანა, კუბა**

**ძველი ჰავანას გადარჩენა და აღორძინება**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

1519 წელს ესპანელ კოლონიზატორ დიეგო ველასკესის მიერ დაარსებული ჰავანა ერთ-ერთი უმშვენიერესი ბუნებრივი ნავსადგურის პატრონია. გარკვეულ დროს იგი იყო დასავლეთ ნახევარსფეროს უდიდესი პორტი – ესპანური გემთმშენებლობის მთავარ ცენტრი და სავალდებულო შესაყვანებელი პორტი ხანგრძლივი მოგზაურობისას ძველსა და ახალ სამყაროს შორის. აქ განვითარდა განსაკუთრებული, სინთეზური კულტურა, სადაც ერთმანეთს შეერწყა ადგილობრივ მცხოვრები ინდიელების, აფრიკელების, ესპანელების და მეტისების ინტელექტუალური დამოკიდებულება და მხატვრული გამოხატვის ფორმები. ამ კულტურის ამსახველი ძეგლები ჯერაც არსებობს კოლონიალური პერიოდის არქიტექტურის სახით, რაც მოიცავს ხალხურ საცხოვრებლებს და კომერციულ კვარტალებს, ეკლესიებს, მონასტრებს, სასახლეებსა და ფეოდალური კარმიდამოებს.

ქალაქის დიფუზური ურბანული აღნაგობა, მცირე ზომის მოედნების ჯაჭვით, ძირითადად განპირობებულია მისი ნავსადგურის მდებარეობით და მისი გამაგრების აუცილებლობით. ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის წინ აშენებული ბაზრის მოედნები და ციხესიმაგრეები გარკვეულად მიგვანიშნებს, თუ რა ცვლილებებს განიცდიდა ქალაქი სამხედრო, რელიგიური, ადმინისტრაციული, კომერციული და კულტურული თვალსაზრისით. ერთ-ერთი მოედანი, ვიეხას მოედანი, კუბური შენობებით, რომელთაც ემჩნევა ბაროკოს, ნეო კლასიკური და არტ ნუვოს ხელოვნების გავლენა, ყველაზე სერიოზული სარესტავრაციო სამუშაოების ობიექტს წარმოადგენს. მრავალრიცხოვან სამხედრო ნაგებობებს შორის ყველაზე ძველია კასტილო დე ლა ფუერზა, აგებული 1565-83 წლებში; ფაქტიურად, ეს არის ყველაზე ძველი კოლონიური სამხედრო ნაგებობა როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ამერიკაში. კიდევ ერთი, კასტილო დელ მორო, ცნობილია თავისი შუქურით, რომელიც ახლა ქალაქის სიმბოლოს წარმოადგენს.

XX საუკუნეში ჰავანამ შემოიერთა მეზობელი გარეუბნები და საკმაოდ მოშორებული რაიონებიც ურბანულ ბირთვს შეუერთდა. გაშენდა ფართო გამზირები და აღიმართა დიდი თანამედროვე შენობები. მიუხედავად გარშემო მიმდინარე მოდერნიზაციისა და ინდუსტრიალიზაციისა, ძველი ჰავანა ძირითადად შეუცვლელი დარჩა.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

ჰავანა შეიტანეს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში 1982 წლის დეკემბერში. იკომოს-მა მხარი დაუჭირა მის სიაში ჩართვას IV და V კრიტერიუმების საფუძველზე.

**3. დაკავშირება**

Eusebio Leal Spengler
Historiador de la Ciudad
de la Habana
Tacón No 1, c/Obispo y
O'Reilly
Habana Vieja
Ciudad de la Habana
Cuba
Tel.: 62-2258

**ბ. ამოცანები**

- გენგეგმის, როგორც ისტორიული რაიონის კონსერვაციის საფუძვლის, შემუშავება;
- ისტორიული რაიონის გარშემო არსებული ბუფერული ზონის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება;
- კონსერვაციის სამუშაოების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ამოცანების დადგენა;
- საწვრთნელი ცენტრის დაარსება ტექნიკური პერსონალისათვის, რომელსაც ევალება აწარმოოს კუბის ეროვნული მემკვიდრეობის დაცვა.

**გ. კონტექსტი**

1976 წელს კუბის მთავრობამ მთელი ძველი ჰავანა ეროვნულ ძეგლად გამოაცხადა. მთლიანი რესტავრაციის გეგმაში პრიორიტეტი მიენიჭა პლაზა ვიეხას (საბაზრო მოედანი) რესტავრაციას. კუბის ხელისუფლების მოთხოვნით 1980 წელს მოეწყო საერთაშორისო კამპანია საბაზრო მოედნის ძეგლების გადასარჩენად. შედგა მოქმედების წინასწარი გეგმა, ხოლო 1982 წელს, UNDP/UNESCO-ს ხელშეწყობით შეიქმნა კუბის ეროვნული მემკვიდრეობის დაცვისათვის საჭირო ტექნიკური პერსონალის კონსერვაციაში, რესტავრაციასა და მუზეოლოგიაში წრთვნის ცენტრი. 1982 წელს ძველი ჰავანა, სადაც შედის პლაზა ვიეხაც, შეტანილ იქნა მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში.

**დ. მიდგომა**

1982 წლის აგვისტოში, დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად იკომოს-მა მიიღო *Información Complementaria,* ძველი ჰავანას და მისი ფორტიფიკაციული ნაგებობების დაცვის შემოთავაზებულ მეთოდებთან დაკავშირებით. ეს დოკუმენტი, რომელშიც ბევრად უფრო მეტი იქნა მოთხოვილი, ვიდრე თავდაპირველად, შემდგომში სწორედ ის იქნა რეკომენდებული მოდელად მათთვის, ვინც სიაში შესატანად უნდა გაითვალისწინოს მსგავსი რთული კულტურული ობიექტების საზღვრები და მოეკიდოს მას ისე, როგორც ეკიდება ამგვარ ობიექტებს მასზე პასუხისმგემელი მთავრობა და ადგილობრივი სპეციალისტები.

დოკუმენტი შეიცავს კულტურული ობიექტის აღწერას და ინვენტარიზაციას და მისი დაცვის და კონსერვაციის ისტორიას. განსაკუთრებით ყურადსაღებია მსჯელობა იმ მეთოდების თაობაზე, რომელთა თანახმად კონსერვაცია შეიძლება მოხდეს სხვადასხვა დონეებზე:

ა) ეროვნული კანონმდებლობა

ბ) ობიექტის საგანგებო დაცვა

გ) მასთან დაკავშირებული პროექტები და კვლევები

დ) შემდგომი ღონისძიებების ან სადემონსტრაციო პროგრამები

ე) განსაკუთრებული წესები

ვ) ქალაქის გენგეგმა

გენგეგმა შეიცავს იმ რაიონს, სადაც უნდა ჩატარდეს კონსერვაცია და მიმდებარე ტერიტორიებს, სადაც პირდაპირი მენეჯმენტი დადებით შედეგს გამოიღებს. ქალაქის ორი ზონა დადგენილ იქნა ბუფერული ზონებად, სადაც კანონითაა მოთხოვნილი მშენებლობის კონტროლი და არსებული ხასიათის შენარჩუნება.

დადგინდა მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ამოცანები. ყველაზე სასწრაფო ამოცანაა შეწყდეს 142 ჰა ისტორიული ცენტრის განადგურება, სადაც ცხოვრობს 750 000 მეტი ადამიანი და სადაც ჯერაც შემორჩენილია ქუჩების თავდაპირველი გეგმარება და 900 მეტი ისტორიული შენობა. სტიმულირებულია ახალი ფუნქციები, ტრანსპორტის მოძრაობა შემცირებულია, შენობები აღდგენილია, ხოლო საცხოვრებლები რეაბილიტირებული.

გრძელვადიანი ამოცანის განხორციელებისას, ნავსადგურის ბევრი ფუნქცია სხვაგან გადაინაცვლებს და შემოვა ახალი სოციალური და კულტურული ფუნქციები. ჰავანას ყურე დასუფთავდება. რესტავრაციის გეგმა გრძელდება 2000 წლამდე და მისი ბიუჯეტი წელიწადში შეადგენა ექვს მილიონ პესოს (US $ 7,800,000), ორჯერ უფრო მეტს, ვიდრე 1986 წლამდე იყო. ძველი ჰავანას რესტავრაციას ხელმძღვანელობს ეუსებიო ლეალ სპენგლერი.

რესტავრაციის გეგმის თავი და თავი ძველი ჰავანას ხუთი მოედანია. პლაზა ვიეხაში ყველაზე მკაფიოდ ჩანს ძველი ჰავანას რესტავრაციის სიძნელეები და შესაძლებლობები. ეს არის როგორც სოციალური, ისე არქიტექტურული პრობლემა: სხვადასხვა სოციალური და კულტურული სამსახურების შექმნამ და ძველი ბინების შეკეთებამ და ახლის აშენებამ გამოიწვია იქ მცხოვრები ოჯახების ცხოვრების წესის შეცვლა. სახელმწიფო მოხელეები დარწმუნებული არიან, რომ მოსახლეობა იმედის თვალით უყურებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

„მიკრობრიგადები," რომლებიც მონაწილენი იყვნენ 1970-იანი წლების მასობრივი ურბანული ზრდისა, ძველ ჰავანაში 1987 და 1988 წლებში შემოიყვანეს. ისტორიული ცენტრის თავისუფალ ტერიტორიებზე მათ ააშენეს მრავალი სახლი და დაწესებულება. ამ და სხვა ახალი შენობების არქიტექტურულმა პროექტებმა გამოიწვია დაძაბული კამათი ძველ გარემოში ახალი შენობების აგების თაობაზე. 1986 წლიდან 1990 წლამდე მიდგომა შეიცვალა და მეტი ყურადღება დაეთმო ცალკეული, ერთეული ნაგებობების რესტავრაციას, ტერიტორიების და რაიონებისადმი ინტეგრირებულ მიდგომას.

## გ. 1. 3. გენგეგმები

**კიტო, ეკვადორი**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

ქალაქი სან ფრანცისკო დე კიტო დაარსებული იყო ბევრად უფრო ძველი ნაქალაქარის, ინკების უზარმაზარი იმპერიის, ტაჰუანტისუიუს ყოფილ ჩრდილო დედაქალაქის ნანგრევებზე. პრივინციული დედაქალაქი და საეპისკოპოსო ცენტრი, კიტო 1563 წელს გადაიქცა სამეფო კარის რეზიდენციად, რომელიც აწარმოებდა პოლიტიკურ კონტროლს მის დაქვემდებარებაში მყოფ სხვა ქალაქებსა და სოფლებზე. XVI საუკუნის ბოლოს, ქალაქი, რომელიც მდებარეობდა სხვადასხვა მხატვრული გავლენების გადასაყარზე, კიტოს მხატვრული სკოლის ცენტრად გადაიქცა. კიტომ 1809 წელს, სამხრეთ ამერიკის სხვა კოლონიებზე უფრო ადრე გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა; დაახლოვებით რვა წლის განმავლობაში, 1830 წლამდე, იგი იყო გრან კოლუმბიის კონფედერაციის სამხრეთ რეგიონის დედაქალაქი. კონფედერაცია შედგებოდა ეკვადორის, კოლუმბიისა და ვენესუელასგან.

XVI საუკუნეში დაარსებული ქალაქის კიტოს გეგმა შენარჩუნებულია, თუმცა XIX საუკუნეში ქალაქის თავისი მასშტაბებით შორს გასცდა კოლონიური პერიოდის ბირთვს. ისტორიული რაიონი ზომით შეადგენს 348 ჰა. ქალაქგეგმარების ავტორებმა ანდების ზეგავლენით რთულ გეოგრაფიულ რელიეფზე „ინდების კანონთა“ შესაბამისად უზარმაზარი მესერი დააშენეს. ყოველი განაყოფი მხარე შეადგენს 84 მეტრს, ხოლო ცენტრალური მოედანი განლაგებულია ქალაქის შუაგულში. არსებობს იმავე სტრუქტურის მქონე მეორეხარისხოვანი მოედნებიც.

გეგმის რეგულარობა ხაზს უსვამს კონტრასტს მონუმენტალურ და საცხოვრებელ არქიტექტურას შორის. ცენტრალურ მოედანს ესაზღვრება სამთავრობო და მუნიციპალური ნაგებობები, ეპისკოპოსის რეზიდენცია და საკათედრო ტაძარი. ქალაქში მრავალი რელიგიური დანიშნულების ნაგებობაა, რომლებიც XVI-XVIII საუკუნეებით თარიღდება. უმეტესად ალიზით ნაშენ და პატიოების გარშემო განლაგებულ კოლონიური პერიოდის სახლებს, ჩვეულებრივ, თეთრი ფასადები ამშვენებს. სწორედ მჭიდროდ გაშენებული საცხოვრებელი სახლების არქიტექტურა დომინირებს ძველ ქალაქში, ანიჭებს კიტოს მის განუმეორებელ ხასიათს.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

კიტოს ისტორიული ცენტრი შეტანილ იქნა მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში 1978 წელს. იკომოს-მა მხარი დაუჭირა მის სიაში შეტანას II და IV კრიტერიუმების საფუძველზე. XVI საუკუნიდან მოყოლებული, კიტოს არქიტექტურა წარმოადგენს მკვეთრად გამოხატულ, ორიგინალურ ბაროკულ ხელოვნებას, რომელიც ხასიათდება დასავლეთევროპული (ესპანურ-არაბული, გუთური, მანიერისტული და სხვ.) გავლენებით, რომელთაც სახე იცვალეს ადგილობრივ ტრადიციებთან შერწყმის შედეგად. ამ ხელოვნების შექმნაში უმთავრესი წილი ფრანცისკანელებმა შეტანეს. XVII-XVIII საუკუნეებში კიტოს ბაროკოს ხელოვნებამ ძლიერი გავლენა იქონია ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების ხელოვნების განვითარებაზე. კიტოს ურბანული ანსამბლი წარმოადგენს XVI საუკუნის ესპანური კოლონიალური ქალაქის ჩინებულ მაგალითს.

**3. კონტაქტი**

Sylvio Mutal
Chief Technical Advisor
and Regional Coordinator
Regional Project for Cultural
Heritage and Development
UNDP/UNESCO
P.O.Box 4480
Lima 100 Peru
Tel.: 51-14-402401/422060
Telex: 25391 PE
Fax: (51-14) 402484

**ბ. ამოცანები**

- ისტორიული უბნის გენგეგმის შემუშავება, რომელიც იქნება საკმაოდ ელასტიური და მოიცავს

ისტორიული ცენტრის ყველა ასპექტს, ურბანული, სოციალურ-ეკონომიკური და არქიტექ-ტურის ინტერესების ჩათვლით;

- ისეთი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც შეძლებს საკუთარი მემკვიდრეობის აღდგენაში ამ რაიონის მოსახლეობის ჩართვას;

**გ. კონტექსტი**

ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში და განსაკუთრებით 1987 წლის მიწისძვრიდან მოყოლებული, კიტოს ისტორიული ქალაქი სერიოზული ფიზიკური, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების მოწმე გახდა. სწორედ ამის კვალად, ქვეყნისა და ადგილობრივმა ხელისუ-ფლებებმა წამოაყენეს ყოველმხრივი სარესტავრაციო პროგრამა.

1989 წლის 25-29 სექტემბერს კიტოში ჩატარდა სემინარი, რომლის მიზანი იყო დახმარებოდა ქალაქს ისტორიული ცენტრის გლობალური საკონსერვაციო სტრატეგიის შემუშავებაში; შეექმნა ტე-ქნიკური და/ან ფინანსური დახმარების პროგრამა; მიეღწია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის რესტავრაციის პროგრამაში; შეესწავლა კიტოს გენგეგმა და გაეანალიზებინა სამუშაოების დაფინან-სების შესაძლებლობები. სემინარის მსვლელობაში განიხილებოდა შემდეგი საკითხები:

- კიტოს ისტორიული ცენტრის გენგეგმა. იგი არ უნდა იყოს ერთმნიშვნელოვანი და ხისტი მითითება, არამედ ელასტიური და დინამიკური.
- ისტორიული ცენტრის გენგეგმის ჩართვა ქალაქის გენგეგმაში. ორივე ჰარმონიულად უნდა შეერწყას ერთმანეთს და შექმნას ერთი მთლიანობა.
- El Fondo de Salvamento del Patrimonio Cultural (FONSAL), ორგანიზაცია, რომელსაც ევალება კიტოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.
- პროგრამის ფინანსური და ეკონომიკური თვალსაზრისით განსაზღვრა.

სპეციალისტებმა ურჩიეს, შეექმნათ ოთხი ნაწილისაგან შემდგარი, ერთობლივი საერთაშორისო ტექნიკური პროგრამა:

1. ისტორიულ ცენტრში ისტორიული ძეგლების რესტავრაცია.
2. მუნიციპალური გეგმარების პროცესის მენეჯმენტის გაძლიერება.
3. ცენტრში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება.
4. ისტორიული ცენტრის ურბანული რეაბილიტაცია.

**დ. მიდგომა**

პროექტის სტრატეგიას საფუძვლად აქვს ქალაქის ცენტრის ისტორიული და კულტურული მემკვი-დრეობის აღდგენა იქ მცხოვრები მოსახლეობის მიერ. ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლების კონსერვაცი-ის, რესტავრაციის და შენარჩუნების სამუშაოებს ატარებს ეროვნული მემკვიდრეობის ინსტიტუტი და მუნიციპალური მთავრობა. მაგრამ მუნიციპალურ საბჭოს არ სურს შეიზღუდოს მხოლოდ ისტორიული ძეგლების რესტავრაციით; მისი მიზანია ისტორიული ცენტრის ყველა ასპექტის რეაბილიტაცია. ამის შესასრულებლად მას გააჩნია ორი მთავარი საშუალება:

- ისტორიული ცენტრის გენგეგმა;
- საკონსერვაციო ფონდი (FONSAL).

მუნიციპალური საბჭოს მიერ დასახული ამოცანები შეეხება ინტეგრირებულ ურბანულ განვითარე-ბას; კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციას; გარემო პირობების გაუმჯობესებას; სასმელ წყალს; ტრანსპორტს; ტურიზმს; კომერციას; საცხოვრებელი სახლების მშენებლობას; კულტურის და განა-თლების დანერგვას; და ადგილობრივი საზოგადოების განვითარებას.

1989 წლის აგვისტოში შექმნილი გენგეგმა ითვალისწინებს ორ წელიწადს და მისი ბიუჯეტი შეად-გენს $500,000. იგი შედგება სამი ფაზისაგან:

*1. წინასწარი შეფასება (უნდა დასრულდეს 1990 წლის იანვრის თვისათვის)*

მონაცემთა ბაზის შექმნა; მონაწილეთა გამოვლენა; ტურიზმის რესურსების აღრიცხვა; „ძირითადი ურბანული მაჩვენებლების“ დადგენა; დასკვნების და რეკომენდაციების ჩამოყალიბება გეგმის შემდეგი ორი ფაზის გათვალისწინებით; სასწრაფო სამუშაოების დადგენა, რისთვისაც საჭიროა მიმართეს კონ-

სერვაციის ფონდს (FONSAL).

*2. შეფასება (დასრულებული უნდა იყოს 1990 წლის ოქტომბრის თვისათვის)*

ურბანული, სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიული და არქიტექტურული შეფასება; კომისიის და ისტორიული ცენტრის დირექტორატის შეფასება; სამართლებრივი და ადმინისტრაციული ასპექტები; შეფასების და დასკვნების სინთეზი; პრიორიტეტების დადგენა და გადაუდებელი პროექტების განხორციელებადობის ანალიზი; ბიუჯეტის პროექტი, მიმართვა შემოთავაზების შემოტანაზე და კონტრაქტების გაცემა გადაუდებელი პროექტებისათვის.

*3. განაცხადი (დასრულებული უნდა იყოს 1991 წლის აგვისტოს თვისათვის)*

გეგმის მიზნების და ამოცანების დადგენა; გეგმის ზოგადი განაცხადი; ისტორიული ცენტრის როლი და ფუნქცია ცენტრალური რაიონის და დედაქალაქის ოლქის კონტექსტში; პროგრამების შემუშავება (ინტერვენციის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მუნიციპალური რეგულირების, ინფრასტრუქტურის და ტრანსპორტის მოძრაობის, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, სოციალური ორგანიზაციის და მოსახლეთა მონაწილეობის, გარემოს დაცვის, მიწისძვრების, და სხვ.); გეგმის კოორდინაცია.

ისტორიული ცენტრის გენგეგმა ჩართული უნდა იყოს დედაქალაქის ოლქის გენგეგმაში. 1989 წლის სასემინარო მოხსენებაში – "Seminario/Debate sobre la Rehabilitación del Centro Histórico de Quito, Informe Final" (Proyecto Regional de Patrimonio Cultural y Desarrollo PNUD UNESCO) – რეკომენდებული იყო გენგეგმის პერიოდული გადახედვა და მოდიფიცირება, პირობების ცვლილებათა კვალად. შესაბამისად, იგი საკმაოდ ელასტიური უნდა იყოს. უფრო მეტიც, გენგეგმარება უწყვეტი პროცესია და როგორც ასეთი, უნდა გაგრძელდეს პირველად დადგენილი ორწლიანი ვადის გასვლის შემდეგაც.

## გ. 1. 3. გენგეგმები

**სალამანკა, ესპანეთი**

**საუნივერსიტეტო სექტორის და ისტორიული ზონისათვის შემუშავებული განსაკუთრებული დაცვის და განვითარების გეგმა**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

სალამანკას ძველი ქალაქი უკვე 2000 წლის ისტორიის მოწამეა. დღემდე შემორჩენილია ისტორიის მრავალი მანიშნი, მათ შორის რომაული ხიდი, XII საუკუნის საკათედრო და სან მარკოს ტაძარები, XVI საუკუნის სალინასა და მონტერეის სასახლეები და პლაზა (მთავარი საბაზრო მოედანი) (1729-1755), მხატვრულად ყველაზე დასრულებული ესპანური ბაროკოს მოედნებს შორის. უნივერსიტეტის და მისი გუთური, აღორძინების ხანის და ბაროკოს სტილის ნაგებობების წყალობით, ეს ქალაქი, ქრისტიანულ სამყაროში ოქსფორდისა და კემბრიჯის მსგავსად, საუნივერსიტეტო ქალაქის ერთი უპირველეს ნიმუშთაგანია.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

ნომინაციას იკომოს-მა მხარი I კრიტერიუმის საფუძველზე დაუჭირა (მთავარი საბაზრო მოედნის, პლაზას გათვალისწინებით, რომელიც წარმოადგენს ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან ურბანულ ანსამბლს XVIII საუკუნის ევროპაში); ასევე II კრიტერიუმის (როგორც "churrigueresque" სტილის განვითარების და გავრცელების ცენტრს, რაც მნიშვნელოვანია როგორც იბერიის ნახევარკუნძულის, ისე სამხრეთ ამერიკისათვის); და IV კრიტერიუმის (ერთიანობა და ხარისხი შენობებისა, სადაც უნივერსიტეტია განლაგებული და უნივერსიტეტის მრავალგვარი ფუნქციები ქრისტიანულ სამყაროში) საფუძველზე.

სალამანკა მსოფლიო მემკვიდრეობის სიას 1988 წელს შეემატა.

**3. კონტაქტი**

Don Alberto Lopez Asenjo
Municipal architect
Ayuntamiento
de Salamanca
Salamanca, Spain
Tel.: 26 31 61

**ბ. ამოცანები**

- გეგმარების და კონტროლის სახელმწიფო პროგრამის შექმნა, რაც ერთ მთლიანობაში მოაქცევს ყველა ეკონომიკურ, სოციალურ, ურბანულ და მემკვიდრეობის მონაცემს.
- დაცვისა და რეაბილიტაციის ისეთი სტანდარტების დამუშავება, რომელნიც საკმარისად დეტალური იქნება ამ უბნების, მეტადრე მათი საცხოვრებელი არქიტექტურის ნამდვილი ხასიათის სარესტავრაციოდ;

**გ. კონტექსტი**

სალამანკამ გაიარა მძიმე ჟამი, როდესაც ისტორიული რაიონი ყველასგან მიტოვებული იყო. არ არსებობდა განვითარების სახელმწიფო გეგმა; მაცხოვრებლები ჯგუფ-ჯგუფად ტოვებდნენ ძველ ქალაქს, ნადგურდებოდა ფასდაუდებელი ანსამბლები.

1979 წელს, ახალი მუნიციპალური ადმინისტრაციის გადმოსვლასთან ერთად დაიწყო გენგეგმის შემუშავეაბ. შეიქმნა მრავალდისციპლინარული ჯგუფები, განაწილდა ფონდები და საზოგადოებრივი სამუშაოების დეპარტამენტთან თანამშრომლობით, 1984 წლის 26 ივნისს დამტკიცდა *Plan Especial de Protecciónу Reforma Interior del Recinto Universitario y Zona Histórico-Artistica.* ეს გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო პრინციპი ისტორიულ რაიონსა და უნივერსიტეტის სექტორში ყველა სახის ინტერვენციისას. ამჟამად მიმდინარეობს მისი გადამუშავება.

**დ. მიდგომა**

გეგმა *გლობალურია,* შესაბამისად იგი ეხება გეგმარების ყველა ასპექტს – სოციალურს, ეკონომიკურს, ტრანსპორტის მოძრაობის, ინფრასტრუქტურის – და ისახავს მთელ რიგ რაოდენობრივ და ხარისხობრივ ამოცანებს.

გეგმა, ამასთანავე, *ინტეგრირებულია.* ამ თვალსაზრისით მისი საწყისი წერტილი ზოგადი პოლიტიკაა, რომელსაც მისდევს მოქმედების დეტალიზებული გეგმები და პროგრამები, სადაც ყურადღება მახვილდება როგორც მონუმენტური, ისე საცხოვრებელი არქიტექტურის დამახასიათებელი ნიშნების განსაზღვრაზე.

და, ბოლოს, გეგმა *სამოქმედოა*, აქედან გამომდინარე, იგი გვთავაზობს ქმედებათა გეგმებს, მკაფიოდ აყალიბებს სტანდარტებს და უზრუნველგვყოფს საჭირო ფონდებს.

მკითხველმა შეიძლება მიმართოს მეორე ნაწილის მეათე თავს, რომელიც ეხება კონსტრუქციების და ფორმების ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას და შეიცავს მრავალრიცხოვან ილუსტრაციებს; მესამე ნაწილის მეოთხე თავს, სადაც განხილულია „კატალოგი," რომელიც შეიცავს ისტორიული ნაგებობების და ახალი ინტეგრირებული შენობების კონსერვაციის და გამაგრების ყველა სტანდარტს; და გეგმის სარჩევს, რომელიც ქვემოდ არის დაჯამებული.

კატალოგი გვთავაზობს ორ კლასიფიკაციას: შესასრულებელი სამუშაო, და შენობების დაცვის დონე. იგი აკავშირებს ამ ორ კლასიფიკაციას, რათა განსაზღვროს სამუშაოების სპეციფიკა ყოველ დონეზე. მათი ურთიერთ კავშირი ცხრილადაა შეჯამებული:

წყარო:

*Plan Espacial de Protecciony Reforma interior del Recinto Unicersitario y Zona Historico-Artistica, Instituto del Aterritorio y Urbanismo. MOPU. Ayuntamiento de Salamanca, 1984, ill., 254 pages plus plans.*

*Plan especial de Proteccion y Reforma Interior del Recinto Universitario y Zona Historico-Artistica*

| | სამუშაოს სახეობები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **დაცვის პირობები** | **გამაგრება** | **კონსერვაცია** | **რესტავრაცია** | **რეაბილიტაცია** | **სახურავების და ფასადების რესტრუქტურიზაცია** | **რესტრუქტურიზაცია** | **დონეების დამატება** | **ახალი კონსტრუქციები ელემენტების კონსერვაციით** |
| დონე 1: მონუმენტური ხასიათი<br>კატეგორია ა (1) კატეგორია (ბ) | * | * | * | | | | | |
| დონე 2: ინტეგრირებული | * | | * | (2) | | | | |
| დონე 3: სტრუქტურული | * | * | * | * | * | | | |
| დონე 4: გარემო პირობები კატეგორია ა<br>კატეგორია ბ<br>კატეგორია გ<br>კატეგორია დ | <br>*<br>*<br>* | <br>*<br>*<br>* | <br>*<br>*<br>* | <br>*<br>*<br>* | <br><br>*<br>* | <br>*<br>*<br>* | <br><br>*<br> | <br><br><br>* |
| ბუნებრივი და ურბანული ელემენტები | | | | | | | | |
| (1) ეხება სახვითი ხელოვნების დირექტორატს (2) შეზღუდული რეაბილიტაცია | | | | | | | | |

*სარჩევი*


ზოგადი სტრუქტურა

ნაწილი პირველი: გეგმის შემუშავების პროცესი

1- გეგმის მონიშვნა
2- დაგეგმვის პირობები
3- თარიღების მიმათითებელი
4- ურბანული სტრუქტურა
5- მონაცემები
6- კონსტრუქცია
7- წინადადების შედგენა
8- სტანდარტების დადგენა
9- თანხების მოძიების პოლიტიკა
10- ურბანული მენეჯმენტი
11- საზოგადოების მოზიდვა

მეორე ნაწილი: გეგმის აღწერა

1- გეგმის საზღვარი და ქალაქი სალამანკა
2- ისტორიული პირობები
3- გეგმარებითი მემკვიდრეობა
4- მოსახლეობა
5- ბინათმოწყობა
6- დამხმარე ნაგებობები და ღია სივრცე
7- დაწესებულებების საქმიანობა
8- წარმოებითი საქმიანობა
9- ტრანსპორტი
10- კონსტრუქცია
11- ურბანული სივრცეები
12- სივრცობრივი სტრუქტურა
13- წინადადებები
14- ეკონომიკური და ფინანსური ანალიზი
15- წინასწარული ქმედებანი

მესამე ნაწილი: ურბანული სტანდარტები

სათაური I:- 883 ზოგადი კრიტერიუმები
სათაური II:- ზოგადი სტანდარტები

სათაური III:- სპეციფიკური სტანდარტები
სათაური IV:- კატალოგი
სათაური V:- ურბანული ინიციატივები
სათაური VI:- CUBHA-ს კონსორციუმი
სათაური VII:- დანერგვის პირობები

მეოთხე ნაწილი: ნომინაციური გეგმები

## 1.4. ხელისუფლებასთან თანამშრომლობა

ქალაქები თავის ფუნქციებს იზოლირებულად როდი ასრულებენ. მათ მომუშავე მოსახლეობას ყოველდღიურად გარედან შემოსულნიც ეხიდებიან. ტრანსპორტი, საცხოვრებელი სახლები, სამუშაო ადგილები – ყველაფერი ინტეგრირებული უნდა იყოს ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ საფუძველზე, რათა თითოეული ამ სფეროს სათანადო მომარაგება იყოს უზრუნველყოფილი. თავისი მიზნების მისაღწევად სხვებზე არანაკლებ საჭიროებს ინტეგრირებულ მიდგომას კონსერვაციის პოლიტიკაც.

დიდი თუ პატარა ქალაქები ჩვეულებრივ უფრთხიან თავის საზღვრებში „გარეშე" ხელისუფლების მოქმედებას. დიდად მოსწონთ რა საერთო სალაროდან მიღებული სიკეთე, მათ სულაც არ სურთ თავისი ავტონომიის ნაწილის დათმობა. პატარა ქალაქების ისტორიული რაიონების, ან დიდი ქალაქების ისტორიული ცენტრების კეთილდღეობა მჭიდროდაა გადაჯაჭვული ყველა სახელისუფლებო დონის პოლიტიკასთან, რომელსაც შეუძლია როგორც შეაფერხოს, ისე ხელი შეუწყოს მემკვიდრეობის კონსერვაციის მიზნებს.

მემკვიდრეობის კონსერვაციის ინტეგრირებული და რასმე დაპირისპირებული მიზნების აუცილებლობის მაგალითს წარმოადგენს პროგრამები, რომელნიც გვიბიძგებენ შენობათა ფონდის ზოგიერთი ასპექტი გავაუმჯობესოთ. მაგალითად, ბევრი ეროვნული მთავრობა ცდილობს საცხოვრებელი პირობების მოდერნიზაციას შეღავათიანი საპროცენტო სესხის შეთავაზებით, ან პირდაპირი სუბსიდიებით. ხშირად ეს ეხება ყველაზე ძველ შენობებს, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მემკვიდრეობად და რომელთა მდგომარეობა ყველაზე ნაკლებად შეესაბამება კეთილდღეობის და უსაფრთხოების სტანდარტებს; ინტეგრირებული მიდგომის გარეშე ძალზე რთული იქნება ერთი ან ორივე მიზნის მიღწევა.

მთავრობის პოლიტიკას, რომელიც მხარს უჭერს ურბანული მემკვიდრეობის კონსერვაციას, შემდეგი მახასიათებლები აქვს ხოლმე:

- მიწის გამოყენებისა და განვითარებისადმი ყოველმხრივი მიდგომა, როდესაც დაბალანსებულია, ერთი მხრივ, მოთხოვნილებები სოფლის მეურნეობისათვის ვარგისი მიწების შენარჩუნებისა და ზრდის უზრუნველყოფისა იმ ადგილებში, სადაც მცირეა ახალი ინფრასტრუქტურისათვის დანახარჯები, და მეორე მხრივ, ცენტრალური ქალაქების სიცხოვლისა და არსებული შენობებსა და ინფრასტრქუტურაში „ჩაყრილი" ინვესტიციების ღირებულების შენარჩუნების საჭიროებანი.
- გადაწყვეტილების მიღებისადმი ინტეგრირებული მიდგომა, რათა მცდელობა ერთ რომელიმე სფეროში მიზნის მიღწევისა არ ხდებოდეს სხვა სფეროთა საზიანოდ;
- ეფექტიური, მოსახერხებელი და იაფი გადაადგილების საშუალებათა უზრუნველყოფა, რაც განაპირობებს მოსამსახურეთა და მომხმარებელთა დინებას დანიშნულების ადგილისაკენ, ისე რომ მინიმალური ზიანი მიადგეს ქალაქის მემკვიდრეოისმიერ ღირებულებებს.

## 1.5 შესაფერისი განვითარების შეფასება

შესაფერისი განვითარების შეფასების საშუალებები დამპროექტებლებისათვის ახალი რამ როდია. ისტორიული ქალაქების მიმართ მიღებულ კრიტერიუმებს უნდა დაემატოს მხოლოდ მემკვიდრეობისმიერი ხასიათის გათვალისიწნება, როგორც განვითარების ვარიანტთა შეფასების საკვანძო ფაქტორი. მისაღები ვარიანტის განსაზღვრისას უნდა ფასდებოდეს მისი შესაძლებლობანი უპასუხოს შერჩეულ

კრიტერიუმებს და უკანასკნელთაგან ყოველის ფარდობითი წონა.

ანალიზის დროს დამგეგმავებმა შეიძლება შემდეგი კრიტერიუმებით იხელმძღვანელონ: მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნა, ინვესტიციების მოზიდვა, ზეგავლენა ჰაერის ხარისხზე, ინფრასტრუქტურის ხარჯები, გამოვლენილი საბაზრო მოთხოვნები და ა.შ. ქალაქი, რომელსაც მისთვის შესაფერის განვითარებას მემკვიდრეობის პერსპექტივით ხედავს, უნდა ზრუნავდეს, რომ ანალიზისას კონსერვაციის კრიტერიუმს სათანადო ადგილი ქონდეს მინიჭებული.

**სავარჯიშო ფურცელი №3**

## შესაფერისი განვითარების ანალიზი

1. განვსაზღვროთ ის ინტერესები, რომლებიც შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს განვითარებას.
2. ჯგუფის შიგნით კონსენსუსის მიღწევა. კრიტერიუმების არასრული სია შეიძლება შეიცავდეს შემდეგს:

- ზეგავლენა სამუშაო ადგილებზე (მთლიანი განაკვეთი/ნახევარი განაკვეთი)
- წვრთნის მოთხოვნილებანი
- მომგებიანობა
- მფლობელობა (ადგილობრივი ან მოშორებული)
- მომსახურების/ინფრასტრუქტურის ხარჯები
- ზეგავლენა ქონების გადასახადზე
- ზეგავლენა მომიჯნავე საქმიანობაზე
- ზეგავლენა გარემოზე
- ზეგავლენა მემკვიდრეობის ხასიათზე
- ლიდერობის პოტენციალი (შეუძლია განვითარებას ვითარებაის შემოტრიალება?)
- ცხოვრების ხარისხი

**1. შევაფასოთ კრიტერიუმების შედარებითი მნიშვნელობა**

ყველა თანაბარია? რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი? შესაძლებელია გამოჰყო „უთუო“ და „სასურველი“ კრიტერიუმები?

**2. მივუწეროთ თითოეულ კრიტერიუმს წილობრივი ოდენობა**
**3. შევაფასოთ ვარიანტები**

მარტივ შემთხვევებში, კრიტერიუმები შესაძლოა თანაბარი იყოს. თუ ასეა, ისინი შეიძლება კითხვებად წარმოვადგინოთ და „დიახ“ თუ „არა“ პასუხები განსაზღვრავს ვარიანტის შეფასებას. უფრო რთული შეფასებისას, პასუხის მისაღებად შეიძლება შემოთავაზებულ იქნას გარკვეული განსაზღვრებები (მაგ., ცუდი, დამაკმაყოფილებელი, კარგი), შემდეგ კი უნდა მოხდეს კრიტერიუმის ფარდობით რიცხვზე გადამრავლება. უმაღლესი რიცხვი მოგვცემს განვითარების ყველაზე შესაფერის ვარიანტს.

| კრიტერიუმები | მნიშვნელობა |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |

# გ. 1. 5. შესაფერისი განვითარების შეფასება

**ბუდაპეშტი, უნგრეთი**

**მეორე ურბანული ცენტრის განვითარება**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

მდინარე დუნაი ქალაქის ორი განსხვავებული წარმოშობის ნაწილს ყოფს: მარჯვნივ ბუდაა, მთის ქანობზე, დასავლეთ ნაპირზე განლაგებული, მარცხნივ პეშტი, დაბლობზე, აღმოსავლეთ ნაპირზე განლაგებული. ხალხი ორივეგან ჯერ კიდევ პალეოლითის ხანიდან სახლობს. შეწყვილებული სამოსახლო, ცნობილი რომაელთათვის როგორც აკვინკუმი და კონტრა აკვინკუმი, თარიღდება რომაელების მიერ აკვინკუმის დაარსებით, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვით II საუკუნეში რომის იმპერიის ქვემო პანონიის პროვინციის დედაქალაქი იყო. შუა საუკუნეებში, კერძოდ IX საუკუნეში ქალაქი ხელმეორედ დაარსდა პეშტის ტერიტორიაზე, მაგრამ 1241-42 წლების მონღოლთა შემოსევამ იგი მიწასთან გაასწორა. რამდენიმე წლის შემდეგ მარჯვენა ნაპირზე, მთის ფერდზე აშენდა ბუდას ციხესიმაგრე, რომელმაც შეიფარა პეშტის მაცხოვრებლები.

ბუდას იღბალი ემთხვევა უნგრეთის მონარქიისას, რომელიც ყვაოდა ანჟუს დინასტიის (1305-1432) ხანაში და ხელმეორედ მატიას I კორვინუსის მეფობისას (1458-1490), როდესაც ქალაქი აღორძინების ხელოვნების ერთ-ერთ მთავარ ცენტრად იქცა. ქალაქის დაკნინება XVI საუკუნიდან დაიწყო და XVIII საუკუნემდე გრძელდებოდა. ამ დროს, დედოფალი მარია ტერეზია და მისი ვაჟიშვილი და თანამმართველი, იოსეფი, მხარს უჭერენ ბაროკოს სტილის არქიტექტურას. XIX საუკუნემ თანამედროვე ქალაქს დაუმატა ორი მნიშვნელოვანი სიმბოლო: უ. ტ. კლარკის ჩამოკიდებული ხიდი (1849 წ.), რომელმაც დააკავშირა ბუდა და პეშტი და პარლამენტის 1884-1904 წლების ნეოგუთური შენობები.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

ბუდაპეშტი დასახელებული იყო მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად 1986 წელს, II და IV კრიტერიუმების თანახმად.

**3. დაკავშირება**

Gabor Aczel
Chief Architect
Varoshaz U. 9-11
1840 Budapest V.
Hungary
Tel.: and fax: 11-75-255

**ბ. ამოცანები**

- მომძაფებული განვითარების ზეწოლის ხელახლა არა-ისტორიული სექტორისაკენ მიმართვა.
- ქალაქში მიზიდულების ახალი ცენტრის შექმნა.
- ისტორიული რაიონების გადამეტებული ექსპლოატაციისგან თავის არიდება.

**გ. კონტექსტი**

აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები აიძულებენ დამპროექტებლებს და გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელთ, ახლად გაიაზრონ დიდი ურბანული ცენტრების როლი. ისინი ახლა სხვაგვარად იზიდავენ თავისსა თუ უცხოელ ინვესტორებს, რის გამოც, საფიქრებელია ახლებური განვითარება ძირითადად ქალაქთა ისტორიულ ბირთვზე მოახდენს ზემოქმედებას, მეტადრე რაც ტურიზმთან დაკავშირებულ საქმიანობას შეეხება (ახალი სასტუმროების, მაღაზიების, რესტორნების გაჩენა).

ბუდაპეშტის აქტიური ცენტრი ორ ნაწილადაა გაყოფილი და მდინარე დუნაის გაღმა-გამოღმაა განლაგებული. ბუდას ციხესიმაგრის რაიონი, აგებული მთის შვერილზე და ზღუდით გარშემორტყმული, წარმოადგენს მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავ ადგილს და არის როგორც ინსტიტუციური, ისე საცხოვრებელი ცენტრი. იქ მხოლოდ რამდენიმე კომერციული და ტურისტული დაწესებულებაა, ძირითადად კი ეს ლამაზი და ჰარმონიულად შერწყმული, კარგად რესტავრირებული და კარგად

დაცული შენობების ერთობლიობაა.

პეშტი, განლაგებული მდინარის მეორე მხარეს, უფრო აქტიური საქმიანი ცენტრია ბევრი ოფისითა და სასტუმროთი.

მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შესული მდინარე დუნაის ნაპირებიც. სანაპიროების გასწვრის ზედმეტად დიდი შენობების, ძირითადად კი სასტუმროების აგებამ შეცვალა ისტორიული გარემოს სახე, რომელიც ერთერთი ულამაზესი იყო მთელ მსოფლიოში.

უზომოდ დიდმა შენობებმა, რომლებიც სრულიად შეუთავსებელია ქალაქის არქიტექტურულ ქსოვილს და ცუდად ეთვისება მის ქუჩებს, სახე უცვალა მდინარე დუნაის სანაპიროებს და გალავნად აღიმართა პეშტის ძველი კვარტალების წინ.

**დ. მიდგომა**

ახალი განვითარებისათვის ყველაზე მომხიბვლელი ადგილი, რა თქმა უნდა, დუნაის ნაპირებია. ახალი ეკონომიკური ძალებისათვის სადავეების ჩაბარებამ, შესაძლოა, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ისტორიულ ლანდშაფტს.

უპირველეს ყოვლისა, ბუდას ძველ ტერიტორიას, რომელიც აუცილებლად დაცული უნდა იყოს მისი თავდაპირველი ფუნქციით, როგორც საცხოვრებელი რაიონი, არ ძალუძს დაიტიოს კომერციული თუ ფართო მასშტაბიანი პროექტები. მიუხედავად იმისა, რომ აქ სასტუმრო ჰილტონის ინტეგრაცია წარმატებული აღმოჩნდა, სხვა მსგავსი ადგილი ფაქტიურად არ მოიპოვება. სულ ბევრი, რაც შეიძლება გაკეთდეს, არის პატარა მაღაზიების განთავსება ზოგიერთი შენობების პირველ სართულზე. მთის ქანობზე მოზღუდული უბნის მიმდებარე განაშენიანებამაც კი უნდა შეინარჩუნოს თავისი ფუნქციები და ძირითადი მახასიათებლები. ამ მხრივ მოსახლეობა დიდ სიფრთხილეს იჩენს.

მიუხედავად იმისა, რომ პეშტის ძველ ცენტრს და მდინარის ნაპირს მეტი პოტენციალი გააჩნიათ, რადგან მათ უკვე აქვთ აქტიური სავაჭრო ფუნქცია, აქაც განხორციელდა დაგეგმარების ცდა, რაც მიზნად ისახავს მის გამოცოცხლებას, თუმცა, ამავე დროს, გათვალისწინებულია ძველი ხასიათის შენარჩუნება. უკვე ჩატარდა ლამაზი შენობების და შესანიშნავი მოედნების რესტავრაცია. კარგად დაგეგმილი საფეხმავლო ზონა უკვე გახდა ქალაქის აქტიური ცხოვრების ცენტრი. ქალაქის ამ ნაწილს დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ აუცილებელია მკაცრი კონტროლი.

მუნიციპალური ხელმძღვანელობა განიხილავს მეორე ცენტრის შექმნის საკითხს კუნძულ ცეპელზე, დუნაიზე, სამხრეთით ერთი კილომეტრის მოშორებით. უკვე არსებობს ოფისების და სასტუმროების აშენების მწვავე აუცილებლობა. მისი ადგილმდებარეობის და სილამაზის გათვალისწინებით, საფიქრებელია, რომ ქალაქი ბუდაპეშტი გახდება პოპულარული ტურისტული ცენტრი როგორც საქმიანი, ისე კულტურული საქმიანობისთვის. დაგეგმილია 15,000-ზე მეტი სასტუმროს ნომრის დამატება.

ახალი ცენტრი ერთიანად დაიგეგმება და რეკლამის სპეციალისტთა ყურადღების მისაპყრობად, 1995 წელს, ვენასთან თანადროულად, იგი იქნება მსოფლიო გამოფენის ჩატარების ადგილი. ვიმედოვნებთ, რომ მსგავსად დეფანსის რაიონისა პარიზში, ეს ახალი ცენტრიც შეამცირებს ზეწოლას ძველ რაიონებში, რითიც წინ აღუდგება ზედმეტად რადიკალურ ცვლილებებს.

## Გ. 1. 5. ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ

**სალამანკა, ესპანეთი**

**მნიშვნელოვანი საუნივერსიტეტო ფუნქციის არსებობა**

**ა. წინაპირობები**

**4. ისტორია**

სალამანკას ძველი ქალაქი უკვე 2000 წლის ისტორიის მოწამეა. დღემდე შემორჩენილია ისტორიის მრავალი მანიშნი, მათ შორის რომაული ხიდი, XII საუკუნის საკათედრო და სან მარკოს ტაძარები, XVI საუკუნის სალინა და მონტერეის სასახლეები და პლაზა (მთავარი საბაზრო მოედანი) (1729-1755), მხატვრულად ყველაზე დასრულებული ესპანური ბაროკოს მოედნებს შორის. უნივერსიტეტის და მისი გუთური, აღორძინების ხანის და ბაროკოს სტილის ნაგებობების წყალობით, ეს ქალაქი, ქრისტიანულ სამყაროში ოქსფორდისა და კემბრიჯის მსგავსად, საუნივერსიტეტო ქალაქის ერთი უპირველეს ნიმუშთაგანია.

**5. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

ნომინაციას იკომოს-მა მხარი I კრიტერიუმი საფუძველზე დაუჭირა (მთავარი საბაზრო მოედნის, პლაზას გათვალისწინებით, რომელიც წარმოადგენს ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან ურბანულ ანსამბლს XVIII საუკუნის ევროპაში); ასევე II კრიტერიუმის (როგორც "churrigueresque" სტილის განვითარების და გავრცელების ცენტრს, რაც მნიშვნელოვანია როგორც იბერიის ნახევარკუნძულის, ისე სამხრეთ ამერიკისათვის); და IV კრიტერიუმის ერთიანობა და ხარისხი შენობებისა, სადაც უნივერსიტეტია განლაგებული და უნივერსიტეტის მრავალგვარი ფუნქციები ქრისტიანულ სამყაროში) საფუძველზე.

სალამანკა მსოფლიო მემკვიდრეობის სიას 1988 წელს შეემატა.

**6. კონტაქტი**

Don Alberto Lopez Asenjo
Municipal architect
Ayuntamiento
de Salamanca
Salamanca, Spain
Tel.: 26 31 61

**ბ. ამოცანები**

ინსტიტუციური ფუნქციის თვალსაზრისით, ისტორიული რაიონის გენგეგმა ისახავს შემდეგ ამოცანებს:

- ქალაქის შუაგულში წარმომადგენლობითი დაწესებულებების შენარჩუნება;
- საზოგადოებრივი საქმიანობის განვითარება და გაფართოება;
- ძალზე მნიშვნელოვანი შენობების რეაბილიტაცია გამოყენებულ იქნას მათში ინსტიტუციების განსათავსებლად;
- ინსტიტუციური მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა ფუნქციათა გათიშვისა და რევიტალიზაციის პოტენციალის შეზღუდვის თავიდან არიდებით;
- ნაკვეთის შიგნით ინსტიტუციური შენობების გაფართოვების ნების დართვა, თუ ძირითადი ფუნქცია ახალ ნაგებობაზე გადადის;
- ინსტიტუციურ გამოყენებასთან დაკავშირებული ბინების მოწყობის ხელშეწყობა.

**გ. კონტექსტი**

*უნივერსიტეტის დაარსება და მისი მნიშვნელობა*

ქალაქ სალამანკასათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, მისი საერთაშორისო პოპულარობის და ძეგლების სიმრავლის თვალსაზრისით, იყო 1218 წელს ლეონის მეფე ალფონსო IX მიერ ესკუელას სალამანტინას (Escuelas Salamantinas - ზოგადი სწავლება) დაარსება. რამდენიმე წლის შემდეგ ალფონსო X-ის მიერ იგი უნივერსიტეტად იქნა გადაკეთებული. უნივერსიტეტი დღესაც ფუნქციონირებს. იგი არის ესპანეთის უძველესი და ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტი და ევროპაშიც ერთი უძველესთაგანია. დღევანდლამდე სალამანკას ისტორია, განვითარება და ქალაქური აქტივობა მჭიდროდაა დაკავშირებული უნივერსიტეტის ცხოვრებასთან. უნივერსიტეტის ყველაზე წარმატებული პერიოდები ემთხვევა ქალაქის აყვავების ხანას, და პირიქით. გარდა ძველი რომის დროის ნაგებობებისა, სწორედ ასეთ პერიოდებშია იყო აგებული ქალაქის ყველაზე ცნობილი ძეგლები. უნივერსიტეტის არსებობას უნდა ვუმადლოდეთ იმასაც, რომ სალამანკამ მოიპოვა საერთაშორისო პოპულარობა, როგორც საგანმანათლებლო კერამ.

*სალამანკას ოქროს ხანა*

უნივერსიტეტის ოქროს ხანა XV საუკუნის ბოლოდან XVII საუკუნის დასაწყისამდე გრძელდებოდა. იმ დროს სალამანკა იყო ერთერთი ყველაზე სასახელო საგანმანათლებლო კერა ევროპაში და უმთავრესი ესპანეთის უზარმაზარ იმპერიაში. ამერიკის პირველი უნივერსიტეტების დაარსებისასას მათთვის სანიმუშო სალამანკას უნივერსიტეტი იყო და მათ დახმარებაც გაუწია, რითაც ალმა მატერის სახელი მოიპოვა. სალამანკას უნივერსიტეტის მოღვაწეობის ინტენსივობა დღესაც გაკვირვებას იწვევს. მაგალითად, 1586-1587 აკადემიურ წლებში წელიწადში მიღებულ სტუდენტთა რაოდენობა უდრიდა 6,762, ქალაქის მთელი მოსახლეობა კი შეადგენდა 20,000 ადამიანს, რომელთა უმეტესობამ წერა-კითხვა არ

იცოდა. სალამანკა განათლების პირველხარისხოვანი კერა იყო.

უნივერსიტეტი ურბანული განვითარების მატების ფეხდაფეხ იზრდებოდა. იმ ხანაში ბევრი შენობა აღიმართა და თუმცა ბევრი მათგანი განადგურდა კიდეც, ზოგი დღესაც დგას. მათ შორისაა უნივერსიტეტი; ესკუელას მენორესის პატიო (შიდა ეზო); ახალი საკათედრო ტაძარი; სან ესტებანი; მონტერეის, სალინას და ორელანას სასახლეები; ესკუელა მაიორი, მაგ., კოლეგიო დე ფონსეკა; კასა დე ლას კონხას; კასა დე ლას მუერტეს; აგრეთვე ლას ურსულას და ლას დუენას მონასტრები.

*უნივერსიტეტის დაკნინება*

XVII საუკუნეში უნივერსიტეტის და ურბანული განვითარების დაკნინებას დაახლოვებით XVIII საუკუნის შუა ხანაში უნივერსიტეტის აღორძინება მოყვა. ამან არქიტექტურის განახლებაც მოიტანა და მთელი რიგი შენობების აგებაც. მათ შორის ყველაზე ღირსშესანიშნავია პლაზა მაიორი, კასა დე ანაია, კალატრავას კოლეჯი და ვერა კრუზის ეკლესია. XVIII საუკუნის ბოლოს მთელი ეს ანსამბლი არაჩვეულებრივი სანახავი უნდა ყოფილიყო.

ომმა დამოუკიდებლობისათვის, ან როგორც მას ინგლისელები უწოდებენ, პირენეის ნახევარკუნძულის ომმა დიდად დააზარალა ქალაქი სალამანკა – ის იმ გზაზე ძევს, რომლითაც ფრანგები მიეშურებოდნენ პორტუგალიის დასაპყრობლად. ამის შედეგად გაიმართა სალამანკას ბრძოლა, ან ლოს არაპილეს ბრძოლა სალამანკას მახლობლად, სადაც ფრანგები დამარცხდნენ და დაკარგეს კონტროლი მდინარე დუეროს ხეობაზე. უკან დახევამდე მათ დაიკავეს ქალაქი და თავდაცვის გასამაგრებლად დაანგრიეს ძეგლები და აქედან აღებული საშენი მასალა მოიხმარეს. ზოგი სხვაძეგლიც ძლიერ დაზიანდა და შემდგომ უყურადღებობის გამო განადგურდა. ამ უბედურებას დაემატა ეკლესიის ქონების გაუფასურება, რის გამოც მიტოვებულ იქნა ბევრი მონასტერი და საეკლესიო გაერთიანება. ზოგი სხვა მიზნებით იყო გამოყენებული, რაც კიდევ უფრო მეტად აუარესებდა მათ მდგომარეობას, ზოგიც კი მიტოვებული იყო. ყველა ამ ფაქტორმა ერთად სალამანკას მონუმენტურ ანსამბლს აუნაზღაურებელი დანაკარგები მოუტანა. უფრო მეტიც, უნივერსიტეტის ხანგრძლივ ისტორიაში ეს იყო ყველაზე მძიმე პერიოდი, როდესაც იგი თითქმის განადგურდა. 1866-1867 წლებში სტუდენტთა რაოდენობა 322-მდე დაეცა, ხოლო ქალაქის მოსახლეობა არ აღემატებოდა 15,187 ადამიანს.

*უნივერსიტეტი და ურბანული განახლება*

XX საუკუნემ ახალი სიცოცხლე უნივერსიტეტს შთაბერა და, ამასთან ერთად, ურბანული განახლებაც გამოიწვია. სტუდენტთა რაოდენობამ უნივერსიტეტში 25,000-ს მიაღწია, ხოლო ქალაქის მოსახლეობა დაახლოვებით 170,000 ადამიანს შეადგენდა. გამოცოცხლება ძირითადად განპირობებული იყო ისეთი პროფესორების (აქ ეს ძალიან პრესტიჟული წოდებაა) ჩამოსვლით, როგორიც იყვნენ დორადო მონტერო და განსაკუთრებით, მიგელ დე უნამუნო. სხვა ფაქტორები იყო 1940 წელს სალამანკას პაპის უნივერსიტეტის დაარსება და ესპანურ საზოგადოებაში უმაღლესი განათლების მიმართ მოთხოვნილების ზრდა. ამის კვალად, მუდმივ ფართოვდებოდა უნივერსიტეტის ფუნქციები, რაც აისახა როგორც გაზრდილ ეკონომიკურ აქტივობაში, ისე მოსახლეობის მომატებაში, რომლის რიცხვმა გადააჭარბა მეზობელი პროვინციების იმ მთავარი ქალაქებსას, სადაც არ აქვთ უნივერსიტეტი. ნათელია, რომ უნივერსიტეტის გარეშე სალამანკას მოსახლეობა იქნებოდა იმის ნახევარი, რაც ეხლა არის.

**დ. მიდგომა**

ურბანულ სტრუქტურაში ორი უნივერსიტეტის არსებობა, უდავოდ, არსებითია ქალაქის ცხოვრებისათვის. ისინი უდიდეს ზეგავლენას ახდენენ ქალაქის ორგანიზაციაზე. მათი არსებობა ყველაფერში იგრძნობა. ქუჩაში მოსიარულე ხალხი, მაღაზიებში გაჩაღებული ვაჭრობა, კულტურის მოვლენები, მდიდარი უზეუმების, დიდი ბიბლიოთეკები და სხვა ასახავს უნივერსიტეტის ცხოვრების განსაკუთრებულ მახასიათებლებს. ეს სხვაგვარი ურბანული გარემოა, რომლის ატმოსფერო ისევე დასაცავია, როგორც სხვა დიდ საუნივერსიტეტო ქალაქებისა მაგ., იელის, ოქსფორდის, კემბრიჯის, ბერკლის და ა.შ..

XIX საუკუნეში უნივერსიტეტის ქმედითობის დაქვეითების შედეგად სალამანკა დიდი გაჭირვებაში ჩავარდა. ახლა ის ცდილობს არ დაუშვას ხელმეორე დაკნინება და ამიტომ პრიორიტეტს ამ ფუნქციის გაძლიერებას ანიჭებს. თუ მათ გადარჩენა უწერიათ, ეს დაწესებულებები მეტად და ახლებურად არის აღსაჭურვი.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარი საქმიანობა მხოლოდ ისტორიული რაიონით ვერ შემოისაზღვრება, ყველა პირობა არსებობს საიმისოდ, რათა ის უფართოესად გაიშალოს: სპორტული დარბაზები, ახალი სამეცნიერო ფაკულტეტები და სხვა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საცხოვრებლებს. უნივერსიტეტის გარშემო სტუდენტებისა და პროფესორებისათვის არაერთი სახლი აშენდა. ბინებზე მოთხოვნილების ზრდამ ქალაქს მისცა საშუალება ის საცხოვრებელი სექტორები აღედგინა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში შეუკეთებელი

იყო. გარდა ამისა, სალამანკას პაპის უნივერსიტეტში საცხოვრებლად გამოყენებულია ისეთი დაწესებულების შენობები, როგორიცაა კოლეგიო მაიორ გვადელუპე.

ასეთი მიდგომისას შესაძლებელი გახდება უნივერსიტეტის ფუნქციების კვლავ განვითარება, რაც ასე მნიშვნელოვანია სალამანკას ურბანული სიცოცხლისუნარიანობისათვის. ამავე დროს, დაცული იქნება ქალაქის ფასდაუდებელი მემკვიდრეობაც.

ფუნქცია, რომელსაც განვითარების უნარი აქვს, ცოცხალი ფუნქციაა. ქალაქი მუზეუმი არ არის.

წყაროები:
ტექსტი გადმოღებულია *Salamanca Monumental, Patrimonio de la Humanidad,* Ayuntamiento de Sala-manca.

*Plan Especial de Protección y Reforma Interior del Recinto Universitario y Zona Histórico-Artistíca,* Instituto del Territorio y Urbanismo. MOPU. Ayuntamiento de Salamanca, 1984, p. 103.

## 2. საზოგადოებრივი ამოცანების განხორციელება

### *შესავალი*

სამოსახლოს ერთობას მოქალაქენი მთელ რიგ მნიშვნელოვან მოვალეობებს აკისრებენ, რომლებმაც შეიძლება მოიცვას ტრანსპორტის, ჰიგიენის, დაბინავებისა და სოციალური სამსახურების სფეროები. სამოსახლო ერთობას შეუძლია წაახალისოს იმგვარი განვითარება, რაც დაეხმარება სათანადო ფინანსური ბაზის შექმნას სასურველი მოღვაწეობისა და დასაქმების შესაფერისი დონის არსებობისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიულ ქალაქებში სამოსახლოს მემკვიდრეობის დაცვა არ უნდა ხდებოდეს ამ სფეროების მიზნების ხარჯზე. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ აუცილებელი არ არის ამ მიზნებს ჰქონდეთ უპირატესი მნიშვნელობა, ვიდრე კონსერვაციის ამოცანებს.

მიიღო „კონსერვაციის ინტეგრირებული მიდგომა“ ნიშნავს იმთავითვე აღიარო, თუ რა ფარგლებშია შესაძლებელი კონსერვაციის და საზოგადოების სხვა სოციალური, კულტურული და ეკონომიკური მიზნები ეხმარებოდნენ ერთმანეთს. ეს აგრეთვე გულისხმობს იმ ხარისხს, რომლითაც შეუძლიათ კონსერვაციისა და სხვა სახის პროგრამებს გამოიყენონ მაჩვენებლები, სადაც იკვეთება სოციალური, კულტურული და ეკონომიკური სფეროს ფართო სპექტრი, თუ მათი ეფექტიურობა მთლიანად გაზომილ და გაუმჯობულ უნდა იქნეს.

მიუხედავად იმისა, რომ კულტურული და სოციალური სარგებლიანობა ძნელად თუ დაიყვანება რაოდენობამდე და ვერც იმ სიზუსტით, როგორც ფინანსური ასპექტები, მაინც ძალზე მნიშვნელოვანია ამ რაოდენობრივი ერთეულების შეძლებისდაგვარად გულდასმით აღწერა. ბოლო წლებში ეკონომისტებმა დაიწყეს მემკვიდრეობის კონსერვაციიდან მიღებული მოგების რაოდენობრივი დაანგარიშება, ისევე როგორც ეს კეთდება სხვა სოციალური პროგრამების შემთხვევაში. მხოლოდ ახლა იწყება მათი გამოცდილების და ცალკეული შემთხვევების ანალიზის საფუძველზე სასარგებლო შესადარებელი სტრატეგიების ეტალონების შემუშავება.

მსგავსადვე, შესაძლებელია განისაზღვროს კონსერვაციის პროგრამისათვის ინტერესთა ფინანსური მაჩვენებლების დიდი რაოდენობა, მათ შორის საცხოვრებელი და კომერციული მიზნებით გასაქირავებელი ფართის ფასები, ქონების რეაბილიტაციაზე და შეკეთებაზე წლიური დანახარჯი და მუნიციპალური საგადასახადო ბაზა.

ურბანულ ცენტრებში, მოსახლეობის არასტაბილურობა, ყავლგასული ინდუსტრია, მოშლილი მუნიციპალური ინფრასტრუქტურა, სურვილი, მანქანები ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს (ძირითადად ფეხით მოსიარულეების ხარჯზე), ძველი საცხოვრებელი და კომერციული რაიონების ჯენტრიფიკაცია და ტურიზმის უკონტროლო ზრდა მხოლოდ ნაწილა იმ დამაბრკოლებელი ტენდენციებისა, რომელთა პირობებში უნდა განხორციელდეს კონსერვაციის პოლიტიკა.

### *2. 1. ბინათმოწყობა/საცხოვრისი*

ისტორიულ ქალაქებში საცხოვრებელი სახლები წარმოადგენს განსაკუთრებულ პრობლემას. ეს სახლები ხშირად არ შეესაბამებიან სივრცის, უსაფრთხოების, სიმყარის, ან სანიტარიული ნორმების თანამედროვე სტანდარტებს, ხოლო მათმა შეკეთებამ, ადვილად შესაძლებელია, გამოიწვიოს ისტორიული თვისებების განადგურება. თუ მოსახლეობას არ შეუძლია დაფაროს მოდერნიზაციის სამუშაოებისათვის

საჭირო ხარჯები, ამან შეიძლება გამოიწვიოს მათი გასახლება, რაც, თავის მხრივ, ხდება რაიონის სოციალური სტრუქტურის რღვევის მიზეზი. ეს მოვლენა, ცნობილი „ჯენტრიფიკაციის“ სახელწოდებით, ისევე შეიძლება დასანანი იყოს, როგორც ფიზიკური ფორმებისა და დეტალების განადგურება, ან მის აღსადგენად ახალი მასალების და სისტემების შემოტანა.

ამ უმთავრესი პრობლემების საპასუხოდ ისტორიულ ქალაქებში არაერთი წარმატებული მიდგომა იქნა შემუშავებული:

- ტექნოლოგიურმა წინსვლამ შესაძლებელი გახადა დანესტიანების და სხვა არაჯამრთელი მდგომარეობის გაკონტროლება; მაგალითად, დანესტიანებული კედლები შეიძლება მოვაშოროთ ნიადაგში სისველის წყაროს წყალგაუმტარი შრის ჩაყოლებით; პატარა ბინები გაერთიანდა უფრო დიდი და კეთილმოწყობილი ერთეულების შესაქმნელად ისე, რომ ექსტერიერს რაიმე ზიანი არ მისდგომია;
- სუბსიდიებმა თანამდებობის პირთაგან შესაძლებელი გახადა საბინაო მშენებლობის დამატებითი ხარჯები საზოგადოებრივ ხაზინას დაეფარა;
- მოქალაქეებს შეთავაზეს ჩამოეყალიბებინათ კოოპერატივები (ამხანაგობები) და გამხდარიყვნენ თავისი საკუთარი ქონების მფლობელები, სესხის შეღავათიანი პროცენტით და ამოგების ვადით.

## კონკრეტული შემთხვევების ანალიზი

## გ. 2. 1. ბინათმოწყობა

**სტამბული, თურქეთი**

**ოტომანთა პერიოდის ძველი ხის სახლების**
**აღდგენა სულეიმანის და ზერეკის რაიონებში**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

სტამბული, გაშენებული ორი კონტინენტის გზაჯვარედინზე, ჯერ იყო აღმოსავლეთ რომის იმპერიის, შემდეგ ბიზანტიის იმპერიის და, ბოლოს, ოტომანთა იმპერიის დედაქალაქი. XX საუკუნემდე იგი მუდამ ევროპისა და აზიის უმთავრეს პოლიტიკურ, რელიგიურ და ხელოვნების ისტორიის მოვლენებთან იყო დაკავშირებული.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

იკომოს-ის მკაცრი ხასიათიდან გამომდინარე, ნომინაცია შემოიფარგლა ოთხი განსაკუთრებით საინტერესო ზონით, სადაც აშკარაა ურბანული ქსოვილის ბოლო დროს გაუარესებული მდგომარეობაც და საფრთხეც, რომელიც მას სამომავლოდ ემუქრება. ნომინაციაში შევიდა ნახევარკუნძულის ზედა ნაწილში 1953/56 წლებში დაარსებული არქეოლოგიური პარკი, სულეიმანის კვარტალი, ზეირეკის კვარტალი და ბასტიონის ზონა. შერჩეული რაიონები ასახავს ქალაქის ისტორიის ძირითად ფაზებს:

- ძველი ქალაქი და აღმოსავლეთ რომის იმპერიის დედაქალაქი (კონსტანტინოპოლი) წარმოდგენილია კონსტანტინეს იპოდრომით (ჩვ.წ. 324), ვალენტის აკვედუკებით (ჩვ.წ. 378) და ბასტიონით, რომლის მშენებლობა ჩვ.წ. 413 წელს დაიწყო.
- ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი წარმოჩენილია წმ. სოფიას და წმ. ირინეს ეკლესიებით, რომლებიც აშენდა იუსტინიანეს მმართველობის ხანაში (ჩვ.წ. 527-565), იოანე II კომნენოსის მმართველობის პერიოდში დაარსებული პანტოკრატორის მონასტრით და მაცხოვრის ეკლესიით ქორაში (კახრიე ჯამი), XIV და XV საუკუნეების მოზაიკებით.
- ოტომანების იმპერიის დედაქალაქს წარმოადგენს ტოპკაპი სარაი და ცისფერი მეჩეთი, შეჰზადეს და სულეიმანის მეჩეთი, ისევე როგორც მიმდებარე რაიონის ხალხური მშენებლობის შემორჩენილი კვალი, რომელიც შეიცავს 525 სიაში შეტანილ ხის სახლს.

სტამბული ნომინირებული იყო მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად 1985 წელს, I, II, III და IV კრიტერიუმების საფუძველზე.

**3.კონტაქტი**

Mr. Biltin Toker
Advisor to the Mayor
Greater Istanbul Municipality
Sarachane, Istanbul
Turkey
Tel.: 528-2657
Fax: 522-1755

**ბ. ამოცანები**

- ამ რაიონებში საცხოვრებელი პირობების ზოგადი გაუმჯობესება;
- უბანში დარჩენილი მოსახლეობის ადგილზე შენარჩუნება;
- იმ ძველი ტიპიური და უნიკალური შენობების რესტავრაცია და აღდგენა, რომელთა გამო ეს რაიონები შევიდა მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში.

**გ. კონტექსტი**

ზეირეკის რაიონში შემორჩენილია ოტომანების ხანის დაახლოვებით 525 ხის სახლი, რომლებიც შესულია სიაში და დაცული.

ეს ხალხური ყაიდის სახლები წარმოადგენს ოტომანების ცივილიზაციის უნიკალურ მოწმეს ერთ დროს ძალზე მოსაწონ უბანში. დღეს ეს სახლები, თუმცა ჯერაც დასახლებული, წარმოადგენენ პრაქტიკულად გადაუჭრელ საკონსერვაციო და სარესტავრაციო პრობლემას:

- კონსტრუქციული პრობლემები
- გამოფიტული მასალა
- ხის კედლები, რომელთა აღდგენა შეუძლებელია
- ადაპტაციის, თანამედროვე კეთილმოწყობის განთავსების პრობლება
- იქაური მაცხოვრებლების გასახლება

**დ. მიდგომა**

რაიმე გადაწყვეტილების შემოთავაზებაზე უფრო მეტად, ამ კონკრეტული შემთხვევის შესწავლის მიზანია ნათელი მოჰფინოს საერთაშორისო ქარტიების მიერ წამოყენებულ კონსერვაციის პრინციპებთან დაკავშირებულ მთელ რიგ სიძნელეებს.

- ყველა სახლი სიაში შეტანილია და დაცულია; ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან და უნიკალურ მსოფლიო მემკვიდრეობას;
- იქ დაახლოვებით 525 სახლია; შესაძლებელი იქნება ყველა მათგანის შენარჩუნება და კონსერვაცია? რატომ არ შევარჩიოთ ყველაზე ტიპიური ნიმუშები? რამდენია ასეთი?
- იქ მცხოვრები მოსახლეობა უკეთეს საბინაო პირობებს იმსახურებს.
- თუ ზოგიერთი მათგანი დაინგრევა, რა აშენდება მათ ადგილას? მათი ზუსტი გამეორება თუ თავისუფალი სტილის შენობები, როგორც ეს მოხდა წმ. სოფიოს ბაზილიკის უკან მდებარე ტურისტულ ქუჩაზე?
- ამ კონკრეტულ შემთხვევაში ძნელია გამოიყენო ყოვლისმომცველი რესტავრაციის ჩვეულებრივი მეთოდები. საჭირო გახდება რესტავრაცია და ხელახალი აშენება, რაც გამოიწვევს ავთენტურობის დაკარგვას, თუნდაც შესაძლებელი იყოს ზოგადი ხასიათის შენარჩუნება. შეუძლებელია 525 მუზეუმის შექმნა.

წმ. სოფიოს ბაზილიკის უკან მდებარე ქუჩა მთლიანად განახლდა. ოტომანების პერიოდის უმეტესი სახლები სასტუმროებად და რესტორნებად გადაკეთდა. არქიტექტურის დამახასიათებელი ნიშნები კოპირებული იყო, მაგრამ გამოყენებული იყო სრულიად ახალი მოსაპირკეთებელი მასალა. მიუხედავად უზარმაზარი კომერციული და ტურისტული წარმატებისა, კრიტიკა გამოითქვა პროექტის მისამართით, რომლის მთავარი არგუმენტი იყო ტურიზმის ამოცანების მიმართ გამოჩენილი ზედმეტი შემწყნარებლობა და ძალზე დიდ დათმობებზე წასვლა.

# გ. 2. 1. ბინათმოწყობა

**ტუნისის მედინა, ტუნისი**

**ჰაფნიას კვარტალის განახლებისადმი ინტეგრირებული მიდგომა**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

ტუნისის მედინა (ტრადიციული ისლამური ქალაქი) არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დაახლოვებით 15 მსგავს ოლქსა თუ ქალაქს შორის, რომლებიც ნომინირებულია მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად. მიმოსავლელი სივრცეების გამოკვეთილი და რთული ქსელი და არქიტექტურული ფორმები წარმოადგენს ამ კონკრეტულ ადგილზე 1000 წელზე მეტი დროის მანძილზე მიმდინარე ევოლუციური პროცესის შედეგს.

XIX საუკუნის ბოლოს კოლონიალური პერიოდის დადგომამ და ქალაქის ორგანიზაციის ევროპული მოდელების გაცნობამ შეცვალა განვითარების ისტორიული სტრუქტურა; როდესაც ქალაქის ფუნქციურმა ცენტრმა სხვა რაიონში გადაინაცვლა, მედინა მიტოვებული აღმოჩნდა და დაიწყო მისი დაკნინების ნელი პროცესი. მისი სივრცეების და მოძრაობის ტრადიციული იერარქიის ღირსება დიდწილად ვერ იქნა ამოცნობილი. მედინას ტერიტორიაზე მდებარეობს 58 კლასიფიცირებული ძეგლი (და კიდევ 700 იმსახურებს კლასიფიკაციას). და მაინც, ანსამბლის ჭეშმარიტი ფასეულობა მისი ურბანული ქსოვილის და ურთიერთდაკავშირებული სივრცეების ინტეგრირებულობაში ძევს.

უკვე XX საუკუნის დასაწყისში, 1939 წლიდან მოყოლებული, მედინას დეგრადაციის სოციალური და განვითარებისმიერი მიზეზები ოფიციალურად იყო აღიარებული და მის პრობლემებს არაერთი კონფერენცია მიეძღვნა.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

1979 წელს ტუნისის მედინა შეტანილი იყო მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში ნიშნად მადლიერებისა, როგორც მისი განსაკუთრებული თვისებებისათვის, ასევე მის დასაცავად ადგილობრივი ძალების მტკიცე ძალისხმევისათვის.

**3. დაკავშირება**

The Association for the
Conservation of the Medina
33, rue Tourbet El Bey
1008 Tunis, Tunisia
Tel.: 216.1.563.618; 216.1.560.896

**ბ. ამოცანები**

- სერიოზულად დაზიანებული ურბანული კვარტალის რეაბილიტაცია, კონსერვაციისა და სოციალურ-ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის მიზნების ერთიანი განხორციელებით;
- პროექტის შედგენისადმი ინტეგრირებული კონსერვაციის მიდგომა, საზოგადოების და კერძო პირების, ყველა დონის მთავრობის, ფინანსური წრეების და მოქალაქეების მოზიდვით.

**გ. კონტექსტი**

ეს კვარტალი, ერთ დროს ქალაქის ებრაელი მოსახლეობით დასახლებული, 1930-იან წლებიდან მიტოვებულია. რაიონის ადგილობრივი მოსახლეობა გადავიდა უფრო ჯანმრთელ ბინებში ქალაქის ევროპულ ნაწილში, ადგილზე კი ღარიბები და სოფლიდან ჩამოსახლებულნი დარჩნენ. 1933 წელს ეს მიდამო საცხოვრებლად უვარგისად გამოცხადდა; იმ დროს ბევრს ჩამოერთვა თავისი საკუთრება, ჩატარდა დასუფთავების სამუშაოები. ბევრი შენობა საცხოვრებლად სახიფათო გახდა, ბევრიც დაინგრა.

პროექტის მიზანი იყო შეეჩერებინა მზარდი დეგრადაცია კვარტალის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ცხოვრების რეაბილიტაციის გზით. გამიზნული იყო, რომ ცვლილებები შეტანილი ურბანული ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად, თანაბრად შეეხებოდა ისტორიულ ურბანულ ქსელს და განსაკუთრებულ მორფოლოგიას, რასაც ანიჭებდა მას მოსახლეობა, რომელმაც იგი დატოვა.

დეგრადაციის ხარისხი, რაც ამ კვარტალმა განიცადა, შესაძლოა მსოფლიოს რომელიმე რეგიონში გამხდარიყო „ურბანული განახლების“ მიზეზი. მაშინ, როდესაც დაცარიელებულ ადგილებზე ხელახალი მშენებლობის აუცილებლობა აშკარა იყო, სასურველი გახდა ისეთი მიდგომის განხორციელება, რომელიც გაითვალსიწნებდა მედინის არსებრივ ხასიათს და ახლის შემუშავებას ძველ ფორმებსა და მათ შეფარდებებს დაემყარებოდა..

**დ. მიდგომა**

1974-78 წლებში წარმოებულმა აღდგენის და მშენებლობის პირველმა ფაზამ კვარტალს დიდი სიკეთე მოუტანა. 1981 წელს იგი გახდა კონსერვაციისა და რესტრუქტურიზაციის პროექტის ობიექტი, რომელშიც გაერთიანებული იყო ფიზიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები.

პირველად ერთმანეთს შეხვდნენ წამყვანი საზოგადოებრივი და კერძო პარტნიორები და განსაზღვრეს ყოველი მათგანის შესაძლებლობების შესაფერისი როლები. პარტნიორებს შორის იყვნენ ურბანული რეაბილიტაციისა და განახლების სააგენტო, რომელიც უძღვებოდა პროექტს, თავად მუნიციპალიტეტი, საზოგადოებრივი სამუშაოების სამინისტრო, ადგილობრივი ბანკი და მედინას კონსერვაციის ასოციაცია. სახელმწიფოს პირდაპირი ჩართვა უფლებას იძლეოდა უშუალო მონაწილეობა მიეღოთ დანგრევისა და დასუფთავების სამუშაოებში; საბანკო სისტემის თანამშრომლობა მუნიციპალიტეტთან საშუალებას იძლეოდა გაეცათ სესხები და საგადასახადო შეღავათი.

ფინანსური მსარდაჭერის შედეგად, დაისახა რეაბილიტაციის და განვითარების მთელი რიგი საკვანძო პროექტების განხორციელება. აღდგენილ იქნა 3 საცხოვრებელი კვარტალი და ერთი პატარა კომერციული ცენტრი. ამან გააღვივა ნდობა, შესაძლებელი გახდა ადგილზე მყოფთა დროებითი გადასახადები, გააუმჯობესა კვარტალის კეთილმოწყობა და უზრუნველყო ნაღდი ფულის დინება პროექტის სპეციალურ ანგარიშზე.

მრავალი სამუშაო შესრულდა მსოფლიო ბანკის დახმარებით და ტუნისის მთავრობის პირდაპირი სუბსიდიებით.

მუშაობის დროს წარმოქმნილ დაბრკოლებებს შორის ქირის გადასახადი და მაცხოვრებლების უფლებები საკუთრების განკარგვისა. ეს წინააღმდეგობები ზღუდავდა პროექტის ელასტიურობას და თანხებს საჭირის, რათა მფლობელებს მხარი დაეჭირათ სასურველი სამუშაოებისათვის.

და მაინც, კვარტალის და მისი ფიზიკური და სოციალურ-ეკონომიკური გარემოს რეაბილიტაცია მიღწეული იყო. აღდგენილი იყო 9200 კვ.მ. მეტი საცხოვრებელი ფართი; აშენდა 400 მეტი ბინა.

*დასახული იყო მთელი რიგი კულტურული ამოცანებისა:*

- რაიონის ძეგლების დაკავშირება სოციალურ-კულტურულ საქმიანობასთან
- ურბანული ფორმების, სივრცეების და მათი ურთიერთკავშირის დაცვა
- შეძლებისდაგვარად ტრადიციული ტიპოლოგიის და დეტალების ხელახალი ინტერპრეტაცია

ზემოთ აღწერილი სოციალურ-კულტურული ამოცანებიდან, სამმა შექმნა სირთულეები – გადასახლებული ოჯახებიდან მხოლოდ 13% დაბრუნდა თავის ძველ ბინებში; რეაბილიტაცია შეეხო საბინაო ფონდის მხოლოდ მცირე ნაწილს (საკუთარ ბინებს და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფ ბინებს); მცდელობა, შეემცირებინათ სივიწროვე და თითოეულ ოჯახისათვის მინიმუმ 40 კვ.მ. გადაცემა უმეტესად წარუმატებელი აღმოჩნდა, ხელმისაწვდომი „საკუთრების ერთეულების“ სიმცირის გამო. ასევე წარუმატებელი გამოდგა მცდელობა გაეზარდათ ქირა აღდგენილ ბინებზე.

გარდა რაიონის ძეგლების ადაპტაციისა, ყველა კულტურული ამოცანა განხორციელებული იყო.

მთლიანობაში პროექტი ძალზე წარმატებული იყო, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ მის უაღრესად ეფექტიურ საბიუჯეტო განხორციელებას.

პროექტიდან გამოტანილი გაკვეთილი ისაა, რომ უმჯობესია უფრო მცირე მასშტაბის სამუშაოების დაგეგმვა – ათი მცირე პროექტი ბევრად უფრო წარმატებული იქნებოდა, ვიდრე ერთი და ძალზე დიდი. გადასახადების გაზრდის საკითხი დღესაც დაბრკოლებას წარმოადგენს და საჭიროებს სამართლებრივ გადაწყვეტას. ყველაზე წარმატებული იყო ა.ს.მ.-გან (A.S.M. – Association Sauvegarde de la Medina) მიღებული ფასდაუდებელი გამოცდილება ასეთი სირთულის პროექტის განხორციელებაში.

*შენიშვნა:*

*ემყარება ბატონ იაიჰე აკროუტის მიერ, 1991 წელს შედგენილ კითხვარს, ნაწილობრივ კი მასალას, რომელსაც შეიცავდა the Association Sauvegarde de la Medina's "Prijects et Realisations. 1980-1990. Pour la promotion de la Medina."*

1981 წლის პროექტმა დაისახა მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანებისა:

- რაიონში ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესება
- მხოლოდ ისეთი შენობების დანგრევა, რომელთა აღდგენა შეუძლებელია
- არსებული სახცოვრებელი ბინების მოდერნიზირება, მხოლოდ მას შემდეგ რაც შემცირდება უბნების მოსახლეობის სიმჭიდროვე, ისე, რომ შესაძლებელი იყოს ჰიგიენისათვის აუცილებელი კეთილმოწყობის განთავსება

- უბნებში დიდი რაოდენობით დანგრეულ შენობათა მანამდელ მობინადრეთა ჩასახლება
- ქირის დაანგარიშებული და კონტროლირებადი მომატების ნების დართვა
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის მოდერნიზირება
- შესაფერისი კომერციული და კუსტარული საქმიანობის სტიმულირება

## *2. 2. მუნიციპალური სამსახურები*

მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანილი ზოგიერთი ქალაქის არქეოლოგიური ნაშთები გვიჩვენებს, რომ ზრუვა სასმელ წყალსა და ჩამდინარე წყლებზე ადრეულ ხანებში დაწყებულა, თუმცა ასეთი შემთხვევები ხშირი არ ჩანს.

მხოლოდ XIX საუკუნის შუა პერიოდში, კავშირის აღმოჩენამ დაავადებებსა და ჯანმრთელობისათვის მავნე ქალაქურ საზიარო ბინებს შორის, უბიძგა ისტორიულ ქალაქებს ეკისრებინათ მუდმივი პასუხისმგებლობა საზოგადოების სანიტარული პირობების გაუმჯობესებაზე.

უმეტესი ამ ადრეული სისტემებიდან სრულიად მოძველებულია და მათ აღარ ძალუძთ რადიკალური განახლების გარეშე დააკმაყოფილონ მათ ზემო განლეგებული ქალაქების მზარდი მოთხოვნები.

სამწუხაროდ, ღრმა თხრილების გაკეთება, რაც აუცილებელია ამ სისტემების შეკეთება-მოდერნიზაციისთვის, ისტორიულ ქალაქებში სულ უფრო მეტად იწვევს მიწისქვეშა არქეოლოგიური ობიექტების განადგურებას. არქეოლოგიური მასალის „გადარჩენის“ ნახევარზომები იძლევა მხოლოდ საფრთხის ქვეშ მდგომი ნაწილების შველის საშუალებას; ამასთან, უმეტესი გათხრები ტარდება სათანადო არქეოლოგიური ზედამხედველობის გარეშე. თანაბრად ამისა, საზოგადოებრივი გადაზიდვების გაუმჯობესების სურვილი მიწისქვეშა გვირაბების საშუალებით, ან ისტორიული რაიონის გარეგნული მხარის გაუმჯობესება საკაბელო კომუნიკაციების მიწაში ჩაფლობით და ავტომობილების მიწისქვეშა სადგომებით, საფრთხეს უქმნის არქეოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ქვედა ფენის სიმრთელეს.

მიდგომა მუნიციპალური სამსახურების შენახვა-მოდერნიზაციის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გაუმჯობესებისა, რაც არ შეუქმნის საფრთხეს კონსერვაციის მიზნებს, ყურადღებას გაამახვილებს შემდეგზე:

- გრძელვადიანი ხარისხის მქონე მშენებლობა და შენობების ქვეშ ნიადაგის წყლების და ჩამდინარე წყლების სისტემების შექმნა;
- აღიარებული ჭეშმარიტებების გადახედვა (მაგ., შეხედულება, რომ ელექტრო მომსახურება ან მანქანის სადგომები უმჯობესია მიწაში იყოს ჩამალული).
- არქეოლოგიური პოტენციალის შესწავლა, რაც საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ ყოველი შემოთავაზებული მიწისქვეშა ჩარევის რისკი.

## *2. 3. ტრანსპორტის მოძრაობის მენეჯმენტი*

ჩვეულებრივ, ტრანსპორტის მოძრაობა მიჩნეულია საფრთხედ ისტორიული ქალაქების სიმრთელისათვის. ქუჩების სისტემა და ზომები, რომლებიც ბევრად უფრო ადრე იყო შექმნილი, ვიდრე ავტომობილებს გამოიგონებდნენ, ყოველთვის არაა ისე მოხერხებული და სავალად იოლი, რასაც დღევანდელი მძღოლები ან ავტომობილების მწარმოებელი კომპანიები ისურვებდნენ.

ამავე დროს, ქუჩების სისტემის უნარის გაუმჯობესება, რათა მოსამსახურე ადვილად მივიდეს თავის სამსახურში, ან საქონელი თავის დანიშნულების ადგილას, ან კიდევ მყვიდველი ბაზრის ტერიტორიაზე, ჩვეულებრივ მიჩნეულია გადამწყვეტ საკითხად ქალაქის ეკონომიკური ფუნქციონირებისათვის.

ისტორიული ქალაქები ეძიებენ ტრანსპორტის მოძრაობის მენეჯმენტის ისეთ სისტემებს, რომლებიც არ მიაყენებენ ზიანს ისტორიულ მემკვიდრეობას. ამიტომ, გაუმჯობესების ვარიანტების ანალიზი უნდა ეყრდნობოდეს შეუმოწმებელი ვარაუდებისაგან თავისუფალ კრიტერიუმებს. მაგალითად, როდესაც საქმე ეხება მისადგომის საკითხს, კრიტერიუმი უნდა იყოს, თუ როგორ მივიდეს გარკვეული ოდენობის ხალხი გარკვეულ ადგილას და გარკვეულ დროს, და არა ის, თუ როგორ მიუდგეს ამ ადგილს ავტომობილები; მომსახურების შემთხვევაში, კრიტერიუმი უნდა მიმართული იყოს, თუ როგორ უზრუნველყონ მაღაზიები სათანადო მომსახურებით შესაფერისი საათებში, და არა ის, რომ შექმნან თავისუფალი ადგილები მანქანების გასაჩერებლად; ავტო პარკინგების პრობლემების შემთხვევაში, კრიტერიუმმა უნდა გაითვალისწინოს ქალაქის რაიონების მაცხოვრებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, და არა უბრალოდ გაზარდოს პარკინგების რაოდენობა; ხოლო როდესაც საქმე ეხება მნიშვნელოვანი ადგილების წინ ჩაჭედილი სატურისტო ავტობუსების საკითხის მოგვარებას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს

მოსახერხებელი გაჩერებებით უზრუნველყოფას, ვიდრე უბრალოდ გასაჩერებელი სივრცის გაზრდას.

ამ გზით, ვარიანტების ანალიზი მიგვიყვანს ისეთ გადაწყვეტილებებამდე, რომლებიც შეამცირებენ ზეწოლას ისტორიულ ქსოვილზე, რაიმე ფუნქციის დაუზარალებლად. ამგვარი ანალიზის ფარგლებში შემოთავაზებულ ღონისძიებებში შეიძლება შედიოდეს:

- ტრანსპორტის მოძრაობის „დაწყნარება:“ ღონისძიებები, რომლებიც საზღვრავს მძღოლების ქმედებებს, მათ რიცხვში შედის ასფალტის ქიმი, რომელიც შეაჩერებს მოძრაობის სიჩქარეს; გზის გადაკვეთების სივიწროვე და სამანქანო გზის და ტროტუარის ერთ დონეზე განთავსება;
- „ავტომობილი – ავტობუსის“ სქემა: ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყობენ საზოგადოებრივი ტრანსპორტის კარგ მოძრაობას ქალაქის ცენტრის მიმართულებით;
- მცირე ზომის საწყობები, რომლებიც აადვილებენ საცალო ვაჭრობის წერტებში საქონლის ურიკებით გადაზიდვას.

# კონკრეტული შემთხვევების ანალიზი

## გ. 2. 3. ტრანსპორტის მოძრაობის მენეჯმენტი

**ბათი, გაერთიანებული სამეფო**

**ტრანსპორტის მოძრაობა და გარემო პირობების ანალიზი**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

თანამედროვე ბათი განლაგებულია რომის პერიოდის აკვა სულის ნაქალაქარზე, რომელიც აშენდა ახალი წელთაღრიცხვით 60 წელს იმ წყაროების ადგილას, სადაც ახლაც მოიპოვებენ მილიონ ლიტრზე მეტ ცხელ წყალს დღეში. რომაულ ქალაქში ცხოვრება არ შეწყვეტილა, შუა საუკუნეებში ქალაქი იქ წარმოებული შალეულობის, რევმატიზმით დაავადებულთათვის საავადმყოფოსა და რელიგიური გავლენით გამოირჩა.

და მაინც, ქალაქის მნიშვნელოვნება განპირობებულია XVIII საუკუნეში მისი ხელახალი დაბადებით ჯონ ვუდის (უმცროსი და უფროსი), რალფ ალენისა და რიჩარდ „კოპწია“ (“Beau”) ნეშის თაოსნობით, რომლეთაც თავისი არქიტექტურული მოღვაწეობით სურდათ ექციათ ბათი მინერალური წყლების მოდურ კურორტადაც და ევროპაში ერთერთ ყველაზე ლამაზ ქალაქადაც, სადაც არქიტექტურა და ლანდშაფტი ჰარმონიულად იქნებოდა შერწყმული და სიამოვნებას მიანიჭებდა სამკურნალოდ ჩასულთ. მათ ქალაქს შესძინეს კლასიკური განლაგება. ჯონ ვუდი უფროსის 1729 წლის დედოფლის მოედანი (Queen Square) და მისივე 1754 წლის მეფეების მოედანი (Kings Circus) წარმოადგენენ პალადიური ორდერის ნიმუშს. მისი შვილის ჯონ ვუდ უმცროსის მოედანი „სამეფო ნახევარმთვარე“ (1767-1776) ასახავს უფრო რომანტიულ ნეო-კლასიკურ სტილს, რომელმაც შემდგომი განვითარება ჰპოვა 1771 წლის სამეჯლისო დარმაზებში და ტომას ბოლდუინის 1799 წლის წყლის ტუმბოების დარბაზში.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

ბათი ნომინირებული იყო მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად გაერთიანებული სამეფოს მიერ, 1986 წლის დეკემბერში, ხოლო დამტკიცებული იყო მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ 1987 წლის დეკემბერში.

ნომინაცია ეყრდნობოდა კრიტერიუმის IV პუნქტს არქიტექტურული ანსამბლის განსაკუთრებული ნიმუშის თაობაზე, სადაც ასახულია ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპი.

ნომინაციაში ყურადღება გამახვილებული იყო ქალაქის მართვის 1984 წლის დაუმტკიცებელი გეგმის სიაში შეტანილი 4900 შენობის დაცვის აუცილებლობაზე და იმ მნიშვნელოვანი ანსამბლების დაცვაზე, რომლებიც განლაგებული იყო ქალაქის ცენტრის მოშორებით (მაგ., პრაიორ პარკი). ბათის ადგილობრივი გეგმა მიღებული იყო 1990 წელს, როგორც ქალაქისათვის კანონის ძალის მქონე დოკუმენტი.

**3. კონტაქტი**

Mr. Colin Fudge,
Director of
Environmental Services,
Bath City Council,
Abbey Chambers, Bath,
United Kingdom BAI INT,
Tel.: 0225-46111,
Fax: 0225-448536.

**ბ. ამოცანები**

- ტრანსპორტის მოძრაობის ანალიზის და მენეჯმენტის ინტეგრირებული მიდგომა, სადაც შეფასებული იქნება ვარიანტების ზეგავლენა სხვადასხვა სფეროებზე (მათ შორის გარემოს დაცვის მდგომარეობა, კეთილმოწყობა, ბიზნესი, ჯანმრთელობის დაცვა და სხვ.);
- გაერთიანებული სამეფოს სხვა ქალაქებში და ევროპის ქალაქებში ჩატარებული ტრანსპორტის მოძრაობის კვლევის შედეგების გათვალისწინება.

**გ. კონტექსტი**

ტრანსპორტის მოძრაობის კონკრეტული საკითხის (ბარტონის ქუჩიდან დედოფლის მოედანზე მარცხნივ გახვევა აკრძალულია) თაობაზე მსჯელობამ უბიძგა გარემოს დაცვის კომიტეტს ერჩია ავონის საბჭოსთვის უფრო ფართოდ შეესწავლა ტრანსპორტის მოძრაობის საკითხები და პრობლემები, რადგან, როგორც გაირკვა, ბოლო მსგავსი ანალიზის შემდეგ ათეული წლები იყო გასული.

ქალაქის საბჭოს ადგილობრივი გეგმის კონტექსტში, საკონსულტაციო ჯგუფს დაევალა ამ კვლევის შესრულება. აღიარებულ იქნა, რომ თანმიმდევრული პოლიტიკა, გამოხატული გაუმჯობესების სათანადო სქემების შერჩევისას მკაფიო ამოცანების მიხედვით უნდა დიდ წილად აბალანსებდეს მაცხოვრებელთა, ფეხით მოსიარულეთა, ავტომობილების მძღოლების და ცენტრალურ რაიონში განთავსებული კომერციული დაწესებულებების ინტერესებს. ამ ბალანსის მიღწევის მცდელობა ასახულია შემდგომი ამოცანების დასახვით:

1. ცენტრალურ რაიონში იმ ტრანსპორტის შესვლის შეზღუდვის შესაძლებობების განხილვა, რომელიც ემსახურება მაღაზიებს და სხვა ბიზნეს ცენტრებს, კერძოდ რაც შეეხება მთავარი მაგისტრალით ტვირთების გადაზიდვებს;
2. მეორეხარისხოვანი ტრანსპორტის მიერ ცენტრალური რაიონის გამოყენების შემდგომი შემცირების გზების გამორკვევა;
3. სქემების მიგნება, რომლებიც უპირატესობას მიანიჭებს ფეხით მოსიარულეებს და შეზღუდავს ტრანსპორტის მოძრაობას ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე;
4. სავაჭრო ცენტრების, ტურისტული და კომერციული რაიონების კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა და გაუმჯობესება ადვილად მისადგომობის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფით და მომხმარებლისათვის სასიამოვნო გარემოს შექმნით;
5. სავაჭრო რაიონებში ტრანსპორტის ადვილად მისვლის უზრუნველყოფა.

**დ. მიდგომა**

კონსულტანტების მიერ შერჩეული მიდგომა განსხვავდებოდა ტრანსპორტის მოძრაობის მენეჯმენტის ანალიზის ადრინდელი, უფრო ტრადიციული მიდგომებისაგან, რადგან აქ შედიოდა, რასაც ბრიტანელები უწოდებენ, „აღქმის ანალიზი“ – ინდივიდუალური გამოკითხვები და დისკუსიები მიზნობრივ ჯგუფებთან, სხვადასხვა პრობლემების ბუნების და ხარისხის დასადგენად. ეს კვლევა განსაკუთრებით მიმართული იყო სპეციფიკური ჯგუფების (ახალგაზრდა ბავშვიანი ქალები, ბადში მომუშავე სპეციალისტები, უმუშევრები, ქალაქის სხვადასხვა ბიზნესის მფლობელები და მენეჯერები, პროფესიონალი მძღოლები და ტურისტები) შეხედულებათა გამოსავლენად, ასევე პრობლემების ხარისხისა თუ მათი გადაწყვეტის შესაძლო დახმარების წყაროების ნათელსაყოფად.

სპეციალისტებმა გამოიყენეს აგრეთვე ჩვეულებრივი სტატისტიკური მაჩვენებლები მათი საქმიანობისათვის: ტრანსპორტის მოძრაობის დაანგარიშება, სანომრო ნიშნების ინსპექტირება, გადაზიდვა-გადმოზიდვების ინსპექტირება, „ავტომობილი-ავტობუსის“ ინსპექტირება, ფეხით მოსიარულეთა დაანგარიშება, ფეხით მოსიარულეთა შეფერხების ინსპექტირება, სამოქალაქო ტრანსპორტის სადგომის ინსპექტირება.

შემდეგ გამოკვლეულ იქნა, რა ოდენობის და რამდეგვარი გადაწყვეტა მოიპოვება სხვადასხვა

სფეროს პრობლემების გადასაჭრელად (მომსახურება და დანიშნულების ადგილას მიტანა, საკუთარი ავტომანქანების მისაწვდომობა, რაიონში ტრანსპორტის მოძრაობის „დამშვიდება“, ავტომობილი-ავტობუსის მომსახურება, სამოქალაქო ტრანსპორტი, ფეხმავალნი და ველოსიპედისტები, დისტრიბუციის ქსელი), რათა მერე ისინი გამოყენებული ყოფილიყო ქალაქის სხვადასხვა რაიონებში.

ქალაქმშენებლობის პროექტირების შემდგომმა ანალიზმა გამოავლინა XVIII საუკუნის ბათის ლოგიკური თანაზომიერების აღორძინება – მაშინ მისი მოკირწყლული ქუჩები მთლიანად ინტეგრირებული იყო ქალაქის გეორგიანული სტილის ტერასებთანა და მორკალულ ქუჩებთან. (თანაზომიერება დაიკარგა ორ მსოფლიო ომს შუა მანქანების მოძრაობის გასაადვილებლად შეტანილი ცვლილებებით). ამ შემთხვევაში რეკომენდაციების საფუძველი იყო თავდაპირველი, ან თავდაპირველის მსგავსი მასალების კვლევა.

ამის შემდეგ, კონსულტანტებმა შეაჯამეს თავისი დასკვნები რვა სფეროში, რათა მოქალაქეებს ჰქონოდათ მათი განხილვის შესაძლებლობა. სამი ამ სფეროებიდან გეოგრაფიული ხასიათისაა (ეხება ქალაქის სპეციფიკურ რაიონებს); დანარჩენი ხუთი ზოგადია და სწორედ მათზე იქნა შემოთავაზებული რეკომენდაციები (მოძრაობის შემცირების სფერო, ქუჩებში მანქანების გაჩერებების მოშლა, ყველა სახლთან მანქანის მისადგომების შეზღუდვა, მოკირწყლული ქუჩები, ქუჩების დგამ-მოწყობილობანი, მანისნები, ავტომობილ-ავტობუსის დამხმარე ნაგებობების მომატება).

*შენიშვნა:*

*განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ბატონ ქრისტოფერ პაუნდს, სტრატეგიის, კონსერვაციის და ლანდშაფტის არქიტექტურის დირექტორის მოადგილეს, რომელმაც შეამოწმა და შეასწორა ჩვენს მიერ მომზადებული მასალები.*

## გ. 2. 3. ტრანსპორტის მოძრაობის მენეჯმენტი

**ტუნისის მედინა, ტუნისი**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

ტუნისის მედინა (ტრადიციული ისლამური ქალაქი) არის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დაახლოვებით 15 მსგავს ოლქსა თუ ქალაქს შორის, რომლებიც ნომინირებულია მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად. მიმოსავლელი სივრცეების გამოკვეთილი და რთული ქსელი და არქიტექტურული ფორმები წარმოადგენს ამ კონკრეტულ ადგილზე 1000 წელზე მეტი დროის მანძილზე მიმდინარე ევოლუციური პროცესის შედეგს.

XIX საუკუნის ბოლოს კოლონიალური პერიოდის დადგომამ და ორგანიზაციის ევროპული მოდელების გაცნობამ შეცვალა განვითარების ისტორიული სტრუქტურა; როდესაც ქალაქის ფუნქციურმა ცენტრმა სხვა რაიონში გადაინაცვლა, მედინა მიტოვებული აღმოჩნდა და დაიწყო მისი დაკნინების ნელი პროცესი. მისი სივრცეების და მოძრაობის ტრადიციული იერარქიის ღირსება უმეტეს წილად დიდწილად ვერ იქნა ამოცნობილი. მედინას ტერიტორიაზე მდებარეობს 58 კლასიფიცირებული ძეგლი (და კიდევ 700 იმსახურებს კლასიფიკაციას). და მაინც, ანსამბლის ჭეშმარიტი ფასეულობა მისი ურბანული ქსოვილის და ურთიერთდაკავშირებული სივრცეების ინტეგრირებულობაში ძევს.

უკვე XX საუკუნის დასაწყისში, მოყოლებული 1939 წლიდან, მედინას დეგრადაციის სოციალური და განვითარებისმიერი მიზეზები ოფიციალურად იყო აღიარებული და მის პრობლემებს არაერთი კონფერენცია მიეძღვნა.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

1979 წელს ტუნისის მედინა შეტანილი იყო მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში ნიშნად მადლიერებისა, როგორც მისი განსაკუთრებული თვისებებისათვის, ასევე ადგილობრივი ძალების მტკიცე ძალისხმევისათვის დაეცვათ იგი.

**3. კონტაქტი**

The Association for the
Conservation of the Medina
33, rue Tourbet El Bey
1008 Tunis, Tunisia
Tel.: 216.1.563.618; 216.1.560.896

**ბ. ამოცანები**

- ტრანსპორტის მოძრაობის მენეჯმენტის ფილოსოფიის გამოკვეთა, „მისადგომების“ გაუმჯობესების, ტრადიციული სივრცეებისა და გადაადგილების სქემის დაცვის კონფლიქტის მოსაგვარებლად.
- ანსამბლის, კერძოდ მისი სივრცობრივი ორგანიზაციის განსაკუთრებული ღირებულებების გამოკვეთა.

**გ. კონტექსტი**

ერთ-ერთი პრობლემა, რაც ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნიდა ტუნისის მედინას და სხვა არაბულ ქალაქებს, იყო ამ ქალაქებში ტრანსპორტის თანამედროვე ფორმების შემოსვლა. ახალმა ქუჩებმა და XX საუკუნის სატრანსპორტო საშუალებებმა, რომლებიც არა მარტო ფიზიკურად შეიჭრნენ მოძრაობის და შენების არსებულ ფორმებში, არამედ შექმნეს მოზიდულების ახალი ცენტრები, რამაც შეცვალა ხალხისა და საქონლის დინების ტრადიციული მიმართულებები.

ტრადიციული მედინას ტერიტორიაზე, ერთ დროს, მთავარი ხალხმრავალი ქუჩა აკავშირებდა ცენტრალურ სივრცეს (მეჩეთის ან სხვა რელიგიური დაწესებულების და მიმდებარე ბაზრების გარშემო) მის მომზღუდავ გალავანში დატანილ კარიბჭეებთან. საცხოვრებელი არეალი ძირითადი საზოგადოებრივი გზებითა და გალავნით იყო მოფარგლული. მთავარი ქუჩიდან კერძო სახლებამდე მიდგომა შესაძლებელი იყო შუამავალი გზებით, რომელთაც თავისი დატვირთვა ჰქონდათ: მეორეხარისხოვანი ქუჩებით, რომლებიც მთავართ განეტოტებოდა და სადაც განთავსებული იყო არსებრივი სამეზობლო ფუნქციები: პურის მაღაზიები, წისქვილები, საზოგადოებრივი აბანოები. არსებობდა აგრეთვე მესამე ხარისხის გზები, რომელთაც მივყავდით უშუალოდ საცხოვრისთან, ხშირად ჩიხები, რომელთაც უმეტესად მხოლოდ იქაური მაცხოვრებლები იყენებდნენ. თვით საცხოვრებელი სახლები ფასადით შიგნითკენ იყვნენ მიმართული და ორგანიზებული იყვნენ შიდა ეზოს გარშემო, საიდანაც სახლში შემოდიოდა სინათლე და ჰაერი და იქმნებოდა სივრცე ოჯახის მოსასვენებლად.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში „კოლონიალური“ ეპოქის დადგომამ და ამით გამოწვეულმა ქალაქის ეკონომიკურმა, სოციალურმა და კულტურულმა ცვლილებებმა გამოიწვია ტრადიციული წესრიგის შეცვლაც. გაქრა ძველი ქალაქის უნიკალური პოლარულობა, რომელიც წარმმართავდა მთავარი ქუჩები ერთ წერტილში თავმოყრას. ახალი ქალაქის დაარსებამ ქუჩების სწორკუთხა ბადით ძველის გვერდით და ახალი ტრანსპორტის გასაჩერებლების გამოჩენამ (კერძოდ, რკინიგზის სადგურებმა) შექმნა სხვადასხვა მიმართულების მქონე სატრანსპორტო ქსელი. ახალი ქსელების შექმნამ გამოიწვია კომერციული აქტივობის გადაადგილება ცენტრალური სივრცეების და კარიბჭეების მიმდებარე საბაზრო ტერიტორიების მიღმა, მოტორიზებული ტრანსპორტისთვის უფრო ადვილად მისადგომ ადგილებში.

მედინას არსებული ქსელი საკმაოდ ელასტიური აღმოჩნდა და შეიგუა ეს ცვლილებები, ხელიც შეუწყო აქტივობის ახალ ფორმებსა და დონეს. მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ელასტიურობის ლიმიტი უკვე იწურება.

დღევანდელობა მოითხოვს შეიქმნას საშუალებები მანქანების ნაკადის ისე წარმართვისათვის, როგორც ეს ხელსაყრელი იქნება მომავალი მომხმარებლებისა და მთელი ქალაქისათვის, თანაც მედინას ჯერ კიდევ ხელუხლებელი განაშენიანების ქსოვილისა და სამოძრაო სივრცეებისათვის ზიანის მიუყენებლად.

**დ. მიდგომა**

ერთი მიდგომა ტრანსპორტის მოძრაობის პრობლემებს და საჭიროებებისადმი, რომელსაც ქალაქიც უჭერს მხარს, დამოკიდებულების შეცვლას გულისხმობს — უარის თქმას თითქოსდა უთუო მოსაზრებაზე, ვითომც მისვლის გაადვილება მუდამ ყველაზე სასურველი რამ იყოს.

ავტომობილთან მიმართებით, მისვლის გაადვილება მოითხოვს ქუჩების, გზაჯვარედინებისა და მისასვლელების გაგანიერებას, რაც, თავის მხრივ, დიდ ზეგავლენას მოახდენს ურბანული ცხოვრების ისედაც შერყეულ წონასწორობაზე. უფრო მეტიც, გაზრდილი ეფექტურობა ხელს შეუწყობს განვითარების ახალ ფორმებს, რაც თავის თავად, კვლავ ქალაქს დააწვება და კიდევ უფრო გაზრდის მოთხოვნილებას მეტ მომხმარებელზე, მეტ მომსახურებაზე და მეტ ავტომობილზე.

უფრო შესაფერისი თანაფარდობისა მისაღწევად უპრიანია აგრესიული და რთული მოთხოვნილებების პერიფერიაზე გადატანა და ფეხმავალთა სისტემასთან შესაყარზე მანქანების სადგომების მოწყობა. ამასთანავე, ეს მიდგომა არჩევანის შემთხვევაში უპირატესობას ფეხმავალთ მიანიჭებდა.

*შენიშვნა:*

*მასალა მომზადებულია ქალბატონი ჯამილა ბინოუსის (ტუნისი) იკომოს-ის ისტორიული ქალაქების კომიტეტის კრებაზე წარდგენილი მოხსენების საფუძველზე.*

## *2. 4. საფეხმავალთ სივრცეების შექმნის გამოცდილება*

ბევრ ისტორიულ ქალაქში ავტომობილების მოძრაობის გაუმჯობესების მცდელობა საფრთხეს უქმნის ფეხმავალთა გარემოს. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში იმის გააზრებამ, რაოდენ ღირებულია ქალაქებისათვის ფეხმავალთა უბნების მიერ მოტანილი სიკეთის შენარჩუნება, XX საუკუნის პირველი ათწლეულების საპირისპირო გეზი აგვარჩევინა.

თითქმის ყველა ძველმა ევროპულმა ქალაქმა გამოყო ფეხით სასიარულო ზონები, რომლებიც ძირითადად მთავარი სავაჭრო ქუჩების გაყოლებაზეა განლაგებული. ტრანსპორტით მიდგომა ჩვეულებრივ შეზღუდულია მომსახურების მანქანებით, ისიც დღის შედარებით წყნარ პერიოდებში. ბევრ შემთხვევაში, ეს რაიონები ძალიან კარგად მუშაობს სხვადასხვა თვალსაზრისით:

- მოქალაქეებისათვის შექმნილია შედარებითი სიმშვიდის ოაზისები ძირითადი სატრანსპორტო არტერიების ხმაურისა და დაბინძურებისაგან;
- ძველი რაიონები დაცულია მსუბუქი და სატვირთო მანქანებით გამოწვეული ფიზიკური გაცვეთისაგან;
- სადარბაისლო და ვიზუალური წესრიგის შეგრძნების შენარჩუნება მანქანებისაგან ფორმადაუკარგავ რაიონებში, სადაც მაგ., შერჩენილია ტრადიციული წესითა და მასალით მოკირწყლული ქუჩები;
- ეს უბნები მაგნიტისებრ მიმზიდველია ადგილობრივი მაცხოვრებლებისა თუ ჩამოსულთათვის, რაც მასტიმულირებელია ეკონომიკის გასაცხოვლებლად.

მსოფლიოს სხვა ნაწილებში, სადაც შურის თვალით უყურებენ ევროპის ძველ, უფრო ჰუმანურ გარემოს, რომელიც აგრერიგად ფართოდ იგუებს ფეხმავალთა არეებს, ხშირად ცდილან გადმოეღოთ ეს იდეები. შედეგები ყოველთვის ერთნაირი არ იყო. მაგალითად, ჩრდილოეთ აფრიკაში მსგავსმა მცდელობებმა წარმატება არ მოიტანა. თუმცა შესაძლებელი იყო ევროპული ფეხით სასიარულო ქუჩების საამო გარემო პირობების გადმოღება, მაგრამ ამ მცდელობებს ყოველთვის თან არ სდევდა ეკონომიკური მოდერნიზება. ჩრდილო ამერიკაში, გამომდინარე უფრო დიდი მანძილებიდან სახლსა და სამსახურს შორის, გამომდინარე იქიდან, რომ იქაური მაცხოვრებლები უფრო მეტად არიან კერძო მანქანებზე დამოკიდებული და თავისუფალ დროსაც სხვაგვარად უყურებენ, ამ გამოცდილების გადმოღებამ გამოიწვია ბიზნესის და აქტივობის დაქვეითება უმეტეს ფეხით სასიარულო ზონებში.

ფეხით სასიარულო ზონების შექმნა წარმატებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ იგი დაეყრდნობა ფაქტორების ფართო სპექტრის ანალიზს, სადაც გეგმარებისას გათვალისწინებული იქნება როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური ჩვევები.

## *2. 5. ტურიზმი*

ბევრი ისტორიული ქალაქი, რომელიც ებრძვის ეკონომიკურ დაკნინებას ან დაძველებას, თავის თავს მიიჩნევს იმ ქონებად, რომლის ექსპლუატაციამ შესაძლოა ეკონომიკური სარგებელი მოიტანოს.

თუ არ მოხდება მისი სათანადო მართვა, ტურიზმისათვის საინტერესო ამ ქონებამ შეიძლება იმდენივე პრობლემა მოიტანოს, რამდენსაც გადაჭრის: რადგან მზარდი ტურიზმი გამოიწვევს ისტორიული შენობების მდგომარეობის გაუარესებას, ხოლო ადგილობრივი მაცხოვრებლები ზურგს შეაქცევენ როგორც სტუმრებს, ისე იმ მშვენიერ ადგილებს, რომლის სანახავადაც ისინი მოდიან. გარდა ამისა, ეკონომიკური მოგება, რომელიც თითქოსდა სამოსახლოს უნდა მოხმარდეს, ხშირ შემთხვევაში სრულიად სხვა ხალხის ანდა ტურიზმის ცხრა მთას იქით მყოფ სააგენტოების ხელში შეიძლება აღმოჩნდეს.

ბევრი ქალაქი, რომელთაც დიდი ზიანი მიადგათ უთავბოლო ტურიზმისაგან, ახლა ცდილობს შეიმუშავოს უფრო ფართო მიდგომა, რომელსაც „მემკვიდრეობის ტურიზმი," ან „კულტურული ტურიზმი" ეწოდება. ეს მიდგომაც განიხილავს ტურიზმს, როგორც განვითარების შესაძლებლობას და ისტორიულ კვარტალებს, როგორც მთავარ ქონებას, მაგრამ იგი გულისხმობს უფრო ფართო მიზნებს იმით, რომ თავაზობს ტურისტებს არა უბრალოდ დანიშნულების ადგილებზე მიყვანას, არამედ გარკვეულ შთაბეჭდილებებსაც. ეს მიდგომა ზრდის კავშირს სტუმარსა და მასპინძელს შორის, ხელს უწყობს მცირე მასშტაბის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას (მაგ., ღამის გასათევებელი ადგილები დილის საუზმესთან ერთად), აღვიძებს „მასპინძლობის" სიამაყეს, სთავაზობს ტურისტებს სხვადასხვა სახის ქმედებებს და სხვადასხვა ადგილებზე გადანაწილებას და შემოსავლის მეტ ნაწილს ადგილობრივების ხელში ტოვებს.

## დ. კონსერვაციის პროგრამების მართვა ისტორიული ქალაქების ტერიტორიაზე: კონკრეტული მაგალითების ანალიზი

### *შესავალი*

თუ მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია კონსერვაციის შედარებით ახალი ინსტრუმენტია, საკონსერვაციო სამუშაოები, გააზრებულად თუ გაუაზრებლად, ჩვენ ისტორიულ ქალაქებსა და ურბანული რაიონებში მთელი მათი არსებობის მანძილზე ტარდებოდა. ეს ასე რომ არ ყოფილიყო, ეს ცენტრები აღარ იარსებებდა.

ადამიანებმა, რომლებიც ამგვარი ქალაქების არსებობის მანძილზე მათ მართვაში მონაწილეობდნენ, თავისი მემკვიდრეობისმიერი ნიშნების დასაცავად შექმნეს საშუალებებისა და მექანიზმების ფართო სპექტრი. ზოგი მიმართავს მარეგულირებელ კონტროლსა და მასში ჩართვას; ზოგი მოსახლეობის მონაწილეობას და მხარდაჭერას. მენეჯმენტი აგრეთვე შეიძლება შეიცავდეს ქონების ჩამორთმევას, მარეგულირებელ კონტროლს, მატერიალურ სტიმულირებას (სადაც შედის გადასახადების დაბრუნება, გრანტები, დაბალპროცენტიანი სესხები, უფლებების გადაცემა) პროექტის განხილვას, პროექტის ძირითად პრინციპებს და საზოგადოების გათვითცნობიერებას. თითოეული მათგანის სათანადო გამოყენება დამოკიდებულია ამ ანსამბლების და ღირსშესანიშნავი ადგილების კულტურული ღირებულების მართებულად შეფასებაზე.

ყველაზე შესაფერისი საშუალებების შერჩევა აუცილებელს გახდის სხვადასხვა მონათესავე ფაქტორების შეფასებას: სამოსახლოს რესურსების და შესაძლებობების, არსებული საფრთხეების ბუნების, იმ განსაკუთრებული თვისებების, რომელთა დაცვა ან გაუმჯობესებაა სასურველი; იმისა, არსებობს თუ არა მემკვიდრეობის კონსერვაციის მხარდაჭერის განწყობილება; საზოგადოების სხვა მართებული მოთხოვნების ზეგავლენისა და ვადების, რომელშიც სასურველია შედეგების მიღება.

სამოსახლოების რესურსები ძალზე განსხვავებულია და, შესაბამისად, სხვადასხვა შესაძლებობებიც თავისი მემკვიდრეობის დასაცავად. ეს რესურსები შეიძლება იყოს ფინანსური, მატერიალური, ან ადამიანური. თუ ადამიანთა ჯგუფები ან კერძო პირები ვერ აცნობიერებენ იმ სარგებელს, რაც კონსერვაციას მოაქვს საზოგადოებისათვის, შეიძლება საჭირო აღმოჩნდეს ქალაქების პრიორიტეტების ისე დაზუსტება, რომ საზოგადოებრივი რესურსები უფრო გონივრულად გადანაწილდეს, მათვე საკეთილდღეოდ. გადასახადების დაბრუნება, ფინანსური სტიმულირება, მყისიერი გრანტები – ის ფინანსური მექანიზმებია, რაც ემსახურება საზოგადოების თვალში მემკვიდრეობის კონსერვაციის მიმზიდველობის გაზრდას.

სამოსახლოები აგრეთვე სიმწიფისა და განვითარების განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, მემკვიდრეობაზე ზრუნვის და მისი მართებულად განსაზღვრის თვალსაზრისით. იქ, სადაც დაბალი თვითშეგნებაა, შესაძლებელია საჭირო აღმოჩნდეს მოკლევადიანი ღონისძიებები მემკვიდრეობის იმ ელემენტების დასაცავად, რომელთაც უშუალო საფრთხე ემუქრება. თუ საზოგადოებრივი ინტერესი მემკვიდრეობის მიმართ საკმაოდ მაღალია და რისამე დაკარგვის შესაძლებლობა აღშფოთებას იწვევს, მაშინ ყველაზე შესაფერისი მექანიზმები გრძელვადიანი წარმატების მისაღწევად საზოგადოებაში მემკვიდრეობისადმი ინტერესის და მის წინაშე ვალდებულების გრძნობის გაღვივება იქნება.

შესაფერისი მექანიზმების შერჩევისას მთავარი პრინციპი უნდა იყოს, თუ რა ზომამდე დაიცავს რომელიმე მათგანი ანსამბლის მემკვიდრეობისმიერ ხასიათს. რეგულაციის მექანიზმებმა, რომლებიც უზრუნველყოფენ განვითარების მკაცრ კონტროლს, შეიძლება არაბუნებრივი ერთგვაროვნება შესძინოს ისტორიულ რაიონებს, რომელთაც მრავალფეროვანი გამომსახველობა ახასიათებთ. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც შესაფერისი მექანიზმების შერჩევაზე გავლენას ახდენს ისიც, რა ხარისხით აპირებენ დააკმაყოფილონ მოკლე თუ გრძელვადიანი საჭიროებანი.

თითოეულ შემთხვევაში უნდა დაისვას ორი საბოლოო კითხვა: რა მახასიათებლები უნდა დაიცვას არჩეულმა მექანიზმებმა? რა მახასიათებლებს შეიძლება წაადგეს ეს თუ ის განსახილველი მექანიზმი?

### *1. საორგანიზაციო სტრატეგია*

ეფექტიური საორგანიზაციო სტრატეგიის შემუშავება კონსერვაციის პროგრამების ან საქმიანობის მონაწილეთათვის, მოითხოვს ყურადღების გამახვილებას, სულ ცოტა სამ დონეზე: საკონსერვაციო გუნდის შექმნა; კონსერვაციის პროცესის გაძღოლა და კონსერვაციის გეგმების მართებულად აღქმა და განხორციელება.

*კონსერვაციის გუნდმა* უნდა მოიცვას სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა მიერ გაღებული წვლილი. *კონსერვაციის პროცესი* უნდა ხელს უწყობდეს მათ თანამშრომლობას ქალაქის მემკვიდრეობისმიერი ხასიათის და მისი შემამტკიცებელი ელემენტების განსაზღვრაში, ასევე იმ

საქმიანობაში, რაც დაიცავს ამ ხასიათს. ხოლო *კონსერვაციის გეგმა* უნდა ასახავდეს პროცესის თანადროულად ჩატარებული კვლევის შედეგად დასახულ კონკრეტულ მიზნებს.

## 1. 1. კონსერვაციის გუნდი

იმ ისტორიული ქალაქების გეგმარების დეპარტამენტებში, რომელნიც ზრუნავენ მემკვიდრეობის კონსერვაციაზე, მემკვიდრეობის პროგრამების განხორციელება, ჩვეულებრივ, დამგეგმარებლებს ეკისრებათ. პროგრამაში ჩართულ სპეციალისტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, სასარგებლო იქნება დავრწმუნდეთ, რომ ჯგუფის შემადგენლობა ასახავს მართლაც კარგი საკონსერვაციო სამუშაოების მრავალდისციპლინარულობას.

ქალაქის გამგეობაში არსებული წარმატებულ საკონსერვაციო განყოფილებებს, ჩვეულებრივ, შემდეგი ახასიათებს:

- სხვადასხვა სფეროს კვლევითი და სამეცნიერო დარგების წარმომადგენლების ერთობლივი მუშაობა;
- გადაწყვეტილების მიღებისადმი გუნდური მიდგომა და სხვადასხვა დარგების წარმომადგენლის თანაბარი წვლილი მიმართულების არჩევაში.

## 1. 2. კონსერვაციის პროცესი

კონსერვაცია ღირებულებებს ეფუძნება. კონკრეტული ღირსშესანიშნავი ადგილის, ნაგებობის ან ანსამბლის შემთხვევაში, კონსერვაციის პროცესისას პირველ რიგში უნდა განისაზღვროს მასში ჩადებული მემკვიდრეობისმიერი ღირებულებანი. როდესაც ღირებულებანი ნათელყოფილია, კონსერვაციის პროცესი გვაძლევს შესაძლო ვარიანტების შეფასებისა და იმის ამორჩევის საშუალებას, რაც ყველაზე ნაკლებ ზიანს მიაყენებს გამოვლენილ ღირებულებებს.

ისტორიულ ქალაქებში კონსერვაციის პროცესისადმი სერიოზული მიდგომა კონსერვაციის ჯგუფის ყველა წევრისგან მის ნაბიჯ-ნაბიჯ მიყოლას ითხოვს. დოკუმენტაციის შედგენა, ღირებულების დადგენა და ინვენტარიზაცია საშუალებას იძლევა განისაზღვროს მოსაფრთხილებელი ღირებულებანი; განვითარების ვარიანტები შემდგომ სწორედ მათთან მიმართებაში შეიძლება განისაზღვროს.

კონსერვაციის პროცესი იძლევა *მინიმალური ჩარევის მიდგომის* გარანტიას, რადგან ყურადღებას ამახვილებს ღირებულებებზე მინიმალური უარყოფითი გავლენის მოხდენაზე. პროცესის წარმატებული განხორციელება ასევე ითხოვს ფუნქციურ საჭიროებათა შეფასებას და სხვა კრიტერიუმების მონიშვნასაც, რომელთაც არჩეული ვარიანტები უნდა აკმაყოფილებდეს.

## 1. 3. კონსერვაციის გეგმა

მაშინაც კი, როდესაც კონსერვაციის მეთოდის არჩევანი გეგმარების პროცესის გულდასმით მიდევნებას მიყვება, მაშინაც კი, როდესაც მოხმარებული საშუალება ჰოლისტურად ინტეგრირებული ამოცანების გადასაჭრელად არის მოხმობილი, მისი ადგილზე გამოყენებისას შესაძლებელია მხედველობიდან გამოგვრჩეს მისი კავშირი უფრო ფართო ამოცანებთან.

მნიშვნელოვანია ყოველთვის მხედველობაში ვიქონიოთ შერჩევის მიზნით ჩატარებული ყველა ანალიზის შედეგი, რათა მოვახდინოთ საჭირო კორექტივები მთლიანად სტრატეგიისა და არა მხოლოდ რომელიმე ცალკეული ელემენტის.

ალბათ, ყველაზე ხელსაყრელი საშუალება ასეთი მიმართულების უზრუნველყოფისათვის იქნება სამოსახლოს სტრატეგიული არჩევანის ჩართვა იმ დოკუმენტში, რომელშიც შესულია მიღებული არჩევანის დასაბუთება, მითითებულია სამართავად განსაზღვრული ღირებულებანი და აღწერილია მიზნები ან შეფასების კრიტერიუმები, რაც წარმატების შემთხვევაში იქნება მიღწეული. ასეთ მექანიზმს, ჩვეულებრივ კონსერვაციის გეგმას უწოდებენ.

ზოგიერთ ისტორიულ რაიონში გეგმარების ზემოაღწერილი ანალიზის შედეგები სამოქმედო ზინებად არის წარმოდგენილი, რომელიც რუკებზეც შეიძლება დაიტანო – მაგ., „დიდი ფასეულობაა – ხელი არ ახლოთ," „მოკრძალწებული ფასეულობაა – ფრთხილად მოეკიდეთ", „არ წარმოადგენს რაიმე ფასეულობას – საჭიროების მიხედვით, გინდა მოაშორეთ, გინდა ჩაანაცვლეთ." მემკვიდრეობის ზონებად ამგვარმა დაყოფამ, თუგინდ ამგვარი დოკუმენტის მოხმარებაში გამოცდილ პირთა ხელში, შეიძლება სამოსახლოს მემკვიდრეობის მართვა მეტისმეტად გაუბრალოებულად მოგვაჩვენოს:

- ზონებს შორის მინიშნებებით შექმნილი განსხვავება შეიძლება დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაძლიერდეს, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო გაზრდის დაცილებას „სავალდებულოა"-სა და „არასავალდებულო"-ს შორის;
- ამან შეიძლება ხელოვნურად შეანელოს ეკონომიკა ისტორიულ რაიონში იმით, რომ მიმართავს განვითარების ინვესტიციებს იმ ზონებისაკენ, სადაც ნაკლები წინააღმდეგობაა მოსალოდნელი (მაშინ, როდესაც მნიშვნელოვანი ძეგლები სულ უფრო უყურადღებოდ მიტოვებული აღმოჩნდება);
- მოსაზრება, რომლის საფუძველზეა შემოტანილი სხვაობანი, შესაძლოა მალე მიავიწყდეთ და, აქედან გამომდინარე, გეგმა კარგავს უნარს მოქნილად მოერგოს ახალ ვითარებებს;
- გეგმამ შეიძლება მისცეს შემდგომ მგეგმარებლებს აგრესიული განვითარების შესაძლებლობა, არ კი დაავალდებულოს ისინი მოახდინონ თავისი მცდელობის სხვა ამოცანებთან ინტეგრაცია;

საუკეთესო საკონსერვაციო გეგმა არის ის, რომელიც არასდროს დაგვავიწყებს სიტყვას „რატომ", სადაც ქმედებანი განსაზღვრულ პრობლემებთან და ღირებულებებთანაა დაკავშირებული და სადაც ადვილი განსაჭვრეტია ის ზეგავლენა, რაც შეიძლება განიცადოს ცვლილებებისას ინტეგრირებული პროგრამების და საშუალებების მთლიანმა სისტემამ.

## *2. დოკუმენტაციის შედგენა და შეფასება*

ამა თუ იმ უბნის კონსერავაციის ეფექტიური პროგრამა საჭიროებს მნიშვნელოვანი ადგილების, ნაგებობების, სივრცეების, მარშრუტების, ხედების და დამახასიათებელი ნიშნების და მათი ხასიათის განმსაზღვრელი ატრიბუტების დაწვრილებით აღწერილობას (ინვენტარიზაციას). დოკუმენტირებული უნდა იყოს დინამიკური ფაქტორებიც: გამოყენება და საქმიანობა, სხვადასხვა ერთეულებს, ეკონომიკურ და სოციალურ ღირებულებებს შორის კავშირების და ურთიერთობების სიმტკიცე. ასე შედგენილ აღწერილობაში ყურადღება გამახვილდება საკვანძო ღირსებებზე, პრიორიტეტულ საჭიროებებზე, მდგომარეობის გამოსწორების პოტენციალზე და აგრეთვე საშუალებას მოგვცემს შეფასდეს განვითარების შემოთავაზებული ვარიანტით გამოწვეული ზეგავლენა. კონსერვაციის მონაცემთა ბაზის სარგებლიანობა კვლევის ხარისხიდან და სისრულიდან გამომდინარეობს, ასევე იქიდან, რომ ის ხელმისაწვდომია მათთვის, ვინც მისი გამოყენებით სარგებლობა უნდა ნახოს.

ყველა სახის აღწერილობა (ინვენტარიზაცია) იწყება კვლევით, რომელიც შესასწავლის ყოველ ერთეულზეა მიმართული. ბევრ დისციპლინას ძალუძს თავისი წვლილი შეიტანოს ღირსშესანიშნავი ადგილის კონსერვაციის კვლევის პროცესში, მაგრამ, ჩვეულებრივ, აქ შედის ისტორია, არქეოლოგია და არქიტექტურა.

დოკუმენტაციის შედგენის პროგრამის ეფექტიურობა დამოკიდებულია ჩატარებული კვლევის ხარისხზე. თავის მხრივ, ეფექტიური კვლევის პირობა მკაფიო მიზანდასახულებაა. და მართლაც, მრავალდისციპლინარული გუნდის წევრთა მცდელობით ეფექტური და ინტეგრირებული შედეგები რომ მივიღოთ, პროექტირების დასაწყისში გუნდის ხელმძღვანელმა მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს კვლევის მიზანი და მასშტაბი, ამის გარეშე კვლევით სამუშაოებს არ ექნება მიმართულება, მათი შედეგები, ალბათ, დიდწილად გადაფრავს ერთმანეთს, მხოლოდ ხელმისაწვდომი მონაცემების უცაბედ ნაკრებს მოგვცემს და შემოწმებისას, ალბათ, მნიშვნელოვან კითხვებს ვერც უპასუხებს.

### 2. 1. მემკვიდრეობის აღნუსხვა

ნებისმიერ საკონსერვაციო პროექტში სამუშაოების დაწყებისას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმის აღნუსხვა, რაც ადგილზე დაგვხვდა. ჩვეულებრივ, ეს არქიტექტორების საკეთებელია, რომლებიც ინჟინრებთან ან საინჟინერო-არქიტექტურულ ტექნოლოგებთან მუშაობენ.

რა უკუღმართობაც უნდა დაატეხოს თავს ღირსშესანისნავ ადგილს დროთა სვლამ, მემკვიდრეობის გულდასმით შესრულებული აღნუსხვა საშუალებას მოგვცემს სამუდამოდ შევინარჩუნოთ ამ ადგილის საზრისი, სხვა თუ არა, ერთ დონეზე მაინც. მეორე მსოფლიო ომამდე, ისეთმა სამუშაოებმა, რაც ჩაუტარდა ვარშავის ძველი ქალაქის შენობებს, შესაძლებელი გახადა ომის შემდგომ პერიოდში ისტორიული ცენტრის ნაგებობების რეკონსტრუქციისას მათი საზოგადოებრივი მნიშვნელოვნების ხელახალი სამგანზომილებიანი წარმოჩენა.

ხშირად მემკვიდრეობის აღნუსხვა უფრო პროზაულ, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვან ამოცანებს ემსახურება. მას შეუძლია შეგვამოწმებინოს შენობის საპროექტო ნახაზების სიზუსტე; ის გვიქმნის

საფუძველს შეკეთების პროექტების დასამუშავებლად; იგი იძლევა არა მარტო ნახაზისთვის საჭირო ინფორმაციას, არამედ ავლენს შენობის დეფორმაციებს და ცვლილებებს; ხოლო დეტალური აღნუსხვის პროცესი თავისთავად წარმოადგენს ღირსშესანიშნავი ადგილების შიდა ურთიერთკავშირების და თავისებურებათა უშუალო მოაზრების ბრწყინვალე საშუალებას.

მემკვიდრეობის აღნუსხვა შეიძლება დეტალიზების და ინფორმაციულობის მრავალ დონეზე ჩატარდეს და ტექნოლოგიების ფართო სპექტრი გამოიყენოს. სათანადო დონეების და მეთოდოლოგიების განსაზღვრა საჭიროებს იმის მკაფიო ცოდნას, თუ რა მიზნებისათვის ატარებს აღნუსხვას შესაბამისი დაწესებულება თუ სამუშაოს ხელმძღვანელი პირი.

მიუხედავად იმისა, რომ ახლა არსებობს აღნუსხვის ახალი ტექნოლოგიების და მეთოდების დიდი რაოდენობა, დაწყებული დისტანციური გამზომი ხელსაწყოებიდან, კომპიუტერული ციფრობრივი სქემის შედგენასა და სტერეო-ფოტოგრაფირებამდე, აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ყველაზე განვითარებული ტექნოლოგიები გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ საჭირო და მკაფიოდ განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.

ბევრ შემთხვევაში, ტრადიციული საწონიანი შვეული, ცარცი, სახაზავი და პლანშეტი სრულიად საკმარისია, რათა მივიღოთ სასურველი სიზუსტისა და სისრულის შედეგი.

როგორც კვლევის სხვა საშუალებების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ პირველად ცალკეული ღირსშესანიშნავი ადგილების აღნუსხვა ხდება, მნიშვნელოვანია გამოინახოს ყველა შედეგის გაერთიანების გზა. ქუჩის ხედის ნახაზებს, სამგანზომილებიან ორთოგონალურ პროექციებს ან მასშტაბიან მოდელებს დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ ისტორიული ქალაქების რთული მორფოლოგიის სწორად გასაგებად.

## კონკრეტული შემთხვევების ანალიზი

## დ. 2. 1. მემკვიდრეობის აღნუსხვა

**ბერნი, შვეიცარია**

**სახურავების ზედხედის / სარდაფების აღნუსხვის პროგრამა**

**ა. წინაპიროპბები**

**1. ისტორია**

ბერნი შუა საუკუნეებში აღმოცენებული ქალაქია, რომელიც დღემდე პერიოდულად განახლებას განიცდის.

1191 წელს ჰერცოგ ბერხტოლდ V ზარინგენელის მიერ დაარსებულმა ქალაქმა აყვავებას XIV საუკუნეში მიაღწია. იმ დროინდელი ქალაქი მნიშვნელოვნად გაამდიდრდა XVI საუკუნეში აგებულმა შადრევნებმა, კოშკებმა, კედლებმა, XVII საუკუნის არისტოკრატთა სასახლეებმა და XIX ს-ის ბოლო აშენებულმა მრავალმა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობამ, როგორიცაა ბუნდესჰაუსი, სახვითი ხელოვნების მუზეუმი, საისტორიო მუზეუმი, უნივერსიტეტი და მუნიციპალური თეატრი.

ქუჩების და შენობათა ნაკვეთების დაგეგმარება და ზოგიერთი უბნის თაღედებიანი ფეხით სასიარულო ქუჩები დღემდე დიდწილად ინარჩუნებს შუასაუკუნეებრივ ხასიათს. შუა საუკუნოვანი ფიზიკური ქსოვილი XVIII და XIX საუკუნეებში განაახლეს და კვლავ დიდწილად ააშენეს კიდეც სიმჭიდროვის გასაზრდელად და სახლების მოდერნიზაციისათვის.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

ბერნი შეირჩა მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად 1983 წელს III კრიტერიუმის საფუძველზე, როგორც „იმ ცივილიზაციის მოწამე, რომელიც უკვე აღარ არსებობს," რაც მის შუასაუკუნოვან წარმოშობას გულისხმობს. ნომინაციას თან სდევდა გარკვეული შენიშვნები, სადაც აღნიშნული იყო, რომ შუა საუკუნეების შემდგომი პერიოდის ტრანსფორმაციების გამო ქალაქი აღარ წარმოადგენს შუა საუკუნეების ურბანიზმის ტიპიურ მაგალითს და რომ დაცვის კანონმდებლობა ბოლო დრომდე მხოლოდ ფასადებს ითვალისწინებდა და არა მთლიან შენობებს.

**3. დაკავშირება**

Mr. Bernhard Furrer, Arch.
Dipl. EPP/SIA/SWB,
Erlacherhof, Junkengasse
47, Case Postale 636,
CH-3000 Bern 8,
Switzerland
Tel.: 031.68.60.90
Fax: 031.68.60.10

**ა. ამოცანები**

- მემკვიდრეობის აღნუსხვისა და ღირსშესანიშნავი ადგილის ინვენტარიზაციისადმი ისეთი მიდგომის შემუშავება, რომელიც პირდაპირ კავშირშია იმ ფიზიკურ ნიშნებთან, რაც განსაზღვრავს ქალაქის ხასიათს.
- მემკვიდრეობის აღნუსხვის შედეგების, როგორც ნაგებობებში ცვლილების შეტანის წინადადებათა შემოწმების საფუძვლად გამოყენება.

**გ. კონტექსტი**

ბერნის მნახველებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მისი სახურავები. ხედები საკათერდო ტაძრიდან და მდინარე აარეს მიმდგომი გორაკებიდან ხელს უწყობს იმ არაჩვეულებრივი სანახაობის აღქმას, რასაც ადგილობრივი კონსერვაციის ოფისი მეხუთე ფასადს უწოდებს. ბერნის კონსერვაციის სპეციალისტები მიხვდნენ, რომ აუცილებელია ქალაქის ხასიათის ამ უმნიშვნელოვანესი კომპონენტის სიმრთელის დაცვა და აღრიცხვის ისეთი პროგრამის შემუშავება, რომელიც მარტოოდენ მას მოიცავს, ყველა წვრილმანითურთ.

ქალაქის სარდაფები როგორც მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტი ნაკლებადაა აღიარებული. ისინი დიდად ღირებული არქეოლოგიური რესურსია ქალაქის მიმდინარე ევოლუციის გასაგებად. ამავე დროს, რადგან როგორც ქალაქის წარსულის მოწამე, ისინი თვალს ნაკლებად ხვდება, ისინი ცვლილებათა მიმართ უფრო დაუცველია. ქალაქში მიწის ფასების მკვეთრმა ზრდამ ხელი შეუწყო სარდაფის სივრცეების გაზრდილ კომერციულ გამოყენებას. მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას იქ შემორჩენილ ისტორიულ ნაკვალევს, ხოლო მშენებლობის თანამედროვე სტანდარტები მოითხოვს არსებული მასალების ჩანაცვლებას, რათა უზრუნველყოს ზედა სართულების სტაბილურობა. გარდა ამისა, სარდაფების ახლანდელი გამოყენებისათვის აუცილებელია ზომების მიღება ნესტის და ტენიანობის წინააღმდეგ.

**დ. მიდგომა**

*სახურავების ზედხედი*

პროცესი შეიცნობს და ცდილობს ცხრილების სახით დააფიქსიროს სხვადასხვა ფაქტორი, რომელთაც შეუძლია შეეშველოს სახურავების ზედხედების დაცვას: ფიზიკური ფორმები და მასალები, კონსტრუქციები, ერთიმეორეზე განლაგებული ნაწილები (სამერცხლულები, მილები, ანტენები, საკვამურები, ცეცხლამრიდები, ტერასები, შუშის გადახურვები), და ინტერიერის სივრცის გამოყენება და მდგომარეობა.

ინვენტარიზაცია ეხება ყველა ობიექტს და აფიქსირებს როგორც ინტერიერის, ასევე ექსტერიერის მდგომარეობას. ეს იძლევა საშუალებას ქალაქის სახურავების ზედხედი განიხილებოდეს როგორც ინდივიდუალურ ერთეულებად, ასევე ერთ განუყოფელ მთლიანობად.

აღნუსხვის პროცესი მოიცავს დისტანციურ აგეგმილებას სტერეო-ფოტოგრამეტრული აპარატის საშუალებით, სამგანზომილებიანი სქემის მისაღებად და ხელით აღნუსხვას, სადაც დოკუმენტირებული იქნება დეტალები, სხვადასხვა მასალა და მდგომარეობა.

ეს პროცესი იმდენად ღირებული რამაა, რომ გამოქვეყნდა საზოგადოებისთვის გასაცნობად. *Berner Zeitschrift für Geschichte und Heinmatkunde,* Heft 1, 48, Jahrgang, 1986. - პუბლიკაცია ეძღვნევბოდა ბერნის კანტონის ისტორიის და ფოლკლორის სხვადასხვა ასპექტებს.

1979 წლის ქალაქის დაცვის განწესების თანახმად აღდგენითი სამუშაოების განაცხადში საჭიროა სახურავების ფორმების არსებული სილუეტის გათვალისწინება და შენარჩუნება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის პირველი განწესება ბერნში სახურავების ფორმის თაობაზე. 1405 წლის ხანძრის შემდეგ, რომელიც მთელ ქალაქს მოედო, მშენებლებს აგულიანებდნენ ხის სახურავის ყავარი შეეცვალათ თიხის კრამიტებით; მოგვიანებით, XVIII საუკუნეში, მუნიციპალური განწესების თანახმად, განისაზღვრებოდა სახურავების ქუჩისკენ შვერილობა, გადახურვათა განცალკავება და ქანობი.

სარდაფები

1958 წელს სამნავიანი სავაჭრო დარბაზის თაღოვანი სარდაფის სამწუხარო დანგრევის შემდეგ, ჩატარდა საცდელი კვლევითი სამუშაოები ამ, უმეტესწილად დაფარული რესურსების გამოსაკვლევად და მათი დოკუმენტაციის შესადგენად. კვლევა 14 წელი გაგრძელდა (1958-1972) და წარმოქმნა რწმენა, რომ აუცილებელია მთელი ისტორიული ქალაქის სარდაფების აღნუსხვა და მათი რუკების შედგენა.

სამი წლის განმავლობაში, 14,000 საათის მუშაობის შედეგი იყო 1,900 სარდაფის აღნუსხვა, რომლებიც მდებარეობა 750 სახლის ქვეშ. როგორც ქალაქის სახურავების შემთხვევაში იყო, აქაც აღნუსხვის შედეგად გაკეთდა როგორც ანაზომები (მასშტაბით 1 : 200), ასევე აღწერილობა, სადაც მითითებული იყო ისეთი დეტალები, როგორიცაა კედლების და იატაკის მასალა, შენების ტექნიკური ხერხები, თაღები და სხვ. ყველა სახის ახალი ინფორმაცია თავმოყრილია ერთ შეფასების უწყისში, სადაც მითითებულია ტიპოლოგია, კონსტრუქცია, ასაკი, ფორმა, მასალა, გვიანი ცვლილებები და მდგომარეობის გაუმჯობესების ვარიანტები.

წყარო:
*Berner Zeitschrift für Geschichte und Heimatkunde,*
Heft 1, 44, Jahrgang, 1982.

## 2. 2. ისტორიული და არქიტექტურული კვლევა

კვლევის პროცესის დასაწყებად, ჩვეულებრივ იწვევენ ისტორიკოსს. მკვლევარი ცდილობს მუშაობა ღირსშესანიშნავი ადგილის აგებისა და მასზე ცხოვრების წერილობითი მოწმობების ინტერპრეტაციის მცდელობით დაიწყოს, რაც არ აზიანებს თავად ობიექტს (ეს არ ითქმის, მაგ., არქეოლოგიაზე). ამიტომაც, სხვა სამეცნიერო დისციპლინების წარმომადგენლები ელოდებიან საბუთების შესწავლის დასრულებას და მერე ღა იწყებენ თავის საქმიანობას. მათი კვლევა (ასეა საერთოდ კვლევით საქმიანობაში) ყველაზე უფრო ნაყოფიერია მაშინ, როდესაც მკაფიოდ ჩამოყალიბულ საკითხებსა და საჭიროებებს პასუხობს.

კვლევის ფარგლებში ისტორიკოსის მცდელობა საფუძველს უნდა ამზადებდეს მის გასაგრძელებლად: რა კითხვები დარჩა უპასუხოდ? რა ჰიპოთეზები საჭიროებს შემდგომ შემოწმებას? ისტორიკოსების დახმარება, შესაძლოა, დროდადრო შემდგომშიც იყოს საჭირო, თუ ახალი ინფორმაცია – ან ასეთის არ არსებობა – მკვლევართა გულისყურს სხვა მხრივ მიმართავს.

ისტორიკოსის ნაშრომი შესაძლოა არქიტექტურის ისტორიკოსების კვლევამ შეავსოს, რომელთა ძირითადი საზრუნავი შენობათა სტილური გამომსახველობის და ტექნოლოგიური დონის უფრო ვრცელ კონტექსტში „დაბინავებაა“. მათი ანალიზი ადგენს იმ ელემენტებს, რომლებიც თამაშობს საკვანძო როლს ღირსშესანიშნავი ადგილის მემკვიდრეობისმიერი ხასიათის განსაზღვრაში. ასევე მნიშვნელოვანია არქიტექტურის ადგილზე შემსწავლელთა საქმიანობა, რომელთა დასკვნებს „მიწისზედა არქეოლოგიის წარმოებისას“ შეუძლია შეავსოს და დაასაბუთოს დოკუმენტური მასალა.

და მაინც, ადგილზე არქიტექტურული კვლევის უმთავრესი მიმართულება გულისხმობს შენობის ფიზიკური „ჯანმრთელობის“ და სტაბილურობის დადგენას ინსპექტირების, ტესტირების და ანალიზების ჩატარების გზით. ასეთმა დაკვირვებებმა შესაძლოა გადამწყვეტი წვლილი შეიტანოს შეკეთების პრიორიტეტების და სტრატეგიის განსაზღვრისას.

აქაც, როგორც კვლევის პროცესის სხვა მიმართულებებში, თუკი მნიშვნელოვანია ანსამბლის ცალკეული ერთეულების გაგება დავასაფუძვლოთ, ასევე არსებითია დავრწმუნდეთ, რომ ყველა დაკვირვება შეჯერებულია, ხოლო გამოყენების ხასიათი, საქმიანობა და ცვლილებები მთლიანად გამოკვლეული.

## 2. 3. არქეოლოგიური კვლევა

არქეოლოგია კულტურის გაგებას მიწის ქვეშ მდებარე კულტურული მასალის ანალიზის შედეგად მოიპოვებს. ვინაიდან იგი ანადგურებს მასალას, რომელსაც შეისწავლის (გათხრების დროს) და, აქედან გამომდინარე, ისტორიკოსის შრომისაგან განსხვავებით, იგი აღარ შეიძლება შესწორდეს, არქეოლოგები თავის სამუშაოებს განსაკუთრებული პროფესიული სიფრთხილით აწარმოებენ. მათ თანდაყოლილ სიფრთხილეს კიდევ უფრო აძლიერებს ნაპოვნის საბუნებისმეტყველო ანალიზის სწრაფი წინსვლა. იმან, რასაც ათი წლის წინ უბრალოდ მოისვრიდნენ, ახლა შეიძლება დიდძალი ინფორმაცია მოგვცეს. დასკვნა აშკარაა: რაც უფრო დიდ ხანს რჩება მასალა მიწის ქვეშ, მით უფრო უკეთესად გასაგები გახდება იგი მომავალში.

კარგად შედგენილი კვლევის გეგმა, გულდასმით ჩატარებული ისტორიული ანალიზი და არქეოლოგიური პოტენციალის სათანადო შეფასება საშუალებას აძლევს არქეოლოგს შემოიფარგლოს გათხრები უმცირესი შესამოწმებელი მონაკვეთით, რომელიც შეესატყვისება უპასუხოდ დარჩენილ საკვლევ კითხვებს.

გადარჩენის სამუშაოები (მაგალითად, საძირკვლის შეკეთებისას საჭირო ხდება მიმდებარე ნიადაგის მოშორება) ჩვეულებრივ მოითხოვს დაზიანების ზონიდან არქეოლოგიური მასალის მოცილებას.

არქეოლოგიური კვლევა არ არის იაფი საქმე. კვლევის ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იყოს ნაპოვნის ანალიზი და კონსერვაცია. არქეოლოგების პროფესიული ვალდებულებაა აღნუსხონ და გააანალიზონ ყოველი ნაპოვნის ბუნება და წარმოშობა, უზრუნველყონ ველზე არტეფაქსების რაც შეიძლება კარგი კონსერვაცია და ხანგძლივად შენახვის სტაბილური და ხელმისაწვდომი პირობები. ამას შეიძლება დასჭირდეს 2-4-ჯერ მეტი დრო და ბიუჯეტი, რაც თვით გათხრების წარმოებას სჭირდება.

ბოლო ათწლეულში, არქეოლოგიის შესაძლებლობამ უშუალოდ დააინტერესოს ურბანული საზოგადოება მათი წარსულის ნივთიერი შედგენილობითა და „სათქმელით“, მიიპყრო ძეგლთა დამცველების ადგილობრივი ჯგუფებისა და სააგენტოების ყურადღება. მრავალმა ქალაქმა წამოიწყო დიდი გაქანების პროექტები იმ ანგარიშით, რომ შერჩეული ღირსშესანიშნავი ადგილები განვითარდება და მიიღებენ მოგებას, ერთი მხრივ, მენაშენეს უნარზე დააფინანსოს კვლევა ობიექტის განვითარების ხარჯების ფარგლებში და, მეორე მხრივ, საზოგადოების წადილს ნებაყოფლობით დაეხმაროს განსაკუთრებით თვალსაჩინო და საფრთხის ქვეშ მყოფი ობიექტების გათხრებს.

განვითარების მოთხოვნაზე ამ ლამისაა უცაბედმა გამოხმაურებამ მსოფლიო მემკვიდრეობის ბევრ ღირსშესანიშნავ ადგილებში შთააგონა საზოგადოებრივი არქეოლოგიური პროგრამები გრძელვადიანი კვლევის სტრატეგიებზე გაემახვილებინა ყურადღება.

იმ ადგილების განხილვისას, რომლებიც შესაძლოა იმსახურებდნენ შესწავლას, გათვალისწინებული უნდა იყოს არქეოლოგების პროფესიული ვალდებულებები. მათი ვალია არა პოტენციურად საინტერესო ადგილის აუცილებელად გათხრა, არამედ, სწორედაც პირიქით, აწარმოონ მინიმალური გათხრები, კვლევის მნიშვნელოვან კითხებზე პასუხის გასაცემად.

## კონკრეტული შემთხვევების ანალიზი

## დ. 2. 3. არქეოლოგიური კვლევა

**კვებეკი, კანადა**

**წარდგენა და ინრეპრეტაცია**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

კვებეკი დაარსებული იყო სამუელ დე შამპლეს მიერ 1608 წელს, ახალ სამყაროში ფრანგული კოლონიური ექსპანსიის დასაწყისშივე. იგი მდებარეობს მდინარე წმ. ლოურენსს გადმომყურე დამრეცი ქანობის ზემო და ქვემო ნაწილებში. კვებეკის ტოპოგრაფიამ და ფუნქციებმა ერთად განსაზღვრეს ისეთი ურბანული ფორმა, რაც ახლაცაა ასახული გამაგრებულ ზედა ქალაქსა და ქვედა, საპორტო ნაწილშიც.

1759 წლამდე, ფრანგების მმართველობისას, განსაზღვრული იყო ქალაქის ორი ზონის ძირითადი ხასიათი – ქალაქის ქვედა, პორტის მიმდებარე ნაწილი ასრულებდა ქალაქის კომერციულ ფუნქციებს, ხოლო ზედა ქალაქს ეკისრებოდა ადმინისტრაციული და რელიგიური ფუნქციები.

თუკი XVII და XVIII საუკუნეებში განსაზღვრული ზოგადი მიმართებები დღემდე შენარჩუნებულია, დღევანდლამდე იმ პერიოდის ნაგებობების მხოლოდ მცირე რაოდენობამ – ძირითადად ზედა ქალაქის რელიგიურმა ძეგლებმა – მოაღწია. ახლანდელი გარეგნული სახე ქალაქმა უმეტესწილად XIX საუკუნის პირველ ნახევარში შეიძინა. სწორედ ამ პერიოდით თარიღდება ისტორიული უბნების შენობების თითქმის ნახევარი.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

კვებეკი მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად 1985 წლის დამლევს იქნა წარდგენილი იკომოს-ის მიმოხილვაში მითითებული ორი კრიტერიუმის საფუძველზე. იკომოს-მა მოიყვანა კრიტერიუმი IV და მიუთითა ქალაქის ისტორიულ რაიონზე, როგორც „ჰარმონიულ ურბანულ ანსამბლზე. . . რომელიც შეიცავს ციტადელს, ბასტიონის კედლებით დაცულ ზედა ქალაქს, და ქვედა ქალაქს, მისი

ნავსადგურით და ძველი უბნებით. იგი წარმოადგენს გამაგრებული კოლონიური ქალაქის შესანიშნავ ნიმუშს. . . ჩრდილოეთ ამერიკაში ყველაზე სრულად შერჩენილს.“ VI კრიტერიუმი ასევე მიესადაგება კვებეკს, რადგან „ახალი საფრანგეთის ყოფილი დედაქალაქია. . . რომელიც ასახავს მოსახლეობის და ამერიკის ზრდის მთავარ ეტაპებს ახალ და თანამედროვე პერიოდში.“

**3. კონტაქტი**

Mr. Serge Viau,
Ville de Québec,
2, rue des Jardins,
Case postale 700,
Québec, Québec,
Canada GIR 4S9
Tel.: (418) 691-6866
Fax: (418) 691-2346.

**ბ. ამოცანები**

- საზოგადოების გათვითცნობიერება, ბუნებისა და არქეოლოგიური მემკვიდრეობის სიმდიდრის დაფასების შეგრძნების გაღრმავება;
- არქეოლოგიური კვლევის და ღირსშესანიშნავი ადგილის შემდგომი განვითარების საზოგადოებისათვის განმარტება გათხრების წარმოების დროს და მათ შემდგომ;
- არქეოლოგიური კვლევის ინტეგრირება ქალაქის ურბანული განვითარების პროგრამაში.

**გ. კონტექსტი**

ქალაქი კვებეკი კანადის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური ადგილია. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის არსებობის 400 წლის მანძილზე მისი როლი ხშირად იცვლებოდა, იგი ყოველთვის რეგიონის განვითარების მთავარი ცენტრი ყოფილა. რადგან ის ჯერ ახალი საფრანგეთის, შემდგომ გაერთიანებული კანადების ქვედა კანადის და ბოლოს კი კვებეკის პროვინციის მთავარი ქალაქი იყო, მისმა პოლიტიკურმა დაწესებულებებმა არსებითი მემკვიდრეობა დატოვა, ხოლო ვინაიდან საპორტო ქალაქია – ერთ დროს ამერიკაში სიდიდით მე-3 – ნავსადგურისა და მისი თანმხელები შენობების სახელცვლილებებმაც. რაკი ის გამაგრებული ქალაქია, ისტორიულად დიდად ინფორმაციულია მისი თავდაცვითი ნაგებობანი (მათგან უადრესი — 1693 წლისაა). ის საეკლესიო ცენტრიცაა, გარდა ამისა, მისი ხასიათის ერთი განმსაზღვრელი წინათაც და ახლაც მუდამ განვითარებათი, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის ცენტრებია. და ბოლოს, არაჩვეულებრივად მრავალფეროვანი და მდიდარი აღნუსხული მასალა დაგვიტოვეს მაცხოვრებლებმა, რომლებიც მხარში ედგნენ ქალაქის ინსტიტუციონალურ და კომერციულ საქმიანობას.

ინტერესი ამ არქეოლოგიური სიმდიდრის მიმართ აშკარად გამოვლინდა ბოლო 25 წლის განმავლობაში. ამ პერიოდის განმავლობაში მიდგომაც შეიცვალა – ახლა მარტო განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტები კი აღარაა ყურადღების საგანი (როგორც, მაგ., 1970-იან წლებში), არამედ გამოიკვეთა გაერთიანებული სამეცნიერო, კორპორაციულ და სამთავრობო ინტერესები მთელი ისტორიული ნაწილის ობიექტთა გამოვლენისა და დამუშავების მიმართ. ამგვარ თანამშრომლობით მიდგომას და მრავალ, ხშირად დაპირისპირებული ინტერესის კოორდინაციის ხელმძღვანელობა ითავა და გაუწია ქალაქმა, რომელმაც 1985 წელს მოახერხა პირველად კანადაში შეექმნა არქეოლოგის საშტატო ერთეული.

**დ. მიდგომა**

კვებეკის პროვინციაში კულტურის დეპარტამენტისა და კულტურული ობიექტების აქტის სტრატეგია განსაზღვრავს დაცვის ისეთ დონეს და ხასიათს, რაც შეიძლება არქეოლოგიის ინტერესებსაც მიესადაგოს. და მაინც, კონსერვაციის სფეროში ბოლო ათწლეულის სტრატეგიის მიზანმიმართულების გათვალისწინებით – მოხდეს ადგილობრივი და რეგიონალური მთავრობებისათვის სპეციფიკური პროგრამების შემუშავებისა და ვალდებულების დელეგირება – არქეოლოგიური წამოწყებების დანერგვა დიდწილად მჭიდრო კავშირშია ქალაქთან. 1979 წლიდან მოყოლებული მთელმა რიგმა “ententes sur la mise en valeur des biens culturels” პროვინციასა და ქალაქს შორის, შესაძლებობა მისცა კვებეკს მოესაზღვრა ქალაქის არეები, სადაც უნდა შეეზღუდათ ურბანული განვითარების პროექტები და განევითარებინათ ის მონაკვეთები, რომელთა ინტერპრეტაცია პოტენციურად ღირსშესანიშნავია საზოგადოებისათვის.

ახლანდელი შეთანხმების პირობების თანახმად, კვებეკი დათანხმდა დაეცვა და გამოევლინა არქეოლოგიური მნიშვნელობის ელემენტები მუნიციპალურ საკუთრებაში მყოდ ფართობებზე. თუმცა ცდაც არ ყოფილა, გაეკონტროლებინა კერძო საკუთრებაში მყოფი ობიექტებიც (დამატებითი კანონებით კერ-

ძო პირთა კუთვნილი ღირსშესანიშნავი ადგილების გამოფენა-დაცვის თაობაზე). იგი მაინც კოორდინაციას უწევდა ურბანული განვითარების ყველა პროექტს, რაც შეთანხმების ფარგლებში ტარდებოდა. კვებეკი აფინანსებს ასეთი პროექტების ღირებულების 30%, ხოლო პროვინცია კი დარჩენილ 70%.

გარდა ამისა, ქალაქმა მიიღო ურბანული განვითარების გეგმა (1988 წ.) და კულტურული განვითარების სტრატეგია (1989 წ.), რომლებიც ასახავს ბოლო შეთანხმებით განსაზღვრულ მიმართულებას და რომელიც ხელს უწყობს კვლევას, კონსერვაციის სტიმულირებას, განვითარებას და არქეოლოგიური ობიექტების ინტერპრეტაციას.

შეთანხმების შედეგად მოპოვებული საკვლევი თანხები გადაეცა ლავალის უნივერსიტეტს ინტენდანტის სასახლის მიდამოსთვის 1982 წელს წამოწყებული საველე სასწავლო და საკვლევი პროექტის განსახორციელებლად, ასევე აღმოჩენილი არტეფაქსების ლაბორატორიული კონსერვაციისათვის.

პალეს მიდამო განსაკუთრებით მდიდარია, თვით კვებეკისათვისაც კი; მისი სამას წელზე მეტი ხნის ინდუსტრიული და ინსტიტუციონალური ისტორია შეიცავს ხუთ ძირითად ეტაპს, 1669 წელს ლუდსახარშის დაარსებით იწყება, და 1970 წელს მეორე ლუდსახარშის დანგრევით დასრულდა (ამ შუალედში აქ ყოფილა ინტენდანტის სასახლე და სამეფო საწყობები (1675 - 1759 წწ-ში), სხვადასხვა ტიპის ნაგებობები, მათ შორის ყაზარმებიც, საცხოვრებელი სახლებიც და პურსაცხობიც (1760- 1850 წწ-ში). ქალაქმა აქ არქეოლოგიური ინტერპრეტაციის ცენტრიც გამართა და 1989 წლის სექტემბერში ის გახსნა კიდეც — ასაწყობი კონსტრუქციით გადახურული 1200 მ$^2$.

ქალაქი ყოველთვის ცდილობს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს არქეოლოგიური კვლევა, რისთვისაც ხდება მიმდინარე გათხრების ინტერპრეტაცია. ამის მაგალითად გამოდგება თუნდაც დიფერენის ტერასაზე შატო სენ-ლუის ნაშთთა წარმოჩენის ცდა.

ინტერპრეტაციის პროგრამა, რომელიც ამ მიდამოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპებს ეხება არქეოლოგიურ სამუშაოებში მრავალი განსხვავებული მონაწილის წვლილზეა გათვლილი. ღირსშესანისნავი ადგილი, რომელიც ღიაა მნახველთათვის წელიწადში ექვსი თვის განმავლობაში, ადგენს პროგრამებს ტურისტებისა და ადგილობრივი სკოლის მოწაფეებისათვის. ქალაქის მემკვიდრეობის ინტერპრეტაციის სხვა დაწესებულებებსაც აქვთ შეტანილი თავის პროგრამებში არქეოლოგიური მასალა. მაგალითად, ცივილიზაციის მუზეუმში გამოფენილია მშენებლობის დროს აღმოჩენილი იალქნიანი გემი. ისტორიული რაიონის ტერიტორიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაადგილევები, როგორიცაა შამპლენის ნამოსახლარი (1624წ.), საგანგებო მოკირწვლითაა მონიშნული.

მოპოვებული ინფორმაცია საზოგადოებას სხვა საშუალებებითაც მიეწოდება. “Quebec: La Ville sous la Ville” წარმოადგენს ისტორიული ქალაქის არქეოლოგიის საუკეთესო პოპულარულ გამოცემებს, რაც ოდესმე გამოქვეყნებულა.

საბავშვო წიგნის გამოცემა, რომელიც ასახავს 1747 წლის ქალაქს, არქეოლოგიურად ზუსტ მონაცემებს ეფუძნება. საკოლეჯე კურსიც, რომელიც აუცილებელად უნდა გაიარონ ტურისტების გამყოლებმა, უახლესი პროექტებით შექმნილ დაწვრილებით არქეოლოგიურ სურათს მოიცავს.

ქალაქის პროექტებში არქეოლოგიური კვლევა კარგადაა ინტეგრირებული მემკვიდრეობის გეგმარების პროცესის სხვა ეტაპებთან; პროექტის მენეჯმენტისადმი მიდგომა თანამშრომლობითი ხასიათისაა, და ყველა მონაწილე ყევლა მხარის ინტერესებს ითვალსიწნებს და ათანხმებს. კვლევით სამუშაოებს თან ინტერპრეტაციაც სდევს, მშენებლობაც და საზოგადოების მხარდაჭერაც, რომელიც ყოველი ახალი წამოწყებისას უფრო ფართო ხდება.

გეგმარება და კვლევა კოორდინირებულია საკოორდინაციო კომიტეტის საქმიანობით, სადაც შედიან ქალაქის, პროვინციის კულტურის დეპარტამენტის და ლავალის უნივერსიტეტის წარმომადგენლები. შემოთავაზებული მოდელი, რაც უზრუნველყოფს პროექტების და სხვადასხვა ვალდებულებების და უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციების საქმიანობის შეთავსებადობას და შეთანხმებულობას, ძალზე მნიშვნელოვანია ისეთ ქალაქში, სადაც მთავარი ისტორიული ადგილების (ნავსადგური, სიმაგრეები) ფუნქციის ცვლილებებს ჩვეულებრივ ღირსშესანიშნავი ადგილის მფლობელების დაქსაქსვა მოაქვს.

1964 წელს დადგენილი ისტორიული რაიონის ტერიტორიაზე (რომლის საზღვრები შეესაბამება მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავ ადგილს) მენეჯმენტის მთავარი იარაღია კულტურული ობიექტების შესწავლა, რომელიც 1984 წელს დასრულდა. იგი წარმოადგენს ცნობილი და სავარაუდო ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ ყველა მონაცემის ერთობლიობას; კველევის შედეგები დაწვრილებითაა გადმოცემული პოპულარულ გამოცემაში, რომელსაც თან ახლდა გეგმა მასშტაბით 1: 3000. არქეოლოგიური პოტენციალის კვლევა კიდევ უფრო გაფართოვდა და მოიცვა მთელი რიგი ინტეგრირებული კვლევებისა, მათ შორის ქალაქის ყველა სახის ობიექტის ისტორიული, არქიტექტურული და არქეოლოგიური ანალიზი; განსაკუთრების საინტერესო მიდამოს ორი სანიმუშო კვლევა დასრულებულია და დატოვებულია საჩვენებელი თხრილები ნაპოვნის ნათელსაყოფად.

ქალაქში არქეოლოგიური კოლექციების მენეჯმენტიც თანამშრომლობითი მიდგომით ხორციელდება. ლავალის უნივერსიტეტი ატარებს არტეფაქსების ლაბორატორიულ კონსერვაციას; დამუშავებული კოლექციები ქალაქის არქივებშია დაცული; დაუმუშავებელი კოლექციები კი ინახება კულტურის დე-

პარტამენტის არქეოლოგიურ სარეზერვო ფონდებში.

ქალაქმა შეიმუშავა მიდგომა, როგორც დიდ, ისე მცირე პროექტების გარკვეულ კალაპოტში მოსაქცევად. გზის სამუშაოები ისტორიული რაიონის შიგნით გეგმიურად მოწმდება ქალაქის არქეოლოგების მიერ, რათა საჭიროებისამებრ უზრუნველყონ დაცვა, გადარჩენა ან მონიტორინგი. ასევე, არქეოლოგი ყოველივე საყურადღებო მუნიციპალურ მშენებლობასაც ზედამხედველობს. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ წარმატებული საქმიანობა ამ დონეზე საჭიროებს მუნიციპალური გეგმარების და საინჟინრო დეპარტამენტის მჭიდრო თანამშრომლობას.

*შენიშვნა:*
*ავტორი დიდ მადლიერებას გამოხატავს უილიამ მოსისადმი, მასალის მომზადებისას გაწეული დახმარებისათვის.*

## 2.4. ღირსშესანიშნავი ადგილის და ანსამბლის შეფასება

როდესაც კვლევითი სამუშაოები, რაგინდ ინტენსიობისა თუ გამოწვლილვითობის, დასრულდება, ღირსშესანიშნავი ადგილის უკეთესი წვდომა საშუალებას მოგვცემს სათანადოდ შევაფასოთ მისი მნიშვნელობა.

რასაკვირველია, მნიშვნელოვნება სულ სხვადასხვა რიგისა შეიძლება იყოს, არქიტექტურულ გადაწყვეტაშიც და ამა ჲთუ იმ ღირსშესანიშნავ ადგილთან დაკავშირებულ ისტორიულ ასოციაციებსა ანდა მის კონტექსტუალურ მიმართებაში. კვლევას და შეფასებას საუკეთესოდ საამისოდ გაწვრთნილი ადამიანები ჩაატარებენ. მაგრამ შეფასება ეფექტური რომ იყოს, ჩვეულებრივ საჭიროა ადგილობრივი მოსახლეობის ერთსულოვნება მოცემული ღირებულების მიმართ. კონსერვაციის პროცესში კონსენსუსის მიღწევა იძლევა საზოგადოების მხრიდან შედეგების დადებითი შეფასების საუკეთესო გარანტიას და ქმედების გრძელვადიან ალბათობას.

ისტორიულ ქალაქებსა და ურბანულ უბნებში ცალკე აღებული რომელიმე ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელობა შესაძლოა გაიზარდოს, ან, პირიქით, შემცირდეს ჯგუფთან მისი კავშირის რაგვარობიდან გამომდინარე. თავის მხრივ, ანსამბლის ღირებულება შეიძლება მისი შენობების სივრცესთან (იქნება ეს ქუჩა, თუ სხვა ტოპოგრაფიულ ერთეულები) კავშირიდან მომდინარეობდეს.

როდესაც მნიშვნელოვნება დადგინდება, საჭიროა რომ შეფასებისას ზუსტად იყოს მითითებული ის ფიზიკური ელემენტები, რომელნიც ამ მნიშვნელოვნების მატარებელია, რათა მათ, ვინც უნდა დაგეგმოს მომავალი სამუშაოები, ზუსტად იცოდნენ რითი იხელმძღვანელონ.

როგორც **დ. 2.** თავის დასაწყისშია მითითებული, შენობის თუ ღირსშესანიშნავი ადგილის კვლევის ანგარიში წარმოადგენს ადგილობრივი საზოგადოების „მემკვიდრეობითი რესურსების“ ან „ქონების“ ინვენტარიზაციის ფუძის ქვას. ასეთ ანგარიშებზე დამყარებული ინდივიდუალური შეფასებების შედეგების შეჯერება ავლენს მნიშვლელოვან და ნაკლებ მნიშვნელოვანი ნიმუშების ურთიერთშეფარდებებს და გვეხმარება ამ ურთიერთშეფარდებათა დაცვის მეთოდების შემუშავებაში.

შეფასება უნდა განიხილებოდეს, როგორც დროში ზღვარდაუედებელი პროცესი. ყველა სამოსახლოში მუდმივად ხდება ახალი ინფორმაციის და აღმოჩენების მოპოვება; ფასეულობის აღქმა იცვლება, იმისდა მიხედვით, როგორც იცვლება მანძილი ჩვენსა და წარსულის საჭიროებებს შორის და პირობებიც იცვლებას შორის. ინდივიდუალური კვლევისა და შეფასების შედეგად დადგენილი ურთიერთშეფარდებები უნდა წარმოადგენდეს რეგულარული ხელახალი ინტერპრეტაციის საგანს. და როგორც ეს საერთოდ ხდება კონსერვაციის დროს, სიფრთხილის წესიც უნდა გამოვიყენოთ: თუ ღირებულების თვალსაზრისით არსებობს რაიმე ეჭვი, ძეგლში ჩარევა უნდა შემოიფარგლოს იმ აუცილებელით, რაც მის გამაგრებას დასჭირდება; ხვალინდელმა საზოგადოებამ შესაძლოა ფასეულობა დაინახოს იქ, სადაც ჩვენ დღეს ვერ ვხედავთ.

## 2.5. მენეჯმენტის სისტემების და ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია

მუდმივად ღირებული აღწერილობები შეიძლება ეფუძნებოდეს შენობათა დეტალურად შესრულებულ ინდივიდუალური კვლევის პროექტების შედეგებს. წინასწარული აღწერილობა შესაძლებელია მანქანიდან ან ფეხით სიარულისას ჩატარდეს, იმ კითხვარის შევსებით, რომელიც წინასწარ იქნება შედგენილი. როდესაც ანგარიშის შედგენა დასრულდება, საინფორმაციო ბაზა შეგროვდება, აღმოჩენის ვითარება აღნუსხული იქნება, ნაპოვნი შეჯერებული და კატალოგიზირებული, ამის შემდეგ მნიშვნელოვანია ამ ინფორმაციის დაკომპლექტება ისე, რომ ის ადვილად ხელმისაწვდომი, გამოსაყენებელი და გასაგები იყოს.

ოც წელზე მეტი ხანია, რაც კომპიუტერები გამოიყენება ზოგიერთ რეგიონებში მონაცემთა შეგროვებასა და მენეჯმენტში დახმარების გასაწევად. ეროვნულმა კომპიუტერულმა საინვენტარიზაციო

სისტემამ, რომელიც შემუშავებული იყო კანადური პარკების სამსახურის მიერ 20 წლის წინ, სრულიად შეცვალა მონაცემთა შეგროვების წესი ამ რაიონში. სხვათაგან მრავალჯერ გადმოღებული, ისტორიული შენობების ინვენტარიზაციის კანადური სისტემის თავდაპირველი ვარიანტი, ახლაც წარმოადგენს შესანიშნავ მოდელს მათთვის, ვინც საჭიროებს სანდო, დაბალი ტექნოლოგიების და დაბალი ბიუჯეტის მიდგომას. იგი მრავალ სამართლებრივ დოკუმენტში გამოიყენებოდა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის უმრავლესმა ქალაქმა ვერ იპოვა სახსრები ან საშუალებები სისტემატიურად ჩაერთოთ ღირსშესანიშნავი ადგილების კვლევა საერთო სისტემაში, რაც დააკავშირებდა მათ სხვა მონათესავე კვლევებთან და უზრუნველყოფდა მასალის ადვილად ხელმისაწვდომობას. მაშინ, როდესაც ბევრს შეუძლია შეინახოს ინფორმაცია ობიექტის შესახებ ფაილებში, ცოდნის ბაზა ამ ფაილებში არის შეუთავსებათი და ძირითადად ეყრდნობა ყავლგასულ ინტერესებს ან იმას, რაც სპეციფიკური პროექტებისთვის იყო საჭირბოროტო.

ქალაქებს, რომლებმაც დაიწყეს დოკუმენტაციის მენეჯმენტის სისტემების თანმიმდევრული დანერგვა, ახლა შეუძლიათ არა მარტო უფრო ეფექტიურად და ნაყოფიერად განკარგონ თავისი ქონება, არამედ მათ ძალუძთ უფრო გასაგები გახადონ მათი განვითარება თემატური ურთიერთმიმართებების საშუალებით, რაც ღრმა და სერიოზული საკვლევი ბაზისაგან გამომდინარეობს. მაგალითად, რომში კომპიუტერიზებულ მონაცემთა ბაზის შექმნამ, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს შენობის გამოყენებას, მის გარეგნულ ფორმას და მდგომარეობას, მონაცემების, კადასტრის და ფოტოგრამეტრულ გეგმებთან ერთად, შესაძლებლობას აძლევს დამგეგმავებს მოკლე დროში გამოიკვლიონ შემოთავაზებული განვითარებების ყველა ასპექტი.

## კონკრეტული შემთხვევების ანალიზი

## დ. 2.5. დოკუმენტაციის მენეჯმენტის სისტემები და ინვენტარიზაცია

**რომი, იტალია**

**ინფორმაციის მენეჯმენტის სისტემა**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

რომი დაარსებული იყო ძვ. წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში. იგი იყო რომის იმპერიის დედაქალაქი ჩვენი წელთაღრიცხვით I საუკუნიდან V საუკუნემდე, მას აქეთ კი ქრისტიანული სამყაროს დედაქალაქი და პაპის საყოფელია. 1870 წელს იგი გახდა იტალიის გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი, ხოლო 1980 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქად იქნა დასახელებულ. რომი ახლაც მიჩნეულია განსაკუთრებული რელიგიური და პოლიტიკური მნიშვნელობის ქალაქად. ცოტა ქალაქს თუ მოეპოვება ასეთ შეზღუდულ ფართობზე ამ რაოდენობის მხატვრული ქმნილება რომლებიც უზარმაზარ გავლენას ახდენენ მსოფლიოს ხელოვნებასა და არქიტექტურაზე.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

პირველი შეთავაზება, რომელიც წარედგინა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტს განსახილველად, ეხებოდა მხოლოდ ავრელიუსის ხანის გალავანში არსებულ ანტიკური ხანის მთავარ ძეგლებს. აქ არ იყო გათვალისწინებული საფორტიფიკაციო ნაგებობები, შუა საუკუნეების ურბანული ქსოვილი, ან აღორძინების ხანის რელიგიური და სამოქალაქო შენობები. უფრო მეტიც, კედლებს მიღმა მდებარე, მაგრამ მასთან დაკავშირებული რაიონები, ისეთი როგორც ვია აპია ანტიკა, პონტე მილვო, კონსტანტინეს პერიოდის დიდებული ბაზილიკები და ქალაქი ვატიკანი, ასევე არ იყო ჩართული თავდაპირველ ნომინაციაში. რომის სიაში შეტანიდან ათი წლის შემდეგ საზღვრები გაფართოვდა და მოიცვა ურბან VIII-ის XVII საუკუნის გალავანი და პაპის კუთვნილი განსაკუთრებული მნიშვნელობის ზღუდის გარეთა ობიექტები.

რომი ნომინირებული იყო მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად I, II, III და VI კრიტერიუმების თანახმად.

**3. კონტაქტები**

Francesco Giovanetti,
Uffico speciale
per gli interventi sul

Centro Storico,
Piazzale Victor Hugo,
1, 00197 Rome,
Tel. 39.6.844.2787
844.282.

**ბ. ამოცანები**

- ინვენტარიზაციის ძირითადი მონაცემების სრული ინტეგრაცია კარტოგრაფულ სისტემასთან;
- ნაირგვარ მიმართებათა და ძიებათათვის ყველა სახის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაადვილება;
- ალტერნატიული განვითარების მეთოდების სამგანზომილებიანი მოდელების შექმნის საშუალების მიცემა;
- კონკურენტული ამოცანების მართვისადმი კოორდინირებული მიდგომის ხელშეწყობა.

**გ. კონტექსტი**

1977 წელს Commune di Roma-მ დააარსა "Ufficio speciale per gli interventi sul Centro Storico," როგორც კონსერვაციის სხვადასხვა დეპარტამენტის ინტერესების კოორდინაციის და ინტეგრირების სისტემა. მოცემულ პერიოდში ამ დაწესებულებას შტატში ჰყავს დაახლოვებით 60 მუშაკი, რომლებიც დაკავებული არიან რომის ავრელიანის კედლებს შიგნით მდებარე ისტორიული ძეგლების მოვლით, რაც წარმოადგენს ქალაქის მიწის ტერიტორიის 1%, და უდრის 1500 ჰექტარს.

ახალი ოფისის ერთ-ერთი ყველაზე გადაუდებელი აუცილებლობაა თავი მოუყაროს სხვადასხვა ტიპის მონაცემთა ბანკებს, რაც მოგვცემს ამოსავალს და დაგვეხმარება ქალაქის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გადაწყვეტილებების მიღებაში. 1984 წელს ჩატარდა სერიოზული სამუშაო მონაცემთა კოლიქციის და მენეჯმენტისთვის მიდგომის კომპიუტერიზებული ფორმის შესამუშავებლად, რაც დააკმაყოფილებდა ოფისის ყველა მოთხოვნას. ამ სისტემაზე მუშაობა ჯერაც მიმდინარეობს, მაგრამ ახლა იგი უკვე სხვადასხვაგვარი გამოყენების საშუალებასაც იძლევა.

**დ. მიდგომა**

ამ სისტემის შექმნაზე მუშაობს სამი პირისაგან შემდგარი გუნდი, ვისი ვალდებულებაცაა მთელი რიგი წყაროებიდან მოპოვებული მონაცემების შეგროვება და ბაზაში შეყვანა. რუკაზე დატანილი მონაცემები მიღებულია ორი წყაროდან: დროთა განმავლობაში ჩატარებული კადასტრული კვლევიდან და მიდამოს ფოტოგრამეტრიიდან. საკვირველი არ არის, რომ მონაცემთა ეს ორი წყება ხშირად განსხვავდება წერტილთა და სივრცის განსაზღვრაში. ასევე, მონაცემთა ტრადიციული გამოყენება, სხვადასხვა სპეციფიური ობიექტების მდგომარეობა და ტენდენცია დაკავშირებულია საერთო სისტემასთან რუკის ორიენტირებით.

როდესაც მონაცემთა შეგროვება კონკრეტულ სექტორში დასრულდება, სპეციალისტები ადვილად შესძლებენ დაისახონ მიკრო და მაკრო მასშტაბის დამატებითი მიზნები:

- გამოყენებასთან და სხვა ცვლადებთან დაკავშირებული მოდელების გამოცდა;
- საკითხები, რომლებიც ეხება ცალკეულ ბლოკებს, შენობებს ან ღირსშესანიშნავ ადგილებს, შეიძლება განხილული იყოს მათი ფიზიკური და სოციალური მახასიათებლების თვალსაზრისით.

განსაკუთრებული ეტალონური ღირებულების ადგილებში მონაპოვარნი შეიძლება ამოღებული იქნას და გამოქვეყნებული წიგნის ფორმით. დღესდღეობით ოფისმა გამოაქვეყნა რუკებისა და ცხრილების ტომი, სადაც მითითებულია საზოგადოებრივ მფლობელობაში მყოფი ისტორიული ცენტრის (რაც შეადგენს რაიონის 35%) ობიექტების მდებარეობა, ტიპი და ფიზიკური მახასიათებლები. განისაზღვრა საზოგადოებრივი მფლობელების ცამეტი ჯგუფი, სადაც შედიან მთავრობის სხვადასხვა დონის ხელისუფლება, უნივერსიტეტი, იტალიის ბანკი და ა.შ. მათი საკუთრებები წარმოდგენილია ცხრილის ფორმით, სადაც მითითებულია მისამართი, კადასტრის მითითება, ტოპოლოგიური მითითება, გამოყენება, მოცულობითი მაჩვენებლები, მიდამო, ზომა, სხვადასხვა შენიშვნები და 1:1000 მასშტაბის მიდამოს ტოპოგრაფია. მეორე მსგავსი ტომი, რომელიც მკლევარებისათვის არის გამიზნული, ახლა მზადდება გამოსაცემად.

სხვა მონაკვეთისათვის გამოიყენება აერო-ფოტოგრაფია, რომლის საშუალებით შეიქმნა სისტემაში ჩართული ფოტოგრამეტრული მონაცემები და მიდამოს მაღალი ხარისხის ფერადი ტაბულები, რომელთა ხარისხი იძლევა მათი გამოქვეყნების საშუალებას. დაგეგმილ ტომში შევა გულდასმით დეტალიზებული

მომენტალური ფოტოები, რაც ასახავს ქალაქის ცოტა ხნის წინანდელ და არც თუ კანონიერ ცვლილებებს და შემდგომში რამდენიმე წლისათვის სარწმუნო ამოსავალი ვიზუალური მასალა გახდება.

სისტემა შეიქმნა იმისთვისაც, რომ გააერთიანოს ცალკეული ფასადების და მიმდებარე ადგილების (ერთხელ უკვე აღნუსხული) სამგანზომილებიანი გამოსახულებები იმ მიზნით, რომ შესაძლებელი იყოს დადგინდეს შემოთავაზებული ცვლილებების გავლენა არსებულ კონფიგურაციაზე. როგორც დამატება პროექტირების ამ ხერხისა და საინფორმაციო მონაცემთა ბაზისთვის, დაახლოვებით 80,000 საარქივო დოკუმენტი, ისტორიული შენობების ნახაზი და გეგმა იქნა აღნუსხული ლაზერულ დისკზე ვიდეოკამერის მეშვეობით. მონაცემთა ბაზაზე შესდგა ამ გრაფიკული დოკუმენტების კატალოგი, რომელიც შეიძლება ჩაიტვირთოს კომპიუტერში.

*შენიშვნა:*
*ამ მასალის შესწავლაში დახმარება გაგვიწიეს იუკა იოკოლეტომ, ფრანჩესკო ჯიოვანეტიმ და "Ufficio speciale per gli interventi sul Centro Storico"-ს წარმომადგენელმა ეუჯენიო ბალდარიმ.*

## *3 პრინციპები და სტანდარტები*

ურბანული ანსამბლების დაცვის გაუმჯობესებისათვის შემოთავაზებული წინადადებების ვარგისიანობის დადგენის კრიტერიუმები ძირითადად ორ რასმე ემყარება – თვით ამ ღირსშესანიშნავი ადგილის ღირებულებებს და ყველასგან მიღებულ შეხედულებებს იმის თაობაზე, რა საშუალებებია შესაფერისი ამა თუ იმ ღირებულების მოვლა-პატრონობისათვის. ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ პრინციპებად იწოდება, ხოლო თუ ისინი სპეციფიკურ, მოსაზღვრულ მიზნებსაა შეფარდებული - სტანდარტებად;

ზედმეტი არ იქნება გადავხედოთ ამ თეორიული შეხედულებების ერთობლიობას, შემუშავებულს ისტორიულ კვარტალებთან მიმართებაში სამი კუთხით:

1. დროთა განმავლობაში შემუშავებული და სამთავრობო დოკუმენტებში ჩართული ურბანული კონსერვაციის გლობალური პრინციპები;
2. პრინციპები, რომელნიც შეეხება არსებულ ღირსშესანიშნავ ადგილებს, მოცემული სახელმძღვანელო წესებში ცვლილებების შესაფერისი მიმართულებით წარსამართავად და გასაძღოლად;
3. პრინციპები, რომელნიც შეეხება ახალ შენობებს, ჩვეულებრივ მოცემული სახელმძღვანელო წესით – მათი დანიშნულებაა ძველ განაშენიანებაში გაჩენილი სიცარიელეების შევსების პროექტების კონტექსტისადმი თანახმიერებაში მოყვანა.

## 3.2. პრინციპები და ქარტიები

ურბანული ანსამბლების განვითარებისა და კონსერვაციის პრინციპების გამოყენებისადმი მზარდი ინტერესი დეტალურადაა აღწერილი ამ სახელმძღვანელოს **ბ** თავში.

საერთაშორისო ქარტიებში მოყვანილია ზოგადი მითითებები, ურბანული თუ სხვაგვარი ღირსშესანიშნავი მნიშვნელოვანი ადგილების მოფრთხილების უძირითდეს საკითხებთან დაკავშირებით. თითოეული მათგანი სარგოა, მაგრამ მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში, რაკიღა განსაზღვრული დროისა და გარემოებების კონტექტშია შემუშავებული.

იმისათვის, რომ კონსერვაციის პრინციპები ყველა ცალკეულ ურბანულ გარემოს მიუსადაგოთ, სასარგებლო იქნება ყველა სამოქალაქო იურისდიქციამ შექმნას თავისი საკუთარი ქარტია – ადგილობრივი ვითარებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მკაფიოდ ჩამოყალიბებული დებულებები, ენითა და კილოთიც საკუთარ უმწვავეს გასაჭირს მორგებული.

როგორც ჩანს, არსებობს კონსერვაციის მხოლოდ ერთი უნივერსალური, ყველა ვითარებაში გამოსაყენებელი პრინციპი. კონსერვაციის გადაწყვეტილებები გაზიარებული უნდა იყოს ერთზე მეტი სპეციალისტის მიერ. ამ პრინციპის აღსრულება უმთავრესი ამოსავალი უნდა იყოს დიდი ფასეულობის ისტორიული ქალაქების ურბანული კონსერვაციის პროგრამებისათვის.

# კონკრეტული შემთხვევების ანალიზი

## დ. 3.1. პრინციპები და ქარტიები

**ბათი, გაერთიანებული სამეფო**

**ბათის მანიფესტი**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

თანამედროვე ბათი განლაგებულია რომის პერიოდის აკვა სულის ნაქალაქარზე, რომელიც აშენდა ახალი წელთაღრიცხვით 60 წელს იმ წყაროების ადგილას, სადაც ახლაც მოიპოვებენ მილიონ ლიტრზე მეტ ცხელ წყალს დღეში. რომაულ ქალაქში ცხოვრება არ შეწყვეტილა, შუა საუკუნეებში ქალაქი იქ წარმოებული შალეულობის, რევმატიზმით დაავადებულთათვის საავადმყოფოსა და რელიგიური გავლენით გამოირჩა.

და მაინც, ქალაქის მნიშვნელოვნება განპირობებულია XVIII საუკუნეში მისი ხელახალი დაბადებით ჯონ ვუდის (უმცროსი და უფროსი), რალფ ალენისა და რიჩარდ „კოპწია“ (“Beau”) ნეშის თაოსნობით, რომლეთაც თავისი არქიტექტურული მოღვაწეობით სურდათ ექციათ ბათი მინერალური წყლების მოდურ კურორტადაც და ევროპაში ერთერთ ყველაზე ლამაზ ქალაქადაც, სადაც არქიტექტურა და ლანდშაფტი ჰარმონიულად იქნებოდა შერწყმული და სიამოვნებას მიანიჭებდა სამკურნალოდ ჩასულთ. მათ ქალაქს შესძინეს კლასიკური განლაგება. ჯონ ვუდი უფროსის 1729 წლის დედოფლის მოედანი (Queen Square) და მისივე 1754 წლის მეფეების მოედანი (Kings Circus) წარმოადგენენ პალადიური ორდერის ნიმუშს. მისი შვილის ჯონ ვუდ უმცროსის მოედანი „სამეფო ნახევარმთვარე“ (1767-1776) ასახავს უფრო რომანტიულ ნეო-კლასიკურ სტილს, რომელმაც შემდგომი განვითარება ჰპოვა 1771 წლის სამეჯლისო დარმაზებში და ტომას ბოლდუინის 1799 წლის წყლის ტუმბოების დარბაზში.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

ბათი ნომინირებული იყო მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად გაერთიანებული სამეფოს მიერ, 1986 წლის დეკემბერში, ხოლო დამტკიცებული იყო მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ 1987 წლის დეკემბერში.

ნომინაცია ეყრდნობოდა IV კრიტერიუმის პუნქტს არქიტექტურული ანსამბლის განსაკუთრებული ნიმუშის თაობაზე, სადაც ასახულია ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპი.

ნომინაციაში ყურადღება გამახვილებული იყო ქალაქის მართვის 1984 წლის დაუმტკიცებელი გეგმის სიაში შეტანილი 4900 შენობის დაცვის აუცილებლობაზე და იმ მნიშვნელოვანი ანსამბლების დაცვაზე, რომლებიც განლაგებული იყო ქალაქის ცენტრის მოშორებით (მაგ., პრაიორ პარკი). ბათის ადგილობრივი გეგმა მიღებული იყო 1990 წელს, როგორც ქალაქისათვის კანონის ძალის მქონე დოკუმენტი.

**3. კონტაქტი**

Mr. Colin Fudge,
Director of
Environmental Services,
Bath City Council,
Abbey Chambers, Bath,
United Kingdom BAI INT,
Tel.: 0225-46111,
Fax: 0225-448536.

**ბ. ამოცანები**

- ბათის იმ განსაკუთრებული თვისებების ნათელყოფა, რის საფუძველზეც იგი იყო ნომინირებული მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად და გეგმარებისას ყურადღების ამ თვისებების დაცვის საშუალებებზე გამახვილება.
- ბათის კონკრეტული ვითარების და დამახასიათებელი ნიშნების შესაფერისი ქარტიის (ან სახელმძღვანელო პრინციპების) ჩამოყალიბება, რაც 1990 წლის ქალაქის გეგმის მიმოხილვაში „მანიფესტადაა“ წოდებული.

**გ. კონტექსტი**

ბათი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ისტორიულ ურბანულ გარემოს გაერთიანებულ სამეფოში. ამას ამტკიცებს ისიც, რომ იგი არის ერთადერთი ქალაქი გაერთიანებულ სამეფოში, რომელიც შეტანილია მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში.

შეიძლება ითქვას, რომ ბათი, კონსერვაციის თვალსაზრისით ისევე გულდასმით არის შესწავლილი, როგორც ნებისმიერი არქიტექტურულად მნიშვნელოვანი ევროპული ქალაქი. წიგნები *Bath, a Study in Conservation,* გამოქვეყნებული 1968 წელს; *Yesterday's Tomorrow. Conservation in Bath,* გამოქვეყნებულ 1975 წელს; *Saving Bath,* გამოქვეყნებული 1978 წელს – შეიცავს მდიდარ დოკუმენტაციას და ვრცელ კომენტარებს ქალაქის მემკვიდრეობისმიერი ქონების, პრობლემების და მათი შესაძლო გადაწყვეტის შესახებ. და მაინც, როგორც აჩვენებს ორი ადგილობრივი მხარდამჭერი საზოგადოების მოქმედების გაშლა და მიზანსწრაფულობა, მიუხედავად კონსერვაციის სფეროში მომუშავე ადამიანების ქმედითობის დიდი გამოცდილებისა და მაღალი პროფესიონალიზმისა, კონსერვაციის აუცილებლობა ყოველთვის იმდენად ნათელი არ ყოფილა ადგილობრივი მოსახლეობისათვის და არჩეული ოფიციალური პირებისათვის, რათა მათ დაეცვათ ბათის თვისებები უგულველყოფისა ან გადასხვაფერებისგან.

ამ კუთხით და ქალაქის საბჭოს ადგილობრივი გეგმის კონტექსტში, გეგმარებაში მომუშავე პირებმა ისარგებლეს მსოფლიო მემკვიდრეობის სიით შემოთავაზებული შესაძლებლობებით და საზოგადოების ყურადღდება მიაპყრეს ქალაქის მნიშვნელოვანი თვისებების გადაჭრითა და მუდმივად მოფრთხილების აუცილებლობას. მანიფესტი მხოლოდ ახლახან გამოქვეყნდა, ასე რომ, მისი ზეგავლენა მომავალში გამოჩნდება.

**დ. მიდგომა**

მანიფესტი საკვანძო ელემენტადაა ჩართული ბუკლეტში, რომლის სათაურია „1990 წლის ქალაქის გეგმის მიმოხილვა." მის გამოქვეყნებას საზოგადოების გარკვეული რეაქცია უნდა გამოეწვია.

თავიდან ბუკლეტში ჩამოყალიბებულია სამი ძირითადი საკითხი, რაც განხილვას საჭიროენს:

1. კონსერვაციის სტრატეგიის აუცილებლობა, რაც მოიცავს ლანდშაფტებსაც, საქმიანობასაც და ისე „ნაშენ ქსოვილსაც";
2. ახლებური განვითარებისა და ტრანსპორტის მოზღვავების საპასუხო მოქმედების საჭიროების ზრდა;
3. განვითარებისათვის შესაფერისი მიწების საზღვრების დადგენის აუცილებლობა.

დოკუმენტში ჩამოყალიბებულია მიმოხილვის შვიდი ძირითადი საკითხი, რაც მანიფესტის მიზანმიმართულებიდან და ზემოაღწერილი საჭიროებიდან გამომდინარეობს. ეს საკითხები შეიცავს ცალობით ვაჭრობას, სამუშაო ადგილებს, მნახველებს, თავისუფალ დროს, ტრანსპორტს, საბინაო მშენებლობას და გარემო პირობებს.

ბუკლეტში წარმოდგენილია თითოეული მიმართულებით წარმოშობილი კონფლიქტები და კითხვები, ხოლო უფრო დეტალურად ისინი წარმოდგენილია დაგეგმვის დოკუმენტში.

**მანიფესტი**

იმისთვის, რომ განისაზღვროს, თუ რას ნიშნავს მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსი ქალაქ ბათისათვის და ქალაქის საბჭოსთვის, მომზადდა განცხადება მოვალეობათა და განზრახულობათა თაობაზე, რაც შეადგენს ქალაქის გეგმის მიმოხილვის მთავარ აზრს.

ქალაქის საბჭო კისრულობს ვალდებულებებს, რაც მას დაეკისრა მას შემდეგ, რაც ქალაქი ბათი იუნესკო-ს მიერ დასახელებული იყო მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავ ადგილად.

იგი განიხილავს ამ სტატუსს, როგორც უძირითადეს ამოსავალს განვითარების ყველა სახის წინადადებაზე პასუხის გაცემისას და გააგრძელებს ქალაქის დაცვას და მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას იმდენად, რამდენადაც კი ეს არის მის შესაძლებობებში და რესურსებში.

(I) ეს მანიფესტი წარმოადგენს ქალაქი ბათის საბჭოს მოვალეობათა განცხადებას ქალაქის კონსერვაციის და დაცვის შესახებ და საბჭოს მიერ პასუხისმგებლობის აღიარებას, როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის დამცველისას. ვიმედოვნებთ, რომ საბჭოს ანგარიშებში და პუბლიკაციებში მას ხშირად გაიხსენებენ, ხანგამოშვებით კი ხელახლა დაამტკიცებენ, რათა ბათის მოქალაქეებს და მათ მიერ არჩეულ წარმომადგენლებს ყოველთვის კარგად ესმოდეთ თავისი მოვალეობანი.

(II) **მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილი.** ქალაქი ბათი შეტანილი იყო იუნესკოს მსოფლიოს ღირსშესანიშნავი ადგილების სიაში 1987 წლის დეკემბერში. ეს ნიშნავს, რომ მთელი ქალაქი აღიარებული იქნა „განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულების მქონედ ისტორიული, ესთეტიკური, ეთნოლოგიური და ანტროპოლოგიური თვალსაზრისით."

(III) **ისტორიული ბათი.** მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ბათი ცნობილია, როგორც გეორგიანული სტილის ქალაქი, მისი შემადგენელი არქეოლოგიური და არქიტექტურული ქსოვილი მისი არსებობის სხვადასხვა პერიოდებით თარიღდება. ბათი შესაძლოა უფრო კარგადაა ცნობილი თავისი გეორგიანული ტერასებით, გადრეკილი ქუჩებითა და მოედნებით, მაგრამ მისი შემადგენელი სხვა ელემენტები, როგორიცაა რომაული აბანოები, ქუჩების შუა საუკუნეების განლაგება ძველი ქალაქის გალავანსშიგნით და ვიქტორიანული ვილები, ასევე მნიშვნელოვნ წილად აყალიბებენ მის უნიკალურ ურბანულ ფორმას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ღია სივრცეები, ზოგი ბალახის საფარით, ზოგი მოკირწყლული, ზოგი საზოგადოებრივი, ზოგი კერძო მფლობელობაში მყოფი, შენობებს შორისა თუ მათ უკან. მათ ისეთი წვლილი მიუძღვით მემკვიდრეობაში, რომ მათი მოვლა და შენარჩუნება აუცილებელია.

(IV) **ბათი დღეს**. მიუხედავად იმისა, რომ კონსერვაციის აუცილებლობა ყველასგანაა აღიარებული, ბათი განიცდის ზრდისა და ცვლილებების მნიშვნელოვან კომერციულ ზეწოლას. ამის მთავარი მიზეზი წარმოადგენს გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობების შექმნა, დასაქმება და ქალაქის მაცხოვრებელთათვის დასვენების და გართობის ადგილების ორგანიზებაა. და იმის სურვილიც, რომ ბათი გახდეს სუბ-რეგიონალურ სავაჭრო ცენტრი. ზეწოლის სხვა წყაროს წარმოადგენს ტურისტების რაოდენობის უწყვეტი ზრდა.

(V) ქალაქის საბჭო აღიარებს, რომ ბათი არ არის მუზეუმი და რომ მოქალაქეების საჭიროებანი და მისწრაფებები ვერ იქნება დაკმაყოფილებული გარკვეული ცვლილებების გარეშე. მიუხედავად ამისა, საბჭო დარწმუნებულია, რომ აუცილებელია კონსერვაციის მოთხოვნების გათვალისწინება, და რომ იგი მუდმივად უნდა ცდილობდეს წინ აღუდგეს ისეთ განვითარებას, რაც საფრთხეს შეუქმნის ქალაქის, როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანისნავი ადგილის სტატუსს. საბჭო თვლის, რომ ამის მისაღწევად საჭიროა მიღებული და დანერგილი იყოს ისეთი სტრატეგია, რომელიც უფრო ეფექტიურად შეზღუდვას განვითარებას, ვიდრე ეს ძალუძდა მწვანე სარტყელს და საკონსერვაციო არეალების სტრატეგიას წარსულში.

სტრატეგიის შემდგომი დებულებები უნდა განიხილებოდეს როგორც სახელმძღვანელო მითითებები, განვითარებასთანა და ცვლილებებთან მიმართებით:

1. განვითარების ან მენეჯმენტის წინადადებების განხილვისას, ქალაქის საბჭო ვალდებულია გაითვალისწინოს ისტორიული ქსოვილის დაცვა. განვითარების ყველა ახალი წინადადება უნდა ემსახურებოდეს ბათის ქსოვილის და ლანდშაფტის შენარჩუნებას და გამოკვეთას.
2. ქალაქის საბჭო მიიჩნევს ბათის როგორც მთლიანი ქალაქის მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის სტატუსს, იმ უძირითადეს ამოსავალს გეგმარებითი ნებართვებისა და ძეგლად აღიარებულ შენობათა გამო ნებართვების გაცემისას.
3. რაზომათაც მას ძალა შესწევს მართოს ცვლილებები, ქალაქის საბჭო მიმართავს ცვლილების ყველა მოთხოვნიებას იქითკენ, რომ შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს ბათის ქსოვილი და ლანდშაფტი.
4. საბჭო განსაზღვრავს და მონიტორინგს გაუწევს ქალაქში შენარჩუნებასა და ადაპტაციას შორის თანაბართობას, ბათის მოქალაქეების საერთო კეთილდღეობისათვის.
5. საბჭო აღიარებს ისეთ სტრატეგიას, რაც მიმართული იქნება ქალაქის ქსოვილის და ლანდშაფტის შენარჩუნებისაკენ და, ამავე დროს, შეეცდება შეუფარდოს მას სოციალური, კულტურული და ეკონომიკური საკითხები.
6. მანიფესტი შეიძლება გადაიხედოს ან განახლდეს საჭიროებისდა მიხედვით, რომ შეესაბამებოდეს ცვლილებების გაუთვალისწინებელ ან მოულოდნელ მოთხოვნილებას და ქალაქის საბჭოს სათანადო მოვალეობებს დაიცვას მთელი ქალაქის მემკვიდრეობა, რაც ხანგამოშვებით ხელახლა უნდა იქნეს დამტკიცებული.

მანიფესტი გამოქვეყნებულია 1990 წლის ქალაქის გეგმის მიმოხილვაში.

დოკუმენტი განსაზღვრავს შვიდ განსახილველ საკითხს, რაც გამოდინარეობს მანიფესტის მიზანდასახულობისა და ზემოთ აღწერილ საჭიროებებიდან. აქ შედის საცალო ვაჭრობა, სამუშაო ადგილები, მნახველები, თავისუფალი დრო, ტრანსპორტი, საბინაო მშენებლობა და გარემო პირობები.

ბუკლეტში წარმოდგენილია თითოეული მიმართულებით წარმოშობილი კონფლიქტები და კითხვები, ხოლო უფრო დეტალურად ისინი წარმოდგენილია დაგეგმვის დოკუმენტში.

*შენიშვნა:*

*განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ბატონ ქრისტოფერ ფაუნდს, სტრატეგიის, კონსერვაციის და ლანდშაფტების მოვლის დორექტორის მოადგილეს, რომ მან არ დაიზარა და გადაათვალიერა და შეასწორა ბათის შესახებ თავდაპირველი ტექსტი.*

## დ. 3.1. პრინციპები და ქარტიები

**სპლიტი, იუგოსლავია**

**კონსერვაციის კონცეპცია და პრინციპები**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

დღევანდელი ქალაქი სპლიტი წარმოადგენს დალმაციის მთავარ ადმინისტრაციულ, კულტურულ და ეკონომიკურ ცენტრს. მისი ძირითადი ისტორიული და არქიტექტურული ღირებულებებს წარმოადგენს დიოკლეტიანეს დროინდელ რომაული სასახლე, რომელიც თარიღდება ჩვ.წ. 300 წლით, სათავდაცვო ნაგებობები, ქუჩები, მოედნები და არქიტექტურულ ელემენტები, რაც აყალიბებდა ქალაქის სტრუქტურას მისი არსებობის სხვადასხვა ხანაში ვიდრე დღევანდელ დღემდე. რომის პერიოდის ბირთვისა და დიოკლეტიანეს მავზოლეუმის, ტაძრის, სვეტნარისა და კარიბჭის გარდა, – მრავალთაგან ამათი ხსენებაც კმარა, – აქ წინა-რომანული ეკლესიები, რომანული სახლები, საკათედრო ტაძარი და მისი სამრეკვლო, გუთური სასახლეები და აღორძინების ხანის და ბაროკოს შენობები.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

სპლიტი ნომინირებული იყო მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად 1979 წელს.

სპლიტის ქალაქის ბირთვი წლების განმავლობაში დიოკლეტიანეს რომაული სასახლის ნაფუძარზე შენდებოდა, რის შედეგადაც უნიკალური ისტორიული დანაშრევი მივიღეთ.

**3. კონტაქტი**

Dr. Tomislav Marasovi
Prorector,
University of Split
Livanjska 5/1
58000 Split, Yugoslavia
Tel.: (058) 49-966
Fax: (058) 49-968

**ბ. ამოცანები**

- სპლიტის ისტორიის სხვადასხვა პერიოდების ამსახველი არქიტექტურული ელემენტების ერთიანობის გამოკვეთა ისეთი მიდგომით, რაც დაიცავს ამ ისტორიის ყველა კვალს.
- ინტერვენციის ისეთი მეთოდების შემუშავება და მიღება, რაც გაითვალისწინებს ზემოხსენებულ ამოცანას.

**გ. კონტექსტი**

სპლიტის შემთხვევაში მნიშვნელოვანია გავიაზროთ ამ ადგილზე ერთიმეორეს მომდევნო პერიოდების ინტეგრაციის ხარისიც. სასახლის გაუქმების შემდგომ სპლიტის ურბანული განვითარება ამ ადგილზე თითქმის უწყვეტი ცხოვრებითაა დაღდასმული. როდესაც ჩვ.წ. 614-615 წლებში დაინგრა

ქალაქი სალონა, მისი მაცხოვრებლები გაიხიზნენ სპლიტში და თავი შეაფარეს იმპერატორის სასახლის ნანგრევებს. არქიეპისკოპ იოანე რავენელის მიერ დალმაციის ეკლესიის აღდგენის შემდეგ, სასახლე გადაიქცა ეპისკოპოსის რეზიდენციად. სპლიტში შესაძლებელი გახდა იმპერატორის სასახლის ნარჩენების ხელახალი კულტურული გამოყენება (ჩრდილო და დასავლეთ კარიბჭეების თავზე განთავსებული წმ. მარტინის და წმ. თევდორეს ეკლესიები, საკათედრო ტაძარი დიოკლეტიანეს მავზოლეუმში და სხვ.). ბიზანტიის მმართველობის პერიოდში, ისევე როგორც ეს იყო ხორვატელი მეფეების დროს (X და XI საუკუნეები), ნანგრევებში საცხოვრებელი სახლები ჩადგეს და სასახლე თანდათანობით შუა საუკუნეების ქალაქად გადაიქცა. ამავე დროს, სასახლის დასავლეთით ვითარდებოდა ახალი ქალაქი, რომლის ფართობი დაახლოვებით იგივე იყო, რაც სასახლისა. შედეგად, სპლიტი დღესაც წარმოადგენს გვერდიგვერდ განლაგებული ორი ქალაქგეგმარებითი სისტემის იშვიათ მაგალითს: ერთში გამოიკვეთება ანტიკური გეგმარება, ხოლო მეორე უფრო სპონტანურად არის ორგანიზებული.

დიოკლეტიანეს სასახლეს დაახლოვებით 30,000 კვ.მ ფართობ უჭირავს და მოიცავს:

1. ჩვ.წ. III – IV საუკუნეების მიჯნაზე აგებული სასახლის ნანგრევებს. იგი წარმოადგენს გვიანანტიკური პერიოდით დათარიღებული იმპერატორის რეზიდენციებიდან ყველაზე კარგად დაცულ მაგალითს. გალავანი, დამცული კოშკებითა და ორმაგი კარიბჭეებით, ძალზე კარგადაა შემორჩენილი. სამხრეთ სექტორში განლაგებული იმპერატორის აპარტამენტების ნანგრევები – მათი სუბსტრუქციები საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია – ისინი 50 კამაროვან ოთახს მოიცავს. აპარტამენტების ჩრდილოეთით მდებარეობს პერისტილი – ღია სვეტნარშემოვლებული ეზო; დიოკლეტიანეს მავზოლეუმი, დიდი ზომის რვაკუთხა, სვეტებით გარშემორტყმული შენობა, რომელიც თითქმის მთლიანად შემორჩენილია; იუპიტერის ტაძარი და რომაული აბანოების ნანგრევები. ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებში ჩვენ ვხედავთ სვეტებით შემოსაზღვრული ძველი ქუჩების ნარჩენებს ან სვეტებიან გალერეებს და მრავალბინიანი სახლების ნანგრევებს, სადაც მსახურები და ჯარისკაცები ცხოვრობდნენ.

2. შუა საუკუნეების და უფრო გვიანი პერიოდების ძეგლებს და არქიტექტურულ ელემენტებს, რაც თანდათან შენდებოდა ანტიკური სასახლის ტერიტორიაზე, ხოლო დღეს კი შეადგენს ქალაქის უძველეს არქიტექტურულ ორგანიზმს. ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლებია:

   - ადრე შუა საუკუნეების შენობებსა და ქანდაკებებს – IX-XI საუკუნეების ადრე ხორვატული ხელოვნების დამახასიათებელი ნიმუშებს;
   - XII-XIII საუკუნეების რომანული ნაგებობების, კერძოდ, საკათედრო ტაძარს თავისი რომანული არქიტექტურით და ქანდაკებით; სახლებსა და სასახლეებს, რომელთაგან ბევრი მთლიანად, ან ნაწილობრივაა შემორჩენილი;

- გვიანი გუთურ ძეგლებს (XV საუკუნის „ალმოდებული“ გუთური სტილის სასახლეები და რელიგიური სკულპტურა);
   - შუა საუკუნეებისა და XVII საუკუნეების ფორტიფიკაციული ნაგებობებს;
   - XVI და XVIII საუკუნეებში აგებული რენესანსის და ბაროკოს სტილის სასახლეებს.

**დ. მიდგომა**

დიოკლეტიანეს სასახლე არ არის მხოლოდ და მხოლოდ არქეოლოგიური ძეგლი. მისი განსაკუთრებული ღირებულება მის უწყვეტ გამოყენებაშიც მდგომარეობს – ჯერ იმპერატორის რეზიდენციად, მერე კი შუა საუკუნეების დასახლებულ ქალაქად, ხოლო ბოლოს კი მთავარი ქალაქის ურბანულ ცენტრად, რომელიც უკვე თითქმის 17 საუკუნეა აგრძელებს თავის უწყვეტ არსებობას.

1958 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, სასახლის მონუმენტური ანსამბლი შეიცავდა 221 შენობას, 497 სახლს და 3,052 მოსახლეს, რაც მეტია, ვიდრე 1900 წელს. ამან წარმოშვა ჭარბი მოსახლეობის პრობლემა.

რესტავრაციის მიღებული პრინციპების თანახმად, თანაბარი პატივი უნდა მიეგოს დღემდე შემორჩენილ ყველა ელემენტს, რომელნიც მონუმენტური ანსამბლის სხვადასხვა პერიოდის წარმომჩენია.

ძეგლის შენარჩუნების საერთაშორისო ქარტიების სულისკვეთების თანახმად, ეს პრინციპები არც დოგმისებრია და არც მოუქნელი. რესტავრაციის პროგრამის ხასიათი დამოკიდებულია თითოეულ ცალკეულ ძეგლზე, მის ღირსებებზე და იმ როლზე, რასაც იგი ასრულებს ურბანულ ცხოვრებაში.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე დოქტრინამ უნდა უარყოს ხისტი პოზიციები, რასაც უმოქმედობა მოსდევს, და რაც შეუძლებელს ხდის ძეგლის ეფექტიურ შენარჩუნებას.

არქიტექტურული ანსამბლის რაობიდან გამომდინარე, ისტორიის ყველა სახის ნაკვალევის პატივის მიგების პრინციპი წარმოადგენს რესტავრაციის საკვანძო კრიტერიუმს. ამ თვალსაზრისით ეს კონკრეტული შემთხვევა სამაგალითოა.

## დ. 3. 1. ქარტიები და პრინციპები

## რეაბილიტაციის და კონსერვაციის პრინციპები

**კვებეკი, კანადა**

**ძველი კვებეკის არქიტექტურის კონსერვაციის სახელმძღვანელო**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

კვებეკი დაარსებული იყო სამუელ დე შამპლეს მიერ 1608 წელს, ახალ სამყაროში ფრანგული კოლონიური ექსპანსიის დასაწყისშივე. იგი მდებარეობს მდინარე წმ. ლოურენსს გადმომყურე დამრეცი ქანობის ზემო და ქვემო ნაწილებში. კვებეკის ტოპოგრაფიამ და ფუნქციებმა ერთად განსაზღვრეს ისეთი ურბანული ფორმა, რაც ახლაცაა ასახული გამაგრებულ ზედა ქალაქსა და ქვედა, საპორტო ნაწილშიც.

1759 წლამდე, ფრანგების მმართველობისას, განსაზღვრული იყო ქალაქის ორი ზონის ძირითადი ხასიათი – ქალაქის ქვედა, პორტის მიმდებარე ნაწილი ასრულებდა ქალაქის კომერციულ ფუნქციებს, ხოლო ზედა ქალაქს ეკისრებოდა ადმინისტრაციული და რელიგიური ფუნქციები.

თუკი XVII და XVIII საუკუნეებში განსაზღვრული ზოგადი მიმართებები დღემდე შენარჩუნებულია, დღევანდლამდე იმ პერიოდის ნაგებობების მხოლოდ მცირე რაოდენობამ – ძირითადად ზედა ქალაქის რელიგიურმა ძეგლებმა – მოაღწია. ახლანდელი გარეგნული სახე ქალაქმა უმეტესწილად XIX საუკუნის პირველ ნახევარში შეიძინა. სწორედ ამ პერიოდით თარიღდება ისტორიული უბნების შენობების თითქმის ნახევარი.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

კვებეკი მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად 1985 წლისდამლევს იქნა წარდგენილი იკომოს-ის მიმოხილვაში მითითებული ორი კრიტერიუმის საფუძველზე. იკომოს-მა მოიყვანა კრიტერიუმი IV და მიუთითა ქალაქის ისტორიულ რაიონზე, როგორც „ჰარმონიულ ურბანულ ანსამბლზე. . . რომელიც შეიცავს ციტადელს, ბასტიონის კედლებით დაცულ ზედა ქალაქს, და ქვედა ქალაქს, მისი ნავსადგურით და ძველი უბნებით. იგი წარმოადგენს გამაგრებული კოლონიური ქალაქის შესანიშნავ ნიმუშს. . . ჩრდილოეთ ამერიკაში ყველაზე სრულად შერჩენილს.“ VI კრიტერიუმი ასევე მიესადაგება კვებეკს, რადგან „ახალი საფრანგეთის ყოფილი დედაქალაქია. . . რომელიც ასახავს მოსახლეობის და ამერიკის ზრდის მთავარ ეტაპებს ახალ და თანამედროვე პერიოდში.“

**3. კონტაქტი**

Mr. Serge Viau,
Ville de Québec,
2, rue des Jardins,
Case postale 700,
Québec, (Québec),
Canada GIR 4S9
Tel.: (418) 691-6866
Fax: (418) 691-2346.

**ბ. ამოცანები**

- პრინციპების დებულების სპეციალურად კვებეკისათვის შემუშავება ისტორიულ შენობებსა და ანსამბლებში შესაფერისი ინტერვენციის ჩატარების მიზნით;
- შესაფერისი პროექტირების წარმმართველი კრიტერიუმების გამოქვეყნება მკაფიო და გასაგები ფორმით, სადაც უზოგადესი პრინციპები სწორედ ამ გარემოში გამოყენებას იქნება მისადაგებული.

**გ. კონტექსტი**

ქალაქ კვებეკმა აღიარა, რომ შენობათა ფონდის მიმდინარე ცვლილებების სამართავი საშუალებების შემუშავებისას ღირებულია კონსერვაციის პრინციპების არსებული საერთაშორისო დებულებების მოშველიება. ამავე დროს, მან აღიარა ამ პრინციპების გამოყენების და მათი მორგების აუცილებლობა იმ სპეციფიკურ დამახასიათებელ ნიშნებთან და თვისებებთან, რაც კვებეკის რაგვარობას განსაზ-

ღვრავს. შედეგად მივიღეთ სამუშაო დოკუმენტი, *Guide pour la conservation et la mise en valeur de l'architecture du Vieux Québec,* რომელიც გამოქვეყნდა 1982 წელს და მას შემდეგ გამოიყენება იმათ დასახმარებლად, ვისაც თავისი საკუთრების განახლება და გაუმჯობესება სურს. თავდაპირველად ქალაქის კონსერვაციის გეგმის შედგენისას დამხმარე საშუალებად ჩაფიქრებული, ეს სახელმძღვანელო ცოტა ხნის წინ გადაიხედა და მომზადდა ხელახალი გამოცემისათვის.

**დ. მიდგომა**

დოკუმენტი ისეა შედგენილი, რომ შესაძლებლობას აძლევს მკითხველს თავისი საკუთარი ინტერესების და პრობლემების გაანალიზებისას მივიდეს ზოგადიდან კონკრეტულამდე. ამავე დროს, პრაქტიკული მიზნის მქონე პირთ შეუძლიათ შეარჩიონ მათთვის საინტერესო კონკრეტული ტექნიკური საკითხი, როგორიცაა ინტერიერი ან ფერი და სწრაფად გამოარკვიონ, ზოგად პრინციპებში ნაგულისხმევი თუ რა მიესადაგება მათ შემთხვევას.

სახელმძღვანელოს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია მისი შესავალი, სადაც წარმოდგენილია ანსამბლების კონსერვაციის ძირითადი პრინციპები და მათთან დაკავშირებული მოსაზრებები. იგი იძლევა ერთიანსა და ფართო სისტემას, ინტერვენციის კრიტერიუმების დადგენისათვის. მათი ტექსტი აქვეა წარმოდგენილი.

**ზოგადი მოსაზრებები ანსამბლების კონსერვაციის თაობაზე**

1. ანსამბლი წარმოადგენს ნაგებობათა ჯგუფს, რომელიც გამოიყენება, ან რომელთა გამოყენება შესაძლებელია. მისი ისტორიულ, კულტურულ ან ესთეტიკურ მნიშვნელობას დიდწილად მისი შემადგენელი ნაწილების ჯამი წარმოქმნის და არა რომელიმე ცალკეული ნაწილი. აუცილებელია არსებობდეს ასეთი ძეგლების და განსაკუთრებული მნიშვნელობის ადგილების ერთგვარად მოპყრობა.
2. ეს ანსამბლები, ისევე როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის სხვა ცნობილი ქალაქები და უფრო მორიდებული ტრადიციული ჯგუფები, უტყუარი მოწმობანია ადამიანის ნიჭისა მოწყობის მოაწესრიგოს საზოგადოება. მათი გასაოცარი მრავალფეროვნება შეადგენს მთელი კაცობრიობის საგანძურს, როგორც მორალური, ასევე ისტორიული, კულტურული, ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით.
3. აქედან გამომდინარე, მათი კონსერვაცია უნდა შეადგენდეს კულტურული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების თანმიმდევრული პოლიტიკის ნაწილს და დაგეგმვის ერთერთ ფუძემდებელ მიზანს.

1963 წელს ისტორიული ძეგლების კანონის თანახმად ისტორიულ რაიონად გამოცხადებული, ძველი კვებეკი ჩვენი მემკვიდრეობის ყველაზე მნიშვნელოვან ანსამბლთაგანია: მისი ულამაზესი ტოპოგრაფია, მისი არქიტექტურის მრავალფეროვნება და ისტორიული გამომსახველობის სიმრთელე მას ჩრდილოეთ ამერიკაში ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ძველ ქალაქად აქცევს.

**ანსამბლების კონსერვაციის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები**

1. კონსერვაცია

ანსამბლის კონსერვაცია მოითხოვს თავის საფუძველში საპირისპირო ამოცანების გადაჭრას: ერთი მხრივ, მასში ცხოვრების კონსერვაციას, ან აღორძინება, ხოლო მეორე მხრივ, ანსამბლის ძირითადი ხასიათის და მისი შემადგენელი ნაწილების სიმრთელის უკიდურეს მოფრთხილებას. კონსერვაციის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ანსამბლის ძირითად ხასიათს, კონსერვაციის სტრატეგიის აუცილებელი თანმდევია.

2. ორგანიზაციის იერარქია

კონსერვაციის გეგმა საშუალებას იძლევა გამოვარჩიოთ ანსამბლის ის ელემენტები, რომელთაც თავისი არქეოლოგიური, ისტორიული, ან არქიტექტურული მნიშვნელოვნების გამოუსათუოდ უნდა მოვუფრთხილდეთ, და ოსეთებიც რომლებმაც სამუშაოების ჩატარების დროს, მთლიანობის გასრულებისას, შეიძლება განიცადოს გარკვეული სახეცვლილება. ასეთ სამუშაოებს, რა თქმა უნდა, წინ უნდა უსწრებდეს მრავალდარგობრივი კვლევის შედეგად შედგენილი აღწერილობა.

3. ადაპტაცია, მოქნილობა

როდესაც დადგინდება ანსამბლის ის ელემენტები, რომლებიც მოფრთხილებას და კონსერვაციას მოითხოვს, კონსერვაციის გეგმითვე უნდა დაისახოს , რა ღონისძიებებით, თუ როგორ უნდა შენარჩუნდეს თუ შემოტანილ იქნეს სიციცხლე და უზრუნველყოფილ იქნეს განვითარება. ანსამბლების ინტეგრირებული კონსერვაცია სხვა რამეა, ვიდრე ცალკეული ძეგლისა, სადაც წინ აღუდგებიან ხოლმე ცვლილებებსა და ადაპტაციას. იდეალი კონსერვაციისადმი უმკაცრეს მიდგომას მოითხოვს. ინტეგრირებული კონსერვაცია აღწევს მაქსიმუმს, მაგრამ ამავე დროს აღიარებს, რომ შეიძლება შეიქმნას ისეთი პირობები, როდესაც ხარჯები დაუსაბუთებლად გაიზრდება, ან მოუფიქრებლად იქნება გამოყენებული.

მიუხედავად იმისა, რომ ანსამბლის კონსერვაციის გეგმაში მკაცრად არის ჩამოყალიბებული მუშაობის მიმართულება და საზღვრები, იგი ქმედებისას საკმაოდ მოქნილიც უნდა იყოს, რათა გაითვალისწინოს ცხოვრების ბუნებრივი ცვლილებები, ხოლო თვითონ მას პერიოდულად უნდა გადახედონ ხოლმე. მეორე მხრივ, იგი, რამდენადაც შესაძლებელია, არ უნდა უშვებდეს შეუქცევად ინტერვენციას.

4. შევსება

ცოცხალ ისტორიულ ანსამბლში თანხმობაში უნდა იყოს უწყვეტობის შენარჩუნება და ცვლილებების შემოტანა. ახალი ნაგებობები, რომელთა აშენება დროდადრო საჭირო ხდება, წარმოადგენს თანამედროვეობის ყველაზე ადეკვატურ გამოხატულებას. ამავე დროს, ახალ პროექტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ურბანული სტრუქტურა და ფორმები. მათი მხატვრული სახე ჰარმონიულად უნდა შეესაბამებოდეს არსებულ ნაშენ გარემოს, კერძოდ, გათვალისწინებული უნდა იყოს არსებული არქიტექტურული ფორმები, მასშტაბები და მასალა. აუცილებელია არქეოლოგიური გათხრების წარმოება ახალი მშენებლობის დაწყებამდე, რათა აღმოვაჩინოთ ადრინდელი ნაგებობის ნარჩენები, ხოლო თუ საჭიროა მოვახდინოთ მათი კონსერვაცია “in situ.”

## 3.2. პროექტირებისა და კონსერვაციის ძირითადი პრინციპები

ბევრმა ისტორიულმა უბანმა შეიმუშავა პროექტირება/კონსერვაციის მთელი რიგი ძირითადი პრინციპები, რომელთაც პრაქტიკული რჩევა უნდა მოგვაწოდონ სავარაუდო ცვლილებების განხილვის დროს. ეს პრინციპები ემსახურება ურბანული კონსერვაციის ზოგადი პრინციპების „მიბმას“ ღირსშესანიშნავი ადგილის კონკრეტულ დამახასიათებელ ნიშნებზე, თან ჩვეულებრივ, ადვილად გასაგებ ენაზე.

ძირითადი პრინციპები მრავალი ფორმით არის გამოცემული. ზოგი გადატვირთულია საილუსტრაციო მასალით, ზოგში მარტო ტექსტია. ზოგი ინსტრუქციებს იძლევა და დაწვრილებით განსაზღვრავს სასურველ შედეგებს; სხვები „ინტერპრეტაციისმაგვარია“ და იმ ფარგლებს მონიშნავს, რომლებშიც შეიძლება მოიძებნოს მისაღები გადაწყვეტა.

რაოდენ დიდიც უნდა იყოს მეთოდების, ფორმატისა და წარდგენის სახეობათა არჩევანი, მათგან უმთავრესი, იმგვარი ძირითადი პრინციპების შესამუშავებლად და გამოსაყენებლად, რომელნიც სამოსახლოში წარმატებას მოიპოვებს, შემდეგია:

- იმ თვისებათა ნათლად ჩვენება, რომლებიც უნდა დავიცვათ ძირითადი პრინციპების მეშვეობით;
- ტერმინოლოგიის შემუშავება, რომელიც შესატყვისად აღწერს ამ თვისებებს;
- კერძო პირების სხვადასხვა ჯგუფების ჩართვა, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ინტერესებს მათი განვითარებისა და მართვისას;
- გამოცდილების კვალად მათი მუდმივი გადახედვისა და გადასხვაფერების შესაძლებლობის იმთავითვე გათვალისწინება.

## დ. 3.2. პროექტირების და კონსერვაციის ძირითადი პრინციპები

**ლამუ, კენია**

**სახლების შეკეთების ხელმისაწვდომი ძირითადი პრინციპების შემუშავება**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

ლამუ დაარსებულია XIV საუკუნეში არაბი ვაჭრების მიერ კუნძულზე, რომელიც თანამედროვე კენიის ჩრდილო სანაპიროს მახლობლად მდებარეობს. XV საუკუნეში ლამუ წარმატებული ქალაქი-სახელმწიფო იყო, ერთ-ერთი რამოდენიმე ათეულიდან, რომლებიც დაარსდა სუაჰილის სანაპიროზე, სომალიდან მოზამბიკამდე. ამ რეგიონსა და მის სავაჭრო გზებზე პორტუგალიის გაბატონებამ, რომელიც 200 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, შეასუსტა ლამუს ეკონომიკური მნიშვნელობა, მაგრამ თითქმის არ მოუხდენია კულტურული ზეგავლენა ქალაქზე. 1698 წლის შემდგომ, ომანის მფარველობის ქვეშ, ზღვისპირეთში კომერციულმა საქმიანობა კვლავინდებურად მნიშვნელოვანი გახდა, ხოლო ლამუ ეკონომიკურად მოღონიერდა. თანამედროვე ლამუს უმეტესი ნაწილი მისი ისტორიის ექსპანსიურ პერიოდშია აგებული.

XIX საუკუნის ბოლომდე ლამუ საშუალო შეძლების იყო, ამ დროს კი მონებით ვაჭრობის აკრძალვამ ბოლო მოუღო მის სასოფლო ეკონომიკას. მას მერე, რაც XX ს-ის დამდეგს ხელისუფლება მამბასაში დაბინავდა, ლამუ მის ჩრდილში მოექცა და სულ უფრო ნაკლებად თვალსაჩინო ხდებოდა

ქალაქის იზოლირებამ და მისმა ცუდმა მისადგომებმა ამავე დროს განაპირობა მისი დაცვა არასასურველი განვითარებისაგან. ამასთან, რადგან არსებობს სახმელეთო გზების, ნავსადგურის შენობის და აეროპორტის გაუმჯობესების გეგმები, ასეთი ვითარება, როგორც ჩანს, შეიცვლება. სავარაუდოდ, ცვლილებები მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს ცხოვრებისა ტრადიციულ წესზე, რაც მასობრივი ტურიზმით იქნება გამოწვეული.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

ლამუ არ ყოფილა ნომინირებული მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად; არც კენიას მოუწერია ხელი მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციაზე.

**3. კონტაქტი**

Mr. Omar Bwana,
Deputy Director,
National Museums of
Kenya,
P.O. Box 40658,
Nairobi, Kenya.
Tel.: 742131/4 742161;
Telex: 22892
Fax: 741424

**ბ. ამოცანები**

- შეკეთების რიგი ძირითადი პრინციპების შემუშავება, სადაც აღწერილი იქნება სახლების შეკეთების, მოვლისა და მოდერნიზაციის მარტივი ხერხები;
- შეკეთების ძირითადი პრინციპების ჩართვა კონსერვაციის მთლიან გეგმაში.

**გ. კონტექსტი**

ძველი ქალაქის სიმრთელისათვის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ცვლილებების დაჩქარება. უთავბოლო მოდერნიზაციას, რომელიც სიმყუდროვის თუ ბინათმოწყობის სასურველი სტანდარტების მიახლოებას ემსახურება, შეუძლია სწრაფად გაანადგუროს გამოყენების ტრადიციული წესი და, ამავე დროს, არც განსაკუთრებული კომფორტული ან ხელსაყრელი პირობები იქნეს მიღწეული. თანამედროვე სამშენებლო მასალები, რომელთაც ყიდულობენ, რადგან ისინი იაფი და იოლად საშოვნელია, აუარესებს ისტორიული შენობების გარეგნულ სიმრთელეს და, გარდა ამისა, ტრადიციული უნარ-ჩვევების დაკარგვის მიზეზი ხდება.

ლამუს კონსერვაციის გეგმის შემუშავებისას მნიშვნელოვნად ჩაითვალა მკაფიო ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება, რომელნიც ხელს შეუწყობს ისეთ მარტივ შეკეთებას თუ პირობების გაუმჯობესებას, რაც არ აზარალებს არსებულ მასალებსა და კეთების ტრადიციულ საშუალებებს.

**დ. მიდგომა**

ძირითადი პრინციპები წარმოდგენილია კონსერვაციის მთლიანი გეგმის კონტექსტში, და არა როგორც მისი დამატება. ასევე, აქ ყურადღება მნიშვნელოვან შენობებზე ან ელემენტებზე თუ მათთვის საჭირო მოვლაზე კი არაა გამახვილებული, არამედ იწყება ჩვეულებრივი შეკეთების სამუშაოებით, რაც შედის მფლობელის შესაძლებობებში და საკმაოდ „მდაბიურად" უთითებს, თუ რისი გაკეთება შეიძლება და რისი კიდევ – არა.

„ძირითადი პრიმციპები" მომხმარებლისთვის ადვილად გამოსაყენებელი ფორმითაა შედგენილი. მაცხოვრებელთა თვალსაზრისით დაწერილი, იგი მოიცავს მკაფიო, თვალსაჩინო ვიზუალურ მითითებებს ტექნიკურ საკითხებსა და მშენებლობის ტრადიციულ მეთოდებზე. მათში წინდაწინ გათვლილი და აღიარებულია მაცხოვრებელების ან მფლობელების თანამედროვე მოთხოვნები და შემოთავაზებულია ადგილობრივი მასალების და გამოცდილების გამოყენების გზები; ამის გარდა, მოხმობილია ტრადიციული სამშენებლო ელემენტები იმ ზომით რამდენადაც ისინი კვლავაც შეიძლება პრაქტიკულად წაადგეს ცხოვრება-გამოყენებას.

ალბათ, უნდა აღინიშნოს, რომ აფრიკა ცვლილებების პროცესშია და ამას კიდევ დასჭირდება გარკვეული დრო. ასეთ პერიოდში ძირითად პრინციპებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მათში სწორედ განვითარების სწორი მიმართულებაა მოცემულია

*შენიშვნა:*
*მასალა მომზადდა იუკა იუკილეტოს, ICCROM, ჯო კინგის, ARC-91, ICCROM-ში, მომბასას მშვიდობის კორპუსისა და ლამუს დაგეგმარების თანამშრომელთა დახმარებით; Conservation of an East African Seaport, by Francesco Pulver, Ann Pulver, (გამოცემულია ნაირობის ეროვნული მუზუემის მეირ, 1986).*

## დ. 3.2. პროექტირების და კონსერვაციის ძირითადი პრინციპები

**რომი, იტალია**

**"Manuale Del Recupero" (რეაბილიტაციის სახელმძღვანელო)**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

რომი დაარსებული იყო ძვ. წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში. იგი იყო რომის იმპერიის დედაქალაქი ჩვენი წელთაღრიცხვით I საუკუნიდან V საუკუნემდე, მას აქეთ კი ქრისტიანული სამყაროს დედაქალაქი და პაპის საყოფელია. 1870 წელს იგი გახდა იტალიის გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი, ხოლო 1980 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქად იქნა დასახელებულ. რომი ახლაც მიჩნეულია განსაკუთრებული რელიგიური და პოლიტიკური მნიშვნელობის ქალაქად. ცოტა ქალაქს თუ მოეპოვება ასეთ შეზღუდულ ფართობზე ამ რაოდენობის მხატვრული ქმნილება, რომლებიც უზარმაზარ გავლენას ახდენენ მსოფლიოს ხელოვნებასა და არქიტექტურაზე.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

პირველი შეთავაზება, რომელიც წარედგინა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტს განსახილველად, ეხებოდა მხოლოდ ავრელიუსის ხანის გალავანში არსებულ ანტიკური ხანის მთავარ ძეგლებს. აქ არ იყო გათვალისწინებული საფორტიფიკაციო ნაგებობები, შუა საუკუნეების ურბანული ქსოვილი, ან აღორძინების ხანის რელიგიური და სამოქალაქო შენობები. უფრო მეტიც, კედლებს მიღმა მდებარე, მაგრამ მასთან დაკავშირებული რაიონები, ისეთი როგორც ვია აპია ანტიკა, პონტე მილვო, კონსტანტინეს პერიოდის დიდებული ბაზილიკები და ქალაქი ვატიკანი, ასევე არ იყო ჩართული თავდაპირველ ნომინაციაში. რომის სიაში შეტანიდან ათი წლის შემდეგ საზღვრები გაფართოვდა და მოიცვა ურბან VIII-ის XVII საუკუნის გალავანი და პაპის კუთვნილი განსაკუთრებული მნიშვნელობის, ზღუდის გარეთ მდებარე ობიექტები.

რომი ნომინირებული იყო მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად I, II, III და VI კრიტერიუმების თანახმად.

**3. კონტაქტები**

Francesco Giovanetti,
Uffico speciale
per gli interventi sul
Centro Storico,
Piazzale Victor Hugo,
1, 00197 Rome,
Tel. 39.6.844.2787
844.282.

**ბ. ამოცანები**

- შენობათა არსებული ისტორიული ფონდის გააზრების სისტემური საფუძვლის შექმნა;
- ისტორიული ნაგებობის ელემენტების შეფასების ორიენტირის დადგენა;
- სამუშაოების ჩასატარებელ ადგილებზე კონტრაქტორების და მოვაჭრეების მასალით უზრუნველყოფა;
- საზოგადოებისათვის საინტერესო და სახალისო დიდაქტიკური მასალის უზრუნველყოფა.

**გ. კონტექსტი**

ქალაქ რომს 1964 წლიდან აქვს ისტორიული, გალავნით გარშემორტყმული ქალაქის კონსერვაციის გენგეგმა. მიუხედავად ამისა, არსებობდა მთელი რიგი სიძნელეები გენგეგმაში ჩამოყალიბებული პრინციპების დანერგვისას, რის გამოც 1977 წელს შეიქმნა ახალი ოფისი, "L'Ufficio speciale per dli interventi sul Centro Srorico," რომელსაც დაევალა ისტორიული ქალაქის ტერიტორიაზე წარმოებული ყველა სახის სამუშაოების კოორდინაცია.

1824 წლამდე დაახლოვებით სამი ათასი ნაგებობა აშენდა კადასტრის რუკაზე განსაზღვრულ შვიდი ათას მიწის ნაკვეთზე, ქალაქის ძველი გალავნის შიგნით. ამ მემკვიდრეობის დიდი ნაწილი თითქმის უცვლელად შემორჩა, თუმცა ზოგ მათგანს დააშენეს ზედმეტი სართულები, ხოლო ზოგ შიდა ეზოში აშენდა ახალი ნაგებობები. და მაინც, 1950-იანი წლებიდან მოყოლებული ეს შენობები განიცდის უკონტროლო ცვლილებებს და მოდერნიზაციას, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ შეხებია სახელმწიფო მფარველობის ქვეშ მყოფ „სიაში შესულ შენობებს" ("monumental storici").

იმისთვის, რომ უფრო გასაგები ყოფილიყო მშენებლობის ტრადიციული ტექნოლოგია და შექმნილიყო კონსერვაციის სახელმძღვანელო მითითებების საფუძველი, ოფისმა, 1983 წელს რომის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტთან თანამშრომლობით შექმნა კვლევის პროექტი. ამ პროექტის მიზანი იყო რეაბილიტაციის სახელმძღვანელოს ("Manuale del recupero") გამოცემა. *Manuale del recupero del Commune di Roma,* Roma, Edizioni DEI, 1989, 172 გვერდი.

**დ. მიდგომა**

რეაბილიტაციის სახელმძღვანელოს საფუძვლად დაედო 1) ძველი ტრაქტატების და სამშენებლო სახელმძღვანელოების შესწავლა; 2) ისტორიული ნაგებობების ელემენტების (ისეთი, როგორც აგური, ბეტონის თაღები) სისტემური კვლევა, აზომვა და აღრიცხვა; 3) ამ ორი გზით მოპოვებულის შედარება.

XVIII და XIX საუკუნეების არქიტექტურის და ინჟინერიის სახელმძღვანელოები, მათი ვრცელი საილუსტრაციო მასალა და ანაზომები (მაგ. ჯიროლამო მასი, 1788წ., ნიკოლო კავალიერი სან ბერტოლო, 1826-27წწ., ჯუზეპე ვალადიერი, 1828-39წწ.) კვლევის ფართო ასპარეზს გვთავაზობს. ამ სახელმძღვანელოებს ემატება ხელნაწერები და ხელოსნობის მასალების (ქვის წყობა, ხის მასალა, სტუკო, სხვ.) სხვადასხვა სახის სიები, ისევე როგორც სავაჭრო ტარიფები და შესაბამისი ფასები; ინფორმაცია ასევე მოიპოვება ადგილებზე ჩატარებული სამუშაოების ანგარიშებშიც და სამშენებლო ფირმების და მათი მუშაობის ხელშეკრეულებებშიც.

სახელმძღვანელოს მეორე საფუძველს შეადგენდა მუნიციპალიტეტის მფლობელობაში მყოფი რომის ნაგებობების ფართო სპექტრის ნატურიდან გაკეთებული ნახაზები. შესასწავლად შეირჩა XIX საუკუნეში ოდნავ სახეშეცვლილი ძველისძველი შენობები. მონაცემების მოპოვებას სასიკეთოდ გამოადგა აგრეთვე, რომ ზოგიერთ შენობაში რესტავრაციის ან რეაბილიტაციის სამუშაოები ტარდებოდა.

ანაზომებზე აისახა შემდეგი ელემენტები: კონსტრუქციული ელემენტები, როგორიცაა აგურის თაღები, ხის კოჭებზე დაყრდნობილი სართულებს შორის გადახურვის სხვადასხვა კონსტრუქციები, იატაკის დაგების ტექნოლოგიები და ნაყშები, კიბეები და გამართულობა, როგორიცაა კარები, ფანჯრები, რკინის დეტალებითურთ. ძირითადი ნახაზები შესრულებული იყო მასშტაბით 1:25, ხოლო მასში შემავალი ზოგადი მიმართებების მაჩვენებელი ნახაზები 1:50, დეტალები კი 1:5.

*შენიშვნა:*
*მასალის მომზადებაში დახმარება გაგვიწია იუკა იუკილეტომ და ფრანჩესკო ჯიოვანეტიმ.*

## 3.3. ახალი მშენებლობის ძირითადი პრინციპები

ისტორიულ ანსამბლებში პროექტირების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრობლემა, თავისუფალ ადგილებზე ახალი შენობების აგებაში მდგომარეობს. საერთაშორისო ქარტიები და პრინციპები ემხრობა „პატიოსნებას" –ზოგადად, უპირატესობის მინიჭება თანამედროვე მიდგომას და არა იმიტაციურ რეკონსტრუქციას. ამავე დროს, ამ სახის პროექტების ამოცანები ერთი ურთულესთაგანია, რაც თანამედროვე არქიტექტორს შეიძლება შეხვდეს: ზედმეტად ავანგარდული, სტილის ან კომპოზიციის თვალსაზრისით, ზედმეტად ახალი, მასალის ან განლაგების თვალსაზრისით, დისონანს გააჩენს და მაშინვე გაისმება კრიტიკის მკაცრი ტონი. ხოლო მომიჯნავე ნაგებობებისადმი შეწყობის ჩვეულებრივი რეცეპტის ზედმეტი მიდევნების, მათი ტექსტურის, ფორმის, პროპორციების, მასალის და მასშტაბის ბრმად გამეორების შედეგად მივიღებთ არადამაჯერებელ, ორგანზომილებიან იმიტაციას.

არქიტექტორებს, დამპროექტებლებს და დამგეგმავებს, რომლებიც აწყდებიან დაპროექტების ამ რთულ ამოცანას, შეუძლიათ შემდეგ მუხლებს მიმართონ, რომელიც დაეხმარება მათ „შევსების" პრობლემების შეფასებაში:

- მომიჯნავე ტრადიციული ფორმების ალუზიები არ არის აუცილებელი ექოსავით იმეორებდეს უკვე არსებულს; მიზანი მდგომარეობს ადგილის თუ ქუჩის სულისკვეთების მიყოლასა, და არა ფაქტიური ფორმების გამეორებაში;
- თანამედროვე გადაწყვეტისათვის უპირატესობის მინიჭება არ მოითხოვს არქიტექტორებისაგან ტრადიციული მასალის ჩანაცვლებას პლასტმასით ან ანოდირებული ლითონით; იგი უბრალოდ გვთავაზობს ახალ მიდგომას ღიობების ფასადზე განლაგებაში, აგებასა და ფორმებით მანიპულირებაში; უფრო მეტიც, თითქმის ყველა სახის ტრადიციული მასალა ახლაც გამოიყენება და, აქედან გამომდინარე, შეიძლება მიჩნეული იყოს თანამედროვე მასალად.
- იმიტაციური მიდგომაც შეიძლება გამართლებული იყოს, თუ მომიჯნავე გარემო მეტისმეტად ერთგვაროვანია; ნებისმიერი სხვა მიდგომა შეიძლება გაუმართლებლად თვალშისაცემი იყოს;
- ძველი-ახლის გარჩევის საკონსერვაციო პრინციპები ადვილად მისაღწევია მარტივი გზებით და ამისათვის არ არის საჭირო შევბღალოთ ან ხელვყოთ მთელის ესთეტიკური ჰარმონიულობა, რათა „ახალი" ძლიერ თვალშისაცემი იყოს.

## კონკრეტული შემთხვევების ანალიზი

## დ. 3.3. ახალი მშენებლობების ძირითადი პრინციპები

**ვალეტა, მალტა**

**ქალაქის კარიბჭის პროექტი**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

დღევანდელმა მალტამ, XVI საუკუნის ზღუდით წრიულად გარშემოვლებულმა შემოინახა ის ფიზიკური ქსოვილი, რაც XVIII ს-ის ბოლოსათვის ჰქონია. 1565 წლის დიდი ალყის შემდგომ, ქალაქი ახლად აშენდა იტალიელი ინჟინრის ფრანჩესკო ლაპარელის გეგმის საფუძველზე, რომელიც განახორციელებული იყო ჯიროლამო კასარის მიერ. სათავდაცვო ნაგებობები და ერთიანი გეგმა შთაგონებული იყო იტალიური აღორძინებით. ამ ჰარმონიულ განლაგებაში დიდი წვლილი მიუძღვის წმ. იოანეს რაინდების ნაგებობებს; მათ რიცხვში ყველაზე აღსანიშნავია წმ. იოანეს საკათედრო ტაძარი, დიდი მაგისტრის სასახლე, Auberge de Castile et Léon, Auberge de Provence და ლაზარეთი – ყველა XVI საუკუნისაა.

კომპლექსს ამდიდრებს XVII და XVIII საუკუნეებში დამატებული შენობებიც. მათ რიცხვში შედის Auberge de Bavière, წმ. პავლეს გემის დაღუპვის ეკლესია, ბიბლიოთეკა და მანსელის თეატრი. XIX და XX საუკუნეების ინგლისური ნაგებობები ჩინებულად შეერწყა არსებულ ურბანულ გარემოს.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

ვალეტა ნომინირებული იყო მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად 1980 წელს I და VI კრიტერიუმების საფუძველზე, როგორც რენესანსის გეგმარებითი იდეალების განსახიერება და მისი მჭიდრო ორსაუკუნენახევრიანი კავშირის გამო იერუსალიმელი წმ. იოანეს სამხედრო და საქველმოქმედო ორდენთან, ერთერთ ყველაზე ძლიერ სამხედრო და მორალურ ძალასთან ევროპის ისტორიაში.

**3. კონტაქტი**

Prof. Salvino Busuttil,
Chairman
Valletta Rehabilitation
Committee
138 Melita Street
Valletta, Malta
Tel.: 23-57-95
Fax: 23-05-51

**ბ. ამოცანები**

- შესასვლელის აღდგენა, რომელიც ხაზს უსვავს საფორტიფიკაციო ნაგებობების დიდებულებას და გამოკვეთს მის თავდაცვით ხასიათს;
- დიდი თხრილის მოწესრიგება, რათა იგი უფრო ბუნებრივად გამოიყურებოდეს;
- ვალეტის სტუმრებისათვის საფორტიფიკაციო ნაგებობაში შესვლის უტყუარი შეგრძნების შექმნა.

**გ. კონტექსტი**

შესასვლელი კარიბჭე ოთხჯერ იყო ხელახლა აგებული. დღევანდელ კარიბჭესთან მიდის სამანქანო გზა, ქალაქის აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილების დასაკავშირებლად ერთმანეთთან. თავდაპირველად კარიბჭეს ემატებოდა თხრილის თავზე განთავსებული ასაწევი ხიდი.

ახლანდელ კარიბჭეს აღარ გააჩნია თავდაპირველი თავდაცვითი მახასიათებლები. უფრო მეტიც, დღევანდელი, თხრილზე გარდიგარდმო მდგომი კარიბჭის სიგანე, სრულიად განაქარვებს თავდაცვით შთაბეჭდილებას. კარიბჭესთან მანქანების იოლად მისვლა კიდევ უფრო ამწვავებს ამ პრობლემას.

შესასვლელის აღდგენის მიზნით, მალტის მთავრობამ შეუკვეთა მსოფლიოში სახელგანთქმულ არქიტექტორს, რენცო პიანოს მისი გეგმების შედგენა. გეგმები, საკმაოდ განსაცვიფრებელი, ხანგრძლივი კამათის და უთანხმოების საგანი გახდა, თუმცა არქიტექტორის მოსაზრებები სავსებით შეესაბამება მის ამოცანებს. ეს პროექტი თანახმიერებაშია საერთაშორისო ქარტიებში გაცხადებულ უწყვეტობის პრინციპთან და წარმოადგენს ისტორიულ გარემოში თანამედროვე არქიტექტურის ინტეგრაციის მშვენიერ მაგალითს, სადაც ეს ორი სისტემა ავსებს და არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

**დ. მიდგომა**

რენცო პიანოს პროექტში შედის:

- დღევანდელი კარიბჭისა და თხრილის თავზე გადაყვანილი ხიდის დანგრევა;
- თხრილის ქვეშ მანქანების ორსართულიანი სადგომის აშენება, რომელიც დაიტევს 500 მანქანას, ხოლო ზედაპირზე საზოგადოებრივი ბაღის გაშენება;
- ქვის ორი მოცულობის აშენება, რომელიც ნაწილობრივ დაფარავს საფორტიფიკაციო გალავნის კლდოვან ზედაპირს, რათა სიმბოლურად აღდგეს მთლიანობის შთაბეჭდილება. მცირე ღიობები შესაძლებლობას მისცემს ფეხით მოსიარულეებს შევიდნენ გალავნის შიგნით თხრილის და სავალი გზის მხრიდან;
- ფოლადის ვიწრო, ფეხითსავალი ხიდის დაყენება, როგორც ძველი ასაწევი ხიდის სიმბოლოსი.

ის, რომ ეს ფეხით სასიარულო ხიდი ასე ვიწროა, ასე მსუბუქია, რაც მისი ფოლადის კონსტრუქციით არის განპირობებული, ის, რომ იგი საფორტიფიკაციო გალავანზე თითქოს ძლივს არის მიმაგრე-

ბული, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ჩვენ მართლაც ციხის ხიდზე გადავდივართ და იმის შიშიც გიჩნდებათ, რომ გადასვლისას იგი აიწევა.

ქვის მოცულობათა ზედაპირის დამუშავება ასევე ხაზს უსვავს ძველი სათავდაცვო ნაგებობების უბრალოებას, ხოლო შესასვლელი ღიობების სივიწროვე სიმძლავრის შთაბეჭდილებას უბრუნებს მათ.

ეს თამამი თანამედროვე გეგმა, თავისი სრული უბრალოებით მომხიბვლელი, არც ისტორიზმის რომელიმე ფორმას უთმობს რასმე, არც წარსულს ეპოტინება და მასში სიმბოლურობის უდიდესი ძალაა მიღწეული. იგი ოდნავაც არ აკნინებს ისტორიული გარემოს თვისებებს; პირიქით, ხაზს უსვამს მის ღირებულებასა და რაგვარობას.

ეს გეგმა სრულ თანხმობაშია საერთაშორისო ქარტიებში ასახულ ტენდენციებთან.

## 4. სტიმულირება

საკონსერვაციო საქმიანობის სტიმულირებას და წახალისებას შეიძლება სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს. ყველაზე აშკარა, რა თქმა უნდა, მატერიალურია, თუმცა არსებობს ამ საქმიანობის ხელშეწყობის სხვა საშუალებებიც, მაგ. ჯილდოები ან წვრთნა, რომლებიც შეიძლება ასევე ეფექტიური იყოს. ასეთი სტიმულირების მიზანია შეუქმნას კონსერვაციას მომგებიანი პოზიცია, რათა უბიძგოს ამ საქმიანობისაკენ მათ, ვინც ამჯობინებენ ან უმოქმედობას, ან ინტერესების სხვა მიმართულებას.

სტიმულირების მოშველიება არსებითად არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემასთან დაჭიდებაა, რათა შეიქმნას კონსერვაციისათვის ხელსაყრელი ახლებური წონასწორობა. დიდი თუ პატარა ქალაქისათვის ხელმისაწვდომი სხვადასხვა სახის სტიმულები ქალაქის უფრო დიდ ტერიტორიებზე მოქმედებს. ასეთ შემთხვევებში ქალაქის მთავრობას ძალუძს, სხვებთან თანამშრომლობით, მათი ინტერესებისათვის ხელსაყრელი ცვლილებების ხელშეწყობა.

### *4.1. მატერიალური სტიმულირება*

წამახალისებელი საშუალებები, რასაც სახელმწიფო ან რეგიონალური მთავრობა შეარჩევს, დამოკიდებულია შესაბამისი ეკონომიკის სიჯანსაღესა და მემკვიდრეობისაგან მიღებული საერთო სასიკეთო შედეგის გააზრებაზე. სტიმულირებას შეიძლება ორგვარი ფორმა ჰქონდეს – პირდაპირი გრანტები ან გადასახადების შემსუბუქება. ვინც მთავრობას სტიმულირების დანერგვას ურჩევს, სიძნელეებს სტიმულირების ამ ორივე ფორმის შემთხვევაში აწყდება. ერთი მხრივ, ისინი იბრძვიან უპირატესი ადგილისათვის არსებულ ბიუჯეტში, ინტერესთა სხვა კონკურირებად ჯგუფებს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, ერკინებიან მთავრობის წარმომადგენლებს, რომლებიც მუდამ ეწინააღმდეგებიან დაბეგვრის შეღავათიანი ფორმის შემოღებას ნებისმიერი საქმიანობის მიმართ.

ასეთი პროგრამების მომხრე საუკეთესო ტექნიკურ არგუმენტებს წარმოადგენს განმარტება იმისა, რომ რასაც სახელმწიფო დაკარგავს ზედმეტი ხარჯების გაღებით, მას სხვა გზით დაუბრუნდება, მაგალითად, დამატებითი სამუშაოებიდან და მასალების დაბეგვრიდან, რასაც გადაიხდის ის, ვინც სარეაბილიტაციო საქმიანობითაა დაკავებული.

ამ საკითხის მხარდამჭერ სხვა ტექნიკურ არგუმენტს წარმოადგენს დიდი რაოდენობის სამუშაო ადგილები, რაც წარმოიშვება სარეაბილიტაციო საქმიანობის წარმოებისას (სამრეწველო სუბსიდიების სხვა ფორმებთან შედარებით), არსებული სამშენებლო მასალების და ხელსაწყოების მარაგის სრული უტილიზაცია (ანუ, წარსული ინვესტიციების მაქსიმალური გამოყენება) და რეაბილიტაციის პროექტებთან დაკავშირებული კერძო სექტორის პირადი დანახარჯების მაღალი დონის ფაქტორი.

გარკვეულ ვითარებებში თანხები ადგილობრივი ხელისუფლებისგან შეიძლება გადაედინოს საათანადო ღირსების ობიექტებსა და მათი მფლობელების ხელში. უმეტეს კანონმდებლობებში უფრო შედეგიანია ადგილობრივი მთავრობის დამოკიდებულება ქონებაზე გადასახადების მიმართ, საიდანაც ჩვეულებრივ წარმოდგება მუნიციპალიტეტის მომქმედი ფონდები. საგადასახადო განაკვეთებმა, რომლებიც ემყარება უფრო პოტენციურ გამოყენებას და არა საბაზრო ფასს, და კეთილმოწყობის სამუშაოების გადასახადებმა, თუ ისინი უფრო მაღალია, ვიდრე ამ სამუშაოების ღირებულება დოლარებში, შეიძლება ხელი შეუშალოს მოდერნიზაციას.

კონსერვაციის მომხრე მრავალი ქალაქის მთავრობამ წარმატებით გაატარა საკომპენსაციო ღონისძიებები, ისეთი როგორიცაა მოდერნიზაციის არასაბაზრო შეფასება, ან გადასახადის მოკრების

გადავადება. ამ უკანასკნელის დადებითი მხარეა მოტივირებული მფლობელების წახალისება იმ დროს, როდესაც მუნიციპალიტეტებს ეძლევათ საშუალება მოკრიბონ გადასახადები სხვა ობიექტებიდან მათ შესაბამის დონეზე; ზემოხსენებული საჭიროებს რთულ სავარაუდო დაანგარიშებებს.

მუნიციპალიტეტებს ასევე შეუძლიათ მხარი დაუჭირონ განვითარების უფლებების გადაცემას ერთი შენობიდან მეორეზე და ნება დართონ მემკვიდრეობითი ნაგებობის მფლობელს მიყიდოს მისი შენობის განვითარების პოტენციალი მათ, ვისი განვითარების პოტენციალი შეზღუდულია ზონებად დაყოფის გამო. დიდი მნიშვნელობის მქონე ისტორიულ ქალაქებსა და ურბანულ რაიონებში ამას შეიძლება მოყვეს ღირსშესანისნავი ადგილის განაპირას ვითარების დაძაბვა, გამოწვეული ფართომასშტაბიანი განვითარების შეტანით იმ ზონებში, რომელიც უშუალოდ ემიჯნება ისტორიულად მიჩნეულ რაიონებს.

## კონკრეტული შემთხვევების ანალიზი

## დ. 4.1. მატერიალური სტიმულირება

**დუბროვნიკი, იუგოსლავია**

**1979 წლის ძლიერი მიწისძვრით დაზარალებული შენობების რესტავრაციის დაფინანსება.**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე განლაგებული დუბროვნიკი თავის არსებობას ჩვ.წ. VII საუკუნის წინარე ხანიდან ითვლის. ლათინთა და სლავების ენერგიის აღრევამ რაგუსიუმ-დუბროვნიკის ორმაგ ქალაქს მნიშვნელოვანი მდგომარეობა XIII საუკუნეში შესძინა, როდესაც მან, ზღვაზე ჰეგემონიის მოსაპოვებლად დაიწყო მეტოქეობა ვენეციასთან. თავის აყვავების უმაღლეს მწვერვალს ქალაქმა XVII საუკუნეში მიაღწია, როდესაც 1667 წლის ძლიერმა მიწისძვრამ სერიოზული ნგრევა გამოიწვია. რეკონსტრუქცია, სადაც შესაძლებელი იყო, არსებულს მისდებდა; ზოგიერთ ადგილას ნგრევის შედეგად შესაძლებელი გახდა საზოგადოებისათვის ღია სივრცეების შექმნა (გუნდულიჩევა პოლიანა), სხვაგან კი ისეთი მნიშვნელოვანი შენობების აშენება, როგორიცაა იეზუიტების ეკლესია და მისი მიმდებარე სასწავლებელი. დუბროვნიკმა დაკარგა დამოუკიდებლობა ნაპოლეონის ომების დროს; მიუხედავად ამისა, თავისი დღევანდელი გარეგნული ფორმებსა და ელემენტებს იგი ამ გარდატეხის წინამორბედ განვითარებას უნდა უმადლოდეს.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

1979 წელს დუბროვნიკი ნომინირებული იყო მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად.

**3. კონტაქტი**

Mr. Bozo Letunic,
Director Zavod za obnuvu
Dubrovnika
C. Zuzoric br. 6
50000 Dubrovnik
Yugoslavia
Tel.: 32-190
Fax: 34-025

**ბ. ამოცანები**

- ფონდების შექმნა არა მარტო დაზიანებული შენობების აღსადგენად, არამედ საზოგადოდ საკონსერვაციო საჭიროებებისათვისაც.
- კულტურის ძეგლების განახლების და შეკეთების სამუშაოების განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ინტერესად გამოცხადება.
- ყველა სახის კერძო და კოლექტიური ინტერესის ჩაბმა კულტურის ძეგლების განახლებაში არა მარტო მოკლე დროით, არამედ ხანგრძლივადაც.

**გ. კონტექსტი**

1979 წლის 15 აპრილს იუგოსლავიაში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომელმაც განსაკუთრებული ზიანი დუბროვნიკის ძველ ქალაქს მიაყენა. დაშავდა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი შენობა: სახლები, სასახლეები, ეკლესიები, ქალაქის გალავანი და სათავდაცვო ნაგებობები, მონასტრები, ვილები და ქალაქის ისტორიული ინფრასტრუქტურა – წყლით მომარაგება და საკანალიზაციო სისტემები. თითქმის ყველა შენობა საჭიროებდა რესტავრაციას, ყველა ქუჩა და მოედანი განახლებას. ეს აუცილებლობა კიდევ უფრო მწვავე ხასიათს იძენდა იმის გათვალისიწინებით, რომ დუბროვნიკი წარმოადგენს უნიკალურ ურბანულ ფორმას, შუა საუკუნეების გეგმარების ქალაქს, რომელიც საუკუნეების მანძილზე შენდებოდა. დაზიანებების თაობაზე გაკეთებულ ამა თუ იმ ზომით მოხსენებაში გაირკვა, რომ 1071 ნაგებობა (ფორთიფიკაციების ჩათვლით) სხვა და სხვა ხარისხით იყო დაზიანებული.

ამ სარესტავრაციო სამუშაოების ღირებულება უზარმაზარი იყო. იგი შეფასებული იყო ხორვატიის სოციალისტური რესპუბლიკის ასამბლეის მიერ მიღებული შეფასების კრიტეტიუმის თანახმად 1983 წლის სექტემბერში და შეადგენდა 379 350 960 აშშ დოლარს. საჭირო იყო დაფინანსების სხვადასხვა სასუალებების ამოქმედება.

**დ. მიდგომა**

1979 წლის 10 ოქტომბერს დუბროვნიკის მუნიციპალიტეტის ასამბლეის მიერ მიღებული დადგნილების თანახმად დაარსდა დუბროვნიკის რესტავრაციის ინსტიტუტი, რის შემდეგ გამოყენებულ იქნა დაფინანსების სხვადასხვა წყაროები.

გარდა საერთო ფონდებისა, რომელიც მოწოდებული იყო ხორვატიის სოციალისტური რესპუბლიკის, დუბროვნიკის მუნიციპალიტეტის და სპლიტის მუნიციპალიტეტის მიერაც კი, გამოყენებული იყო დაფინანსების სხვადასხვა ინოვაციური წყაროები:

- ადგილობრივი მუშაკების პირადი შემოსავლებზე ადგილობრივი საგადასახადო განაკვეთის 0,15%-ით გაზრდა;
- სპეციალური მუნიციპალური საქონელბრუნვის გადასახადის 1% გაზრდა;
- ურთიერთდახმარების ნიშნაკების გაყიდვიდან მიღებული თანხები;
- 10% განაკვეთის სპეციალური მუნიციპალური გადასახადი სუვენირების, ხელით ნაკეთობების, ოქროს, ვერცხლის და სხვა ფაქიზი იუველირული ნაკეთობების გაყიდვაზე;
- სპეციალური განაკვეთი საოფისე ფართებზე;
- 10% მოგება არქიტექტურული მემკვიდრეობის ორგანიზებული ტურებიდან მოკრებილ საზღაურზე;
- 10% მოგება საბაგირო გზის გამოყენებიდან მოკრებილ საზღაურზე.

ამ ორიგინალურმა დამატებითმა გადასახადებმა და საზღაურებმა დიდი დახმარება გაუწია მუნიციპალიტეტს გადაუდებელი და ძირითადი სარესტავრაციო სამუშაოების წარმოებისას. ამ უზარმაზარი საქმის დასრულებას კიდევ ბევრი წელი დასჭირდება. მუნიციპალიტეტმა გადასახადების მოკრებით ყველა მოქალაქე და ორგანიზაცია ამ სოციალურ და კოლექტიურ საქმიანობაში ჩართო, რითიც მოგვცა საზოგადოების მოზიდვის მაგალითი , რაც ძალზე სასარგებლო ყველა შემთხვევაში, და არა მხოლოდ ასეთი უბედურების დროს.

*წყაროები:*
*Decrees of the Assembly of the Municipality of Dubrovnik, October 10, 1979; March 24, 1982; December 29, 1986.*
*Law on the Renewal of Dubrovnik's Endangered Architectural Heritage, Number 746-1986, May 6, 1986.*
*The Restoration of Dubrovnik 1979-1989 Zavod za obnuvu Dubrovnika, 1990, 372 p.*

# დ. 4.1. მატერიალური სტიმულირება

**მეხიკო, მექსიკა**

**ისტორიული ცენტრის აღდგენა**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

აცტეკური ქალაქ ტენოჩტილანის დამარცხებისა და დანგრევის შემდეგ ესპანელებმა, ერნან კორტესის მეთაურობით, 1519 წელს მის ნანგრევებზე დაიწყეს ქალაქი მეხიკოს გეგმარება და მშენებლობა. აცტეკი მოსახლეობის დიდი ნაწილი აქვე დარჩა და შეერია ესპანელ მოსახლეობას, ხოლო წინანდელი ცერემონიალური ცენტრი, რომელიც ერთდროს ეკავა მთავარ ტაძარს (Templo Mayor) და სასახლეს, გადაკეთდა ქალაქის კომერციულ და პოლიტიკურ ბირთვად. XVI საუკუნის გეგმარება და ზოგიერთი თავდაპირველი ესპანური შენობა შემორჩენილია, როგორც ზოლაკოს საბაზრო მოედნის (Zolaco plaza) შემადგენელი ნაწილები, ხოლო არქეოლოგიური ნანგრევები და მოშორებით მდებარე ქსოქიმილკოს ბაღები დაკარგული აცტეკური ცივილიზაციის ნიშნებს ატარებს.

ყოფილი ტბის ფსკერზე განლაგებული და მთებით გარშემორტყმული, მეხიკო ესპანური ამერიკის ეკონომიკური ცენტრი და დედაქალაქი გახდა, რომელიც სამხრეთით პანამამდე იყო გადაჭიმული, ხოლო ჩრდილოეთით დღევანდელი სამხრეთ-დასავლეთ ამერიკამდე, კალიფორნიის ჩათვლით. XVII და XVIII საუკუნეებში ქალაქმა სახელი მოიხვეჭა სახლების, სამოქალაქო ნაგებობების, ეკლესიებისა და მონასტრების ანსამბლურობით, რომლებიც გეგმარებითაც მეტად მოხერხებულია. მათი არქიტექტურული მნიშვნელოვნება მდგომარეობს ესპანური ბაროკოს და ადგილობრივი ინდიელების სამშენებლო ფორმების ცხოველხატულ შერწყმაში. შენობები აგებულია ადგილობრივი ვულკანური წარმოშობის ქვებიდან.

მექსიკის დამოუკიდებლობას 1810 წლით ათარიღებენ ხოლმე, თუმცა ეს მოხდა არაუადრეს 1824 წლისა, როდესაც რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, და ახალი მთავრობის ცენტრალიზაციის მიზნით, შეიქმნა მეხიკოს ფედერალური ოლქი. 1860-იანი წლებისთვის ქალაქის გარეუბნებში გაჩნდა პირველი საცხოვრებელი სამეზობლოები (colonias ან barrios), რაც განკუთვნილი იყო მზარდი მოსახლეობის საცხოვრებლით დასაკმაყოფილებლად. 1876-1911 წლებში შემუშავდა ურბანული განახლებისთვის ესოდენ აუცილებელი პროგრამა, რაზეც გეგმარების, კეთილმოწყობისა და არქიტექტურული თვალსაზრისით, ზეგავლენა იქონია ბარონ ოსმანის პარიზის მოდერნიზაციის გეგმამ.

XX საუკუნეში მეხიკოს მოსახლეობამ 15 მილიონს მიაღწია, რის გამოც იგი შევიდა მსოფლიოში ყველაზე მჭიდროდ დასახლებული სამი ქალაქის რიცხვში. ჰაერის დაჭუჭყიანების, ტრანსპორტის მოძრაობის, დანგრეული შენობების, მოშლილი ინფტასტრუქტურის და კიდევ მრავალი სხვა მძიმე პრობლემის გარდა, თვალს კიდევ სიმდიდრისა და სიღარიბის, ცათამბჯენები და არქიტექტურის პატარა მარგალიტების, ისტორიზმისა და მოდერნიზმის დაპირისპირება ხვდებოდა.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

1987 წლის დეკემბერში მეხიკოს ფედერალური ოლქი და ქსოქიმილკოს მოცურავე ბაღები ნომინირებული იყო მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად II, III, IV და V კრიტერიუმების საფუძველზე. XIV-დან XIX საუკუნემდე ქალაქი და მისი წინამორბედი, ტენოჩტილანი ინახავდა მონუმენტური ხელოვნების და არქიტექტურის თვალსაჩინო ნამუშევრებს და უნიკალურ სივრცობრივ ორგანიზაციას (II). ტემპლო მაიორის ნანგრევები დღეს გამქრალი აცტეკური ცივილიზაციის (III) იშვიათ მოწმობას წარმოადგენს. მეხიკო გამოირჩევა თავისი ჭადრაკული გეგმარებით, სადაც ქუჩები და მიწის ნაკვეთები თანმიმდევრული განლაგებით; მისი ბრწყინვალე ადრეული ეკლესიები და საერო ნაგებობები წარმოადგენს ახალ მსოფლიოში ესპანელების დაფუძნების უმშვენიერეს მაგალითებს (IV). ქსოქიმილკოს ტბის ლანდშაფტი წარმოადგენს მექსიკის ველის ესპანელების ოკუპაციის წინა პერიოდის ერთადერთ ხელუხლებელ მტკიცებულებას (V).

**3. კონტაქტი**

Sylvio Mutal
Chief Technical Advisor
and Regional Co-ordinator
Regional Project
for Cultural Heritage
and Development
United Nations Development

Programme
UNDP/UNESCO
P.O. Box 4480
Lima 100 Peru
Tel.: 51-14-402401/422060
Fax: (51-14) 402484

**ბ. ამოცანები**

- ინვესტიციებით და საზოგადოების ყველა ფენის უშუალო მონაწილეობით არქიტექტურული ურბანული მემკვიდრეობის აღდგენა, კონსერვაციის ხელშეწყობა, არსებული ურბანული ნაგებობების უკეთესი გამოყენება და მეტი თავსებადობა არსებულ ურბანულ სტრუქტურებთან, და საზოგადოების ყველა სექტორის ინვესტიციებისა და მონაწილეობის გზით;
- ისტორიულ რაიონში მცხოვრები ოჯახების პირობების და ცხოვრების დონის გაუმჯობესება. კერძოდ, მათთვის უკეთესი საბინაო პირობების და დასაქმების უზრუნველყოფა.

**გ. კონტექსტი**

1987 წელს მეხიკოს ისტორიული ცენტრი იუნესკო-ს მიერ დასახელებული იყო მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად. ამან გაზარდა მექსიკელი ხალხის სურვილი, დაენხა მისი გადაქცევა ისეთ გარემოდ, რომელიც დაამშვენებდა და ჰარმონიულად შეერწყმებოდა მისი მოსახლეობის მიმდინარე ეკონომიკურ და სოციალურ საჭიროებებს, და ამავე დროს, მომავალ თაობებს წარუდგებოდა მათი, ვითარცა ერის ვინაობის არქიტექტურულ და ურბანულ მოწმობად. ისტორიული ცენტრი, განსაზღვრული როგორც „პერიმეტრი A," მოიცავს 9.1 კვ.კმ. ფართობს და 1,500-ზე მეტ ნაგებობას, რომლებიც გამოცხადებულია ისტორიულ ძეგლებად. ამ რაიონში შენობების გაჩანაგების მუდმივი პრობლემის გარდა, ძლიერი დაზიანებები გამოიწვია 1985 წლის მიწისძვრამ. გარემომცველი ზონა, განსაზღვრული როგორც „პერიმეტრი B," ფარავს 5.9 კვ.კმ. და XIX საუკუნის ბოლომდე წარმოადგენდა დამოუკიდებელ ქალაქ მეხიკოს. ეს ტერიტორია ძირითადად ასრულებს თანამედროვე ურბანული განვითარების ზენოლის მშთანთქმელის ფუნქციას, თუმცა კი ბადებს ისტორიული ცენტრის ხასიათთან შეუთავსებელ საქმიანობას.

**დ. მიდგომა**

ინერგება ადმინისტრაციული, სამართლებრივი და მასტიმულირებელი ღონისძიებები, ისტორიული ცენტრის განახლებაში დაინტერესებულ პირთა მონაწილეობის წასახალისებლად. მოსალოდნელია, რომ ეს რწმენას ჩაუნერგავს პოტენციურ ინვესტორებს და შეეხიდება ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას; შეწყდება ობიექტების მიტოვება და არაეფექტიური გამოყენება. ხოსე Aანტონიო რევა ლაკუტურის მიერ შედგენილ დოკუმენტში – „მეხიკოს ისტორიული ცენტრის აღდგენა" – აღწერილი ღონისძიებები შეიცავს:

- ფასთა კლების დაჩქარება.

  ფასების დაკლებით მიღებული სარგებელი დაფარავს ისტორიული ობიექტების რეაბილიტაციისთვის ინვესტორთა მიერ გაღებულ ხარჯებს. ამგვარად, თავიდან ავიცილებთ ობიექტების უკანონო დანგრევას, ამასთან კი, გაიზრდება ხელისუფლების შემოსავალი, რადგან გაიზრდება რენტის შემოსავალი და გაუმჯობესდება მიწითსარგებლობა.

- ბიზნესის პოტენციალის უფლებების გადაცემის სისტემა მშენებლებისათვის, რომლებიც გეგმავენ გადააჭარბონ მიწით სარგებლობის ნებადართულ ინტენსივობას ისტორიული ცენტრის ზოგიერთ უბნებში, ზოგ შემთხვევებში შეუძლიათ ამ უფლებების მოპოვება გარკვეული საფასურის გადახდით. ამოღებული თანხა მოხმარდება ობიექტების რესტავრაციას, საზოგადოებრივი ადგილების გაუმჯობესებას, ან ტერიტორიის შიგნით სასარგებლო საქმიანობის ხელშეწყობას. საქმიანობა არ უნდა საჭიროებდეს ზედმეტი წყლის ან ენერგიის ხარჯვას, არ უნდა გამოყოფდეს მომწამლავ ნივთიერებებს, არ უნდა წარმოშობდეს ძალიან ბევრ ნაგავს ან მეტისმეტ ხმაურს. იგი უნდა შეესაბამებოდეს ურბანული და ეკოლოგიური განვითარების სამდივნოს მიერ დადგენილ სტანდარტებს. მიმდინარეობს ზოგიერთი პროექტების ხელშეწყობა, რომელთა შორისაა ორი 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობა და ორი არსებული შენობის გადაკეთება საცხოვრებელ სახლად.
- 1985 წლის მიწისძვრის შემდეგ მიღებული სპეციალური ფონდები მიმართული იყო A და B პერიმეტრების შიგნით 48,800 საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია/აშენებისაკენ.

## 4.2. აღიარება და დაჯილდოვება

ზოგიერთი სამართლებრივი სისტემა მხარს უჭერს დაჯილდოვებას განსაკუთრებული მცდელობის აღსანიშნავად, როგორც ეფექტიურ საშუალებას სხვათა ამ მიმართულებით წასახალისებლად. დაჯილდოვების პროგრამები, უთუოდ, მცირე ხარჯია და, ამავე დროს, ჩინებურად ძალუძს გაამახვილოს ყურადღება სასურველ საკონსერვაციო საქმიანობაზე.

ისტორიული ქალაქები ასეთ მიდგომას ორგვარად იყენებენ. ერთ შემთხვევაში ესაა მოქალაქეების ან სპეციალისტების მიერ ობიექტზე გაწეული ისეთი სამუშაოების აღიარება, რომელნიც სხვებისათვის სამაგალითო იქნება. მეორე შემთხვევაში ხდება თავად ნამუშევრის აღიარება, რომელიც ამა თუ იმ კუთხითაა სანიმუშო და კარგ მაგალითად თუ პრეცედენტად გამოდგება.

დაჯილდოვების პროგრამების წარმატების გასაღები ისაა, რომ დაჯილდოვებამ ან პრეზენტაციამ შესაფერისად უნდა მიიქციოს ფართო საზოგადოების გულისყური.

## 4.3. წვრთნის პროგრამები

სტიმულირებას ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს პროგრამები, რომელნიც წვრთნის საჭიროებებსა და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას ემსახურება. სწრაფი ეკონომიკური ეფექტის წყალობით, სტიმულირების ამ ფორმას საკონსერვაციო სამუშაოები ისეთ დონეზე გადაყავს, როდესაც სპეციალისტთა შრომა უკეთაა სპეციფირებული და გაშლილი, მასალებით მომარაგება დაუყოვნებელივ ხდება და ექსპერტიზაც დაუყონებლივ ტარდება.

კონსერვაციის საქმეში ჩართულ ყველა სამოსახლო ერთობაში „კეთილი საქმის“ განხორციელება ხშირად ზარალობს მემკვიდრეობის საკითხების გარშემო შექმნილი უამრავი მითის გამო: „კონსერავაციის სამუშაოები ძალზე ძვირია;“ „ვეღარავის იპოვით, ვინც ამ საქმეს შეასრულებს,“ და ასე შემდეგ. პროფესიონალურ და ხელოსნობის სფეროებში სათანადო წვრთნის შედეგად, მრავალი ასეთი პრობლემა და წარმოდგენა ქრება ხოლმე.

მსოფლიოში დღეს წვრთნის მრავალი კარგი პროგრამა არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ შეინიშნება ტენდენცია ისინი სახელდახელო იყოს, კანტი-კუნტად მოწყობილი და არასაკმარისად დაფინანსებული, ისინი მაინც აჩენს გაუმხელელი ინტერესის არსებობასაც და სამომავლოდ გამოსადეგ წინასწარ გამოცდილებასაც გვმატებს.

წვრთნის ყველაზე ეფექტიური პროგრამები ისაა, რომელნიც ერთმანეთს აკავშირებს ყველა სექტორს (დაინტერესებული საზოგადოების ჩართვით), და ისინიც, რომელნიც ადგილობრივი პირობებისა და საჭიროებებიდან ამოდის.

## კონკრეტული შემთხვევების ანალიზი

## დ. 4.3. წვრთნის პროგრამები

**სალვადორ დე ბაია,**

**ბრაზილია**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

სალვადორ დე ბაია, სანაპირო ქალაქი, აღმართული მთიან ნახევარკუნძულზე, რომელიც გამოჰყოფს ნავსადგურს და ყურეს ოკეანესაგან, იეზუიტების მიერ 1549 წელს კლდეზე აგებული აჟუდას ეკლესიის გარშემო გაშენდა. ქალაქი დაარსებიდანვე გახდა ბრაზილიის სამეფო ადმინისტრაციის ადგილსამყოფელი, ხოლო 1551 წლიდან კი აქ ეპისკოპოსის კათედრაც არის. სალვადორის პორტი გახდა პორტუგალიის სავაჭრო სამკუთხედის მნიშვნელოვანი ნაწილი აფრიკას, ბრაზილიას და ევროპას შორის. XVII საუკუნეში სალვადორი, მსგავსად სხვა სანაპირო ქალაქებისა, გახდა მემაღაროთა ექსპედიციების გამგზავრების პუნქტი ქვეყნის შიგნით. იგი ეკონომიკურად და პოლიტიკურად წამყვანი იყო 1763 წლამდე, როდესაც ბრაზილიის დედაქალაქი რიო დე ჟანეიროში გადავიდა.

სალვადორი განვითარდა ორ ნაწილად, ზედა ქალაქად და ქვედა ქალაქად. იგი გადაჭიმულია ყურეს მთელ სიგრძეზე, ხოლო კლდე ზედა და ქვედა ქალაქებს ერთმანეთისაგან გამოჰყოფს; ამ ორ ნაწილს აკავშირებს კიბეები და საბაგირო გზები. ქალაქის სწორკუთხა გეგმარება მორგებულია ცხოველხატულ მთიან ტოპოგრაფიას. პელოურინო, დამრეცი, სამკუთხა ფორმის რაიონი, წარმოადგენს ქალაქის ისტორიულ ცენტრს. მჭიდროდ გაშენებული და ერთგვაროვანი ზედა ქალაქი, სადაც მდებარეობს საკათედრო ტაძარი, მონასტრები და XVI საუკუნის მრავალი სასახლე, უკეთესადაა შემონახული, ვიდრე ქვედა ქალაქი, პორტის მხარე და ქალაქის კომერციული ცენტრები. სალვადორის ბევრ ქუჩას პოლიქრომული სტუკოთი დეკორირებული ვიწრო, კოლონიური სახლები მიუყვება.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

სალვადორი რეკომენდებული იყო მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად 1985 წელს, როგორც „რენესანსის ურბანული ნაგებობების შესანიშნავი ნიმუში მორგებული კოლონიურ მიდამოს, დაცვითი, ადმინისტრაციული და საცხოვრებელი ხასიათის ზედა ქალაქით, რომელიც გადმოჰყურებს ქვედა ქალაქს, სადაც მთელი კომერციული საქმიანობა ძირითადად პორტთანაა დაკავშირებული. ძეგლთა სიმრავლე, ოურო პრეტოს მსგავსად (შეტანილი მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში 1980 წელს), ბრაზილიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ტიპიურ კოლონიური ქალაქია par exellence“ (IV). მოყვანილი იყო აგრეთვე კრიტერიუმი (VI): „ სალვადორი წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ წერტილთაგანს, სადაც XVI-XVIII საუკუნეებში ერთი მეორეს ხვდებოდა ევროპული, აფრიკული და ადგილობრივ-ამერიკული კულტურები. მისი დაარსება და მისი, როგორც დედაქალაქის ისტორიული როლი წარმოშობს ბუნებრივ ასოციაციას ახალი სამყაროს აღმოჩენასთან, რის ნათელი გამოხატულებაა ასევე მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანილი ძველი ჰავანა (1982), ანგრა დო ჰეროიზმო, სან ხუან დე პუერტო რიკო (1983) და კარტახენა (1984).“

**3. კონტაქტი**

Sylvio Mutal
Chief Technical Advisor
and Regional Co-ordinator
Regional Project for
Cultural Heritage and
Development
UNDP/UNESCO
P.O. Box 4480
Lima 100 Peru
Tel.: 51-14-402401/422060
Telex: 25391 PE
Fax: (51-14) 402484

**ბ. ამოცანები**

- მუდმივი წვრთნის კურსის შექმნა, რომელიც შეძლებს სახე იცვალოს კონსერვაციის სფეროში ადგილოებრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად;
- სხვადასხვა წყაროდან დაფინანსების მოპოვება საჭირო პროფესიებისა და შერჩეულ მოსწავლეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

**გ. კონტექსტი**

ბრაზილიამ კარგა ხანია სცნო წვრთნის, როგორც კონსერვაციის ხარისხის გაუმჯობესების წინაპირობა. მან დაამყარა მჭიდრო კავშირები სხვა ქვეყნების სატრეინინგო ორგანიზაციებთან, როგორიცაა ICCROM და იღვაწა იმისთვის, რომ გაეუმჯობესებინა წვრთნის ის შესაძლებლობები, რაც თვით ბრაზილიაში მოიპოვება. 1970-იან წლების განმავლობაში წვრთნის კურსები ტარდებოდა მთელ რიგ ცენტრებში მონაცვლეობის პრინციპით. 1981 წელს გადაწყდა ამ მოძრავი კურსების განთავსება სალვადორ დე ბაიას ფედერალურ უნივერსიტეტში, რაც გააადვილებდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან (ICCROM, UNDP და მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდი) თანამშრომლობას და გააფართოვებდა და დაეხმარებოდა არსებულ კურსებს.

ამჟამად ტარდება დაახლოვებით ცხრათვიანი ორ წელზე განაწილებული კურსი. 1990 წლის 1 მარტიდან 15 დეკემბრამდე ჩატარდა მეშვიდე ინტერრეგიონალური სპეციალიზირებული კურსი, რომელიც ეხებოდა ძეგლების კონსერვაციას და ისტორიული ქალაქების რეაბილიტაციას.

სალვადორ დე ბაიაში კურსების მუდმივი განთავსების მიზანი იყო, რომ მოსწავლეებს ხელთ ჰქონოდათ მაღალი ხარისხის მზა ურბანული ლაბორატორია, სადაც შესაძლებელი იქნებოდა კონცეპციებისა და მიდგომების ტესტირება და გაანალიზება.

**დ. მიდგომა**

დროთა განმავლობაში კურსებმა მონაწილეების შენიშვნების და დამხმარე ორგანიზაციების ამოცანების შესაბამისად ცვლილებები განიცადა. კურსების მომზადებასა და მათ დანერგვაში ტექნიკური დახმარება გასწია ლიმაში განთავსებულმა UNDP/UNESCO-ს კულტურული მემკვიდრეობის და განვითარების რეგიონალურმა პროექტმა, RLA/83/002. UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდმა, ICCROM-ის დამატებითმა დაფინანსებამ კი დახმარება გაუწია საერთაშორისო (ასევე ადგილობრივ) სპეციალისტებსა და თითქმის ყველა მონაწილეებს სხვადასხვა ქვეყნიდან.

კურსებისათვის შემუშავებულ მეთოდოლოგია ყურადღებას რიგ მონათესავე სფეროების თეორიულ საფუძველზე ამახვილებს, ისევე, როგორც ინდივიდუალური პროექტის შემუშავებასა და პრეზენტაციაზე, რომელიც ბრაზილიელი თუ სხვა ქვეყნის მონაწილეთა გამოცდილებას ემყარება.

ამ კურსების განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1990 წელს ჰერმან ვან ჰოფის და დარკო პანდოვიჩის მიერ UNDP/UNESCO-ს რეგიონალური პროექტისათვის მომზადებულმა დეტალურმა შეფასებამ. ეს მოხსენება ჩვენი მსჯელობისას გამოვიყენეთ.

კურსების ამოცანები დროთა განმავლობაში იცვლება. დღეს ისინი შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს:

ზოგადი ამოცანები:

არქიტექტორების, ინჟინრების და დამგეგმავ-ურბანისტების მომზადება ისტორიული ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების კონსერვაციასა და რესტავრაციაში.

კონკრეტული ამოცანები:

1) მონაწილეთა მომზადება შემდეგ საკითხებსა და სფეროებში:

- არქიტექტურა და ურბანიზმი ლათინურ ამერიკაში, კერძოდ კი ბრაზილიაში;
- ტრადიციული მშენებლობის ტექნოლოგიები, სისტემები და მასალები;
- კონსერვაციისა და რესტავრაციის თეორია და ტექნიკური ხერხები;
- ინტერვენცია ურბანულ გარემოში;
- რესტავრაციის პროექტების განხორციელება;
- კონსერვაციისა და რესტავრაციის მეცნიერული და ტექნოლოგიური პრინციპები;

2) მიღებული ცოდნის მისადაგება კონკრეტულ კვლევის პროექტზე, რათა მისი შესრულება შეეძლოს ერთ-ერთ მონაწილე ეროვნულ ორგანიზაციას, ან სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ სტუდენტთა შემთხვევაში, რომელიმე დაწესებულებას მათ სამშობლოში.

3) მიღებული ცოდნის გამოყენება სტაჟირების პერიოდში.

4) ინფორმაციისა და გამოცდილების მიმოცვლის ქსელის შექმნა ბრაზილიას, ლათინურ ამერიკას და აფრიკას შორის.

5) ისტორიული ძეგლების და ღირსშესანისნავი ადგილების კონსერვაციისა და რესტავრაციის კვლევითი ცენტრის დაარსება ბაიას ფედერალურ უნივერსიტეტში.

კურსების განვითარებამ შესაძლებელი გახადა სხვა ქვეყნების წილის გაფართოება. 1990 წელს მასში შედიოდა 20 ბრაზილიელი მონაწილე (შერჩეული ბაიას ფედერალური უნივერსიტეტის და SPHAN/pro Memoria მიერ) და 10 მონაწილე სხვა ქვეყნებიდან (შერჩეული კომიტეტის მიერ, რომელშიც შედიოდნენ ბაიას ფედერალური უნივერსიტეტის, SPHAN/pro Memoria -ს და UNDP/UNESCO-ს რეგიონალური პროექტის წარმომადგენლები), შერჩეული ფაქტიურად ლათინური ამერიკის ყველა ქვეყნის, კარიბის ზღვის ქვეყნების, პორტუგალიის და აფრიკაში პორტუგალიურ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნების მიერ წარდგენილ 73 კანდიდატს შორის. კურსებზე დაშვებული კანდიდატები ჩამოსული იყვნენ არგენტინიდან, ბოლივიიდან, კოლუმბიიდან, კუბიდან, ეკვადორიდან, პორტუგალიიდან, ვენესუელადან, ჰაიტიდან და ნიკარაგუადან.

ამჟამად კურსები თავაზობს კონსერვაციის ასპირანტურის კურსს არქიტექტორებს, ინჟინრებს და ურბანისტებს ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნებიდან. მონაწილეთა რეაქცია (სტუდენტებისა იქნება თუ პროფესორების) ძალზე სასარგებლო გამოდგა კურსების საერთაშორისო ასპექტთა თვალსაზრისით. წლური შეფასების ანგარიში ვარაუდობს ამ საერთაშორისო ხასიათის შემდგომ განმტკიცებას და გაძლიერებას.

## *5. მეთვალყურეობა და შემოწმება*

ჩვეულებრივ, მისი პროგრამების წარმატებულად განსახორციელებლად, მთავრობა თანაბრად იყენებს წახალისებისა და დასჯის მეთოდებს. საერთო წესიდან გამონაკლისს არც მემკვიდრეობის სფერო წარმოადგენს; დასახული ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად აქ თანაბრად გამოიყენება სტიმულირებისა და კონტროლის სხვადასხვა სახის და დონის ფორმები, იურისდიქციიდან გამომდინარე. ბევრ შემთხვევაში მეთვალყურეობა კანონს ემყარება. მაგალითად, ქვეყნები, რომელთაც ხელი მოაწერეს მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციას, შეთანხმდნენ, „მიიღონ სათანადო კანონიერი და. . . ფინანსური ზომები. . . მათი მემკვიდრეობის კონსერვაციის, შენარჩუნების და რეაბილიტაციის მიზნით."

არსებოს მეთვალყურეობის მრავალი სახე, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს ქალაქებში. მათი არჩევანი დამოკიდებულია სასურველი შედეგის ხასიათზე. უმეტესწილად, სამოსახლო ერთობებს ადგილზე გააჩნიათ მარეგულირებელი მექანიზმები (ზონებად დაყოფა, მიღებული ნორმები, პროექტის ზედამხედველობა, ობიექტის განსაზღვრა, ა.შ.), რაც მთლიანობაში არცთუ თანახმიერად მუშაობს. იმდენად, რამდენადაც ისინი იქმნებოდა და გამოიყენებოდა დროდადრო და თანაც ნაწილ-ნაწილ, მათი უსისტემო ხასიათი არც არის დიდად გასაკვირი. ზოგიერთი მექანიზმი მხოლოდ დროებითი პრობლემის პასუხად იქნა შემუშავებული, ის კი შეიძლება მისი მოგვარების შემდეგ კიდევ დიდ ხანს არ გაუქმდეს. ამასთან, მარეგულირებელი სისტემების მიზანია უხელმძღვანელოს სამოსახლო ერთობებს სხვადასხვა მიზნების განხორციელებაში, და არ არის აუცილებელი, რომ ყველა მათგანი შეესაბამებოდეს ერთმანეთს ან კონსერვაციას.

### 5.1. ძეგლად აღიარება და სიაში შეტანა

მუნიციპალიტეტის ან რეგიონალური მთავრობის მიერ შენობების ან შენობების ჯგუფების ძეგლად აღიარება (სიებში შეტანა ან კლასიფიკაცია) იძლევა განსაკუთრებულად საგულისხმო ნაგებობებისათვის საგანგებო ყურადღების მიპყრობის, საგანგებო დაცვისა და დაფინანსების შესაძლებლობას.

მაგრამ ძეგლად აღიარება უპრობლემო არ გახლავთ. ბევრ ისტორიულ ქალაქში მოქალაქეებმა ისარგებლეს ძეგლად აღიარებით, რომ გაემართლებინათ ხელისუფლების მაღალ დონეებზე ადგილობრივი დაფინანსება. ზოგი კი ამტკიცებდა, რომ გაუთავებელი ძეგლად აღიარება კომპენსაციის გარეშე ნიშნავდა მათი უფლებების შეზღუდვას, დაედოთ თავის ქონებაზე მაქსიმალური საბაზრო ფასი და აქედან მოგება მიეღოთ. იქ, სადაც ძეგლად აღიარების კანონმდებლობას შეეძლო დაეცვა ღირსშესანიშნავი ადგილები, კომპენსაციის საკითხებთან გამკლავების უუნარობა ხშირად აფერხებდა სამართლებრივ ქმედებას, რაც ბადებდა კანონის გამოუყენებლობისა და უძლურობის განცდას, რაც მნიშვნელოვანი ნაგებობების დაკარგვის მიზეზი ხდებოდა. ძეგლად აღიარების ნაკლებად შემზღუდველი ფორმები კი საშუალებას აძლევდა მტრულად განწყობილ მფლობელებსა და დამპროექტებლებს თავი აერიდებინათ კანონიერი მოთხოვნებისათვის.

ძეგლად აღიარების მოქმედ სისტემებში არსებობს უამრავი ტექნიკური სირთულე; ისინი ვლინდება ყველა შენობისთვის თანაბარი მოპყრობის უზრუნველყოფაში, სიაში შეტანილთათვის (და სიის შიგნით კატეგორიებისათვის) ერთგვაროვანი სტანდარტების და ნორმების გამოყენებაში, სიის შემდგენელთა და ადმინისტრატორთა წვრთნაში, სიების განახლებაში და ობიექტებზე მიმდინარე ცვლილებების მონიტორინგში.

შემდგომ გადასალახი სიძნელეები, მეტადრე ისტორიულ უბნებსა თუ საკონსერვაციო არეალებში წარმოიშვება მომიჯნავე ზონებში საბაზრო ვითარების გამო – ეკონომიკური თავისუფლება და შესაძლებლობანი იქ მეტისმეტად სხვა ხასიათისაა.

მიუხედავად ამ სიძნელეებისა, იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც შეძლო პროგრამების შემუშავებასთან თანადროულად საზოგადოების გათვითცნობიერებაც, უზრუნველყო საკონსერვაციო ფონდების გამოყენება და თავის პროგრამებში შეიმუშავა მოქნილი რეაქცია, ძეგლად აღიარება კონსერვაციის მიზვების მისაღწევად ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღი გამოდგა.

### 5.2. შეღავათები და შეთანხმებები

ეჭვგარეშეა, რომ მთავრობამ, რომელსაც გააჩნია იმის ძალა, რომ მოახდინოს ექსპროპრიაცია, ან იმის სახსრები, რომ შეისყიდოს კერძო ქონება, უნდა გამოიყენოს ეს საშუალებები, რათა დიდწილად გააკონტროლოს განსაკუთრებული ნაგებობების და ღირსშესანიშნავი ადგილების შემდგომი ბედი.

ეს საშუალებები შესაძლოა სასარგებლო გამოდგეს ერთეულსა ან რთულ შემთხვევებში, მაგრამ საეჭვოა, რომ ისინი დაგვეხმაროს იმ რთული ამოცანების გადასაწყვეტად, რაც დაკავშირებულია ძლ-

იერი მემკვიდრეობისმიერი ღირებულების მთლიან რაიონებთან ან ქალაქებთან. განსაკუთრებულ შემთხვევებშიც შეიძლება საკამათო იყოს, ღირს თუ არა ექსპროპრიაცია იმ აღშფოთებად, რასაც იგი გამოიწვევს. რაც უნდა ფასეული იყოს ობიექტი, აშკარაა, რომ მის შესყიდვას ბევრად უფრო მეტი სახსარი დასჭირდება, ვიდრე, მაგალითად, მფლობელისათვის გარკვეული გრანტის გამოყოფას. აქ შეიძლება მიღწეული იყოს სათანადო კონტროლი ნაკლები დანახარჯებით, კერძო საკუთრებაზე კანონიერი ვალდებულების დაკისრებით და წინასწარ განსაზღვრულ გარემოებებში ცვლილებების შეზღუდვებით.

ასეთი შეთანხმება (ან შეღავათები) უფლებას ანიჭებს მფლობელს ქონებაზე. ხშირად ხელისუფლების წარმომადგენლები (ნებისმიერ დონეზე) გრანტებისა და დაფინანსების სანაცვლოდ ითხოვენ განსაკუთრებული კერძო ობიექტის საყოველთაოდ ხელმისაწვდომობას. ამასთანავე, შეთანხმებები შესაძლებელია განხორციელებული იყოს თავად მფლობელის მიერ, რაიმე ფინანსური დახმარების გარეშე, თუ იგი ამდენად მოტივირებულია. მემკვიდრეობის შეღავათი მფლობელისგან (და ხშირად მომდევნო მფლობელებისგანაც) მოითხოვს ნებართვის აღებას მომავალში შესაძლო სავაჭრო გარიგებისათვის ან ცვლილებებისათვის, რამაც შეიძლება იმოქმედოს ობიექტის იმ ნაწილებზე, რომელზედაც უკვე დაიხარჯა გარკვეული ინვესტიციები.

## 5.3. ხანძარსაწინააღმდეგო და სიცოცხლის უსაფრთხოების წესები

ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას რეკონსტრუქციის პროექტების ფიზიკურ ფორმებზე ახდენს სამშენებლო და ხანძრის საწინააღმდეგო ნორმები და წესები. ეს წესები ემსახურება საზოგადოების დაცვას ჯანმრთელობის, ნაგებობების ვარგისიანობის, ხანძრის და ზოგ შემთხვევაში ესთეტიკური სტანდარტების თვალსაზრისითაც. ჩვეულებრივ, მათი დაცვა წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის გაცემის პირობას.

დასავლეთის მრვალი ქვეყნის კანონმდებლობაში ასეთი წესები შემუშავებულია ახალი მშენებლობებისთვის სტანდარტების შესაქმნელად. მათი მისადაგება უფრო ძველ ნაგებობებზე, რომელთა მათდამი შესაფერისობა ძნელად შესაფასებელია, ხშირად უარყოფით გავლენას ახდენს მემკვიდრეობისმიერ ხასიათზე. გარდა ამისა, შეფასების სირთულე (ძველი მასალების ან დამონტაჟებული ელემენტების ტესტირების, მოლაპარაკების აუცილებლობა) ხშირად აფერხებს ნებართვის გაცემის პროცესს ისეთ საკითხებზე, რისი რენტაბელობა ეჭვს იწვევს.

ნებისმიერი დონის ხელისუფლება, რომელსაც სურს მხარი დაუჭიროს შენობების კონსერვაციას, შეუძლია მიიღოს შემდეგი წამახალისებელი ზომები:

- "შესაბამისი ალტერნატივების" გამოყენებისა და ტესტირების ხელშეწყობა ძველი ნაგებობების საჭიროებების სისტემატიზაციის მიზნით;
- თანამდებობის პირთა მათი მოვალეობისაგან განთავისუფლება, თუ ისინი აშკარად ეურჩებიან წესებს;
- თანხმობის მიღების პროცესის დაჩქარება, რათა ძველი ნაგებობების უფრო მეტმა სირთულემ არ შეაფერხოს დადებითი პასუხი.

## 5.4. ზონირება

შემდეგი მნიშვნელოვანი გამაკონტროლებელი ფაქტორი მუნიციპალური ზონირებაა. ეს მეთოდი იხმარება ქალაქებში მიწათსარგებლობის მართვის მიზნით. ზონირება გულისხმობს ნებადართული გამოყენების ტიპებს, ღირსშესანისნავი ადგილის ნაკვეთის დაკავების რიგსა და ხარისხს და დამხმარე პირობების მოცულობას (მაგ. მანქანის სადგომები, მომსახურეობა და ადვილი მისადგომები).

ზონირების ზედმეტად მკაცრი შეზღუდვების შედეგად ხშირად ვიღებთ ერთგვაროვან დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტას. ასეთი მიდგომა შესაძლოა, არ ითვალისწინებდეს მემკვიდრეობისმიერი ღირსშესანიშნავი ადგილის უნიკალურ მოთხოვნებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანი მემკვიდრეობითი არეები საჭიროებენ გარკვეულ შეღავათებს, ან აუცილებელი პირობების მოქნილ გამოყენებას, რათა მათი ხარისხი არ დაზიანდეს.

დიდ ისტორიულ რაიონებში, ზოგიერთმა ისტორიულმა ქალაქმა შეიმუშავა „მემკვიდრეობის ზონებად დაყოფა," რისი მიზანიცაა კონკრეტულად და მოქნილად დააკმაყოფილოს სხვადასხვა ღირებულების, მდგომარეობის და ფუნქციის მქონე, შენობების საჭიროებანი. ბევრი ქალაქისათვის მემკვიდრეობის ზონებად დაყოფას ძალუძს სათანადოდ დაიცვას განსაკუთრებული რაიონის ხასიათი, დაცვის უფრო მაღალი დონის გარეშე, რაც რაიონების ძეგლად აღიარებას მოყვებოდა.

## *6. კონსერვაციის ხელშეწყობა და საზოგადოების გათვითცნობიერება*

იქნებ, კონსერვაციის მიზნების მიღწევის უმნიშვნელოვანესი საშუალება ის იყოს, რომელიც ძეგლების და მათი ჯგუფების მოვლის იქით სამოსახლოების მაცხოვრებლების გულებსა და გონებას იპყრობს. არსებობს მრავალი ეფექტიური საშუალება იმისთვის, რომ მემკვიდრეობის ფასეულობა პოპულარული და გასაგები გახდეს მოსახლეობისათვის. ეს საშუალებები არა მარტო აამაღლებს მემკვიდრეობის მნიშვნელოვნების გაცნობიერების დონეს, არამედ გასაგებს გახდის კონსერვაციის პროცესის სირთულესაც.

საუკეთესო მეთოდები შემდეგია:

- უკვდავყოფა: ღირსშესანიშნევი ადგილის მნიშვნელოვანი მახასიათებლების განსაზღვრა და მათი წარდგენა მნახველთათვის და მათთვის, ვინც ამ ადგილებით სარგებლობს;
- წარდგენა და განმარტება: აღწერის იქით ისეთი პროგრამების შემოღება, რაც გააცოცხლებს ღირსშესანიშნავ ადგილთან დაკავშირებულ იმ ძველ ამბებს ან თვისებებს, რაც მისთვის ყველაზე საგულისხმო ან ღირებულია;
- საზოგადოების გათვითცნობიერება: ახალგაზრდებისა და მოზრდილთათვის ისეთი პროგრამების შედგენა, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების მხრიდან მემკვიდრეობის და კონსერვაციის სათანადოდ დაფასებას.

### 6.1. უკვდავყოფა

ღირსშესანიშნავი ადგილის ან რაიონის ძეგლად აღიარება და სიაში შეტანა გამოყოფს მათ და წარმოშობს ინტერესს მათ მიმართ, რაც უზრუნველყოფს მათ კანონიერ დაცვას. განსაკუთრებული ფასეულობის ღირსშესანიშნავი ადგილების და ანსამბლების წარმოჩენისადმი ალტერნატიული მიდგომა უკვდავყოფა გახლავთ. მისი მიზანია საზოგადოების გათვითცნობიერება, რასაც ემსახურება ნაგებობის შესწავლა, მისი შეფასება და ყურადღების გამახვილება მის დამახასიათებელ თვისებებზე. ეს აღწერები ხშირად მუდმივ ფიზიკურ სახესაც იღებს წარწერების განთავსებით სახლებსა თუ ობიექტებზე. ისინი გამოიცემა ბროშურების, სლაიდების, ან აღწერილობითი ლიტერატურის ან რაიმე სხვა სახითაც.

მრავალი თვალსაზრისით უკვდავსაყოფთა ნუსხას შეიძლება უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, ვიდრე მხოლოდ კანონმდებლობითი ბუნებისა. იგი შეიძლება ისე იყოს შედგენილი, რომ არ გაანაწყენოს ობიექტების მფლობელები, რომელთა ინტერესი – შეინარჩუნონ საბაზრო ფასი – კანონიერად დასაცავი ობიექტების სიის მიღმა ტოვებს ღირსშესანისნავ ადგილებს.

ისტორიული ქალაქების უკვდავყოფის თითქმის ყველა წარმატებული პროგრამა შეიცავს ქვევით მოყვანილ ყველა ან ზოგიერთ მუხლს:

- მათ წინ საფუძვლიანი კვლევა უსწრებს;
- ისინი გულისხმობს ღირსშესანიშნავი ადგილის ან რაიონის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობების ან თვისებების ყოველმხრივ გააზრებას და თანმიმდევრულ აღიარებას;
- ისინი საყოველთაოდაა ხელმისაწვდომი სტუმრებისა და ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის პრეზენტაციის სახით.

### 6.2. წარდგენა და განმარტება

წარდგენისა და განმარტების მეთოდები გამოიყენება საიმისოდ, რომ ისტორიული ქალაქის „ჩვეულებრივი სახლები“ და ღირსშესანიშნავი ადგილები ისევე როგორც განსაკუთრებული ძეგლები, მუზეუმები და ძეგლად აღიარებული ისტორიული ადგილები უკეთ იყოს გაგებული. ამ მეთოდებს შეუძლია ნათელი მოჰფინოს ღირსშესანიშნავი ადგილის განსაკუთრებულ ევოლუციას, გაზარდოს საზოგადოების მხრიდან მისი თვისებების დაფასება და განათლების შემდგომი პროგრამების შესამუშავებლად ღირებული ნაწარმიც შექმნას.

პროგრამები აგრეთვე შეიძლება შედგეს იმ მიზნით, რომ გამოაცოცხლოს კონკრეტული კვარტალები გარკვეულ საათებში და მიიტანოს მაცხოვრებლებამდე ახლომდებარე რაიონის „სათქმელი“.

წარდგენისა და განმარტების წარმატებული პროგრამების კრიტერიუმები შეიცავს შემდეგ მუხლებს:

- კვლევითი საფუძველის შეურყვნელად არსებრივ მხარეთა საზოგადოებისათვის უფრო ვრცლად მოტანა;

- ქალაქის ბუნების ან თვისებების გაზვიადების ან გაყალბებისგან თავის არიდება;
- ქალაქის ეკონომიკური ან სოციალური ფუნქციონირების ხელშეწყობა;
- სხვადასხვა დაწესებულებების, მუზეუმების და დაინტერესებული პირების პროგრამების ერთმანეთთან დაკავშირება, ქალაქის ერთიანობად წარმოჩენის შესაძლებლობას იძლევა.

## 6.3. საზოგადოების გათვითცნობიერება

მემკვიდრეობის კონსერვაციის წარმატების ყველაზე მნიშვნელოვან გრძელვადიან მეთოდს წარმოადგენს საზოგადოების გათვითცნობიერება. ინფორმირებულ და აქტიურ საზოგადოებაში ყველაფერი შესაძლებელი ხდება: პოლიტიკოსები უფრო მგრძნობიარენი ხდებიან, მეთოდები უფრო მოქნილი და ჩვენი ისტორიული გარემო იმდენად ფასეულად აღიქმება, რათა ის დავიცვათ.

არ არის აუცილებელი საგანმანათლებლო პროგრამების ფოკუსირება შედეგების მიღწევის საშუალებებსა ან ფორმალურ გარეშე პირობებზე.

მემკვიდრეობის სამყაროში უამრავი გამოუყენებელი საგანმანათლებლო შესაძლებლობა არსებობს. უმეტესი მათგანი დაკავშირებულია თავად საკონსერვაციო სამუშაოების წარმოებასთან. სარესტავრაციო სამუშაოები და არქეოლოგიური გათხრები მათი ჩატარების დროს ყველსათვის თვალშისაცემია და მათ შეიძლება თან ახლდეს სტატისტიკის ამსახველი მონიტორები, განმარტებითი ნიშნები და მუშაობის შესახებ უფასოდ დარიგებული მასალა. მათი ღირებულება საკმაოდ მცირეა და ადვილად ჩაეტევა პროექტის ძირითად ბიუჯეტში. და მაინც გრძელვადიანი განათლებისათვის საუკეთესო შედეგი მოაქვს მუნიციპალური დახმარების (იქნება ეს გრანტები, თუ უბრალიდ მშენებლობის ნებართვა) „მიბმას“ პროექტის ბიუჯეტში განათლების წარმოჩენის მუხლებთან.

მემკვიდრეობის შესწავლაც საგანმანათლებლო მასალების შემუშავებისა და ხელშეწყობის ფართო შესაძლებლობებს იძლევა. დოკუმენტაციის შედეგები – ქალაქის ქუჩების ფოტო, ჩანახაზები, განათხარი მასალა – მათ მიერ ასახული მემკვიდრეობის გასაგები და ადვილად ხელმისაწვდომი მეტაფორებია.

1980-იან წლებში, ინსტიტუციონალური მოუწყობლობისა და სამსახურებრივი წინსვლისათვის ძალისხმევის უშედეგობის მიუხედავად, დაინტერესებულმა მასწავლებლებმა და ახალგაზრდობის თავკაცებმა, სკოლაში და მის გარეთ, დაიწყეს სასწავლო მოდულების გამოგონება, რათა მიეტანათ მემკვიდრეობის გზავნილი ხვალინდელ ლიდერებამდე, ჩვენ შვილებამდე.

ეს მსოფლიო მასშტაბის ფენომენია. ბოლო წლების განმავლობაში ამ საქმიანობაში ჩართულ ადამიანთა ქსელმა შექმნა ინფორმაციის, მეთოდების და მიდგომების გაცვლა-გამოცვლის ეროვნული და საერთაშორისო დონეები. 1989 წლის დეკემბერში იკომოს-მა Jeunesse et Patrimoine-თან (ახალგაზრდობა და მემკვიდრეობა) ერთად დააფინანსა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც ეძღვნებოდა ახალგაზრდების განათლებას მემკვიდრეობის საკითხებში.

მრავალი სასკოლო პროექტი, რომელიც ახალგაზრდებს გარემოს მათეულ გააზრებას გამოახატვინებს, თვითონ ხდება საზოგადოების გათვითცნობიერების შესანიშნავი იარაღი — ახალგაზრდათა განაცადის სიხალასე, ახლებურობა სხვათათვისაც შთამაგონებელია ხოლმე.

## კონკრეტული შემთხვევის ანალიზი

# დ. 6.3. საზოგადოების გათვითცნობიერება

**კვებეკი, კანადა**

**პუბლიკაციების პროგრამა**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

კვებეკი დაარსებული იყო სამუელ დე შამპლეს მიერ 1608 წელს, ახალ სამყაროში ფრანგული კოლონიური ექსპანსიის დასაწყისშივე. იგი მდებარეობს მდინარე წმ. ლოურენსს გადმომყურე დამრეცი ქანობის ზემო და ქვემო ნაწილებში. კვებეკის ტოპოგრაფიამ და ფუნქციებმა ერთად განსაზღვრეს ისეთი ურბანული ფორმა, რაც ახლაცაა ასახული გამაგრებულ ზედა ქალაქსა და ქვედა, საპორტო ნაწილშიც.

1759 წლამდე, ფრანგების მმართველობისას, განსაზღვრული იყო ქალაქის ორი ზონის ძირითადი ხასიათი – ქალაქის ქვედა, პორტის მიმდებარე ნაწილი ასრულებდა ქალაქის კომერციულ ფუნქციებს, ხოლო ზედა ქალაქს ეკისრებოდა ადმინისტრაციული და რელიგიური ფუნქციები.

თუკი XVII და XVIII საუკუნეებში განსაზღვრული ზოგადი მიმართებები დღემდე შენარჩუნებულია, დღევანდლამდე იმ პერიოდის ნაგებობების მხოლოდ მცირე რაოდენობამ – ძირითადად ზედა ქალაქის რელიგიურმა ძეგლებმა – მოაღწია. ახლანდელი გარეგნული სახე ქალაქმა უმეტესწილად XIX საუკუნის პირველ ნახევარში შეიძინა. სწორედ ამ პერიოდით თარიღდება ისტორიული უბნების შენობების თითქმის ნახევარი.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

კვებეკი მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად 1985 წლისდამლევს იქნა წარდგენილი, იკომოს-ის მიმოხილვაში მითითებული ორი კრიტერიუმის საფუძველზე. იკომოს-მა მოიყვანა კრიტერიუმი IV და მიუთითა ქალაქის ისტორიულ რაიონზე, როგორც „ჰარმონიულ ურბანულ ანსამბლზე. . . რომელიც შეიცავს ციტადელს, ბასტიონის კედლებით დაცულ ზედა ქალაქს, და ქვედა ქალაქს, მისი ნავსადგურით და ძველი უბნებით. იგი წარმოადგენს გამაგრებული კოლონიური ქალაქის შესანიშნავ ნიმუშს. . . ჩრდილოეთ ამერიკაში ყველაზე სრულად შერჩენილს.“ VI კრიტერიუმი ასევე მიესადაგება კვებეკს, რადგან „ახალი საფრანგეთის ყოფილი დედაქალაქია. . . რომელიც ასახავს მოსახლეობის და ამერიკის ზრდის მთავარ ეტაპებს ახალ და თანამედროვე პერიოდში.“

**3. კონტაქტი**

Mr. Serge Viau,
Ville de Québec,
2, rue des Jardins,
Case postale 700,
Québec, (Québec),
Canada GIR 4S9
Tel.: (418) 691-6866
Fax: (418) 691-2346.

**ბ. ამოცანები**

- ქალაქის პუბლიკაციების პროგრამის ინტეგრირება კვლევის, დოკუმენტაციის შედგენისა და აღნუსხვის პროგრამებთან;
- საზოგადოების გათვითცნობიერების გაღრმავება ქალაქის მემკვიდრეობის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების და კონსერვაციის პროცესში კვლევის წარმოების მნიშვნელობის მიმართ;
- მრავალფეროვანი და ფართო სპექტრის საპუბლიკაციო პროგრამის შექმნა, რაც გააცნობს ადგილობრივ მაცხოვრებლებს და სტუმრებს ქალაქის მემკვიდრეობის ყველა წახნაგს.

**გ. კონტექსტი**

როდესაც კვებეკი კონსერვაციის დღევანდელ „ხანაში“ შევიდა დაახლოვებით 15 წლის წინ, გამოქვეყნებული მასალით ძირითადად ქალაქში ჩამოსული ტურისტები, შორიდან მოსული სტუმრები სარგებლობდნენ.

დროთა განმავლობაში კვებეკში მიხვდნენ, რომ მემკვიდრეობის წარმატებული კონსერვაციის გასაღები ისაა, თუ რა ზომით ესმით მის მოქალაქეებს მათი მემკვიდრეობის ბუნება და ღირებულება და როგორ აფასებენ საამისოდ თავის საკუთარ შესაძლო წვლილს. შესაბამისად, დროთა განმავლობაში შეიცვალა ქალაქის საგამომცემლო პროგრამებით გათვალისწინებული ძირითადი მომხმარებელიც; ახლა პუბლიკაციები ქალაქის მაცხოვრებლებზეა ფოკუსირებული.

მიუხედავად ამისა, შედგენილი მასალა სტუმრებისთვისაც ხელმისაწვდომია.

**დ. მიდგომა**

საზოგადოებისთვის საინტერესო პუბლიკაციები შეიქმნა მთელ რიგ ფართო თემატიკის სფეროებში. მათ შორისაა:

- სამეზობლოებისა ან რაიონების შესწავლა; ქალაქის თითოეული კვარტალის მემკვიდრეობის ამსახველი ილუსტრირებული პოპულარული გამოცემების მომზადება, სადაც დეტალურადაა აღწერილი ყოველი მათგანის დამახასიათებელი ნიშნები და ღირსებები;
- ტექნიკური კვლევა სახლების მფლობელთათვის; ათი, გასაგებ ენაზე შედგენილი და კარგად ილუსტრირებული ნარკვევის გამოქვეყნება, სადაც განხილულია სხვადასხვა ტექნიკური საკითხი (როგორიცაა გადახურვა, კედლების მოპირკეთება, ფანჯრების ჩასმა და სხვ.).

- ქალაქის მემკვიდრეობის კომპონენტების ფართო მიმოხილვა; აქ ქალაქის არქეოლოგიური, არქიტექტურული და ისტორიული მემკვიდრეობა ერთ მთლიანობადაა განხილული.

ხაზგასასმელია: ამ პუბლიკაციებს საფუძვლად უდევს დროთა განმავლობაში ქალაქის მიერ წარმოებული კვლევითი სამუშაოები. მაგალითად, პლას რუაიალს, ქალაქის მთავარ სარესტავრაციო პროექტს მოყვა თემატური გამოკვლევები ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების თაობაზე: სოციალური ორგანიზაციის, ვაჭრობის, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, ცხოვრების წესის და დემოგრაფიის თაობაზე. ეს კვლევა შეიცავს აგრეთვე არქეოლოგიურ მონაცემებს, რომლებიც მოპოვებული იყო 1970-იან წლებში, სხვადასხვა სარესტავრაციო პროექტების განხორციელებისას. როდესაც დასრულდება პლას რუაიალის სინთეზური კვლევა, შედეგები გამოქვეყნებული იქნება საზოგადოების ინტერესის დასაკმაყოფილებლად და ესაა ამ ადგილის საინტერპრეტაციო პროგრამის ძირითადი ბირთვი.

გვაქვს სხვა მაგალითიც, სადაც განხილვის საგანია არა ქალაქის რაიონი, არამედ კონკრეტული შენობის ფუნქცია. ძველი კვებეკის სასტუმროების და გასაქირავებელი ოთახების მფლობელების კითხვებით შეწუხებულმა, ძველი კვებეკის ქვეგანყოფილებამ ლავალის უნივერსიტეტთან ერთად შეიმუშავა კვლევის პროექტი. ისტორიისა და არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებს დაევალათ შეესწავლათ ისტორიულ რაიონში მდებარე 40 ისტორიული სასტუმრო. შედეგები გამოქვეყნდა მოკლე, 300 სიტყვიანი რეზიუმეს ფორმით, რომელსაც თან ახლდა ფოტომასალაც და დაურიგდა მომხმარებელს. იმისთვის, რომ შედეგები ხელმისაწვდომი ყოფილიყო უფრო ფართო საზოგადოებისთვის, ძველი კვებეკის სასტუმროებისა და რესტორნების მფლობელთა ასოციაციამ ითავა ახალი პროექტის შექმნა, რომელიც უნდა გამოცემულიყო **Continuite-**სთან (კვებეკის მასალაზე დაფუძნებული კონსერვაციის საკითხების ჟურნალი) თანამშრომლობით. ეს არის სტუმრების მოსაზიდი სპეციალური გამოცემა, რომელიც 40 ნაგებობის კვლევას შეიცავს.

*შენიშვნა:*
*ამ მასალის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის ავტორი დიდად დავალებულია ანრიეტა ტერიოლისგან.*

## *7. საზოგადოების მონაწილეობა*

დასავლურ სამყაროში 1960-იანი წლების შუა ხანისა და მიწურულის საპროტესტო მოძრაობამ უფრო მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო, ვიდრე უნივერსიტეტის სტუდენტთა მჯდომარე გაფიცვებია, რომლებთანაც ისინი უფრო ასოცირდება ხალხის მეხსიერებაში. მართლაც, ამ დაცვითი მოძრაობის სათავე იმ ადამიანების პროტესტი იყო, რომლებიც ეძებდნენ თავისი გულისტკივილის გამოხატვის პოზიტიურ გზებს.

დაცვითმა მოძრაობამ გარკვეული შედეგები გამოიღო ჩვენს დროშიც. მათ მიერ იყო შთაგონებული გარემოს დამცველთა მოძრაობაც. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მოძრაობამ კი შექმნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი მოდელებისა, რომლებიც დღესაც აისახება პრაქტიკაში. 1970-იანი წლების დასაწყისში სამოსახლოების სამოქმედო ჯგუფების პირველ სართულზე განთავსებული ოფისები, 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იან წლების დასაწყისში მთელ ჩრდილოეთ ამერიკაში საქმიანი რაიონის აღდგენის პროგრამების ოფისებად გადაიქცა. სხვებში განთავსდა საზოგადოებრივი საკონსულტაციოები, მოფიქრებული ხელისფლების მიერ სამოსახლო ერთობის გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

სინამდვილეში, საზოგადოების აზრის გათვალისწინებამ იმდენად ფორმალური სახე მიიღო, რომ მათი ჩართვა მიმდინარე პროცესში ხანდახან დამცინავ ღიმილსაც კი იწვევს. მრავალი მოწადინებულია ამგვარ მცდელობას მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა მიაწეროს. მიუხედავად ამისა, საზოგადოების მონაწილეობა ძალზე ღირებულია ნებისმიერი ისტორიული ქალაქისათვის პროექტის განხორციელებისთვის დამატებითი სახსრების, გულშემატკივრების და მხარდამჭერების უზარმაზარი სპექტრის მოზიდვის თვალსაზრისით. აზრის გათვალისწინება შეიძლება აუცილებელიც კი იყოს კონსერვაციის მოძრაობის ჭეშმარიტი წარმატებისათვის, რაც საბოლოო ჯამში განპირობებულია იმით, თუ რა ზომით იზიარებს პირადად სამოსახლო ერთობის ყველა წევრი მოძრაობის მიზნებისადმი გულხურვალე დამოკიდებულებას.

### 7.1. საჯარო კონსულტაციები

საზოგადოების აზრის გათვალისწინების ფორმალური პროგრამები შესაძლოა ძალზე სასარგებლო იყოს კონსერვაციის მიზნების მიღწევისათვის საჭირო განწყობილების გასაუმჯობესებლად. მათ შეუ-

ძლია გაზარდოს საზოგადოების კომპეტენტურობა და დასახული მიზნების მისი მხრიდან მხარდაჭერა; მათ შეუძლია გაამდიდროს წინასწარი განაცხადები ახალი იდეებით და მიგნებებით; და ბოლოს, მათ ძალუძთ კანონის ძალა მიანიჭოს საუკეთესო არჩევანს.

იმისთვის რომ დავრწმუნდეთ, რომ ეს პროგრამები აღწევს თავის მიზნებს, საჭიროა გულდასმით განვიხილოთ სწორი მოქმედების შემდეგი წესები:

- დავრწმუნდეთ, რომ შეხვედრები ემსახურება აზრიანი მონაწილეობის მიღების გზების ძიებას; გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს აგრძნობინო დამსწრეთ, რომ მათი მოსვლა სასურველია, რომ ყველა შენიშვნა ჩანიშნულია და რომ ისინი ახდენს გავლენას არჩევანის გაკეთებაზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი ვარიანტები წინასწარ არ იყოს გადარჩეული და რეალური არჩევანი მონაწილეების აზრის გაზიარებით კეთდებოდეს;
- უზრუნველვყოთ შეხვედრების ორგანიზება გადაწყვეტილების მიღების პროცესის ადრეულ ეტაპზეც და შემდგომ ეტაპეპზეც, რაც მონაწილეებს მიმდინარე პროცესების განუყოფელი ნაწილად აქცევენ.

ჩვეულებრივ, მთავრობა ძალზე მონდომებულია თავისი წამოწყებების განხორციელების შესაძლებლობა მოიპოვოს; საზოგადოების აზრის გათვალისწინებას ადვილად შეუძლია უზრუნველყოს საჭირო მხარდაჭერა. ფორმალურ მიგდომას კი პირიქით, შეუძლია შეარყიოს ოფიციალურ პირთა პოზიცია და საზოგადოების რწმენა.

## 7.2. ფართო მასების – „ფესვების“ მექანიზმი

დღევანდელ ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ვითარებაში კონსერვაციაში ფართო მასების მოზიდვის მიდგომა მრავალ უპირატესობას იძლევა.

ახალი სამთავრობო პოლიტიკა, ხშირად უფრო სურვილია, ვიდრე რეალობა, განსაკუთრებით ახლა, როდესაც დეფიციტები იზრდება, ხელისუფლება კი მცირდება. ეს განსაკუთრებით შეეხება მემკვიდრეობის პოლიტიკას, რომელსაც თითქოს სტანდარტული განსაზღვრება – „არავითარი რესურსები“ – მიაკრესო.

ასეთ ვითარებაში, კონსერვაციის მხრიდან კანონიერი წილის მოთხოვნამ შეიძლება არ გამოიღოს სასურველი შედეგები. ამავე დროს, ოფიციალური დახმარების ნაკლებობამ შეიძლება დადებითადაც იმოქმედოს, რადგან ამ შემთხვევაში სამოსახლო ერთობები თავისთავზე იღებენ პასუხიმგებლობას საკუთარი მიზნების განხორციელებაზეს. ფართო მასების ჩართვა ურბანულ კონსერვაციაში იკრებს ძალას და უფრო და უფრო პოპულარული ხდება და ნათელია, რომ ნებაყოფლობით გაღებული ჯაფისა და გამოცდილების წვლილი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება მომავალ საზოგადოებებში რესურსების მოთხოვნების შესამცირებლად.

ფართო მასების მოზიდვის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები მაინ-სტრიტის (მთავარი ქუჩის) პროგრამებია, დანერგილი დასავლეთის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა კანადა, აშშ, გაერთიანებული სამეფო და ავსტრალია. ათი წლის განმავლობაში, დაახლოვებით 600 პატარა და საშუალო ზომის ქალაქმა და დიდი ქალაქების უბანმა ისარგებლა მისი სიკეთით. მათი მცდელობა ფიზიკურად ფოკუსირებული იყო ქალაქების კომერციულ ბირთვზე და იმ ადამიანებზე, რომლებიც სამოსახლობებში დაკავებული იყვნენ კომერციული საქმიანობით. ფართო მასების მოზიდვისას მიღებული მრავალი გაკვეთილი უშუალო კავშირშია მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქებთან.

მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ეხება „ორგანიზაციას“ – ცალკეული პიროვნებების გაერთიანება ერთი საერთო ინტერესით, სახლედობრ, მათი საქმიანობისა თუ მათი სამყოფელი უბნების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის ინტერესით. წარმატებული ორგანიზაცია საჭიროებს იმავე მეთოდების გამოყენებას, რითიც წარმატებულ ბიზნესში ხელმძღვანელობენ:

- დაგეგმვის სამუშაოს და რაობის გააზრება საერთო ამოცანების განსაზღვრისა და წარმართვისას;
- ეფექტიური პიროვნებათშორისი ურთიერთობა კონფლიქტების გადასალახავად და ურთიერთნდობის დასანერგად;
- მოხალისეებში პირადი მოტივაციის მაღალი ხარისხის სტიმულირება და შენარჩუნება.

ბევრი მათგანი დიდად მნიშვნელოვანია მოქალაქეების ყველა ჯგუფისათვის, ვისაც სურს გადაჭრას საერთო თუ საზიაროდ მიჩნეული ამოცანები.

## *8. გარემოს კონტროლი*

ჩვენ ყველამ კარგად ვიცით თუ რა გავლენას ახდენს აგრესიული ნივთიერებები და ელემენტები ჩვენ ბუნებრივ და კულტურულ გარემოზე. უკონტროლო სამრეწველო გამონაბოლქვები აბნელებენ ჩვენ ცას და აშავებენ საუკუნოვანი ნაგებობების ქვის ზედაპირს; თავისი წვლილი შეაქვს ავტომობილებსაც - ჰაერის ხარისხის გაუარესებით, ხოლო მათი სიმრავლე და მოძრაობის ტემპი იწვევს ისეთ ვიბრაციას, რაც ხშირად აღემატება ძველი ნაგებობების საძირკველის საწყისს შესაძლებლობებს.

ამავე დროს, მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ინდუსტრიულ რევოლუციამდე ბევრად უფრო ადრე, თვით ბუნებაც საფრთხეს უქმნიდა კულტურული ობიექტების არსებობას. ხანძარს, მიწისძვრებს, ქარიშხალს – ყველა მათგანს ადვილად შეეძლო გაენადგურებინა საუკუნეების მემკვიდრეობა. თვით „ჟუჟუნა“ წვიმაშიც კი შედის გარკვეული მჟავები, რომლებიც დროთა განმავლობაში ნელ-ნელა შლის ნაგებობის კირქვის ელემენტებს.

მომდევნო თავში განიხილება სამრეწველო ნაგავთან, ტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეულ ვიბრაციასთან, მიწისძვრებთან და სხვა სტიქიური უბედურებებთან დაკავშირებული პრობლემების შეფასების, მართვის და შემსუბუქების საშუალებები.

### 8.1. სამრეწველო დაბინძურება

საკმაოდ დიდი ყურადღება დაეთმო ჰაერით გადატანილი დამაბინძურებელი ნივთიერებების ბუნების დადგენას და მათ ზეგავლენას სამშენებლო მასალებსა და ნაგებობებზე. საბოლოოდ, ამ კვლევებმა დააკავშირა გარკვეული მასალების მდგომარეობის მზარდი გაუარესება (მაგალითად, მჟავა წვიმებით გამოწვეული კირქვის თვალშისაცემი დაშლა, ან სულფატისაგან ქვიშაქვის ზედაპირის გაუფერულება და მასზე მკვრივი აპკის წარმოქმნა, რომელიც ბსაოლოოდ ძვრება) ჰაერში მიმობნეული მავნე ნივთიერებების რაოდენობის გაზრდისა და ტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეულ ვიბრაციას.

არსებობს ამ პრობლემების მოგვარებისადმი ოთხი შესაძლო მიდგომა:

- შეამცირო მავნე ნივთიერებების ოდენობა მათ წარმოშობის ადგილას, რათა შეამცირო ჰაერის დაბინძურება გლობალურ დონეზე;
- მნიშვნელოვანი მასალების, ნაგებობების ან მათი ელემენტების დაცვა გაუარესებისაგან ან მათი დამცველი ფენით დაფარვა;
- მნიშვნელოვანი ელემენტების (ძეგლები, ქანდაკებები) გადატანა ხელსაყრელ გარემოში;
- დამაბინძურებელი გამონაბოლქვების ადგილობრივი მოქმედებისშესწავლა ყველაზე დაზიანებული ნიმუშების მიხედვით და ღონისძიებების დაგეგვმა (მაგ., სატრანსპორტო მარშრუტების სქემა, ახალი საწარმოების განლაგება) კიდევ მეტი გასაჭირის ალბათობის შესამცირებლად.

ყველა მათგანს შეიძლება ჰქონდეს დადებითი შედეგი კონსერვაციისათვის, თუმცა უკანასკნელი, ალბათ, ყველაზე პრაქტიკული და ადვილად სამართავია ისტორიული ქალაქების ხელმძღვანელების მხრიდან.

## კონკრეტული შემთხვევების ანალიზი

## დ. 8.1. სამრეწველო დაბინძურება

**გიოტებორგი, შვედეთი**

**დაბინძურების ზეგავლენის შემცირება ისტორიულ ცენტრებში**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

გიოტებორგი დაარსდა 1620 წელს ტბების მიდამოებში, ჩრდილოეთ ზღვაში გოტა ალვის გასასვლელთან. თხრილით და წყლის არხით გარშემორტყმული ქალაქს, თავისი დამახასიათებელი ნაგებობებით, ძლიერი ჰოლანდიური ზეგავლენა ატყვია.

პირით ჩრდილოეთი ზღვისა და ატლანტიკის ოკეანესაკენ განლაგებითა და ქვეყნის შიდა მხარეებთან კარგი სატრანსპორტო კავშირის გამო, გიოტებორგი გახდა შვედეთის მთავარი პორტი და სკანდინავიის ტრანსოკეანური ვაჭრობის მთავარი ცენტრი.

გიოტებორგი შვედეთის ერთ-ერთი წამძღოლი ინდუსტრიული ქალაქია, რამდენიმე, XIX ს-ის გასულს დაარსებული აქაური საწარმო კი (ვოლვო, SKF, ჰასელბლადი) საქვეყნოდაცაა ცნობილი.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

გიოტებორგი არ ყოფილა დასახელებული მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად.

**3. კონტაქტი**

Lordmayor
Mr. Jörgen Linder
City of Göteborg
S-404 82 Göteborg,
Sweden
Jan Rosvall
Institute for Conservation
University of Göteborg
Bastionsplatsen 2
S-411 08 Göteborg, Sweden
Tel.: 031. 63. 47. 03
Fax: 031. 63. 47. 00

**ბ. ამოცანები**

- გარემო საფრთხეების, ძირითადად ჰაერის დაბინძურების, მონიტორინგისა და დაკვირვებისათვის საჭირო მიდგომის შემუშავება.
- ზოგადი მოდელის შექმნა შენობებსა და ფიზიკურ ნაშენზე დაბინძურებული ჰაერის ზეგავლენის დოკუმენტაციის მიზნით, რაც გახდება ტექნიკური ღონისძიების საფუძველი კვალიფიციური გრძელვადიანი მოვლსა და კონსერვაციისათვის.

**გ. კონტექსტი**

შენობებზე, ძეგლებზე და სხვა ფიზიკურ ნაშენზე დაბინძურებული ჰაერის დამანგრეველი ზეგავლენა გახდა სერიოზული პრობლემა ბოლო ათი წლის განმავლობაში. საპასუხოდ, ქალაქის საბჭომ შეიმუშავა დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების შემცირების პროგრამა. მასში შედის კონკრეტულ ქმედებებზე გათვლილი გეგმარებითი კვლევა-ძიება.

ქალაქის საბჭოსა და გიოტებორგის უნივერსიტეტის (კონსერვაციის ინსტიტუტი) თანამშრომლობამ შესაძლებელი გახადა ჰაერის დაბინძურებით დაზიანებული ფიზიკური ნაშენის აღნუსხვის ზოგადი მოდელის შემუშავება. მოდელის შემუშავებისას ჩატარდა გიოტებორგის ცენტრალური ნაწილის დაზიანებათა აღწერილობა. შედეგად გამოავლინდა უფრო სერიოზული დაზიანებები, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო განმტკიცდა კვლევისა და განვითარების ცენტრის დაარსებით, რომელიც ეყრდნობოდა EURO-CARE- ის კონცეპციას. EURO-CARE წარმოადგენს EUREKA-ს პროექტს შენობების და კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისათვის საჭირო ხარისხიანი საშუალებების წარმოებისათვის. ქალაქის საბჭო, გიოტებორგის უნივერსიტეტი, ჩალმერსის ტექნიკური უნივერსიტეტი და, რა თქმა უნდა, მრეწველობა თავის ძალებს აერთიანებს. მუშაობა, რომელიც ახლა საწყისს ეტაპზე იმყოფება, საბოლოოდ შეამზადებს R&D პროექტებს ახალი ტექნოლოგიების, პროდუქციისა და პროცესების, ინფრასტრუქტურის, მეთოდებისა და სტანდარტების შესაქმნელად, რომელნიც გააუმჯობესებს კულტურული მემკვიდრეობის და ნაგებობების საარსებო მომსახურებას, და ამავე დროს შეამცირებს კონსერვაციის, რესტავრაციის და მოვლის წლიურ დანახარჯებს.

**დ. მიდგომა**

კვლევა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა დაბინძურებით გამოწვეული ზიანის აღნუსხვის მოდელი, პირველ რიგში, გულისხმობს, კულტურული კონსერვაციის სფეროში, ორგანულ ქიმიასა და სხვა მონათესავე დისციპლინებში მომუშავეთა თანამშრომლობას. მეთოდოლოგია და თეორიული საფუძვლები დამყარებულია მულტიდისციპლინარულ მიდგომას, რომელიც მოცემულია პუბლიკაციაში *ჰაერის დაბინძურება და კონსერვაცია – ჩვენი არქიტექტურული მემკვიდრეობის უსაფრთხოების დაცვა* (გამოცემული Jan Rosvall and Stig Aleby, Elsevier, Amsterdam, 1988) და სამეცნიერო ანგარიშში –

*დაბინძურებული ჰაერის ზეგავლენა გიოტებორგის შენობებსა და ძეგლებზე* (კონსერვაციის ინსტიტუტი, გიოტებორგის უნივერსიტეტი, 1990).

პროექტი მოიცავდა აღწერილობას, დაზიანების ანალიზს და სარემონტო ღონისძიებებს. წინა პროექტი შედგებოდა ზოგადი აღწერილობისგან, საიდანაც შეირჩა რიგი ტოპოგრაფიული რაიონებისა და ობიექტებისა, რომელმაც შეადგინა უფრო დეტალურად შეფასებული ნაწილი, ჩართული EURO-CARE-ის მონაცემთა ბაზის სისტემაში. დაზიანების დონე დადგენილი იყო ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე (დაზიანების ხარისხები 0-5), მონაცემთა სტრუქტურირების EURO-CARE-ის სტანდარტების, „მინიმალურად ცვალებადი სიდიდეები," გამოყენებით. აღწერილობაში შეტანილი თითოეული ტოპოგრაფიული რაიონიდან დიდი გულისყურით იყო შერჩეული შენობებისა და ქანდაკებების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც შემდგომ დაექვემდებარა უფრო დეტალურ და ყოვლისმომცველ დოკუმენტაციას ვიზუალური შემოწმების, ფოტოდოკუმენტირების, სინჯების აღების, ქიმიური ანალიზის, დიაგნოსტირების და სხვათა ჩართვით. ობიექტების შერჩევას განსაზღვრავდა სამშენებლო მასალა, გეოგრაფიული, კლიმატური და დაბინძურების ფაქტორები. განხილულ სამშენებლო მასალას ძირითადად წარმოადგენს გრანიტი, კირქვა, ქვიშაქვა და ბუნებრივი ქვების და ბრინჯაოს სხვა სახეობები.

აღწერილობის მიზანია შექმნას ფაქტიურ მასალაზე დაფუძნებული ზოგადი წარმოდგენა სხვადასხვა ტიპის ნაგებობებსა და ქანდაკებებზე დაზიანების ხარისხში შესაძლო ცვლილებების კავშირის შესახებ ცვალებად გარემო პირობებთან. აღწერილობაში მკაფიოდაა მითითებული დაზიანების მდგომარეობა ზოგადად, და, ამასთანავე, ასახულია, რის საფუძველზეა მოცემული ანალიზი და შესაძლო სარემონტო ღონისძიებები.

გარემოს დაცვის და კონსერვაციის შემოთავაზებული ღონისძიებები ჩამოყალიბებულია 20 ქმედების ჩამონათვალში და დაფუძნებულია ყოველივე ყურადსაღებზე, რაც აღწერილობამ და დაზიანებათა ანალიზმა აჩვენა. ეს ღონისძიებები მოიცავს როგორც ამა თუ იმ დაბინძურების დონის დასაწევად მიღებულ საერთაშორისო გადაწყვეტილებებს, ასევე შერჩეული საცდელი ობიექტების პრაქტიკულ კონსერვაციას და უნივერსალურად ეფექტური ზოგადი ინვენტარიზაციის და დიაგნოსტიკის მოდელის შემოღებას.

## 8.2. ტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეული ვიბრაცია

მხოლოდ ბოლო რამდენიმე ათეული წელია, რაც ჩვენ გავაცნობიერეთ, თუ რა დონის ვიბრაციას იწვევს ნაგებობებისათვის ტრანსპორტის მოძრაობა ჩვენი ისტორიული ქალაქების ქუჩებში. ეს პრობლემა, ჩვეულებრივ ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდება და თვალსაჩინო ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ძეგლები უკვე ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდიან ინტენსიურ ვიბრაციას.

ამ პრობლემის მოგვარების ეფექტიური პროგრამები შემდეგ მიდგომებს მოიცავს

- მანქანების სადგომების მონიტორინგი ამ პრობლემისა და დროთა განმავლობაში ამა თუ იმ ნაგებობებზე მისი ზეგავლენის მასშტაბის დასადგენად;
- გარკვეული სახის ტრანსპორტის (მაგ., საბარგო მანქანების) მოძრაობის აკრძალვა ან სიჩქარის შეზღუდვა მნიშვნელოვან რაიონებში, პრობლემის მასშტაბის შემცირების მიზნით;
- ვიბრაციის იზოლაციის სხვადასხვა ფორმებზე ცდების ჩატარება, გზებსა და ნაგებობებს შორის ბარიერების ჩადგმა, რომელთაც ძალუძს შთანთქოს ზეგავლენა უმეტესი წილი და ამის შემდეგ ადგილობრივ ვითარებაში ყველაზე იმედისმომცემთა გამოყენება;
- მეთოდების შემუშავება და მათი დანერგვა დაზიანებული ნაგებობების გასამაგრებლად და გასამტკიცებლად ნებისმიერი საინჟინრო მონაპოვართა მოხმობით.

## 8.3. მიწისძვრები და სტიქიური უბედურებები

მიწისძვრები და სტიქიური უბედურებები ხშირად ანადგურებს ნაგებობებს და იწირავს ადამიანთა სიცოცხლეს ჩვენ მნიშვნელოვან ისტორიულ ქალაქებში. მიუხედავად იმისა, რომ მათ თითქოსდა პროგნოზირებადი ციკლური ხასიათი აქვს, მსოფლიოს გარკვეულ ნაწილებში ჩვენ, ჩვეულებრივ, არ შეგვიძლია მათი დაწყების სათანადო სიზუსტით წინასწარმეტყველება, რათა თავიდან ავირიდოთ მოსალოდნელი დაზიანებები. ქარიშხლების და ტაიფუნების შემთხვევაში, სადაც შესაძლებელია წინასწარი გაფრთხილება, შეიძლება მოხერხდეს ადამიანების გადარჩენა, მაგრამ ბოლო წუთებში ცოტა რამ თუ

გაკეთდება იმისთვის, რომ დავიცვათ შენობები და ღირსშესანიშნავი ადგილები მოსალოდნელი იერიშებისგან.

განსხვავებით ვიბრაციისა და დაბინძურებისადმი ზემოთაღწერილი მიდგომებისაგან, წინასწარი პრევენცია ჯერჯერობით ვერ თავაზობს ქალაქის ხელმძღვანელობას რაიმე პრაქტიკულ წინადადებას მოსალოდნელი მიწისძვრების, ან სტიქიური უბედურებების სხვა ფორმებთან გასამკლავებლად.

კატასტროფების შესაძლო შედეგების თავიდან აცილების ან შესუსტების თვალსაზრისით კონსერვაციის ყველაზე ეფექტიურ მეთოდებს შორის არის:

- უბედურებისთვის მზადყოფნის გეგმა, სადაც მითითებულია სპეციფიკური მოქმედებები და ვალდებულებები უბედურებამდე და მის შემდეგ, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ ადამიანებისა და ნაგებობებისთვის მიყენებული ზიანი;
- ამა თუ იმ ღირსშესანიშნავი ადგილის პოტენციალის ანალიზი, გაუძლოს სხვადასხვა ფორმის და სიძლიერის დარტყმას ანუ სეისმური მდგრადობის ანალიზი;
- იმ ნაგებობების მდგომარეობის გაუმჯობესების პროგრამები, რომლებიც საალბათოდ ვერ გაუძლებს სერიოზულ დარტყმას;
- ხელშეწყობა და მონაწილეობა გაცვლით და კვლევით პროგრამებში აზრების, გამოცდილების და ტექნოლოგიური წარმატებების (კერძოდ, შენობების მოდერნიზაციის, მაგ., მიწისძვრებისთვის მოდიფიცირების მხრივ, ანტი-სეისმური ღონისძიებები) გაზიარების მიზნით.

## კონკრეტული შემთხვევების ანალიზი

## დ. 8.3. მიწისძვრები და სტიქიური უბედურებები

**დუბროვნიკი, იუგოსლავია**

**შენობების დაცვა მიწისძვრებისაგან;**

**ტექნიკური ასპექტები**

**ა. წინაპირობები**

**1. ისტორია**

ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე განლაგებული დუბროვნიკი თავის არსებობას ჩვ.წ. VII საუკუნის წინარე ხანიდან ითვლის. ლათინთა და სლავების ენერგიის აღრევამ რაგუსიუმ-დუბროვნიკის ორმაგ ქალაქს მნიშვნელოვანი მდგომარეობა XIII საუკუნეში შესძინა, როდესაც მან, ზღვაზე ჰეგემონიის მოსაპოვებლად ვენეციასთან დაიწყო მეტოქეობა. თავის აყვავების უმაღლეს მწვერვალს ქალაქმა XVII საუკუნეში მიაღწია, როდესაც 1667 წლის ძლიერმა მიწისძვრამ სერიოზული ნგრევა გამოიწვია. რეკონსტრუქცია, სადაც შესაძლებელი იყო, არსებულს მისდევდა; ზოგიერთ ადგილას ნგრევის შედეგად შესაძლებელი გახდა საზოგადოებისათვის ღია სივრცეების შექმნა (გუნდულიჩევა პოლიანა), სხვაგან კი ისეთი მნიშვნელოვანი შენობების აშენება, როგორიცაა იეზუიტების ეკლესია და მისი მიმდებარე სასწავლებელი. დუბროვნიკმა დაკარგა დამოუკიდებლობა ნაპოლეონის ომების დროს; მიუხედავად ამისა, თავისი დღევანდელი გარეგნული ფორმებსა და ელემენტებს იგი ამ გარდატეხის წინამორბედ განვითარებას უნდა უმადლოდეს.

**2. მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაცია**

1979 წელს დუბროვნიკი ნომინირებული იყო მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად.

**3. კონტაქტი**

Mr. Bozo Letunic,
Director Zavod za obnuvu
Dubrovnika
C. Zuzoric br. 6
50000 Dubrovnik

Yugoslavia
Tel.: 32-190
Fax: 34-025

**ბ. ამოცანები**

- ძეგლების დაცვა მიწისძვრით გამოწვეული დაზიანებებისაგან;
- ამ შენობების მახასიათებლების უცვლელად შენარჩუნება ყველაზე შესაფერისი ტექნოლოგიების გამოყენების გზით.

**გ. კონტექსტი**

1979 წლის 15 აპრილს იუგოსლავიაში მოხდა ძლიერი მიწისძვრა. განსაკუთრებული ზიანი მან დუბროვნიკის ძველ ქალაქს მიაყენა. დაზიანდა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ნაგებობა: სახლები, სასახლეები, ეკლესიები, ქალაქის გალავანი და საფორტიფიკაციო ნაგებობები, მონასტრები, ვილები და ამასთან ერთად წყლის მომმარაგებელი და საკანალიზაციო სისტემაც კი.

საჭირო გახდა თითოეული შენობის, თითოეული ქუჩის და თითოეული მოედნის რესტავრაცია. დაზიანებული იყო 1,071 ნაგებობაზე მეტი, ზოგი მათგანი ძალიან სერიოზულად. სარესტავრაციო სამუშაოების მასშტაბი უზარმაზარი იყო და ენტუზიაზმით განიხილება ათ წელზე მეტი ხნის დაგვიანებით.

**დ. მიდგომა**

1979 წლის 10 ოქტომბერს დუბროვნიკის მუნიციპალურმა ასამბლეამ დააარსა დუბროვნიკის რესტავრაციის ინსტიტუტი, რომელსაც ევალებოდა ზედამხედველობა გაეწია ყველა სახის სამუშაოსთვის, რომლის მიზანი იყო რესტავრაციის პროგრამების და გეგმების განხორციელება მიწისძვრით დაზიანებულ ნაგებობებზე. სამუშაო შეიცავდა:

- საბუთების შეგროვებას;
- საჭირო ტექნიკური კვლევის ჩატარებას;
- სარესტავრაციო სამუშაოების ზედამხედველობას.

1986 წელს ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობამ გამოსცა უფრო ზოგადი ხასიათის კანონი, სადაც აღნიშნული იყო, რომ დუბროვნიკის ძველი ქალაქი წარმოადგენს დაზიანებულ არქიტექტურულ მემკვიდრეობას, და რომ კერძო პირებსა და კორპორაციებს შორის ვალდებულებების და პასუხისმგებლობების დანაწილება უნდა ითვალისწინებდეს ამ არქიტექტურული მემკვიდრეობის აღდგენას.

დუბროვნიკის რესტავრაციის ინსტიტუტმა მოამზადა განხორციელების გეგმა, რომელიც დაამტკიცეს 1979 წელს. განვითარების გენგეგმის მსგავსი გეგმა შეიცავდა მსოფლიო მემკვიდრეობის ამ მნიშვნელოვანი ანსამბლის აღდგენის ყველა საჭირო ღონისძიებას. იგი განაგებს მიწის გამოყენებას, ისახავს ბინათმშენებლობის ამოცანებს, ანაწილებს აღჭურვილობას და მომსახურებას და აღწერს აუცილებელ ინფრასტრუქტურას.

სარესტავრაციო სამუშაოები დაიწყო რამდენიმე მთავარ ძეგლზე, რომელთა რიცხვში შედიოდა რექტორის სასახლე, დუბროვნიკის რატუშა, მარინ დრზიკის თეატრი, სპონზას სასახლე, საკათედრო ტაძარი და დომინიკელთა და ფრანცისკანელთა მონასტრების სამრეკლოები.

ამ შენობების კონსტრუქციები, მსგავსად მრავალი სხვისა, სერიოზულად იყო დაზიანებული. მაგალითად, რექტორის სასახლეში მზიდი კედლები დაშორებული იყო იატაკის გადახურვას, ხოლო ზოგ ადგილას ფასადის გადახრა 23სმ. აღწევდა. სარესტავრაციო სამუშაოები შეიცავდა მზიდი კედლების ამოყვანას არსებული კედლების მასალის გამოყენებით, რკინა-ბეტონის იატაკის ფილების ჩაშენებას და საძირკველის გამაგრებას მიწაში განთავსებული რკინა-ბეტონის ხიმინჯებით. გარდა ამისა, სასახლეს და მის ახლო მდებარე რატუშას ერთმანეთთან აკავშირებდა სეისმური კვანძი.

რაც შეეხება დუბროვნიკის რატუშას, მასაც ჩაუტარდა გამაგრებითი სამუშაოები, რაც შეიცავდა საძირკვლიდან სახურავამდე რკინა-ბეტონის ორი განივი კედლის ამოყვანას, კოლოფის ტიპის კიბის უჯრედის ჩართვას და რკინა-ბეტონის იატაკების დაგებას. გარდა ამისა, შენობა სეისმურად იზოლირებული იყო მეზობელი ნაგებობებისაგან. ოთახების განლაგება მთლიანად გადაკეთდა.

მიწისძვრამ მნიშვნელოვნად დააზიანა ქალაქის საათის კოშკი, რადგან იგი აშენებული იყო წყლით სავსე საგუბარზე. რესტავრაცია დაიწყო 1987 წელს, ხოლო დასრულდა 1988 წელს. იგივე შეიძლება ითქვას ფრანცისკანელების და დომინიკანელების მონასტრების სამრეკლოების შესახებ. ყველა კოშკისთვის გამოყენებული იყო ერთი და იგივე კონსტრუქციული სისტემა: რკინა-ბეტონის ორი ფილა, განთავსებული ერთი ძირზე, ხოლო მეორე თავში და დაკავშირებული ერთმანეთთან წი-

ნასწარ დაჭიმული ბაგირებით. ასეთი სისტემის წყალობით სამრეკლოს რეაქცია მიწისძვრების დროს მოქნილი იქნება.

რაც შეეხება საკათედრო ტაძარს, თავდაპირველად სამუშაოები დასრულდა გუმბათში რკინა-ბეტონის ფილების სარტყლის ბოლო კარნიზის დონეზე მოწყობით; მოგვიანებით ამას დაემატა იატაკის ორი მესამედის დაფარვა ფილებით, რათა არქეოლოგებს ჰქონოდათ ტაძარში მუშაობის გაგრძელების საშუალება (აღმოჩენები, სხვათა შორის, შეიცავდა ადრე ბიზანტიური საკათედრო ტაძრის ნაშთებსაც).

წყარო:
*The Restoration of Dubrovnik, 1979-1989, Zavod za obnuvu Dubrovnika, 1990.*

# ბიბლიოგრაფია

შემდეგი ჩამონათვალი წარმოადგენს ურბანული კონსერვაციის თემას მიძღვნილი ათასობით წიგნების, სტატიების და დოკუმენტების მხოლოდ მცირე ნაწილს.


1. Appleyard, Donald.(ed.) *The Conservation of European Cities.* Boston. 1979.
2. Cesari, C. *Considerations on the Problems of Integrated Conservation.* Ferrara. 1982.
3. Conseil d'Europe *Déclaration d'Amsterdam.* Amsterdam. 1975.
4. Fitch, James Marston. *Historic Preservation: Curatorial Management of the Built World.* New York. 1982.
5. Harrison, Patrick. (ed.) *Civilizing the City: Quality or Chaos in Historic towns.* Edinburgh. 1990.
6. ICOMOS. *Charter for the Conservation of Historic Towns and Urban Areas.*
7. *Charte Internationale pour le Sauvegarde des Villes Historiques.*
8. *Carta International para la Conservación de las Cuidades Históricas.* Washington, D.C. 1987.
9. ICOMOS. *The International Charter for the Conservation and Restoration of Monuments and Sites.*
10. *Charte Internationale sur la Conservation et la Restauration des Monuments et des Sites.*
11. *Carta Internacional sobre la Conservación y la Restauración de los Monumentos y de los Sitios.* Venice. 1964.
12. Jokilehto, J. *A History of Architectural Conservation:the Contribution of English, French, German and Italian Thought Towards an International Approach to the conservation of Cultural Property.* D. Phil. Thesis. York. 1986.
13. UNESCO. *Conservation of Cities.* Paris. 1975.
14. UNESCO, German Commission for *Protection and Cultural Animation of Monuments, Sites and Historic Towns in Europe.* Bonn. 1980.
15. UNESCO. *Operational Guidelines for the Implementation of the World Heritage Convention.* Paris. 1977. Revised 1989.
16. UNESCO. *Recommendations Concerning the Safeguarding and Contemporary Role of Historic Areas.*
17. *Recommendations Concernant la Sauvegarde des Ensembles Historiques ou Traditionnels et leur Role dans la Vie Contemporaine.*
18. *Recomendacion Relativa a la Salvaguardia de los Conjuntos Históricas et su Función en la Vida Contemporánea.* Nairobi. 1976.

კეიტ კლარკი

# კომპეტენტური კონსერვაცია

## ისტორიული ნაგებობებისა და მათი ლანდშაფტის გააზრება კონსერვაციისათვის

*ინგლისის მემკვიდრეობა*

KATE CLARK

# INFORMED CONSERVATION

## UNDERSTANDING HISTORIC BUILDINGS AND THEIR LANDSCAPES FOR CONSERVATION

*ENGLISH HERITAGE*

London, 2001

## სამადლობელი

ბევრი ადამიანი მრავალმხრივად დაგვეხმარა ამ დოკუმენტის შედგენაში, განსაკუთრებით ტარტია ბარნეტი და რენე ჰოლანდი, ისევე როგორც სიუზი ბარსონი, ალექს ბაილისი, დამიენ გუდბარნი, ჰელენ ჰაუგი, რიჩარდ ლი, ველ ჰორსლერი, სარა ლანნონი, ქრის მიელი, ნიკოლას მოლინაო, დევიდ მაილსი, დევიდ რობინსონი, პოლ სტემპერი, ჰამფრი უელფეა, ჯეფ უესტი და ენდი უიტრიკი. ბევრმა სხვა ადამიანმა გამოხატა აზრი ტექსტის შავი რდაქციის შესახებ. ინგლისის მემკვიდრეობის თანამშრომლების გარდა განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით იმ ორგანიზაციებსა და ცალკეულ ადამიანებს, ვინც მოგვაწოდა თავიანთი ნამუშევრები და ილუსტრაციები. მათ ყველას სათითაოდ ვუხდით მადლობას.

## შესავალი

ისტორიული გარემო არსებობს ჩვენს გარშემო შენობებისა და ლანდშაფტის, დამარხული ნაშთებისა და ისტორიული ადგილების სახით. ეს ძვირფასი და შეუცვლელი დოვლათია, რომელიც ერთხელ თუ დავკარგეთ, ვერასდროს დავიბრუნებთ.

ისტორიული გარემო მრავალნაირად არის მნიშვნელოვანი — არქიტექტურისა თუ ლანდშაფტის, მასთან დაკავშირებული მოგონებების, მასთან „გაშინაურების“ კუთხით, იმ ამბების გამო, რომელსაც ის მოგვითხრობს, წვლილით საზოგადოებისთვისა თუ ჩვენს სულიერ ცხოვრებაში. მან ჩამოაყალიბა ის ადგილები, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ვმუშაობთ და ის ცხოვრების ხარისხის განმსაზღვრელიცაა. ეს არის ყველაზე იოლად გასაგები მთხრობელი ჩვენი ისტორიისა. ისევე როგორც გარემოს სხვა წახნაგები, ისტორიული გარემო იმსახურებს მასზე გულმოდგინე ზრუნვას.

ისტორიულ გარემოზე ზრუნვა დინამიკური პროცესია, რომელიც მოითხოვს ცვლილებების მართვას იმისთვის, რომ მომავალი თაობები მიხვდნენ, რას ვაფასებთ და გაიგონ ზოგი რამ მათი ფესვების შესახებ. ეს არ ნიშნავს ყველაფერი ძველის შენარჩუნებას, მაგრამ ითხოვს მისი ღირებულებებისა და მნიშვნელობის ყურადღებით განსჯას. ყოველი საკონსერვაციო გადაწყვეტილებისთვის სწორედ ასეთი განსჯა არის აუცილებელი. ამისთანა გადაწყვეტილების საფუძველთა საფუძველი იმის ცოდნაა, თუ რას აქვს ფასი და რატომ. მხოლოდ ზუსტი გააზრებით შეგვიძლია შევუწყოთ ხელი მოწესრიგებას, თანამშრომლობას, სუბსიდიების მიღებას თუ საზოგადოებრივი სექტორის სხვა სახის დახმარებას კონსერვაციისათვის.

ნებისმიერ დასკვნას მნიშვნელოვნების შესახებ საფუძვლად გააზრება უდევს. საჭიროა იმის ცოდნა, თუ რატომ არის ეს ასე და არა ისე. უნდა ვიცოდეთ, როგორ აიგო ნაგებობა, როგორ გადაკეთდა და როგორ იქნა გამოყენებული დროთა განმავლობაში, რა დარჩა და რა დაიკარგა. გააზრება თვალის შევლებითაც შეიძლება და ნაშენი ქსოვილის ჩაძიებული, დეტალური, არქეოლოგიის, ისტორიის, არქიტექტურის, აზომვის, ეკოლოგიის და სხვა სპეციალური მონაცემების ანალიზითაც. სამწუხაროდ, მწირი დაფინანსებისას, ასეთი გააზრება ხშირად ან ზედმეტ ფუფუნებად მიაჩნიათ ან მისი საჭიროება მაშინ ვლინდება, როდესაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.

ეს „სახელმძღვანელო პრინციპები“ გვაცნობს იმ დადებით როლს, რასაც ისტორიული ნაგებობებისა და ლანდშაფტის გააზრება ასრულებს კონსერვაციაში. ისინი იმათთვისაა, ვისაც საკონსერვაციო მითითებების მოცემა ავალია და აჩვენებს კავშირს გააზრებასა და გადაწყვეტილებებს შორის, ისევე როგორც სხვადასხვა ანალიტიკური მეთოდის წვლილს.

„ინფორმაციაზე დაფუძნებული კონსერვაცია“ მსჯელობის დასაწყისია მხოლოდ და არა მისი დაბოლოვება. საგანი მეტად მრავლისმომცველი და რთულია იმისთვის, რომ იგი ერთმა დოკუმეტმა დაიტიოს. სამაგიეროდ, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ იგი წაახალისებს სპეციალისტებსა და ანალიტიკოსებს ერთმანეთთან უფრო მჭიდროდ ითანამშრომლონ და ხელს შეუწყობს კონსერვაციის სპეციალისტებს უკეთესად გამოიყენონ თავისი უნარ-ჩვევები მათ ყოველდღიურ საქმიანობაში.

ჩვენ ასევე ვიმედოვნებთ, რომ „ინფორმაციაზე დაფუძნებული კონსერვაცია“ დასაბამს მისცემს ჩვენი ადგილსამყოფელის საზოგადოების მიერ უფრო ფართოდ გაგებას და ჩვენ, როგორც ერი, შევძლებთ ვასაზრდოოთ ის, რასაც ვაფასებთ, როგორც მნიშვნელოვან წვლილს, შეტანილს ცვლილებების პროცესში.

სერ ნილ კოსსონს
აღდგომის კვირა 2001

# რეზიუმე

ჩვენი „სახელმძღვანელო პრინციპები“ გაწვდით რჩევას ისტორიული ნაგებობებისა და ლანდშაფტის გააზრების მეთოდების შესახებ და, განსაკუთრებით, როგორ უნდა იქნეს ის გამოყენებული საკონსერვაციო პროექტებში, როგორიცაა შეკეთება, გადაკეთება, განვითარება და მენეჯმენტი. რეკომენდაციები განკუთვნილია კონსერვაციის სპეციალისტებისთვის, როგორებიცაა არქიტექტორები, ზედამხედველობის სამსახურის მოხელეები, კონსერვაციის მოხელეები, მცველები, მგეგმავები, ინჟინრები, პროექტის მენეჯერები, ლანდშაფტის არქიტექტორები, არქეოლოგები, მშენებლობის უფროსი და, რა თქმა უნდა, მეპატრონეები.

„სახელმძღვანელო პრინციპები“ რამდენიმე ძირითად ამოსავალს ეფუძნება:

- გააზრება არის კონსერვაციის საძირკველი
- გააზრების გარეშე კონსერვაცია უგზოუკვლო და უაზროა.
- წინასწარი გააზრება საკონსერვაციო გადაწყვეტილებისთვის საუკეთესო დასაყრდენია: ნაგებობები და ლანდშაფტი საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ მანამ, სანამ შევცვლით მათ და არა იმიტომ, რომ შევცვლით.
- გააზრება ნაგებობისა და ლანდშაფტის მნიშვნელოვნებაზე დაგეგმილი ცვლილებების ზეგავლენის შეფასებისკენ უნდა მივმართოთ.
- ინფორმაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დაგეგმვისას, რომელიც არეგულირებს მიწისა და ნაგებობების გამოყენების წესებს
- გააზრება მნიშვნელოვანია ნებისმიერ საკონსერვაციო საქმიანობაში, იქნება ეს ყოველდღიური მოვლა, მენეჯმენტი, დებულებით განსაზღვრული მიმდინარე საქმიანობა, შეკეთების პროექტები ან ახალი განვითარება.
- გააზრების სიკეთე ისიცაა, რომ ის გვიჩვენებს, თუ როგორ შევამსუბუქოთ დამანგრეველი ცვლილებები და არა წინ აღვუდგეთ ცვლილებებს, როგორც ასეთს.
- გააზრება დინამიკური პროცესია, რომელიც გრძელდება პროექტის მიმდინარეობის მაძილზეც და თვით შენობისა თუ გარემო ლანდშაფტის მთელი არსებობის განმავლობაშიც
- ინფორმაციის მიწოდებას პრაგმატული მიდგომა სჭირდება და მაშინ და იქ უნდა იყოს მიწოდებული, სადაც ის საჭიროა.

საკონსერვაციო გააზრება შეიცავს ნაგებობისა და ლანდშაფტის ქსოვილის გულდაგულ არქეოლოგიურ ანალიზს. თუმცა, არქეოლოგიის გარდა ის სხვა დარგებსაც იშველიებს, როგორიცაა აზომვა, არქიტექტურისა და ლანდშაფტის ისტორია, შენობის ისტორია, დოკუმენტების შესწავლა, არქიტექტურის დაფერვის ანალიზი, დენდროქრონოლოგია და სხვ. გააზრების საბოლოო მიზანი მნიშვნელოვნების განსაზღვრაა. ეს პროცესი თანდათან ცდება ექსპერტებისმიერ ღირებულებებს, რათა დაინტერესებული პირების უფრო ფართო შეხედულებებიც მოიცვას.

**ვინაიდან ამ საქმიანობის აღმნიშვნელი ტერმინი არ არსებობს, შეირჩა შესიტყვება – კონსერვაციაზე დაფუძნებული კვლევა და ანალიზი (კდკა), რომელიც ზუსტად განისაზღვრება, როგორც**

***გამოკვლევა, ანალიზი, მიმოხილვა და შესწავლა, რომელიც აუცილებელია ნაგებობისა და ლანდშაფტის გააზრებისთვის და, ამგვარად, გვაწვდის ინფორმაციას შეკეთების, ცვლილებების, გამოყენებისა და მენეჯმენტის სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.***

**I ნაწილი** განმარტავს, თუ რატომ არის გააზრება ასეთი მნიშვნელოვანი კონსერვაციის ნებისმიერი მცდელობისას. **II ნაწილი** მიგვანიშნებს, როგორ გადავწყვიტოთ, რა სახის ინფორმაციაა შესაფერისი ამა თუ იმ შემთხვევაში. ყველაზე ხშირი შეკითხვა არის „რა ოდენობის ინფორმაციაა საჭირო?“ ამიტომ **III ნაწილი** განმარტავს, როგორ უნდა შევუსატყვისოთ პროექტის გარკვეულ მოთხოვნილებებს ინფორმაციაზე მოთხოვნილება, მუშაობის ეტაპების ზუსტი დადგენის მეშვეობით. **IV და V ნაწილები** აღწერს, როგორ ეშველება გააზრება სხვადასხვა საკონსერვაციო პროექტებს, იქნება ეს დებულებით განსაზღვრული მიმდინარე საქმიანობა, მოვლა, შეკეთება თუ მენეჯმენტი. **VI ნაწილში** განხილულია სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დოკუმენტების რამდენიმე ნიმუში, როგორიცაა კონსერვაცია/მენეჯმენტის გეგმები და დებულებები. და ბოლოს, **VII ნაწილი** აღწერს სპეციფიკურ ანალიტურ ხერხებს, რომელნიც შეიძლება გამოვიყენოთ.

ჩვენი „სახელმძღვანელო პრინციპების“ მიზანი ისტორიული ნაგებობებისა და ლანდშაფტის მფლობელებისთვის დამატებითი „ტვირთის“ აკიდება როდია. პირიქით, მათი მიზანია დაეხმაროს მათ, ვინც საკონსერვაციო მითითებების მიცემა უკვე იტვირთა, უკეთ გაერკვნენ, სად და როდის გამოდგება ინ-

ფორმაცია. ზოგჯერ ასეთი მიდგომა ფულს დაგვიზოგავს, რადგან ის უფრო მიზნობრივად დაიხარჯება, ზოგჯერ კი შეკეთების ხარისხს გააუმჯობესებს. ბოლოს და ბოლოს, გააზრება ფუფუნება არ არის, ვინაიდან კონსერვაცია თავიდან ბოლომდე დამოკიდებულია იმ ლოგიკურ გააზრებაზე, თუ რას აქვს ფასი და რატომ.

[განმცხადებლებმა] ... უნდა წარუდგინონ სრული ინფორმაცია გეგმარების ადგილობრივ სამსახურს, იმისთვის, რომ მან შეძლოს შემოთავაზებული პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება მოცემულ არქიტექტურულ ან ისტორიულად საინტერესო ნაგებობასა და მის გარემოზე ... სამსახურმა არ უნდა განიხილოს განაცხადი, სანამ მას ასეთი გააზრებისთვის საკმარისი ინფორმაცია არ მიეწოდება.

DoW/DNH 1994 *გეგმარების პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები: დაგეგმვა და ისტორიული გარემო. (PPG15)* (პარაგრაფი 3.4 და B.3)

სახელმწიფო მდივანი თვლის, რომ, რათა საეჭვო არ გახდეს, თუ რა სახის ინფორმაცია უნდა წარადგინოს განმცხადებელმა, სამსახურმა მოლაპარაკების დასაწყისიდანვე ზუსტად უნდა დაადგინოს, თუ რა ინფორმაციას მოითხოვს იმისთვის, რომ განხილულ იქნას სიაში შეტანილი ნაგებობის პროექტი.

DETR/DCMC ცირკულარი 01/2001 *მემკვიდრეობასთან დაკავშირებული განაცხადები* (19)

თუ ადგილობრივ გეგმარების სამსახურში წინასწარ განხილვამ, ან მშენებლის საკუთარმა კვლევამ აჩვენა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ნაშთების არსებობის შესაძლებლობა, სასურველია, გეგმარების სამსახურმა მოითხოვოს მომავალი მშენებლისგან არქეოლოგიური ადგილის შეფასება მანამ, სანამ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება საპროექტო განაცხადის თაობაზე. ასეთი შეფასება ხელს უწყობს არსებული არქეოლოგიური ნაშთების ღირსებისა და რაოდენობის და მისი შენარჩუნებისთვის საჭირო ძალისხმევის განსაზღვრას. **შეფასება გვაძლევს ინფორმაციას, რომელიც საჭიროა, რათა განვსაზღვროთ** ზიანის მინიმუმამდე დაყვანის ან თავიდან არიდების შესაძლო ვარიანტები. ამის საფუძველზე უნდა იქნეს მიღებული გააზრებული და მისაღები საგეგმო გადაწყვეტილება.

DoE 1990 *გეგმარებითი პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები: არქეოლოგია* და *დაგეგმვა* (PPG16) (პარაგრაფი 21)

იმისთვის, რომ მიიღოს დროული და წინასწარ განჭვრეტადი გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი წინადადების შესახებ, რომელსაც ისტორიულ გარემოზე ექნება გავლენა, მშენებელს უნდა:

- ჰყავდეს პროფესიონალთა ჯგუფი, რომელსაც ხელეწიფება ღირსშესანიშნავი ადგილის და/ან შენობის მნიშვნელოვნების გააზრება მის ისტორიულ კონტექტში
- ანგარიშს უწევდეს დასაგეგნი ადგილის არქიტექტურულ, ისტორიულ და არქეოლოგიურ თვისებებს და შესაბამის შესაძლებლობებსა თუ შეზღუდვებს

**ინგლისის მემკვიდრეობა 1995 *გეგმარება ისტორიულ გარემოში***

შეკეთებისას ნაგებობის თუ ღირსშესანიშნავი ადგილის გააზრება და ინტერპრეტაცია პირველი, მეტად არსებითი ნაბიჯია. შესრულებული სამუშაოს სათანადო ანგარიშიც ნაგებობის შეკეთების პროგრამების უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანი ეტაპია. გრანტზე გათვლილი ყველა შეკეთება გულისხმობს ამა თუ იმ შემთხვევაში აუცილებელი ოდენობის კვლევა-ძიებასა და ანალიზს.

**ინგლისის მემკვიდრეობა 2000 *სახელმძღვანელო პრინციპები განმცხადებელთათვის***

# 1. გააზრების როლი კონსერვაციაში

**სახელმძღვანელო პრინციპების ეს ნაწილი განმარტავს, თუ რატომ არის გააზრება ასეთი მნიშვნელოვანი ისტორიული ნაგებობებისა და ლანდშაფტის საპატრონოდ.**

## *1.1 მნიშვნელოვნება და კონსერვაცია*

კონსერვაციის არსია გადავცეთ მომავალ თაობას ის, რასაც ღირებულად ვთვლით. კონსერვაციის სპეციალისტები ცვლილებებს წინ კი არ ეღობებიან, არამედ მათ ევალებათ წარსულიდან აწმყოზე გადასვლა ისე მოაგვარონ, რომ ზიანი რაც შეიძლება ნაკლები იყოს, სარგებელი კი რაც შეიძლება მეტი. ამგვარად, კონსერვაცია არის პროცესი, რომელიც ცდილობს ცვლილებებში გაერკვიოს და შეათანხმოს თანამედროვე მოთხოვნილებები მნიშვნელოვანს, რაც მემკვიდრეობით მივიღეთ მომავალი თაობების ინტერესთა დასაცავად.

ადრე კონსერვაციას შენარჩუნებასთან აიგივებდნენ, მაგრამ დღეს კონსერვაცია ბევრად უფრო დინამიკურია და მოიცავს მოვლას და შეკეთებას და, როცა საჭიროა, ახალი შესაფერისი გამოყენების გამონახვასაც. კონსერვაციაში შედის ინტერპრეტაცია, წარდგენა, მიახლება, ახალი განვითარება, მარკეტინგი, გამოკვლევა, თანხების მოძიება და გამოქვეყნება. ის ცდილობს როგორც საქმის გაადვილებასა და შუამავლობას, ასევე წესების შემოღებასაც. დღეს კონსერვაცია გახდა უფრო დამამკვიდრებელი, ხო-მყოფი, ვიდრე წინააღმდგომი და უარ-მყოფი.

ჩვენ შეიძლება გვსურდეს შევინარჩუნოთ ბევრი რამ, იქნება ეს მოგონებები და ტრადიციები, თუ საგნები და ადგილები, ხელშესახებიცა და ვერხელშესახებიც. ისტორიული გარემო — შენობები, ლანდშაფტი, ჩამარხული ნაშთები და წარსული ისტორიის სხვა მატერიალური მოწმობანი — შესანარჩუნებლის ხელშესახები განზომილებაა.

ის, რაც განასხვავებს დასაცავს იმისგან, რაც არ უნდა დავიცვათ, ღირებულება და მნიშვნელოვნებაა.

მნიშვნელოვნება ნებისმიერი საკონსერვაციო საქმიანობის საფუძველია, რაც ნიშნავს, რომ ისტორიულ გარემოში საზოგადო ღირებულებას კერძო საკუთრებაც წარმოადგენს. ისტორიულ ნაგებობებსა და ლანდშაფტს დიდი მნიშვნელობა აქვს მრავალი კულტურისმიერი მოსაზრებით: მათი არქიტექტურის, არქეოლოგიური მნიშვნელობის, ესთეტიკური თვისებების, მათი ხალხთან და მოგონებებთან კავშირის, რწმენა-წარმოდგენების თუ უბრალოდ სიძველის გამო. ისინი მოგვითხრობს ტექნოლოგიის, სიახლეების, კონფლიქტებისა და გამარჯვებათა შესახებ. ისინი შეიძლება საინტერესო იყოს გამოყენებული მასალისა თუ დეკორატიული დამუშავების, ლანდშაფტის, ნაგებობისა და სამოსახლოს გადანაწილების თვალსაზრისით. მას შეიძლება კერძო, ადგილობრივი, რეგიონალური, ხალხური ან საერთაშორისო, ან აკადემიური, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა ჰქონდეს. მათი ღირებულებანი შეიძლება პირობითად აკადემიურ ან მეცნიერულ და „გულმისავალ“ ღირებულებებად დაიყოს, იმის მიხედვით თუ რით აფასებს საზოგადოება იმ ადგილებს ან იმ წვლილს, ეკონომიკური ფასეულობების ჩათვლით, რაც მოცემულ ადგილს შეაქვს ცხოვრების ხარისხში.

თუ გვინდა ასეთი ადგილები წარმატებით შევინარჩუნოთ, აუცილებელია მათი მნიშვნელოვნების გარკვევა — რატომაა ისინი ღირებული. თუ არ გავიაზრეთ, რისთვის ღირს ადგილის შენარჩუნება, კონსერვაციას დიდი აზრი აღარ ექნება.

ნაგებობისა და ლანდშაფტის შემთხვევაში მათ გასააზრებლად ჩასატარებელი სამუშაო შეიძლება ზედმეტად ჩაითვალოს, რადგან მოვლას და შეკეთებას სახსრები დააკლდება (სათქმელიც არაა, რომ ყოველდღიური მოვლა ყოველთვის პირველ ადგილზე უნდა იყოს). მიუხედავად ამისა, სახსრების განაწილებისას მთავარია სწორი გააზრება, ამის შედეგად შეკეთება უფრო ეფექტიურად და წარმატებულად ჩაივლის და ის საფრთხე, რომელიც დაკავშირებულია დიდ ცვლილებებთან და ძვირადღირებულ ახალ სამუშაოებთან, ბოლომდე იქნება გათვალისწინებული და შეფასებული. გაუაზრებლობას სწორედაც რომ ზედმეტი ხარჯები მოჰყვება.

გაუმჯობესებული საკონსერვაციო ტექნოლოგიები, როგორიცაა ჩვეულებრივი მასალის გამოყენება და ნაკლები ჩარევის პრინციპი, (ირონიულად!) გააზრების მიმართ გულარხეინად განგვაწყობს, რადგან ჩნდება რწმენა, რომ შენობა ან ღირსშესანიშნავი ადგილი არ დაზიანდება, თუ სათანადო მასალა და ტექნოლოგია იქნა გამოყენებული. მაგრამ ასეთი მასალის გამოყენებაც კი მოითხოვს იმის ცოდნას, თუ ძველად რა გამოიყენებოდა.

დიდი შეცდომაა, თუ გააზრებას — ფიქსაციის სახით — საჭიროდ თვლიან მაშინღა, როცა ქსოვილი შეიძლება დავკარგოთ. ადგილობრივი მმართველობა ხშირად აყენებს პირობას, დაფიქსირებულ იქნეს სიაში შეტანილი შენობების ის მონაკვეთები, რომელთაც დაანგრევენ. ზოგ შემთხვევაში ამ ეტაპზე ეს მიდგომაც მისაღებია, მაგრამ ასეთი პირობა ვერ შეცვლის მოსაპოვებელ ინფორმაციას და ვერ იქნება გამოყენებული მანამ, სანამ მთავარი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ გააზრება პროექტირების შემოქმედებითი პროცესის განუყ-

ოფელი ნაწილი იყოს. ნებისმიერ ისტორიულ ღირსშესანიშნავ ადგილზე ახალი პროექტირება, იქნება ეს სრული რეკონსტრუქცია თუ მინიმალური შეკეთება, უნდა იმის გაგებით იწყებოდეს, რითაა გამორჩეული ესა თუ ის მიდამო. ეს წარმართავს ყველაფერს მუშაობის მასშტაბიდან დაწყებული, მასალის და მეთოდების შერჩევით დამთავრებული. ასეთი გააზრება ნათლად გამოთქმულიც უნდა იყოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სხვებთან ურთიერთობა და მუშაობა რთული იქნება.

და ბოლოს, თუკი კონსერვაციაში ჩართულია საზოგადოებრივი რესურსები, სამუშაოს დასრულებისას საზოგადოებას უნდა მოხსენდეს მისი საბოლოო ანგარიში. კონსერვაციას საფუძვლად და გასამართლებლად უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივი ღირებულებების გააზრება, რომელთა მატარებელია ესა თუ ის ადგილი.

## *1.2 როდის არის საჭირო ინფორმაცია?*

ჩვენი „სახელმძღვანელო პრინციპები“ პირველი ცდაა თავი მოეყაროს სხვადასხვა ტექნიკასა და მიდგომას, რომელიც შეიძლება დაგვეხმაროს, გავიგოთ შენობათა და მათი პეიზაჟის მნიშვნელოვნება, როგორც კონსერვაციის პროცესის ნაწილი.

ინგლისში შენობებისა და მათი მიმდებარე ლანდშაფტების მოვლაზე სხვადასხვა ვინმე იღებს პასუხისმგებლობას — მესაკუთრეები, ვისაც ამა თუ იმ ღირსშესანიშნავი ადგილისთვის ძირითადი პასუხისმგებლობა აწევს და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ზრუნავენ ამ ობიექტებზე, სთავაზობენ გრანტებს ან მართავენ მიღებულ სტრუქტურას. ჩვენს „სახელმძღვანელო პრინციპებში“ მოწოდებული მეთოდები და მიდგომა შეიძლება ყველა მათგანს გამოადგეს.

ღიად უნდა ითქვას — ეს „სახელმძღვანელო პრინციპები“ არ ჩემულობს, თითქოს ყოველ შემთხვევას ან ყოველ გადაწყვეტილებას ექსპერტთა რჩევა მთელი სისავსით სჭირდებოდეს. რა თქმა უნდა, ექსპერტთა რეკომენდაციები საჭიროა მხოლოდ მაშინ, როცა ეს გამართლებული და აუცილებელია. ამის მიუხედავად, საკონსერვაციო გადაწყვეტილებების უმრავლესობა, რომელიც გულისხმობს სამშენებლო და ლანდშაფტის სამუშაოების მნიშვნელოვან მოცულობას, მოითხოვს, გარკვეულწილად, კონსერვაციის სპეციალისტების ჩართვას, სულერთია, აძლევენ ისინი რჩევას კერძო პირს თუ იღებენ მონაწილეობას გრანტებისა და თანხმობის მიღებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში.

კონსერვაციის სპეციალისტს ზოგადად იმდენი უნდა გაეგებოდეს ისტორიული ნაგებობებისა და ლანდშაფტებისა, რათა თავი გაართვას საკონსერვაციო შემთხვევების უმრავლესობას, რაც მას ყოველდღიურ მუშაობაში შეხვდება. მათ საკმარისი განსწავლა და ზოგადი გამოცდილება უნდა ჰქონდეთ იმისთვის, რომ შეძლონ ნაგებობისა და მიმდებარე ლანდშაფტის „წაკითხვა“ და მათი მოქცევა უფრო ფართო ისტორიულ ან არქიტექტურულ კონტექსტში. გარდა ამისა, კონსერვაციის სპეციალისტი უნდა გრძნობდეს სამოსახლო ერთობის მისწრაფებებს და ფასეულობებს. როგორც წესი, ეს საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ მას შეეძლოს რჩევის მიცემა და გადაწყვეტილების მიღება.

თუმცა, ხანდახან არის შემთხვევები, როდესაც კონსერვაციის კონსულტანტის ცოდნა ან წინასწარი ინფორმაცია არ არის საკმარისი ღირსშესანიშნავი ადგილის გააზრებისთვის და გადაწყვეტილების მისაღებად. აგრეთვე, ხანდახან ის იეჭვებს ხოლმე, რომ პროექტი ზიანს მიაყენებს ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელოვნებას, მაგრამ ამის დამამტკიცებელად საკმარისი ინფორმაცია არ მოეპოვება. ასეთ შემთხვევაში, უფრო მეტი ინფორმაციაა საჭირო.

## 1.3 რანაირი ინფორმაცია არის საჭირო?

თუ კონსერვაციის კონსულტანტმა გადაწყვიტა, რომ მას არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია ან ფუნდამენტური ცოდნა სანდო რეკომენდაციის მისაცემად, მას შეუძლია გამოიყენოს რამდენიმე სპეციალური მეთოდი იმისთვის, რათა გაიაზროს ნაგებობისა და ლანდშაფტის მნიშვნელოვნება.

ამ მეთოდებში შედის

- მშენებლობის, გადაკეთებისა და დროთა განმავლობაში გამოყენების ისტორიის დოკუმენტური შესწავლა
- არქიტექტურის ისტორია, ლანდშაფტის ისტორია, ხელოვნების ისტორია, სამრეწველო არქეოლოგია, მშენებლობის ისტორია და სხვა დისციპლინები, რომელიც საჭიროა ნაგებობისა და მიმდებარე ლანდშაფტის უფრო ფართო აკადემიურ კონტექსტში ჩასასმელად.
- ვიზუალური შეფასება და აღწერა
- ანაზომები და გაზომვა გამოსახულებათა გამოყენებით
- ცვლილებების, გადაკეთებისა და მოხმარების მაჩვენებელთა არქეოლოგიური ანალიზი, გათ-

ვალსაჩინოებული ისეთი ტექნოლოგიების მოშველიებით, როგორიცაა სტრატიგრაფია, ფაზებად დაყოფა და ანალიტიკური ნახაზების გამოყენება

- სპეციალური კვლევა, როგორიცაა დენდროქრონოლოგია, არქიტექტურის დაფერვის გამოკვლევა, ხის ნაწილების და მასალის ანალიზი, ეკოლოგიური, გეოლოგიური და ა.შ. შეფასება

VII ნაწილში უფრო დაწვრილებით იქნება ახსნილი ამ ტექნლოგიების რაობა და მათი გამოყენება საკონსერვაციო მიზნებისთვის.

ექსპერტთა შეხედულებების გარდა ხშირად საჭიროა მეპატრონეთა აზრის გათვალისწინებაც. მეპატრონეთა საქმეში ჩართვის სხვადასხვა მეთოდები — კონსულტაცია, მონაწილეობის მიღება ან ადგილზე შემოწმება —ღირსშესანიშნავი ადგილების მნიშვნელოვნების გააზრების განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს.

## *1.4 რა ოდენობის ინფორმაცია არის საჭირო?*

ყველა ისტორიული ნაგებობა და ლანდშაფტი როდი მოითხოვს დაწვრილებით გაანალიზებას მისი შეკეთების, განვითარების ან გადაკეთების თაობაზე წინადადებების გამო გადაწყვეტილების მიღებამდე. კონსერვაციის კონსულტანტის კვალიფიკაცია მდგომარეობს იმის ცოდნაში, თუ როდისაა საჭირო დამატებითი ინფორმაცია. მას უნდა შეეძლოს ინფორმაციის კატეგორიისა და ოდენობის მოცემულ შემთხვევასთან შეთანადება.

საჭირო ინფორმაციის ტიპი, რასაც მოითხოვს ნებისმიერი საკონსერვაციო საქმიანობა, დამოკიდებულია პროექტის ზეგავლენაზე ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელოვან მხარეებზე. II ნაწილში ახსნილია, თუ ეს როგორ კეთდება.

დადგენილი უნდა იყოს საჭირო ინფორმაციის ოდენობაც. ნაგებობისა და მიმდებარე ლანდშაფტის გასააზრებლად საჭირო ნებისმიერი მეთოდი შეიძლება სრულებით განსხვავებულ დონეზე მოვიხმაროთ — ზერელე მიმოხილვით დაწყებული, ვიდრე დაწვრილებით კვლევამდე ან ჩანახატიდან დეტალურ ნახაზამდე. სხვადასხვა პროექტი სხვადასხვა ინფორმაციას მოითხოვს. გააზრება შეიძლება მიესადაგოს კერძო პროექტს ეტაპებად დაყოფის მეშვეობით, რომლებიც შეესაბამება სამშენებლო პროექტების ეტაპებს, როგორც ეს III ნაწილშია წარმოდგენილი.

## *1.5 ვინ არის ამის პასუხისმგებელი?*

თუკი გააზრება აქტიურად მონაწილეობს საკონსერვაციო პროცესის ინფორმაციით დასასაფუძვლებლად, პასუხილმგებლობას მის გამო ყველა ინაწილებს, ვინც კი ისტორიული ადგილის მოვლაშია ჩაბმული — მფლობელი, პროფესიონალი კონსულტანტები, ადგილობრივი მმართველობა, დამფინანსებელი ან მმართველი ორგანიზაცია. როგორც ქვევით გამოჩნდება, ზოგ ორგანიზაციას ამ მხრივ სავსებით განსაკუთრებული როლი შეიძლება მიენიჭოს.

- სახელმწიფო ორგანიზაციებს, რომლებიც განწესებას ადგენს, აფინანსებს ან მართვის პასუხისმგებლობას კისრულობს, ყველაზე მეტი უფლება აქვს, განსაზღვროს გააზრების სტანდარტები და მეთოდები

- ადგილობრივ მმართველობას, მოქმედი დაგეგმვის კონტროლისა და სიაში შეტანილი შენობების გამო შეთანხმების მეშვეობით, უნდა ჰქონდეს წილი საკონსერვაციო კონსულტაციებში, აგრეთვე უნდა შეეძლოს, დაეხმაროს განმცხადებლებს გაიგონ, რაოდენ სარგოა უტყუარი ინფორმაცია. მათ ასევე შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება ღირს თუ არა განაცხადების დარეგისტრირება და უარყონ ის განაცხადები, რომლებიც სანდო გადაწყვეტილების მისაღებად საკმარის ინფორმაციას არ იძლევა.

- კონსერვაციის სპეციალისტებმა (მაგ., ზედამხედველობის სამსახურის მოხელეები, დამგეგმავები, ინჟინრები, მშენებლები, არქიტექტორები, არქეოლოგები ან პროექტის მენეჯერები) უნდა შესძლონ დაადასტურონ, რომ მათი რეკომენდაციები კლიენტისადმი დამყარებულია შენობისა და გარემო ლანდშაფტის განსაკუთრებული მნიშვნელოვნების ზუსტ გააზრებაზე და ახალი სამუშაოს პროექტირების დროს ეს მხარეც გათვალისწინებულია. ასეთი სამუშაოს დაწყებისას და მართვის დროს მათ შეუძლიათ: ითავონ იმის გადაწყვეტა არის თუ არა დამატებით სპეციალისტების მუშაობა საჭირო, ამგვარი სამუშაოს დაკვეთა და გაძღოლა, მისი შედეგების პროექტირების პროცესში ინტეგრირების უზრუნველყოფა.

- მოხალისეთა სექტორს, რეგიონალური და ადგილობრივი ორგანიზაციების ჩათვლით, მორწმუნეთა ჯგუფსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ ადგილობრივ საჭირო

ცნობების მოძიებისა და მათთვის მნიშვნელოვანი ადგილების მოვლაში მონაწილეობის მიღების გაადვილება

- საზოგადოებრივი და კერძო ღირსშესანიშნავი ადგილების მეპატრონეებსა და მენეჯერებს გააზრებისას წამძღოლი ადგილი ეკუთვნით. მათ შეიძლება უფრო მეტი იცოდნენ ღირსშესანიშნავი ადგილისა და მისი ცვლილებების შესახებ, ვიდრე ეს დოკუმენტაციითა ან გამოცემებით ჩანდეს. ცოდნა მათი კუთვნილი ობიექტების შესახებ ღირსშესანიშნავი ადგილის მოვლას მეტ შემართებას სძენს.

მეპატრონე ყოველთვის უნდა იყოს ინფორმირებული და პროფესიონალები უნდა იყვნენ მზად, გააგებინონ მას თავისი მუშაობის შედეგები. კვლევის, ანალიზის ან შესწავლის შედეგების მეპატრონეებთან განსახილველად დახარჯული დრო სამუშაოს ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო ასპექტია.

## *1.6 ვინ იხდის საფასურს?*

შენობისა და გარემო ლანდშაფტის გააზრებას, რა თქმა უნდა, დანახარჯები სჭირდება, ოღონდ მნიშვნელოვანია ეს კონტექსტში დავინახოთ. კერძოდ, გააზრება საფუძვლად უნდა ედოს კონსერვაციაზე პასუხისმგებელი ნებისმიერი სპეციალისტის რჩევას, რომელიც გაიცემა პროექტის ღირებულების ან ეფექტიურობის მიხედვით.

დროზე მოწოდებული სათანადო ინფორმაცია, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვნად დაზოგავს მთავარი საკონსერვაციო პროექტის დროსა და სახსრებს. ძვირადღირებული პროექტებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაგვიანების ალბათობის შემცირება, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს დამატებით ინფორმაციის მოპოვების საჭიროებამ ან შესათანხმებლად წამოყენებულმა პირობებმა. გააზრებას ძალუძს შეამციროს ნებისმიერი საკონსერვაციო პროექტის შესწორების დიდი საზღაური, რასაც თავიდან გაუთვალისწინებელი სამუშაოები იწვევს. ისტორიული მნიშვნელოვნების სრულყოფილ გააზრებას დადებითი წვლილი შეაქვს პროექტის მენეჯმენტში.

გეგმარების დადგენილ სისტემაში, განმცხადებლის პასუხისმგებლობაში შედის, დაგეგმარებისა და სიაში შეტანილი ნაგებობების გამო თანხმობის მისაღებად, ადგილობრივ მმართველობას განაცხადის დასამტკიცებლად საკმარისი ინფორმაცია მიაწოდოს. ისტორიული ნაგებობებისა და გარემო ლანდშაფტის მშენებებლობის ძირითადი სამუშაოების დამგეგმავის პროფესიონალი კონსულტანტები უნდა დარწმუნდნენ, რომ დამკვეთმა იცის, რა არის მოსალოდნელი, შეამცირონ დანახარჯები, რაც შეიძლება ადრე საჭირო ინფორმაციის რაგვარობის განსაზღვრის ხარჯზე და დარწმუნდნენ, რომ მათ მოეპოვებათ (ან შეუძლიათ გამოიმუშავონ) განაცხადის წინწასაწევად საჭირო უნარ-ჩვევები.

საჭირო ინფორმაციის ღირებულება, როგორც წესი, მთლიანი პროქეტის ღირებულების მცირე ნაწილია და მისი მინიმუმამდე დაყვანა შეიძლება, თუ სამუშაოს ზუსტად წარმართვით საგანგებო კითხვარის გამოყენებით (იხილეთ დანართი 2).

## *1.7 დაფინანსების წყაროები*

თუ სიაში შეტანილი შენობა, დარეგისტრირებული პარკი ან ბაღი, ან კატალოგში შეტანილი უძველესი ძეგლი შეესაბამება „ინგლისური მემკვიდრეობის“ საგრანტო პირობებს, ინფორმაციის ან გააზრების ღირებულება, საჭირო განაცხადის შესამუშავებლად შეიძლება ასევე გრანტით მოვიპოვოთ. სუბსიდიების მიღება შეიძლება ისეთი მსხვილი სპონსორებისგან, როგორებიც არიან ღვთისმსახურების ადგილების დაფინანსების პროგრამა და ისტორიული შენობების, ძეგლების, პარკებისა და ბაღების გრანტების პროგრამა, (Joint Grant Scheme for Places of Worship, and the Historic Buildings, Monuments, Parks and Gardens Grant Scheme) ასევე არქეოლოგიური ღირსშესანიშნავი ადგილების მენეჯმენტისთვის განკუთვნილი გრანტებიდანაც.

„ინგლისის მემკვიდრეობა“ გრანტებს მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მენეჯმენტის გეგმების მოსამზადებლადაც გასცემს. შესაძლებელია აგრეთვე მცირე დახმარების გაწევა იმ ნაგებობების ანალიზისა და აღწერისათვის, რომლებიც არ შეესაბამება გრანტების პირობებს. საკონსერვაციო პროექტისთვის საჭირო კვლევის, ანალიზის, შესწავლის ან არქეოლოგიის დაფინანსება შესაძლებელია სხვა დამფინანსებელი ორგანიზაციების მიერ, როგორიც არის მემკვიდრეობის ლატარეის ფონდი (Heritage Lottery Fund).

“ინგლისის მემკვიდრეობის“ რეგინალური არქიტექტორისა ან ინსპექტორისგან შეიძლება მივიღოთ რჩევა კვლევის, ანალიზის და შესწავლის თაობაზე საგანგებო პროექტებისთვის, რომელნიც გრანტის მიღების პირობებს აკმაყოფილებს.

## *1.8 ჩვენი "სახელმძღვანელო პრინციპების" მასშტაბი*

ჩვენი „სახელმძღვანელო პრინციპები" ყურადღებას ამახვილებს მეთოდებსა და უნარ-ჩვევებზე, რომელიც საჭიროა ნაგებობებისა და მიმდებარე ლანდშაფტის ანალიზისთვის. ეს ვრცელი თემაა და ჩვენ მხოლოდ ძირითად საკითხებს თუ შეიძლება შევეხოთ. „სახელმძღვანელო პრინციპების" გამოყენებისას შემდეგიც არის საყურადღებო:

1. „სახელმძღვანელო პრინციპები" ყურადღებას ამახვილებს ღირსშესანიშნავი ადგილებისადმი მიდგომაზე, განსაკუთრებით ნაგებობებსა და გარემო ლანდშაფტზე (მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით). ზოგი რამ საკონსერვაციო არეალების ხასიათის შეფასებაზეცაა ნათქვამი, მაგრამ აქ არ არის განხილული დიდი არეალების სტრატეგიული დახასიათება, როგორიცაა სოფლის გარემოს შეფასება, ქალაქის არქეოლოგიურ მონაცემთა ბაზა ან ლანდშაფტის დახასიათება.

2. „სახელმძღვანელო პრინციპები" სიტყვა „კონსერვაცია"-ში სხვადასხვა საქმიანობას გულისხმობს, რომელიც ისტორიულ გარემოზე ზრუნვას ემსახურება და არა უბრალოდ შეკეთებას. მისი სინონიმურია ისეთი ტერმინები, როგორიცაა „მემკვიდრეობის მენეჯმენტი" ანდა „კულტურული ობიექტის მენეჯმენტი".

3. არქიტექტურისა, არქეოლოგიურისა თუ ლანდშაფტის საზოგადოებრივი, სულიერი, ეკონომიკური და სხვა ღირებულებების ამოცნობა კონსერვაციის პრაქტიკაში უფრო და უფრო დიდ ადგილს იკავებს და მისი უგულვებელყოფა შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ „სახელმძღვანელო პრინციპებში" გაკვრით შეფასების სხვა მეთოდებსაც შევეხებით, როგორიცაა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა, მკითხველს სხვაგვარი სახელმძღვანელოც დასჭირდება. და მაინც, შემორჩენილის კარგი გააზრებაა საფუძველი, ყველა ქმედებისა, რომელიც სხვა ღირებულებათა მოშველიებასაც ესწრაფვის.

4. თუმცა აღწერილი პრინციპების გამოყენება ფართოდაც შეიძლება, მაგრამ ეს დოკუმენტი არ ასახავს ჩრდილოეთ ირლანდიაში, შოტლანდიასა და უელსში მიღებულ წესებსა და მეთოდებს.

5. **„კონსერვაციის კონსულტანტი"** აღნიშნავს ნებისმიერ პროფესიონალს კონსერვაციის დარგში, რომელიც იძლევა რეკომენდაციებს მოცემული ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ, როგორიცაა სიაში შეტანილი ნაგებობა ან საკონსერვაციო არეალი. ის აძლევს რჩევებს კონსერვაციის მოხელეებს, კონსერვატორ-არქიტექტორებს, ზედამხედველობის სამსახურის მოხელეებს, მგეგმავებს, არქეოლოგებს, ინჟინრებს, ხელოსნებს, სიძველეთა მცველებს ან ლანდშაფტის არქიტექტორებს. სიტყვა **„ანალიტიკოსი"** პირობითად აღნიშნავს ადამიანს, რომელსაც შეუძლია ნაგებობებისა და მიმდებარე ლანდშაფტის შესწავლა. რა პროფესიისაც უნდა იყოს, იგი გამოირჩევა კომპეტენციით ამ სფეროში.

6. ვინაიდან ჩვენი „სახელმძღვანელო პრინციპები" გათვლილია ისტორიული გარემოს კონსერვაციის ყველა ასპექტისთვის, იქნება ეს შეთანხმების დადგენილი პროცედურის წარმართვა, შეკეთებისა თუ სამუშაოებისთვის გრანტების ან საზოგადოებრივი სუბსიდიების სხვა ფორმათა გაცემა) ტერმინი **„წინადადება"** მიუთითებს ყოველნაირ განაცხადს, სიაში შეტანილი ნაგებობის გამო შეთანხმებაზე იქნება ეს თუ გრანტის მისაღებად. "გადაწყვეტილების მიმღები უწყება" შეიძლება იყოს გეგმარების ადგილობრივი სამსახური თუ ნებისმიერი დამფინანსებელი ან მრჩეველი ორგანიზაცია.

7. გაუთხრელ არქეოლოგიურ ღირსშესანიშნავ ადგილებს ნაკლები ყურადღება დაეთმო, ვიდრე ნაგებობებსა და გარემო ლანდშაფტს. საქმე ისაა, რომ გაუთხრელი არქეოლოგიური ნაშთების შეფასების კრიტერიუმები უკეთესად არის დადგენილი, ვიდრე შენობებისა. ჩვენს „სახელმძღვანელო პრინციპებში" აღწერილი მრავალი ქმედება არქეოლოგებისთვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ჩამარხულ ნაშთებსა და „ცოცხალ" ღირსშესანიშნავ ადგილებს არსებრივად სხვადასხვაგვარად უნდა მოვეკიდოთ.

8. ამდენად, ჩვენი „სახელმძღვანელო პრინციპებისთვის" უმთავრესი გააზრებაა, რაც აუცილებელია ნაგებობებისა და მიმდებარე ლანდშაფტების სამართავად, მას შემდეგ რაც ისინი დაცვაზე აიყვანეს. შენობების, ლანდშაფტის ან ძეგლების ჯგუფის ფართო კვლევა, რომელიც გამოიყენება ინფორმაციად დაცვის სტატუსის მინიჭებისას (მაგალითად, სიაში შესატანად ან დასარეგისტიტებლად) მთლიანი პროცესის ნაწილია, მაგრამ აქ განხილული არ არის.

9. კოლექციები, რომელიც ინახება ისტორიულ შენობებში, ნახსენებია, მაგრამ დეტალურად განხილული არ არის.

## *1.9 ტერმინების განსაზღვრა*

ერთმნიშვნელოვნებისა და სიცხადის მისაღწევად, საჭიროდ მივიჩნიეთ გავნსაზღვროთ რამდენიმე ტერმინი, რომელიც გააზრების პროცესთანაა დაკავშირებული.

ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი, უნივერსალურად აღიარებული სიტყვა, რომ აღნიშნოს ნაგებობებისა და მიმდებარე ლანდშაფტის გააზრების საქმიანობა და მისი შესაბამისი ხელობა.

ნაგებობისა და მიმდებარე ლანდშაფტის „წასაკითხად“ აუცილებელია არქიტექტურისა და ლანდშაფტის ისტორიის, შენობის ისტორიისა და საარქივო წყაროების გააზრება. საჭიროა ხელგეწიფებოდეთ აზომვა და შედეგების ნახაზებად წარმოდგენა, უნდა იცოდეთ აგრეთვე არქეოლოგიური სტრატიგრაფიის პრინციპები ლანდშაფტსა და ნაგებობებთან მიმართებით. ძალიან მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როდის და რა ვითარებაშია საჭირო სპეციალური ტექნოლოგიების გამოყენება (დათარიღებისა, შემოწმებისა თუ ტექნიკური კვლევისთვის), ამ ტექნოლოგიების შესაძლებლობათა საზღვრები და ეფექტიურობა, ასევე მათი სხვა შედეგებთან ინტეგრირებაც.

ის, რომ არქეოლოგიის დისციპლინა ათავსებს საგანს როგორც დროით, ისე სივრცით კონტექსტში, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც შენობის პროექტების მოთხოვნილებების და კონსერვაციის ფილოსოფიის გათავისება. უნარი მოისმინო, გაამარტივო, ცხადყო და, თუ საჭიროა, გამოხატო მოსახლეთა ერთობის შეხედულებები, პროცესის ნაწილია და ამ სფეროში სპეციალური ჩვევებია საჭირო. და ბოლოს, კარგი პრაქტიკოსი სხვებსაც აცნობს სამუშაოს შედეგებს წერილობით და ნახაზის ფორმით და თვით ღირსშესანიშნავ ადგილზე მომუშავე გუნდის წევრობის მეშვეობითაც.

თანამედროვე ხმარებაში თითქმის ყველა სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ამ ხელობას, საკმაოდ შეზღუდულია. სიტყვები **„აღნუსხვა“** ან **„დოკუმენტაცია“** ხშირად გამოიყენება, მაგრამ გულისხმობს პასიურ საქმიანობას, რომელიც ითვალისწინებს დაკარგულის ან გაკეთებულის აღნუსხვას და არა კონსერვაციისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების აქტიურ პროცესს. ეს სიტყვები ანალიზის პროცესის მნიშვნელობას ამცირებს. **შეიძლება ამგვარი წარმოდგენების გამოცაა, რომ ამ საქმი-**ანობას არასავალდებულოდ თვლიან და არ აღიარებენ მას საკონსერვაციო პროცესის ძირითად ნაწილად.

**არქეოლოგიას** შეცდომით, მაგრამ მუდმივად, უკავშირებენ მიწისქვეშა ნაშთების გათხრებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს არის სავსებით ჩამოყალიბებული დისციპლინა, რომელიც უპირატესად ნივთიერ მოწმობებს შეისწავლის. **ნაგებობების არქეოლოგია (ან ანალიზი)** არის შესაფერისი ტერ-მინი, თუკი შევთანხმდებით, რომ სამუშაო არ შემოიფარგლება შენობებით და უნდა მოიცავდეს მათ გარემო ლანდშაფტის კონტექსტსაც.

დანარჩენი ტერმინები აზრს სიზუსტით ვერ გადმოსცემს, რადგან სხვა საქმიანობაში მათ სხვა საზრისით იყენებენ. მაგალითად **„შემოწმება“** კონსერვაციაში შეიძლება ნიშნავდეს ყველაფერს, აზომვასაც, შენობის ან არეალის ფართოდ მოხილვასაც დაცვაზე აყვანის წინ, ჩვეულებრივ კი, სულაც მდგომარეობის შემოწმებას.

ღირსშესანიშნავი ადგილების გააზრება არის აკადემიურ სტანდარტებზე დამყარებული დის-ციპლინა. უნივერსიტეტებში ის შეიძლება ისწავლებოდეს, როგორც არქიტექტურის ისტორიის, ხელოვნების ისტორიის, სამრეწველო არქეოლოგიის, ისტორიული არქეოლოგიის ან არქიტექტუ-რის ნაწილი, თუმცა შესაბამისი მაგისტრატურის ხარისხი მხოლოდ ერთია. ლანდშაფტის ანალ-იზი შეიძლება ჩართული იყოს ლანდშაფტის არქიტექტურის, ბაღების ისტორიის ან ლანდშაფტის არქეოლოგიის კურსებში. აღნუსხვა და ანალიზი, ვრცელი სასწავლო პროგრამის ნაწილად, შე-დის არქუტექტურისა და ლანდშაფტის კონსერვაციის კურსების უმრავლესობაში. საზოგადოების ჯგუფებთან და დაინტერესებულ პირებთან მუშაობის მეთოდები სხვა განყოფილებებზე ისწავ-ლება.

საგნის ცოდნა პროფესიული მოთხოვნაც არის. ისტორიული შენობების კონსერვაციის ინსტი-ტუტის (Institute of Historic Building Conservation) წევრებმა უნდა გამოამჟღავნონ (სხვა დარგებს შორის) ტექნოლოგიის (ყველა პერიოდის ნაგებობათა მშენებლობის ცოდნის ჩათვლით), ისტორიის (ისტორიული გარემოს განვითარების ცოდნის ჩათვლით, რაც, გარკვეული აზრით, არქეოლოგიაა) და კვლევის/აღნუსხვის/ანალიზის ცოდნა. საველე არქეოლოგიის ინსტიტუტის (Institute of Field Ar-chaeology) წევრებს შეუძლიათ აირჩიონ, „ნაგებობათა აღნუსხვა და ანალიზი“ როგორც მათი კომ-პეტენციის ერთ-ერთი სფერო, ღირსშესანიშნავი ადგილების გააზრების ზოგად უნართან ერთად. დიდი ბრიტანეთის კონსერვაციის ინსტიტუტში (The UK Institute for Conservation) არის ცალკე სექციები, სადაც შეისწავლიან შენობის (ქვისა და კედლის მხატვრობის ჩათვლით), ლითონის და ფერადი მინის, მოოქრვის კონსერვაციას.

სწორი ტერმინის მოძებნა მარტოოდენ სემანტიკით თამაში როდია. იქნებ იმის გამო, რომ არ არის ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული ტერმინი, შეიძლება დაივიწყონ მისი წილი პროექტის დაგეგმვაში, მისი მნიშვნელოვნება არ არის აღიარებული და დანახარჯები არ არის ჩართული პროექტის ბიუჯეტში. ისინი, ვისაც გააჩნია მრავალდისციპლინარული უნარები შეიძლება უყურადღებოდ დარჩნენ, რადგან არ განეკუთნებიან არც ერთ ცნობილ პროფესიულ კატეგორიას. ნათელი მოთხოვნილების გარეშე, კურსები ვერ იკრებს საჭირო რაოდენობის მსმენელებს და ვერ მოხდება მომავალი თაობებისთვის უნარ-ჩვევების გადაცემა. ამავე დროს, კონსერვაციის გამოუცდელმა სპეციალისტებმა შეიძლება ამტკიცონ, რომ მათ ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ, რის გამოც იფლანგება დამკვეთის დრო და ფული.

ერთმნიშვნელოვნებისთვის, სიტყვა **„გააზრება“** გამოყენებულია ისტორიული ნაგებობისა და ლანდშაფტის „კითხვის“ ზოგადი უნარის ასაღწერად. ეს უნარი უნდა ჰქონდეს კონსერვაციის ყველა კარგ სპეციალისტს, რაც აზრიანობას შესძენს მის მუშაობას. ამის გარდა, საჭირო გახდა სპეციალური ტერმინის შემოღება, რომელიც აღნიშნავს ამ სამუშაოს, რომელსაც სპეციალისტს ფორმალურად უკვეთავენ.

**გამოთქმა „კონსერვაციაზე დაფუძნებული კვლევა და ანალიზი“ ნიშნავს:**

> **შესწავლას, ანალიზს, შემოწმებას და ძიებას, რომელიც საჭიროა შენობისა და გარემო ლანდშაფტის მნიშვნელოვნების გააზრებისთვის, რომელიც წაადგება შეკეთების, გადაკეთების, გამოყენებისა და მენეჯმენტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.**

**ამ საქმიანობის აბრევიატურა არის კდკა, პირობითი ტერმინი კი, რომელიც აღწერს ამ სამუშაოში (სულერთია, ლანდშაფტსა თუ შენობებთან მიმართებით) დახელოვნებულ ადამიანს „ანალიტიკოსი”-ა. სხვა ტერმინების ლექსიკონი არის განთავსებული დანართ 3-ში.**

## 2. ცვლილებების მართვა

**„სახელმძღვანელო პრინციპების“ ეს ნაწილი უჩვენებს, როგორ შეიძლება მემკვიდრეობაზე ზეგავლენის შეფასების გამოყენება საკონსერვაციო გადაწყვეტილებისთვის საჭირო ინფორმაციის ამოსაცნობად.**

საკონსერვაციო საქმიანობის პროგრამის, იქნება ეს შეკეთება, გადაკეთება თუ ახალი განვითარება, პირველი ნაბიჯი ღირსშესანიშნავი ადგილის გააზრებაა. გააზრებისთვის საჭირო ინფორმაციის სახის და ოდენობის დადგენა ყოველთვის არ არის ადვილი.

ყველაზე მარტივი პასუხი იქნებოდა, რომ კონსერვაციის კონსულტანტს უნდა ჰქონდეს საკმარისი ინფორმაცია იმისთვის, რომ გაიგოს რა ზეგავლენა ექნება განაცხადს ღირსშესანიშნავი ადგილის განსაკუთრებულ თვისებებსა და მნიშვნელოვნებაზე. ამ პროცესს ზეგავლენის შეფასებას უწოდებენ და ის ნებისმიერი საკონსერვაციო გადაწყვეტილების გულისგულია. ზეგავლენის შეფასება დამოკიდებულია ნაგებობისა და გარემო ლანდშაფტის გააზრებაზე და, ამგვარად, ის შეიძლება გამოდგეს იმის ნათელსაყოფად, რა სახის ინფორმაციაა აუცილებელი, ჩვენი ცოდნის უმთავრესი ხარვეზების ამოსავსებად.

როდესაც კონსერვაციის სპეციალისტი, ზეგავლენის შეაფასების მეშვეობით, დაადგენს საჭიროა თუ არა დამატებითი ინფორმაცია და თუ არის, როგორი უნდა იყოს ის მოცემულ შემთხვევაში, მაშინ იმაზეც შეიძლება მსჯელობა, რა ოდენობის ინფორმაცია უნდა მოითხოვოთ. ამის შესახებ III ნაწილში იქნება საუბარი.

### *2.1 ზემოქმედების შეფასება*

როდესაც კონსერვაციის სპეციალისტი აძლევს რეკომენდაციებს დამკვეთს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას წინადადებათა მთელი რიგის შესახებ, ის ჯერ ამოწმებს ინფორმაციას და ცდილობს დაადგინოს, რა არის მოცემულ შენობაში და გარემო ლანდშაფტში მნიშვნელოვანი და რა ზეგავლენა ექნება მასზე ამ წინადადებებს. ამის მერე მას გამოაქვს დასკვნა, თუ რამდენად სასიკეთოა მოცემული წინადადებები.

ზემოქმედების შეფასება არ არის რაიმე განსაკუთრებული, უჩვეულო ან რთული პროცესი. ეს არის უბრალოდ კოდიფიკაცია ძირითადი ანალიზისა, რომელსაც ასრულებს კონსერვაციის ყველა კომპეტენტური სპეციალისტი. ზემოქმედების შეფასება ჩვეულებრივ კეთდება სარეკომენდაციო წერილის ფორმით შესაბამისი ორგანოსგან, მაგალითად, *ინგლისის მემკვიდრეობის სახელით*, კონსერვაციის მოხელის მოხსენებაში კომიტეტის მიმართ ან რეკომენდაციის სახით განვითარების კონტროლის მოხელისადმი, ან არქიტექტორისა თუ ინსპექტორის ტექნიკური ანგარიშის სახით გრანტის წინადადების დასადასტურებლად. ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორიცაა *მემკვიდრეობის ლატარეის ფონდი* (Heritage Lottery Fund), შეიძლება სთხოვოს განმცხადებლებს, რომ ღირსშესანიშნავი ადგილის საგანგებო ღირსებებზე წინადადების ზეგავლენის შეფასება წინადადების წარდგენის პროცესის ნაწილად იქცეს. ახლაც იშვიათია, რომ ისტორიულად ღირსშესანიშნავ ადგილზე ზეგავლენის შეფასება მოხდეს გაშლილად, ოფიციალურად დაწერილი დოკუმენტის სახით, ისე როგორც მიღებულია გარემოს სხვა საკითხებში.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რა თქმა უნდა, ხშირად გამოიყენება მიწათსარგებლობის დაგეგმვის პროცესში, რომელიც შეეხება გარემოს მთლიანობაში. გარემოს ზეგავლენის შეფასება აფასებს, თუ რაა მოსალოდნელი მთავარი პროექტის (ან სხვა ქმედების) შედეგად, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბუნებრივ და ხელქმნილ გარემოზე. ამის კვალად გვექნება გააზრებული გადაწყვეტილება და სარგებლობაც. გარემოს, ტრანსპორტისა და რეგიონთა დეპარტამენტი გარემოზე ზემოქმედების შეფასებას განმარტავს, როგორც




**საშუალებას სისტემატურად მოეყაროს თავი გარემოზე პროექტის შესაძლებელი ზეგავლენის შეფასებას. ეს გვეხმარება დავრწმუნდეთ, რომ მოსალოდნელი შედეგების მნიშვნელობა და მათი შემცირების მონდომება მთლიანად არის გააზრებული სამოსახლეობებისა და შესაბამისი ორგანოების მიერ მანამ, სანამ გადაწყვეტილება იქნა მიღებული (DETR პროსპექტი 02/99 პარაგრაფი 9)**

ეს პროსპექტი ასევე გვაუწყებს, რომ

**გარემოზე ზემოქმედების შეფასება ეხმარება პროექტანტებს ამა თუ იმ პროექტის მოსალოდნელი შედეგების ადრევე დადგენაში. მისი გამოისობით მოხდება განვითარების დაგეგმარებისა და პროექტირების გაუმჯობესება, ორივე მხარის მიერ გადაწყვეტილების მიღების, კონსულტირებისა და მასზე საპასუხო რეაგირების გაუმჯობესება (მეტადრე თუ მას ახლავს ადრევე ჩატარებული კონსულტაციებიც ადგილობრივ გეგმარების სამმართველოსა თუ სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან, მუშაობის საწყის ეტაპზე). გარდა ამისა, გარემოზე ზეგავლენის შეფასება პროექტანტებისთვის განვითარებისთვის ალტერნატიული მიდგომის ჩგასათვალისწინებლად სასარგებლო საშუალებაა. ამის შედეგად, საბოლოო წინადადება ეკოლოგიურად უფრო მისაღები იქნება და ამიტომაც საგეგმო ნებართვის მისაღებადაც განაცხადი უფრო სანდო იქნება. გარემოს შესახებ ინფორმაციის უფრო მეთოდური გზით წარმოდგენა ასევე გაუადვილებს ადგილობრივ დაგეგმარების სამმართველოს შეაფასოს განაცხადი და შეადგინოს დაგეგმვის შესაფერისი პირობები უფრო სწრაფი გადაწყვეტილების მისაღებად (პარაგრაფი 14).**

გარემოზე ზემოქმედების ოფიციალური შეფასების პროცედურა წინადადებათა განსაზღვრული ტიპის მიმართ გამოიყენება, რომელნიც წარმოდგენილია DETR პროსპექტში 02/99, რომელიც ემყარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ევროპულ დირექტივას (სადირექტივო 85/337/EEC შესწორებულია როგორც 97/11/EEC).

აქ იმაზე არ არის ლაპარაკი, რომ ისტორიულ გარემოზე ზეგავლენის მქონე პროექტების უმრავლესობას სჭირდება ან სარგებლობას მოუტანს გარემოზე ზემოქმედების ოფიციალური შეფასების პროცედურა. მიუხედავად ამისა, ზემოქმედების შეფასების ზოგადი პრინციპები ნებისმიერი მასშტაბის ყოველ პროექტს მიეყენება და მათი სასარგებლოდ გამოყენება შეიძლება ისტორიული გარემოს ცვლილებებზე ფიქრის გაადვილებისთვის.

ახლა მუშავდება აგრეთვე ზემოქმედების ერთიანი შეფასების მეთოდებიც. მათი მიზანია მნიშვნელოვნების სხვადასხვა სახის შეთავსება, იქნება ეს კულტურული, ეკოლოგიური, ეკონომიკური თუ საზოგადოებრივი, ისინი აღიარებს რომ „ცხოვრების ხარისხის" არსებობაა მთავარი და ცდილობს სარგებლობა რაც შეიძლება გაზარდოს. თუ კულტურასა ან მემკვიდროებაზე ზეგავლენა ამ ვრცელ პროცესში უნდა იქნეს ინტეგრირებული, მნიშვნელოვანია პირველ რიგში მემკვიდრეობაზე ზმოქმედების შეფასების უმთავრესი პრინციპების დადგენა.

## 2.2 საჭიროება და დასაბუთება

თუ კონსერვაციის მიზანია გადასცეს მომავალ თაობებს ის, რაც ღირებულია, ესე იგი, ეს ღირებულებანი მის პროცესში არ უნდა დაზიანდეს. ნებისმიერი სამუშაოს საჭიროება, რომელსაც შესაძლოა ისტორიულ გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს, უნდა დადგინდეს ადრეულ ეტაპზევე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისტორიული გარემო არასდროს უნდა შეიცვალოს, მაგრამ თუ ახალი სამუშაოები დააკნინებს იმას, რაც სინამდვილეში საზოგადოებრივ ღირებულებას წარმოადგენს, ამ სამუშაოს უნდა ჰქონდეს კარგად გაფიქრებული დასაბუთება. თუკი სხვადასხვა ვარიანტების შეფასება უკვე ჩატარებულია და განმცხადებელმა განიხილა მიზნის მიღწევის და ალტერნატიული, ნაკლებად დამაზიანებელი გზები, მაგრამ ისინი უარყო როგორც არაპრაქტიკული, საქმეს წაადგება დასაბუთებაში ისიც იყოს ჩართული.

საჭიროების ან დასაბუთების ოფიციალურად წარდგენა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. *დაგეგმვის მეთოდების სახელმძღვანელო 15: დაგეგმვა და ისტორიული გარემო* (PPG 15) მოითხოვს სიაში შეტანილი ნაგებობების შესათანხმებლად განმცხადებლებმა დაასაბუთონ მათი წინადადებები (პარაგრაფი 3.4), ხოლო ახალი *Faculty Jurisdiction Rules* (2000) ასევე მოითხოვს საჭიროების დამტკიცებას. გარემოზე ზეგავლენის შეფასების პირველი ეტაპი სხვადასხვა ალტერნატიული გადაწყვეტილების შესწავლაა. უნარშეზღუდულთათვის მისასვლელის მოწყობის წინადადებათა გადახედვისას, პირველად არსებული შენობის მისასვლელი უნდა შემოწმდეს.

## *2.3 სამუშაოს გამოკვეთა*

როდესაც სამუშაოს საჭიროება დადგინდა და სხვა ვარიანტები უარყოფილ იქნა, ზეგავლენის შეფასების შემდეგი ეტაპია სამუშაოს ტიპის განსაზღვრა. ხანდახან კონსერვაციის სპეციალისტისთვის საოცრად რთულია წარმოდგენილი ინფორმაციით იმის მიხვედრა, თუ მაინც რაა შემოთავაზებული შენობისა თუ გარემო ლანდშაფტისთვის. რაც უფრო ზუსტად არის სამუშაო განსაზღვრული, მით უფრო იოლია ღირსშესანიშნავი ადგილის განსაკუთრებულ თვისებებზე წინადადების ზეგავლენის დადგენა. ამასთან, განმცხადებელმა შეიძლება დაიზაროს, დაამუშავოს გეგმა უფრო დეტალურად, თუ ეჭვობს, რომ პროექტს მთლიანობაში არ მოიწონებენ.

განმცხადებელმა უნდა სცადოს, რაც შეიძლება ნათლად გამოთქვას, რა ტიპის ფიზიკურ სამუშაოს სთავაზობს ის. თავის მხრივ, ეს დაეხმარება სპეციალისტს უფრო სწრაფად და ეფექტიურად დაამუშავოს განაცხადი. დადგენილ სისტემაში, PPG 15-ში წარმოდგენილია რამდენიმე რეკომენდაცია საჭირო ინფორმაციის შესახებ (იხ. ქვევით, 4.1). მრავალი დამფინანსებელი ორგანიზაცია, როგორც წესი, ათავსებს თავის მოთხოვნებს განაცხადის ბლანკში.

## *2.4 მნიშვნელოვნების განსაზღვრა*

შემდეგი ეტაპია ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელოვნებაზე სამუშაოს ზეგავლენის შეფასება. ჩვენი „სახელმძღვანელო პრინციპების" I ნაწილში ნათქვანმია, რომ მნიშვნელოვნება გამომდინარეობს იმ ღირებულებიდან, რომელსაც ვანიჭებთ ამა თუ იმ ადგილს და რომ მნიშვნელოვნების შეფასება არის ნებისმიერი საკონსერვაციო გადაწყვეტილების საფუძველი. რაც უფრო ნათლად არის დასახული

მნიშვნელოვნება, მით უფრო ადვილია მართვა და მიღება გადაწყვეტილებისა ცვლილებების თაობაზე.

თუ შენობა და გარემო ლანდშაფტი დაცვაზეა აყვანილი (მაგ., სიაში შეტანილი შენობა, საკონსერვაციო არეალი, აღრიცხული უძველესი ძეგლი, დარეგისტრირებული პარკი ან ბაღი), ეს მიუთითებს მისი ლანდშაფტის მნიშვნელოვნებას და მისი დაცვაზე აყვანის მიზეზს. სიაში შეტანილი შენობები წარმოადგენს „განსაკუთრებულ არქიტექტურულ ან ისტორიულ ღირებულებას“, აღრიცხული უძველესი ძეგლი „ეროვნულ მნიშვნელობას“, ხოლო საკონსერვაციო არეალები განისაზღვრება, როგორც „ხასიათი ან იერი, რომლის შენახვა ან გაუმჯობესება სასურველია.“ ლანდშაფტის მენეჯმენტის დროს და ცვლილებების შესახებ განსაკუთრებული გადაწყვეტილების მიღებისას, შეიძლება საჭირო იქნეს მნიშვნელოვნების უფრო დეტალური შეფასება.

მემკვიდრეობისმიერი ობიექტი შეიძლება სხვა მიზეზების გამოც იყოს მნიშვნელოვანი — მაგალითად, მას შეიძლება ჰქონდეთ ადგილობრივი მნიშვნელობა ან იყოს მნიშვნელოვანი გარკვეული სამოსახლო ერთობებისთვის. დაცვაზე აყვანის დოკუმენტში ეს ყოველთვის არ არის მითითებული, მაგრამ თუ კონსერვაციის სპეციალისტს პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს, ის არ უნდა მოერიდოს ამგვარი ღირებულების აღიარებას და მოშველიებას. ამგვარი ღირებულების გამო ლანდშაფტისთვის შეიძლება ისეთმა ორგანიზაციებმა გაიღონ დაფინანსება, როგორიცაა „*მემკვიდრეობის ლატარეის ფონდი*“.

მნიშვნელოვნების შეფასებისთვის არაერთი ხერხი არსებობს. ასეთია, მაგალითად, მნიშვნელოვნების დადგენა, კონსერვაციის გეგმები ან განცხადებები, ან საკონსერვაციო არეალების შეფასება. ამ პროცედურების დამატებითი დეტალები VI ნაწილში განიხილება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დოკუმენტები არაჩვეულებრივი ღირებულებისაა ნებისმიერი, დიდი თუ პატარა, ლანდშაფტის მენეჯმენტის დროს, პრაქტიკაში, კერძო საკუთრებაში მყოფი ისტორიული ნაგებობებისა და მიმდებარე ლანდშაფტის უმრავლესობას ასეთი დოკუმენტები არ გააჩნია და, საეჭვოა, რომ როდესმე იქნება მათი შედგენის საშუალება.

ყოველდღიური ზემოქმედების შეფასებისას კონსერვაციის სპეციალისტმა უბრალოდ უნდა გაირკვიოს, რა მხრივ მოახდენს წინადადება ზეგავლენას ლანდშაფტის მნიშვნელოვნებაზე. ამის განსახორციელებლად მან უნდა იცოდეს ზემოქმედება ღირსშესანიშნავი ადგილის რომელ ნაწილზე მოდის. როგორც წესი, ეს განისაზღვრება როგორც რამ მატერიალური — მაგალითად, იატაკი, კედლები, ბაღის რომელიმე ნაკვეთი, მაგრამ საქმე ნაკლებ ხელშესახებ რამესაც ეხება, მაგ., ღირსშესანიშნავი ადგილის განლაგებას, ადგილის ხედსა და მისგან გადასახედს, ან ამ ადგილზე ხალხის დაშვებას.

როდესაც დაზიანებული ქსოვილის თვისებები (ან სხვა ასპექტი) დადგენილია, კონსერვაციის სპეციალისტმა უნდა განსაზღვროს ამ ქსოვილის მნიშვნელოვნება. ღირებულება რამენაირად უნდა უკავშირდებოდეს მატერიალურ ქსოვილს (ან ღირსშესანიშნავი ადგილის სხვა ასპექტს, როგორიცაა მისი განლაგება), რადგან გადაწყვეტილება ამ ქსოვილის შესახებ არის მისაღები. მაშინაც კი, როდესაც ეს ღირებულებები დიდწილად ხელშეუხებელია, მათი ღირებულება შეიძლება მატერიალურადაც წარმოჩინდებოდეს. თუ განცხადება კონსერვაციის შესახებ ან სხვა დოკუმენტი ხელმისაწვდომი არ არის, სპეციალისტმა უნდა მოიშველიოს

- დაცვაზე აყვანის დოკუმენტი
- განმცხადებლის მიერ მოძიებული ინფორმაცია, კვლევის ან შეფასების ჩათვლით
- საკუთარი ცოდნა და გამოცდილება
- სამოსახლოებების პრობლემების ცოდნა

იმისთვის, რომ განსაზღვროს იმის მნიშვნელოვნება, რაზეც მოხდება ზეგავლენა.

## *2.5 ზემოქმედების დადგენა*

როდესაც კონსერვაციის სპეციალისტი განსაძღვრავს დაზიანებული ქსოვილის ან ასპექტის მნიშვნელოვნებას, საჭიროა მასზე პროექტის ზემოქმედების უფრო დეტალური შესწავლა. არსებითად, ეს ისტორიული ნაგებობისა და ლანდშაფტისთვის რისკის შეფასებაა.

ზემოქმედება შეიძლება იყოს სასიკეთო ან საზიანო. წინადადებათა უმეტესობა სხვადასხვა ზემოქმედების ნაზავს მოიცავს და კონსერვაციის სპეციალისტის ერთ-ერთი მოვალეობაა სასიკეთო ზემოქმედების გაზრდა და უარყოფითის შემცირება. მათ უნდა მოინდომონ იმის გარკვევა, ხომ არ იქნება ახალი სამუშაოები სარისკო ღირსშესანიშნავი ადგილის არსებული ნაწილებისთვის, მაგ., შეუფერებელი მასალების მოხმარების გამო. **შეიძლება იყოს ასევე გრძელვადიანი, ან ჯაჭვური ზეგავლენა ახალ სა-**მუშაოებზე, როგორიც არის რემონტის გაგრძელება ან მენეჯმენტის დაბრკოლება.

წინადადების შესწავლისას კონსერვაციის სპეციალისტმა უნდა ყურადღებით ნახოს სად უნდა განთავსდეს და რანაირი იქნება შემოთავაზება, მასალის გამოყენება და ტექნოლოგიების არჩევანი. ისინი

უნდა შეეცადონ, განსაზღვრონ დანგრევის, ისტორიული ქსოვილების გათხრებისა ან დანაკარგის ოდენობა, ინტერიერის დამუშავება და ახალი სამუშაოს ზეგავლენა ღირსშესანიშნავი ადგილის განლაგებასა და იერზე. ისევ და ისევ, რაც უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული წინადადება, მით უფრო ადვილია ზემოქმედების შეფასება.

## *2.6 ზემოქმედების შესუსტება და შემცირება*

როდესაც კონსერვაციის სპეციალისტს ჩამოუყალიბდება ნათელი აზრი ღირსშესანიშნავი ადგილის განსაკუთრებულ თვისებებზე წინადადების მოსალოდნელი ზეგავლენის შესახებ, მას უნდა შეეძლოს იმის გადაწყვეტა, არის თუ არა პროგრამა მისაღები, სულ ცოტა, მემკვიდრეობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით.

არის შემთხვევები, როცა წინადადები მიუღებელია, რადგან მათ ღირსშესანიშნავი ადგილისთვის იმდენად საზიანო შედეგები მოყვება, რომ მათი შემცირება ყველანაირად შეუძლებელია. ამ შემთხვევაში განმცხადებელსა ან კლიენტს რაც შეიძლება ადრე უნდა შეატყობინონ ამის შესახებ. იმისთვის, რომ ნაკლები დრო და ენერგია დაიხარჯოს, მას ასეთი გადაწყვეტილების მიზეზები უნდა ეცნობოს. თუ წინადადებაში შერეულია სასიკეთო და დამაზაინებელი ელემენტები, კონსერვაციის გამოცდილი სპეციალისტი შეეცდება, დაეხმაროს განმცხადებელს ან კლიენტს ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელოვნების დაზიანების გარეშე მიაღწიონ მიზანს.

პროცესს, რომლის დროსაც ეძებენ ხერხებს გარემოს დაზიანების შესამცირებლად ან თავიდან ასაცილებლად ზემოქმედების შესუსტება ეწოდება. სინამდვილეში, ზემოქმედების შესუსტება არის ზემოქმედების შეფასების პროცესის მთავარი მიზანი, განსაკუთრებით, თუ კონსერვაცია გულისხმობს ცვლილების მართვას და არა თავიდან აცილებას.

ისტორიული ნაგებობებსა და გარემო ლანდშაფტზე შესაძლებელი საზიანო ზემოქმედების შესუსტების ბევრი სხვადასხვა ხერხი არსებობს, ისეთი, როგორც

### ალტერნატიული გზების განხილვა

თუ წინადადება შეიძლება დამაზიანებელი გამოდგეს, პირველ რიგში, ცდილობენ სხვა გზის მიგნებას, იმავე მიზნის მისაღწევად. ამის გაკეთება შეიძლება მთლიანად პროგრამის სტრატეგიულ დონეზე ანდა პროექტირებისას დეტალების შეცვლით. მაგალითად, თუ ლიფტის დამონტაჟება ისტორიულ ინტერიერში ძლიერ დააზიანებს შენობის იერსა და განსაკუთრებულ თვისებებს, საჭიროა ალტერნატიული ხერხის პოვნა იმავე მიზნის მისაღწევად. მაშინ ინფორმაცია პირველ სართულზე ან უფრო ადვილად მისადგომ შენობებში უნდა ვეძიოთ. ხანდახან სამუშაოს საჭიროების გადამოწმება (იხ. ზემოთ) გვაპოვნინებს ალტერნატიულ გზებს. ზოგჯერ პრობლემას სხვა მხრიდან სჭირდება გაფიქრება.

### ფრთხილი პროექტირება

ზემოქმედების შესუსტებას პროექტირების პროცესში მთავარი ადგილი უკავია. გამოცდილი კონსერვატორ-არქიტექტორის ერთ-ერთი უნარი იმაში მდგომარეობს, რომ კარგი პროექტი ღირსშესანიშნავი ადგილის არსებული მნიშვნელოვნების შეურყვნელად შეასრულოს. შეიძლება ახალი დამხმარე სათავსები დავაცილოთ მგრძნობიარე ზედაპირს, ისტორიულ ხის ნაწილებსა ან ჩამარხულ ნაშთებს. დამატებითი ფართობები ისე უნდა დაპროექტდეს, რომ მათი მასშტაბი და მოცულობითობა შეეზარდოს არსებულ ნაგებობას, ხოლო მანქანების გასაჩერებელი ისე მოთავსდეს, რომ არ წარყვნას ისტორიულად ჩამოქნილი ლანდშაფტი. ახალი სამუშაოს კარგი პროექტი — შეკეთების, გადაკეთების თუ განვითარების — ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ხერხია ისტორიული ადგილების დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

### დროის შერჩევა და მეთოდოლოგია

ხანდახან სამუშაო შეიძლება შესრულდეს ისე ან ისეთ დროს, რომ შემცირდეს ან თავიდან იქნეს აცილებული დამაზიანებელი ზემოქმედება. მაგალითად, სახურავის შეკეთება შეიძლება მაშინ, როცა ეს არ ემუქრება ღამურების კოლონიას, ან სამუშაო შესრულდეს ისე, რომ არ თანხვდეს მომსვლელთა მოზღვავების ანდა საზოგადოებისგან ობიექტის გამოყენების პერიოდებს.

### მასალის არჩევა

როგორც პროექტირების პროცესის ნაწილი, ახალი სამუშაოსთვის მასალის ამორჩევა ან მოცემული ნამუშევრის შეკეთება ისტორიული ნაგებობისა და ლანდშაფტის დაზიანების თავიდან აცილების კიდევ ერთი ხერხია. შეუფერებელმა მასალამ შეიძლება დააზიანოს ხედი ან კონსტრუქციული სიმრთელე.

**შექცევადი სამუშაო**

სასურველია, რომ ისტორიულ შენობასა და ლანდშაფტში შესრულებული ახალი ნამუშევარი შექცევადი იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი შეიძლება იქნეს დამონტაჟებული ან მოშორებული ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელოვნებაზე სამუდამო ზეგავლენის გარეშე.

## *2.7 კდკა-ს მნიშვნელობა ღირსშესანიშნავ ადგილებზე ზემოქმედების შესუსტების თვალსაზრისით*

ძალიან ხშირად შესაძლებელი ზიანის შესუსტება შეიძლება ისტორიული შენობისა და გარემო ლანდშაფტის განსაკუთრებული თვისებების უკეთ შესწავლის მეშვეობით და ამ ცოდნის პროექტირების პროცესში შეტანით. გააზრება ხშირად ზემოქმედების შესუსტების საფუძველია და სათანადო ინფორმაცია, რომელიც მოძიებულია აუცილებელი გადაწყვეტილების მისაღებად, დაგეგმვას ძალიან ეხმარება.

კონსერვაციის ყოველდღიურ საქმიანობაში უფრო ხშირად განაცხადი, დაცვაზე აყვანის დოკუმენტი და კონსერვაციის სპეციალისტის საკუთარი ცოდნა უზრუნველყობს საკმარის ინფორმაციას ზემოხსენებული ზემოქმედების შეფასების გათვალისწინებით მუშაობისას. დამატებითი კვლევა, ანალიზი ან შესწავლა საჭირო ხდება შეფასების დროს, თუ კონსერვაციის სპეციალისტი თვლის, რომ ზემოქმედება მოსალოდნელია, მაგრამ მას ამაში დასარწმუნებლად არ აქვს საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ზემოქმედება მოყვება სამუშაოს ან ზემოქმედების შესამცირებლად რა ხერხს უნდა მიმართოს.

მაგალითად, განმცხადებელს სურს შენობის შეკეთება, მაგრამ კონსერვაციის სპეციალისტმა ზუსტად არ იცის, რამ გამოიწვია შექმნილი ვითარება და, ამგვარად, არ შეუძლია სამუშაოს საჭიროების დადასტურება ან შესაფერისი შეკეთების ტექნოლოგიის არჩევა. ამიტომ, აუცილებელია ჩატარდეს დამატებითი ტექნიკური გამოკვლევა.

სხვა განმცხადებელს შეიძლება სურდეს ისტორიული ინტერიერის ახლად გაწყობა, მაგრამ სპეციალისტი არ არის დარწმუნებული, თუ შემორჩა თუ არა ისტორიული საღებავი და, ამგვარად, არც ქსოვილის მნიშვნელოვნება იცის და არც მასზე წინადადების ზემოქმედება. შესაძლებელია არქიტექტურის დაფერვის შესწავლა და იმის დადგენა, როგორ იმოქმედებს ძველი საღებავის ჩამოფხეკა წინანდელ შეფერილობაზე.

მესაკუთრეს შეიძლება მოუნდეს ისტორიული სოფლური სამეურნეო შენობა საცხოვრებლად გადააკეთოს და წარმოადგენს წინადადებას და შენობის ახლანდელი მდგომარეობის ნახაზებს. კონსერვაციის სპეციალისტი თვლის, რომ ამ პროექტს შეუძლია სარგებლობის მოტანა შენობისთვის ახალი ფუნქციის მოფიქრების გამო, მაგრამ ეშინია, რომ კონსერვაციის სპეციფიკური ზემოქმედება ავნებს შენობის სასოფლო-სამეურნეო ხასიათს. ახალი პროექტის შესასრულებლად შეიძლება საჭირო იყოს შენობის ისტორიის შესწავლა და შენობის უფრო დეტალური ანაზომები.

ეს კდკა-ს ის მაგალითებია, რომლებიც დაგეხმარებათ პროექტირებასა და გადაწყვეტილების მიღებაში. ხანდახან საჭიროა იმის დაფიქსირება, რაც დაიკარგა, მაგრამ ეს ყოველთვის უკანასკნელი გამოსავალია და არ უნდა იქნეს წინასწარ გამოყენებული ხელმისაწვდომი ინფორმაციის მაგივრად (დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვევით, იხ. 3.4.2, 4.7 და 4.8).

ზემოქმედების შეფასებასა და მოთხოვნილ ინფორმაციას შორის მიმართება გარკვეული რიგის წინადადებებში უკეთ ჩანს მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების ტაბულაში. ტაბულის სვეტები გამოსახავს ზემოქმედების შეფასების პროცესის ძირითად ეტაპებს — სამუშაოს განსაზღვრას, მნიშვნელოვნების შეფასებას, ზემოქმედების დადგენას და ზემოქმედების შესუსტების დადგენას. მოთხოვნები ინფორმაციის მიმართ შეიძლება იყოს წარმოდგენილი ცალკე სვეტში ან ზემოქმედების შესუსტების სვეტში. ტაბულა ხელსაყრელია, რადგან მოკლეა, ადვილად წასაკითხი და პროცესს აწესრიგებს. ის განსაკუთრებით გამოსადეგია ცოდნის ხარვეზების დასადგენად. ის აგრეთვე გარანტიას გვაძლევს, რომ ნებისმიერი ინფორმაციის (ან კდკა) მოთხოვნილება უშუალოდ არის დაკავშირებული პროექტთან.

ტაბულა შეიძლება შეეფარდოს ნებისმიერ სამუშაოს და დეტალების ნებისმიერ რაოდენობას, ზოგად წინადადებებსაც და დაწვრილებით სპეციფიკაციასაც. სვეტების რაოდენობის გაზრდა და დაწყობა საჭიროებისამებრ შეიძლება, თუკი დაცულია აუცილებელი შეფარდება წინადადებას, მნიშვნელოვნებას, ზემოქმედებას, ინფორმაციასა და ზემოქმედების შესუსტებას შორის.

ამ ნაწილის დასაწყისში დაისვა შეკითხვა „რა ოდენობის ინფორმაცია არის საჭირო შენობისა და გარემო ლანდშაფტის გასააზრებლად?“ პასუხი მდგომარეობს იმაში, რომ საკმარისი ინფორმაცია საჭიროა იმისთვის, რათა კონსერვაციის სპეციალისტმა შეძლოს ღირსშესანიშნავი ადგილის თვისებებზე პროექტის ზეგავლენის შეფასება და დაადგინოს ყველა ის გზა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ზემოქმედების შესუსტება ან მისი თავიდან აცილება.

კდკა-ს ნებისმიერი ნაწილი, რომელიც განხორციელებულია კონსერვაციის პროცესში, მთლიანი სტრუქტურისა თუ ლანდშაფტის გააზრების უფრო ფართო კონტექსტში უნდა მოვაქციოთ. თუ კვლ-

ევა მეტისმეტადაა „მიბმული“ გარკვეულ წინადადებას, მაგალითად, წარმოდგენილია შესაკეთებელი გალავნის რამდენიმე კვადრატული მეტრის ნახაზი და მეტი არაფერი — საბოლოო შედეგი არ იქნება საკმარისი მართებული დასკვნისთვის ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელოვნების შესახებ. ანალიზის პროგრამა აგრეთვე ადვილად უნდა მიესადაგოს სამოქმედო გეგმის ცვლილებებსაც. კდკა-ს ნებისმიერი პროგრამის მთავარი მიზანია მნიშვნელოვნების გააზრება.

მაშასადამე, კონსერვაციის სპეციალისტის ერთ-ერთი უმთავრესი უნარი და პასუხისმგებლობაა საჭირო ინფორმაციის რაობისა და ოდენობის დადგენა. მანვე უნდა უზრუნველყოს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი გამჭვირვალე და გასაგები იყოს.

| **შემოთავაზებული სამუშაო** | **შესაბამისი ქსოვილის მნიშვნელოვნება** | **სამუშაოს შესაძლო ზემოქმედება** | **კდკა-ს ინფორმაცია** | **ზემოქმედების შესუსტების შესაძლებლობა** |
|---|---|---|---|---|
| *არქიტექტორის ან ინსპექტორის გეგმებიდან* | *ახსენით, რატომ არის ქსოვილი მნიშვნელოვანი* | *გადაწყვიტეთ, ჩააგდებს თუ არა საფრთხეში წინადადება ქსოვილს* | | *დაზიანების შესუსტების ხერხები* |
| ინტერიერის ახლად გამართვა | მე-18 ს-ის შენობა, სადაც შეიძლება იყოს ისტორიული ფერადოვნება | ზედაპირის გაწმენდისას შესაძლოა ისტორიული ფერების დაზიანება | ინტერიერის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია არქიტექტურული საღებავის შესწავლა | ისტორიული ფერადოვნების ზედაპირის მინიმალური დამუშავება და დაფარვა |
| ფანჯრის ჩარჩოს შეკეთება | შენობაში ჩასმულია მე-19 ს-ის ჩარჩოები; | მცირე ზეგავლენა – შეკეთების ტექნოლოგიები მისაღებია | არ არის | არ არის |
| ორანჟერეას კაფედ ან მნახველთა ცენტრად გადაკეთება | სავარაუდოდ, მე-19 ს-ისაა; შემორჩენილია გათბობის თავდა-პირველი სისტემა | შესაძლოა დიდი იყოს – ახალი დანადგარები დააზიანებს იატაკს, სივრცის დანაწევრება | შენობის უფრო დეტალური შეფასება + ნახაზები პროგრამის გაგრძელებამდე | მოფიქრება, არის თუ არა ხელმისაწვდომი დამატებითი ინფორმაცია |
| შადრევნის სხვა ადგილზე რეკონსტრუქცია | შადრევანი წარმოადგენს მე-17 ს-ის ლანდშაფტის ნაწილს. საყურადღებოა მე-17 ს-ის მნიშვნელოვანი სკულპტურა | ძლიერი – ლანდშაფტის ერთიანობის დარღვევა, ქსოვილის შესაძლებელი დაზიანება | სასურველია დამატებითი ინფორმაციის მოძიება, მაგრამ არ არის მოსალოდნელი მნიშვნელოვნების შეფასების შეცვლა | შეუძლებელია – წინადადება მიუღებელია |

**ცხრილი 1** *მემკვიდრეობაზე ზეგავლენის შეფასების ცხრილი*

# 3. გააზრება დიდ პროექტებთან მიმართებით

**ამ ნაწილში განმარტებულია, როგორ შეიძლება კდკა-ს მისადაგება კონსერვაციის დიდი პროექტების მოთხოვნებთან**

## *3.0 აუცილებელი მინიმალური ინფორმაცია*

სტატუსის მქონე ღირსშესანიშნავ ადგილზე მუშაობის ნებისმიერ განაცხადს, რომელიც წესისაებრ გულისხმობს შეთანხმებას ან დაფინანსების თხოვნას, უნდა ახლდეს ინფორმაციის მინიმალური ოდენობა. ამ მარტივი სამუშაოსთვის სასურველია

- შენობის ყველა იმ სართულის გეგმების, განაკვეთის და ფასადის ანაზომები, სადაც განზრახულია სამუშაოს ჩატარება. ლანდშაფტის შემთხვევაში საჭიროა მისი არსებული გეგმა.
- შემოთავაზებული სამუშაოს შემდეგ შეცვლილი ნაგებობის (ან ლანდშაფტის) თუ სამომავლო განვითარების ამსახველი ნახაზები

შემდგომი გამოსადეგი ინფორმაცია მოიცავს

- განცხადებას, რომელიც განმარტავს სამუშაოს საჭიროებასა და დასაბუთებას
- ფოტოსურათებს
- აღწერის, დაგეგმარების დოკუმენტის, რეგისტრაციის ან დაცვაზე აყვანის სხვა დოკუმენტის ასლებს
- სამუშაოების განრიგს და შემოთავაზებულ მეთოდიკას

ხშირად მინიმალური ინფორმაცია — შემტკიცებული ღირსშესანიშნავი ადგილის მონახულებით, მიწოდებული ინფორმაციის სისწორის დასადგენადა და შესამოწმებლად, კიდევ რამე ხომ არაა გამოსარკვევი — კონსერვაციის სპეციალისტისთვის საკმარისია პროექტი რომ წინ წაწიოს.

შესაძლოა გაჩნდეს დამატებითი ინფორმაციის საჭიროება იმ შემთხვევაში, თუ

- მინიმალური ინფორმაცია არ არის საკმარისი ღირსშესანიშნავი ადგილის თვისებებზე პროექტის ზეგავლენის დასადგენად
- არის იმის ალბათობა, რომ ზოგი ან ყველა სამუშაო ზიანს მოუტანს შენობისა და გარემო ლანდშაფტის განსაკუთრებულ თვისებებს და დამატებითი ინფორმაცია შეამცირებს ამ ზიანს.

მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების პროცესი, რომელიც წარმოდგენილია II ნაწილში, დაგეხმარებათ, განსაზღვროთ რა ტიპის ინფორმაცია გჭირდებათ. დადგენილი ეტაპების მეშვეობით ეს ინფორმაცია შეიძლება მიესადაგოს დიდი პროექტის განსაკუთრებულ საჭიროებას.

დიდი პროექტების უმეტესობა გაივლის რიგ ეტაპებს, რომელნიც იწყება პროექტის ინიცირებით, შემდეგ მოდის ვარიანტების შეფასება, ზოგადი გეგმა, პროექტის განვითარება, სავალდებულო და სხვა შეთანხმება, დეტალური სპეციფიკაცია, ღირსშესანიშნავ ადგილებზე მუშაობა და მონიტორინგი, საანგარიშო მოხსენება და პროექტის შემდგომი განხილვა.

ამის შესასრულებლად, კდკა შეიძლება დაიყოს ვრცელ „ეტაპებად", რომელნიც დაემთხვევა პროექტის მენეჯმენტის საჭიროებას. ეს ეტაპები დასაწყისისთვის უბრალოდ რეკომენდაციებია, ამოსავალი და არა ხისტი ყალიბი, რომელსაც ნებისმიერ ვითარებაში უნდა მიესადაგონ.

ეს ეტაპებია

**პირველი ეტაპი:** **შეფასება**
**მეორე ეტაპი:** **წინასწარული კვლევის ჩატარება**
**მესამე ეტაპი:** **მიზანმიმართული საგანგებო კვლევა**
**მეოთხე ეტაპი:** **ანალიზი სამუშაოების მსვლელობაში**
**მეხუთე ეტაპი:** **ანგარიშგება, არქივში შეტანა და გამოქვეყნება**

ტაბულა 2 ამ ეტაპებს უფრო დეტალურად უჩვენებს

### *3.1 პირველი ეტაპი: შეფასება*

პროექტების უმეტესობა იწყება განხორციელებადობისა და პროექტის განსაზღვრის ეტაპით. პროექტის მენეჯერი ამოწმებს, რამდენად შეიძლება განხორციელდეს მოცემული პროექტი და რა დაბრკოლებები ან შესაძლებლობები ახლავს მას. ამას არ სჭირდება ღირსშესანიშნავი ადგილის დეტალური შესწავლა, მაგრამ ესაჭიროება სხარტი მიმოხილვა იმაზე, თუ რა არის მნიშვნელოვანი და რატომ. მათ უნდა იცოდნენ ასევე, რამდენად მისაღებია რომელიმე წინასწარული წინადადება. ასეთ შემთხვევაში, ყოველთვის სასურველია წინასწარი მოთათბირება ადგილობრივ მმართველობასთან და დამფინანსებელ ორგანიზაციასთან. პატარა პროექტზე მუშაობისას საკმარისია კონსერვაციის სპეციალისტის მოკლე სიტყვიერი დასკვნა, მაგრამ დიდი პროექტების შემთხვევაში წერილობითი დოკუმენტი უფრო გამოსადეგია. ღირსშესანიშნავი ადგილის რაობიდან გამომდინარე, შეიძლება დაკვეთილ იქნეს სწრაფი შეფასება, არსებული წინადადებების მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასება, განცხადება კონსერვაციის შესახებ ან კონსერვაციის გეგმა.

### 3.1.1 სწრაფი შეფასება

სწრაფი შეფასება არის წერილობითი დოკუმენტი, რომელიც გვაძლევს ზოგად წარმოდგენას ღირსშესანიშნავი ადგილის შესახებ. სწრაფი შეფასება გვარწმუნებს, რომ პროექტის მენეჯერმა, მშენებელმა ან მესაკუთრემ იციან ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელოვნების შესახებ, ცხადყოფს სარისკო ან საეჭვო არეალებს და ასაბუთებს დამატებითი სამუშაოების საჭიროებას. ისეთი ამოცანები, როგორიცაა ახალი გამოყენების შესაძლებლობები, შეიძლება ამ ეტაპზე აღინიშნოს.

სწრაფმა შეფასებამ შეიძლება მოიცვას ჩამოთვლილთაგან რამდენიმე ან ყველა ინფორმაცია

- წინაპირობების შესწავლა: სახელმწიფო ან ადგილობრივ საცავებში ინფორმაციის ხელმისაწვდომი წყაროების სხარტი მიმოხილვა. თავიდან ყურადღება უნდა დაეთმოს რუკებს, ასახულობებსა და ნებისმიერ მეორად წყაროს, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს მოცემულ საქმესთან
- ქსოვილის ვიზუალური შეფასება: ღირსშესანიშნავი ადგილის ნახვა შენობისა და გარემო ლანდშაფტის რაობის განსასაზღვრელად, ცვლილებების ძირითადი ეტაპების დადგენა. წერილობითი ფორმით წარმოდგენილი მოკლე ინფორმაცია, თანდართული ანოტირებული, ეტაპებად დაყოფილი ნახაზით ან ჩანახაზებით ან წინასწარული ანაზომები
- ცნობა სამოსახლო ერთობების ამოცანებისა და საზრუნავის შესახებ
- სინთეზი: ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელოვნების შეფასება და მისი ცვლილებების ეტაპები, განსაკუთრებით მახასიათებელი და ღირებული კომპონენტების დადგენა (მაგ., გეგმა, მასალები, დეტალები)
- ასახულობები: შენობისა და გარემო ლანდშაფტის ფოტოსურათები, თანდართული რუკების, გეგმების, ნახაზების და ასახულობების ასლებით (აუცილებელია საავტორო უფლების მიღება)
- განცხადება შემდგომი სამუშაოების შესახებ: დამატებითი სამუშაოს (თუ ის არის, მაგ., ანაზომები ან ანალიზი) და მოცემული გარემოს გამოკვლევის (მაგ. არქიტექტურის დაფერვის შესწავლა, დენდროქრონოლოგია, გათხრები, ტექნიკური გამოკვლევა, მერქნის გამოკვლევა) საჭიროების შეფასება

### 3.1.2 ისტორიულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასება

თუკი არსებობს ღირსშესანიშავი ადგილის შესახებ განსაკუთრებული წინადადებების რიგი — იქნება ეს საპროექტო წინადადება თუ აუცილებელი შეთანხმებისა ან დაფინანსებაზე განაცხადი – სწრაფი შეფასების მიზანია დაადგინოს ამ წინადადებების ზეგავლენა ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელოვნებაზე. ამაში შედის:

- სამუშაოს დასაბუთება; იმის განმარტება, თუ რატომ არის გამართლებული სამუშაო, რომელმაც შეიძლება უარყოფითი ზეგავნელა იქონიოს ღირსშესანიშნავი ადგილის განსაკუთრებულ თვისებებზე
- ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელოვნებაზე წინადადებების ზეგავლენის დადგენა
- უარყოფითი ზემოქმედების შემსუბუქების წინადადებები, მათ შორის ალტერნატიული გეგმები ან დამატებითი კვლევის წინადადებები.

ყურადღება მიაქციეთ, რომ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების განსაზღვრა შეიძლება პროექტის

ყველა საფეხურისთვის, რათა შეფასდეს ყველაფერი, ზოგადი მონახაზიდან დაწყებული დეტალური პროექტით დამთავრებული. მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების პრინციპები წარმოდგენილია II ნაწილში.

### 3.1.3 განცხადება კონსერვაციის შესახებ და კონსერვაციის გეგმები

ორი სხვა რამ შეიძლება იქნეს გამოყენებული დიდი პროექტის შემუშავების საწყის ეტაპზე, ესაა განცხადება კონსერვაციის შესახებ და კონსერვაციის გეგმა.

მოკლედ რომ ვთქვათ, განცხადება კონსერვაციის შესახებ არის კონსერვაციის გეგმის ზოგადი მონახაზი. ის გვაწვდის ღირსშესანიშნავი ადგილის ზოგად მიმოხილვას, მისი მნიშვნელოვნების განმარტებას, კონსერვაციის შესაძლო მიმართულებებს და შემდგომ საკეთებელს. როგორც წესი, ის არსებულ ცოდნაზეა დაფუძნებული. კონსერვაციის გეგმა უფრო დაწვრილებითი დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს, რა არის ღირსშესანიშნავ ადგილზე მნიშვნელოვანი და როგორ შეიძლება ამ მნიშვნელოვნების შენახვა მომავალში მისი გამოყენებისას, გადაკეთებისას, შეკეთებისას ან განვითარებისას. ის გულისხმობს ღირსშესანიშნავი ადგილის დამატებით შესწავლას და უფრო ვრცელ კონსულტაციას.

განცხადება კონსერვაციის შესახებ გამოსადეგია პროექტის ადრეულ ეტაპზე, როდესაც საჭიროა ზოგადი მიმოხილვა. მიუხედავად ამისა, მხოლოდ მასზე დაყრდნობით ძირითადი გადაწყვეტილების მიღება ცოტა სარისკოა. კონსერვაციის გეგმა უფრო არსებითი რამაა და მან შეიძლება შეაყოვნოს პროექტი. მიუხედავად ამისა, თუ პროექტი მოიცავს ღირსშესანიშნავ ადგილს მემკვიდრეობის სხვადასხვა სახეობებით, რომელთა მენეჯმენტი სხვადასხვა, სავარაუდოდ, ერთმანეთის მოცილე მოთხოვნებს გვიყენებს, გეგმა სასარგებლო იქნება. პროექტის მენეჯერს, რომელიც თვალს ადევნებს მთავარ სამუშაოს, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან ფიზიკურ ჩარევას ასეთ ღირსშესანიშნავ ადგილას, შეიძლება ურჩიონ კონსერვაციის გეგმის შედგენა მანამ, სანამ ის აიღებდეს თავის თავზე პროექტზე მუშაობის დანახარჯებს.

მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასება ასევე შეიძლება გამოვიყენოთ (როგორც II ნაწილში აღინიშნა) რამდენიმე წინადადების ზემოქმედების შეფასებისთვის, არსებული ცოდნის გამოყენებით, კონსევაციის გეგმის მომზადების თანადროულადვე. ასეთნაირად პროექტი ნაკლებად დაყოვნდება, თანაცვე შესაძლებელი გახდება კონსერვაციის დაგეგმვისას მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებაც.

დამატებითი რეკომედაციები იმის თაობაზე, თუ როდის და რა შემთხვევაში გამოიყენება კონსერვაციის გეგმები იხ. VI ნაწილში.

## *3.2 მეორე ეტაპი: წინასწარული კვლევის ჩატარება*

თუ განაცხადს ან წინადადებათა რიგს ახლავს სწრაფი შეფასება, განცხადება კონსერვაციის შესახებ და კონსერვაციის გეგმა, ეს უნდა იყოს საკმარისი ინფორმაცია დამფინანსებელი ორგანიზაციისთვის ან შესაბამისი სამსახურებისთვის, ღირსშესანიშნავი ადგილის განსაკუთრებულ თვისებებზე წინადადებების ზეგავლენის დასადგენად და, ამგვარად, მათ შეეძლებათ რეკომენდაციები გასცენ დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის გარეშე.

თუ წინასწარი მსჯელობა აჩვენებს, რომ წინადადებებს, ალბათ, მთლიანობაში მიიღებენ, მაგრამ დეტალური პროექტის შეფასებისთვის საჭიროა დამატებითი ინფორმაცია, შემდეგი ეტაპი შეიძლება იყოს კვლევისა და ანალიზის ჩატარება. ამ შემთხვევაში საჭირო არის რეზიუმე.

### 3.2.1 ანაზომები

ისტორიული ღირსშესანიშნავი ადგილის შეკეთების, გადაკეთების ან განვითარების დაწყებამდე მზადდება ანაზომების ნახაზები, რომლის საფუძველზეც სხვა პროფესიონალები დაამუშავებენ ახალ პროექტებს და განსაზღვრავენ შეკეთების სამუშაოებს. პროექტების უმრავლესობისთვის, ამ ნახაზებს ამზადებს კომპეტენტური არქიტექტორი, ზედამხედველობის სამსასხურის მოხელე ან ლანდშაფტის არქიტექტორი. აგრეთვე, თუ საჭიროა, დეტალებს ამზადებენ ინჟინრები და სხვა პროფესიონალები.

ზოგი ისტორიული ნაგებობისა და გარემო ლანდშაფტის ანაზომები მოითხოვს განსაკუთრებული უნარ-ჩვევების მქონე პროფესიონალების ჩართვას კვლევაში, ფიქსაციასა და ისტორიული ქსოვილის ანალიზში. ასე, მაგ.,

- თუ შენობა ან ლანდშაფტი დროთა განმავლობაში მრავალჯერ შეიცვალა და გადასხვაფერდა, ხოლო სამუშაოს ჯეროვნად გასაძღოლად საჭიროა ამ ცვლილებებათა გააზრება
- შენობები და ლანდშაფტი, რომლის პროექტები მოითხოვს ქსოვილში ჩარევას და ნიადაგის გათხრას (მაშინაც კი, როცა ამ სამუშაოს შესაძლო ზემოქმედება შეფასებულია და ზოგადად სასიკეთოდ ითვლება)

- შენობები, რომლის შიგთავსი, ჩაყოლებული დგამი, გამართულობა ან დეტალები რაღაც მიზეზით მოწყვლადია და რომლის ყოვლისმომცველი ფიქსაცია დაეხმარება მნიშვნელოვანი ნიშნების დადგენასა და მომავალი სამუშაოს კონტროლს
- შენობები და ლანდშაფტი, რომელთა ზუსტი ნახაზები ჭირდება სხვა პროფესიონალებს მათი მუშაობის საფუძვლად
- შენობები და ლანდშაფტი, სადაც გარკვეული ნიშნები ჩანს, მაგრამ მომავალში შეიძლება აღარ გამოჩნდეს და სადაც ამ ნიშნების დეტალური დაფიქსირება დაეხმარება მომავალში მათ მოვლასა და შენარჩუნებას
- ლანდშაფტი, სადაც შეგვიძლია გადავარჩინოთ ოდნავღა ამოსაცნობ ნაკვეთთა წინანდელი განაწილების, ნაგებობების ან ბაღების ნაკვალევი

ასეთ შემთხვევაში, ანაზომები უნდა მოამზადოს კომპეტენტურმა პროფესიონალმა, ან შეასწოროს ისტორიული ნაგებობების კომპეტენტურმა ანალიტიკოსმა ან ლანდშაფტის სპეციალისტმა. ნახაზები, რომელიც შეასრულა პროექტის არქიტექტორმა ან პროფესიულმა ამზომველთა გუნდმა, საეჭვოა სრულ ინფორმაციას შეიცავდეს ღირსშესანიშნავი ადგილის ისტორიისა და განვითარების შესახებ, რომელიც აუცილებელია სადავო კონსერვაციის პროექტის წინწასაწევად. პროექტის მენეჯერებმა უნდა იცოდნენ ღირსშესანიშნავი ადგილის განსხვავებულ საჭიროებათა შესახებ. მათ უნდა განიხილონ აზომვის პირობები პროფესიონალთა გუნდთან და გადაწყვეტილების გამომტან ორგანოებთან პროექტირების დასაწყისში და ანაზომის დაკვეთამდე შეთანხმდნენ სტანდარტებზე და მიდგომაზე.

### 3.2.2 არქეოლოგიური ანალიზი

სპეციალური მეთოდი, რომელიც შეისწავლის ისტორიული ნაგებობის ქსოვილს, ცნობილია როგორც შენობების არქეოლოგია (ან ანალიზი). მსგავსი ტერმინი გამოიყენება ლანდშაფტისთვისაც. მეთოდი მოიცავს ანაზომებს, რასაც ემატება ქსოვილის უფრო ინტენსიური სტრატიგრაფიული ანალიზი, იმისთვის, რათა გამოკვლეულ იქნეს, როგორ ხდებოდა შენება, გამოყენება და გადაკეთება. საამისოდ იშველიებენ ისტორიულ კვლევას, ნაგებობის ისტორიასა და არქიტექტურის/ლანდშაფტის ისტორიის ზოგად ცოდნას. აგრეთვე სპეციალური ანალიტიკური მეთოდების ვრცელ დიაპაზონსაც. ასეთი სამუშაო უნდა გაკეთდეს პროექტის რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე და მანამ, სანამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული.

ეს მონაცემები პროექტის მენეჯერმა ან არქიტექტორმა უფრო დეტალური გეგმის საფუძვლად უნდა გამოიყენოს. ცვლილებების მოწმობანი ეხმარება მათ, მაგალითად იმის შესაფასებლად, რამდენად მნიშვნელოვანია ბოლო ცვლილებები და, მაშასადამე, რამდენადაა შესაძლებელი მათი მინიმალურად მოსაკლისება. ნახაზების გამოყენება შეიძლება ახალი საპროექტო ნახაზების შესადგენად და ინფორმაციად სამუშაოთა განსაზღვრისას. VII ნაწილი მოგაწვდით დამატებით დეტალებს ანაზომების და არქეოლოგიური ანალიზის მეთოდების და მათი გამოყენების შესახებ.

## *3.3 მესამე ეტაპი: მიზანმიმართული საგანგებო კვლევა*

როდესაც პროექტის ძირითადი პრინციპები შეთანხმებულია დამფინანსებელ ორგანიზაციასთან და უფლებამოსილ ადმინისტრაციასთან, პროექტი, როგორც წესი, გადადის იმ ეტაპზე, როდესაც იხაზება დეტალური გეგმა, მზადდება სამუშაოების სპეციფიკაცია და საბოლოო დანახარჯები ითვლება. მისაღები რჩება ბევრი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რა სამუშაო გაკეთდება, რაც, კარგად თუ არ არის გაფიქრებული, დიდი საშიშროებაა, რომ დააზიანებს ღირსშესანიშნავ ადგილს.

ამ ეტაპზე შეიძლება მოვიშველიოთ მთელი რიგი კვლევითი მეთოდებისა, როგორიცაა არქიტექტურის დაფერვის შესწავლა, დენდროქრონოლოგია, არქეოლოგიური გათხრები, ტექნიკური კვლევა, ეკოლოგიური და მერქნის კვლევა, ისტორიული მინის კვლევა ან გარემოს შეფასება, გეოტექნიკური შესწავლა და ანალიტიკური დაკვირვება. აგრეთვე შეიძლება საჭირო გახდეს ისეთი მეთოდები საზოგადოების ჩართვისთვის, როგორიცაა კვლევა, სემინარები და აქციები. დამატებითი დეტალები წარმოდგენილია 7.5 ნაწილში. გადაწყვეტილების მაგალითები, სადაც ასეთ მიდგომას სარგებლობა მოაქვს, მოიცავს

| კდკა-ს მეთოდები | საკონსერვაციო გადაწყვეტილება |
|---|---|
| არქიტექტურის დაფერვის ანალიზი | შიდა და გარე ზედაპირების დამუშავება<br>დეკორატიული სახის არჩევა |
| დენდროქრონოლოგია | სხვადასხვა ასაკის ხის შეკეთების შესაფერისი ტექნოლოგია<br>შენობის შეკეთების ზოგადი სტრატეგია |
| არქიტექტურული მასალის კვლევა | შეკეთების მასალის მოპოვების ადგილი და სახე (მაგ. აგური, ქვა)<br>დეტალების დამუშავება (მაგ. რკინის კონსტრუქცია, შუშა) |
| ხის დეტალების ანალიზი | ფანჯრების და პანელების შეკეთება<br>ოთახების ფუნქციების შერჩევა |
| გათხრები | ახალი დამხმარე ნაგებობების განთავსება<br>მიწისქვეშა მშენებლობის წარმოება |
| მცენარეულობის კვლევა | მენეჯმენტის წარმოდგენა ან მცენარეების ხელახლა დარგვა |

**ცხრილი 2** *სპეციალისტთა მეთოდები და საკონსერვაციო გადაწყვეტილებები*

ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგიერთი ზემოთ წარმოდგენილი მეთოდი აგრესიულია და საჭიროებს სიაში შეტანილ ნაგებობასა ან კატალოგში შეტანილ ძეგლებზე სამუშაოების შეთანხმებას. ღირსშესანიშნავი ადგილის ზიანისგან დასაცავად დიდი სიფრთხილეც უნდა გამოიჩინოთ.

## *3.4 მეოთხე ეტაპი: ანალიზი სამუშაოების მსვლელობაში*

როგორც წესი, გარდაუვალია, რომ ზოგი ინფორმაცია მხოლოდ სამუშაოს მსვლელობაში ხდება ცნობილი. მაღალ ადგილებზე ასვლა მხოლოდ ხარაჩოებითაა შესაძლებელი, ჭერი და მოკაზმულობა ფარავს სახურავს, ტიხრებიც შეიძლება ადრეულ დეტალებს ეფარებოდეს. ლანდშაფტის შემთხვევაშიც ადრეული დაგეგმარებაც მუშაობის დროს ხდება ცნობილი.

### 3.4.1 აზომვა და ანალიზი

მთლიანად პროექტისთვის და მომავალი მენეჯმენტისთვის შეიძლება სასარგებლო იყოს სამუშაოების დროს თანმდევ კდკა-ს ჩატარების თადარიგი დაიჭიროს. ზოგჯერ შენობის ანალიტიკოსს შეუძლია დარჩეს ადგილზე სამუშაოს დროს, მეტი სიფრთხილისათვისაც და იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამუშაოების მსვლელობაში მოპოვებული ცოდნა შენობაზე არსებულ მასალას შეემატება. ალტერნატივის სახით არქეოლოგსაც შეუძლია სამუშაოების დროს ვიზუალური დასკვნა გააკეთოს, ან ხის ხელობის სპეციალისტმა ღირსშესანიშნავი ადგილის გასააზრებლად შრომა განაგრძოს.

ამგვარადვე, სამუშაოების დროს აღმოჩენილმა დეტალებმა შეიძლება აიძულოს პროექტის მენეჯერი, გადახედოს სამუშაოს მასშტაბს და ღირსშესანიშნავი ადგილის ანალიტიკოსმა განაგრძოს იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც საჭიროა ამ გადაწყვეტილებების მისაღებად.

რომელი სპეციალისტიც იქნება დასაქმებული, ანალიზის პროგრამაში სამუშაოთა წარმოებისას უნდა შედიოდეს

- შევსება: ნახაზების განახლება და დამატება, განსაკუთრებით იმ მონაკვეთების, რომელთაც მანამდე ვერ მიუდგებოდი
- მუშაობის დროს მიკვლეული ახალი დეტალების ჩახაზვა და ანალიზი

- კავშირი სხვა სპეციალისტებთან: არქიტექტურის დაფერვის მკვლევართან, დენდროქრონოლოგისტთან ან სხვა სპეციალისტებთან მუშაობა, იმაში დასარწმუნებლად, რომ მათი მუშაობა ღირსშესანიშნავი ადგილის მთლიან გააზრებაში იქნება ინტეგრირებული
- პროექტში მონაწილეობა: პროექტის მენეჯერისა და არქიტექტორისთვის მუდმივად განახლებული ინფორმაციის მიწოდება ქსოვილის, ნაგებობის და გარემო ლანდშაფტის შესახებ და ინფორმაციის თაობაზე მოთხოვნის შესრულება
- ფიქსაცია დანაკარგის შესამცირებლად: იმ დეტალების ფიქსაცია, რომელიც სამუშაოების დასრულებისას ჩაიმალება ან რომლის დაკარგვაც სამუშაოების მისაღებად მიჩნეული შედეგია.

პროექტის მენეჯერს შეიძლება დასჭირდეს ამ ტიპის ინფორმაციის პროექტის ყოველდღიურ მართვასთან ინტეგრაციის გაიოლებაც, შესაძლოა, ეს ღირსშესანიშნავი ადგილის თაობაზე გამართულ შეხვედრებზე ანალიტიკოსის მონაწილეობით და დროული ანგარიშგების უზრუნველყოფით მოხერხდეს.

### 3.4.2 დასანგრევი ქსოვილის ფიქსაცია

მთლიანად ისტორიული შენობის ან მისი არსებითი ელემენტების დანგრევისა და ჩამარხული ნაშთების განადგურების დაგეგმვისას — ინფორმაცია, რომელიც საჭიროა განაცხადის მიღება-დასაწუნებლად, უნდა იყოს მზად გადაწყვეტილების გამოტანამდე და არა მერე. ეს პრინციპი გამოსადეგია გრანტით დაფინანსებულ სამუშაოს მიმართაც, თუ დანაკარგი ან დანგრევა სხვა მხრივ სასიკეთო გეგმას მოსდევს.

გარდუვალად იქნება შემთხვევები, როცა ინფორმაცია ღირსშესანიშნავი ადგილის მცირე დეტალების შესახებ (როგორიცაა დაფარული ელემენტები და ჩამარხული ნაშთები) მხოლოდ სამუშაოების დროს გახდება ცნობილი, ასეთ შემთხვევაში სასურველია სამუშაოს დაწყებამდე შენობის „გახსნის“ ცალკე შეთანხმება ან ფიქსირებისა და ანალიზის პირობების დადგენა (იხ. 4.7 ნაწილი). პროექტის მენეჯერმა უნდა იცოდეს იმ პრობლემების შესახებ, რომელიც ეხება პროექტთან და გეგმასთან დაკავშირებული ინფორმაციის ვადებს.

დამატებითი დეტალები მოცემულია IV ნაწილში.

## *3.5 მეხუთე ეტაპი: ანგარიშგება, არქივში შეტანა და გამოქვეყნება*

კვლევის, ანალიზის, აზომვის ან შესწავლის პროგრამის, როგორც კონსერვაციის პროექტის ნაწილის, დაკვეთას არ აქვს აზრი, თუ სამუშაოების შედეგები არ არის ადვილად ხელმისაწვდომი პროექტის საშტატო თანამშრომელთათვის მაშინ, როცა ეს საჭიროა და თანაც იოლად გამოსაყენებელი სახით.

კდკა-ს ყოველი ნაწილი უნდა აისახოს დასურათებულ, მოკლე, აკინძულ ანგარიშში, რომლის გავრცელება შეიძლება. პროექტის დასრულებისას საჭიროა საბოლოო ანგარიში, რათა ღირსშესანიშნავი ადგილის მომავალი მენეჯმენტისთვის ხელმისაწვდომი გახდეს მუშაობის შედეგები. ანგარიში ასევე ხელს შეუწყობს მშენებლობას, დაგეგმვას და მენეჯმენტის რეგლამენტის მოთხოვნებს (CDM) ან პროექტის განხილვის პროცესს. შედეგების გამოყენება შეიძლება ასევე კონსერვაციის ან მენეჯმენტის გეგმაში.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ანგარიშგება პროექტის ბოლოსთვის უნდა იქნეს გადადებული. თუ ინფორმაცია სასარგებლოა პროექტის მენეჯმენტისთვის, ყოველ ზემოხსენებულ ეტაპზე უნდა გაკეთდეს შუალედური ანგარიში. ამ მოთხოვნის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ ინფორმაცია ყოველთვის არის ხელმისაწვდომი და პროფესიონალებს შეუძლიათ მისი გაზიარება.

არქივში შეტანა მოიცავს პროექტის ინფორმაციის მოქცევას საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ საცავში. ანგარიშები, როგორც წესი, მხოლოდ აჯამებს შედეგებს და პირვანდელი საველე ჩანახაზები ან ჩანაწერებიც შეიძლება გამოსადეგი იყოს შენობისა თუ გარემო ლანდშაფტის მომავალი მენეჯმენტისთვის. მესაკუთრეთა უმეტესობას (გარდა ისე დიდისა, როგორიცაა ტაძრები) არ აქვს ინფორმაციის შესანახი საკუთარი საარქივო სადგომი, ამიტომ შეძლებისდაგვარად, ინფორმაცია „ანგარიშთა ადგილობრივ ოფისსა“ ან „ღირსშესანიშნავ ადგილთა და ძეგლთა ნუსხას“ უნდა გადაეცეს.

პროექტის მენეჯერი ან კდკა-ს დაკვეთასა და შედეგების პროექტში ინტეგრირებაზე პასუხისმგებელი პირი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ ანგარიშგების, არქივში შეტანის და გამოქვეყნების მოთხოვნები განსაზღვრულია და მითითებულია ყველა რეზიუმეში. მათ ზუსტად უნდა იცოდნენ, რომ სხვადასხვა სპეციალისტები დროზე ამზადებენ ანგარიშებს და რომ მათი მუშაობა აქტიურად არის ჩართული პროექტის მენეჯმენტის პროცესში.

VII ნაწილი გვაძლევს დამატებით ინფორმაციას ანგარიშის შინაარსის შესახებ.

### *3.6 დასკვნები, სპეციფიკაცია და კონტრაქტის დოკუმენტაცია*

კონსერვაციის პროექტში კდკა-ს პროგრამის შეტანა ზემოქმედებს კონსერვაციის ყველა დანარჩენი პროფესიონალის საქმიანობაზე, მშენებლით დაწყებული, არქიტექტორით, ინჟინრით, ზედამხედველობის სამსახურის მოხელით ან პროექტის მენეჯერით დამთავრებული. ამავე დროს, კდკა-ს სპეციალისტები შეიძლება არ იცნობდნენ მშენებლობის პროექტის მოთხოვნებს. ამიტომ, უმჯობესია ამ მოთხოვნების ნათლად წარმოდგენა პროექტის დოკუმენტაციაში.

კდკა-ს ნებისმიერი ნაწილი რეზიუმეს საფუძველზე უნდა იყოს დაკვეთილი. იმის გამო, რომ კდკა თვისებრივი და არა რაოდენობრივი პროცესია, უმჯობესია რეზიუმეს და არა დეტალური სპეციფიკაციის წარმოდგენა (თუმცა ღირს იმის აღნიშვნა, რომ ანაზომების ნახაზი სრულ სპეციფიკაციას ითხოვს). კონტრაქტორმა რეზიუმეს პასუხად შეიძლება წარმოადგინოს ბევრად უფრო დაწვრილებითი, ხარჯთაღრიცხვიანი პროექტი, სადაც დაზუსტებით იქნება განმარტებული, როგორ უნდა შესრულდეს სამუშაო, გამომუშავების დეტალების ჩათვლით. ხანდახან სამუშაოს რეზიუმეს წარმოადგენს გადაწყვეტილების გამომტანი ორგანიზაცია, სხვა შემთხვევაში – პროექტის მენეჯერი. ორივე შემთხვევაში, ვინც უნდა მეთვალყურეობდეს პროექტს, უნდა მიიღოს აქტიური როლი კდკა-ს დაკვეთასა და მისი შედეგების პროექტში ინტეგრირებაში. რეკომენდაციები სპეციალისტის დანიშვნისა და რეზიუმეს მომზადებისთვის წარმოდგენილია დანართებში 1 და 2.

სხვა სპეციალისტებისთვის და სამუშაოებისთვის სპეციფიკაცია და საკონტრაქტო დოკუმენტაცია უნდა ითვალისწინებდეს ანალიტიკოსთან, ინსპექტორთან და სპეციალისტთან მუშაობის მოთხოვნასა და მათი მუშაობის შედეგების გამოყენებას.

## კონსერვაციაზე დაფუძნებული კვლევისა და ანალიზის ეტაპები



# 4. ინფორმაცია დეგულეგით განსაზღვრული მიმდინარე საქმიანობის წარმოებისთვის

**„სახელმძღვანელო პრინციპების“ ეს ნაწილი გვიჩვენებს, როგორ შეიძლება გააზრების გამოყენება კონტროლის სავალდებულო პროცედურის ჩატარების დროს (ასევე, ეკლესიისთვის პარალელურ პროცედურებსაც).**

## *4.1 სიაში შეტანილ ნაგებობათა თაობაზე შეთანხმება*

სიაში შეტანილი ნაგებობების დაგრევის, ან რაიმენაირი გადაკეთების, ან გაფართოების სამუშაოები, რომლებიც ზეგავლენას იქონიებს განსაკუთრებული არქიტექტურული ან ისტორიული მნიშვნელობის შენობის ხასიათზე, საჭიროებს სიაში შეტანილი ნაგებობის თაობაზე შეთანხმებას. ასეთი შეთანხმების განაცხადისა თუ გრანტის გაცემა-არ გაცემის განხილვისას, დაგეგმვის ადგილობრივმა სამმართველომ და *ინგლისის მემკვიდრეობამ* საგანგებოდ უნდა მიაქციოს ყურადღება, თუ რამდენად სასურველია შენობის, მისი გარემოს, ან მისი არქიტექტურული და ისტორიული ღირებულების ნიშნების შენარჩუნება. ამიტომ, როგორც ადგილობრივი მმართველობისთვის, ასევე განმცხადებლისთვის, აუცილებელია შენობის განსაკუთრებული თვისებების ზუსტი გააზრება და იმის ცოდნა, თუ რა გავლენა ექნება სამუშაოს მის ფასეულობაზე.

PPG 15 სახელმწიფო სისტემა გვაუწყებს, რომ

> **[განმცხადებლებმა] ადგილობრივი დაგეგმვის სამმართველოს უნდა მიაწოდონ სრული ინფორმაცია, რათა მან შეძლოს შენობისა და მისი გარემოს განსაკუთრებულ არქიტექტურულ და ისტორიულ თვისებებზე შესაძლო ზეგავლენის დადგენა (3.4 პარაგრაფი)**

აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა, მიაწოდოს ადგილობრივ მმართველობას საკმარისი ინფორმაცია გადაწყვეტილების მისაღებად მთლიანად განმცხადებელს ეკისრება.

განმცხადებლის და ადგილობრივი მმართველობის მოლაპარაკების ადრევე გამართვა ყოველთვის სასარგებლოა, რათა განისაზღვროს, თუა საჭირო რაიმე საგანგებო ინფორმაცია.

ხშირად ჰგონიათ, რომ ამ ინფორმაციის მოძიება შეიძლება სიაში შეტანილი ნაგებობების გამოქვეყნებულ აღწერილობაში.

PPG 15 განმარტავს, რომ

> **სიაში მოტანილი აღწერა ძირითადად ემსახურება იდენტიფიკაციას ... [აღწერები] არ არის განკუთვნილი ამომწურავად თუ ყველა მნიშვნელოვანი ნიშნების სრულად აღსანუსხად. (6.19 პარაგრაფი).**

თუ არა უმარტივესი სამუშაოსთვის, განმცხადებლებმა უნდა მიაწოდონ ადგილობრივ მმართველობას B.3 პარაგრაფში და PPG 15-ის დანართ B-ში წარმოდგენილი ინფორმაცია. როგორც წესი, მინიმალური ინფორმაცია საკმარისია ისეთ შემთხვევაში, როცა სიაში შეტანილ ნაგებობაზე შეთანხმების განაცხადი გულისხმობს მოკრძალებულ სამუშაოებს, რომლებიც არ ახდენს განხილული შენობის განსაკუთრებულ არქიტექტურულ ან ისტორიულ თვისებებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

მაგრამ, თუ შემოთავაზებული სამუშაო ახდენს მნიშვნელოვან ზემოქმედებას შენობის არქიტექტურულ ან ისტორიულ თვისებებზე, აუცილებელია დამატებითი ინფორმაცია. ასეთი განცხადებები მოიცავს ან ეხება:

- სიაში შეტანილი შენობის გარემოს, იერის ან ქსოვილის მნიშვნელოვან ცვლილებებს
- სიაში შეტანილი შენობის ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურების წინადადებას
- ფუნქციის ცვლილებასთან დაკავშირებულ გეგმარებით განაცხადს, რომელიც გულისხმობს სიაში შეტანილი შენობის ქსოვილის მნიშვნელოვან გადაკეთებას

PPG 15 კვლავაც შეამტკიცებს ამ მოთხოვნას, რადგან ნათქვამია:

> **„დადგენილება“ მმართველობას აძლევს უფლებას მოიძიოს ნებისმიერი წვრილმანი, უთუოდ, მმართველობამ უნდა მოიძიოს ყოველნაირი წვრილმანი, რათა ბოლომდე გაიაზროს პროექტის ზეგავლენა მოცემული შენობის ხასიათზე. მმართველობამ არ უნდა განიხილოს განაცხადი მანამ, სანამ მასში არ იქნება გააზრებისთვის საჭირო საკმარისი ინფორმაცია (B დანართის B3 პარაგრაფი).**

ასეთ შემთხვევებში განმცხადებელს მოეთხოვება მოიძიოს შემდგომი ინფორმაცია იმის საჩვენე-

ბლად, რომ მისი წინადაბებები არ იქონიებს ნაგებობაზე დამაზიანებელ ზეგავლენას. როდესაც ასეთი ინფორმაცია არის საჭირო, ადგილობრივ მმართველობასა და განმცხადებელს შორის მოლაპარაკება რაც შეიძლება ადრე უნდა მოხდეს. როდესაც ადგილობრივი მმართველობა არეგისტრირებს განაცხადს, დამატებითი ინფორმაციისთვის ნებისმიერმა მოთხოვნამ შეიძლება დააყოვნოს გადაწყვეტილების მიღება. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივმა მმართველობამ ადრეულ ეტაპზევე დაადგინოს, მიეწოდა თუ არა საკმარისი ინფორმაცია და, თუ შესაძლებელია, მანამ, სანამ განაცხადი იქნება დარეგისტრირებული.

ადგილობრივმა მმართველობამ უნდა ნათლად იცოდეს, რატომ მოითხოვს დამატებით ინფორმაციას. მას აგრეთვე შეუძლია დაეხმაროს განმცხადებელს თუ წააშველებს მას რეზიუმეს, რომელიც ახსნის რა ინფორმაცია არის საჭირო და რატომ (იხ. დანართი 2).

მრავალი ადგილობრივი მმართველობა გამოსცემს სახელმძღვანელოს სიაში შეტანილ ნაგებობებზე განაცხადების შეთანხმების შესახებ. დამატებითი ინფორმაციის მოძიება ასევე შეიძლება *ინგლისის მემკვიდრეობის* რეკომენდაციების ბროშიურაში *ჰისტორიული შენობების შესწავლა* (დეკეკმბერი 1994) და *განვითარება ისტორიულ გარემოში* (ივნისი 1995).

## *4.2 საკონსერვაციო არეალები*

სიაში შეტანილი შენობის ან საკონსერვაციო არეალის დაგეგმვის განაცხადის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, თუ რამდენად სასურველია საკონსერვაციო არეალის ხასიათის ან იერის შენარჩუნება ან გამოკვეთა.

PPG 15 ურჩევს ადგილობრივ მმართველობას ზუსტად შეაფასოს ეს ხასიათი.

> **რაც უფრო ნათლად არის განსაზღვრული და დაფიქსირებული არქიტექტურული ან ისტორიული თვისებები, რომელთა გამო მოხდა დაცვაზე აყვანა, მით უფრო ჯანსაღი იქნება ადგილობრივი გეგმარებითი პოლიტიკა, განვითარების კონტროლის თაობაზე გადაწყვეტილებების საფუძველი, ისევე, როგორც არეალის ხასიათის და იერის შენარჩუნების და გამოკვეთის წინადადებების ფორმულირებები (პარაგრაფი 4.4).**

ვიდრე ადგილობრივი მმართველობა დაადგენს, რამდენად ინახავს თუ აუმჯობესებს სიაში შეტანილი ნაგებობების განვითარების, მათზე სამუშაოების, ან სიაში არშეტანილი ნაგებობების დანგრევის ესა თუ ის წინადადება საკონსერვაციო არეალის ხასიათს, ის უნდა ნათლად მოიაზრებდეს, მაინც რა არის ეს ხასიათი და იერი, სულ კარგი იქნება თუ საკონსერვაციო არეალის შეფასების ფორმით (იხ. 6.10 ნაწილი).

როგორც აღინიშნა, დაგეგმვის ნებართვის, სიაში შეტანილ ნაგებობებსა, ან საკონსერვაციო არეალზე შესათანხმებლად განმხცადებლებმა მათი განაცხადების განსახილველად საკმარისი ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ. გეგმარებითი ნებართვის მიღების თაობაზე PPG 15 აღნიშნავს, რომ:

> **გეგმარების ადგილობრივ სამმართველოს, გეგმარებითი განაცხადის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე, დასჭირდება ახალი განვითარების წინადადების ამსახველი დაწვრილებითი გეგმები და ნახაზები, განაკვეთ-ფასადების ჩათვლით, რომელიც აჩვენებს, რას მოუტანს განვითარება ამ გარემოს (პარაგრაფი 4.18).**

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა განაცხადი შენობის განადგურებას ეხება. ასეთ შემთხვევებში, ადგილობრივმა მმართველობამ უნდა გაითვალისწინოს, თუ რას წარმოადგენს არსებული შენობა მისი გარემოსთვის, ანუ, ის წილი, რაც მას აქვს არეალის ხასიათისა და იერის, ასევე ახლომდებარე სიაში შეტანილი ნაგებობების გარემოს ჩამოყალიბებაში, აგრეთვე მისი დანგრევის გავლენა შენობის მიდამოსა და მთლიანობაში საკონსერვაციო არეალზე.

## *4.3 არქეოლოგიური ღირსშესანიშნავი ადგილები*

გეგმარებითი განაცხადების შესათანხმებლად არსებული მოთხოვნები (მაგ., შეფასება) იმ შემთხვევებისთვის, როდესაც მოსალოდნელია ზემოქმედება არქეოლოგიურ ღირსშესანიშნავ ადგილებზე, პრაქტიკაში, ალბათ, უფროა ფეხმოკიდებული, ვიდრე ნაგებობათა და ლანდშაფტების მიმართ.

*გეგმარებითი პოლიტიკის სახელმძღვანელო* (PPG 16)*: არქეოლოგია და გეგმარება* აღნიშნავს, რომ

**თუ შემოთავაზებული განვითარება ზეგავლენას მოახდენს ეროვნული მნიშვნელობის არქეოლოგიურ ნაშთებზე (სულერთია, კატალოგიზებულია ისინი თუ არა) და მათ გარემოზე, წინ მათი ფიზიკური შენარჩუნება უნდა დავაყენოთ (პარაგრაფი 8).**

გეგმარების მეთოდიკის სახელმძღვანელო აღგვიწერს, რამდენად მნიშვნელოვანია ადრევე მოთათბირება ადგილობრივ მმართველობასთან და ოლქის არქეოლოგებთან, თუ არის იმის ალბათობა, რომ მოცემულ ადგილას მოიპოვება ნაშთები, აგრეთვე კამერალური შეფასება, რომელსაც, თუ საჭიროა, მოჰყვება ადგილზე არქეოლოგიური შეფასება, იმისთვის, რომ

**დავადგინოთ არსებული არქეოლოგიური ნაშთების განფენილობა განსავითარებლად შემოთავაზებულ არეალში და, ამგვარად, ... წონადობა, რაც აქვს მის შენარჩუნებას. [ასეთი შეფასება] ასევე გვაწვდის ინფორმაციას, რომელიც საჭიროა ზიანის შემცირების ან მისი თავიდან აცილების შესაძლო გზების დასადგენად (პარაგრაფი 21).**

PPG 16 აღნიშნავს, რომ ამის საფუძველზე შეიძლება გონივრული და გააზრებული გადაწყვეტილების მიღება.

სამუშაოების უმეტესობა, რომლებიც ზეგავლენას ახდენს კატალოგიზებულ ძეგლებზე, საჭიროებს სახელმწიფო მდივნის თანხმობას. ასეთ საქმეებში სახელმწიფო მდივნის მრჩეველი არის *ინგლისის მემკვიდრეობა.* გეგმარების შეზღუდვებს, შეიძლება დაექვემდებაროს სხვა არქეოლოგიური ძეგლებიც.

კამერალური და ველზე ჩატარებული შეფასების სტანდარტები გამოქვეყნებულია *საველე არქეოლოგთა ინსტიტუტის* მიერ, ხოლო სანიმუშო რეზიუმეები და სპეციფიკაციები გამოქვეყნებულია *საგრაფოს არქეოლოგიურ მოხელეთა ასოციაციის* მიერ (ახლა *ადგილობრივი მმართველობის არქეოლოგიურ მოხელეთა ასოციაცია).*

### 4.4 ლანდშაფტი, პარკები და ბაღები

ისტორიული შენობებისთვის მონიშნული პრინციპებისა და პროცედურების უმრავლესობა გამოიყენება აგრეთვე იმ გეგმარებითი განაცხადების განხილვისას, რაც გავლენას იქონიებს რეგისტრირებულ ისტორიულ პარკებსა და ბაღებზე, ბრძოლის ველებსა და დაპროექტებულ ლანდშაფტებზე, სასაფლაოებისა და ქალაქის მოედნების ჩათვლით. PPG 15 იუწყება, რომ:

**შემოთავაზებული განვითარების ზეგავლენის გააზრება დარეგისტრირებულ პარკზე, ბაღზე ან მათ გარემოზე ძალიან მნიშვნელოვანია გეგმარებითი განაცხადის მიღება-არმიღებისთვის (პარაგრაფი 2.24)**

არსებითია, ისევ და ისევ, რომ ადგილობრივი მმართველობა კმაყოფილი დარჩეს იმ ინფორმაციით, რომელსაც განმცხადებელი იძლევა ამ შედეგების თაობაზე. განაცხადის რაობის მიხედვით, ასეთი ინფორმაცია მოიცავს საველე გამოკვლევას, რაგვარობის დადგენას, დოკუმენტების შესწავლას, ისტორიული რუკების შედგენას და არქეოლოგიურ შეფასებას.

ლანდშაფტების შემთხვევაში, ქსოვილისა და მისი ისტორიული მნიშვნელოვნების სრული გააზრება არის პირველი ნაბიჯი ნებისმიერი ახალი სამუშაოსი, რომელიც მოიცავს გადაკეთებას, რესტავრაციას ან კონსერვაციას. ასეთი ინფორმაციის წარმოდგენა უმჯობესია რუკების, ნახაზების, აგრეთვე ტექსტისა და ასახულობების სახით. ლანდშაფტის შეფასების პროცედურა ძალიან ჰგავს ნაგებობებისა და არქეოლოგიური ღისშესანიშნავი ადგილების შეფასებას.

### 4.5 სიაში არშესული ნაგებობები

ხანდახან არის შემთხვევები, როდესაც გეგმარებითი განაცხადი ახდენს ზეგავლენას იმ მნიშვნელოვან შენობაზე ან არეალზე, რომელიც არ არის დაცული კანონის მიერ. ამიტომ, ზოგჯერ მართებულია დამატებითი შეფასება.

მაგალითად, არქეოლოგიის სახელმწიფო სახელმძღვანელოში PPG 16-ში მოყვანილი კრიტერიუმების მიხედვით ნაგებობებს შეიძლება ჰქონდეს ეროვნული მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში წინ მისი შენარჩუნება უნდა დავაყენოთ. სადაც შესაძლებელია, ადგილობრივმა მმართველობამ გეგმარებითი ნებართვის თაობაზე განმცხადებელს შეიძლება მოსთხოვოს, შეფასება — ვიდრე მას შეითანხმებს.

როგორც ალტერნატივა, შენობას ადგილობრივ სიაში შეიტანენ. PPG 15 აღნიშნავს, რომ გეგმარების სამმართველოს შეუძლია ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე შენობების სიის შედგენა და მათი დაცვისთვის გეგმარების ადგილობრივი პოლიტიკის ჩამოყალიბება განვითარების კონტროლის ჩვეულებრივი პროცედურების მეშვეობით (პარაგრაფი 6.16). ამ შემთხვევაში კი ადგილობრივი მმართველობა მოითხოვს შეფასებას.

### 4.6 გარემოზე ზემოქმედების შეფასება

კანონის მოთხოვნაა, რომ გარემოზე მნიშვნელვანი ზეგავლენის მქონე ზოგმა პროექტმა, რომელიც მოითხოვს გეგმარებით შეთანხმებას, უნდა გაიაროს *გარემოზე ზემოქმედების შეფასების* პროცედურა, რაც გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე პროექტების შეფასების ერთ სისტემაში მოყვანას გულისხმობს (იხ. II ნაწილი).

ეს პროცედურა მოიცავს სამ ძირითად ეტაპს – დამპროექტებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ძირითადი ზემოქმედების შესახებ „გარემოს შესახებ განცხადების" სახით, პროექტის გამოქვეყნება, იმისთვის, რომ საზოგადოებამ შეძლოს თავისი აზრის გამოხატვა ამ პროექტების და „გარემოს შესახებ განცხადების" შესახებ და ბოლოს, ადგილობრივი მმართველობის გადაწყვეტილება. „გარემოს შესახებ განცხადებამ" უნდა:

**აღწეროს გარემოს ყველა ასპექტი, რომელიც შესაძლოა დაზიანდეს განვითარების შედეგად, განსაკუთრებით, მოსახლეობა, ფაუნა, ფლორა, ნიადაგი, წყალი, ჰაერი, კლიმატი, მატერიალური ქონება, როგორიცაა არქიტექტურული და არქეოლოგიური მემკვიდრეობა, ლანდშაფტი და ზემოხსენებული ფაქტორების ურთიერთკავშირი (პროსპექტი 02/99, დანართი C, I ნაწილი, პარაგრაფი 3.)**

*მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხის* ობიექტები, ისტორიული საბრძოლო ველები და დარეგისტრირებული პარკები და ბაღები ის მატერიალური ობიექტებია, რომელიც შეფასებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული. საჭიროა სპეციალისტების რჩევა, როგორც არქიტექტურის ისტორიის, შენობის ანალიზის ან ლანდშაფტის ისტორიის, ასევე მიწისქვეშა არქეოლოგიაზე ზეგავლენის თაობაზე. სათანადოდ უნდა დაფასდეს „მიწის ზედა" ასევე „მიწის ქვეშა" ნაშთების წონადობა.

ადგილობრივ მმართველობას შეუძლია წარმოადგინოს „გაცხრილული მოსაზრება" იმაზე, საჭიროა თუ არა „გარემოს შესახებ განცხადება" და ოფიციალური "დადასტურება" "გარემოს შესახებ განცხადებაში" მოცემული ინფორმაციის თაობაზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ *გარემოსთან დაკავშირებული განცხადების მომზადება გეგმარებითი პროექტებისთვის, რომლებიც საჭიროებს გარემოს შეფასებას – სრული ინსტრუქცია* (DoE 1995).

### 4.7 ფიქსაცია და ანალიზი მუშაობის მსვლელობაში

ინფორმაცია, რომელიც საჭიროა იმ ზეგავლენის დასადგენად, რომელსაც პროექტი მოახდენს ღირსშესანიშნავი ადგილის, შენობის, ან არეალის განსაკუთრებულ ისტორიულ თვისებებზე, უნდა იქნეს მოძიებული მანამ, სანამ გადაწყვეტილება იქნა მიღებული. PPG 15 ხაზს უსვამს, რომ ხელისუფლება არ ითხოვს განმცხადებლებისგან შეთანხმების საზღაურად გაიღონ ხარჯები ფიქსაციის პროგრამისთვის. განმცხადებლები არც იმას უნდა ელოდონ, რომ მათ დააფინანსებენ მხოლოდ ფიქსაციის სათანადო პროგრამების შემუშავებისათვის (პარაგრაფი 3.23)

PPG აგრეთვე აღნიშნავს:

**თუ არსებობს უხილავი ნაშთების აღმოჩენის შესაძლებლობა, ადგილობრივმა გეგმარების სამმართველომ სიაში შეტანილი შენობის გამო შეთანხმებას შესაფერი პირობა უნდა დაურთოს, რაც უზრუნველყოფს მის შემონარჩუნებასა თუ ჯეროვან ფიქსაციას, ანდა მოითხოვოს შენობის „გახსნა" შესწავლის მიზნით როგორც აუცილებელი პირობა, სიაში შეტანილი ნაგებობის შეთანხმებისთვის, მანამ, ვიდრე შეითანხმებს სამუშაოებს მთლიანობაში (პარაგრაფი 3.24).**

შესაბამისი პირობის გამოხატვა შეიძლება შემდეგნაირად:

**არც ერთი სამუშაო, ნებადართული ამ თანხმობის მიერ, არ უნდა ჩაუტარდეს შენობას მანამ, სანამ განმცხადებელი არ განახორციელებს შენობის ფიქსაციისა და ანალიზის სათანადო პროგრამას ადგილობრივი გეგმარების სამმართველოს მიერ დანიშნული პირის ან ორგანიზაციის დახმარებით. ეს პროგრამა უნდა განხორციელდეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სქემის შესაბამისად და იქნეს მოწონებული ადგილობრივი გეგმარების სამმართველოს მიერ (*ინგლისის მემკვიდრეობის* რჩევა).**

ყველა ამ შემთხვევაში, ადგილობრივმა მმართველობამ უნდა განმარტოს მოცემული პირობის მიზეზები და იყოს დარწმუნებული, რომ ეს მოთხოვნა გონივრული, შესაფერისი, დროული და გამართლებულია. მმართველობამ უნდა მისცეს განმცხადებელს რეზიუმე, რომელიც აუხსნის მას რა ინფორმაცია არის საჭირო და რატომ, აგრეთვე განუმარტოს რა კვალიფიკაცია და გამოცდილება უნდა ჰქონდეს

სპეციალისტს, რათა მოთხოვნები და ვალდებულებები მკაფიოდ იყოს გაწერილი (დანართი 2-ს ახლავს რეზიუმეს მაგალითი).

მსგავსი პირობები წარმოდგენილია PPG 16-ის 25-ე პარაგრაფში.

## *4.8 სიაში შეტანილ ნაგებობათა მთლიანი განადგურება*

თუ განმცხადებელი თავაზობს სიაში შეტანილი ნაგებობის დანგრევას, ადრევე უნდა იქნას გათვალისწინებული PPG 15-ის 3.17 და 3.19 პარაგრაფში წარმოდგენილი კრიტერიუმები და 3.5 პარაგრაფში წარმოდგენილი ძირითადი მოთხოვნები (რომელიც ეხება შენობის მნიშვნელოვნებას, მის განსაკუთრებულ მატერიალურ ნიშნებს, მის გარემოს, წილს ადგილობრივ გარემოცვაში და სარგებლის მასშტაბს, რომელსაც მოუტანს შემოთავაზებული სამუშაო სამოსახლოებს), ადგილობრივი გეგმარების სამმართველომ ასევე უნდა შეაფასოს შენობის მდგომარეობა, მოქმედი შენობის შენარჩუნებისთვის გაწეული მცდელობის შესატყვისობა და ალტერნატიული შემოთავაზებების უპირატესობა.

შენობის შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია უნდა იქნეს მოწოდებული მანამ, სანამ დანგრევის შეთანხმების გადაწყვეტილება იქნება ან არ იქნება მიღებული, მათ შორის შენობის კვლევასა და ანალიზზე დამყარებული წერილობითი შეფასება, რომელშიც შედის შენობის ისტორია, განვითარება, გამოყენება და მნიშვნელოვნება. ასევე მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს შენობის ნახაზები.

თუ ადგილობრივ მმართველობას განაცხადის სახით არ აქვს საკმარისი ინფორმაცია, მან უნდა მიაწოდოს განმცხადებელს რეზიუმე იმის შესახებ, თუ რა სახის ინფორმაციაა საჭირო განაცხადის მიღება-არმიღებამდე (იხ. ქვემოთ, დანართი 2).

თუ საკმარისი ინფორმაციის საფუძველზე გადაწყვეტილია დანგრევის შეთანხმება, ადგილობრივმა მმართველობამ უნდა მოიფიქროს, რამდენად აუცილებელია თანხმობის ასეთ პირობად, იმის მოთხოვნა რომ განმცხადებლებმა განახორციელონ შეთანხმებული მუშაობის დროს დასანგრევი დამახასათებელი ნიშნების ფიქსაციის სათანადო პროგრამები (PPG 15, პარაგრაფი 3.23). შენობის რაობიდან გამომდინარე, შეიძლება უფრო მეტი შრომა გახდეს საჭირო არსებული ინფორმაციის შესავსებად, საბოლოო ანგარიშის მოსამზადებლად და, თუ ეს გამართლებულია, გამოსაქვეყნებლად. აგრეთვე, შეიძლება იყოს საჭირო რეზიუმეს შედგენა დანგრევის დროს, ნაგებობის უჩინარი დამახასიათებელი ნიშნების დასადგენად და დასაფიქსირებლად. შეიძლება ამის მერე საჭირო იყოს ჩამარხული ნაშთების გათხრებიც (იხ. 4.10 ნაწილი).

ნებისმიერი პირობა უნდა შეეთანხმებოდეს ადგილობრივი მმართველობის მიერ მოწოდებულ რეზიუმეს, რომელშიც უფრო ზუსტად არის წარმოდგენილი მოთხოვნები დამატებითი ფიქსაციის, ანგარიშისა და გამოქვეყნების შესახებ (იხ. დანართი 2).

ცირკულარი 01/2001 **გვაუწყებს, რომ** *ინგლისის მემკვიდრეობისთვის* უნდა იყოს ცნობილი სიაში შეტანილი ნაგებობების შესათანხმებლად ყველა განაცხადი და მას უნდა მიესვლებოდეს სიაში შეტანილ იმ ნაგებობებთან, რომელთა დანგრევამდე ფიქსაციასაც ისურვებს. ეს მოთხოვნა არ ათავისუფლებს სიაში შეტანილი ნაგებობის შეთანხმებაზე განმცხადებელს ადგილობრივი მმართველობისთვის საკმარისი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისგან, ან შესათანხმებლად ადგილობრივი მმართველობის მიერ დადგენილი პირობის შესრულებისაგან.

## *4.9 ნაგებობათა გადატანა*

ხანდახან შემოდის ისტორიული შენობის მისი ადგილიდან სხვა ადგილზე გადატანის წინადადებაც. სინამდვილეში ეს, ჩვეულებრივ, გულისხმობს შენობის დანგრევას. ამას მოსდევს ისტორიული თვისებების დიდწილად დაკარგვა, როგორიცაა, მაგ., კავშირი მის პირვანდელ გარემოსთან, გამოყენების წესი თუ მისი ცვლილებები, მისი გაწყობა თუ დეტალები. ამ მიზეზების გამო, ეს განაცხადები დანგრევის განაცხადებია, ამიტომ განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს PPG 15-ში მოტანილი შესაბამისი მუხლები.

შენობის დაშლა დიდ ყურადღებას ითხოვს, თუკი ის სიმრთელის რაიმე ხარისხით კვლავ უნდა აიგოს. ეს ძვირადღირებული ვარიანტია. სამუშაოს ხარჯებში შედის შენობის საგულდაგულოდ ფიქსაცია დაშლამდე, ყოველი ნაწილის დანომვრა, მასალების უსაფრთხოდ შენახვა დაზიანების ან მოპარვისაგან დასაცავად და ხელახლა აშენების ფრთხილი პროცესი. დაფიქსირებისას აუცილებელია მშენებლობის მეთოდებისა და ტექნოლოგიების სრული გააზრება, რადგან პროცესის დროს ბევრი რამ დაიკარგება. შეიძლება საჭირო გახდეს შენობის გათხრა მიწის ქვევით მისი კონტექსტის, კონსტრუქციისა და დანიშნულების გასაგებად.

თუ შენობის დაშლა და სხვა ადგილას ხელახლა აწყობა შეთანხმებულია, აუცილებელია შენობის დაშლის და აწყობის კონტროლის წარმოება შესაბამისი პირობებით ან კანონის მოთხოვნების შესაბამისად. საბოლოოდ, ეს უზრუნველყოფს შენობის სრულ ფიქსაციას, დაშლის პროცესის კონტროლს მასალის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად და მის ნამდვილად ხელახალ აგებას.

## 4.10 ნაგებობებთან დაკავშირებული მიწაში მყოფი ნაშთების დაკარგვა

მრავალი ისტორიული შენობების ქვეშ შეიძლება იყოს იმავე ნაგებობის ადრეული ეტაპის, ან, იმავე ადგილზე მანამდელი შენობების მოწმობანი. ეს მნიშვნელოვანი ნარჩენები შეიძლება შელახოს თანამამედროვე მოწყობილობების გამოყენებამ თუ მათმა ჩანაცვლებამ.

თუ სიაში შეტანილ შენობაზე პროექტით შემოთავაზებული სამუშაოები გამოიწვევს მოცემული შენობის ქვეშ დარჩენილი ნაწილების განადგურებას და თუ ითვლება, რომ ეს ზიანი მცირე, მაგრამ სხვაგვარად მისაღები სამუშაოს დასაშვები შედეგია, საჭიროა ისეთი პირობის დართვა, რომელიც მოითხოვს გათხრების კონტროლსა და შენობის იმ ნიშნების დაფიქსირებას, რომელიც დაიკარგება. ჩამარხული ნაშთების გათხრები და ფიქსაცია შეიძლება გეგმარებითი ნებართვის პირობაც იყოს (იხ. 4.3 ნაწილი).

## 4.11 ეკლესიისთვის დადგენილი პროცედურები

შენობები, რომლის მესაკუთრე რელიგიური ორგანიზაციებია, რომლებსაც კონტროლის საკუთარი სისტემები აქვს, არ ექვემდებარება სიაში შეტანილი შენობების დადგენილ შეთანხმებას (ქალაქისა და სოფლის გეგმარების აქტი 1990, S60), მაგრამ ექვემდებარება გეგმარების შეთანხმებას.

PPG 15 და მთავრობის მიერ გამოცემული *"ეკლესიის გათავისუფლება: რა არის ეს და როგორ მოქმედებს"* (1994), განმარტავს, თუ რას ელის სახელმწიფო იმათგან, ვინც არ ექვემდებარება მის დებულებებს, იმ პრინციპების გათვალისწინებით, რომ სიაში შეტანილი შენობების ეკლესიური და საერო კონტროლი პარიტეტული უნდა იყოს.

*"ეკლესიების მოვლა და ეკლესიური იურისდიქციის ზომები"* (1994) ავალდებულებს ანგლიკანურ საეპისკოპოსოს სათათბირო კომიტეტს

**გადახედოს და შეაფასოს ის ხიფათი ან დანაკარგის ხარისხი, რაც შეიძლება მიადგეს მასალასა თუ არქეოლოგიურსა თუ ისტორიულ ნაშთებს თუ ცნობებს გამომდინარე კონსერვაციის, შეკეთების ან გადაკეთების იმ წინადადებებიდან, რომელიც ეხება სალოცავ ადგილებს, სასაფლაოებს, სამაროვნებსა და მათ შიგთავსს (კატალოგი 2, ნაწილი 1b).**

საეპისკოპოსოს სათათბირო კომიტეტი ვალდებულია ჰქონდეს შესატყვისი ცნობები და ხელი შეუწყოს ეკლესიებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობას.

ეკლესიის ისტორიულ, არქიტექტურულ და არქეოლოგიურ მნიშვნელოვნებაზე დაგეგმილი ცვლილებებით გამოწვეული ზეგავლენის გათვალისწინების მოთხოვნა გულისხმობს სხვადასხვა პროცედურებს, რომელთაც თავად სახელმწიფოს დაქვემდებარებისგან განთავისუფლებულნი ატარებენ და რომელნიც ძალიან ჰგავს სიაში შეტანილ ნაგებობათა შეთანხმებას. სალოცავი ადგილების შეკეთებისთვის ხშირად საჭიროა მსგავსი ნებართვა ან შეთანხმების მიღება და ამ პროცესის მთავარი ნაწილი ჩვენს დოკუმენტში წარმოდგენილი საელმძღვანელო პრინციპებია.

ახალი *"უფლებამოსილების იურისდიქციის წესები"* (2000) საგანგებოდ ახსენებს *"მნიშვნელოვანების შესახებ განცხადებასა"* ან *"საჭიროებათა შესახებ განცხადებას"* (წესი 3(3)(a)) და აღნიშნავს, რომ თუკი დაგეგმილია სიაში შეტანილი ეკლესიის მნიშვნელოვანი ცვლილებები, განმცხადებლებმა უნდა წარადგინონ *"განცხადება მნიშვნელოვნების შესახებ"* (რომელიც აჯამებს ეკლესიის ისტორიულ განვითარებასა და ადგენს მნიშვნელოვან ნიშნებს) და *"განცხადება საჭიროებათა შესახებ"* (რომელიც განმარტავს რისთვისაა საჭირო ეს წინადადება და რატომ არ შეიძლება მრევლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ეკლესიის შეცვლის გარეშე).

სისტემის მართვისას, რომელიც მსგავსად გეგმარების დადგენილი სისტემისა, ითვალისწინებს სალოცავი ადგილების ისტორიულ, არქიტექტურულ და არქეოლოგიურ თვისებებს, საეკლესიო ორგანიზაციებმა, რათა გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს, უნდა წარმოადგინონ იმავ დონის ინფორმაცია, რასაც საერო ორგანიზაციები წარმოადგენენ ხოლმე.

*ინგლისის ეკლესიის* მექანიზმი წარმოადგენს უფლებამოსილების იურისდიქციის სისტემას და იგივე პროცედურები ტარდება რომაულ-კათოლიკურ, გაერთიანებული რეფორმირებული ეკლესიის, ბაპტისტების და მეთოდისტების მიერაც.

## 4.12 სამეფო ოჯახის წვლილი განვითარებაში და ჩატარებული სამუშაოები

DoE ცირკულარში 18/84 და PPG 15 (პარაგრაფი 3.40) აღნიშნულია, რომ სამეფო ოჯახი გათავისუფალებულია დაგეგმვის, სიაში შეტანილი და საკონსერვაციო არეალების კონტროლისაგან, მაგრამ მთავრობამ ისე გაარიგა, რომ სამეფო ორგანიზაციები შეასრულებდნენ თავის საქმეს ისე, თითქოს ეს კონტროლი ხორციელდებოდეს. სახელმწიფო ორგანიზაციებმა უნდა აჩვენონ საკუთარი ისტორიული ქონების მოვლის სამაგალითო სტანდარტები.

ისტორიული შენობებისა და უძველესი ძეგლების მოვლა-პატრონობის დამატებითი რეკომენდაციები სახელმწიფო დეპარტამენტებისთვის და ორგანიზაციებისთვის გამოქვეყნებულია *ინგლისის მემკვიდრეობის* მიერ და ეწოდება *ისტორიული შენობებისა და უძველესი ძეგლების მოვლა-პატრონობა – სახელმძღვანელო პრინციპები სახელმწიფო დეპარტამენტებისა და ორგანიზაციებისთვის* (1998).

## 5. მოვლა-პატრონობა, შეკეთება და მენეჯმენტი

**„სახელმძღვანელო პრინციპების" ამ ნაწილში ახსნილია, რამდენად მნიშვნელოვანია გააზრება ისტორიული შენობებისა და გარემო ლანდშაფტის მოვლა-პატრონობის, შეკეთების და მენეჯმენტის გადაწყვეტილების მისაღებად.**

ისტორიული შენობებისთვის და მათი გარემო ლანდშაფტისთვის მნიშვნელოვანია მათი მოვლა-პატრონობა, შეკეთება და კარგი მენეჯმენტი. თუმცა, პოტენციურად ამანაც შეიძლება მოუტანოს ზიანი ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელოვნებას. ეს შეიძლება გაუფიქრებლადაც მოხდეს, მაგრამ მაინც რეალურია.

კდკა მოვლა-პატრონობის, შეკეთებისა და მენეჯმენტისთვის ისევე გამოიყენება, როგორც უფრო დიდი სამუშაოების დაგეგმვისას, თუმცა არის პატარა განსხვავება სამუშაოს განსაზღვრასა და დაკვეთაში.

### *5.1 მოვლა-პატრონობა*

ნებისმიერი მესაკუთრის ან მენეჯერის უმთავრესი საზრუნავია ისტორიული შენობისა და გარემო ლანდშაფტის მუდმივი მოვლა, რაც ხელს შეუშლის დღესდღეობით მის შემდგომ დაზიანებას და სამომავლოდ თავიდან ააცილებს დიდ დანახარჯებს. ისეთი მცირე სამუშაოებისთვის, როგორიცაა წყალსადენი მილების გაწმენდა, სახურავების შეკეთება და დრენაჟის მეთვალყურეობა, ან ლანდშაფტის შემთხვევაში, ახალდარგული ან უკვე არსებული მცენარეების მენეჯმენტი, უმჯობესია არსებული მცირე რესურსების გამოყენება, ვიდრე დიდი სამშენებლო შეკეთების წამოწყება, როდესაც ძეგლის მნიშვნელოვნება უკვე დაზიანებული იქნება მოუვლელობის გამო.

კომპლექსური ღირსშესანიშნავი ადგილების შემთხვევაში, ეს გააზრება შეიძლება იყოს წარმოდგენილი კონსერვაცია/მენეჯმენტის გეგმაში ან განცხადებაში (იხ. VI ნაწილი), რომელიც, სხვა ყველაფერთან ერთად, მოიცავს რეკომენდაციებს მომვლელი პერსონალისთვის.

კდკა ხელს უწყობს ისეთ მცირე სამუშაოებს, როგორიცაა დაძველებული კარის მოსართავების, ჩაშენებული მოწყობილობებისა და გამართულობის გამოცვლა, იატაკის გაწმენდა, მინის ან სახურავის გადაღებვა და შეკეთება. ასევე მნიშვნელოვანია იმაში დარწმუნება, რომ ლანდშაფტის მენეჯმენტში ჩართულ პერსონალს გააჩნია საკმაო ინფორმაცია მის თარიღსა და მნიშვნელობაზე.

პერსონალმა, რომელიც დიდი დროის განმავლობაში უვლის ღირსშესანიშნავ ადგილს, კარგად იცის რისი აღნუსხვაც ღირს სამომავლოდ. ამის საფუძველი ისაა, რომ მათ ახსოვთ მათი ან მათი წინამორბედების ჩატარებული სამუშაოები.

### *5.2 შეკეთება*

ისტორიული შენობისა და მისი გარემო ლანდშაფტის შეკეთება არ მოიცავს მხოლოდ ტრადიციული მასალებისა და ტექნოლოგიების დადგენას. საჭიროა იმის გაგება, თუ რატომ არის მოცემული ადგილი მნიშვნელოვანი, როგორ არის მისი მნიშვნელოვნება ხორცშესხმული ქსოვილში და რა ზეგავლენა ექნება მასზე შესაძლო შეკეთებას.

ყველა სასიკეთო შეკეთების მეთოდი შეიძლება საზიანო გახდეს, თუ არასწორად ან უყურადღებოდ ჩატარდება. სამაგალითოდ, შეკეთებისას მიყენებული ზიანი შესაძლოა იყოს:

- მოფხეკამ ან ზემოდან გადავლამ შეიძლება დააზიანოს ან დაფაროს ადრეული ბათქაში და მიჩქმალოს ან გააქროს ინფორმაცია შენობის ისტორიის შესახებ
- ხის შეცვლამ შეიძლება მოსპოს ადრეული ქსოვილი
- კედლის შემზადებამ ინტერიერის რემონტის დროს შეიძლება წაშალოს საღებავის პირველი ფენა და დამალოს ფრესკები ან კედლის გამართულობა
- სახურავის შეკეთებამ შეიძლება მოუტანოს ზიანი იქ მობინადრე დაცულ სახეობებს, ისეთი

როგორც ღამურებია.

- წყალსატევების ამოწმენდამ შეიძლება დააზიანოს წყლის სისტემა
- ნაწილობრივმა დაშლამ შეიძლება დააზიანოს კედლების სიმრთელე
- კედლის ზედაპირზე წარმოქმნილი ეკოლოგია შეიძლება დაიკარგოს შეკეთების დროს
- ახალმა დრენაჟმა შეიძლება დააზიანოს არქეოლოგიური ნაშთები
- სახურავის ტყვიით ახლად დაფარვამ შეიძლება უნებურად გამოიწვიოს ისტორიული გრაფიტის დაზიანება

შეკეთების ყველა სამუშაოს დროს გარკვეული გადაწყვეტილებები ხელმძღვანელმა არქიტექტორმა ან ზედამხედველობის სამსახურის მოხელემ უნდა მიიღოს. რა ოდენობის შეკეთებაა საჭირო? რა მასალაა ყველაზე გამოსადეგი? რა მეთოდების გამოყენება სჯობს მოცემული შენობისა და მისი გარემო ლანდშაფტისათვის? როგორ უნდა განაწილდეს სახსრები მუშაობის სხვადასხვა სფეროებს შორის? არის თუ არა რაიმეს შეკეთება აუცილებელი, თუ სჯობს დარჩეს როგორც არის? გადაწყვეტილების მართებულობა მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად გაიაზრა ხელმძღვანელმა არქიტექტორმა და ზედამხედველობის სამსახურის მოხელემ შენობა და გარემო ლანდშაფტი. შენობაზე წარსულში განხორციელებული ცვლილებების თანმიმდევრობის გააზრება ხშირად განსაზღვრავს შეკეთებისადმი მიდგომას ან სამუშაოს მასშტაბს.

შეკეთების პროგრამების უმეტესობა უნდა იყოს დაფუძნებული მოცემული შენობის თუნდაც უზოგადეს გამოკვლევაზე, რომელიც წარმოაჩენს შენობის სხვადასხვა ნაწილების და მისი მდგომარეობის ხასიათისა და მნიშვნელოვნების გააზრებას. თუ შეკეთების პროგრამის შემდგენელ სპეციალისტს არ გააჩნია საკმარისი კვალიფიკაცია შენობისა და გარემო ლანდშაფტის ინტერპრეტაციისთვის, ან თუ შეკეთების მასშტაბი ან ხასიათი ეჭვს ბადებს, მაშინ აუცილებელია ანაზომვისა და ანალიზის უფრო ვრცელი პროგრამის შედგენა სამუშაოს დაწყებამდე.

რადგან შენობა შეკეთების დროს "იხსნება", მოსალოდნელზე მეტი შეიძლება შევიტყოთ მისი ისტორიისა და განვითარების შესახებ. მომავალი მენეჯმენტისთვის შეიძლება გამოსადეგი იყოს იმ ელემენტების დაფიქსირებაც, რომელიც შესაძლოა განადგურდეს, ან დაირღვეს, ან ჩაიმალოს (მაგალითად, სახურავის კონსტრუქცია). ამგვარადვე, მუშაობისას შესაძლებელია ლანდშაფტის ახალი დეტალების აღმოჩენაც. ღირსშესანიშნავი ადგილის გამოცდილმა ანალიტიკოსმა შეიძლება დადებითი წვლილი შეიტანოს შეკეთების სამუშაოების ხარისხში და დაეხმაროს გაუთვალისწინებელი დანახარჯების თავიდან აცილებას. მჭიდრო სამუშაო თანამშრომლობა გამოაჩენს, რაგვარად წაადგება სამუშაოების დროს შენობაზე მოპოვებული ახალი ცოდნა არქიტექტორისა და ზედამხედველობის სამსახურის მოხელის მიერ შეკეთებაზე ხელშეკრულების შესრულებისას ყოველდღიურად მიღებულ გადაწყვეტილებებს. ერთი სიტყვით, შენობისა და მისი გარემო ლანდშაფტის გააზრება, რემონტის ნებისმიერი კონტრაქტის განუყოფელი და განმავითარებელი ნაწილი შეიძლება იყოს. ინტერპრეტაცია ნაგებობის მენეჯმენტის პროექტის ყველა ეტაპს უნდა სდევდეს თან და არ იყოს აღქმული, როგორც მხოლოდ აკადემიური ვარჯიშობა, დასაწყისშივე ჩასატარებელი და საერთოდაც ზედმეტი, თუ სახსრები მწირია. შენობისა და ლანდშაფტის მდგომარეობის დიაგნოზი, თანხების განაწილება და შესაკეთებელი ტექნოლოგიების არჩევანი უნდა გამომდინარეობდეს ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელოვნების გააზრებიდან.

შეკეთების პროგრამის დასრულებისას უნდა შედგეს დოკუმენტი, თუ რა სამუშაოები იქნა ჩატარებული და რატომ. ეს უნდა მოთავსდეს ღირსშესანიშნავი ადგილის არქივში და ხელმისაწვდომი იყოს შეკეთების მომავალი პროგრამებისთვის. ეს ინფორმაცია შეიძლება იქნეს გამოყენებული კონსერვაციის გეგმაში (თუ ასეთი არსებობს) ან იქნეს შეტანილი შენობის სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელშიც წარმოდგენილია მუშაობის წინა პროგრამები.

## *5.3 ტექნიკური ანგარიში, მდგომარეობის შემოწმება და ხუთწლიანი ინსპექტირება*

ამ ანგარიშს, როგორც წესი, ამზადებს არქიტექტორი ან ზედამხედველობის სამსახურის მოხელე გრანტზე განაცხადის მხარდასაჭერად (ან მის საპასუხოდ).

ხუთ წელიწადში ერთხელ ჩატარებული ინსპექცია დიდი შენობების (მაგ., ტაძრების) კარგი მენეჯმენტის საყოველთაოდ მიღებული წესია. მსგავსი ანგარიშები შეიძლება მომზადდეს გადასახადებისგან გათავისუფლების პირობების შესაბამისობის მონიტორინგის ფარგლებში. ასეთი ანგარიში კარგი საშუალებაა რომ განვიხილოთ

- საფრთხეში ჩააგდებს თუ არა რომელიმე დაგეგმილი სამუშაო ქსოვილს
- არის თუ არა ხელმისაწვდომი ამ სამუშაოების ჩატარებისთვის საკმარისი ინფორმაცია
- არის თუ არა საჭირო დამატებითი ანალიზი და რატომ

- ანალიზის მასშტაბი
- ანალიზის ვადების დადგენა, რათა მისი შედეგები დროულად იყოს მიღებული
- სამუშაოს შესაძლო ხარჯები
- ანალიზის ყოველგვარი შესაძლო ზეგავლენა პროექტის წინსვლასა და ხარჯებზე.

როგორც დადგენილი შეთანხმების განაცხადის შემთხვევაში, მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების პრინციპების გამოყენება აადვილებს იმის დადგენას, არის თუ არა დამატებითი ინფორმაცია საჭირო და თუ არის, რა სახის და რა ოდენობის.

## *5.4 ღირსშესანიშნავი ადგილის მენეჯმენტი*

ისტორიული შენობისა და ლანდშაფტის მენეჯმენტი რთული საქმეა და ხშირად მრავალი სხვადასხვა საკითხის ურთიერთშეთანხმებას ითხოვს (მაგ., მნახველებთან და მათ ჯგუფებთან ურთიერთობას) ღირსშესანიშნავი ადგილის განსაკუთრებულ თვისებებთან მიმართებით, იქნება ეს ისტორიული, არქეოლოგიური, არქიტექტურული, ლანდშაფტისა, ეკოლოგიური თუ ხედის. ამის მოგვარება მხოლოდ თეორიულ დონეზე არ ხდება – ღირსშესანიშნავი ადგილის შენახვისთვის შეიძლება საჭირო აღმოჩნდეს მნახველებისგან შემოსული სახსრები და, ამავე დროს, ამით შეიძლება დაზიანდეს სწორედ ის, რითიც ფასობს ეს ადგილი.

კდკა-ს ისეთივე დადებითი წვლილი შეუძლია შეიტანოს ისტორიული შენობისა და გარემო ლანდშაფტის მენეჯმენტში, როგორიც მის შეკეთებაში, მოვლასა და გადაკეთებაში აქვს. როგორც ყოველთვის, კდკა-ს საჭიროების დადგენისთვის აუცილებელია შეფასდეს, რა სახის საქმიანობას შეუძლია ღირსშესანიშნავი ადგილისთვის შესაძლებელი ზიანის მიყენება.

ქვემოთ მოცემულია იმ საქმიანობის მაგალითები, რომლებიც მოგებას მოუტანს ღირსშესანიშნავ ადგილს, თუმცა მათ დაზიანებაც შეიძლება გამოიწვიოს:

- მისაწვდომობა (საზოგადოებრივი, განსაკუთრებული აუცილებლობა)
- ღონისძიებები (გართობა, აქციები ღია ცის ქვეშ, ფილმის გადაღება)
- დასუფთავება
- მოვლა-პატრონობა (იხ. ზემოთ)
- ინტერპრეტაცია და პრეზენტაცია
- მებაღეობა
- კეთილმოწყობილობა (გათბობა, წყალგაყვანილობა, დენი, კანალიზაცია)
- ცალობით ვაჭრობა
- დაცვის საშუალებები (ჭიშკრები, განათება, კამერები, საკეტები)
- გარემოსმიერი კონტროლი (მაგ. კოლექციებისა).

მენეჯმენტის საკითხები ხშირად ეწინააღმდეგება ერთმანეთს: მაგალითად, ველური ბუნების მენეჯმენტმა შეიძლება დაარღვიოს ისტორიული სიმრთელე; მოთიბვამ დააზიანოს ველური ბუნება; ისტორიული კოლექციებისთვის დამონტაჟებულმა დანადგარებმა დააზიანოს ისტორიული ინტერიერი. კვლევა, ანალიზი და შესწავლა უზრუნველყოფს ინფორმაციას იმ შესაძლებელი ზიანის შესახებ, რომელიც შეიძლება მოიტანოს რომელიმე ამათგანმა და ამ ზიანის თავიდან აცილების ხერხების შესახებ.

განსაკუთრებით დიდი ისტორიული ნაგებობებისა და მათი გარემო ლანდშაფტისთვის, რომელსაც საზოგადოებრივი ან კორპორატიული მოხმარება აქვს, სჯობს გაკეთდეს პრობლემების მომიხილვა კონსერვაციის განცხადების ან უფრო ამომწურავი კონსერვაცია/მენეჯმენტის გეგმის სახით, ვიდრე ჩატარდეს ერთმანეთს დაუკავშირებელი კვლევები საგანგებო სახით. ღირსშესანიშნავი ადგილის ასეთნაირ მენეჯერს საკმარისი ინფორმაცია ექნება, რათა მან შეიმუშავოს მენეჯმენტის სპეციფიკური სტრატეგია და დარწმუნდეს, რომ ეს სტრატეგია დროის საკმაოდ დიდი პერიოდის მანძილზე არ მოუტანს ზიანს ღირსშესანიშნავ ადგილს. უფრო მცირე მოცულობის ადგილებისთვის კვლევა მათ კერძო მოთხოვნილებებზეა მიმართული.

ღირსშესანიშნავი ადგილის გააზრება ეშველება ავარიული სიტუაციების მართვის დაგეგმვასა და საშიშროების შეფასების სტრატეგიასაც.

# 6. კონსერვაციისა და მენეჯმენტის დაგეგმვა

**„სახელმძღვანელო პრინციპების“ ამ ნაწილში აღწერილია ისტორიული შენობების და მათი გარემო ლანდშაფტის მოვლის სტრატეგია**

აქამდე, ამ „სახელმძღვანელო პრინციპებში“ განხილული უმეტესი ინფორმაცია სპეციალურად კონკრეტული ღირსშესანიშნავი ადგილების და კონსერვაციის პროექტების საჭიროებებს მიესადაგებოდა. ზოგ შემთხვევაში ასეთი ნაწილობრივი მიდგომა არ არის შესაფერისი და უფრო ყოველმხრივი მიმოხილვაა საჭირო. ამ ნაწილში ახსნილია, თუ როდის შეიძლება უფრო სტრატეგიული დოკუმენტები იყოს სასარგებლო და რას უნდა შეიცავდეს ისინი.

## *6. 1. კონსერვაციის გეგმები*

კონსერვაციის გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ასახავს ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელოვნებას და განმარტავს, თუ როგორ იქნება ეს მნიშვნელოვნება დაცული მომავალში, შეკეთების, ცვლილებების შეტანის, განვითარების თუ მართვის გზით. იგი განსხვავდება განხორციელებადობის ანალიზისაგან, ან ვარიანტების შეფასებებისაგან იმით, რომ მასში ყურადღება გამახვილებულია ადგილის მნიშვნელოვნებაზე და იმაზე, თუ რა ხდება მის თავს. კონსერვაციის გეგმები ეყრდნობა ინტელექტუალურ პროცესს, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად კონცეფციებს:

- გააზრება
- მნიშვნელოვნების შეფასება
- კონსერვაციის პრობლების დადგენა (წინააღმდეგობებისა და იმის ჩათვლით, თუ რამდენად დაუცველია მნიშვნელოვანება)
- მნიშვნელოვნების შენარჩუნების მეთოდები

მიუხედავად იმისა, რომ წარმატებისკენ მიმავალი გზა, თითქოსდა სწორხაზოვანია, პროცესი შემოქმედებითი, ანალიტიკური, წილობრივი და სინთეტური უნდა იყოს. კომპლექსური მოსაზრებები და მიდგომები უნდა წარმოდგენილი იყოს ხელმისაწვდომი ფორმით.

კონსერვაციის გეგმები, ჩვეულებრივ, შემდეგ ნაწილებს შეიცავს:

### ღირსშესანიშნავი ადგილის გააზრება

შემორჩენილი ქსოვილის (მათ შორის, ნაგებობები, ლანდშაფტი და გაუთხრელი არქეოლოგიური ძეგლები), ანალიზი, რომელიც აერთიანებს წყაროების კვლევას, არქიტექტურის ისტორიას და ღირსშესანიშნავი ადგილის არქეოლოგიურ გააზრებას დროში (ფაზირების გამოყენებით) და სივრცეში (გეოგრაფიული ცნობარის გამოყენებით). ასევე სასარგებლოა მოკლედ, საკვანძო მოვლენების ქრონოლოგიურად დალაგებაც.

### მნიშვნელოვნების შეფასება

საამისოდ ღირსშესანიშნავი ადგილის გააზრება ხდება საფუძველი იმ ღირებულებათა მკაფიოდ განსაზღვრისა, რაც ამ ადგილს მნიშვნელოვნად აქცევს არქიტექტურული, ისტორიული, ეკოლოგიური, არქეოლოგიური, სოციალური, სულიერი, საგანმანათლებლო თუ სამოსახლო ერთობის თვალსაზრისით და იმის წარმოჩენისა, თუ რა კავშირშია ეს ღირებულებები შემორჩენილ ქსოვილთან და მის შემადგენელ ნაწილებთან. მნიშვლელოვნების შეფასების საფუძველი განმარტებას მოითხოვს.

### პრობლემები და დაუცველობა

შეფასება იმისა, თუ რა შემთხვევაშია მნიშვნელოვნება დაუცველი; შესაძლოა, შედეგად მართვის სტრუქტურისა, ფიზიკური მდგომარეობისა, რესურსების ცოდნის ნაკლებობისა, ახალი განვითარებისა, საკანონმდებლო ან დებულების მოთხოვნებისა (მაგ., კონკრეტული საჭიროების მქონე ადამიანებისთვის ადვილად მისადგომი გზის გაყვანა), სათანადო გამოყენების არსებობისა (ან ნაკლებობისა), კონსერვაციის მიდგომის შეცვლისა, მუდმივად დაზიანებისა, წინააღმდეგობისა სხვადასხვა ტიპის ღირებულებათა შორის, ღირსშესანიშნავი ადგილის ასპექტების გააზრების ან ინფორმაციის ნაკლებობისა, ან ადრე ჩატარებული სამუშაოების ზეგავლენისა. ეს ნაწილი აგრეთვე განსაზღვრავს მნიშვნელოვნების გამოვლენის შესაძლებლობებს.

### საკონსერვაციო პოლიტიკა

ეს თავი წარმოგვიდგენს ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელოვნების, მომავალში მისი ნებისმიერი სახით გამოყენების, შეკეთების ან მართვისას, შენარჩუნების პოლიტიკასა და სახელმძღვანელო პრინციპებს. პოლიტიკა უნდა გამომდინარეობდეს დადგენილი, დაგეგმილი და დებულებით განსაზღვრული ფართო სისტემიდან ან მასთან თავსებადი იყოს. პოლიტიკის ასპარეზი შეიძლება იყოს მაგ., კონსერვაციის, შეკეთების პრიორიტეტების განსაზღვრა, შესაფერისი გამოყენების ამოცნობა, უნარშეზღუდულთათვის მისასვლელის მოწყობა, უსაფრთხოების მოთხოვნები, მომსახურებით უზრუნველყოფა, იმ მექანიზმების განსაზღვრა, რაც საჭიროა გადაწყვეტილებების მიღებისათვის მომავალში და მომავალ განვითარებაზე სათანადო კონტროლის შემუშავება. პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს მნიშვნელოვნების შეფასებას და უნდა იძლეოდეს ღირსშესანიშნავი ადგილის სასიკეთოდ სამართავად შემოქმედებითი მიდგომის შესაძლებლობას.

### განხორციელება

რათა უკეთ გამოსაყენებელი იყოს, კონსერვაციის გეგმა უნდა ოფიციალურად იყოს დამტკიცებული ღირსშესანიშნავი ადგილის მმართველი ორგანოს მიერ, ან ჩართული იყოს გრანტის, ან დაწესებული შეთანხმების პირობებში. დიდი ზომის ღირსშესანიშნავი ადგილებისათვის ან ორგანიზაციებისათვის, კონსერვაციის გეგმაში უნდა განსაზღვრული იყოს, თუ ვინ იქნება პასუხისმგებელი გეგმის განხორციელებაზე და რომ ახალი სამუშაოები ჩატარდება გეგმაში წამოყენებული პრინციპების თანახმად. ზოგიერთმა ადგილობრივმა გეგმარების სამმართველომ დაამტკიცა კონსერვაციის გეგმები ცალკეული ღირსშესანიშნავი ადგილებისთვის, როგორც გეგმარების დამატებითი სახელმძღვანელო.

### დანართები

დეტალური ინფორმაცია (მაგ., გეოგრაფიული ცნობარი) უნდა განთავსდეს დანართებში, რათა მთავარი დოკუმენტი სხარტი იყოს.

დახმარების გაწევა შეუძლია აგრეთვე დოკუმენტის მოკლე რეზიუმეს და შესავალ ნაწილს, სადაც ახსნილი იქნება, თუ რა პირობებში იყო იგი შედგენილი.

შემდგომი დეტალები ასახულია „*ისტორიული ადგილების კონსერვაციის გეგმებ*"-ში (კონსერვაციის ლატარიის ფონდი 1998 წ.) და „*კონსერვაციის გეგმები მოქმედება*"-ში (ინგლისური მემკვიდრეობა 1999 წ.)

## *6. 2 განცხადება კონსერვაციის შესახებ*

განცხადება კონსერვაციის შესახებ წარმოადგენს იგივე პრინციპებზე დაფუძნებული კონსერვაციის გეგმის შემოკლებულ ვერსიას.

იგი იყენებს მზა, ხელმისაწვდომ, არსებულ ინფორმაციას ღირსშესანიშნავი ადგილის თაობაზე მისი ქრონოლოგიის, შემორჩენილი საკვანძო ელემენტების, მნიშვნელოვნების შესახებ განცხადების, მთავარი საკონსერვაციო საკითხების განსაზღვრის და ძირითადი მეთოდების წერილობითი გადმოცემისათვის. მან აგრეთვე უნდა განსაზღვროს ღირსშესანიშნავ ადგილზე ჩვენი ცოდნის ხარვეზები და ის პრობლემები, რომლებიც მასზე გავლენას ახდენს. თუ ხარვეზები სერიოზულია, მაშინ განცხადება კონსერვაციის შესახებ შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც სრული კონსერვაციის გეგმის რეზიუმეს საფუძველი. განცხადება კონსერვაციის შესახებ არ არის ისეთი ყოვლისმომცველი, როგორც კონსერვაციის გეგმა და ნაკლებად თუ იქნება იმავ ზომით მოშველიებული.

განცხადებას კონსერვაციის შესახებ, ჩვეულებრივ, ადგენს ღირსშესანიშნავ ადგილზე მომუშავე სპეციალისტი (თუკი იქ ასეთი ეყოლებათ). იგი აგრეთვე შეიძლება შედგენილი იყოს კონსულტანტის მიერ.

განცხადება კონსერვაციის შესახებ შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც საფუძველი ისეთი ცალსახა ღირსშესანიშნავი ადგილების მომავალის განსაზღვრისას, როგორც სოფლის მეურნეობისთვის გამოყენებული მიწის ძველი ნაგებობა, ან მრევლის ეკლესიაა, სადაც არაა მოსალოდნელი რაიმე მნიშვნელოვანი წინადადებები. განცხადება კონსერვაციის შესახებ ნაკლებად თუ შეიცავს საკმაო ინფორმაციას ისეთი წინადადების მომზადებისთვის, რაც ეხება მნიშვნელოვან ფიზიკურ ინტერვენციას რთულ, საკამათო, ან განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ღირსშესანიშნავ ადგილში. ასეთ შემთხვევებში უფრო შესაფერისი იქნება ვიხელმძღვანელოთ ან კონსერვაციის გეგმით, ან კდკა-თი, რომელიც მორგებული იქნება პროექტის საჭიროებებს.

## *6. 3. მენეჯმენტის გეგმები*

კონსერვაციის მრავალი სპეციალისტი უკვე იყენებს მენეჯმენტის გეგმებს, ღირსშესანიშნავი ადგილის მოვლის ღონისძიებების დასახვის მიზნით. საამისო მაგალითებს შორისაა ისტორიული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმები, შედგენილი მემკვიდრეობის მიღების გადასახადიდან განთავისუფლების, ან მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის მენეჯმენტის გეგმებთან კავშირში. კოლექციათა მენეჯმენტის გეგმა შეიძლება პროფესიონალმა კურატორმა შეადგინოს.

**შეფასება**

- ღირსშესანიშნავი ადგილის გააზრება
- მნიშვნელოვნების შეფასება
- პრობლემების განსაზღვრა
- პოლიტიკის დასახვა

**ქმედებები**

- მენეჯმენტის მითითებები
- ბიუჯეტი და ქმედებები
- სავარაუდო შეფასება
- განხორციელებადობის ანალიზი
- ბიზნესის დაგეგმვა




ღირსშესანიშნავი ადგილის მენეჯმენტის პირველი ეტაპი გულისხმობს იმის შეფასებას, თუ რას აქვს აქ ფასი და რატომ – ჩვეულებრივ, ესაა კონსერვაციის გეგმა. მენეჯმენტის სპეციფიკური სამუშაოები, ან დეტალური მითითებები უნდა მოსდევდეს და არა წინ უსწრებდეს ამ უკანასკნელს.

ტერმინოლოგია ასახავს უფრო სხვადასხვა საკონსერვაციო პროფესიულ საქმიანობას და არა რაიმე მნიშვნელოვან ინტელექტუალურ განსხვავებებს. თუ ინგლისში კონსერვაციის გეგმა განსხვავდება მენეჯმენტის გეგმისაგან, სულ ცოტა, ეს, ჩვეულებრივ, იმას ნიშნავს, რომ უფრო დიდი ყურადღება ექცევა მუშაობის პროგრამას, ვიდრე იმ განსჯებს, რაც მას წინ უძღვოდა.

ამგვარად, მენეჯმენტის გეგმა, ჩვეულებრივ, უნდა შეიცავდეს დაცვის და მოვლა-პატრონობის სამუშაოების სპეციალურ განრიგს, ხშირად ფასების მითითებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ საზოგადოების სუბსიდიის (როგორიცაა გადასახადიდან განთავისუფლება, ან გრანტის დახმარება) სანაცვლოდ, მოვლისა და მენეჯმენტისთვის განსაკუთრებული შემართებაა საჭირო.

ამის საპირისპიროდ, კონსერვაციის გეგმა წინა ადგილზე აყენებს ღირსშესანიშნავი ადგილის და მისი მნიშვნელობის ანალიზს, მაგრამ არ სცდება მნიშვნელოვნების შენარჩუნების კურსს და განხორციელების სტრატეგიას. ეს ხდება იმიტომ, რომ კონსერვაციის გეგმები ხშირად გამოიყენება მიზნების ბევრად უფრო ფართო სპექტრისთვის. განვითარების ახალი წინადადებები მომდინარეობს გეგმიდან, მაგრამ არ არის მასში ჩართული. ამის მიზეზია ის, რომ ასეთი წინადადებები შესაძლოა საკამათო ან დროებითი იყოს და მათი ჩართვა კონსერვაციის გეგმაში გახდის მას რაიმე შეცდომის გამართლებად და არა მნიშვნელოვანი ძეგლის შენარჩუნების ძირითად პრინციპად.

რაგინდარა ტერმინოლოგიით, ასეთი დოკუმენტები საღი აზროვნების პროცესიდან უნდა ამოდიოდეს – ეფუძნებოდეს გააზრებას, მნიშვნელოვნების შეფასებას, პრობლემების და დაუცველობის ანალიზს და მნიშვნელოვანი ძეგლის შენარჩუნების პოლიტიკას. თუ გააზრება წინ უსწრებს სამუშაოების წარმოებას, პროცესი კარგად ჩატარდება. მეორე მხრივ, თუ მენეჯმენტის და განვითარების წინადადებები ამ გააზრების გარეშეა ჩამოყალიბებული, მნიშვნელოვანი ძეგლი დიდად შესაძლებელია საფრთხეში აღმოჩნდეს.

კონსერვაციის დაგეგმვის პროცესის და ტერმინოლოგიის შედგენის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ ხელთ არის შედარებით მარტივი კონცეფციების წყება, რომელიც ერთმანეთში აერთიანებს კონსერვაციის სხვადასხვა პროფესიების პრაქტიკას, იქნება ეს ლანდშაფტის

მენეჯმენტი, ისტორიული ნაგებობები, ზედამხედველობა, თუ არქეოლოგია და აყალიბებს საერთო მიდგომას. ერთიანი მიდგომაც შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს იმისთვის, რომ წინასწარ განვსჭვრიტოთ და თავიდან ავირიდოთ ის წინააღმდეგობები, რომლებიც წარმოიშვება სხვადასხვა ტიპის მნიშვნელოვნებათა მართვისას.

## *6. 4. როდის არის ისინი გამოსადეგი?*

ხშირად კონსერვაციის სპეციალისტს უჭირს დაადგინოს, რა სახის დოკუმენტი ესაჭიროება და როდის. ამგვარად, განცხადება კონსერვაციის შესახებ შეიძლება გამოსადეგი იყოს:

- ნებისმიერი პროექტის შემუშავების სულ დასაწყისში
- სწრაფი მიმოხილვის ჩასატარებლად
- როდესაც არსებობს საკონსერვაციო შეზღუდვები და შესაძლებობები, რომლებიც რაც შეიძლება ადრე უნდა იქნეს გაგებული
- როგორც ხერხი, თავიდანვე ერთად შევკრიბოთ პროექტში მონაწილე მთავარი სპეციალისტები (განსაკუთრებით ისინი, ვისი სპეციალობა არ არის კონსერვაცია) და დავაკავოთ ისინი კონსერვაციის პრობლემებით
- დაინტერესებული მხარის მონაწილეობის გასაადვილებლად

უნდა გვახსოვდეს, რომ განცხადება კონსერვაციის შესახებ არ არის ყოვლისმომცველი დოკუმენტი, ასე რომ, მასზე დაყრდნობით, ძირითადი პროექტის თვალსაზრისით, არც თუ უხიფათოა საბოლოო გადაწყვეტილების ამგვარი ზედაპირული მიმოხილვის საფუძველზე მიღება.

კონსერვაციის გეგმა შეიძლება გამოსადეგი იყოს პროექტში, სადაც:

- განცხადებამ კონსერვაციის შესახებ განსაზღვრა ღირსშესანიშნავი ადგილის უფრო ყოვლისმომცველი მიმოხილვის აუცილებლობა მანამ, სანამ მიღებულ იქნა შემდგომი გადაწყვეტილებები
- ღირსშესანიშნავ ადგილს გააჩნია სხვადასხვა სახეობის მემკვიდრეობა და კულტურული ფასეულობანი (მაგ., შენობები, ლანდშაფტები, კოლექციები, ეკოლოგია), რაც მთლიანობაში ქმნის რთული და პოტენციურად წინააღმდეგობრივი მენეჯმენტის აუცილებლობას
- ღირსშესანიშნავ ადგილს ისტორიულად უტარდება თანდათანობითი ინტერვენცია და ხელსაყრელი პირობები არსებობს მფლობელისა და პასუხისმგებელი ორგანოსათვის სტრატეგიული მიმოხილვის ჩასატარებლად
- ღირსშესანიშნავი ადგილის ასპექტები არასწორადაა აღქმული, რაც პრობლემებს უქმნის მენეჯმენტსა და ცვლილებების შეტანას
- არსებობს მენეჯმენტის რთული სტრუქტურა (მაგ., რამოდენიმე სხვადასხვა მფლობელი, ან ღირსშესანიშნავი ადგილების გამო კონკურირებადი მოთხოვნები)

კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმა – კონსერვაციის გეგმა, რომელსაც თან ახლავს მუშაობის დაწვრილებითი პროგრამა – შეიძლება გამოსადეგი იყოს იქ, სადაც

- არსებობს მოვლის ან მენეჯმენტის ხარჯებისთვის ვალდებულების აღების გამოჩენის აუცილებლობა, საზოგადოების რაიმე სახით სუბსიდიის სანაცვლოდ, მაგ., როგორც მემკვიდრეობის მიღების გადასახადიდან განთავისუფლების ნაწილი, ან როგორც გრანტის ან სამუშაოების ჩატარებაზე განაცხადის შეთანხმების პირობა.

## *6. 5. მიმართება გეგმასა და პროექტს შორის*

მას შემდეგ, რაც შედგება კონსერვაციის გეგმა, შესაძლებელი ხდება შეკეთების, ცვლილებების შეტანის, განვითარების და მენეჯმენტის დეტალური სტრატეგიის შემუშავება. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კონსერვაციის გეგმა არ უნდა შეიცავდეს წინადადებებს ახალი სამუშაოს კონკრეტულ საკითხებზე; მასში წამოყენებული უნდა იყოს პრინციპები, რომელიც დაგვეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში. იდეალურ შემთხვევაში, წინადადებები ახალი სამუშაოებისათვის წამოყენებული უნდა იყოს მას შემდეგ, რაც გეგმა უკვე შედგენილია, პრაქტიკაში კი, ისინი თითქმის პარალელურად ჩნდება. ასეთ

შემთხვევებში, საკითხის პრაგმატული გადაწყვეტა შესაძლოა იყოს მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების პროცესის გამოყენება, რათა შევუდაროთ წინადადებები გზადაგზა წარმოქმნილ გააზრებას იმისა, თუ რა არის მნიშვნელოვანი და რამდენად დაუცველია იგი.

მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების პროცესი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას მაშინ, როდესაც გეგმა უკვე შედგენილი და დამტკიცებულია იმის საჩვენებლად, რომ ახალი წინადადებები, ან მენეჯმენტის მეთოდები სრულ შესაბამისობაშია კონსერვაციის გეგმაში წამოყენებულ პრინციპებთან და ასევე იმისთვის, რომ აღმოვაჩინოთ რაიმე სუსტი მხარეები.

## *6. 6. ვისი დასაწერია გეგმა?*

არ არსებობს ერთი სპეციალისტი, რაც გინდა კვალიფიცირებული იყოს იგი, ვინც მარტო დაწერს კონსერვაციის გეგმას. მსგავსად კდკა-ს სხვა ფორმებისა, კონსერვაციის დაგეგმვა მოითხოვს მთელ რიგ სფეროებში გამოცდილების ერთობლიობას, დაწყებული ისტორიული კვლევიდან და არქეოლოგიური ანალიზიდან, დაგეგმვის კანონმდებლობის და ღირსშესანიშნავი ადგილის მენეჯმენტის ცოდნამდე. პიროვნებას, რომელიც შეადგენს გეგმას, უნდა შეეძლოს პროცესის გაადვილება იმით, რომ წარმოაჩინოს ძირითადი დაინტერესებული მხარეების შეხედულებებს სემინარების, ან თანამშრომლობის რაიმე სხვა ფორმით. მათ უნდა ესმოდეთ, თუ ცოდნის რა ხარვეზები აქვთ და როგორ, ან ვინ უნდა შეავსოს ეს ხარვეზები. მათ უნდა შეეძლოთ კარგად წერა და რთული ინფორმაციის დალაგება.

გამოცდილება აჩვენებს, რომ სრული დატვირთვით მუშაობა ადვილი არ არის; მაგალითად, იყო ღირსშესანიშნავი ადგილის მენეჯმენტის გუნდის წამყვანი წევრი და, ამავე დროს, ადგენდე კონსერვაციის გეგმას. პროცესი გულისხმობს პროექტის ერთად ხაზვას და უზარმაზარი ინფორმაციის (ამასთან, ხშირად განსხვავებული შეხედულებების) მკაფიო, მიუკერძოველელი და ადვილად ხელმისაწვდომი სახით მოწოდებას.

თუკი ღირსშესანიშნავ ადგილზე მომუშავე სპეციალისტი(ები) უნდა უძღვებოდეს გეგმის რეზიუმეს შედგენას, დაანაწილოს ვალდებულებები და ზედამხედველობა გაუწიოს სამუშაოებს, მას რეალურად, აღარ რჩება დრო და შესაძლებობა თვითონ შეადგინოს გეგმა.

## *6. 7. კონსერვაციის გეგმის რეზიუმეები*

კონსერვაციის გეგმა შეიძლება იყოს ძალიან დიდი მოცულობის, ან შედარებით მოკლე დოკუმენტი, გამომდინარე ღირსშესანიშნავი ადგილის რაობიდან და იმ ფუნქციებიდან, რასაც პასუხობს დოკუმენტი.

უზუსტობების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით (განსაკუთრებით, მაშინ როდესაც გეგმის დამკვეთი გარეშე კონსულტანტია), მენეჯერის, მფლობელის, ან სპეციალისტისთვის სასარგებლო იქნება კონსერვაციის გეგმის რეზიუმეს შედგენა. მას შემდეგ, რაც რეზუმე მომზადდება, გეგმაზე პასუხისმგებელი სპეციალისტი უნდა შეუდგეს პროექტის ხარჯთაღრიცხვის შედგენას, სადაც გამოვლინდება, თუ როგორ იქნება დაკმაყოფილებული რეზიუმეს მოთხოვნები.

კონსერვაციის გეგმის სტანდარტული რეზიუმე, რომელიც შეიძლება მორგებული იყოს ცალკეულ ღირსშესანიშნავ ადგილზე, წარმოდგენილია *ინგლისის მემკვიდრეობის* გამოცემაში *კონსერვაციის გეგმები მოქმედებაში* (1999).

## *6. 8. დაინტერესებული მხარის მონაწილეობა*

როგორც წესი, კონსერვაციის გეგმა სხვებთან ერთად თანამშრომლობით დგება. და მართლაც, ეს არის ქმედითი ხერხი თავი მოეყაროს ადამიანებსა და ინტერესებს. კონსულტაციების და თანამშრომლობის პროცესი (და დრო, რაც მას სჭირდება) ამგვარად, წარმოადგენს გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს და ყველა განაცხადში უნდა იყოს ჩადებული.

კონსულტაციასა და თანამშრომლობას შორის მკვეთრი განსხვავებაა. კონსულტაცია გულისხმობს დოკუმენტის ან პრობლემების თაობაზე სხვათა შეხედულებების გამოკითხვას; თანამშრომლობა კი გულისხმობს ამ ადამიანების აქტიურ ჩართვას დოკუმენტის ფორმირებაში. თუ კონსერვაციის გეგმას საფუძვლად უდევს მნიშვნელოვნება, ეს მნიშვნელოვნება, თითქმის უეჭველად გადააჭარბებს მხოლოდ სპეციალისტთა მიერ დასადგენ ღირებულებებს; ამგვარად, თუ კონსერვაციის გეგმამ ადეკვატურად უნდა ასახოს ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელოვნება, დაინტერესებული მხარის წვლილი არსებითია.

მნიშვნელოვანია, რომ ისინი, ვინც დაკავშირებულნი არიან ღირსშესანიშნავ ადგილთან (მფლობელი, სპეციალისტები, ადგილზე მომუშავე თანამშრომლები), მონაწილეობას იღებდნენ გეგმის შედგენაში

და თავისი ცოდნით წილი შეიტანონ მიმდინარე პროცესებში. ეს შეიძლება გაკეთდეს სემინარების, კვლევების, გამოფენების ან დისკუსიების გზით. შერჩეული მეთოდი უნდა შეეფერებოდეს ღირსშესანიშნავ ადგილს, კონტექსტსა და პროცესებში ჩართულ სამოსახლო ერთობას. გეგმის შემდგენელ სპეციალისტს უნდა ჰყოფნიდეს გამოცდილება და სიფაქიზე იმისთვის, რომ მოუსმინოს და იმუშაოს სხვადასხვა ჯგუფებთან და ჩართოს ეს ჯგუფები მიმდინარე პროცესებში.

თუ არსებობს კონსერვაციის გეგმის მმართველი ჯგუფი, მას უნდა შეეძლოს დაეხმაროს პიროვნებას, რომელიც გეგმას ადგენს, მართოს პროცესი (მაგრამ არა გეგმის შინაარსი). მას შეუძლია გააადვილოს მიდგომა წამყვან თანამშრომლებთან, განსაზღვროს დაინტერესებული მხარეები და მხარი დაუჭიროს ნებისმიერ ღონისძიებას, რაც გაზრდის გეგმის პოპულარობას. მმართველ ჯგუფს შეუძლია მიუთითოს სხვა თანამშრომლებს გეგმის მნიშვნელოვნებაზე, სანამ ისინი უშუალოდ ჩაერთვებოდნენ საქმიანობაში.

საზოგადოების მონაწილეობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ამჟამად განიხილება ევროპული დირექტივა მის თაობაზე.

## *6. 9. განხორციელება და განხილვა*

კონსერვაციის მრავალი სტრატეგიული დოკუმენტი ვერ აღწევს დასახულ მიზნებს, რადგან ისინი უგულებელყოფილია. სქელტანიანი ანგარიშები, სავსე ფასეული ინფორმაციით, უსარგებლოდაა თაროზე შემოდებული.

პროცესი შედეგის მომტანი რომ იყოს, საჭიროა დაფიქრება იმაზე, თუ როგორ გამოვიყენოთ დოკუმენტი. დოკუმენტის აღნაგობა, შესრულება, იოლად წაკითხვა ისევე ეხმარება მას, როგორც კონსულტაცია-თანამშრომლობის წარმატება თუ წარუმატებლობა.

და მაინც, ორგანიზაციათა უმეტესობისთვის საჭირო იქნება გეგმის მიღებისა და განხორციელების ფორმალური პროცედურა იმის უზრუნველსაყოფად, რომ გეგმა გათვალისწინებული იქნება ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას. დიდ ორგანიზაციებში, რომლებიც ღირსშესანიშნავ ადგილებს მართავს, უნდა არსებობდეს განყოფილება ან კონკრეტული პიროვნება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება გეგმის განხორციელების ზედამხედველობაზე და, ასევე, პასუხისმგებლობების მკაფიო ჯაჭვი იმისთვის, რომ გეგმის შედეგები გამოყენებული იყოს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას. სხვა შემთხვევებში, განხორციელებაზე პასუხისმგებელი შესაძლოა თვით მფლობელი იყოს. გრანტის მიმნიჭებელ ან კანონით დადგენილ ორგანოებს შეუძლია დახმარება გაუწიოს გეგმის გამოყენებას აქტიური მხარდაჭერის ან დიალოგის გზით.

იქ, სადაც არსებობს მენეჯმენტის ფორმალური სტრუქტურა, საბჭოს წევრები, ან მმართველი ორგანო, კონსერვაციის გეგმა ოფიციალურად უნდა იყოს დამტკიცებული, რათა ინტეგრირებულ იქნას მომავალ მენეჯმენტში.

და ბოლოს, საჭირო იქნება დოკუმენტის გადახედვა. კონსერვაციის დაგეგმვა წარმოადგენს პროცესს, რომელიც შეიძლება გრძელდებოდეს ღირსშესანიშნავი ადგილის მთელი არსებობის მანძილზე, ხოლო ვითარება და ადგილის ჩვენეული აღქმა კი იცვლება. კონსერვაციის გეგმის რეგულარული გადახედვა უზრუნველყოფს მის აქტუალობას და, გარდა ამისა, ეს მონიტორინგის, მისი ეფექტიურობის ნაწილიცაა. გეგმის მონიტორინგის აუცილებლობა შეიძლება ჩართული იყოს ორგანიზაციის მენეჯმენტის ვალდებულებებში.

## *6. 10. საკონსერვაციო არეალის შეფასება*

კონსერვაციის გეგმები, განცხადებები კონსერვაციის შესახებ და კონსერვაცია/მენეჯმენტის გეგმები არ არის სტრატეგიული დოკუმენტების ერთადერთი სახეობები, რომელიც გამოიყენება ადგილის მნიშვნელოვნების შესაფასებლად.

როგორც აღინიშნა ნაწილში 4. 2, საკონსერვაციო არეალი წარმოადგენს არეალს, რომლის ხასიათი სასურველია შენარჩუნებული ან გამოკვეთილი იყოს. რაც უფრო ნათლადაა წარმოჩენილი ეს ხასიათი თუ თვისებები, მით უფრო ადვილია ცვლილებები მართო ისე, რომ მათ ზიანი არ მიაყენო. საკონსერვაციო არეალის შეფასება ფართოდ გამოიყენება, როგორც მისი ხასიათის განსაზღვრის ხერხი.

ასეთი შეფასებები, უმეტესწილად, აღწერითია, ტოპოგრაფიის, არქეოლოგიის, შენობების, სივრცეების, გამოყენებული მასალის, ხეების და მცენარეების, ხედების, ამჟამინდელი ფუნქციების, დანაკარგების და ნეიტრალური ელემენტების გააზრებით დაწყებული. საკონსერვაციო არეალის შეფასების მომზადების თაობაზე შემდგომი მითითებები მოცემულია *საკონსერვაციო არეალის შეფასებები: საკონსერვაციო არეალის განსაკუთრებული არქიტექტურული და ისტორიული თვისებების განსაზღვრა*-ში (ინგლისის მემკვიდრეობა, 1997).

საკონსერვაციო არეალის შეფასება განპირობებულია არეალის გააზრებით, რომელშიც კდკა-ს მეთოდებია გამოყენებული. მსგავსად კონსერვაციის გეგმისა, საკონსერვაციო არეალის შეფასება შეიძლება შეიცავდეს მნიშვნელოვნების უფრო სპეციფიკურ შეფასებას და გარკვეულ ანალიზს იმისა, თუ რამდენად დაუცველია იგი, რაც დაგვეხმარება მისი ხასიათის შენარჩუნების, ან გამოკვეთის პრინციპების განსაზღვრაში.

### *6. 11. სიაში შეტანილ ნაგებობათა მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები*

1995 წელს *ინგლისის მემკვიდრეობამ* გამოაქვეყნა *სიაში შეტანილი ნაგებობების მენეჯმენტის განვითარების სახელმძღვანელო პრინციპები* – პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც ექომაგება სიაში შეტანილი ნაგებობების ცვლილებების მენეჯმენტისთვის უფრო აქტიურ მიდგომას, სიაში შეტანილი ნაგებობების მენეჯმენტის რეკომენდაციების გამოყენების გზით. ასეთი „პრინციპები" გვეხმარება დავადგინოთ, თუ რაში მდგომარეობს ნაგებობის განსაკუთრებული თვისებები და, აქედან გამომდინარე, რა ცვლილებები არ დააზიანებს მის თვისებებს.

„პრინციპები" უნდა ეყრდნობოდეს ნაგებობის ანალიტიკურ აღწერას, რომელიც ავლენს განსაკუთრებული თვისებების ასპექტებს, მაგ. პროექტის არსი და კონტექსტი, გეგმის ფორმა, სტრუქტურა, დატიხრვა, დამხმარე სადგომები, ფერადოვნება, თუ საჭიროა, შენობის განვრცობაც მისი დასრულების შემდგომ. პირველწყაროდ გამოდგება თვით ნაგებობა და ყოველნაირი საბუთები მასზე. ამ ცნობათა შემტკიცება თუ მათი მისაწვდომი ფორმით მოტანა საგანგებო კვლევა-ფიქსაციას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო დოკუმენტი შეიძლება შედარებით მოკლე და ლაკონიური გამოვიდეს, სიაში შეტანილი ნაგებობების მენეჯმენტის „პრინციპები" ეყრდნობა ნაგებობის სათანადო გააზრებას და, ამგვარად, ისტორიული გარემოს მართვის პროცესში ანალიზისა და კვლევის შემოყვანის კიდევ ერთი გზათაგანია.

## 7. ისტორიულ ნაგებობათა და ლანდშაფტების გააზრების ხერხები

**ჩვენი „სახელმძღვანელო პრინციპების" ეს ნაწილი უფრო დეტალურად წარმოგვიდგენს ხერხებს, რომელნიც შეიძლება გამოვიყენოთ ისტორიული ნაგებობების და მათი ლანდშაფტის გააზრებისას.**

### *7. 1 მეცნიერული სტანდარტები*

ისტორიული ნაგებობების ან ლანდშაფტების ანალიზი ახალი რამ არ გახლავთ. მართლაც, ისტორიული ნაგებობების ყველაზე სარგო ანალიზები XIX ს.-სა ან XX ს.-ის დამდეგს პრაქტიკოსი სპეციალისტების მიერაა ჩატარებული, რომლებიც იყენებდნენ დოკუმენტურ კვლევას, დაწვრილებით შესრულებულ ნახაზებს და ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა ტიპოლოგია, არქიტექტურის ძირითადი სტილების განვითარების განსაზღვრისათვის. ლანდშაფტებისთვის უმდიდრეს დოკუმენტურ წყაროს ტრადიციული ტოპოგრაფიული გამოსახულებები წარმოადგენს. ამ ადრინდელი ნამუშევრებიდან ბევრი რამ შეიძლება შევიტყოთ. მათი საინტერესო მიმოხილვაა მოცემულია უარუიკ როდუელის *საეკლესიო არქეოლოგია*-ში (1989).

გასული საუკუნის პირველი ნახევრიდან მოყოლებული მოხდა არქიტექტურის ისტორიისა და არქეოლოგიის განცალკევება, ნაწილობრივ, ორივეს მხრიდან თითოეული მათგანის თეორიული საფუძვლის არასწორად გაგების გამო. 1993 წლის კონფერენციაზე, რომელიც ეძღვნებოდა შენობათა არქეოლოგიას, რიჩარდ მორისონმა აღნიშნა, რომ „არქიტექტურის ზოგიერთმა ისტორიკოსმა არქეოლოგია მასხრად აიგდო, როგორც მხოლოოდენ არეულ-დარეულ მონაცემთა შენაკრების ძვირად ღირებული მოუქნელი სისტემა, ხოლო მთელმა რიგმა არქეოლოგებმა კი სათანადოდ ვერ დააფასეს არქიტექტურის და ხელოვნებათმცოდნეობის დახვეწილი მეთოდები" (ვუდი, 1994 წ. 17).

მულტიდისციპლინარული კონსერვაციის წარმოების მოთხოვნილებათა კონტექსტში, რომლის მიზანია ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელოვნების შენარჩუნება, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, მეცნიერულ მეტოქეობას და დისციპლინებს შორის საზღვრების გავლებას არავითარი გამართლება არა აქვს.

აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ღირსშესანიშნავი ადგილის გააზრება უნდა შეესაბამებოდეს მეცნიერულ სტანდარტებს და კვლევის უფართოეს ფარგლებში ხდებოდეს.

კონსერვაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი კვლევის, ან ანალიზის საბოლოო მიზანი ნაგებობის

ან ადგილის მნიშვნელოვნების დადგენა უნდა იყოს. რაკიღა მნიშვნელოვნება ეფუძნება მეცნიერულ ან აკადემიკურ ღირებულებებს, რომელთა ავტორიტეტულობა გამოქვეყნებული გამოკვლევებიდან გამომდინარეობს, აუცილებელია ამ ლიტერატურის და წყაროების ცოდნა და მათი მითითება.

მაგალითად, რომელიმე კონკრეტული არქიტექტორის შენობის შეფასება უნდა ხდებოდეს ამ არქიტექტორის სხვა ნამუშევრების ცოდნის ჩარჩოებში; რომელიმე სამრეწველო დანადგარის ანალიზი უნდა ეყრდნობოდეს ამ სფეროს ფართო ცოდნას; გამორჩეული ლანდშაფტის გაგება დამოკიდებულია ლანდშაფტის პროექტირების უფრო ვრცელი ისტორიის ცოდნაზე. რა თქმა უნდა, გარკვეული პრაგმატიზმიც საჭიროა – ყველა შეფასება სქოლიოებს არ მოითხოვს – და ამ „პრინციპების" მიზანია დაგვანახოს, თუ როგორ შეიძლება მოვარგოთ მეცნიერული საკვლევი, პროექტის საჭიროებებს.

## *7. 2. ისტორიული კვლევა*

ისტორიული კვლევა იძლევა კონსერვაციის პრაქტიკული სამუშაოებისთვის საჭირო ინფორმაციას, მაგრამ მისი უფრო ფართო მიზანია, დაადგინოს შენობის არქიტექტურული და ისტორიული თვისებები. ცოდნის და გააზრების უფრო მაღალი დონე არ უნდა მიიჩნეოდეს რამ ზედმეტობად, იგი პროცესის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს.

ისტორიულ შენობებთან დაკავშირებული პროექტი, რომელიც არ იწყება ისტორიული კვლევით უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი. ისტორიული კვლევა ნათელს მოჰფენს ადგილისა თუ შენობის ისტორიის ან განვითარების მოწმობებს და მოგვაწოდებს ცნობებს მშენებლობის, შეტანილი ცვლილებების და გამოყენების შესახებ უადრესი დროიდან დღევანდელ დღემდე, ისევე, როგორც საინტერესო ინფორმაციას მასთან დაკავშირებულ ცალკეულ პიროვნებებსა და მოვლენებზე.

### 7. 2. 1. წყაროების გამოყენება

კვლევის დაწყების პირველი ნაბიჯი უნდა იყოს გაწაფული კონსულტანტის შერჩევა; ეს ნიშნავს წყაროების კარგად ცოდნას და მათგან მიღებული ინფორმაციის ამოკრების და წარმოჩენის გამოცდილებას.

წყაროების შერჩევა როგორც ღირსშესანიშნავი ადგილის რაობაზე, ისე წინადადებაზეა დამოკიდებული. უმეტესი კვლევები უნდა დაიწყოს უცნობილესი წყაროებიდან, როგორიცაა დაცვაზე აყვანის დოკუმენტაცია და ეტალონური ნაშრომები (მაგ. კოლვინი, 1995 წ., ან „პევზნერის არქიტექტურული მეგზური") და არსებული მეორადი წყაროები, კონკრეტული ადგილის ან ნაგებობის შესახებ, თუ ზოგადად ასეთი ტიპის ადგილების შესახებ.

ხშირად, ღირსშესანიშნავი ადგილების და ძეგლების აღნუსხვის ადგილობრივი სამმართველო შესაფერისი ადგილია კვლევის პროგრამების შემუშავებისათვის, რადგან იქაურმა თანამშრომლებმა კარგად იციან ადგილობრივი ღირსშესანიშნაობანი და ინფორმაციის წყაროები. ხშირად არსებობს ღირსშესანიშნავი ადგილის ექსპერტიზა და, ამდენად, მნიშვნელოვანია საქმიანობის დაწყებისთანავე კონტაქტის დამყარება იმ ადამიანებთან, რომლებიც ფლობენ გარკვეულ ინფორმაციას. ამის შემდგომ, კვლევა უნდა მიმდინარეობდეს შესაბამის არქივებში – ინგლისის ეროვნული მემკვიდრეობის ეროვნულ ძეგლთა ნუსხისა იქნება თუ ადგილობრივი აღმნუსხველი დაწესებულებისა – და ბოლოს კი სპეციალურ არქივებში. კვლევა არასდროს უნდა იყოს შეზღუდული ადგილობრივ მოძიებული მასალით, და როგორც ეს ხშირად ხდება, გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია შეიძლება მოიპოვებოდეს ეროვნულ არქივებში, რომელნიც ადრე ყურადღების მიღმა დარჩა.

ზოგადად, მუშაობა თავიდან კონცენტრირებული უნდა იყოს იმ წყაროებზე, რომლებიც ავლენს ღირსშესანიშნავი ადგილის ქსოვილის ისტორიის მოწმობებს როგორიცაა, რუკები, გეგმები, ფოტომასალა ან რაიმე სხვა ასახულობები. გარდა ამ წყაროებისა, არსებობს მთელი რიგი ცნობებისა, დაწყებული თავდაპირველი აქტებიდან, XX საუკუნის ნაგებობის არქიტექტორის ზეპირ მონათხრობამდე. ცნობების მიღებისთვის ყველაზე მძიმე პერიოდია (და ხშირად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იმ თვალსაზრისით, რომ გავიგოთ, თუ რა დაემართა შენობას მისი აგების შემდეგ) ბოლო სამოცდათხუთმეტი წელი, რადგან უმეტესი წყაროები ჯერ არ არის შესული არქივებში.

### 7. 2. 2. რუკის აღდგენა პირვანდელ მდგომარეობამდე

ბევრი პროექტისთვის დიდად სასარგებლო იქნება ღირსშესანიშნავი ადგილის რუკის პირვანდელი მდგომარეობის სრული აღდგენა. ეს გულისხმობს ყველა შესაფერისი რუკის ასლის მოგროვებას, დაწყებული ყველაზე ბოლო დროინდელი დიდი მასშტაბის ორდნანსის რუკებიდან (Ordnance Survey sheets), წარსულის ყველა პერიოდის რუკების მთელი წყებით დამთავრებული, იქნება ეს OS, Tithe ან მამულების რუკები. ეს რუკები აღდგენილი უნდა იყოს მათ თავდაპირველ მასშტაბში და გამოსახავდეს საკმარის არეალს ღირსშესანიშნავი ადგილის და მისი ლანდშაფტის იდენტიფიცირებისათვის. ასევე მათ

უნდა ახლდეს თხრობითი განმარტებები, რაც განსაზღვრავს თვალსაჩინო თავისებურებებს და შეიცავს კონტექსტუალურ და განმარტებით ინფორმაციას.

ასევე შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს რუკის შექმნა, სადაც ერთიან მასშტაბში იქნება გამოსახული ადგილის განვითარების საკვანძო ეტაპების ამსახველი ყოველი მომდევნო ფენა, რაც თავს მოუყრის რუკებიდან, დოკუმენტებიდან და ქსოვილიდან მოპოვებულ ინფორმაციას.

ძველი რუკები ცუდად ექვემდებარება აღდგენას. თუ ეს ნებადართულია, ამ რუკებზე (ან მათ ფოტო ასლებზე) შეიძლება ძალზე ფრთხილი კონტურების შემოვლება ისე, რომ კარგად გამოჩნდეს ხელით შესრულებული დეტალები, მაგ., ისინი, რომლებიც შესწორებებზე მიუთითებს.

### 7. 2. 3. ისტორიული სახებანი

ძალზე სარგოა ტოპოგრაფიული ან სხვა ნახაზები, გამოქვეყნებული ხედები და ისტორიული ფოტოსურათები. მათი მოპოვება შესაძლოა ძნელი იყოს, რადგან მრავალი იმ ადგილთაგანი, სადაც ისინია დაცული საზოგადოებრივ დაწესებულებებში არაა აღრიცხული. მათი მდებარეობის დადგენაზე დახარჯული დრო ფუჭად არ ჩაივლის, რადგან ეს გამოსახულებანი გვიხატავს თავდაპირველ კონტექსტს და მათ შეუძლია მოგვითხროს, როგორც შენობის დანიშნულებაზე და მასში შეტანილ ცვლილებებზე, ასევე ორიგინალის იდეოლოგიურ მიზანზე.

დასაწყისისთვის, ახლაც ყველაზე გამოსადეგია ტოპოგრაფიული კოლექციების ბარლის ცნობარი (ბარლი, 1974 წ.). შესაძლო წყაროები შეიცავს ცალკეული ძეგლების კვლევების ნაკრებს და „ეროვნული ძეგლების ნუსხის“ საძიებელს. ტოპოგრაფიული გამოსახულებანი ასევე ხელოვნებისა და ისტორიის ისეთ მუზეუმებში მოიპოვება, როგორიცაა ვიქტორია და ალბერტ მუზეუმი, ბრიტანეთის მუზეუმი და ნახაზების კოლექცია ბრიტანეთის არქიტექტურის სამეფო ინსტიტუტში (ყველაზე დიდი ამ სახის კოლექციებიდან გაერთიანებულ სამეფოში). საჭიროა სიფრთხილე მასალის გამოყენებისას, რომლის კოპირება სირთულეს არ წარმოადგენს და საავტორო უფლებების ნორმების დაცვა.

### 7. 2. 4. სხვა წყაროები

რაც უფრო ვაღრმავებთ კვლევას, მით უფრო მრავალფეროვანი წყაროები ხდება საჭირო. პირველი, ვისაც ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა მივმართოთ, იქნება ობიექტის ახლანდელი მფლობელი, ვისაც უნდა ჰქონდეს მფლობელობის უფლების დამამტკიცებელი დოკუმენტი. კვლევის დაწყებისას უპირველესი საქმეა, აღვადგინოთ ობიექტის მფლობელობის და იჯარის მარტივი ქრონოლოგია. ურბანულ კონტექსტში, გამოსადეგი იქნება გადასახადების სიები, ან საგადასახადო დავთრები. რაც შეეხება განსაკუთრებული დანიშნულების ნაგებობათა ტიპს, მათ სპეციალური წყაროები დასჭირდება (მაგ., რკინიგზის კომპანიის ჩანაწერები).

ძალზე სასარგებლოა სტანდარტული წესით გამოქვეყნებული მეორადი წყაროები, როგორიცაა საგრაფოს ცნობარები, გამოცემული ინგლისის ისტორიული ძეგლების სამეფო კომისიის (RCHME), ვიქტორიას საგრაფო ისტორიის და „ინგლისის ნაგებობათა“ სერიის მიერ, ისევე როგორც XIX-XX საუკუნეების პერიოდული გამოცემები, რომლებიც უშუალოდ არქიტექტურას ეძღვნება. წყაროების სრული სპექტრისთვის, მკვლევარმა ასევე უნდა მიმართოს პერიოდული ლიტერატურის მრავალრიცხოვან მიმოხილვებს, როგორიცაა *The Victorian Periodicals Newsletter.*

### 7. 2. 5. მითითებები

ყველა სახის წყაროები, იქნება ეს რუკები, ასახულობები, ისტორიული ფოტოები, საარქივო მასალა, თუ გამოქვეყნებული ლიტერატურა, უნდა მითითებული იყოს ბიბლიოგრაფიაში, ანგარიშის ბოლოს.

რუკებისათვის აუცილებელია ფურცლის ნომრის, გამოცემის თარიღის (თუ ისინი არ თანხვდება აგეგმვის თარიღს), მასშტაბის და წყაროს მითითება, ხოლო ასახულობებისთვის კი თარიღის, ავტორის და წყაროს მითითება. კვლევაში ნახსენები უნდა იყოს ნებისმიერი წყარო, რომლის არსებობა ცნობილია, თუნდაც რაიმე მიზეზის გამო რომელიმე არც იყოს გამოყენებული. სასარგებლოა, აგრეთვე, უშედეგო ძიებების აღნუსხვაც, რათა მომავალში დრო ტყუილად აღარ დაიკარგოს.

## *7. 3. აზომვა და ანალიზი*

იშვიათია, რომ მხოლოდ ისტორიული კვლევა იყოს საკმარისი კონსერვაციის სამუშაოებისთვის საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად. აუცილებელია ღირსშესანიშნავი ადგილს, ან ნაგებობის ქსოვილსაც დავუდოთ გული, რადგან, ბოლოს და ბოლოს, სწორედ ეს არის ის, რის შესანარჩუნებასაც ჩვენ ვცდილობთ საკონსერვაციო სამუშაოების წარმოებისას.

ნახაზები ყოველი ნაგებობის ანალიზის განუყოფელი ნაწილი და ისტორიული კვლევის აუცილებელი დანამატია.

კონსერვაციის პროექტების უმეტესობისთვის დიდად მნიშვნელოვანია ღირსშესანიშნავი ადგილის ისტორიული ქსოვილის ნახაზები და ანალიზი. როგორც ერთ-ერთი უძირითადესი საკომუნიკაციო საშუალება, ხაზვა სრულუფლებიანი აკადემიური დისციპლინაა, კარგად ჩამოყალიბებული წესებით, პირობითობით, მეთოდებით და ღირებულებებით. შენობისა და მისი ლანდშაფტის ანალიზისას აღნუსხული მასალის ნახაზის ხარისხი წარმოადენს სერიოზულ პროფესიულ საკითხს, ამასთანავე, ნახაზები და ასახულობანი ისევე ჩაძიებითაა შესამოწმებელი, როგორც პროექტის ნებისმიერი სხვა ასპექტი.

შეიძლება ხელით შესრულებული ჩანახაზიც იყოს, დეტალური ფოტოგრამეტრული გეგმილი თუ სხვა, ტექნიკურად რთული ანაზომი.

### 7. 3. 1. ჩანახაზები

ხელით შესრულებული ჩანახაზები ნაგებობის ანალიზის პროცესის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია. ღირსშესანიშნავი ადგილის პირველი მონახულებისას, ქვედა სართულის ან სახურავის გეგმა სასარგებლო *aide-memoire*-ა, რომელიც თან ახლავს სიტყვიერ ჩანაწერებს და წარმოაჩენს მკვლევარის მიერ ღირსშესანიშნავი ადგილის ძირითადი შესაცვლელი ელემენტების პირველად გააზრებას. თუ რაიმე მიზეზით ანალიზი აღარ გაგრძელდება, ისინი მაინც სასარგებლო საარქივო მასალა იქნება.

ჩანახაზები ვერ ჩაენაცვლება ანაზომებს, თუმცა, სპეციალისტს არ უნდა ეშინოდეს მათი გამოყენება იქ, სადაც ეს საჭირო აღმოჩნდება იმისთვის, რომ დასურათდეს დეტალები, ან ტექსტის სხვა საკამათო საკითხები.

### 7. 3. 2. მეტრული კვლევა

მეტრული კვლევა, უბრალოდ, იმას ნიშნავს, რომ ანაზომები გამოყენებული იყო ძირითადი აღსანუსხი დოკუმენტისთვის. თუ პროექტი მოითხოვს ნაგებობის მონაცემთა სრულ ნაკრებს, ან თუ საჭიროა არქიტექტორების, ინჟინრების, ან ხარჯთაღმრიცხველთა მოთხოვნილებების შესაფერისი ფიქსაცია, სავარაუდოა, რომ საჭირო გახდება ზედმიწევნითი გაზომვა. ეს შეიძლება სათანადო სპეციალისტს დავუკვეთოთ და განხორციელდეს განმეორებადი და ვერიფიცირებული მეთოდებით.

მეტრული კვლევის ძირითადი მეთოდებია გაზომვა გამოსახულებების მოშველიებით და საკუთრივ ნაგებობათა გაზომვა.

#### *გაზომვა გამოსახულებათა გამოყენებით*

გაზომვა გამოსახულებათა გამოყენებით გულისხმობს ვიზუალური გამოსახულებების მეშვეობით ხაზოვანი ნახატის, ან მასშტაბური გამოსახულებების შექმნას. გამოსახულებები შეიძლება ფოტოგრაფიული ან ციფრული ფორმატისა იყოს. პროდუქციას შეიძლება ჰქონდეს დოკუმენტური ფოტოსურათის, ხაზოვანი ნახატის, სამგანზომილებიანი ციფრული მოდელის, ორთოფოტოგრაფიის, ან პერსპექტიული ხედის ფორმა. გაზომვა გამოსახულების გამოყენებით ეკონომიურია თუ გვაქვს დიდი ობიექტის ფართო, თავისუფალი ხედი, ისეთი, როგორიც ექსტერიერის კედელია. თავად გამოსახულებაც მნიშვნელოვანი საარქივო დოკუმენტია. არსებობს გამოსახულებათა გამოყენებით გაზომვის სამი ყველაზე გავრცელებული მეთოდი:

1. *რექტიფიცირებული ფოტოგრაფია,* სადაც გასწორებულია (ანუ რექტიფიცირებულია) ფოტოგრაფირებისას გაჩენილი საგნის მასშტაბისა თუ დაყენების ცდომილება. რექტიფიცირებული ფოტოგრაფია შედარებით სწრაფი და მარტივია და გამოიყენება მაშინ, როდესაც საგანი ბრტყელია და დიდი რაოდენობის დეტალებს შეიცავს. იგი ნაკლებად გამოდგება იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი ბრტყელი არ არის.

2. *ფოტოგრამეტრია* ზუსტი აზომვისა და ნახაზების შესრულების მეთოდია სტერეო (ან ერთმანეთზე დადებული) ფოტოსურათებიდან. მონაცემები დაფიქსირებულია სამ განზომილებაში, ანუ, სიღრმეში (ან Z სიდიდეში). ფოტოგრამეტრია დიდი ფართობის (როგორიცაა შენობის მთელი ფასადი, რომელიც შეიცავს უამრავ დეტალებს) ხაზობრივი გამოსახულების შექმნის ყველაზე ეკონომიური მეთოდია. რადგან საბოლოო მიზანს კომპიუტერის დახმარებით შექმნილი პროექტის ნახაზი CAD (Computer-Aided Design) წარმოადგენს, იგი ადვილად შეიძლება იყოს კორექტირებული საბოლოო მომხმარებლის მიერ. ფოტოგრამეტრია გამოუსადეგარია პატარა, დახურულ სივრცეებში.

3. *ორთოფოტოსურათები* ციფრული ფოტოგრამეტრიის პროდუქტია. ეს ორგანზომილებიანი ფოტოსურათებია, სადაც მასშტაბის შეცდომები შესწორებულია ერთიანი მასშტაბით მთელ გამოსახულებაზე, მიუხედავად ობიექტის რელიეფისა, ან სხვადასხვა პლანზე გაშლისა. ორთოფოტოსურათები გამოსადეგია იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი მეტისმეტად სამგანზომილებიანია იმისთვის, რომ რექტიფიცირებული ფოტოგრაფია იყოს გამოყენებული.

სერიოზული პრობლემები შეიძლება შეიქმნას იმ გეგმილებთან დაკავშირებით, რომლებიც ისტორიული შენობების, ან ლანდშაფტების გამოსახულებების გამოყენებითაა შექმნილი. ისინი განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როდესაც ისინი შედგენილია ადგილიდან მოშორებით გამოუცდელი ადამიანის მიერ, რომელსაც ნაკლებად ესმის ისტორიული შენობებისა და ლანდშაფტების განსაკუთრებული მოთხოვნები.

### *ღირსშესანიშნავი ადგილის გაზომვა*

ეს არის გაზომვის ზოგადი განმსაზღვრელი ტერმინი, რომელიც ტარდება ველზე, უშუალოდ ღირსშესანიშნავ ადგილსა, ან ნაგებობაზე. მონაცემები შეიძლება მოვიპოვოთ ხელის ამზომი ედა-ს (ელექტრონული დისტანციური ამზომი) (EDM – Electronic Distance measurement) საშუალებით. მათ შეიძლება დაემატოს გამოსახულებების გამოყენებით გაზომვისას მიღებული მონაცემებიც, ჩვეულებრივ, CAD-ის გამოყენებით. ღირსშესანიშნავი ადგილის გაზომვის მეთოდი განსაკუთრებით ხელსაყრელია შეზღუდული სივრცეების, ან რთული დეტალების შემთხვევაში, სადაც ვერ გამოვიყენებთ უფრო დისტანციურ მეთოდებს და ჩვენ ობიექტთან ისე მიახლოებაც შევძელით, რომ მოგვეცა ყველა დეტალის უფაქიზესად გადმოცემის საშუალება. **ძირითადი მეთოდებია:**

1. *ედა (EDM) გაზომვა:* ედას ხელსაწყოს გამოყენებით ხედვის ჰორიზონტალიდან პირდაპირ ობიექტზე დამიზნებით გაზომვის მეთოდი. მონაცემები აღებულია დაშორების გაზომვით, ჰორიზონტალური და ვერტიკალური კუთხეებით რეფლექტორის მიმართ, რაც იძლევა საკმაოდ ზუსტ ზომებს. ედა სწრაფი და ზუსტია, მაგრამ მოითხოვს სპეციალისტისგან ველზე აღსანუსხი მონაცემების შერჩევას: ეს არ არის ყველა მონაცემთა დაფიქსირების მეთოდი, მსგავსად ფოტოგრამეტრიისა და ლაზერული სკანირებისა.

2. *უედა (REDM):* (Reflectorless Electronic Distance Measurement) იყენებს იმავე პრინციპებს, მაგრამ იმუშავებს 5-200 მ მეტ მანძილზე რეფლექტორის გარეშე; მისი უპირატესობა მიზანში ამოღების სისწრაფეში და დიდ მანძილზე დამიზნებაში მდგომარეობს.

3. *ხელით აზომვა:* გულისხმობს ადგილზე ხელით შესრულებულ ნებისმიერ ფიქსაციას რულეტის, ან სხვა ხელსაწყოს გამოყენებით. ხელით აზომვა მოითხოვს უშუალო კონტაქტს შენობასთან, რაც იძლევა ნაგებობის უკეთესად აღქმის და დეტალებზე ყურადღების გამახვილების შესაძლებლობას, რაც ძნელად მისაღწევია სხვა მეთოდების გამოყენებისას. ხელით აზომვა საშუალებას იძლევა გაკეთდეს ზუსტი, დეტალური ნახაზი, მინიმალური ოდენობის ხელსაწყოების გამოყენებით. ჩანახაზები შეიძლება გაკეთდეს ადგილზე, ზომების მითითებით, ან შეიძლება ველზე გაკეთდეს ანაზომების ნახაზები. ეს უკანასკნელი ნელი მეთოდია, მაგრამ უფრო სანდოა, რადგან ნებისმიერი შეუსაბამობა მაშინვე შეიძლება შემოწმდეს.

გაზომვის მეთოდის სანდოობა დიდწილად განპირობებულია რეზიუმესა თუ სპეციფიკაციის ხარისხითა და სპეციალისტის ცოდნითა თუ გამოცდილებით. რეზიუმე უნდა განმარტავდეს, თუ როგორ და ვის მიერ უნდა იყოს მონაცემები გამოყენებული, ისე რომ კონტრაქტორი შეძლებს წინასწარ განჭვრიტოს მოსალოდნელი ტექნიკური შეზღუდვები. ადგილზე უკეთესია რაც შეიძლება მეტი მონაცემი იყოს დაფიქსირებული, ვიდრე მოგვიხდეს მოგვიანებით, საალბათოდაც, რედაქტირების დროს რისამე მიმატება.

დიდი პროექტების შემთხვევაში, სასურველი შედეგის მისაღწევად, აუცილებელია, გაზომვის რამდენიმე მეთოდის ერთად გამოყენება. ამ დროს გამოიყენება კონტროლის ზოგადი სისტემა GPS (Global Positioning System – საერთო რეგულირების სისტემა). CAD შეიძლება თავიდანვე გამოვიყენოთ, მონაცემების სხვადასხვა წყაროებიდან თავმოყრის მიზნით. და კვლავ, ასეთი პრობლემები რეზიუმეში უნდა იყოს გათვალისწინებული. მნიშვნელოვანია განვჭვრიტოთ, თუ როგორ შეეთავსება ერთმანეთს სხვადასხვა მეთოდი, განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმეში ერთზე მეტი კონტრაქტორია ჩართული და გაზომვა დიდი დროის მანძილზე ტარდება.

### *7. 3. 3. მეტრული კვლევის დასრულება*

თუ ნახაზი შესრულებულია ადგილიდან მოშორებით (მაგ., ჩანახაზებიდან, ან გამოსახულებათა გამოყენებით გაზომვის მონაცემების მიხედვით), აუცილებელია მისი დასრულება ადგილზე, შენობის პირისპირ, ყველა დეტალის შესავსებად და შესამოწმებლად. სადაც ქსოვილის სრული ანალიზია საჭირო, სამუშაოს დასასრულებლად უნდა შემოწმდეს ყველა ნაკერი და გვქონდეს ინფორმაცია ყველა სამშენებლო ცვლილების თაობაზე.

სამუშაოს დასრულება უნდა განახორციელოს სპეციალისტმა, ვინც კარგად იცნობს ისტორიული ნაგებობების ნახაზებს, საამისო ხარჯები კი ქსოვილის აღნუსხვის საფასურის განუყოფელ ნაწილად უნდა იქნეს მიჩნეული. თუ დასრულება გაკეთდება ხელით კომპიუტერით შესრულებულ ნახაზზე, საჭირო გახდება ახალი ინფორმაციის ციფრული ვერსიის შექმნა, კომპიუტერის ფაილის გასაახლებლად. დაუსრულებელი ნახაზები, რომლებიც არ იყო შემოწმებული ადგილზე, ანგარიშში მისაღები არ არის.

თუ არსებობს ხარაჩოების აუცილებლობა, ქსოვილის ამსახველი ნახაზები არ შეიძლება დასრულებულად მივიჩნიოთ, სანამ იგი არ იქნება შემოწმებული ადგილზე ხარაჩოებიდან.

### 7. 3. 4. რა ოდენობის დეტალებია საჭირო?

ქსოვილის აღმნუსხველ ნახაზებში დეტალიზების დონე დამოკიდებულია ნაგებობის რაობაზე და ნახაზის საბოლოო მიზანზე. ქსოვილის სრულად აღმნუსხველი ნახაზი უნდა შეიცავდეს ნაგებობის ფასადებს, ყოველი სართულის და სახურავის გეგმებს და შენობის შესაბამის ჭრილებს. შიდა ხედები საჭიროა მაშინ, როდესაც იგეგმება დიდი სამუშაოების ჩატარება ინტერიერში. თუ აუცილებელია ქსოვილის სრული აღნუსხვა, ისეთი რაოდენობის დეტალები უნდა იყოს თავმოყრილი, რომ საბოლოო ნახაზები შეგვეძლოს შევასრულოთ 1:50 მასშტაბში, ხშირად კი 1:20; ხოლო ხის ნაკეთობების და მოდელირებული პროფილებისა კი 1:1.

კვლავაც კამათობენ იმის თაობაზე, არის თუ არა საჭირო აგურის რიგების, ცალკეული ქვების ან სხვა დეტალების გამოხაზვა. ზოგადად, ასეთი ნახაზები შეიძლება გამართლებული იყოს იქ, სადაც

- შენობა არის გარკვეული მნიშვნელობის მქონე რთული, მრავალეტაპიანი ნაგებობა, სადაც სხვადასხვა ეტაპი ნათლად გაირჩევა ქვის წყობით და ვერ ხერხდება სხვანაირად
- მონაცემები ხელმისაწვდომია ახლა (მაგ., თუ შენობა ხარაჩოებშია), ან შეიძლება მომავალში დაიკარგოს (გადალესვისას, ნაგებობის დაშლისას).

ფოტოსურათები ხშირად გამოიყენება დეტალების ნათელსაყოფად.

პროექტის რეზიუმეში განსაზღვრული უნდა იყოს საჭირო დეტალების რაოდენობა. გაზომვის მეთოდის არჩევანი შეიძლება მითითებული იყოს რეზიუმეში, ან იყოს კონტრაქტორის გადასაწყვეტი, პროექტიდან გამომდინარე.

### 7. 3. 5. ანალიტიკური ნახაზები

შეუძლებელია ჩაწვდე ისტორიული ნაგებობის არსს მხოლოდ დოკუმენტური ნახაზების საფუძველზე. ანალიტიკური დოკუმენტური ნახაზები სინთეზური, განმარტებითი ნახაზებია, რომელთა მიზანია, გამოავლინოს შენობის ქრონოლოგია. ასეთი ნახაზები „ანალიტიკურია," რადგან ისინი მოითხოვს ქსოვილის მონაცემთა კრიტიკულ შეფასებას, ხოლო „სინთეზურია" იმიტომ, რომ ხშირად ისინი შეთავსებული ნახაზებია, თავს უყრის მთელ რიგ არქიტექტურულ და არქეოლოგიურ ინფორმაციას. ღირსშესანიშნავი ადგილის ანალიზის ძირითადი მეთოდები წარმოდგენილია ქვემოთ, ნაწილში 7.4.

ანალიტიკური ნახაზები, ჩვეულებრივ, კეთდება კამერალურად და მათი მიზანია, სხვა ყველაფერთან ერთად, დააფიქსიროს ნაგებობის მშენებლობის ფაზები. ისინი ავლენს ნაგებობის ხედვას სპეციალისტის მიერ და იძლევა შესაძლებლობას შემოწმდეს ჰიპოთეზები მისი განვითარების შესახებ.

ანალიტიკური ნახაზები შეიძლება შეიცავდეს:

- ფაზურ გეგმებს: მასშტაბში შესრულებული გეგმები, სადაც ნაჩვენებია შენობის განვითარების თითოეულ ფაზაში არსებული, ახალი და სავარაუდო ნაშენობა. ყოველ ცალკეულ ფაზაში ნახაზები ასახავს, თუ რა არის ახალი და რა შემორჩა წინა ფაზიდან. გაერთიანებული ფაზების გეგმები შეიძლება არასპეციალისტებისთვისაც საინტერესო იყოს.
- სამგანზომილებიან რეკონსტრუქციებს: რომელიც აჩვენებს, თუ როგორ გამოიყურებოდა ნაგებობა მისი ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე. რეკონსტრუქციის ნახაზები, ჩვეულებრივ, ეყრდნობა პერსპექტიულ ხედებს, ან შენობის აქსონომეტრულ/იზომეტრულ პროექციას.
- ჭრილების ნახაზებს: ჭრილის სამგანზომილებიანი ნახაზები, ინტერიერის დამახასიათებელი ნიშნების (მაგ., იატაკები, სახურავის კონსტრუქცია), ან მოწყობილობის გამოსავლენად.

როგორც წესი, შენობის ნახაზი კეთდება მასშტაბში და შეიცავს მნიშვნელოვან ელემენტებს, როგორიცაა ფანჯრები და კარები, თუნდაც მხოლოდ კონტურების სახით. დაშტრიხულ ნახაზში, გრაფიკული გამოსახვის ხერხებმა (მაგ., სამშენებლო მასალის გარეგანი სახის ზუსტი კოპირება) შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს, ამიტომ ისინი ძალზე ძუნწად, ან სულაც არ უნდა გამოვიყენოთ. კონტურების გავლებამ (ანუ, სქელი ხაზის გამოყენება ცალკეული ნაწილების გამოსაკვეთად) შეიძლება სასურველი ეფექტი გამოიღოს, ნახაზში მეტ მკაფიოებას შემოიტანს, მას მოცულობითობას და წონას მიანიჭებს.

ასახული ინფორმაციის ოდენობა დამოკიდებულია ნახაზის მიზანზე. მაგალითად, ჭრილების ნახაზებში შეიძლება ასახული იყოს ოთახების განლაგება, იატაკის დონეების ცვალებადობა, კიბეების განთავსება და საცხოვრებელი და დამხმარე სივრცეების ორგანიზება თუ გეგმარება. ასეთი ნახაზები განმარტავს, თუ საიდან უნდა მიუდგე შენობის სხვადასხვა ნაწილს და როგორ არის გამოყოფილი საცხოვრებელი ოთახები დამხმარე სათავსოებისგან და შესასვლელისგან.

ნაგებობის მკვლევარმა უნდა დაიწყოს სამუშაო ანალიტიკური ნახაზების შედგენა, როგორც კი მუშაობას შეუდგება და გააგრძელოს მათი განახლება, კვლევის პროცესში მიღებული ახალი ინფორმაციის საფუძველზე, რამდენადაც სრულიყოფა შენობის ინტერპრეტაცია.

ლანდშაფტებისთვის გამოიყენება დაშტრიხული ნახაზები, მსგავსად ნახაზებისა, რომლებიც მომზადებულია ინგლისის ისტორიული ძეგლების სამეფო კომისიის მიერ (RCHME), სადაც ასახულია მიწის ნაგებობები და ისეთი დეტალები, როგორიცაა შუა საუკუნეების მიტოვებული სოფლების, მაღაროების ნაშთები ან ხელოვნური ლანდშაფტები. ასეთი ნარჩენების დანახვა შეიძლება ძალზე რთული იყოს, თუ არა სპეციალისტის გამოცდილი თვალისთვის, ამიტომ მათი გამოვლენა და განმარტება დამოკიდებულია მკვლევარის ოსტატობასა და გამოცდილებაზე და ღირსშესანიშნავი ადგილის ტიპის ცოდნაზე. ნაკლებად სავარაუდოა, რომ გამოსახულებათა ანალიზზე დამყარებული კვლევის ყველაზე ზუსტ მეთოდს (მაგ., ორთოფოტოგრაფით შესრულებული კონტურები) შეუძლია მოგვაწოდოს იმ დონის ინტერპრეტაცია, როგორც ეს საველე ნახაზებს შეუძლია.

### 7. 3. 6 აღწერა

ისტორიული ქსოვილის წერილობითი აღწერა ავსებს ქსოვილის ნახაზების ინფორმაციას და ასევე გვაძლევს თავდაპირველ მონაცემებს ქსოვილის ანალიზისთვის. არსებობს განსხვავება ქსოვილის აღწერასა, რომელიც გამოიყენება მდგომარეობის შემოწმებისას და იმ ტექსტს შორის, რომელიც ქსოვილის ისტორიის ინტერპრეტაციას წარმოადგენს. აღწერის შედგენისას თვალნათლივი ფაქტები (მაგ., რომ კედელი აგებულია აგურის წყობის ფლამანდიური შეკვრით) მათი განმარტებებისაგან უნდა განვასხვავოთ. აღწერა მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ენა ზუსტი და ლაკონიური უნდა იყოს, ლექსიკა ტექნიკურად გამართული და, თუ საჭიროა, ტერმინების განმარტებებიც უნდა დავურთოთ.

აღწერა, რომელსაც არ ახლავს ასახულობები, ფოტომასალა ან სხვადასხვა ფაზების ნახაზები, რთული წასაკითხია და კომუნიკაციას ნაკლებად წაადგება.

### 7. 3. 7 ფოტოგადაღება

ფოტოსურათები აფიქსირებს ნაგებობის გარეგნულ სახეს დროის კონკრეტულ მომენტში და, აქედან გამომდინარე, ფასდაუდებელ დოკუმენტს წარმოადგენს. ზოგადი ფოტოგრაფირება ყოველთვის უნდა ჩატარდეს ნებისმიერი ანალიზის საწყის ეტაპზე. ის უნდა გაგრძელდეს შეკეთების და ცვლილებების შეტანის სამუშაოების თანადროულადაც. აუცილებელია ფოტოსურათების დათარიღება, მათზე წარწერის გაკეთება და ნეგატივების ინდექსირება. თუ შესაძლებელია, გამოყენებული უნდა იყოს მასშტაბი.

ქსოვილის ანალიზისათვის ძირითად მოთხოვნას საშუალო და დიდი ზომის როგორც ფერადი, ისე შავ-თეთრი ფოტოსურათების გადაღება წარმოადგენს. ჩვეულებრივ, საჭირო ხდება ზოგადი ხედების, ოთახების ხედებისა და არქიტექტურული და არქეოლოგიური დეტალების ამსახველი ფოტოსურათები. დღევანდელ დღეს, ჩვეულებრივი ვიდეო და ციფრული ფოტოაპარატები ვერ გვთავაზობს გამოსახულების ხარისხს, რასაც ფოტოაპარატები იძლევა. მიუხადავად იმისა, რომ ზოგიერთი კუთხით მათ გარკვეული უპირატესობები აქვს – მაგ., შეგიძლია „ატარო“ მაყურებელი მთელ შენობაში – მათი გამოყენება ნაგებობის ანალიზში საკმაოდ შეზღუდულია. ქსოვილის ანალიზის, ან ადგილზე მუშაობის პროცესში ხელთ უნდა გვქონდეს ისტორიული გამოსახულებების ან რუკების ფოტოსურათების და რეპროდუქციების მთელი კრებული და ისინი უნდა დარჩეს ადგილზე შემდგომი მოხმარებისთვის.

აეროფოტოგრაფია ისტორიული შენობებისა და ლანდშაფტების კვლევის ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს. აეროფოტოსურათები იძლევა მთელი მიდამოს, ან კომპლექსის ერთიან ხედს, რაც საშუალებას გვაძლევს ჩავსვათ კონკრეტული ნაგებობა ან დეტალი შესაბამის კონტექსტში და ნათელვყოთ მთელის მნიშვნელობა. მათ უამრავი ინფორმაცია მოაქვს გამოსახულებაში, განსაკუთრებით რთული კომპლექსების შემთხვევაში და ხშირად ასახავს ისეთ დეტალებს, როგორიცაა სახურავები, რომლის დანახვა მიწიდან შეუძლებელია.

## *7. 4. ანალიტიკური მოდელები*

ეს ნაწილი განმარტავს ინტელექტუალურ მოდელებს, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ღირსშესანისნავი ადგილების და ნაგებობების განვითარების წარმოსაჩენად. ფაზებად დაყოფა, დანომრვა, ტიპოლოგია და გეოგრაფიული მონაცემები ან სივრცეთა მონაცემთა სქემები, ის მიდგომებია, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ნაგებობაზე განცალკევებულ დაკვირვებათა სტრუქტურირებისთვის. ანალიზის წინწასაგდებად ყველაფერი შეიძლება გამოვიყენოთ, მონაცემთა შეგროვებით დაწყებული, მათ განმარტებამდე.

### 7. 4. 1. ფაზებად დაყოფა

"ფაზებად დაყოფის" საშუალებით ვაჩვენებთ, თუ როგორ შეიცვალა შენობა ან ღირსშესანიშნავი ადგილი დროთა განმავლობაში. ცვლილებათა მოწმობანი შეჯგუფებულია ლოგიკურად თანმიმდევრულ დროით ერთეულებად (ან ფაზებად). ამის გასაკეთებლად საჭიროა, გავიაზროთ ცვლილებათა ურთიერთთანმიმდევრობა და, თუკი შესაძლებელია, ეს თანმიმდევრობა დავაკავშიროთ აბსოლუტურ თარიღებთან, *terminus ante quem* და *terminus post quem* კონცეპციის მეშვეობით.

შენობის ან ლანდშაფტის ცვლილებათა ურთიერთთანმიმდევრობა, უბრალოდ, იმაზე დაკვირვებაა, თუ როგორი მონაცვლეობით ხდებოდა შენობაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა. აბსოლუტური თარიღი არის ის, რაც უტყუარად, დამოუკიდებლად მტკიცდება. საბუთებიც არსებობს. ნაგებობის სწორად აღქმისთვის ორივეა საჭირო. ხის მასალას შეიძლება ჰქონდეს აბსოლუტური დენდროქრონოლოგიური თარიღი, მაგრამ შენობის შედარებითმა ქრონოლოგიამ უნდა განსაზღვროს იყო თუ არა ეს მასალა ხელმეორედ გამოყენებული და როგორ უკავშირდება მისი თარიღი განვითარების თანამიმდევრობას.

ფაზებად დაყოფა არქეოლოგიური გათხრებისას სტრატიგრაფიული ანალიზიდან წარმოდგება, სადაც სრული სტრატიგრაფიული ანალიზი, ჩვეულებრივ, გულისხმობს ელემენტების ნუმერაციას და სტრატიგრაფიული მატრიცების შექმნას, რაც განსაზღვრავს ადგილზე აბსოლუტურ და შედარებით კავშირებს. ღირსშესანიშნავი ადგილის ფაზებად დაყოფა უნდა აისახოს ან ყოველი ფაზის გეგმის სახით, ან სამგანზომილებიანი ნახაზების ფორმით.

### 7. 4. 2. დანომრვა

დანომრვა, როგორც ანალიზის პროგრამის ნაწილი, მონაცემთა შენახვისა და მოპოვების სასარგებლო ხერხია. ზოგ ვითარებაში საჭირო ხდება შენობის შემადგენელი ელემენტების დახარისხება და დანომრვა. მაგალითად, ვნომრავთ და აღვწერთ ფანჯრებს, კარებს, კედლებს ან „მოვლენებს", როგორიცაა, მაგ., შენობაში შეტანილი ცვლილებები. ეს მეთოდი სასარგებლოა მაშინ, როდესაც შენობის ანალიტიკოსი ძალზე დეტალიზებულ სტრატიგრაფიულ ანალიზს ატარებს. დეტალების დანომრვა შეიძლება აგრეთვე გამოვიყენოთ ნაგებობის თუ ნაშენის მონაცემთა ბაზის შესაქმნელად, სადაც გაერთიანებული იქნება სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებისგან (მაგ., ინჟინრები, კედლის საღებავის ანალიტიკოსები, არქიტექტორები) მოპოვებული ინფორმაცია. მსგავსი მიდგომა გამოიყენება ლანდშაფტის აღწერისა და ანალიზისას, თუმცა ლანდშაფტების დეტალური სტრატიგრაფიული ანალიზი ნაკლებადაა გავრცელებული.

დანომრვის წარმატება დამოკიდებულია დასანომრი ერთეულების ფაქიზად ამორჩევაზე, სპეციალისტების შეთანხმებაზე, გამოიყენონ საერთო სისტემა და დანომრვის თანამიმდევრულობაზე. მოდელად შეიძლება გამოდგეს საგნების ცალკეული სახეობების დანომრვის შეთანხმებული სტანდარტი, ისეთი, როგორიც *Corpus Vitrearum*-შია გამოყენებული.

სისტემები, რომლებიც გულისხმობს ცალკეული ერთეულების აღნუსხვას, გამოსადეგია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემდგომი ინფორმაცია მთელი ნაგებობის, ადგილის, ან კომპლექსის გააზრებაში იყრის თავს. არსებობს საშიშროება ასეთი სისტემების უკრიტიკოდ გამოყენებაში, დეტალების კატალოგიზაცია შეიძლება თვითმიზანი გახდეს და იმდენი დეტალი დაგროვდეს, რომ შეუძლებელი იქნება ინფორმაციის გაერთიანება მთელის გააზრებლად, რაც უნდა იყოს მსგავსი სამუშაოს საბოლოო მიზანი. ღირსშესანიშნავი ადგილის ცალკეული ელემენტების იზოლირებულად აღნუსხვა, ჩვეულებრივ, არ არის გამოსადეგი ნაგებობის ანალიზისას.

### 7. 4. 3. ტიპოლოგია

კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც წარმატებით გამოიყენება ცალკეული ნაგებობების, ან ღირსშესანიშნავი ადგილების შესწავლისას, არის ტიპოლოგია.

ტიპოლოგიის დადგენა გულისხმობს თავისებურებეთა ერთი ტიპის შესწავლას (პროფილები, კარების ფურნიტურა ან ფანჯრები, ან, შესაძლოა, რომელიმე ცალკეული სამშენებლო მასალა) იმის დასადგენად, გამოიყოფა თუ არა ცალკე ტიპები და აქვთ თუ არა ამ ტიპებს რაიმე აზრი. ლანდშაფტებისთვის მნიშვნელოვანია მოზღუდვის, მასალების ან ბაღების თავისებურებათა ტიპოლოგიის დადგენა. ტიპოლოგიამ შეიძლება გამოავლინოს თარიღთა თანმიმდევრობა, ნამუშევრები რთულ ინტერიერში, ცალკეულ არქიტექტორთა ნახელავი, მასალათა წყარო, ან საზოგადოებრივი სივრცეების იერარქია. ხის კარკასთა და ხის ხელობის ისტორიული სამუშაოების ჩვენეული გააზრება, უმეტესწილად, ტიპოლოგიას ემყარება. იგი დიდ დახმარებას გვიწევს კვლევის ორგანიზებაში და გვარიდებს გამეორებებს, მაგრამ შეიძლება არგუმენტაცია ჩაკეტილ წრეშიც შეამწყვდიოს. სადაც შესაძლებელია, ტიპოლოგია დამოუკიდებელ მტკიცებულებებთან უნდა იყოს დაკავშირებული.

მობათქაშებისა და კირის ხსნარის შემთხვევაში, ვიზუალური ტიპოლოგიაც საკმარისია. ესენი, ჩვეულებრივ, არ რეაგირებს ქიმიურ ანალიზზე, ისევე როგორც არც ნაწილაკების ზომის ანალიზი იძლევა რაიმე შედეგს. მასალები, რომლებიც კარგად რეაგირებს ტიპოლოგიურ მიდგომაზე არის აგურის

ან კერამიკის სამშენებლო ქსოვილი, ქვის პროფილები და პეტროლოგია, შუშა, ლითონის ნაკეთობანი, ჩანაშენები დეტალები თუ გამართულობა.

### 7. 4. 4. სივრცეთა მონაცემთა სქემები და გეოგრაფიული ცნობარი

ხანდახან სასარგებლოა ისე გადმოვცეთ ცნობები ნაგებობისა და ლანდშაფტის შესახებ, რომ იგი არასპეციალისტისთვისაც იყოს გასაგები. მაგალითად, ინჟინერ-მექანიკოსისა ან ელექტრიკოსისთვის შეიძლება სასარგებლო იყოს, ჰქონდეს ინფორმაცია იმ შენობის გარემოზე, სადაც იგი მუშაობს და ამისთვის მას არ დასჭირდეს მთელი დოკუმენტაციის გაცნობა. ამგვარად შედგენილი ინფორმაციით ლანდშაფტის მენეჯერებსაც შუუძლიათ ისარგებლონ.

სივრცეთა მონაცემთა სქემები ინფორმაციის ორგანიზების საგულისხმო ხერხია, რომელიც ეყრდნობა ყოველი ცალკეული მონაკვეთის, ან ცალკეული სივრცის შესწავლას. ისინი ყველაზე მეტად შეეფერება დიდ, რთულ ნაგებობებს, სადაც უკვე გამოიყენეს დანომრვის სისტემა, ან მენეჯმენტის სხვა სისტემები. ყოველი ცალკეული სივრცისთვის მონაცემთა სქემამ უნდა განსაზღვროს ძირითადი კომპონენტების – იატაკი, ჭერი, კედლები, ღიობები, ხის ხელობა, ჩანაშენები დეტალები, გამართულობა და ისტორიული საყოფაცხოვრებო მოწყობილობები – თარიღი და რაობა. სადაც შესაძლებელია, ინფორმაციას თან უნდა ერთვოდეს მითითებანი ლიტერატურაზე. მონაცემთა სქემები შეიძლება საჭიროებისამებრ გავრცობილი იყოს. მათ უნდა გვიჩვენოს, პოტენციურად მოსაფრთხილებელი მონაკვეთები (მაგ. ახლებური კაზმულობის ქვეშ წინანდელი დაფერვის არსებობა), ან მიგვანიშნოს შესატყვის წყაროებზე (მაგ., საჭირო ფოტოსურათებზე). შემდგომი ინფორმაცია სივრცეთა შესახებ დაემატება მაშინ, როდესაც იგი ხელმისაწვდომი გახდება – მაგალითად, არქიტექტურის დაფერვის კვლევის შედეგად. ასევე უნდა შედგეს სახურავების, დამატებითი სივრცეების, ფასადების და ნაგებობის სხვა ასპექტების მონაკვეთების მონაცემთა სქემები.

გეოგრაფიული ცნობები მსგავსი მეთოდია, რომელიც გამოიყენება ლანდშაფტის ფიქსაციისა და ანალიზის დროს. ყოველი ცალკეული ერთეულის განხილვა უნდა იწყებოდეს შესავლით, სადაც ასახული იქნება ლანდშაფტის თავისებურებების ისტორია, აღწერა და მითითება მის მნიშვნელოვნებაზე. შესავალი უნდა დაერთოს მონაცემთა რუკას და ფოტოებით იყოს დასურათებული.

სივრცეთა მონაცემთა სქემებისა თუ გეოგრაფიული ცნობების მნიშვნელოვანი კონტექსტი, ან ელემენტები სხვადასხვანაირად შეიძლება განისაზღვროს. პირველმა ცდამ, შესაძლოა, მიახლოებითი შედეგები გამოიღოს, მაგრამ რაც უფრო მეტი ინფორმაცია მოგროვდება, იგი ძირითად სტრუქტურას დაემატება.

სივრცეთა მონაცემთა სქემები, უბრალოდ, ღირსშესანიშნავი ადგილის შესახებ ფართო გააზრებით მოპოვებული ინფორმაციის ორგანიზების საშუალებაა, სადაც შედის ტიპოლოგია, ფაზებად დაყოფა და ისტორიული მოწმობანი. ისინი თვითმიზანს არ წარმოადგენს.

## *7. 5. სპეციალური კვლევა*

ღირსშესანისნავი ადგილის ან ნაგებობის გააზრება სხვადასხვა სპეციალური კვლევების საფუძველზე ყალიბდება. ამ ნაწილში უფრო დეტალურადაა განმარტებული, თუ რას გულისხმობს ყოველი ცალკეული მეთოდი.

ჩვეულებრივ, ამ ტიპის სამუშაოების დაკვეთას დიდი აზრი არ აქვს, ვიდრე ქსოვილი არ არის შეფასებული და განაალიზებული. ყველა შემთხვევაში, ღირსშესანიშნავ ადგილზე საცდელი მონაკვეთების შერჩევისას და შედეგების ინტერპრეტირებისას ანალიტიკოსმა და სპეციალისტმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ.

### 7. 5. 1. არქიტექტურის დაფერვის კვლევა

არქიტექტურურის დაფერვის კვლევა ნაგებობის ანალიზის ნაირსახეობაა, რომელიც გულისხმობს საღებავის ერთმანეთზე დაშრეული ფენების თუ სხვა მოსაპირკეთებლების მიკროსკოპულ ანალიზს. მისი ჩართვა დოკუმენტაციაში დაგვანახებს გემოვნების, საღებავთა ტექნოლოგიის, გამოყენების ცვლილებებსა თუ შენობის გადაკეთებებს.

მსგავსად კდკა-ს ყველა მეთოდისა, იგი დისციპლინათაშორისია და ემყარება არქეოლოგიის, არქიტექტურის ისტორიის, შენობის ანალიზის სხვა განხრების და დენდროქრონოლოგიის დოკუმენტური კვლევის შედეგად მიღებულ ინფორმაციას. ხშირად იგი კდკა-ს სხვა ფორმებთან პარალელურად მიმდინარეობს. მას სტრატიგრაფიული თანამიმდევრობის გამოვლენის უზარმაზარი პოტენციალი აქვს, რაც მთელ ნაგებობასთან კორელაციის დადგენის საშუალებას იძლევა.

ამ ტიპის სამუშაო უნდა დაევალოს სპეციალისტს, რომელსაც ხელი მიუწვდება სათანადო აღჭურვილობაზე და საკმარისი გამოცდილებაც აქვს, გამოიყენოს არქიტექტურის დაფერვის კვლევა ისტო-

რიული ნაგებობის კონტექსტში. მან უნდა იცოდეს არქიტექტურის ისტორია და ნაგებობების არქეოლოგია ისევე, როგორც მას უნდა ესმოდეს ფერის გამოყენება და განვითარება ისტორიულ შენობებში და მასალების ქიმიური ანალიზი. „საღებავის ჩამოფხეკის" უფრო ძველი და ნაკლებ დახვეწილი მეთოდი აღარ მიიჩნევა გამოსადეგად, რადგან იგი არ ეყრდნობა მიკროსკოპულ ანალიზს.

### 7. 5. 2. არქეოლოგიური გათხრები

მოწმობანი შენობის აგების, დანიშნულების და გადაკეთებების შესახებ ხშირად შემორჩენილია მიწის ქვეშ და შეიძლება შეკეთების და გადაკეთებისას დაიკარგოს. განსაკუთრებით დაუცველია, ახალი სამუშაოების ჩატარებისას, მიწის ფართი გარე კედლების გაყოლებაზე, სადაც შეიძლება მშენებლობის, ან ჩამონგრეული მინაშენების მოწმობანი აღმოჩნდეს. ასევე დაუცველია ის მოწმობანი, რომელიც მდებარეობს მიწაში სამზარეულოების ქვეშ, რადგან ახალი გაყვანილობის დაყენებამ შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს არქეოლოგიურ ნამარხებს.

არქეოლოგიური გათხრები განსაკუთრებულ ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვს, მაგრამ მიწის ქვეშა და მიწის ზედა მოწმობანი რაც შეიძლება ადრე უნდა იყოს ინტეგრირებული. შენობაზე მომუშავე სპეციალისტი უნდა მუშაობდეს არქეოლოგთან ერთად, რომ შეარჩიოს გათხრებისთვის შესაფერისი ადგილი და განმარტოს შედეგები. საცდელი გათხრების შედეგები უნდა დაემატოს ქსოვილის დროითი თანმიმდევრობის აღმნუსხველ ნახაზებს და ცალკე არ უნდა იყოს გამოქვეყნებული.

### 7. 5. 3. სტატუსი, ხელობა და პროექტი

შენობის გააზრება არ წყდება ისტორიული ცნობების, ან შენობაში შეტანილი ცვლილებების მიახლოებითი თანმიმდევრობის დადგენით. შენობის აგებისას გამოყენებული ხელობის და მასალების გააზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხის კარკასიანი ნაგებობებისათვის, სადაც მშენებლობის ტექნიკის შემადგენლები კარგადაა ცნობილი და უნდა გამოიყენებოდეს ცალკეული ნაგებობის არსის განსაზღვრისას.

ნაგებობის ჩანაფიქრის, ფორმების, პროპორციების და გეგმარების ანალიზი ხშირად მისი სოციალური ხასიათის მოწმობად გამოდგება. ანალიზი არ შეიძლება დასრულებულად მივიჩნიოთ, თუ არ შევეცდებით განვსაზღვროთ სხვადასხვა ფაზების სტატუსი. დახვეწილი (ან მაღალი) სტატუსის შენობებში შეიძლება გამოყენებული იყოს პროპორციული სისტემები და უნდა შევეცადოთ, შევაფასოთ მხატვრული გადაწყვეტის ხასიათი და ხარისხი ისევე, როგორც მოვაქციოთ ნაგებობა ხელოვნების ისტორიის კონტექსტში.

ნაგებობა უფრო ფართო კონტექსტშიც უნდა იყოს მოქცეული. მხოლოდ მაშინ შეიძლება ბოლომდე ჩავწვდეთ ნაგებობის არქიტექტურული განვითარების არსს, როდესაც მას შევადარებთ იმავე პერიოდის და იმავე ტიპის ნაგებობებს, ხოლო პროექტს – თუ ეს შესაძლებელია – იმავე არქიტექტორის, ან მისი თანამედროვეების ნამუშევრებს. ასევე მნიშვნელოვანია ტექნიკური კონტექსტი ინდუსტრიული ნაგებობების შემთხვევაში, ან რეგიონალური კონტექსტი ცალკეული ტიპის შენობებისათვის. დამხმარე ნაგებობები, ლანდშაფტი და შენობასთან დაკავშირებული სხვა სტრუქტურები ასევე მოჰფენს შუქს თავად შენობას და მუდამ უნდა იყოს გათვალისწინებული საერთო შეფასებისას.

ამ პროცესის საბოლოო მიზანია თავი მოვუყაროთ ისტორიას, ქსოვილის ანალიზს და ნაგებობის გააზრებას ერთ ლოგიკურ მთლიანობაში, ხოლო შემდეგ წარმოვადგინოთ იგი ისეთი ფორმით, რომ შეიძლებოდეს მისი გამოყენება საკონსერვაციო სამუშაოების წარმოებისას. ლანდშაფტების შემთხვევაში მიზანი უნდა იყოს დამპროექტებლის განზრახვის გააზრება და იმის დადგენა, თუ რამდენად იყო იგი მიღწეული, ან რამდენად შეიძლება მისი აღდგენა. საზოგადოდ, სინთეზი ქრონოლოგიურად უნდა იყოს სტრუქტურირებული, რადგან მკითხველისთვის ეს ყველაზე მისაღები ფორმაა.

### 7. 5. 4. დენდროქრონოლოგია

დენდროქრონოლოგია გულისხმობს ხის ნიმუშის წლიური რგოლების შეთანხმებას დათარიღებულ ქრონოლოგიასთან, ან კალიბრი-წრის თანამიმდევრობასთან, იმის დასადგენად თუ როდის იყო ხე მოჭრილი. ამან შეიძლება მოგვცეს შენობის ძალიან ზუსტი თარიღი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთლიანობაში ნაგებობის ფაზებად დაყოფა სწორად არის მოაზრებული. შენობის ანალიტიკოსმა უნდა გაითვალისწინოს ხის მასალის ყოველი ნიმუშის მდებარეობა ნაგებობის საერთო ფაზირების სქემაში და უნდა შეეძლოს შენობაში მისი ხელახალი გამოყენების, ან ადგილშენაცვლების ნიშნების გარჩევა.

ეს კვლევის განვითარებადი დარგია და მიუხედავად იმისა, რომ ყურადღება გამახვილებული იყო მუხაზე, უკანასკნელი დროის კვლევები საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ასევე შესაძლებელია იმპორტირებული რბილი ხის მასალის დათარიღებაც.

უფრო დაწვრილებითი მასალა დენდროქრონოლოგიის შესახებ შეიძლება მოვიძიოთ *ინგლისის მემკვიდრეობის* სახელმძღვანელოში განთავსებულ წერილში, *დენდროქრონოლოგია: დენდროქრონოლოგიური თარიღის დადგენა და ინტერპრეტაცია* (1998 წ.).

### 7. 5. 5. გახსნა

ხანდახან, გვიანი ელემენტების, ან მოსაპირკეთებლების მოშორების გარეშე შენობის ისტორიის შესახებ მხოლოდ შეზღუდული ინფორმაციის დადგენაა შესაძლებელი. ეს პროცესი ცნობილია, როგორც „გახსნა." სიაში შეტანილი ნაგებობების, ან კატალოგიზირებული უძველესი ძეგლების შემთხვევაში, ასეთი მუშაობა შეთანხმებას მოითხოვს.

გახსნა შეიძლება სასარგებლო მეთოდი იყოს, მაგრამ შეზღუდულად უნდა გამოვიყენოთ იმ კომპონენტების კვლევისას, რომელნიც უმთავრესია ადგილის, ან პროექტის მენეჯმენტის დროს. ინტერვენციული მეთოდებისა არ იყოს, სანამ რაიმე ნაწილს მოვაშორებდეთ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია უნდა იყოს მოპოვებული ისეთი მეთოდებით, რომელიც არ მოითხოვს ჩარევას. ასეთებია დოკუმენტური კვლევა, ღირსშესანიშნავი ადგილის შესწავლა და მეთოდები, რომლებიც აღწერილია ქვემოთ, 7. 5. 8 თავში.

როდესაც ქსოვილის ნაწილს ვაშორებთ, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ მოსალოდნელი გრძელვადიანი შედეგები. ხის კარკასის გაშიშვლებამ ან ისტორიულად დამცველი ფენების დაკარგვამ შეიძლება შექმნას პრობლემები, რომელთა მოგვარებისთვის შემდგომი ინტერვენცია გახდება საჭირო.

### 7. 5. 6. ტექნიკური კვლევა

ისტორიული შენობების მასალის დაძველების და მკურნალობის კვლევასაც შეუძლია დიდი დახმარება გაგვიწიოს ნაგებობის უკეთ გასაგებად. ამგვარი კვლევის ნაწილია ხოლმე ამ მასალების წარმომავლობის, გამოყენების, საექსპლუატაციო თვისებების და შემადგენლობის შესწავლა. კვლევა დაგვეხმარება შეკეთების დროის და მეთოდის შერჩევაში და, ჩვეულებრივ, უშუალოდ ხელს უწყობს კონსერვაციის პროცესს. მასალის ცოდნა თავის წვლილს შეიტანს ნაგებობის საერთო ანალიზში, მის დანიშნულებასა და შეტანილ ცვლილებებში და განსაკუთრებით სასარგებლოა მისი მნიშვნელოვნების სხვადასხვა ასპექტების განსაზღვრისას. არ არსებობს რაიმე მიზეზი, რომ ამ სახის კვლევა არ იყოს ჩართული ნაგებობის ანალიზის პროგრამაში, რადგან დროის ცვლილებების გააზრებამ, თავის მხრივ, შეიძლება მოგვაწოდოს ინფორმაცია მასალების გამოყენების თაობაზე.

„*ინგლისის მემკვიდრეობის შენობების კონსერვაციის და კვლევის ჯგუფი*" აქვეყნებს შრომების სერიას, სადაც ყურადღება გამახვილებულია მასალების „ქცევასა" და მკურნალობაზე.

### 7. 5. 7. ეკოლოგიის შეფასება და ხეების შესწავლა

ისტორიული ლანდშაფტები, ნაგებობები, ან ძეგლები ხშირად მნიშვნელოვანია ეკოლოგიური და ისტორიული თვალსაზრისითაც. ღამურები შეიძლება სხვენში ცხოვრობდნენ; ძეგლები შეიძლება მნიშვნელოვანი ფლორის ნავსაყუდელი გახდეს; დაპროექტებული ლანდშაფტები ერთმანეთში აერთიანებს ეკოლოგიურ და კულტურულ ღირებულებებს.

ეკოლოგიური შეფასება კვლევის ერთერთ სახეობაა, რომელიც გვეხმარება ღირსშესანიშნავი ადგილის მართვასა და ცვლილებების თაობაზე სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. ხეების კვლევა გულისხმობს ხის სახეობების, მათი ასაკის და მდგომარეობის განსაზღვრას. ეკოლოგიურ ინფორმაციას შეუძლია თავისი წვლილის შეტანა კდკა-ს პროცესის ყოველ ეტაპზე, შეფასებით დაწყებული, უფრო დაწვრილებითი სამუშაოს ჩატარებამდე. ასეთ კვლევებს საკუთარი ტერმინოლოგია და სპეციალური პროცედურები გააჩნია. თუ შესაძლებელი იქნება, პროექტის ხელმძღვანელი, ან ობიექტზე მომუშავე სპეციალისტი პასუხისმგებელი უნდა იყოს იმაზე, რომ ეკოლოგიური კვლევის შედეგები ინტეგრირებული იქნება კვლევის სხვა ფორმებთან (მაგ., ადგილის გეოგრაფიულ მონაცემებში) და მასში გამოყენებული იქნება დანომრვის საერთო სისტემა, ან ერთმანეთზე მითითება მაინც. პროექტის ხელმძღვანელისთვის ძალიან ძნელი უნდა იყოს ყოველ წუთს გადაეყაროს მრავალფეროვან კვლევის მონაცემებს, სადაც ერთი და იგივე ნაკვეთი სხვადასხვა ნომრითაა მითითებული.

### 7. 5. 8. გეოფიზიკა, ჭაბურღილებით კვლევა და დისტანციური ზონდირება

გეოფიზიკის, ჭაბურღილებით კვლევის და დისტანციური ზონდირების არაერთი მეთოდი გამოიყენება ნაგებობის და ლანდშაფტის ანალიზისას.

ნაგებობებისთვის მაგნეტომეტრია, ულტრაბგერა, რადარი, რადიო დეტექტორი და თერმოგრაფია ის მეთოდებია, რომელნიც ქსოვილის მთელს სისქეს ჩასწვდება, ენდოსკოპიას კი მხოლოდ მცირე მასშტაბის კვლევა ხელეწიფება. ეს მეთოდები გვეხმარება, ჩავწვდეთ მოსაპირკეთებლების, მასალების, კომპონენტების, ელემენტების და სტრუქტურის ვითარებასა და მდგომარეობას, ისევე როგორც ნაგებობების ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ გარემოს. ამ ხერხებით და მასალების სამეცნიერო ანალიზით გააზრებულ (და აგეგმილებულ) იქნება მათი დამზადება, განთავსება, „ცხოვრება" და ცვლილება შენობის შიგნით, მთელი მისი ისტორიის მანძილზე, რაც წაადგება სამომავლოდ მათ გადანარჩუნებას, მოვლასა და შეულახაობას.

ლანდშაფტების შემთხვევაში, წინაღობის კვლევა არკვევს მიწის ნამარხების დიფერენციალურ

ელექტროწინაღობას, მაგნიტომეტრია განსაზღვრავს მიწისქვედა თავისებურებებით გამოწვეულ დედამიწის მაგნიტური ველის ცვლილებებს, ხოლო მაგნეტური მგრძნობიარობის მეშვეობით ხდება ნიადაგში განთავსებულ ნამარხებში (მაგ., ხანძრის მიზეზით) ნარჩენი მაგნეტიზმის ლოკალიზება. ნამარხი მასალის უფრო ზუსტად დადგენისათვის შესაძლებელია აგრეთვე გამჭოლი რადარების გამოყენება.

ყველა ამ მეთოდის სიკეთე იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არ საჭიროებს ძეგლში უშუალო ჩარევას (ან, ენდოსკოპიის შემთხვევაში – მინიმალურ ჩარევას), და, ამგვარად, არ აზიანებს ქსოვილს და არ საჭიროებს გათხრების წარმოებას ან ჩარევას. მიუხედავად ამისა, ისინიც, მსგავსად სხვა სამეცნირო მეთოდებისა, რამდენადმე შეზღუდულია, ხოლო მონაცემები შეიძლება ძნელი ასახსნელი აღმოჩნდეს, ან ნაკლებ ცალსახა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ისევე როგორც სხვა სპეციალური მეთოდები, ესენიც ინტეგრირებულ უნდა იყოს ნაგებობის, ან ლანდშაფტის ფართოდ გააზრებისთვის, რაც დაგვეხმარება შედეგების გარკვეულ პერსპექტივში დანახვასა და მონაცემთა ინტერპრეტაციაში, რომელიც სხვა მხრივ შეიძლება უკონტექსტო აღმოჩნდეს.

### 7. 5. 9. ხედების და გარემოს ანალიზი

ხშირად ღირსშესანიშნავი ადგილის გარემო, ან მისი ხედები და გადასახედები მისი მნიშვნელოვანების უარსებითეს ნაწილს შეადგენს. ისტორიული ნაგებობა ან დაპროექტებული ლანდშაფტი შეიძლება განზრახ იყოს განთავსებული ისე, რომ უკეთესად გამოჩნდეს. ასეთი ხედები შეიძლება იყოს ბუნებრივ ლანდშაფტში – მაგალითად, მთები, ან ადამიანის მიერ შექმნილი თვალშისაცემი რამ, ან თუნდაც ინდუსტრიული კომპლექსი. დროთა განმავლობაში ასეთი სანახაობები შეიძლება მცენარეულმა საფარმა ან სხვა შენობებმა დაჩრდილოს. ასეთ ხედებს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა თავდაპირველ კონცეპციაში, ამდენად მათი გააზრება აუცილებელია იმისთვის, რომ გავარკვიოთ, საჭიროა თუ არა მათ აღდგენაზე ფიქრი.

ისტორიული ნაგებობები, ან ლანდშაფტები შეიძლება განზრახ შორიდან აღსაქმელად იყოს განთავსებული, ხანდახან ხედვის გარკვეული წერტილიდანაც. ისტორიული ნაგებობის ხედები ასევე შეიძლება საკონსერვაციო არეალის მახასიათებელთაგანი იყოს. და კვლავ, ხედების მნიშვნელოვნების საგანგებოდ გააზრება ღირსშესანიშნავი ადგილისა და მისი მნიშვნელოვნების შეფასების ნაწილი უნდა იყოს. ამ ტიპის მოწმობათა ანალიზისას დიდად გამოსადეგია აერო ფოტოსურათები. ისინი აგრეთვე გამოსადეგია ანგარიშებისთვისაც, რადგან გვისურათებს გარემოს თვალით აღქმასა და მის მოცულობას.

## 7. 6. მნიშვნელოვნების განსაზღვრა

II თავში განმარტებული იყო, თუ რამდენად არსებითია მნიშვნელოვნების გააზრება ზემოქმედების შეფასების პროცესისათვის, ხოლო VI თავში კი მითითებული იყო, რომ მნიშვნელოვნების შეფასება კონსერვაციის და მენეჯმენტის დაგეგმვის საფუძველს წარმოადგენს.

ნაგებობის, ან ლანდშაფტის და მათი შემადგენელი ნაწილების მნიშვნელოვნების განსაზღვრა ყოველთვის უნდა იყოს კდკა-ს ნებისმიერი პროგრამის მთავარი მიზანი. ზოგ შემთხვევაში, ხელმძღვანელს შეიძლება სურდეს, თავი შეიკავოს ქსოვილის მნიშვნელოვნებაზე საბოლოო დასკვნისგან, მაგრამ სადაც კი შესაძლებელია, მკვლევარმა უნდა გააშუქოს ადგილის მნიშვნელოვნება. ხშირად დამკვეთსაც სჭირდება, მიიღოს სპეციალისტის ღირებულებითი შეფასება, რომელიც დამაჯერებელი იქნება და ადვილად გასაგები არასპეციალისტისთვის.

არ არსებობს მნიშვნელოვნების რაიმე ფორმალური კრიტერიუმი, გარდა იმისა, რაც წარმოდგენილი იყო სიების შედგენის, აღრიცხვის და საკონსერვაციო არეალის დაკანონებულ ინსტრუქციაში. ობიექტური ციფრობრივი მაჩვენებლების სისტემები მეტისმეტად ამარტივებს საქმეს და ადვილად შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს. საზოგადოდ, მნიშვნელოვნების შეფასება უნდა ემყარებოდეს პროფესიულ ცოდნას, გამოქვეყნებულ წყაროებს, გამოცდილებას და სათანადო კონსულტაციებს, მათ რიცხვში დაინტერესებულ მხარეებთანაც.

მნიშვნელოვნების შესახებ განცხადება არის მცდელობა:

- განსაზღვროს ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელოვნება უფრო ფართო აკადემიურ თუ სამეცნიერო კონტექსტში – ისტორიული იქნება ეს, არქიტექტურული, სოციალური, არქეოლოგიური, ეკოლოგიური თუ ტექნიკური კონტექსტი.
- შეაფასოს მისი მნიშვნელოვნება ადგილობრივი, რეგიონალური ან ეროვნული თვალსაზრისით.
- შეაფასოს შეტანილი ცვლილებების სხვადასხვა ფაზები და მათი მნიშვნელოვნება.
- გამოავლინოს ღირსშესანიშნავ ადგილთან დაკავშირებული რაიმე მოწონებითი თუ სოციალური ღირებულებანი, ადგილობრივ-საზოგადოებრივი იქნება ეს, ესთეტიკური, სულიერი, საზოგადოების მხრივ გამოყენებისა თუ მის მიერ მიღებული სარგებლით განსაზღვრული.

მნიშვნელოვნების შეფასება უნდა იყოს მახვილგონიერი, შეძლებისაებრ ფართო, იქნებ, არატრადიციული ღირებულებების მომცველიც. ამისდა მიუხედავად, შეფასება უნდა საბუთდებოდეს და უეჭველ მოწმობებსაც ემყარებოდეს.

ხშირად საჭიროა ქსოვილის შემადგენელი ნაწილების ისევე შეფასება, როგორც მთლიანობაში ნაგებობისა, ან ღირსშესანიშნავი ადგილისა. ეს შეიძლება გაკეთდეს ფაზების, ან ელემენტების მიხედვით, მაგრამ მაქსიმალურად ყოვლისმომცველი უნდა იყოს. ყოველთვის უნდა განვმარტოთ, თუ რატომ იყო ესა თუ ის ღირებულება შერჩეული. დასკვნა მნიშვნელოვნების შესახებ, რაც ზემოქმედების შეფასების პროცესში შედის (იხ. თავი II), საკმაოდ დეტალიზებული უნდა იყოს, რათა კონსერვაციის სპეციალისტს შეეძლოს ნაგებობის, ან ღირსშესანიშნავი ადგილის ცალკეული ნაწილების სათანადოდ დაფასება.

## *7. 7. ანგარიშები*

### 7. 7. 1. ანგარიშის აუცილებლობა

დაწერილი ანგარიშები კდკა-ს არსებითი ნაწილია. ანგარიშები არის გარანტია იმისა, რომ ინფორმაციას გაეცნენ პროექტზე მომუშავე სხვა სპეციალისტები და რომ ეს ინფორმაცია გამოყენებული იქნება ნაგებობის მომავალ მენეჯმენტში. თუ ანგარიშები არ არის მომზადებული, მოსალოდნელია, ფული ტყუილად დაიხარჯოს, რადგან ინფორმაცია არც საჭიროებისას იქნება ხელმისაწვდომი და არც მომავალში, თუ წინა სამუშაოს გამეორება აღმოჩნდება საჭირო. ნებისმიერმა პროექტმა, რომელიც კდკა-ს სპეციფიკურ ელემენტებს შეიცავს, ანგარიშგება უნდა გაითვალისწინოს.

ანგარიში პროცესის ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება დაიწეროს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ანგარიშებს შუალედური ხასიათი აქვს და დასკვნები იცვლება იმისდა მიხედვით, რაც უფრო მეტი რამ გამოჩნდება, მნიშვნელოვანია ის, რომ დაწერილი ან დახაზული ინფორმაცია მაშინვე ხდება ხელმისაწვდომი განურჩევლად იმისა, დამთავრებულია თუ არა ანალიზი მთლიანობაში.

საბოლოოდ უნდა დაიწეროს შემაჯამებელი ანგარიში, სადაც თავმოყრილი იქნება გააზრების პროცესში მოპოვებული ყველა ინფორმაცია.

კარგი საბოლოო ანგარიში ის იქნება, რომელიც

- არის მკაფიო და ადვილად წასაკითხი, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ეს ინფორმაცია ყველაზე მეტად სჭირდება
- დასურათებულია გულდასმით შერჩეული შესაბამისი ასახულობებით
- ისეა წარმოდგენილი, რომ კრიტიკულმა მკითხველმა შესძლოს, გაიგოს მოყვანილი არგუმენტების საფუძველი
- შეიცავს საკმარის ინფორმაციას იმისთვის, რომ ეჭვით შეხედო დასკვნებს, ან სხვანაირად განმარტო ისინი
- გზას უხსნის ჯერაც გადაუჭრელი სამეცნიერო თუ ჯერაც ძნელად განსამარტი პრობლემების კვლევას
- აადვილებს შემდგომ კვლევას, რადგან წარმოაჩენს ცოდნის ხარვეზებს, წამოჭრის კითხვებს და ნათლად უთითებს წყაროებს.

ანგარიშის მოცულობა შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგრამ, ძირითადად, უნდა ეტეოდეს A4 ან A3 ფორმატში და უნდა იყოს დასურათებული ისეთი ხარისხის რუკების ასლებით, გეგმებით და ფოტოსურათებით, რომელთა წაკითხვა და გამოყენება იოლია. ზედმეტად გადიდებული, ან ზედმეტად შემცირებული ნახაზების თუ უვარგისი ფოტოსურათების გააზრება ჭირს. ყველა ანგარიში ნათლად, პროზის ყაიდაზე უნდა იყოს დაწერილი და აგებული, რათა ხელმისაწვდომი იყოს ფართო აუდიტორიისათვის. ანალიტიკოსის მარცხია, თუ მას ვერ გაუგებს ჩვეულებრივი მკითხველი. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშები შეიძლება შენახული და გავრცელებული იყოს ელექტრონული წესით, ქაღალდზე დაწერილი ანგარიშები ფასდაუდებელია ადგილზე მუშაობისას.

დასკვნებში, შესავალებსა და შეფასებებში ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს საკვანძო ფაქტებსა თუ განმარტებებზე, რაც ადვილად შეიძლება გამოგვრჩეს ინფორმაციის უთავბოლო ნაკადში. გრაფიკული გამოსახულებები – მსუქანი წერტილები, კურსივი, ან მსუქანი შრიფტი – საკვანძო საკითხების და დასკვნების ხაზგასმის მიზნით უნდა გამოვიყენოთ. გვერდები დანომრილი უნდა იყოს. ანგარიშში მოყვანილი ყველა წყარო სრლად უნდა იყოს მითითებული სტანდარტული სქოლიოების, ან მითითებების სისტემის შესაბამისად. ავტორის ვინაობა ცალსახად უნდა აღინიშნოს, ანგარიშს გამოქვეყნების თარიღიც უნდა დავუსვათ. ანგარიშს უნდა ახლდეს რეზიუმე, რადგან იგი მკითხველისათვის ნათელს გახდის პროექტის ფარგლებს.

ანგარიში ყოველთვის თავისთავადი უნდა იყოს; თუმცა, ის შეიძლება სხვა დოკუმენტებზე მიუთითებდეს, მასში საკმაო ინფორმაცია უნდა მოიპოვებოდეს, რათა მკითხველისთვის გასაგები იყოს ანგარიშის მომზადების კონტექსტი.

### 7. 7. 2. ანგარიშის შინაარსი

ყველა ანგარიში, შედგენილი კდკა-ს ნებისმიერ ეტაპზე, შემდგომ კითხვებს უნდა აშუქებდეს, თუმცა, ანგარიშის აგებულება, მოცულობა, ან მასში განხილული დეტალების რაოდენობა შეიძლება განსხვავდებოდეს:

- **სარჩევი:** სრული სარჩევი და ასახულობების სია, რაც აადვილებს ანგარიშის ამა თუ იმ ნაწილის იოლად მიგნებას
- **დასკვნების მოკლე შეჯამება**
- **შესავალი:** უნდა შეიცავდეს მსჯელობას ღირსშესანიშნავი ადგილის რაობაზე; მითითებებს ადრე ჩატარებულ სამუშაოებზე, მის დანიშნულებასა და პროექტის საფუძველზე; ავტორების გვარებს, სამადლობელს თანამშრომელთადმი თუ დახმარების გამო, სამუშაოს დაწყების თარიღს და სამუშაოს ფარგლებს.
- **ისტორია:** უნდა შეიცავდეს ისტორიულ კვლევას და ნაგებობის, მისი დანიშნულების და შეტანილი ცვლილებების დოკუმენტურ მოწმობებს. განმარტებული უნდა იყოს ისტორიული, მხატვრული, არქიტექტურული, ლანდშაფტის, სამრეწველო ტექნიკური ან სხვა რაიმე უფრო ფართო კონტექსტი. შეიძლება სასარგებო იყოს ქრონოლოგიის დაჯამებაც.
- **აღწერა:** ლანდშაფტის, ან ნაგებობის დღევანდელი მდგომარეობის აღწერა.
- **განვითარება:** დროთა განმავლობაში მომხდარი ცვლილებების ანალიზის შედეგები. ფაზებად დაყოფა უნდა ემყარებოდეს ისტორიულ კვლევას, რათა შეიქმნას თანმიმდევრული თხრობა, რომელიც ნახაზებით იქნება დასურათებული. სხვა ინფორმაცია – მაგალითად, სპეციალისტებისაგან – შეიძლება მითითებული იყოს, ან განთავსებული დამატებაში.
- **განცხადება მნიშვნელოვნების შესახებ:** ღირსშესანიშნავი ადგილის, ან დასკვნების მნიშვნელოცნების შეჯამებაა როგორც ზოგადად, ისე დეტალურად.
- **ზეგავლენის შეფასება:** ყველა წინადადების შეფასება ზეგავლენის თვალსაზრისით და მოსაზრებები უარყოფითი ზეგავლენის შესუსტების თაობაზე.
- **რეკომენდაციები:** მოსაზრებები შემდგომ კვლევასა და ანალიზზე, მომავალში საპასუხო კითხვები, პრობლემები, რომლებიც წარმოსდგება ამა თუ იმ გეგმისა თუ მაღალპოტენციური წყაროდან.
- **ბიბლიოგრაფია, დოკუმენტაცია და წყაროები:** შეიცავს რუკების, ასახულობების, ისევე როგორც ობიექტზე ადრე ჩატარებულ ყველა სამუშაოს ბიბლიოგრაფიას; ასევე ყველა მეორადსა თუ პირველად გამოყენებულ წყაროს. დოკუმენტაციაში მითითებული უნდა იყოს ღირსშესანიშნავი ადგილის არქივის ადგილმდებარეობა და მისი რაობა.
- **სპეციალური ტერმინების ლექსიკონი:** განმარტებული უნდა იყოს უცნობი ტექნიკური ტერმინები.
- **დანართები:** საკითხთან დაკავშირებული სხვა ანგარიშები, როგორც სპეციალისტთა ანგარიშების სრული მითითებებით და, იდეალურ შემთხვევაში, მთლიანად მოყვანილი დეტალური ტექსტი (მაგ., სივრცეთა მონაცემთა სქემები, ტიპოლოგია); ნაწყვეტები უმთავრესი შესაბამისი ისტორიული წყაროებიდან; სამუშაოს მოკლე რეზიუმეს ასლი.

### 7. 7. 3. დასურათება

საბოლოო ჯამში, გააზრებამ უნდა მოიცვას ნაგებობის, ან ლანდშაფტის ქსოვილი, რომელიც ყველაზე კარგად ასახულობათა მეშვეობით იქნება წარმოდგენილი. ასახულობანი ნებისმიერი ანგარიშის მნიშვნელოვანი ნაწილია და, როგორც ითქვა, სურათების და ნახაზების ხარისხი ისეთივე მეცნიერული საკითხია, როგორც თავად ტექსტის ხარისხი. დღევანდელ დღეს, ტექსტის დამუშავების პროგრამული საშუალებები და სამაგიდო საგამომცებლო სისტემის პროგრამები აადვილებს ასახულობების ჩართვას ტექსტში და მათ ისე დამუშავებას, რომ უფრო ადვილი იყოს მათი რეპროდუცირება. თუ შესაძლებელია, ასახულობები სასურველია ტექსტში იყოს ჩართული. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად დეტალური სამუშაოა ჩატარებული, ანგარიშების უმრავლესობა უნდა შეიცავდეს ყველაფერს ან ზოგ რასმე, რაც ქვევითაა ჩამოთვლილი:

- ადგილმდებარეობის რუკას, რომელშიც აისახება ღირსშესანიშნავი ადგილის ზოგადი თუ ადგილობრივი კონტექსტი
- ღირსშესანიშნავი ადგილისა და ტექსტში მითითებული ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტების ამსახველ ფოტოსურათებს
- ანაზომებისა და ანალიტიკური ნახაზების ასლებს, იდეალურ შემთხვევაში, დაყვანილს A3 ან A4 ფორმატამდე, რაც მისათითებლად უფრო იოლია, მაგრამ ასევე უფრო დიდ მასშტაბიანსაც
- ფაზების გეგმებს, რეკონსტრუქციებს და სხვა ანალიტურ ნახაზებს
- საკითხთან დაკავშირებული ისტორიული ასახულობებისა და რუკების ასლებს
- მონაცემებს თავდაპირველი რუკისთვის
- დეტალების (როგორიცაა ხის ნაწილები და გამართულობა) ფოტოსურათებს და ნახაზებს.

ფერის გამოყენებას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ფაზირების ნახაზების შედგენისას, ხოლო დეტალების ამსახველი ფერადი ფოტოსურათები ხშირად უფრო ადვილი წასაკითხია, ვიდრე შავ-თეთრი, თუმცა მათი რეპროდუცირება უფრო ძვირი ჯდება. მაღალი ხარისხის ფანქარში შესრულებული ნახაზი, ხშირად ადგილზე შესრულებული, შეიძლება ჩართული იყოს ანგარიშში და ინფორმაციას უფრო უშუალოდ და ცხოვლად გადმოსცემდეს, ვიდრე დატუშული, ან კომპიუტერში შესრულებული ნახაზი.

### 7. 7. 4. ანგარიშის გავრცელება

ანგარიშები შეძლებისდაგვარად ფართოდ უნდა ვრცელდებოდეს და როგორც ელექტრონული, ისე ქაღალდზე ნაბეჭდი ფორმით. რადგან ასეთი ნაშრომები პრაქტიკული პროექტებისთვის არის განკუთვნილი, მნიშვნელოვანია არსებობდეს მათი ქაღალდზე ნაბეჭდი ასლები, რომელთაც ველზეც ადვილად გამოვიყენებთ და ადვილად გავავრცელებთ.

ყოველთვის ჯობს არსებობდეს ანგარიშის უფრო მეტი ასლი, ვიდრე თავიდან გჭირდებათ. ანგარიშები დიდხანს შეიძლება იყოს „თაროზე შემოდებული," დროთა განმავლობაში კი ბევრად უფრო მეტ ადამიანს დასჭირდეს. დუბლიკატების კოპირება გამოცემის ხარისხს ამცირებს.

საბოლოო ანგარიში დაცული უნდა იყოს იმ მასალებთან ერთად, რომელსაც მოითხოვს „მშენებლობის, დაპროექტების და მენეჯმენტის დებულება" (Constructions, Design and Management Regulations). ანგარიში ასევე სასურველია გადაეცეს შენობის მფლობელს, არქიტექტორს და შენობასთან დაკავშირებულ სხვა პირებს, ისე რომ ინფორმაცია მაშინვე იქნება ხელმისაწვდომი, თუ მომავალში ხელახლა დადგება იმავე შენობის შეკეთების, ან მასში ცვლილებების შეტანის საკითხი. ასლები ასევე უნდა გაეგზავნოს „ინგლისური მემკვიდრეობის ეროვნულ ძეგლთა ნუსხას" სუინდონში და ადგილობრივი „ღირსშესანიშნავი ადგილების და ძეგლთა ნუსხის" ადგილობრივ განყოფილებას, ან აღმნუსხველ დაწესებულებას.

ასლები ასევე უნდა დაურიგდეს ცალკეულ პიროვნებებს, ან სამოსახლოთა ჯგუფებს, რომლებიც ჩართულნი არიან ღირსშესანიშნავი ადგილის მოვლაში – მრევლის წევრებს, ადგილობრივ დაინტერესებულ ჯგუფებს, ადგილობრივ მთავრობას და სხვებს.

თუკი კვლევის შედეგს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჩვენს ცოდნაში, უნდა განიხილებოდეს მისი გამოქვეყნება ეროვნულ, ან ადგილობრივ პერიოდულ გამოცემაში. ეს არსებითია, თუ ნაშრომში წარმოდგენილი ნაკვლევი და ანალიზი საყურადღებოა, თან კი შესრულდა საზოგადოების ფინანსური დახმარებით (მაგ., გრანტის დახმარებით), ან შეიქმნა საზოგადოებისთვის საგულისხმო რისამე (მაგ., მნიშვნელოვანი შენობის აღების) კვალად და, ამდენად, შედეგები გამოადგება იმათ, ვინც იქნება მომავალში ისტორიული გარემოს მფლობელი, შემსწავლელი თუ იზრუნებს მასზე.

# კონსერვაციაზე დაფუძნებული კვლევისა და ანალიზის დაკვეთა

## *ა1. 1 ზოგადი პრინციპები*

დებულებით დადგენილი მიმდინარე საქმიანობის, თუ ისტორიული შენობების და მათი ლანდ-შაფტების შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოებისას, კდკა სწორედ უნდა იმართებოდეს, რათა უზრუნველყოს, რომ ყველა სამუშაოები არის

- სასიკეთო კონსერვაციის პროცესისათვის
- დასაბუთებადი
- რელევანტური
- დროული
- მაღალი ხარისხის, ფულადაც ღირებული
- სადიდხნო ფორმით წარმოდგენილი
- ფასეული მეცნიერული თვალსაზრისით

„სახელმძღვანელო პრინციპების“ ამ ნაწილში ახსნილია, თუ როგორ დავუკვეთოთ და ვუხელმძღვანელოთ ასეთ სამუშაოებს. ეს თავი გამიზნულია პროექტის მენეჯერებისათვის, კონსერვაციის მუშაკებისათვის, არქიტექტორებისათვის, დამგეგმავებისათვის, მოწვეული მკვლევარებისათვის და არქეოლოგებისათვის, რომლებიც შეიძლება ჩართული იყვნენ ისტორიული შენობების და მათი ლანდშაფტების შეკეთების, მართვის და მათში ცვლილებების შეტანის საქმეში. რაკი ბევრი ეს პროცედურა ნაცნობია არქეოლოგებისათვის, არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება იმაში, თუ როგორ ხდება კდკა-ს დაკვეთა და ჩვეულებრივი შენობის და მისი ლანდშაფტის სამუშაოების და მომსახურების წარმოება.

## *ა1. 2 რეზიუმეს შედგენა*

მას შემდეგ, რაც განისაზღვრება სამუშაოს წარმოების აუცილებლობა, შემდეგი ნაბიჯი იქნება რეზიუმეს შედგენა. რეზიუმე შეიძლება შედგენილი იყოს დამფინანსებელი ორგანოს, ადგილობრივი მთავრობის, ან პროფესიონალი კონსულტანტის მიერ. ყველა შემთხვევაში, რეზიუმეს შინაარსი შეთანხმებული უნდა იყოს დაინტერესებულ მხარეებთან სამუშაოების დაწყებამდე. კდკა არ უნდა დაუკვეთონ ან მოთხოვონ რეზიუმეს გარეშე, რადგან იგი არის გარანტია იმისა, რომ სამუშაოები ჩატარდება კონსერვაციის ყველაზე უშუალო მოთხოვნების თანახმად.

დაწერილი რეზიუმეს სიკეთე მდგომარეობს იმაში, რომ იგი ნათლად ასახავს საჭიროებებს და უზრუნველყოფს ხარჯების გათვალისწინებას ადრეულ ეტაპზე და მის ჩართვას მთლიან პროექტში. რეზიუმე გარანტიაა იმისა, რომ ნებისმიერი კდკა მოემსახურება ინდივიდუალურ საკონსერვაციო პროექტებს და დააკმაყოფილებს უფრო ფართო პროფესიონალურ სტანდარტებს. მას აგრეთვე შეუძლია დაეხმაროს სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებს ჩაერთონ კონსერვაციის პროექტში, რათა მოხდეს მათი მუშაობის კოორდინაცია. მისი კიდევ ერთი დადებითი მხარე არის ის, რომ მას შეუძლია ისეთი პირობების შექმნა, რისი უზრუნველყოფა არ შეუძლია არც სტანდარტულ შეთანხმებას და არც გრანტის პირობებს.

რეზიუმე წარმოადგენს მცირე ზომის დოკუმენტს (იხ. დანართი 2), რომელიც განმარტავს, თუ რა სახის სამუშაოს ჩატარებაა საჭირო და რატომ. იგი არ არის დეტალურად გაწერილი, მაგრამ მასში მახვილი შედეგებზეა დასმული. სპეციფიკაცია უფრო ვრცელი დოკუმენტია.

რეზიუმე უნდა იყოს შემოწმებული და შეთანხმებული განმცხადებლის ან პროექტის არქიტექტორის მიერ. ამის შემდეგ არქიტექტორმა უნდა დაურიგოს მისი ასლები სამუშაოების შესასრულებლად შერჩეულ კონტრაქტორებს, როგორც მათი სატენდერო დოკუმენტის ნაწილი.

საჭიროა ჩამოყალიბდეს რეზიუმეს სტანდარტული ფორმა, რაც ყველა ღირსშესანიშნავ ადგილს მიესადაგება, თუმცა გარკვეული სათაური ყოველთვის უნდა განსაზღვრავდეს დოკუმენტს. რეზიუმეში უნდა აისახოს ღირსშესანიშნავი ადგილის თვისებები და იგი შედგენილი უნდა იყოს იმ სპეციალისტის

მიერ, ვინც კარგად იცის ამ ადგილის ისტორია და მნიშვნელობა. რეზიუმეში მოცემული უნდა იყოს ანალიზის ჩატარების მიზეზი და განსაზღვრული უნდა იყოს მიზნები და კვლევის ამოცანები. ასევე მასში მითითებული უნდა იყოს საჭირო მეთოდები, წყაროები და ნახაზის სახეობები. გარდა ამისა დოკუმენტში უნდა აისახოს საკონსერვაციო სამუშაოების სავარაუდო პროგრამა, რათა განვსაზღვროთ ანალიზის ეტაპები.

გაითვალისწინეთ, რომ მეტრული კვლევისთვის ინგლისის მემკვიდრეობა აქვეყნებს სრულ ჩამონათვალს (ინგლისის მემკვიდრეობა, 2000 წ.).

## *A1. 3 სპეციალისტის შერჩევა*

ასევე დაფიქრება სჭირდება ყველაზე შესაფერისი პიროვნების შერჩევას, რომელიც კდკა-ს განახორციელებს. დღესდღეობით ცოტაა გამოცდილი და საქმისთვის თავდადებული ადამიანები, ამდენად, კონტრაქტორის შერჩევას გულისყურით უნდა მივუდგეთ.

არქიტექტურის ანალიზი, ნაგებობის და ლანდშაფტის ანალიზი პროფესიული ჩვევებია, რომელიც წრთვნასა და გამოცდილებას ემყარება. კონსერვაციის სპეციალისტები, როგორებიც არიან არქიტექტორები, მშენებლები, მკვლევარები, კონსერვაციის მუშაკები, დამგეგმავები და არქეოლოგები, იღებენ გამოცდილებას ამ სფეროებში, რადგან ეს ისტორიულ შენობებსა და ლანდშაფტებზე მათი სამუშაოს ნაწილია.

ნაგებობის ან ლანდშაფტის ანალიტიკოსის განსჯა შესაძლებელია მხოლოდ მის მიერ შესრულებული სხვა სამუშაოების მიხედვით. სანამ სპეციალისტს საქმეს ჩავაბარებდეთ, უნდა მოვითხოვოთ მის მიერ შესრულებული ნახაზები და ანგარიშები, რათა დავადგინოთ მისი ოსტატობა. ამავე დროს, უნდა დავრწმუნდეთ, რომ მისი განსაკუთრებული ოსტატობა შეესაბამება ღირსშესანიშნავი ადგილის საჭიროებებს. მაგალითად, შენობების გათხრების გარკვეული ოსტატობა გამოუსადეგარია გეორგიანული სტილის ინტერიერის კვლევისას, ხოლო კონსერვაციის ტექნიკური საკითხების ცოდნა წარმოადგენს მხოლოდ მცირე ნაწილს იმ გამოცდილებისა, რასაც კდკა-ს სრულყოფილი წარმოება საჭიროებს.

ერთ პიროვნებას, ან ფირმას შეიძლება არ ჰქონდეს ყველა აუცილებელი ცოდნა, რაც კონკრეტულ პროექტს ესაჭიროება ასე, რომ შეიძლება საჭირო გახდეს რამოდენიმე ფირმის თანამშრომლობა. ზოგიერთი ფირმები აცხადებენ, რომ მათ დაწესებულებაში ჰყავთ ყველა სფეროს გამოცდილი სპეციალისტები. ამ შემთხვევაში, სასურველია დავაზუსტოთ ვის რა საქმე დაევალება და წინასწარ გავარკვიოთ მათი წინა სამუშაოების ხარისხი.

## *A1. 4 სპეციალისტის დანიშვნა*

პროექტის მენეჯერი, არქირექტორი ან მკვლევარი, რომელიც პროექტშია დაკავებული, პასუხს უნდა აგებდეს იმ პიროვნებასა, თუ გუნდზე, რომელსაც კდკა-ს განხორციელება დაევალება.

არსებობს კონტრაქტორის დანიშვნის ორი გზა

### 1. როგორც პროექტის გუნდის წევრი

ბევრი დადებითი მხარე აქვს მკვლევარ-ანალიტიკოსის დანიშვნას სპეციალისტების გუნდში, რომელთაც ევალებათ დაგეგმვა და შეკეთების სამუშაოების ზედამხედველობა; მის მიერ მოწოდებული ცნობები უმალ შეიძლება გამოყენებული იყოს პრაქტიკულ სამუშაოებში; შესაძლებელი ხდება მუშაობის შედეგების ინტეგრირება; უფრო ეფექტიურია არქიტექტორისა და მკვლევარის თანამშრომლობა; და, ბოლოს, ვითარდება გადაძახილ-გადმოძახილის პროცესი ანალიზსა და შეკეთებას შორის.

### 2. როგორც ცალკე პროექტი

კვლევა და ანალიზი შეიძლება ცალცალკე იყოს ანაზღაურებული. ეს შეიძლება უფრო ადვილი იყოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ხარჯები არ არის ჩართული თავდაპირველ პროექტში, ცუდი მხარე კი ისაა, რომ ძნელდება ანალიზის მთლიან სამუშაოებში ინტეგრირება.

როგორც ნებისმიერი სპეციალისტის დანიშვნისას, კონტრაქტი, სადაც ვალდებულებების პირობებია მითითებული, უნდა შეთანხმებული და ხელმოწერილი იყოს ორივე მხარეს მიერ.

## A1. 5 ტენდერის ჩატარება

მიუხედავად იმისა, რომ ფულადი ღირებულება მნიშვნელოვანია კდკა-ს განხორციელებისას, ფასზე დამყარებული შეჯიბრითი ტენდერი არ იქნება წარმატების მომტანი ხარისხის სტანდარტების გათვალისწინების გარეშე.

კდკა-ს დაანგარიშება უფრო ძნელია, ვიდრე ნაგებობის და ლანდშაფტის სამუშაოებისა, ამიტომ რეკომენდირებულია განსხვავებულად მივუდგეთ ტენდერის ჩატარებას. საუკეთესო მიდგომა იქნება მოეთხოვოს ანალიტიკოსს წარმოადგინოს პროექტის განხორციელების გეგმა, სადაც პროექტის რეზიუმეს პასუხად, ხარჯები იქნება მითითებული.

პროექტის განხორციელების გეგმა უბრალოდ წარმოადგენს გაწეული მუშაობის ღირებულების შეფასებას, რომელიც, გარდა ამისა, შეიცავს შემდგომ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იმუშაოს კონტრაქტორმა. აქ უნდა აისახოს ღირსშესანიშნავი ადგილის მართებულად აღქმა და პროექტის განსაკუთრებული მოთხოვნების გააზრება. მომავალ კონსულტანტებს უნდა შეეძლოთ ჩამოაყალიბონ რეზიუმე, რათა მიღწეულ იქნეს დასახული ამოცანები, ან თითონ დასახონ შემდგომი ამოცანები. პროექტის განხორციელების გეგმაში მოცემული უნდა იყოს მოსალოდნელი შედეგების დეტალები, მუშაობის მეთოდები, გეგმის შედგენა, შტატის დაკომპლექტება, თანამშრომლების პროფესიონალიზმი და გამოცდილება და ერთად მუშაობის და ურთიერთობის წესები.

## A1. 6 მუშაობის მონიტორინგი

სასურველია ტარდებოდეს კდკა-ს მონიტორინგი დამკვეთი ორგანოს ან იმ ორგანოს მიერ, რომელიც პასუხისმგებელია პირობების დაცვის მოთხოვნაზე (მაგალითად, დაგეგმვის სამმართველო ან გრანტების გამცემი ორგანიზაცია), რათა დარწმუნდეს, რომ იგი

- შეესაბამება პროექტის მიზნებს
- ასრულებს შეთანხმებულ რეზიუმეს და პროექტის განხორციელების გეგმას
- შესაბამისი ხარისხისაა
- და წარმოადგენს ფულად ღირებულებას.

ასევე მნიშვნელოვანია დავრწმინდეთ, რომ

- შედეგები სხვებისთვის ხელმისაწვდომი იქნება (მაგ., საჭიროების შემთხვევაში პროექტის არქიტექტორისათვის)
- კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია გათვალისწინებული იქნება შეკეთების სამუშაოების წარმოებისას
- ის ეპასუხება ფინანსურსა თუ პროგრამის მიზნებს
- ანგარიში (-ები) დროზეა მიწოდებული და მისაღები ხარისხისაა.

# კდკა-ს სანიმუშო რეზიუმე

**რეზიუმეს ამ სქემის დანიშნულებაა იყოს კდკა-ს დაკვეთის დასაწყისი. რაც უფრო ნათლად ჩამოაყალიბებს თავის მოთხოვნებს ხელმძღვანელი ორგანო, მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება შედეგები.**

## *ღირსშესანიშნავი ადგილის დასახელება/მისამართი/ადგილმდებარეობა*

## *წინაპირობები*

განმარტეთ როგორ წარმოიშვა პროექტი, წარმოადგინეთ ღირსშესანიშნავი ადგილის რაობა და ინფორმაცია, რაც საყურადღებო იქნება კონტრაქტორისათვის, სადაც აღნიშნული იქნება ადგილის ზუსტი ადგილმდებარეობა, ყოველივე დებულებრივად განსაზღვრული.

*წარმოადგინეთ სამუშაოს მიზნის მოკლე განცხადება.*

## *სამუშაოს მიზანი*

კონსერვაციაზე დამყარებული კვლევისა და ანალიზის (კდკა) პროგრამა გამოიყენება იმისთვის, რომ

- წარმოადგინოს ინფორმაცია, რაც დაეხმარება განაცხადს მოიპოვოს დადგენილი შეთანხმება (სიაში შეტანილი ნაგებობის შეთანხმება/კატალოგიზებული ძეგლების შეთანხმება/შუამდგომლობა ნებართვის მოპოვებაზე ან სხვ.) ან გრანტის მიღებაში.
- უფრო ნათლად გამოჩნდეს ადგილის მნიშვნელობა
- მოიპოვოს ინფორმაცია შეკეთების სამუშაოების სავარაუდო პროგრამებისთვის
- დააფიქსიროს მნიშვნელოვანი ქსოვილი, რომლის მოხსნაა დაგეგმილი, ან რომელიც დაიფარა სამშენებლო სამუშაოების დროს (ჩვეულებრივ, ესაა შეთანხმების ან გრანტის მიღების პირობა)
- აწარმოოს იმ ნიშნების ფიქსაცია, რომელნიც დაიკარგება ნაწილობრივი, ან მთლიანი დანგრევის დროს (ჩვეულებრივ, ეს შეთანხმების პირობაა).

*განმარტეთ კვლევის სახეობა. ეს არის რეზიუმეს შედგენის ყველაზე ძნელი ასპექტი, რადგან იგი გულისხმობს პროექტის და შენობის და მისი ლანდშაფტის რაობის მოთხოვნების დაბალანსებას, რათა რაც შეიძლება ზუსტად დადგინდეს დეტალიზების მოთხოვილი დონე. სამწუხაროდ, არ არსებობს ამის გაკეთების მარტივი გზა და ყოველი ცალკეული შემთხვევა განსხვავებული იქნება. ამ საქმეში შეიძლება დაგვეხმაროს სახელმძღვანელო მითითებების მე-3 თავში წარმოდგენილი ეტაპები.*

## *სამუშაოს სახეობა*

## *პირველი ეტაპი: შეფასება*

- **სწრაფი შეფასება** (დეტალებისთვის იხ. 3. 1. 1). თვალის შევლება შენობის და მისი ლანდშაფტის მნიშვნელოვნებასა და განვითარებისთვის, ჩვეულებრივ, სამუშაოების სქემის შედგენის შესამტკიცებლად
- **მემკვიდრეობაზე ზეგავლენის შეფასება** (დეტალებისთვის იხ. 3. 1. 2). აფასებს სპეციფიკური პროექტების ზეგავლენას შენობისა და მისი ლანდშაფტის მნიშვნელოვნებასა და ქსოვილზე. გამოიყენება როგორც დადგენილი შეთანხმების მოპოვებაზე განაცხადის შესამტკიცებლად.
- **განცხადება კონსერვაციის შესახებ ან კონსერვაციის გეგმა**

*შენიშვნა: კონსერვაციის გეგმის რეზიუმეს ნიმუშის მოძიება შესაძლებელია ინგლისური მემკვიდრეობის პუბლიკაციაში – კონსერვაციის გეგმები მოქმედებაში (1999).*

## *მეორე ეტაპი: სამუშაოების დაწყებამდე ჩატარებული აზომვა*

- **მეტრული კვლევა.** ზუსტად აზომილი გეგმების წყება, შენობის ფასადები და ჭრილები ან ლანდ-შაფტის გეგმები
- **დასრულება** არსებული კვლევითი ნახაზებისა ან გამოსახულების გამოყენებით შესრულებული განაზომისა
- **ანალიზი** ღირსშესანიშნავი ადგილის დროში განვითარებისა. გამოიყენება ახალი გეგმისთვის უფრო დეტალური პროექტის შედგენის დასახმარებლად, რაც, თავის მხრივ, ეხმარება კონ-სერვაციის გეგმის, ან მსგავსი დოკუმენტის შედგენას.

სამუშაო შეიძლება შეიცავდეს

- ანალიტიკურ ნახაზებს
- ისტორიულ კვლევას ან თავდაპირველი რუკის აღდგენას
- ფაზობრივი გეგმების მომზადებას
- სამგანზომილებიან რეკონსტრუქციის ნახაზებს
- სპეციფიკური ტიპოლოგიის შექმნას
- გეოგრაფიულ მონაცემებს/მონაკვეთის მონაცემთა სქემებს.

*შენიშვნა: ინგლისის მემკვიდრეობამ გამოაქვეყნა „მეტრული კვლევის თავისებურებანი ინგლისის მემკვიდრეობი–სათვის" (2000). ტექსტის მოპოვება შესაძლებელია pdf ფორმატში www.english-heritage.org.uk მისამართზე. სპეციალური მეტრული კვლევის და არქეოლოგიური, თუ ქსოვილის ანალიზის ინტეგრაცია მოითხოვს განსაკუთრებული გულისყურით მოვეპყრათ რეზიუმეს შედგენის ეტაპზე, რათა დავრწმუნდეთ, რომ კონტრაქტორმა იცის, თუ რა მოეთხოვება მას.*

## *მესამე ეტაპი: მიზანდასახული სპეციალური კვლევა*

- არქირექტურის დაფერვის კვლევა
- დენდროქრონოლოგია
- არქეოლოგიური გათხრები
- ტექნიკური კვლევა
- გეოგრაფიული კვლევა
- ეკოლოგიის ან ხის კვლევა
- დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა

*ნებისმიერი სპეციალური კვლევა შეიძლება წარმოებდეს, როგორც ძირითადი ანალიზის ნაწილი, ან ცალკე. არსებობს სტანდარტული რეზიუმეები და უმეტესი მეთოდების განხორციელების პროცედურები. რჩევისთვის შეიძლება მივმართოთ ორგანოს, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს ან სპეციალისტს. რეზიუმეში შეიძლება განსაზღვრული იყოს სამუშაოების წარმოების აუცილებლობა.*

*სადაც შესაძლებელია, განსაზღვრეთ მეთოდები, რომელიც უნდა გამოიყენოთ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნახაზებისათვის, ან ისეთი გაზომვისთვის, რომელსაც შეიძლება დასჭირდეს ფოტოგრამეტრია, რექტიფიცირებული ფოტოგრაფია, ან სხვა საშუალებები. თუ ნახაზები სხვებმაც უნდა გამოიყენონ (მაგ., არქიტექტორმა, კონტრაქტორებმა), მაშინ დაზუსტებული უნდა იყოს შეთავსებადობის ყველა მოთხოვნები.*

## *მეოთხე ეტაპი: ანალიზი სამუშაოების წარმოებისას*

- ადგილზე წარმოებული კვლევა და ანალიზი
- იმ ქსოვილის აღნუსხვა, რომელიც დაიკარგება

*დაადგინეთ მოთხოვნები, რაც ანგარიშის წარდგენისთვისაა საჭირო, რომელიც უნდა შეიცავდეს ფორმატს, ასლების რაოდენობას, პროექტის ასლების წარდგენას, გავრცელების თარიღს და ხვ.*

## *მეხუთე ეტაპი: მოხსენების გაკეთება, არქივში გადაცემა და გამოქვეყნება*

- საჭირო იქნება პერიოდული ანგარიშების გაკეთება **[პროექტის ეტაპების განსაზღვრის მიზნით]**
- კონტრაქტორებს ევალებათ წარმოადგინონ საბოლოო ანგარიში აკინძული და ილუსტრირებული (A4) დოკუმენტის სახით
- სასურველია არსებობდეს ანაზომების ნახაზები (დისკეტაზე, ან ქაღალდზე ნაბეჭდი ასლის სახით, შემცირებული A3-მდე და აკინძული ანგარიშთან ერთად)
- პროექტი უნდა გადაეცეს განსახილველად (ჩვეულებრივ, დამკვეთ ორგანოს და სხვა პარტნიორებს), სანამ მოხდება საბოლოო ანგარიშსწორება.

საბოლოო ანგარიშის ასლები ასევე უნდა გადაეცეს განსახილველად

- ინგლისის მემკვიდრეობის ეროვნულ ძეგლთა ნუსხას
- **[დასახელება]** ღირსშესანიშნავი ადგილების და ძეგლთა ნუსხას
- **[დასახელება]** აღრიცხვის ადგილობრივ ორგანიზაციას
- პროექტის არქიტექტორს (და სხვა სპეციალისტებს)
- ღირსშესანისნავი ადგილის მფლობელს ან მმართველს
- ადგილობრივ ორგანიზაციას (კონსერვაციის ოფისს/სხვ.)
- სხვა მნიშვნელოვან ორგანიზაციას, რომელიც ღირსშესანიშნავ ადგილთან არის დაკავშირებული

მიუთითეთ მისამართი, სადაც დაცული იქნება დოკუმენტი.

*ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჭიროებისამებრ, და, რა თქმა უნდა, მანამ, სანამ საკვანძო გადაწყვეტილება იქნება მიღებული. ამ თავმა უნდა განმარტოს პროექტის სტრუქტურა და ვადები და განსაზღვროს ინფორმაციის მიწოდების საბოლოო თარიღი.*

## *ვადების განსაზღვრა*

- ანგარიშის პროექტის ასლი განსახილველად უნდა გადაეცეს **[ვის] [ვადაში]**
- ანგარიშის საბოლოო ასლი, ყველა შენიშვნებით, უნდა გადაეცეს განსახილველად **[თარიღი]**

რთული კომპლექსების შემთხვევაში, შეიძლება საჭირო გახდეს ღირსშესანისნავ ადგილზე სამუშაოების წარმოებისას კვლევის და ანალიზის სხვადასხვა ეტაპების განსაზღვრა.

- ანაზომების ნახაზები/სხვა შედეგები უნდა დასრულებული იყოს და გადაცემული **[არქიტექტორისათვის/ადგილობრივი ორგანიზაციისათვის] [ვადებში]**

## *პროექტის მენეჯმენტი და მონიტორინგი*

იპოვეთ კონტრაქტორთან შეხების წერტილი და აუხსენით მას როგორ ჩატარდება მართვა და მონიტორინგი. ასევე ამ თავში შესაძლოა განსაზღვრული იყოს განხორციელების მაჩვენებლები.

*ახსენით როგორ იქნება სამუშაო უზრუნველყოფილი. თუ არსებობს პროექტის განხორციელების გეგმების საჭიროება, ამ თავში მითითებული უნდა იყოს პროექტის განხორციელების გეგმის შინაარსი, ისევე როგორც ყველა სხვა აუცილებელი ინფორმაცია.*

## *უზრუნველყოფა (procurement)*

კონსერვაციაზე დაფუძნებული კვლევისა და ანალიზის პროგრამა უზრუნველყოფილი იქნება, როგორც

- პროექტისათვის გაწეული სპეციალისტთა კონსულტაციების ერთობლიობის ნაწილი
- სატენდერო პაკეტი პროექტის განხორციელების გეგმის მიმართ

სამუშაოსთვის პროექტის განხორციელების გეგმა უნდა შეიცავდეს

- მოკლე განცხადებას, სადაც აღნიშნული იქნება, როგორ იაზრებს სპეციალისტი ღირსშესანიშნავ ადგილს.
- განცხადებას მეთოდების თაობაზე, რომელიც განმარტავს, თუ როგორ ჩატარდება სამუშაოები. აქ აგრეთვე მითითებული უნდა იყოს აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა, იმ წყაროების ადგილმდებარეობა, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ მუშაობისას და სხვა მსგავსი საკითხები.
- განმარტებებს განსაკუთრებულ პრობლემებზე, რომლის წინაშე შეიძლება აღმოვჩდეთ, ან რეზიუმეს მიერ წამოჭრილ საკითხებს.
- პირველ რიგში შესასრულებელი ნახაზების პირველად სიას
- გუნდის წევრების დაყოფას და მათ პირად ვალდებულებებს
- გუნდის წევრთა CV-ს და მათი შესაბამისი ნამუშევრების ნიმუშებს. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნახაზების ჩართვა.
- გაწეული სამუშაოსათვის ანაზღაურების განაწილებას.

## *უფლებები ინტელექტუალურ საკუთრებაზე*

რეზიუმე უნდა შეეხოს ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების საკითხს. დამკვეთ ორგანოს შეიძლება სურდეს დარწმუნდეს იმაში, რომ კონტრაქტორი ნებას დართავს ყველა მონაცემი გამოყენებული იყოს მომავალ პროგრამებში, ან მომავალ პუბლიკაციებში, და რომ მონაცემთა ასლის მოპოვება შესაძლებელი იქნება მოთხოვნისთანავე. ასევე დამკვეთ ორგანოს შეიძლება უნდოდეს თავისი უფლებების დაცვა ნებისმიერ მონაცემზე, რაც კი კონტრაქტორს მიაწოდა.

## *დამხმარე ინფორმაცია*

დამხმარე ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ნებისმიერი სახის სხვა ინფორმაციას, რაც დაეხმარება კონტრაქტორს რეალისტურად შეაფასოს პროექტის მოთხოვნები და სამუშაოს ანაზღაურება. ინფორმაცია შესაძლოა პირდაპირ იყოს გადაცემული, ან კონტრაქტორს მიუთითებენ, სად შეიძლება მისი მოპოვება.

## *ჯანმრთელობა და უსაფრთხოება*

რჩევა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კანონმდებლობის, წესებისა და ნორმების დაცვის თაობაზე, რასაც უნდა დაემატოს ღირსშესანიშნავი ადგილისთვის ნებისმიერი რისკის შეფასება. პოტენციური კონტრაქტორები გაფრთხილებული უნდა იყვნენ შესაძლო საფრთხის თაობაზე.

## *სამუშაო ადგილთან მისვლის საშუალებები*

ცნობები სამუშაო ადგილზე მისვლის საშუალებების თაობაზე.

## *დაზღვევის ზომები*

რჩევა დაზღვევის საკითხების თაობაზე (მაგ., პროფესიული გარანტია).

### *შესასწავლი ტერიტორია*

განსახილველი ტერიტორიის რუკა ან სხვა ინფორმაცია, რომელიც ასახავს მის ზუსტ მდებარეობას.

### *დაგეგმვის წინაპირობა*

ინფორმაცია არსებული შეთანხმებების შესახებ, ან შემოსული განაცხადების თაობაზე; ცნობები ღირსშესანიშნავი ადგილის ადრინდელი გეგმარების შესახებ; ნებისმიერი არსებული მითითება.

### *ორგანიზაციის სტანდარტული მოთხოვნები*

ორგანიზაციის რეზიუმესთან დაკავშირებული სტანდარტული წესები.

### *სპეციფიკაცია*

მითითებული უნდა იყოს სამუშაოს სხვადასხვა ასპექტის სპეციფიკაცია (მაგ., მეტრული კვლევა).

### *ღირსშესანიშნავი ადგილის შესახებ არსებული ინფორმაცია*

არქიტექტურული ნახაზები ან ანაზომეი, ანგარიშები, ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროების და ადრინდელი კვლევების ასლები ყველაფერი, რათა კონტრაქტორს მოთხოვისაებრ შეეძლოს არსებული ნახაზების განახლება.

### *ზეგავლენის შეფასება*

დამფინანსებელ ან სხვა ოგრანოს მომზადებული უნდა ჰქონდეს ზეგავლენის შეფასების ასლი, ან განსაზღვრული ჰქონდეს სფეროები, რასაც საფრთხე ემუქრება.

**რეზიუმეს ავტორი:**
**ორგანიზაცია:**
**კონტაქტი:**
**თარიღი:**

# სპეციალური ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი

**ანალიტიკური (ან ქსოვილის) ნახაზები**

სინთეზური განმარტებითი ნახაზები, რომლის მიზანია ასახოს ნაგებობის და მისი ლანდშაფტის ქრონოლოგია. ასეთი ნახაზები მოითხოვს ქსოვილის კრიტიკულ ანალიზს, ნაგებობის აშენების, დანიშნულების და მასში შეტანილი ცვლილებების მოწმობათა დადგენას და ხშირად შეიცავს მთელ რიგ არქიტექტურულ და არქეოლოგიურ ცნობებს.

**ანალიტიკოსი (ნაგებობების ან ლანდშაფტის)**

გამოიყენება ჩვენს „სახელმძღვანელო პრინციპებში", როგორც პირობითი აღნიშვნა ექსპერტისა ნაგებობებისა და ლანდშაფტების ანალიზში, რომელსაც ჩვეულებრივ, აქვს გარკვეული გამოცდილება არქეოლოგიაში, არქიტექტურაში ან ლანდშაფტის ისტორიაში, მეტრულ კვლევაში, ნაგებობის ისტორიასა და ისტორიულ კვლევაში, და რომელმაც კარგად იცის სპეციალური მეთოდების რაობა და გამოყენება.

**არქიტექტურის დაფერვის კვლევა**

ნაგებობის ანალიზის განხრა, რომელიც გულისხმობს საღებავის დაგროვილი ფენების ან სხვა მოსართავების მიკროსკოპულ ანალიზს და ამასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლას იმ მიზნით, რომ ნათელი მოეფინოს ნაგებობების და მათი ინტერიერების განვითარებას და იქ შეტანილ ცვლილებებს.

**რეზიუმე**

დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება კდკა-ს დასაკვეთად, რომელიც განმარტავს სამუშაოების წარმოების მიზეზს, მიუთითებს სამუშაოების მასშტაბს და განმარტავს როგორ იქნება იგი განხორციელებული. იგი უნდა შეიცავდეს საკმარის ინფორმაციას კონტრაქტორისთვის, რათა მან უზრუნველყოს პროექტის განხორციელების უფრო დეტალური გეგმა ან მეთოდზე განცხადება. რეზიუმე უფრო მოკლედ არის შედგენილი, ვიდრე სრული დაწვრილებითი სპეციფიკაცია.

**კონსერვაციაზე დაფუძნებული კვლევა და ანალიზი (კდკა)**

კვლევა და ანალიზი აუცილებელი ნაგებობების და მათი ლანდშაფტის მნიშვნელობის გასააზრებლად, რაც შემდგომ გამოყენებული იქნება შეკეთების სამუშაოების, ცვლილებების შეტანის, გამოყენების და მართვის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებისას.

**დასრულება**

ადგილზე დეტალების შესწორებების და დამატებების შეტანა, ჩვეულებრივ ხელით, იმ ნახაზებში, რომელნიც კამერალურად შესრულდა (მაგ., ფოტომეტრული გეგმა) იმ მიზნით, რომ შეიქმნას ვიზუალურად დასრულებული საფიქსაციო მასალა, რასაც შეიძლება დავეყრდნოთ ანალიზისა და სხვა სამუშაოების წარმოების დროს.

**მრჩეველი კონსერვაციის სახითხებში**

ჩვენს „სახელმძღვანელო პრინციპებში" ასე იხსენიება ადამიანი, რომელიც იძლევა რჩევას კონსერვაციის სხვადასხვა ასპექტზე. რჩევა ეძლევა მომხმარებელს, ან პიროვნებას, რომელიც გრანტის მიღებაზე აკეთებს განაცხადს, ან იგი შეიძლება იყოს პასუხი წესისაებრ შეთანხმებულ განაცხადზე. ჩვეულებრივ, ეს პიროვნება არის სპეციალისტი, რომელსაც აქვს გამოცდილება კონსერვაციის საქმეში (კონსერვაციის მუშაკი, არქეოლოგი, არქიტექტორი, მოწვეული მკვლევარი, ინჟინერი, ლანდშაფტის არქიტექტორი, ისტორიული შენობების ზედამხედველი, მრჩეველი ისტორიულ ტერიტორიებზე, დამგეგმავი ან სხვა სპეციალისტი).

**საკონსერვაციო არეალი**

განსაკუთრებული არქიტექტურული ან ისტორიული მნიშვნელობის მქონე არეალი, რომლის ხასიათი ან გარეგნული მხარე სასურველია დაცული ან უკეთ გამოკვეთილი იყოს, რაც დადგენილია გეგმარების (სიაში შეტანილი ნაგებობები და საკონსერვაციო ტერიტორიები) 1990 წლის ბრძანებულებით.

**კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმა**

კონსერვაციის გეგმა, რომელშიც წარმოდგენილია ღირსშესანიშნავი ადგილის მენეჯმენტის სპეციფიკური ღონისძიებები და წინადადებები.

### კონსერვაციის გეგმა

დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელოვნება, ის, როგორ უნდა დავიცვათ ეს მნიშვნელოვნება შემდგომი გამოყენების, ცვლილებების, შეკეთების, მენეჯმენტის ან განვითარების დროს. იგი ემყარება კონსერვაციის დაგეგმვის პროცესს.

### კონსერვაციის დაგეგმვის პროცესი

ფიქრი კონსერვაციის გეგმისა ან განცხადებების კვალად, რაც მოიცავს ადგილის გააზრებას, მნიშვნელოვნების შეფასებას, იმის განსაზღვრას, თუ რამდენად დაუცველია ობიექტი და ისეთი პრინციპების და სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებას, რაც ხელს შეუწყობს მნიშვნელოვნების მომავალში შენარჩუნებას.

### განცხადება კონსერვაციის შესახებ

ჩამოაყალიბეთ კონსერვაციის ზოგადი გეგმის ვერსია კონსერვაციის გეგმარების პროცესის მეშვეობით. ჩვეულებრივ (მაგარმ არა ყოველთვის), იგი მზადდება დამოუკიდებლად და საკუთარ ცოდნას ეყრდნობა. ხშირად, კონსერვაციის დებულება ავლენს ხარვეზებს ცოდნაში და მიგვითითებს შემდეგში რა უნდა გაკეთდეს.

### დენდროქრონოლოგია

მეცნიერება, რომელიც განსაზღვრავს ხეების ასაკს მათი წლიური წრეების მიხედვით.

### გარემო ზეგავლენის შეფასება (გზშ)

გარემოზე პროექტის შესაძლო მნიშვნელოვანი ზეგავლენის სისტემატური შეფასება. კრიტერიუმები გზშ-სთვის წარმოდგენილია DETR ცირკულარში 02/99.

### განცხადება გარემოს შესახებ

გარემოზე პროექტის შესაძლო ზეგავლენის (ექვემდებარება გზშ-ს) შესახებ სპეციალისტის მიერ შეგროვებული დეტალური ინფორმაცია, რომელიც ჩართული უნდა იყოს წარმოდგენილია DETR 02/99 ცირკულარის დამატება A-ში.

### განცხადება მემკვიდრეობაზე ზეგავლენის შესახებ

სპეციფიკური წინადადების ისტორიული ნაგებობის და მისი ლანდშაფტის განსაკუთრებულ თვისებებზე ზეგავლენის შეფასების პროცესი და მავნე ზეგავლენის შემცირების ღონისძიებების დასახვა.

### გამოსახულების გამოყენებით გაზომვა

გაზომვა, რომლის მონაცემთა წყაროს წარმოადგენს ვიზუალური სახე (ფოტოგრაფიული ან ციფრული), მასშტაბის ელემენტებთან ერთად. კვლევის შედეგი შეიძლება იყოს დოკუმენტური ფოტოსურათი, შტრიხული ნახაზი, სამგანზომილებიანი ციფრული მოდელი, ორთოფოტოგრაფია ან პერსპექტიული ხედი.

### დამოუკიდებელი თარიღი

სხვადასხვა მეთოდებით დადგენილი თარიღი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო არქეოლოგიურ ან ისტორიულ ქრონოლოგიასთან.

### სიაში შეტანილი ნაგებობები

შენობა შესული განსაკუთრებული მნიშვნელობის არქიტექტურულ ან ისტორიულ ნაგებობათა სიაში, რომელიც შედგა 1990 წლის გეგმარების (სიაში შესული ნაგებობები და საკონსერვაციო არეალები) კანონის თანახმად.

### ღირსშესანიშნავი ადგილის გაზომვა

გააზომვაზე დაფუძნებული კვლევა, რაც გულისხმობს უშუალო კავშირს ნაგებობასთან ან ლანდშაფტთან (გამოსახულების გამოყენებით გაზომვისგან განსხვავებით). მეთოდები მოიცავს ედა-ს (ელექტრო-დისტანციურ აზომვას), უედა-ს (ურეფლექტორო (Reflectorless) ელექტრო-დისტანციურ აზომვას) და ხელით შესრულებულ გაზომვას.

### მეტრული ან აზომვითი გაზომვა

ნებისმიერი სახის კვლევა, სადაც გამოყენებულია გამეორებადი და ვერიფიცირებადი მეთოდები, რომლის კვალობაზე ჩნდება გეგმა, შესრულება, მშენებლობის თანმიმდევრობა და ნაგებობის დანიშნულება, რომლებიც მკაფიოდაა ასახული გეგმებში, ჭრილებში და ფასადებზე.

### შესუსტება

ზომები, რომელიც მიიღება ისტორიულ ღირსშესანიშნავ ადგილებზე შესაძლო ზიანის შემცირების მიზნით. აქ შეიძლება შედიოდეს ზიანის თავიდან არიდება, პრობლემის გადაჭრის მეთოდები, ვარიანტების შეფასება ან შემდგომი ინფორმაციის მოძიება.

### ორტოფოტოგრაფიები

ორგანზომილებინი ფოტოსურათები, სადაც შესწორებულია მასშტაბის ცდომილება, ანუ მისი მასშტაბი ერთიანია მთელ გამუსახულებაზე, მიუხედავად ობიექტის რელიეფისა ან სიბრტყეებად განფენისა. ისინი მიიღება ციფრული ფოტოგრამეტრიით.

### ფაზებად დაყოფა

დროის მანძილზე მომხდარი ცვლილებების ამსახველი მონაცემების ორგანიზების პროცესი ინტელექტუალურად ერთიან დროის ერთეულებად ან ფაზებად. ფაზებად დაყოფა მოიცავს ღირსშესანიშნავი ადგილის ფარდობითი ქრონოლოგიის მიბმას რომელიღაც დამოუკიდებელ თარიღზე, *terminus ante quem* და *terminus post quem* გამომდინარე.

### ფოტოგრამეტრია

სტერეოფოტოსურათებიდან ზუსტი ანაზომების და ნახაზების მიღების მეთოდი.

### პროექტის ჩამოყალიბება

წერილობითი განცხადება პროექტის ამოცანების, მეთოდების, განრიგის და რესურსების შესახებ, რაც მონიშნავს პროექტის განხორციელების ჩარჩოს. ეს ისე დეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ შესაძლებელი იყოს მისი დაანგარიშება, დანერგვა და მონიტორინგი.

### სწრაფი შეფასება

ნაგებობის და მისი ლანდშაფტის თავდაპირველი გააზრება, რაც ემყარება არსებულ წერილობით და გრაფიკულ ინფორმაციას და ადგილის მონახულებას მისი რაობის, მოცულობის და ისტორიული ქსოვილის ხარისხის განსაზღვრის მიზნით.

### რეგისტრირებული პარკი ან ბაღი

ღირსშესანიშნავი ადგილი, რომელიც შესულია ინგლისის მემკვიდრეობის მიერ შედგენილ *ინგლისის განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობის პარკებისა და ბაღების სარეგისტრაციო ჟურნალში*. დღესდღეობით ჟურნალში შეტანილია დაახლოვებით 1,350 ღირსშესანიშნავი ადგილი.

### უძველესი კატალოგიზებული ძეგლები

ღირსშესანიშნავი ადგილები, რომლებიც შესულია უძველესი დაცული ძეგლების კატალოგში და, ამდენად, ექვემდებარება 1979 წლის უძველესი ძეგლებისა და არქეოლოგიური არეალების კანონს.

### სპეციფიკაცია

კონკრეტული პროექტისათვის საჭირო სამუშაოების წერილობითი განრიგი, წარმოდგენილი ისე დაწვრილებით, რომ შეიძლებოდეს მისი დაანგარიშება, დანერგვა და მონიტორინგი.

## Terminus ante quem

„დრო, რომელზე უფრო ადრე“ – ღირსშესანიშნავი ადგილის ქრონოლოგიის ფაზებად დაყოფისას, დრო, რომლის წინაც მოხდა რომელიღაც ცვლილება.

## Terminus post quem

„დრო, რომლის შემდეგ“ – ღირსშესანიშნავი ადგილის ქრონოლოგიის ფაზებად დაყოფისას, დრო, რომლის მერე მოხდა რომელიღაც ცვლილება.

# ლიტერატურა

## *კანონმდებლობა და სახელმწიფო კანონები*


Ancient Monuments and Archaeological Areas Act 1979.

Planning (Listed Buildings and Conservation Areas 1990.

Town and Country Planning Act 1990.

Town and Country Planning (Applications) Regulations SI 1988 No.1812.

Department of the Environment *Crown land and crow development.* Circular 18/84.

Department of the Environment *Historic buildings and conservation areas - policy and procedures.* Circular 08/87.

Department of the Environment 1990 *Planning policy guidance 16: archaeology and planning.*

Department of the Environment/Department of National Heritage 1994 *Planning policy guidance 15: planning and the historic environment.*

Department of the Environment, Transport and the Regions *Environmental impact assessment.* Circular 02/99.

Department of the Environment, Transport and the Regions/Department of Culture, Media and Sport *Arrangements for handing heritage applications: notification and directions by the Secretary of State.* Circular 01/2001.

*The Faculty Jurisdiction Rules* 2000 SI 2000 No.2047.

HMSO 1991 *Care of Churches and Ecclesiastical Jurisdiction Measure.*


## *ინგლისური მემკვიდრეობა და სხვა მითითებანი*


Association of Local Government Archaeological Officers (ALGAO)1997 *Analysis and recording for the conservation and control of works to historic buildings*.

British Standards Institution 1998 *Guide to the principles of the conservation of historic buildings.* BS 7913.

Department of the Environment (DoE) 1995 *Preparation of environmental statements for planning projects that require environmental assessment – a good practice guide.*

Department of the Environment, Transport and Regions 2000 *Environmental impact assessment: a guide to the procedures.*

English Heritage 1994 *Investigative work on historic buildings.*

English Heritage 1995 *Development in the historic environment: an English Heritage guide to policy, procedure, and good practice.*

English Heritage, 1995 *Cathedral fabric records: a report of the joint working group on records and recording of cathedral fabric.*

English Heritage 1995 *Easy access to historic properties.*

English Heritage 1996 *Developing guidelines for the management of listed buildings.*

English Heritage 1997 *Sustaining the historic environment: new perspectives on the future – a discussion document.*

English Heritage 1997 *Conservation area appraisals: defining the special architectural or historic interest of conservation areas.*

English Heritage 1998 *Dendrochronology: guidelines on producing and interpreting dendrochronological dates.*

English Heritage 1998 *The register of parks and gardens: an introduction.*

English Heritage/English Nature 1998 *Bats in churches.*

English Heritage 1998 *The care of historic buildings and ancient monuments – guidelines for government departments and agencies.*

English Heritage 1999 *Enabling development and the conservation of heritage assets.*

English Heritage 2000 *The presentation of historic building survey in CAD.*

English Heritage 2000 *Metric survey specifications for English Heritage.*

English Heritage 1999 *Guidance notes for applicants: English Heritage*

*grants for the repair and conservation of historic buildings, monuments, parks and gardens 1999-2002.*

English Heritage 2000 *Catalogue of free conservation publications.*

Heritage Lottery Fund 1998 *Conservation plans for historic places.*

Institute of Field Archaeologists (IFA) 1999 *Standards and guidance for the archaeological investigation and recording of standing buildings or structures.*

Royal Commission on the Historical Monuments of England 1996 *Recording historic buildings: a descriptive specification.* 3rd edition.

## *დამატებითი ლიტერატურა*

Alcock, N W, Barley, M W, Dixon, P W and Meeson, R A 1996 *Recording timber-framed buildings: an illustrated glossary. 2nd edition.* Council for British Archaeology Practical Handbooks in Archaeology 5, York: CBA.

Alcock, N W and Hall, L 1994 *Fixtures and fittings in dated houses 1567-1763.* Council for British Archaeology Practical Handbooks in Archaeology 11, York: CBA.

Barnwell, P and Adams, A 1994 *The house within: interpreting medieval houses in Kent.* Swindon: RCHME.

Barley, M W 1974 *A guide to British topographical collections.* London: CBA.

Bond, F 1906 *Gothic architecture.* Batsford: London.

Bowden, M 1999 *Unravelling the landscape.* Stroud: Tempus.

Brown, A (ed) 1999 *The rows of Chester: the Chester rows research project.* London: English Heritage.

Brunskill, R W 2000 *Vernacular architecture: an illustrated handbook.* 4th edition. London: Faber & Faber.

Buchanan, T 1983 *Photographing historic buildings.* London: HMSO.

Clark, K 1999 *Conservation plans in action.* Proceedings of the Oxford conference. London: English Heritage.

Colvin, H 1995 *A biographical dictionary of British architects 1600-1840.* 3rd edition. New Haven and London: Yale.

Cocke, T *et al* 1996 *Recording a church: an illustrated glossary.* 3rd edition. council for British Archaeology Practical Handbooks in Archaeology 7, York: CBA.

Curl, J S 1999 *A dictionary of architecture.* Oxford University Press.

Grenville, J 1997 *Medieval housing.* Leicester University Press.

Harris, R 1993 *Discovering timber-framed buildings.* 3rd edition. Princes Risborough: Shire.

Hewett, C 1980 *English historic carpentry.* London: Phillimore.

International Council on Monuments and Sites 1990 *Guide to recording historic buildings.* London: ICOMOS.

Kerr, J S 2000 *The conservation plan.* Sydney: National Trust of New South Wales.

Lambert, D, Goodchild, P and Roberts, J 1995 *Researching a garden's history: a guide to documentary and published sources.* Reigate: Landscape *Design Trust.*

Miles, D 1997 "The interpretation, presentation and use of tree-ring dates." *Vernacular architecture* 28, 40-56.

Morriss, R K 2000 *The archaeology of buildings.* Stroud: Tempus.

Mynors, C 1999 *Listed buildings, conservaton areas and monuments.* 3rd edition. London: Sweet & Maxwell.

Parsons, D 1998 *Churches and chapels: investigating places of worship.* 2nd edition. Council for British Archaeology Practical Handbooks in Archaeology 8, York: CBA.

Rodwell, W 1989 *Church archaeology.* Revised edition. London: Batsford.

Schmid, W (ed) 2000 *GRADOC: graphic documentation systems in mural painting conservation.* Proceedings of a research seminar hosted by ICCROM in Rome 16-20th November 1999. Rome: ICCROM.

Wood, J (ed) 1994 *Buildings archaeology: applications in practice.* Oxbow

Monograph 43, Oxford: Oxbow.

**CD-ROMS**

*Compendium of Pevsner's Buildings of England on compact disc.* Oxford:Oxford University Press.

*The Royal Historic Society Bibliography on CD-ROM. The history of Britain, Ireland and the British Overseas.* Oxford: Oxford University Press.

*Dictionary of National Biography on CD*-ROM. Oxford: Oxford University Press.

# რჩევის მოძიების წყაროები

## *ინგლისის მემკვიდრეობის რეგიონები*

| | |
|---|---|
| North East Region | 0845 3010 001 |
| North West Region | 0845 3010 002 |
| Yorkshire Region | 0845 3010 003 |
| West Midlands Region | 0845 3010 004 |
| East Midlands Region | 0845 3010 005 |
| East of England Region | 0845 3010 006 |
| South West Region | 0845 3010 007 |
| South East Region | 0845 3010 008 |
| London Region | 0845 3010 009 |

Ancient Monuments Society
St Ann's Vestry Hall
2 Church Entry
London EC4V 5HB
020 7236 3934

ALGAO (Association of Local Government Archaeological Officers)
c/o Planning Department
Essex County Council
County Hall
Chelmsford
Essex CM1 1LF
www.algao.org.uk

The Brooking Collection
University of Grenwich
Oakfield Lane
Dartford
Kent DA1 2SZ
020 8331 9897

Council for British Archaeology
Bowes Morrell House
111 Walmgate
York YO1 2 UA
1904 671417
www.britarch.ac.uk

English Heritage
23 Savile Row
London W1S 2ET
020 7973 3000
www.english-heritage.org.uk

English Heritage National Monuments Record
Kemble Drive
Swindon SN2 2GZ
01793 414700
www.english-heritage.org.uk

English Heritage Postal Sales
Knights of Old Ltd
Kettering Parkway
Kettering
Northants NN15 6XU
01536 5335500

Garden History Society
70 Cowcross Street
London EC1M 6BP
020 7608 2409
www.gardenhistorysociety.org.uk

Georgian Group
6 Fitzroy Square
London W1P 6DX
020 7387 1720
www.heritage.co.uk/georgian

Heritage Lottery Fund
7 Holbein Place
London SW1W 8NR
0207 591 6000
www.hlf.org.uk

ICOMOS UK (International Council on Monuments and Sites)
10 Barley Mow Passage
London W4 4PH
020 8994 6477
www.icomos.org

Institute of Field Archaeologists
The University of Reading
2 Early Gate
PO Box 239
Reading RG6 6AU
0118 931 6446
www.archaeologists.net

Institute of Historic Building Conservation
3 Stafford Road
Tunbridge Wells
Kent TN2 4QZ
01483 252000
www.ihbc.org.uk

National Trust
36 Queen Ann's Gate
London SW1H 9AS
020 7222 9251
www.nationaltrust.org.uk
Royal Institute of British Architects
66 Portland Place
London W1N 4AD
020 7580 5533
www.architecture.com

Society of Architectural Historians of Great Britain
115 Henderson Row
Edinburgh EH3 5BB
www.sah.org

Society for the Protection of Ancient Buildings (SPAB)
37 Spital Square
London E1 6DY
020 7377 1644
www.spab.org.uk

The Twentieth Century Society
70 Cowcross Street
London EC1M 6BP
020 7250 3857
www.c20society.demon.co.uk

United Kingdom Institute for Conservation
of Historic and Artistic Works
109 The Chandlery
50 Westminster Bridge Road
London SE1 7QY
020 7721 8721
www.ukic.org.uk

Victorian Society
1 Priory Gardens
Bedford Park
London W4 1TT
020 8994 1019
www.victorian-society.org.ik

## *სასარგებლო WEB მისამართები*

Department for Culture, Media and Sport
www.culture.gov.uk

Department of the Environment, Transport and the Regions
www.detr.gov.uk

Public Record Office
www.pro.gov.uk

The Stationery Office
www.clicktso.com

RIBA Library
www.riba-library.com/oncat

List of Conservation and Specialist Organisations
www.buildingconservation.com

British and Irish Archaeological Bibliography
www.britarch.ac.uk/biab

Images of England Project
www.imagesofengland.org.uk

Heritage Unformation
www.heritageinformation.org.uk

## *სხვა საინტერესო საიტები*

**European heritage policies and organisations**
**www.european-heritage.net**

**Historic American Buildings Survey**
**www.cr.nps.gov/habshaer**

**Internet sources in architecture and architectural history**
**www.library.ucla.edu/libraries/arts/websites/wwwarch.htm**

# არქიტექტურული მემკვიდრეობის დაფინანსება

ევროპის საბჭოს სპეციალისტთა ჯგუფის მიერ
შემუშავებული დოკუმენტი

დოკუმენტი გამოქვეყნდა 1991 წლის დეკემბერში იტალიის შემნახველი ბანკების ასოციაციასა და საფრანგეთის შემნახველი ბანკების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით

ევროპის საბჭო, 1991

# FUNDING THE ARCHITECTURAL HERITAGE

Council of Europe, 1991

*იტალიის შემნახველი ბანკების ასოციაცია და საფრანგეთის შემნახველი ბანკების ეროვნული ცენტრი რამდენიმე წლის განმავლობაში ინტერესით აკვირდებოდნენ ევროპის საბჭოს ინიციატივებს არქიტექტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის სფეროში.*

*ისინი მოხარულნი არიან განაცხადონ თავისი თანამშრომლობის თაობაზე ამ სფეროში, რაც ამ მოხსენებაშია განხილული.*

*შემნახველი ბანკები წარმოადგენს საკრედიტო დაწესებულებებს ძლიერად გამოხატული სოციალური ელფერით და კარგად ესმით არქიტექტურული მემკვიდრეობის კონსერვაციასა, მოვლასა და მართვასთან დაკავშირებული პრობლემების მნიშვნელოვნება.*

*ამ პრობლემათა მზარდი სერიოზულობის პირისპირ, უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება კოორდინაციის კონკრეტული გზების შემუშავება ეროვნულსა და საერთაშორისო უწყებებს, უნივერსიტეტებს, ექსპერტებს, ფინანსურ დაწესებულებებს, კომპანიებსა და კომუნიკაციების სამყაროს შორის.*

*დღემდე შემნახველი ბანკების თაოსნობა გამოიხატა არა მხოლოდ სარესტავრაციო პროექტებში, არამედ ასევე გამოფენებისა და შეხვედრების მოწყობაში, წიგნების გამოცემასა და ვიდეო-ფილმების შექმნაში, ხელოვნების ნაწარმოებთა შეძენასა და მუზეუმების მდგომარეობის გაუმჯობესებაში.*

*ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია და გაუმჯობესება, ჩვენი კოლექტიური მეხსიერების შენახვა და სიცოცხლის უკეთესი ხარისხის უზრუნველყოფა ერთი იმ წვლილთაგანია, რაც შემნახველ ბანკებს სურთ შეიტანონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.*

*წარმოდგენილ მოხსენებაში შედარებულია ევროპული არქიტექტურული მემკვიდრეობის დაფინანსების ფორმები როგორც რეგიონალურ, ასევე ეროვნულ დონეზე. ეს არის აუცილებელი ნაბიჯი, ვიდრე მოიძებნება დაფინანსების ახალი გზები ხშირად არასაკმარისი საზოგადოებრივი თანხების შესავსებად.*

*შემნახველი ბანკები დარწმუნებულნი არიან, რომ ევროპული კალენდრის მომავალი საკნაძო თარიღები და აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე საგულისხმო ცვლილებები ევროპის საბჭოს ახალი თაოსნობის შესაძლებლობას მისცემს; შემნახველი ბანკები ასევე ადასტურებენ თავის მზადყოფნას განამტკიცონ თავისი თანამშრომლობა ევროპის საბჭოსთან.*

***რობერტო მაზოტტა***
*იტალიის შემნახველი ბანკების*
*ასოციაციის თავმჯდომარე*

***ჟან-პიერ თიოლონი***
*საფრანგეთის შემნახველი ბანკების*
*ეროვნული ცენტრის*
*საბჭოს თავმჯდომარე*

## წინათქმა

ოცი წლის მანზილზე, ევროპის საბჭო აქტიურად მოღვაწეობდა არქიტექტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის მიმართულებით.

თავიდანვე მისი მკაფიოდ გამოხატული მიდგომა იყო კულტურასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის დამყარება, მემკვიდრეობის კონსერვაციის დაკავშირების მეოხებით უფრო ფართო სოციალურ გარემოსთან. „ინტეგრირებული კონსერვაციის“ ცნებამ საწყისი მისცა განსაკუთრებით ნაყოფიერი განვითარების გზებს.

1980-ან წლებში ამ საქმიანობამ დამატებითი მხარდაჭერა მიიღო ეკონომისტების, ბიზნესმენებისა და ფინანსური ექსპერტების მხრიდან, რომლებმაც აჩვენეს, რომ ნაგები მემკვიდრეობის გამოყენება ეკონომიკური საქმიანობისა და დასაქმების უზრუნველყოფის მძლავრ სტიმულს იძლევა. მეტიც, ეკონომიკის ბევრ სექტორში მისი მრავალმხრივი ზეგავლენა გულისხმობს, რომ არქიტექტურული მემკვიდრეობის რესტავარციის, მოვლისა და მართვისთვის გაწეულ ხარჯებს გააჩნია გამრავლების ეფექტიც. ბევრ შემთხვევაში ეს ძალიან მომგებიანიც შეიძლება გახდეს, როგორც უშუალოდ იმ ბიზნესისათვის, რომელსაც ეხება, ასევე მაკრო-ეკონომიკურ დონეზეც.

თუ ბოლო ოცი წლის ამ საქმიანობის მზარდი მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნება, გაჩნდება მეტი რესურსების მოთხოვნილება. სწორედ ამიტომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ახლახან მიიღო რეკომენდაცია იმ ზომების თაობაზე, რომლებმაც უნდა წააქეზონ არქიტექტურული მემკვიდრეობის დაფინანსება.

ეს რეკომენდაცია არის ეკონომისტების, ფინანსების, სამართლისა და გადასახადების სპეციალიტებისა და ხელოვნებათმცოდნეთაგან შემდგარი ექსპერტების ჯგუფის ორწლიანი მუშაობის დაგვირგვიენბა. აქ სწორედ ამ ჯგუფის საბოლოო მოხსენება არის წარმოდგენილი.

მისი ლაიტმოტივი არის კერძო და საზოგადოებრივ სექტორებს შორის თანამშრომლობის აუცილებლობა. კერძო თაოსნობა, მოგების ბუნებრივი სურვილით მოტივირებული ან პატრონაჟის პრინციპებზე დაფუძნებული, შეავსებს საზოგადოებრივი „ყულაბიდან“ დაფინანსებულ საქმიანობას. საზოგადოებრივი თანხების ნაწილი გამოყენებულ იქნება კერძო ინვესტიციების სტიმულირებისათვის, განსაკუთრებით საგადასახადო შეღავათების გზით, რაც შექმნის გამრავლების ეფექტის ახალ ტიპს.

ეს მოხსენება მხოლოდ დასაწყისია. ის გამიზნულია გამოიყვანოს გარკვეული საკვანძო პრინციპები მთელი რიგი საკმაოდ განსხვავებული რეგიონალური და ეროვნული ვითარებებისთვის. ამოდის რა განსხვავებული ტერმინოლოგური და კონცეპტუალური საფუძვლებიდან, იგი ცდილობს საერთო ენის შემუშავებას. იგი განიხილავს სხვადასხვა ევროპული ქვეყნის მიერ შემოთავაზებული ფინანსური პაკეტებისა და პროგრამების რიგს. შემდგომი გაუმჯობესებისათვის ჯერაც საკმაოდ დიდი შესაძლებლობაა და ეს მოხსენება ასევე შეიძლება განვიხილოთ დამატებითი ინფორმაციის და ახალი წინადადებების სტიმულირების საშუალებად, შემდგომი განხილვის წასაქეზებლად.

მე იმედი მაქვს, რომ დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ეს მოხსენება წააქეზებს ახალ თაოსნობას არქიტექტურლი მემკვიდრეობის სასარგებლოდ, რომელიც არის ჩვენი კოლექტიური მეხსიერებისა და ჩვენი იდენტურობის საფუძველი.

**ჟან-ლუი ლუქსენი**
კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტის თავმჯდომარე,
სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი

# შესავალი

1. წარსული 20 წელი ევროპაში აღინიშნა ისტორიული მემკვიდრეობის არსებობისა და ღირებულების გაცნობიერებით, რომლის არქიტექტურული ასპექტი ყველაზე ადვილად აღქმადია ფართო საზოგადოებისათვის და ასევე ყველაზე მეტად ასოცირდება ჩვენს ყოველდღიურ გარემოსთან. მიუხედავად განსხვავებისა მასალის, სტილის და სულისკვეთების თვალსაზრისით, რაშიც ევროპის გეოგრაფია აისახა, იმ ობიექტების დიაპაზონი, რომლებიც ამჟამად განიხილება როგორც მემკვიდრეობა, განუზომლად გაფართოვდა მთელს ევროპაში, ისევე როგორც გაიზარდა იმ ქმნილებების რაოდენობა, რომლებიც ითხოვს კონსერვაციას. კონსერვაცია თვითონაც მოიცავს რიგ ასპექტებს, დაწყებული ყოველდღიური მოვლითა და მონუმენტური მემკვიდრეობის კულტურული მიზნებისათვის გამოყენებისათვის გაღებული თანხებით და დამთავრებული მსხვილმასშტაბიანი რესტავრაციით.

2. ეს სამი ფაქტორი (სიძველეთა შენარჩუნების მოთხოვნილების გაცნობიერება, გადასარჩენი ობიექტების სახეობების რიცხვის მუდმივი ზრდა; კონსერვაციისათვის აუცილებელი უფრო დიდი მასშტაბის სამუშაოები) ასახულია საინვესტიციო თანხებზე მნიშვნელოვნად გაზრდილ მოთხოვნილებაში.

3. ნათელია, რომ სახელმწიფო თანხები (ცენტრალური ხელისუფლებიდან, რეგიონალური და ადგილობრივი ადმინისტრაციებიდან) არასაკმარისია იმ ახალი ამოცანების განსახორციელებლად, რასაც ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია მოითხოვს.

კერძო ინვესტორებს, როგორც უძრავი ქონების მენაშენეებს, ასევე მფლობელებს, ხშირად ის აფრთხობთ, რომ ქვემოთ განხილული მიზეზების გამო, სიძველეთა რესტავრაცია ხშირად არც თუ ისეთი მომგებიანი საქმიანობაა, მაშინ როცა ახალი მშენებლობა მეტ ანაზღაურებას იძლევა. საქველმოქმედო დაწესებულებებიც თავს იკავებენ მემკვიდრეობის რესტავრაციაში ინვესტირებისაგან. ქმედებათა მასშტაბი ხშირად სცდება ერთი დონორის შესაძლებლობებს და ესა თუ ის საქმიანობა (არაკლასიფიცირებული და დაცვას მოკლებული ისტორიული ნაგებობის რესტვარცაია) არ განეკუთვნება იმათ რიცხვს, რომელთათვისაც კანონით საგადასახდო შეღავათები არის გათვალისიწნებული.

4. შესაბამისად, შეიქმნა მოთხოვნილება, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი თანხების უფრო ეფექტიური გამოყენების გზების ძიებისა, განსაკუთრებით მაქსიმალური უკუგების მიღების თვალსაზრისით, და, მეორე მხრივ, სარესტავრაციო პროექტებისათვის ინვესტიციების მომგებიანობის გაზრდით ან ქველმოქმედების წაქეზებით მეტი კერძო თანხების მოზიდვისა. წინამდებარე მოხსენება შეეცდება ამ ორი საკითხის განხილვას.

5. 1985 წლის 4 ოქტომბერს გრანადაში, არქიტექტურული მემკვიდრეობის პასუხისმგებელი მინისტრების მე-2 ევროპულ კონფერენციაზე შეხვედრისას, ხაზი გაესვა არქიტეტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის ეკონომიკური ზემოქმედების უფრო გულმოდგინე შეფასების აუცილებლობას და მისი დაფინანსების სირთულის უკეთ წვდომას. სწორედ ამ მიზნით ევროპის საბჭოს მთავრობათაშორისი სამუშაო პროგრამის ფარგლებში, რომელსაც წარმართავდა არქიტექტურული მემკვიდრეობის ინტეგრირებული კონსერვაციის საორგანიზაციო კომიტეტი (CDPH), შეიქმნა სპეციალიტთა ჯგუფი „არქიტექტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის დაფინანსებისათვის", რომელსაც დაევალა მოხსენების მომზადება თემაზე „ნაგები მემკვიდრეობის კონსერვაციის დაფინასების მექანიზმები".

6. სპეციალისტთა ჯგუფმა დახმარება მიიღო ყველა დაინტერესებული სექტორიდან. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ორგანიზაციებმა, მაგ.: Shell Company, Foundation Jubilaums-Stiftung der Schweizerischen Bankgesellschaft, Cartier, Associazione fra le Casse di Risparmio Italiane (ACRI), Gruppo Iri Italstat, Eევროპული შემნახველი ბანკების ჯგუფი, EEC-ის ინფორმაციის, კომუნიკაციისა და კულტურის გენერალური დირექტორატი და ფინეთის გარემოს დაცვის სამინსიტრო.

7. ეს დოკუმენტი არის ამ ჯგუფის 1988 და 1989 წლების მუშაობის შედეგი[2]. ექსპერტების შეხვედრებს წინ უსწრებდა ევროპის საბჭოს მიერ მოწყობილი სამი კოლოქვიუმი (იორკში 1986 წელს, მესინაში 1987 წელს და გალიფაქსში, 1988 წელს[3]), რომლებმაც გამოააშკარავეს მემკვიდროების კონსერვაციის დაფინანსების სირთულეები და ამ სფეროში არსებული შესაძლებლობები.

დოკუმენტის პირველ ნაწილში განიხილება კონსერვაციის დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხები; მეორე ნაწილში – დაფინანსების გამოყოფის წამაქეზებელი ღონისძიებები.

---

2 მონაწილეთა სია იხ. დანართ 1-ში.

3 ამ კოლოქვიუმების მასალები გამოცემულ იქნა ევროპის საბჭოს მიერ.

# ნაწილი I
# კონსერვაციის დაფინანსების პრობლემები

8. ამ მოხსენების მიზანია კონსერვაციისათვის ხელმისაწვდომი რესურსების უფრო ეფექტური მობილიზაცია, მეტი აქცენტით დაფინანსების მექანიზმებზე, ვიდრე მოვლისა და კონსერვაციის სახელმწიფო ბიუჯეტით სრულ უზრუნველყოფაზე ანდა კონსერვაციის პოლიტიკაზე. ეს გულისხმობს კონსერვაციის გადატანას ეკონომიკური პროცესებისა და საბაზრო კანონების სფეროში, როდესაც ძირითადი საზრუნავი მომგებიანი ინვესტიციების პრინციპები და რეაბილიტაციის უპირატესობა ახალ მშენებლობასთან შედარებით. ვინაიდან მემკვიდრეობის ცნება მოიცავს ნაირგვარ ასპექტებს, რომლებიც საკმაოდ შორსაა ერთმანეთისაგან, პრობლემისადმი ყოვლისმომცველი მიდგომა საშუალებას მოგვცემდა გამოკვეთილიყო განსხვავება მემკვიდრეობის კონკრეტულ ტიპებს შორის, შესაბამისი დიფერენცირებული სტრატეგიებით და დაფინანსების ვარიანტებით.

ამ დოკუმენტში ტერმინი „მემკვიდრეობა“ ნახმარია ფართო გაგებით, არა მხოლოდ ცალკეული „სასახელო“ ძეგლების, ქალაქების ან ნაგებობათა ჯგუფების აღსანიშნავად, არამედ ნაგებობათა ყველა ჯგუფისა, რომლებსაც გააჩნია განუყოფელი მთლიანობის ღირსება მათი სტილის ანდა იქ თაობათა მანძილზე მცხოვრები ადამიანების ჯგუფების ისტორიის მიერ დატოვებული კვალის გამო. „კონსერვაციის“ ცნება სცდება კანონით დაცულ ნაგებობასა და კანონით დაუცველ ნაგებობეს შორის უბრალო დაყოფას და ორივე ამ ჯგუფს მოიცავს. იგი გულისხმობს არა მხოლოდ ფაქტიური შენახვისა და სარესტავრაციო სამუშაოების ფასს, არამედ, შეძლებისამებრ, აგრეთვე გამოყენების, მართვისა და ადაპტაციის ღირებულებასაც.

საკითხების დაყენებისას და წინასწარი შემოთავაზების ეტაპზე, მოხსენება აგრეთვე განახსხვავებს ძეგლებს და შენობათა ერთიან ჯგუფებს, ერთი მხრივ, და სხვა ძველ ნაგებობებს, მეორე მხრივ. ეს განსხვავება ყოველთვის არ ემთხვევა განსხვავებას კანონით დაცულ და დაუცველ ნაგებობებს შორის. მოხსენება ეფუძნება მოსაზრებას, რომ ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა უნდა იყოს მიზანი არა მხოლოდ ზოგადად ძველი ნაგებობებისათვის, არამედ დიდი არქიტექტურული ღირებულების მქონე ძეგლებისათვისაც, რა თქმა უნდა, აუცილებელი პირობით, რომ მათი ყოველგვარი ახლებური გამოყენება პატივს სცემს მათ ისტორიულ წარმომავლობას და კულტურულ ღირებულებას.

და ბოლოს, სიტყვა „დაფინანსება“ მოხსენებაში გამოყენებულია საკონსერვაციო პროექტებისათვის თანხების მოძიების ყველა საშუალების მნიშვნელობით.

## I. მემკვიდრეობის კონსერვაციის კულტურული და ეკონომიკური ფასეულობა

9. 1945 წლიდან მოყოლებული, რეკონსტრუქციის მოთხოვნებმა და კიდევ უფრო მეტად 1960-იან წლებში ეკონომიკურმა ზრდამ სასიკეთო პირობები წარმოშვა ახალმშენებლობებისთვის, რასაც დაემატა მოსახლეობის ომის შემდგომი ზრდით განპირობებული მოთხოვნები ბინათმშენებლობისა და საბინაო ფონდის განახლებაზე, რაც წინარე პერიოდებში ყოველთვის განიცდიდა ინვესტიციების ნაკლებობას. სხვადასხვა ხარისხით, თუმცა ღა ერთიდაიმავე მიზანსწრაფვით, სესხების სტიმულირების პოლიტიკით ახალი ბინათმშენებლობა და ახალი ბინების შესყიდვის წაქეზება საკმაოდ ძლიერი იყო უმეტეს ქვეყანაში, კერძო ინდივიდუუმთა სასარგებლოდ და ძირითადი სოციალური მოთხოვნების საპასუხოდ, რომელიც ხასიათდებოდა ცხოვრების სტანდარტების ამაღლებით.

გამოკველევა, რომელიც ჩატარდა საფრანგეთში ANAH-ს (Agence Nationale pour l'Amelioration de l'Habitat — საცხოვრისის გაუმჯობესების ეროვნული სააგენტო) მიერ, აჩვენებს, რომ ზოგ ქვეყანაში სარეაბილიტაციო ბაზარი ავლენს ახალმშენებლობის დაჯაბნის ტენდენციას (იხ. ტაბ. I და II). ეს ტენდენცია შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას:

- რესურსების თვალსაზრისით, ეკონომიკური ზრდის შენელებამ და მსხვილ ურბანულ ცენტრებში მიწის სულ უფრო მეტმა ნაკლებობამ აიძულა ბევრი სამშენებლო ფირმა, გადაეტანათ თავისი საქმიანობა ახალმშენებლობებიდან რეაბილიტაციის სფეროში;
- მოთხოვნების თვალსაზრისით, კულტურული ღირებულებების მძაფრმა გაცნობიერებამ და ტრანსპორტის ფასმა და სიძნელეებმა გაზარდა ქალაქების ცენტრების მიმზიდველობა, რამაც ძველ შენობებზე მოთხოვნილების საგულისხმო მატება გამოიწვია.

10. ამ ორმა ფაქტორმა დიდად გაზარდა მიწით სპეკულირების რისკი, თუმცა, როცა ყველაფერი გათვალისიწნებულია, ახალ შენობას მაინც უპირატესობა აქვს ძველის რესტავრაციასთან შედარებით. შესაბამისად, ამ მოხსენების ერთ-ერთი მიზანია ხელი შეუწყოს ძველი შენობების დაფინანსებას და

ამით გაზარდოს მათი გადარჩენის შანსი. აქ გამოყენებული მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ გაკეთდეს იდენტიფიკაცია იმ გზებისა, რაც შეაბრუნებს ამ ტენდენციას რეაბილიტაციიის სასარგებლოდ, ან კონსერვაციასა და ახალმშენებლობას თუნდაც თანაბარი მიმზიდველობას მიანიჭებს. ეს მიდგომა მართლაც ძალიან სასურველია იმის გათვალისინნებით, რომ ბევრ ქვეყანაში ახალმშენებლობის სექტორში ჩადებული ინვესტიციები მატულობს, რასაც ირიბად შეუძლია დააბრკოლოს რეაბილიტაციის სასარგებლოდ ბოლო 10 წლის განმავლობაში გაწეული შრომა.

## *A. კონსერვაციის კულტურული ღირებულება*

11. ევროპაში 1987 წლიდან მოქმედი ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციით ცნება „მემკვიდრეობაში" გულისხმობს ძეგლებს, რომლებიც ისტორიის უმთავრესი ნიშნულებია, შენობათა ჯგუფებს ქალაქში ან სოფლის გარემოში და ისტორიულ ღირსშესანიშნავ ადგილებს, პარკებსა და ბაღებს, ან, უფრო ზოგადად, პეიზაჟებს ადამიანის ზემოქმედების კვალით, რომლებიც ბუნებისა და ადამიანის ერთობლივი ქმნილებანია. თავი 10.4 აგრეთვე გულისხმობს ისეთი ნაგებობების კონსერვაციას და გამოყენებას, რომელთა არსებითი მნიშვნელობა არ იძლევა დაცვის გარანტიას, თუმცა ისინი საინტერესოა ქალაქურ ან სოფლის გარემოში მათი განთავსების გამო. ამ სხვადასხვა კომპონენტს შორის განსხვავების ჩვენების გარეშეც, ძველი შენობების მოვლასა და რეაბილიტაციაა უეჭველობითაა დასაბუთებული როგორც ევროპულ, ასევე ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე. ნაგები მემკვიდრეობა ევროპის ერთობლივი მეხსიერების საყრდენია, რომლის ცოდნა, მისი მოჭარბებული მრავალფეროვნების მიუხედავად მრავალგვარ მხატვრულ ურთიერთგავლენას და ღრმა მსგავსებებს ავლენს.

**ცხრილი I**
**სამშენებლო ბაზრის სტრუქტურა 1988 წელს** (ჩატარდა ANAH-ს მიერ)

| ECU (მილიონი) დაბეგვრამდე | ახალი ბინათმშენებლობა | საბინაო ფონდის გაუმჯობესება და მოვლა | არასაცხოვრებელი ახალმშენებლობა | არასაცხოვრებლის გაუმჯობესება და მოვლა | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია ** | 24 700 | 27 300 | 25 200 | 14 200 | 91 400 |
| საფრანგეთი * | 16 975 | 15 615 | 12 135 | 10 850 | 55 575 |
| იტალია ** | 18 820 | 16930 | 12 410 | 9 070 | 57 230 |
| დიდი ბრიტანეთი * | 12 875 | 14 175 | 17 775 | 9 270 | 54095 |
| ესპანეთი* | 10 890 | 2 210 | 5 840 | 3 920 | 22 860 |
| შვეიცარია * | 7 200 | 3 900 | 6 600 | 4 700 | 22 400 |
| შვედეთი * | 4 160 | 5 960 | 6 230 | 2 270 | 18 620 |
| ფინეთი ** | 4 400 | 1 500 | 4 600 | 1 400 | 11 900 |
| დანია** | 1 935 | 2 405 | 2 760 | 2 245 | 9 345 |
| ნორვეგია* | 2 180 | 580 | 2 640 | 690 | 6 090 |
| აშშ * | 118 800 | 84 300 | 105 900 | ? | ? |

* *საქონლის ბრუნვის მონაცემები*
** *სექტორის მთლიანი პროდუქცია*
*წყარო: BIPE / EUROCONSTRUCT*

**ცხრილი II**

**მოვლა-გაუმჯობესების ინდიკატორები — 1988წ.** (ჩატარდა ANAH-ს მიერ)

| % | მოვლის მთლიანი ხარჯის წილი შენობაში | მთლიანად ბინათმოწყობის წილი შენობაში | მოვლის წილი მთლიანად ბინათმოწყობაში | მთლიანად მოვლაში ბინათმოწყობის წილი |
|---|---|---|---|---|
| გერმანია ** | 45,4 | 56,9 | 52,5 | 65,8 |
| საფრანგეთი * | 47,6 | 58,6 | 47,9 | 59,0 |
| იტალია ** | 45,4 | 62,5 | 47,4 | 65,1 |
| დიდი ბრიტანეთი * | 43,3 | 50,0 | 52,4 | 60,5 |
| ესპანეთი* | 26,8 | 57, 3 | 16,9 | 36,1 |
| შვეიცარია * | 38,4 | 49,6 | 35,1 | 45,3 |
| შვედეთი * | 44,2 | 54,4 | 58,9 | 72,4 |
| ფინეთი ** | 24,4 | 49,6 | 25,4 | 51,7 |
| დანია** | 49,8 | 46,4 | 55,4 | 51,7 |
| ნორვეგია* | 20,9 | 45,3 | 21,0 | 45,7 |
| აშშ * | ? | ? | 41,5 | ? |

ევროპის კავშირი ერთიდაიმავე ცივილიზაციიდანაა წარმოშობილი და შეიძლება გაძლიერდეს მისი მემკვიდრეობის ღირებულების ახლიდან შეფასებითა და იმის უფრო ღრმა გაცნობიერებით, თუ რას წარმოადგენს იგი. დღევანდელ დღეს კულტურული მოღვაწეობა მოიცავს „ეკო-მუზუემებსაც“, რომლებიც ასახავს გამქრალ ან დეგრადირებად სასოფლო ან ინდუსტრიულ საქმიანობას.

და მაინც, წმინდა რეტროსპექტული დამოკიდებულება მიუღებელია იმ არეალებში, სადაც შეიძლება დამყარდეს კავშირი ხალხური შემოქმედების სიმდიდრესა და ტრადიციებს და თანამედროვეობის გამოხატულებებს შორის. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R (89) 6 წევრი ქვეყნისადმი „სასოფლო არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გაუმჯობესების თაობაზე“ ხაზს უსვამს ხარისხიანი ახალი არქიტექტურის წაქეზების სარგებლიანობას, რომელსაც ტრადიციული სასოფლო არქიტექტურის მემკვირდეობის ინტერპრეტაცია ძალუძს, რომელიც ეფუძნება უძველეს სიბრძნეს და ადამიანის და მისი გარემოს ჯერივან ურთიერთკავშირს.

12. მემკვიდრეობის აღდგენის მიზეზები არ უნდა იყოს წმინდა კულტურული, მითუმეტეს ნოსტალგიური, რადგან მემკვიდრეობა, ფაქტობრივად, უწყვეტი ცოდნისა და უნარების გამორჩეულ წყაროდ რჩება. შესაბამისად, ისტორიული ძეგლის მოვლა-შენახვის შემდგომი პერსპექტივა არის ძალზე სპეციალიზებული ტრადიციული მეთოდებისა და ხელობების გამოყენება, რომლებიც თავადაც წარმოადგენს კულტურულ მემკვიდრეობას, ისევე ღირებულს, როგორც ის შენობები, რომლებიც მათი საშუალებით იქნა გადარჩენილი. ახალი ტექნოლოგიებიც, ფოტოგრამეტრიით დაწყებული მონაცემთა დამუშავებით დამთავრებული, საკუთარ შესაძლებლობებს თავაზობს კონსერვაციას და მემკვიდრეობას ახალ განზომილებებსა და ღირებულებებს ანიჭებს.

## *B. კონსერვაციის ეკონომიკური ღირებულება*

### a) უძრავი მემკვიდრეობა, როგორც ეკონომიკური ფაქტორი

13. მიუხედავად იმისა, რომ არქიტექტურული მემკვიდრეობის შედარებით აბსტრაქტული ელემენტების შენარჩუნება, როგორც ფუნდამენტური ამოცანა, ეჭვქვეშ არავის დაუყენებია, ბოლო ათი წლის მანძილზე გაჩნდა ახალი მიმართულება, რომელიც კონსერვაციის ეკონომიკურ სარგებელს ითვალისწინებს როგორც მაკრო, ისე მიკროეკონომიკური თვალსაზრისით. ახლა, როდესაც გაფართოვდა მემკვიდრეობის საზღვრები, დაფინანსების პრობლემის ახლებური გააზრებით, გაჩნდა მეტი ენთუზიაზმი მემკვიდრეობის (ფართო ცნებით) ეკონომიკური ზეგავლენის შესასწავლად, იმის მიუხედავად, კანონით დაცულია შენობები თუ არა.

ევროპის საბჭოს პირველად კველვას ახალმშენებლობის ფასთან რეაბილიტაციის ფასების შესადარებლად, ევროპის თანამეგობრობის კომისიისათვის ჩატარებული ძალიან დეტალური კვლევა მოყვა[4]. ამის მიზანს წარმოადგენდა მემკვიდრეობის და მემკვიდრეობის დაცვის ნებისმიერი კომპონენტის ეკონომიური მნიშვნელობის ანალიზის მეთოდის შემუშავება. ADEP ( Analyse de la dimension du patrimoine — მემკვიდრეობის მნიშვნელობის ანალიზი) მეთოდი არ არის შემოფარგლული მხოლოდ მოვლისა და სარესტავრაციო სამუშაოების ფასით, არამედ წინ წამოსწევს შეფასების ანალიტიკურ მოდელებს, *inter alia*, კონკრეტული ქმედებისათვის საჭირო ინვესტიციების კომბინაციებისა და აქედან მიღებულ ერთობლივი პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტების შეფასებისათვის. ამგვარი მიდგომის პრინციპები ჩამოყალიბებულია ერთობლივ მოხსენებაში, რომელიც წარდგენილ იქნა არქიტექტურული მემკვიდრეობისათვის პასუხისმგებელი მინისტრების მეორე ევროპულ კონფერენციაზე ბელგიისა და ლუქსემბურგის დელეგაციების მიერ[5] და გამეორებულ იქნა კონფერენციის №3 რეზოლუციაში.

კვლევების მიხედვით ირკვევა, რომ ბევრ შემთხვევაში საკმაოდ შრომატევადი ტრადიციული მასალებით აშენებული ძველი შენობების რეგულარული განახლება გაცილებით იაფია, ვიდრე თანამედროვე შენობების გამოყენებისა იმავე დროით მონაკვეთში, რომლებშიც სამშენებლო ტექნიკა და მასალები ხშირად უფრო სუსტი და ნაკლებ მდგრადია.

### b) პირდაპირი ეკონომიკური სარგებელი

14. დასაქმების სიმცირის პერიოდში განსაკუთრებული ეფექტი აქვს გამორჩეულად შრომატევადი საქმიანობის განვითარებას. კონსერვაცია სტიმულს აძლევს მოვლა-პატრონობისა და განვითარებისკენ მიმართული წამოწყებების მთელ წყებას, უპირველესად, სამშენებლო სექტორში. რესტავრაციაში გამოყენებული ტექნიკური ხერხების სპეციფიკურობა მოითხოვს ხელობებისა და ოსტატობის უფრო დიდ ნაირგვარობას, ვიდრე მშენებლობის სხვა სფეროებში. ეს საქმიანობა, თავის მხრივ, წარმოშობს სხვა საქმიანობათა რიგს, განსაკუთრებით აუცილებელი მასალებისა და აღჭურვილობის წარმოების მხრივ. იმ ძეგლების შემთხვევაში, რომლებსაც კულტურული ფუქნცია გააჩნია, ისევე როგორც სარესტავრაციო ხელობები და პროფესიები, ჩნდება სამუშაო ადგილები წვრთნის, მართვისა და რეკლამირების სფეროში.

15. სხვა პირდაპირი სარგებელი ახალი მშენებლობის ნაცვლად არსებულის რეაბილიტაციის შედეგად თანხის დაზოგვით ჩნდება. სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით რესურსების გამოყენება გაცილებით ხარჯ-ეფექტურია. მაგრამ ეს არ წყვეტს საკითხს რეაბილიტაციისა თუ ჩანაცვლებისა კონკრეტულ შემთხვევებში, რადგან ისმის კითხვა: დამატებითი რესურსები და საოპერაციო ხარჯები ნებისმიერ შემთხვევაში აღემატება შედეგად მიღებულ ღირებულებას თუ ნაკლებია მასზე? რეაბილიტაციის თვალსაზრისით, რეაბილიტაცასთან დაკავშირებული ფაქტორები მართლაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ყველა კონკრეტულ შემთხვევაში. ეს დამოკიდებულია ქმედების სახეობაზე, მაგ., მცირე შეკეთება არსებული საცხოვრებელი სტანდარტების მისაღწევად თუ საფუძვლიანი რესტავრაცია; ინტერვენციის დონე შენობის საარსებო ციკლთან მიმართებაში, მისი გამოყენების მოსალოდნელი პერიოდი და შესაბამისი კონტროლი რეაბილიტაციის ხარჯებზე, რაც კვლავ წინასწარი დიაგნოზის ხარისხზე, დაგეგმვასა და სამუშაოთა მართვაზეა დამოკიდებული. ძველი შენობები ინარჩუნებს ფუნქციებს (საცხოვრებელი, ადმინისტრაციული, სალოცავი და ა.შ.), რაც შესაძლებელს ხდის იმ დიდი ინვესტიციების თავიდან აცილებას, რომლებიც მათი არარსებობის შემთხვევაში აუცილებელი იქნებოდა (დანაზოგი ინფრასტრუქტურის და, კერძოდ, უახლოესი გარემოს თვალსაზრისით). ეროვნული პოზიციიდან ეს რესურსების მნიშვნელოვანი დაზოგვაა.

---

4 მონუმენტური მემკვიდრეობის ეკონომიკური შეფასება – ანალიტიკური მეთოდის პრეზენტაცია – R lemaire, Ch Ost, EEC study 1984.

5 "მემკვიდრეობა, ეკონომიკური აღორძინება და დასაქმება", ბელგიისა და ლუქსემბურგის დელეგაციების მიერ წარდგენილი ერთობლივი მოხსენება არქიტექტურული მემკვიდრეობისათვის პასუხისმგებელი მინისტრების მეორე ევროპულ კონფერენციაზე, გრანადა, 3-5 ოქტომბერი, 1985წ.

## c) არაპირდაპირი ეკონომიკური სარგებელი

### *i. ტურიზმის წვლილი*

16. ტურისტული ინდუსტრია ბოლო 25 წლის მანძილზე სოციალურ ფენომენად და ცენტრალურ, განსაკუთრებით კი რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ბოლოდროინდელი კვლევის მიხედვით, ევროპის იმ რეგიონებში, სადაც მრავლად არის თავმოყრილი არქიტექტურული მემკვიდრეობის ნიმუშები, საგულისხმო სარგებელს იღებენ ტურიზმისგან. უძრავი მემკვიდრეობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ტურიზმის შედეგად მიღებულ ეკონომიკურ სიმდიდრეს, მაგრამ ამის დეტალურად შეფასება რთულია. ეს დამოკიდებულია კონკრეტული ძეგლის მნიშვნელოვნებაზე, მის ადგილმდებარეობასა და ბუნებრივ, სოციალურ თუ კომერციულ გარემოზე. ტურიზმისაგან მიღებული მოგება ზემოქმედებს ვაჭრობისა და წარმოების მრავალ განსხვავებულ სექტორზე და იყოფა მოკლევადიან და გრძელვადიან მოგებად.

ზოგიერთი ისტორიული ძეგლი იმდენ მნახველს იზიდავს, რომ შესაბამისი მართვის სისტემის არარსებობის შემთხვევაში, შეიძლება თავად შენობა საფრთხის ქვეშ დადგეს.

17.1988 წელს საფრანგეთის კულტურის სამინისტრომ დაუკვეთა 13 ფრანგულ ძეგლის კველვა[6], რომლებიც მასპინძლობს წლიურად საშუალოდ 200 000 – 250 000 მნახველს, რათა გამოეკვეთა ის დამატებითი ეკონომიკური შეღავათები, რომლებიც ტურიზმმა მოიტანა ამ ადგილებში. ამგვარი ანალიზი უფრო ადვილი გასაკეთებელია იქ, სადაც ძეგლი უცილობლად სტუმრობის მთავარი მიზეზია (შარტრი, მონ-სენ-მიშელი), ვიდრე ამ კვლევაში ჩართული 13 ადგილი, სადაც კონკრეტული ძეგლი მხოლოდ ერთ-ერთი მიზანია მრავალ სხვათა შორის, თუმცა შედეგები ასევე პოზიტიურია.

კვლევამ, კერძოდ, გამოავლინა შემდეგი:

- კონსერვაცია არქიტექტურულ ძეგლს უფრო ღირებულსა და მნახველთათვის მიმზიდველს ხდის. ძეგლზე ყოველი 10 000 მნახველი ერთ პერმანენტულ სამუშაო ადგილს ქმნის;
- თითოეული მნახველისთვის შესასვლელი ფასის 15 ფრანგული ფრანკის ოდენობით დაწესებისას, სავარაუდებელია თითო ტურისტისგან დაახლოებით 60 ფრანკის მიღება მის მიერ საკვებზე, სასტუმროზე, სხვადასხვა სახის ნივთებზე გადახდილი თანხიდან.

მაგალითად, ერთი ძეგლის დამთვარიელებელთა 30%-ზე მეტი სადილობს ახლომდებარე რესტორანში, ე.წ. „ინტენსიური“ (განსაკუთრებულად მოტივირებული) მნახველების 5%, რომლებიც საერთო რაოდენობის 30%-ს წარმოადგენენ, ხარჯავენ დაახლოებით 250 ფრანკს ერთი დღის განმავლობაში, როცა შესასვლელი ბილეთის ფასი 20 ფრანკს შეადგენს.

კვლევის ავტორი ასკვნის, რომ არქიტექტურული მემკვიდრობიდან მიღებული ტურიზმის სარგებელი არ უნდა განისაზღვროს მხოლოდ შესავლელი ბილეთის ფასით (თუმცა ეს მნიშვნელოვან რესურს წარმოადგენს პატარა თემებისათვის), არამედ მეორადი ხარჯებითაც.

### *ii. სახელმწიფო ინვესტიციის ეროვნული სარგებელი*

18. ევროპის საბჭოს საქმიანობა ადრეულ ეტაპზე ხაზს უსვამდა ხელისუფლების მიერ მემკვიდრეობაში ჩადებული ინვესტიციების ხარჯების პროდუქტიულობას. მრავალმხრივი ეკონომიკური შეფასების მეთოდები ცხადყოფს, რომ ამ სახის ინვესტივიციები ნამდვილად მომგებიანია. მაგალითად, ტურიზმი სტიმულს აძლევს უცხოელ მომსვლელებს დახარჯონ თანხა ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე; მემკვიდრობის კონსერვაცია ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, განსაკუთრებით ტრადიციული მშენებლობის სექტორში, რომელიც შრომატევადია; სახელმწიფო შემოსავალი იზრდება მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასთან, რესტავრაციასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა სახის საქმიანობაზე დაწესებული გადასახადებით და მოსაკრებლებით.

### *iii. ადგილობრივი განვითარება*

19. ტურიზმის შედეგების გარდა, კონსერვაცია ადგილობრივ ეკონომიკასაცგანვითარების არაერთ საშუალებას თავაზობს. მოვლა-პატრონობა და რესტავრაცია ხელს უწყობს რეგიონალური და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებასა და მშენებლობისა და მასალების სექტორში ახალგაზრდების დაკავებას. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R (86) 15 წევრ ქვეყნებისადმი არქიტექტურული მემკვიდრეობის კონსერვაციასთან დაკავშირებული ხელოსნობის პროფესიების მხარდაჭერის თაობაზე, გამოკვეთს სარესტავრაციო „ბაზარს“ მორგებულ მცირე და საშუალო საწარმოების ხარისხობრივ როლს და აგრეთვე იმ ფირმების გადარჩენის ან კვლავ ამოქმედების სტიმულირებას, რომლებიც ადგილობრივი კულტურის ამსახველ ტრადიციულ რეგიონალურ მასალებს

---

6 “La valorisation touristique du patrimoine culturel”, Valery Patin, WTO ექსპერტი, იკომოსის კულტურული ტურიზმის კომიტეტში ევროპის წარმომადგენელი წევრი.

აწარმოებს. რეკომენდაცია R (89) 6 სასოფლო არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გაუმჯობესების თაობაზე ხაზს უსვამს იმ სარგებელს, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას ნაშენი მემკვიდრეობის უკეთესი გამოყენებით სასოფლო არეალების განვითარებაში.

20. 1988 წელს გალიფაქსში ევროპის საბჭოს მიერ მოწყობილი კონფერენცია „მემკვიდრეობა და ქალაქის წარმატებული რეგენერაცია"[7], გამოიკვეთა ძველი და ხარიახიანი გარემოს მიმზიდველობა სხვადსხვა სახის საწარმოების და ბიზნესის განთავსებისათვის. ეს განსაკუთრებით ეხება მესამე სექტორის საქმიანობას, რომლებიც ახალ ტექნოლოგიებსა და საინფორმაციო კავშირებს ეფუძნება, რომელიც მანძილის გაბათილებითა და სახლის პირობებში მუშაობის გაადვილებით, გვთავაზობს მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დასაქმების ახალ პერსპექტივებს მცირე და საშუალო ქალაქებსა და სასოფლო არეალებში.

უფრო ზოგადად, ინვესტირება არსებულ შენობებში (განურჩევლად იმისა, ეს შენობები დაცულია თუ არა მემკვიდრეობის მიზნებისათვის) და გარემოსა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში არის ურბანული ეკონომიკის რეგენერაციის უფრო ფართო სტრატეგიის კიდევ ერთი მხარე. იგი ითვალისწინებს ცალკეული არეალებისა და ქალაქის მთელი უბნების იერის გაუმჯობესებას და ინვესტიციების წახალისებას დასაქმებასა და ადგილობრივ ეკონომიკაში [8].

## II. მემკვიდრეობის კომპონენტების დიფერენციაცია და პრობლემების განსაზღვრა

21. ზემომოყვანილი მსჯელობა ასახავს ისტორიული ნაგებობებისადმი გლობალურ მიდგომას. სადაც დაფინანსების სტრატეგიებთან გვაქვს საქმე, უნდა დადგინდეს არსებითი სხვაობანი კანონით დაცულ მემკვიდრეობასა და დაცვას მოკლებულ ნაგებობებს შორის.

### *A. დაცული მემკვიდრეობა და დაუცველი არქიტექტურა*

22. დაცული მემკვიდრეობა შედგება ობიექტებისგან, რომლებიც ან ინდივიდუალურად არის დაცული (მაგ., ცისე-დარბაზები, ეკლესიები, ინდუსტრიული ნაგებობები.....) ან ერთობლივად, მაგ., საკონსერვაციო არეალის შემოსაზღვრის გზით, რომელიც მოიცავს ისტორიული ქალაქისა ან სოფლის კონკრეტულ ნაწილს. დაცვის ობიექტი შესაძლოა აგრეთვე იყოს „ღირსშესანიშნავი ადგილი", უფრო ვრცელი არეალი, რომელშიც გაერთიანებულია ხელქმნილი და ბუნებრივი ელემენტები. ამ ტიპის დაცვა ხორციელდება ან სპეციფიკური კანონმდებლობით მემკვიდრეობის თაობაზე, ან ურბანული განვითარებისა და დაგეგმარების შესახებ ზოგადი კანონმდებლობის კონკრეტული ასპექტებით, ან ამ ორის კომბინაციით.

დაუცველი ძველი ნაგებობები ქმნის ნაშენი გარემოს სხვა ნაწილს და, ახალმშენებლობების მსგავსად, ბუნებრივად ექვემდებარება ქალაქის გეგმარების ჩვეულებრივ წესებს.

23. დაცული მემკვიდრეობა, ბუნებრივია, ქმნის ნაშენის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს მემკვიდრეობის კულტურისა და ისტორიის თვალსაზრისით. იგი ექვემდებარება გარკვეულ აკრძალვებს, განპირობებულს იმით, თუ როგორ ხდება მისი მოვლა-შენახვა და რესტავრაცია, რომლებიც კომპენსირდება ოფიციალური საბიუჯეტო მხარდაჭერით. ეროვნული ან ოფიციალური შენობების გამოკლებით, ოფისებისა ან საცხოვრისისათვის გამოყენებული ნაგებობები იმ ქალაქებში, სადაც უძრავი ქონება ძალიან ფასობს, ეს მემკვიდრეობა ბევრ ქვეყანაში სათანადო მოვლის ნაკლებობას განიცდის. განსაკუთრებული კულტურული ან რელიგიური ფუნქციის მქონე ნაგებობები მოითხოვს დიდ ხარჯებს როგორც რესტავრაციისთვის, ასევე მოვლისა და მართვისათვის. პრაქტიკული თვალსაზრისით უპრიანი უნდა იყოს განვასხვავოთ: მცირე მოგების პოტენციის მქონე ობიექტები, რომელიც ძირითადად კულტურული მიზნებით გამოიყენება; მოგების გარკვეული პოტენციის მქონე ობიექტები, რომელნიც ძირითადად კულტურული მიზნებით გამოიყენება; კულტურული და ისტორიული მნიშვნელობის მქონე შენობები, რომლებსაც ძირითადად ეკონომიკური ფუნქცია აქვს (ტაბ. III).

---

7 ანგარიში და კვლევა № 14, არქიტექტურული მემკვიდრეობის სერიები, სტრასბურგი, 1989.

8 იხ. „L'entretien et la modernization dse logements en milieu urban" – Organization de Cooperation et de Development Economique – Paris, 1986 – Etudes du Programme des Affaires Urbaines.

**ᲪᲮᲠᲘᲚᲘ III**

**მემკვიდრეობის მრავალსახეობა და ფინანსურ–ფისკალური ღონისძიებების დივერსიფიკაცია**

(შემოთავაზებულია ბ-ნ ალვარეც-ის მიერ)

| ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲡ ᲢᲘᲞᲘ | ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲡᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ |
|---|---|
| **ობიექტები, რომლებიც გამოიყენება ძირითადად კულტურული მიზნებისათვის მოგების მცირე პოტენციალით**<br>– ან იმიტომ, რომ ის არ არის მოგების პირდაპირი ან არაპირდაპირი წყარო,<br>– ან იმოტომ, რომ მისი მოვლა-პატრონობა არის დიდი ტვირთი სახელმწიფო თუ კერძო მფლობელისთვის.<br>მაგალითები: ნანგრევები, ნასოფლარები, ციხე-დარბაზები, ციხე-სიმაგრეები, მიტოვებული ნაგებობები ქალაქგარეთ არეალებში..... სატრიუმფო თაღები, ობელისკები, არქეოლოგიური ობიექტები;<br>ამათგან მხოლოდ განსაკუთრებული ძეგლები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტურისზმისათვის: პირამიდები, კოლიზეუმი და სხვ. | **1. კერძო მფლობელობაში მყოფი ობიექტების დაფინანსება**<br>საზოგადოებრივი დაფინანსება: ეროვნული/ რეგიონალური/მუნიციპალური<br>მნიშვნელოვანი შეღავათები შემდეგ საკითხებში:<br>– მემკვიდრეობის გადასახადი;<br>– სიმდიდრის გადასახადი;<br>– ადგილობრივი გადასახადები;<br>შემოსავლის გადასახადიდან ინვესტიციების გამოქვითვა;<br>შესრულებული სამუშაოების განთავისუფლება დღგ-სგან;<br>ზოგ შემთხვევაში ექსპროპრიაცია;<br>შენაწირები (გადასახადების შემსუბუქების საპასუხოდ);<br>1% კულტურის მოსაკრებელი |
| **მოგების გარკვეული პოტენციის მქონე ობიექტები, რომელიც ძირითადად კულტურული მიზნებით გამოიყენება** (ტურისტებისათვის სუვენირების გაყიდვა, გამძღოლიანი ტურები და სხვ).<br>აქ პრობლემა მდგომარეობს მართვასა და მოვლა-პატრონობაში. მოვლა არ არის აუცილებლობით ფინანსური ტვირთი.<br>მაგალითები: ინგლისური ციხე-დარბაზები, ფრანგული სასახლეები (მდ. ლუარის შატოები), ისტორიული ბაღები და პარკები, ზოგიერთი ღირშესანიშნავი ადგილი. | **2. საზოგადოებრივი ან კერძო ქონება**<br>დაბალპროცენტიანი სესხები,<br>სპონსორობა ფინანსური ორგანიზაციების მხრიდან,<br>გადასახდებისგან განთავისუფლება (განსაკუთრებით თუ ობიექტი ღიაა საზოგადოებისათვის),<br>მემკვიდრეობა;<br>მემკვიდრეობის გადასახადი, ადგილობრივი გადასახადები;<br>შემოსავლის გადასახადიდან ინვესტიციების გამოქვითვა;<br>შესრულებული სამუშაოების განთავისუფლება დღგ-სგან,<br>სპონსორები,<br>ექსპროპრიაციის გამორიცხვა. |
| **კულტურული და ისტორიული მნიშვნელობის მქონე შენობები, რომლებსაც ძირითადად ეკონომიკური ფუნქცია აქვთ.**<br>მისი კონსერვაცია კულტურული თვალსაზრისით მომგებიანია, გამოყენების შემთხვევაში მისი მოვლა არ არის აუცილებლად ფინანსური ტვირთი;<br>იგი მოითხოვს ადაპტაციას ახალი ფუნქციისადმი, კონსერვაცია და რესტავრაცია შესაძლოა ძვირი იყოს, მისი მოგებიანობა დამოკიდებულია მის ადგილმდებარეობაზე (მაგ., რომი, ან სირაკუზა),<br>უნდა გაკეთდეს არჩევანი, შენარჩუნებულ იქნეს იგი თავდაპირველი სახით თუ მოხდეს ადაპტაცია ახალი გამოყენებისათვის,<br>კერძო ქონება<br>სასოფლო კომპლექსები<br>ძველი ქალაქური სამეზობლოები ან კომპლექსები<br>იზოლირებული შენობები | **კერძო ქონება**<br>კანონმდებლობა აადვილებს მის გამოყენებას: სესხები რესტავრაციის ხარჯების დასაფარად, საგანგებო პროგრამები კომპლექსების/ ზონების ან სამეზობლოების ან იზოლირებული ნაგებობებისათვის,<br>დროებითი განთავისუფლება გადასახადებისაგან.<br>ა. სასოფლო კომპლექსები<br>განვითარების გეგმები,<br>საშემოსავლო გადასახადიდან ინვესტიციების გამოქვითვა,<br>სუბსიდირებული სესხები (რესტავრაციის ან ქონების შეძენის ხარჯების დასაფარად),<br>ადგილობრივი გადასახადები: დროებითი გამოქვითვა,<br>საგანგებო დახმარება ან გრანტები (მაგ., ფასადებისათვის) |

| | |
|---|---|
| | ბ. კომპლექსები ან სამეზობლოები ქალაქებში:<br>– ქონება კომერციული გამოყენებისათვის:<br>სესხები რესტავრაციისათვის,<br>ადგილობრივი გადასახადებისგან დროებითი განთავისუფლება,<br>მშენებლისა და მყიდველისათვის საშემოსავლო გადასახადიდან ინვესტიციების გამოქვითვა,–<br>არაკომერციული გამოყენების ობიექტები:<br>პატარა ქალაქები, შელახული სამეზობლოები,<br>სესხები რესტავრაციისა ან შესყიდვისათვის,<br>დროებითი განთავისუფლება ადგილობრივი გადასახადებისაგან,<br>გამოქვითვა საშემოსავლო გადასადიდან და დამატებითი ღირებულების გადასახადიდან,<br>დღგ: შეღავათები ჩატარებულ სამუშაოებზე,<br>მიმდინარე ურბანული გაუმჯობესებები და სპეციალური მრავალმხრივი სარეტავრაციო პროგრამები,<br>საშემოსავლო გადასახადის მოგების შეფასებისას ინვესტიციების გამოქვითვა,<br>1% კულტურის მოსაკრებელი.<br>გ. ცალკეული ნაგებობები<br>სესხები რესტავტაციისათვის და დროებითი განთავისუფლება ადგილობრივი გადასახადებისაგან,<br>ინვესტიციების გამოქვითვა საშემოსავლო გადასახადიდან, მშენებლის/რესტავრატორისა და მყიდველისათვის<br>შესრულებული სამუშაოების განთავისფლება დღგ-სგან,<br>პატრონაჟი — ფონდები,<br>1% კულტურის მოსაკრებელი,<br>შესყიდვა ფირმების მიერ, საშემოსავლო გადასახადებიდან ინვესტიციების გამოქვითვით. |

## *B. მემკვიდრეობისმიერი აკრძალვები და დაფინანსების პრობლემები*

24. მემკვიდრეობის სხვასადასხვა ტიპებთან დაკავშირებით შესაძლებელია შემდეგი სახის პრინციპების გამოყოფა:

– ძველი არქიტექტურა მთლიანობაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და კულტურული ღირებულება და განვითარების არსებითი ფაქტორია. მას სათანადო ადგილი უნდა ჰქონდეს მინიჭებული საბაზრო ეკონომიკაში მისი პოტენციალის სრული გამოყენებისა და მისი უკეთესი მოვლა-პატრონობის მიზნით. საჭიროა ახლებური მიდგომა, რათა ძველი შენობები აღარ იქნეს მიჩნეული უსარგებლო ტვირთად და გაუმართლებელ ინვესტიციად.

– ძველ შენობებთან მიმართებით, ახალი რესეურსების მობილიზება საჭიროებს კერძო მომგებიანი ინვესტიციების მომრავლებას, მოგების პრინციპებზე დაფუძნებით, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების თანახმად. აღარ უნდა არსებობდეს იმ სახის საგადასახადო მექანიზმები და საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც რეაბილიტაციასთან შედარებით ახალ მშენებლობას უფრო უწყობს ხელს, იქნება ეს საბინაო პოლიტიკაში (ქონების ყიდვის ან საცხოვრისის დაქირავების წაქეზებით), ან ბიზნესისა და მესამე სექტორის საქმიანობის დანერგვაში;

– გამოყენებული ფინანსური მექანიზმები უნდა შეესატყვისებოდეს განსახილველი ღირებულებათა ტიპს და მათ ეკონომიკურ ფუნქციას კულტურული და სოციალური თვალსაზრისი. მაგ.:

i. კვლავაც საჭირო იქნება მსხვილი სახელმწიფო დაფინანსების უზრუნველყოფა (სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ბიჯეტებიდან, ან სულაც საზოგადოებრივი შემოწირულობებით……) უმნიშვნელოვანესი კონკრეტული ძეგლებისათვის, რომელთათვის ნაკლებ სავარაუდოა კერძო ინვესტიცი-

ების მოზიდვა მათი შესაძლო დაბალი მომგებიანობის გამო ან იმიტომ, რომ ხელისუფლება საჭიროდ მიიჩნევს ბაზრის ზემოქმედებისგან მათ გარიდებას ძეგლის ხასიათის ან მისი ისტორიის გათვალისწინებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღიარებული მოსაზრებების საპირისპიროდ, უმთავრესი მემკვიდრეობა ყოველთვის უკეთესად დაცული და დაფინანსებული არ არის. მოგებაზე მცდარად მიმართული ორიენტაცია, უქმნის რა საფრთხეს კონსერვაციის ხარისხობრივ ასპექტებს და ვენეციის ქარტიის მთავარ პრინციპებს[9], შესაძლოა დაუკარგოს ძეგლებს მათი არსებითი მიმზიდველობის წმნიდა კულტურული ფუნქცია.

ii. სახელდახელო დაფინანსება, რომელიც პრობლემების დროებით გადაწყვეტას იძლევა, უნდა იქნეს მოძიებული აგრეთვე ნაკლები არქიტექტურული ღირებულების სახლებისათვის, მაგრამ იმ კონტექსტებში, რომლებიც გასაქანს არ აძლევს სარეაბილიტაციო პროგრამების მომგებიანობას (სოციალური საცხოვრისის რეაბილიტაცია); ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა განსაკუთრებით საჭიროა ამ მგრძნობიარე სექტორისათვის, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

iii. ყველა სხვა შემთხვევაში, საჭირო იქნება ბაზრის წაქეზება და კერძო ინვესტიციების მობილიზება.

## III. კერძო ინვესტიციების ზეგავლენა ობიექტების რესტავრაციაზე

### *A. ობიექტების რესტავრაცია ეკონომიკურ ციკლში*

#### a) ეკონომიკური ფაქტორები რესტავრაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში

25. კონსერვაციის ხარჯები და სარგებელი თანაბრად არც მთლიანად მოსახლეობაზე ნაწილდება და არც სხვადასხვა თაობაზე. ამას აჩვენებს ტაბულა IV, რომელზეც ტიპიური საკონსერვაციო პროექტის ხარჯებისა და სარგებლის გადანაწილება არის წარმოდგენილი. ვინაიდან ზეგავლენა საზოგადოებაზე ერთგვაროვანი არ იქნება, ტაბულაში მოცემულია ამასთან დაკავშირებული სხვადსხვა სექტორები, კერძოდ შემქნელები და გამძღოლები შესაბამისი ნაგებობებისა ურბანულ სისტემაში (1, 2) და ისინი, ვინც მოიხმარს მოწოდებულ მომსახურებას (4,5). ყოველი სექტორისათვის მოკლედ აღწერილია საკონსერვაციო წინადადების ზეგავლენის ხასიათი (3 და 6). ამგვარად, აქ გვაქვს მინიშნება იმ სექტორების ნაირსახეობებისა, რომლებიც შესაძლოა ჩართული იყოს გადაწყვეტილების მიღებაში კონსერვაციის ჩატარების საჭიროების თაობაზე, განურჩევლად იმისა, უშუალოდ არის ისინი დაკავშირებული ამ ობიექტთან თუ მხოლოდ არაპირდაპირ.

მაგალითად, მფლობელებმა და მოიჯარადრეებმა იმ ობიექტისა, რომელიც არ არის კონსერვირებული (3,4), შეიძლება მიიღონ სარგებელი კონსერვაციიდან, კერძოდ, ტრანსფერის ხარჯები (ფაქტიურად, სხვა მფლობელები წაგებულნი იქნებიან), თუმცა არ შეხვდებათ ფასეულობის გაზრდით გამოწვეული ხარჯები, იქნებ მხოლოდ დაბეგვრის ოდენობის გაზრდის გამო. კონსერვაციასთან დაკავშირებული ხელისუფლება (7-13) დაფარავს ამას ფინანსურად ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული მექანიზმებით და, შესაძლოა, სუბსიდირების გზითაც, ნამდვილად ადგილობრივი და უფრო ფართო საზოგადოების სასიკეთოდ (1-20). ამ ადგილის მნახველები და ტურისტები (14) მიიღებენ სარგებელს მემკვიდრეობით ტკბობით, თუმცა ამისათვის გაიღებენ საზღაურს არა პირდაპირ, არამედ მათი სამგზავრო, სასტუმროებისა და სხვა ხარჯების გზით.

26. გაუმჯობესებისკენ მიმართულ ყოველგვარ ქმედებაში ჩართულია უშუალო მონაწილეების გარკვეული რაოდენობა, კერძოდ:

– მფლობელები (ახლანდელი ან მომავალი);
– მოიჯარადენი (ახლანდელი ან მომავალი);
– მშენებლები / მენაშენეები / ანტერპრენერები (საზოგადოებრივი ან კერძო);
– დამფინანსებლები (გაუმჯობესების პროცეში და მას შემდეგ);
– სამშენებლო ინდუსტრია:
– მენეჯერი (პროექტის მიმდინარეობისას და მისი დასრულების მერე);
– სხვადასხვა პროფესიონალები, ჩართული ზემომოყვანილ კომპონენტებში;
– სპონსორები (თუ არიან).

9 ICOMOS – 1966 -I

ყველა მონაწილემ შეიძლება წვლილი ინდივიდუალურად ან კოლექტიურად შეიტანოს. ლოგიკურად, თუ რომელიმე ამათაგანს სურს მონაწილეობა მიიღოს გაუმჯობესების პროცესში, მას მოუხდება დაადგინოს, რა მიმართებაშია მისი ფინანსური წვლილი მოსალოდნელ მოგებასთან. მოგებამ უნდა გადააჭარბოს შენატანს საკმაო რაოდენობით, რათა მისი მონაწილეობა გამართლებული იყოს. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ამ განტოლებაში შეიძლება გათვალსიწინებულ იქნეს არა-ფინანსური მოგებაც, როგორიცაა მაგ., მფლობელის სურვილი საგვარეულო რეზიდენციის აღდგენისა, ან სპოსორისათვის სასურველი სახელი და საზოგადოების დაფასება, როგორც გარკვეული მოგება. ასეთი სახის მოგება შეიძლება განისაზღვროს როგორც არამატერიალური, განსხვავებით ფინანსური მოგებისაგან.

27. საჭირო თანხების მოძიების მიზნით, ინდივიდუალურმა მონაწილემა უნდა დაადგინოს თავისი პროექტის სიცოცხლიუნარიანობა (ანუ რომ ფინანსური მოგება მნიშვნელოვნად გადააჭარბებს ხარჯებს), რადგან სხვაგვარად შეილახება მსესხებელის უსაფრთხოება. ობიექტის ხასიათი და ხარისხი მნიშვნელოვან ზემოქმედებას მოახდენს ქმედებების ფინანსურ დაგეგმვაზე, ვინაიდან მოთხოვნილება რესტავრირებულ „პროდუქტზე“ ხშირად უფრო შერჩევითი იქნება, ვიდრე ახალი შენობის შემთხვევაში, იმის გამო, რომ შენობის გეგმარება შეიძლება არ იყოს იდეალური ახალი გამოყენებისათვის, ანდა რესტავრაციის ხარჯები შესაძლოა უფრო მაღალი აღმოჩნდეს, ვიდრე ახალი შენობისათვის, ასევე საოპერაციო ხარჯებიც. საზოგადოდ, მოგება უფრო საეჭვოა რესტავრაციის შემთხვევაში, ვიდრე ახალმშენებლობისას. როცა ინდივიდუალური მონაწილე არ არის მზად აიღოს თავის თავზე მემკვიდრეობის ხარჯები, ეს შეიძლება გააკეთოს ხელისუფლებამ, არახელშესახები და არცთუ იოლად გასაზომი ფაქტორების საფუძველზე, კონსერვაციის სიკეთის გამო დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის და არაპირდაპირი მოგებისათვის, რაზეც საუბარი იყო პირველ თავში.

## b) ეკონომიკური გათვლები რესტავრაციაში გადაწყვეტილების მისაღებად.

28. ტაბულა II აჩვენებს, რომ თუმცა კონსერვაციის მთლიანი ხარჯები და სარგებელი საკმაოდ სტანდარტული იქნება თითქმის ყოველი პროექტისათვის, ყოველი დაინტერესებული მონაწილე დაინტერესდება მხოლოდ იმ ხარჯებისა და მოგებების ამონაკრებით, რომლებსაც თავის საზრუნავად მიიჩნევს. ასე რომ, ყოველი მათგანი გადაწყვეტილების მისაღებად სულაც არ ჩაატარებს ხარჯებისა და მოგებების თუნდაც სტანდარტულ ეკონომიკურ გათვლებს. მართლაც, ყველა პირველ რიგში იფიქრებს იმ ხარჯებზე, რომელიც მან პირადად უნდა გასწიოს და იმ მოგებაზე, რაც მას ექნება. როგორც ასეთი, გამოყენებული მეთოდები, თუნდაც საკმაოდ მრავალგვარი, მოექცევა ერთ კატეგორიაში, რასაც ხარჯეფექტურობა ჰქვია. ამ კატეგორიაში ყოველი მონაწილე შეარჩევს შესაბამის მეთოდს იმ ქვემოთჩამოთვლილი გარემოებებისათვის მოსარგებად, რომლებიც ნაჩვენებია ტაბულა V₂-ში.

**ფინანსური ანალიზი (FA)**: ფინანსური საზრისი მხოლოდ პროექტის წამომწყებისათვის (ის ფინანსური ხარჯები, რომლებიც უნდა გაიღოს და ის ფინანსური უკუგება, რომელიც უნდა მიიღოს).

**სოციალური დაფინანსების ანალიზი (SFA)**: ისევე როგორც ფინანსური ანალიზისას, ოღონდ პროექტში ჩართული სხვა მონაწილეების ჩათვლით, მაგ., მომხმარებელი ან სუბსიდიების განცემი ადმინისტრაცია.

**ხარჯმომგებიანობის ანალიზი (CBA) და ხარჯეფექტურობის ანალიზი (CE)**: როცა სამთავრობო უწყებას სჭირდება გააკეთოს შედარებითი შეფასება სხვადასხვა პროექტებიდან მიღებული მოგებისა, მან შეიძლება განიხილოს ეკონომიკური ხარჯები ნაცვლად ფინანსურისა (ანუ გაზომოს წვლილი რეალური რესურსების თვალსაზრისით) სოციო-ეკონომიკური სარგებელის საფუძველზე. იქ, სადაც ეს უკანასკნელი შეუძლებელია გამოთვლილ იქნეს, კრიტერიუმი გახდება ხარჯეფექტურობა.

**საზოგადოებაზე ზეგავლენის ანალიზი (CIA)**: ადგილობრივი დამგეგმარებელი ხელმძღვანელი უნდა ზრუნავდეს ყველა შედეგის და გამოძახილის გათვლაზე საკონსერვაციო პროექტების ყველა ჯგუფისათვის.

29. მაშინ, როცა საკონსერვაციო პროექტების ფინანსური ანალიზის მრავალი მაგალითი არსებობს, სხვა მეთოდების გამოყენების ნიმუშები საგრძნობლად ნაკლებია. ADEP მეთოდი (იხ. პარაგრაფი 13) განიხილავს კონსერვაციის ხარჯებისა და მოგებების ფართო სპექტრს, როგორც ეკონომიკური ანალიზისას ზოგადად, რომელიც მოდის მთლიანად მთელს საზოგადოებაზე, თითქოს ეს განუყოფელი მთლიანობა იყოს. ამის საპირისპიროდ, უნდა ვაღიაროთ გადაწყვეტილების მიმღები ერთეულების სიმრავლე ყოველი ცალკეული პროექტის საზოგადოებაში (ტაბ. V). ამიტომ ამოცანა უნდა იყოს ხარჯებისა და მოგებების დაცალკავება სხვადსხვა სექტორისათვის. ამისთვის გამოსაყენებლი მეთოდი არის საზოგადოებაზე

**ᲪᲐᲑᲣᲚᲐ IV**

**მოგების გადანაწილება და კონსერვაციის ხარჯები** (შემოთავზებული დოქტორ ნ. ლინჩფილდის მიერ)

| სექტორი | | | | | **მომხმარებლები** ზეგავლენა კონსერვაციაზე; აღწერა |
|---|---|---|---|---|---|
| | | ზეგავლენა კონსერვაციაზე; აღწერა | სექტორი | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | ნაგები მემკვიდრეობის მფლობელები | ობიექტის ღირებულებები; | 2 | ობიექტის მობინადრენი | ივჯარის ღირებულება |
| 3 | ობიექტის მფლობელები<br>– უახლოესი<br>– საზოგადოდ | ობიექტის ღირებულებები; | 4 | ობიექტის მობინადრენი<br>– უახლოესი<br>– საზოგადოდ | ივჯარის ღირებულება |
| 5 | ადგილობრივი ხელისუფლება<br>–ობიექტზე<br>–ობიექტის მიღმა | ხარჯები | 6 | ადგილობრივი მომსახურება; | მობინადრე |
| 7 | ადგილობრივი დამგეგმარებელი ხელისუფლება | საოპერაციო ხარჯები | 8 | ადგილობრივი გადამხდელები; | საგადასახდო განაკვეთის შეფასება |
| 9 | კონსერვაციის ადგილობრივი სააგენტოები | კაპიტალური და საოპარაციო ხარჯები; | | | |
| 11 | კონსერვაციის ცენტრალური ხელისუფლება<br>– სესხები<br>– გრანტები | კაპიტალური და საოპარაციო ხარჯები; | | | |
| 13 | ცენტრალურ მთავრობაში კონსერვაციის ხელმძღვანელობა | საოპერაციო ხარჯები | 14 | ვიზიტორები და ტურისტები | მეკვიდრეობისმიერი შთაბეჭდილება |
| 15 | ადილობრივი ეკონომიკა<br>–საქონელი<br>–მომსახურება | დასაქმება | 16 | ადგილობრივი თემი<br>–მაცხოვრებელნი<br>–სამუშაო ძალა | გარემო კულტურა დასაქმება |
| 17 | ეროვნული ეკონომიკა<br>– საგადასახადო შემოსავალი<br>– საგადასახადო ხარჯები<br>– იმპორტი<br>– ფასები<br>– მოვლა | ეკონომიკური კეთილდღეობა | 18 | ეროვნული<br>–მოქალაქეები<br>გადასახადების<br>გადამხდელები | მემკვიდრეობიმიერი პრესტიჟი<br>გადასახადების<br>შეფასება |
| | | | 20 | შთამომავლობა | მემკვიდრეობის<br>შესაძლებლობანი |

შენიშვნა: 1,3: “მფლობელი” ასევე მოიცავს მაშენებლებს, დამფინანსებლებს და სხვ

6: ადგილობრივი მომსახურება მოიცავს მაღაზიებს, სასტუმროებს, რესტორნებსა და სხვ.

9: კონსერვაციის ადგილობრივი სააგენტოები მოიცავს ადგილობრიბ ხელისუფლებას, მოხალისე უწყებებს და სხვ.

ზეგავლენის ანალიზი. ამ მხრივ ძალიან პრაქტიკულია განსხვავებული სექტორების (რომლებიც არ არის აუცილებელი თანხმობაში იყვენენ ერთმანეთთან) დამოკიდებულების განხილვა და იმ გზების დადგენა, რომლითაც განისაზღვრება, სად არის საჭირო კონკრეტული დახმარება კონერვაციის წარმატებით განხორციელებისათვის და სად არის საჭირო ფასების კალკულაცია კონსერვაციის მოგებების ასანაზღაურებლად; მაგრამ როცა საჭიროა ყველა სექტორების/მონაწილეების მხედველობაში ერთად მიღება (მაგ., როცა საკონსერვაციო პროექტს წარუდგენენ საზოგადოებას), შესაძლებელია საზოგადოებაზე ზეგავლენის შეფასების გამოყენება, რომელიც გამოავლენს ზეგავლენას ყველა შესაბამის სექტორზე და საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნას ბალანსი ეფექტიურობისა და სამართლიანობის თვალსაზრისით.

30. ეკონომიკური ჩარჩოები საშუალებას იძლევა ფინანსური და საგადასახადო მიდგომის გაფართოებისა (ტაბულა III). წინარე პარაგრაფებიდან ისე ჩანს, რომ ~~ყველა~~ კონკრეტულ ობიექტს შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს მის განახლება/კონსერვაციასთან დაკავშირებული დაფინანსება/სუბსიდირების პრობლემები. კონკრეტულ სახლს შეიძლება ჰქონდეს კაპიტალური ხარჯების დიდი პრობლემები, რომლებიც, თუ თანხები მოიძებნება, შეიძლება პოტენციური მოგებიდან დაფინანსდეს. სხვა შემთხვევაში, პრობლემა შეიძლება იყოს არა საწყისი კაპიტალი, არამედ საოპერაციო ხარჯები, და სხვა შემთხვევაში კი, სულაც არ იყოს პრობლემები. ამგვარად, შესაძლებელია ფინანსური და ფისკალური ღონისძიებების გათვალსაჩინოება და ყოველი მათგანითვის იმ წვლილის ჩვენება, რასაც ეს ღონისძიება პოტენციურად მოიტანსს, რათა ხელი შეუწყოს განახლება/კონსერვაციის პროცესს ზემოთ აღწერილი სპეციფიკური ქმედებებისაგან მიღებული პირდაპირი ფინანსური ხარჯებისა და მონაგების თვალსაზრისით. ამ მხრივ იმათთთვის, ვინც დაკავებულია კონკრეტული შემთხვევებისათვის დაფინანსება/სუბსიდირების მოთხოვნის შეფასებით, უპრიანია ამოარჩიოს კონკრეტული ღონისძიება კონკრეტული შემთხვევის შესაბამისად და, აგრეთვე, სათანადო ფინანსური შეფასებიდან განსაზღვროს საჭირო დაფიანსება/სუბსიდირების ოდენობა. ეს ნათლად გულისხმობს დიალოგს დაფინანსება/სუბსიდიების მომთხოვნ მონაწილეთა და მათი გამცემებს შორის. და ეს დიალოგი უნდა დაიგეგმოს ფინანსური შეფასების სქემის გარშემო.

**ტაბულა V**
**არქიტექტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია:**
**სხვადასხვა მონაწილეების ხარჯები / მონაგები** (შემოთავაზებულია ნ. ლიჩფილდის მიერ)

| **ხარჯები და სარგებელი** | **უშუალოდ კონერვაციის პროცესის მონაწილენი** | **მთავრობა, რომელიც გასცემს სუბსიდიებს** | **სპონსორები** | **ადგილობრივი დამგეგმარებელი ხელისუფლება** |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| პირდაპირი ფინანსური ხარჯები | | | | |
| კაპიტალური | x | x | x | |
| საოპერაციო | x | x | | x |
| პირდაპირი ფინანსური სარგებელი | | | | |
| გაყიდვა | x | | | |
| იჯარა | x | | | |
| არაპირდაპირი ხარჯები/სარგებელი | | | | |
| მემკვიდრეობისმიერი /კულტურის | | | | |
| სოციალური | | x | x | x |
| ეკონომიკური | | | | x |
| გარემოსდავითი | | | | x |
| პრესტიჟი | | | x | x |
| გამოყენებული შეფასების მეთოდი | FA<br>SFA | CBA | CE | CIA |

## C) კონსერვაციისათვის გამიზნული სუბსიდიების ეფექტიურობა

31. მას მერე, რაც განვიხილეთ ზემოთ მონიშნული არგუმენტები სუბსიდიების წყაროსა და ოდენობის თაობაზე, ასევე უნდა დასაბუთდეს, რომ სუბსიდიები ნამდვილად ეფექტურად მიაღწევს თავის მიზანს, კერძოდ, არქიტექტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას. ამისთვის შეთანხმება უნდა მოხდეს დამფინანსებელ უწყებასა და სარგებლის მიმღებ მონაწილეთა შორის, რათა თანხები დაიხარჯოს

გეგმის მიხედვით. საქმე მხოლოდ იმაში კი არ არის, რომ ზუსტად ვიცოდეთ, რომ ფული არამიზნობრივად არ წარიმართა, არამედ ნამდვილად დავრწმუნდეთ, რომ რა სახითაც ის დაიხარჯა, იგი ემსახურება მემკვიდრეობის თვისებების შენარჩუნებას და გაძლიერებას ისე, როგორც ეს შემოთავაზებული იყო სუბსიდიების მოთხოვნაში.

## *B. რეაბილიტაციის პროცესში კერძო ინვესტიციების გამოყენების არსებული საზღვრები*

### a) ინვესტიციების ტიპები

32. ზოგმა ძველმა შენობამ შეინარჩენა თავდაპირველი ფუნქცია, მაშინ როცა სხვები გაუქმებულია და, შეიძლება ადაპტირებული იქნეს ახალი გამოყენებისათვის. ინვესტირების სტრატეგია, ბუნებრივია, დამოკიდებული იქნება კონკრეტული ნაგებობის ტიპზე და იმაზე, თუ რა გზით შეიძლება მისი ახლებურად გამოყენება. მთავარ ქალაქებსა და ტურისტულ ცენტრებში კერძო ინვესტორები, ცხადია, გაამახვილებენ ყურადღებას იმ შენობებზე, რომლებიც ეპასუხება კომერციული სათვასების, ოფისების, სასტუმროს მოთხოვნებს. ეროვნული ან ადგილობრივი ხელისუფლების მოვალეობა იქნება გაუადვილოს ინვესტორებს არჩევანი მეტი ინფორმაციის უზრუნველყოფით გასაახლებლად გამოსადეგი ძველი შენობების თაობაზე (იხ. ქვემოთ, პარაგრაფი 40).

ძველი უძრავი ქონების დიდ წილს ისტორიულ ცენტრებში წარმაოდგენს საბინაო ფონდი. სადაც საქმე ეხება კერძო ინვესტიციების ჩადებას რეაბილიტაციაში, გასარკვევია, რამდენად ესადაგება საბინაო ფონდის დაფინანსების მექანიზმები რეაბილიტაციის მოთხოვნებს. მიუხედავად ევროპულ ქვეყნებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებებისა, შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი სისტემა:

i შემნახველი ბანკის მეთოდი, რომლითაც საბინაო სესხების თავიდან დაფინანსება მოკლევადიანი დეპოზიტებით ხორციელდება;

ii იპოთეკური ბანკის მეთოდი, რომლითაც დაფინანსება ხორციელდება საშუალო ან გრძელვადიანი ბონებით (ობლიგაციებით);

iii კონტრაქტორული შემნახველი მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს სესხის გაცემას კონტრაქტში დათქმული, წინარე დანაზოგის დასრულების ვადის შემდეგ.

ნაღდი ფულის დანაზოგები, პირდაპირი სესხები და ქონების ბაზარი არის, ამგვარად, საბინაო ფონდის დაფინანსების სამი ძირითადი წყარო, რომელიც არსებობს ევროპის ქვეყნების უმეტესობაში, იპითეკური სესხების გასაცემად, ანუ, უმეტესად გრძელვადიანი სესხებისა, რომელიც ქონებით (აქ: მემკვიდრეობის ობიექტი) არის უზრუნველყოფილი. გარდა ამისა, შეიძლება ვახსენოთ ფრანგული იპოთეკური ბაზარი და აგრეთვე უზრუნველყოფა, განსაკუთრებით გაერთიანებულ სამეფოსა და საფრანგეთში (საბანკო სესხების ტრანსფორმაცია მარკეტინგულ სააქციო კაპიტალად), რაც წარმოადგენს ახლახან შემოღებულ სამომავლოდ საინტერესო და პერსპექტიულ საშუალებას. ბაკების გარდა, სხვა დაწესებულელები, რომლებიც გასცემს საბინაო სესხებს, მოიცავს სადაზღვევო კომპანიებს, რომლებიც კვლავ-დაფინანსებას ახდენს სადაზღვევო პრემიების გზით.

იპოთეკური სესხები, როგორც უძრავი ქონების დაფინანსების საშუალება, არ შემოიფარგლება საცხოვრებლით, არამედ შეიძლება სხვა მიზნებისათვისაც იქნას გამოყენებული. ზოგ შემთხვევაში მათ შეიძლება დაემატოს, ან ჩაენაცვლოს კრედიტის სხვა ფორმა (ბიზნეს-სესხი და სხვ.).

ყველა საკრედიტო საქმიანობა ექვემდებარება ძალიან მკაცრ წესებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ცალკეული დაწესებულებებისა და მთლიანად სისტემის ერთიანობა და, მგვარად, დაიცული იყოს მომხმარებლების ინტერესები. ეს წესები საზღვარს უდებს სესხების გაცემას, განსაკუთრებით იმ სესხებისა, რომლებიც უზრუნველყოფილია მომხმარებლის საკუთარი თანხებით. უმეტეს ქვეყანაში ეს საზღვრები, ალბათ, უფრო შევიწროვდება მომავალში, რაც შექმნის ფასების ზრდის რისკს.

თუმცა სპეციალური საკრედიტო დაწესებულებანი თამაშობს უპირატეს როლს უძრავი ქონების სესხების გამოყოფაში, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსურ სისტემებს შორის ბარიერებისა და აკრძალვების მოხსნის მადლით, სხვა დაწესებულებანი (შემნახველი ბანკები, კლირინგული ბანკები და ა.შ.) საგრძნობლად ზრდის თავის საქმიანობას ამ სფეროში. სავარაუდოა, რომ ერთიანი ევროპული ბაზრის შემოღებით ეს ტენდენცია კიდევ უფრო გამოიკვეთება.

33. შემნახველ ბანკებს, სხვა საკრედიტო ინსტიტუციების მსგავსად, შეუძლია დააფინანსოს მემკვიდრეობის კონსერვაცია ინდივიდუალურად გაცემული ჩვეულებრივი იპოთეკური სესხებითაც. ძირითადი წესები განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში, და გარკვეული ფაქტორები (როგორიცაა სესხის მოცულობა საბაზრო ღირებულებასთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთების ნაირგვარობა და გადახდის ვადე-

ბი) შესაძლოა განსხვავდებოდეს ერთიდაიმავე ქვეყნის სხვადასხვა ორგანიზაციებშიც კი. ჩვეულებრივ, ბაზარი არეგულირებს საპროცენტო განაკვეთს. არსებობს დაზოგვის სქემები სახლების ყიდვისათვის, რომლებიც უფრო ხელსაყრელ პირობებს თავაზობს. შემნახველი ბანკები ასევე ასესხებს ფულს ადგილობრივ ხელისუფლებას (განსაკუთრებით არქიტექტურის კონსერვაციის პროგრამებისათვის), აკეთებს სუბსიდირებულ სესხებს (იპოთეკური სესხები ინდივიდუუმებისათვის, საზოგადოებრივი უწყებებიდან მიღებული პროცენტიანი, სუბსიდიებთან შეხამებული) და დადაბლებული განაკვეთით გასცემს სესხებს ქალაქების ისტორიულ ცენტრებში ნაგებობათა სარეაბილიტაციო პროგრამებისათვის.

34. საკრედიტო დაწესებულებანი ხშირად კისრულობს ასევე ქონების ინვესტირების ფონდების შექმნას. ისინი, როგორც ინვესტორები, სადაზღვევო ორგანიზაციების მსგავსად, გასცემს სუბსიდიებს და ა.შ., თუმცა მაინც ჭოჭმანობს რაიმე ძველში ინვესტიციების ჩადებას და ხშირად ურჩევნია ახალი ნაგებობები, რადგან ისინი უფრო „მომგებიან“ და უსაფრთხო ღირებულებად მიაჩნია. იმისთვის, რომ მოხდეს ყველა ამ ინვესტორის წაქეზება მათი პოლოტიკის შესაცვლელად ძველი შენობების სასრგებლოდ, უნდა გადაიდგეს ნაბიჯები, რათა მათი დაფინანსება უფრო მომგებიანი და ნაკლებ სარისკო გახდეს.

## b) რეაბილიტაციის სპეციფიკური რისკებით განპირობებული შეზღუდვები

35. თუ ბანკებისა და ფინანსური ორგანიზაციების ინვესტიციების (ყიდვა და გამოყენება) შესაძლებლობა განიხილება, კულტურული ღირებულება განუცალკავებელი უნდა იყოს მომგებიანობისგან, რომლის გათვალსისწინებითაც შემნახველი ბანკები Aშეიძლება გასცემს კონცესიებს საკუთარი ძალით მათი სპეციფიკური ბუნების შესაბამისად, მაგრამ იმგვარ საზღვრებში, რომ საღი მართვის კრიტერიუმი არ იყოს უგულველყოფილი. საკრედიტო ორგანიზაციები აფუძნებს სესხების გაცემის საქმიანობას რისკების წინასწარ შეფასებაზე. ზოგ ქვეყანაში, მათი მხრიდან რეაბილიტაციისადმი ინტერესის ნაკლებობა აიხსნება მისთვის დამახასიათებელი რისკებით. ყოველთვის როდია ნათელი, თუ რა დონემდე გაზრდის ობიექტის ღირებულებას რესტავრაციაში ჩადებული ინვესტიცია. გარდა ამისა, შეიძლება ისე მოხდეს, რომ გრანტი, რომლის იმედიც ჰქონდა კერძო მფლობელს, აღარ გაიცა იმიტომ, რომ, მაგ., მან გადააჭარბა დათქმულ ვადას. ამან შეიძლება შეუქმნას მსესხებელს ფინანსური პრობლემები და მსესხებელი ორგანიზაცია არასანდო მოვალეს ანაბარა აღმოჩნდეს.

36. იპოთეკური სესხის საზოგადოებრივ სუბსიდიასთან დაწყვილების შესაძლებლობა დიდ ზემოქმედებას ახდენს რისკის შეფასებაზე, რომელსაც აკეთებს მსესხებელი ორგანიზაციები სესხის გაცემის წინ. უფრო ზოგადად, თუ რისკები (სადაც ისინი არსებობს) განეიტრალებული ან შემცირებული მაინცაა, მსესხებელი ორგანიზაციები შეიძლება მეტი ენთუზიაზმით მოეკიდოს არქიტექტურის კონსერვაციას. რისკის გაუვნებელყოფის ერთი გზა შესაძლოა სახელმწიფოებრივი გარანტია იყოს, რაც, ფაქტიურად, იქნება იმ მნიშვნელობის დადასტურება, რასაც ხელისუფლება, განსაკუთრებით ადგილობრივი, უნდა ანიჭებდეს კონსერვაციას.

## c) შეზღუდვები, რომლებიც მიმართულია ახალმშენებლობებისათვის უფრო ხელსაყრელი შეღავათების გაცემის პრაქტიკის საპირისპიროდ.

37. საბინაო სესხების პოლიტიკა ყველა ქვეყანაში მერყეობს ეკონომიკურ მოსაზრებებსა და სოციალურ მოტივებს შორის, რაც უკანასკნელ დრომდე არ იძლეოდა საშუალებას არქიტექტურული კონსერვაციის იმ სოციალურ-ეკონომიკური სარგებლების გამოვლენისა, რომლებიც მოყვანილი იყო ამ მოხსენების დასაწყისში. შეღავათები შეიქმნა ახალმშენებლობებისათვის, უპირატესად სესხის პირობების, დაბრუნების ვადების და გადასახადების დაქვითვის საზღვრების გაფართოების გზით. ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, სწორედ ხელისუფლებამ უნდა შეცვალოს თამაშის წესები და შექმნას ჩარჩოები, უფრო შესაფერისი სარეაბილიტაციო ბაზრის მოქმედებისათვის. მიზნად შეგნებულად უნდა იყოს მიღEბული ამ ორი სექტორის თანაბარ პირობებში მოქცევა და ტენდენციის შებრუნება იმ ქვეყნებში, სადაც კერძო ინვესტიცია ჯერაც უპირატესად ახალმშენებლობებისაკენაა მიმართული.

1986 წელს ეკონომიკური კოოპერაციისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ გამოკვლევაში „საგადასახადო პოლიტიკა და ბინათმშენებლობის ბაზარი ურბანულ არეალებში“,[10] OECD-ს წევრ ქვეყნებში ბინათმშენებლობასთან დაკავშირებულ ძირითად ფისკალურ ღონისძიებებს შორის, აღნიშნულია „საშემოსავლო გადასახადისგან განთავისუფლება ან პრეფერენტული საგადასახადო შეღავათების შეთავაზება დაბალი და საშუალო კატეგორიის საცხოვრებლის მშენებელი კომპანიებისათვის ისევე, როგორც განაკვეთის შემცირება არაპირდაპირი გადასახადებისათვის (მაგ., დღგ), ზრდის ახალი საცხოვრებლის გაყიდვის შესაძლებლობას“.

10 “საგადასახადო პოლიტიკა და ბინათმშენებლობის ბაზარი ურბანულ არეალებში“, ეკონომიკური კოოპერაციისა და განვითარების ორგანიზაცია, – ურბანული საქმეების პროგრამა – პარიზი, 1986

იგივე გამოკვლევამ, თუმცღა ისმიუთითებს საგულისხმო განსხვავებაზე სხვადასხვა ქვეყანას შორის, შენიშნა ტენდენცია მოვლა-პატრონობის სამუშაოთა და არსებული საცხოვრებელი ფონდის გაუმჯობესების მხარდაჭერისა, რაც გამოიხატა ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა გადასახადების შემცირება დიდმასშტაბიანი სარესტავრაციო სამუშაოებისათვის, ენერგიის მოხმარებისა და განახლების სამუშაოების ხარჯზე ეკონომიის გზით. თუმცა ეს ღონისძიებები ზოგადად მიმართულია არსებული საცხოვრებელი ფონდზე მთლიანობაში, განსაკუთრებული ყურადღების გარეშე მემკვიდრეობის ღირებულებისმიერი მქონე ელემენტებზე.

# II ნაწილი
# დაფინანსების სტიმულირების ღონისძიებები

## I. ძველი შენობების შენარჩუნებისა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფოებრივი წამახალისებელი ფაქტორების გაძლიერება

38. ორივე შემთხვევაში – როგორც დაცვის სტატუსის მქონე შენობების შემთხვევაში, რომელთა გამოყენება, სავარაუდოდ, მოიტანს პირდაპირ ან არაპიდაპირ მოგებას, ისე დაცვის არქმონე შენობებისათვის, რომლებიც გამოსადეგია ან პირდაპირი ეკონომიკური გამოყენებისათვის, ან საცხოვრებლად, – საჭიროა კერძო პირების (სექტორის) ფონდების უფრო ეფექტიური მირმართვა რესტავრაციის სფეროში. მთავრობებს ამ ამოცანის შესრულება ორი გზით შეუძლიათ. პირველი ითვალისწინებს წამახალისებელ პოლიტიკას და ზომებს, რომლებიც უბიძგებს კერძო სექტორს არქიტექტურული მემკვიდრეობის რესტავრაციაში თანხის დაბანდებისკენ (დინამიკური მიდგომა); მეორე კი იქიდან ამოდის, რომ სამთავრობო მხარდაჭერის გარეშე, კერძო სექტორი გადაწყვეტილების მიღებისას ეკონომიკურ გათვლებზე დაყრდნობით ინვესტიციას არამომგებიანად ჩათვლის, რაც, თავის მხრივ, ადასტურებს წამახალისებელი ფაქტორებისა და სუბსიდიების საჭიროებას (მხარდაჭერის მიდგომა). მეორე კატეგორიით გათვალისწინებულმა ღონისძიებებმა შეიძლება იმოქმედოს ფინანსური რეგულირების სხვადასხვა სახით (სესხები, ანაბრები, დაბეგვრა) და ასევე კომერციის, კომპანიებისა და ასოციაციების შესახებ კანონებით.

39. როგორც ნაჩვენები იყო, მემკვიდრეობის კონსერვაცია მოიცავს როგორც კულტურულ, ისე ეკონომიკურ ღირებულებებს, რომელთაგან თითოეული მხედველობაში უნდა იყოს მიღებული. ძეგლების შემთხვევაში ნაკლები სირთულეები შეიმჩნევა, რამდენადაც, ჩვეულებრივ, საჭირო თანხებს თავად კონსერვაციის დარგის ხელმძღვანელები გასცემენ და, შესაბამისად, რესტავრაციისას ითვალისწინებენ კულტურულ ფასეულობებს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ რესტავრაციას კერძო სექტორი ახორციელებს, რომლის უმთავრესი ამოცანაა მინიმალური მოგება მაინც მიიღოს, გარდუვალად იქმნება საფრთხე, რომ ამას კულტურული ღირებულება შეეწირება, ან შემცირდება მისთვის საჭირო თანხები, ან გაძლიერდება კომერციული ღირებულებანი. ამდენად, საჭიროა გარკვეული პრინციპების შემუშავება, რომლებიც მოხსენების ამ ნაწილში წარმოდგენილი ორი მთავარი კატეგორიის შესაბამისად შეიძლება გაიყოს: პროექტების დასაწყებად ხელსაყრელი პირობების შექმნა (A) და ფინანსური შეღავათები (B).

A კატეგორიის შემთხვევაში მართვის საშუალებები, რომლებიც კულტურულ ფასეულობათა დაცვასა და მათი პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებს, ამ ამოცანის შესასრულებლად შემუშავებული სისტემის განუყოფელ ნაწილად უნდა იქცეს. B კატეგორიის შემთხვევაში, სადაც ფინანსური წამახალისებლების არსებობაა გათვალისწინებული, დაცვისა და გაუმჯობესების მექანიზმი უფრო უნდა დაკონკრეტდეს. ეს უზრუნველყოფს არა მხოლოდ თანხების სწორად ათვისებას, არამედ მემკვიდრეობის მახასიათებლების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას ყველა სახის ფინანსური დახმარების მოთხოვნის შესაბამისად.

საზოგადოდ, სამოქმედო პრინციპები შეიძლება ყველა სიტუაციისთვის შემუშავდეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ კულტურული და ეკონომიკური ღირებულებები არ არის აუცილებლად დაპირისპირებული, ამ პრობლემამ შეიძლება იჩინოს თავი ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში, ქალაქებში ფინანსური ან კულტურული მოგების ოდენობის გამო, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მოგების შემთხვევაში. ასეთ ვითარებაში საჭიროა შუამავლობა და მოლაპარაკება, რათა შეთანხმება იქნეს მიღწეული კონსერვაციის/გეგმარების დარგის ხელმძღვანელებსა და იმათ შორის, ვინც მოგებას მიიღებდა ბაზარზე გასვლით, რათა დარწმუნებული იყოს, რომ სახელმწიფო მხარდაჭერა აღწევს მთელი ამ საქმიანობის თავდაპირველ მიზანს: არქიტექტურული მემკვიდრეობის კონსერვაციას.

### *A. პროექტების დასაწყებად ხელსაყრელი პირობების შექმნა*

40. სახელმწიფო სექტორის მიერ რესტავრაციის დაწყების ხელშემშლელი პირობები გამომდინარეობს ან შესაბამისი ადმინისტრაციული სტრუქტურების ნაკლებობიდან ან მათი ზედმეტად რთული სისტემიდან.

### a) შენობების გამოყენების ხელშემწყობი საშუალებები

საჭიროა ცნობიერების ამაღლების პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება მენაშენეების წახალისებაზე, რათა მათ დააბანდონ თანხა კონსერვაციასა და რეაბილიტაციაში. ამგვარი სტრატეგია პოტენციურ ინვესტორებს უნდა მიუთითებდეს მათი ინვესტიციის შესაძლო მოგებაზე, რაც არსებული რესურსების გამოყენებასა და დანაკლისების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. გაერთიანებულ სამეფოში, მაგალითად, ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელიც პასუხისმგებელია ურბანულ განვითარებაზე, მოუწოდეს შეექმნათ მათ ტერიტორიაზე მდებარე ისტორიულ შენობათა

სია, რომელშიც მითითებული იქნებოდა, რომელი მათგანი არის რისკის ქვეშ (მათი მდგომარეობისა და გამოყენების ფორმების წინასწარული შესწავლის შემდეგ). ამ ფაქტორების შეფასების შედეგად (1-დან 6-მდე შკალაზე), შესაძლებელია სამოქმედო პრიორიტეტების გამოყოფა და საჭირო ფინანსური რესურსების განსაზღვრა. ამ სახის რეესტრის შემოღება დაეხმარება მათ, ვინც სამშენებლო საქმიანობით არის დაინტერესებული, და ყურადღებას საჭიროებათა შესაბამისად მიაპყრობინებს (იხ. VI ცხრილი „ინგლისის მემკვიდრეობა: რისკის ხარისხის შკალა“).

## b) გეგმარებისა და ურბანული განვითარების პოლიტიკის მხარდაჭერა

შესაბამისი ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ უნდა შემუშავდეს დაგეგმვისა და ურბანული განვითარების პოლიტიკა, რაც ნაყოფიერ ნიადაგს შექნის რეაბილიტაციის დასაწყებად. საქმიანობის სპეციფიკური სფეროები შესაბამის იურიდიულ და ფინანსურ სისტემასთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გაიმიჯნოს. ქალაქგეგმარებისა და კონსერვაციის სამოქმედო პრინციპები საჭიროებისამებრ უნდა შეიზღუდოს და საკმაოდ მოქნილი ინტერპრეტაციის საშუალებასაც უნდა იძლეოდეს, რათა უზრუნველყოფილი იყოს დაგეგმილი ღონისძიებების დაბალანსება და ფინანსური მდგრადობა.

## c) საველე ოპერატორების გამოყენება ადმინისტრაციული ბარიერების გადასალახავად

რესტავრაციის დაწყების ხელშემშლელი პირობების ერთი რიგის მიზეზი ან შესაბამისი ადმინისტრაციული სტრუქტურების არარსებობა ან მათი მეტისმეტად რთული სისტემაა. კანონმდებლობის მოცულობა და სამთავრობო დეპარტამენტების რაოდენობა, შესაბამისი პროცედურების და ფინანსური ოპერაციების სირთულის გათვალისწინებით, რეაბილიტაციის პროექტის დაწყებას ხშირად ძალინ საფრთხილო საქმედ აქცევს. ადმინისტრაციული პროცედურები უნდა გადაისინჯოს და გამარტივდეს. იურიდიული და ფინანსური სისტემის სირთულის გათვალისწინებით, ნებისმიერი სახის პროექტი საჭიროებს საველე ოპერატორებისა და ორგანიზატორების დანიშვნას, რომლებიც ზოგადად პროგრამასა და ადმინისტრაციული თუ ფინანსური სირთულეების დაძლევაზე იქნებიან პასუხისმგებელნი. ორგანიზაციები, რომლებშიც სხვადასხვა საზოგადოებრივი (სახელმწიფო) და კერძო სექტორის პარტნიორები გაერთიანდებიან, უზრუნველყოფს საქმიანობის იმგვარად წარმართვას, რომ ობიექტის არქიტექტურული და კულტურული მახასიათებლები სათანადოდ იქნება ანგარიშგაწეული და შესაბამისობაში იქნება პროგრამის იმ მოთხოვნებთან, რომლებიც ბალანსსა და მომგებიანობას ითვალისწინებს. ამგვარი ოპერატორები პროექტის უწყვეტ დინამიკურობას უნდა უზრუნველყოფდნენ.

**ტაბულა VI**
**English Heritage: რისკის დონის გასაზომი შკალა**

| **მდგომარეობა** | **ბინადრობა (დაკავებულობა)*** | **რისკის კატეგორია** |
|---|---|---|
| 1. ძალიან ცუდი<br>მოსალოდნელია შენობის ნგრევა<br>მაგ., გადახურვა ძირითადად ნაკლულია<br>სახურავის კონსტრუქცია დაზიანებულია | 1. ცარიელი<br>2. ნაწილობრივ დაკავებული<br>3. დაკავებულია (დასახლებულია) | 1. უკიდურესი რისკი<br>2. სერიოზული რისკი<br>3 რისკის ქვეშ |
| 2. ცუდი<br>დაზიანებამ შეიძლება გამოიწვიოს<br>შენობის ნგრევა<br>მაგ., გარკვეულ ნაწილებში აკლია<br>ფიქალები, მაგრამ გადახურვის<br>კონსტრუქცია ჯერ კიდევ საღია | 1. ცარიელი<br>2. ნაწილობრივ დაკავებული<br>3. დაკავებულია (დასახლებულია) | რისკის ქვეშ მყოფი<br>შენობა<br>4. |
| 3 დამაკმაყოფილებელი<br>კონსტრუქციულად საღია, მაგრამ<br>მოუვლელი; მაგ., გაცვეთილი სარკმლის<br>ჩარჩოები, წყლისგადამყვანი მილები<br>გაჭედილია, არის სინესტის ნიშნები | 1. ცარიელი<br>2. ნაწილობრივ დაკავებული<br>3. დაკავებული | ნაგებობას სჭირდება<br>დაკვირვება<br>5. |
| 4. კარგი<br>შენობა საღია და კარგად მოვლილი | 1. ცარიელია<br>2. დაკავებულია ნაწილობრივ<br>3. დაკავებულია | 6.<br>ნაგებობეი არ<br>არის რისკის ქვეშ<br>უყურადღებობის<br>გამო |

- ნაგებობები, რომლებიც არ შეიძლება იყოს დასახლებული, მაგ. სამანის ქვები, ქანდაკებები, უნდა აღინიშნოს “0”-თ. მათი რისკის კატეგორია იზომება მხოლოდ მათი მდგომარეობით.

### d) საიჯარო პოლიტიკა

საიჯარო პოლიტიკას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი შენობების მოვლა-პატრონობისთვისაც. იჯარის თანხის გაუმართლებლად დაბალი ზედა ზღვარი (რომელიც არსებობდა და ჯერაც არსებობს ზოგიერთ ქვეყანაში) კერძო ინვესტორებს აბრკოლებს ამ ბაზარზე გასვლით რისკის გაწევისაგან. არქიტექტურული კონსერვაციის მიზანს თან უნდა ახლდეს დიდი მცდელობა შეიქმნას კავშირი და თანაფარდობა ამ დარგში არსებული ხელისუფლების, როგორც დამკვეთის, ინვესტიციების, კულტურული მემკვიდრეობისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებისა და ძველი შენობების აღსადგენად გამოყოფილი სესხების გაცემის პოლიტიკასა და კონსერვაციის პოლიტიკას შორის.

### e) პროექტის გაუმჯობესებული მართვა

საველე სამუშაოების წარმოებისას აუცილებელია კონსულტაციები სხვადასხვა მონაწილე მხარეებს შორის, რომელიც დაფუძნებული იქნება, ყველა ცალკეული პროექტისათვის შემუშავებული ფინანსური შეფასების პროცედურაზე. როგორც ოფიციალური, ასევე კერძო და ერთობლივი სარესტავრაციო პროექტები თანაბრად ითხოვს უახლეს ადმინისტრაციულ და ადგილის მართვის მეთოდებს, რაც ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ შესამუშავებელია. რეკომენდაციაში R (86) 5 ევროპოს საბჭოს წევრი ქვეყნებისადმი არქიტექტურულ მემკვიდრეობის კონსერვაციაში ჩართული ხელოსნობის დარგების მხარდაჭერის თაობაზე, ნათქვამია: „ყველა სარესტავრაციო პროგრამა უნდა ეფუძნებოდეს ნაგებობის დეტალურ კვლევას და წინასწარ შესწავლას. კვლევა, რომელიც უნდა გახდეს შედეგი რესტავრატორის, არქეოლოგის, არქიტექტორის თანამშრომლობისა, უნდა განხორციელდეს მოვლისა და რესტავრაციის პროგრამების შემუშავდებამდე. მჭიდრო თანამშრომლობა ნაგებობის მფლობელსა და არქიტექტორს შორის უნდა დაეფუძნოს ზუსტ დაგეგმვას, ხარჯთაღიცხვასა და ვიზუალურ მასალას, შესაძლებლობის შემთხვევაში მოდელებისა და ნიმუშების მოშველიებით“.

## *B. ფინანსური სტიმულირების ფაქტორები*

41. ფინანსური სტიმულირების ფაქტორები სამ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: სუბსიდიები, ჩვეულებრივი სესხები და დაბეგვრა. სამივე ქვემოთ არის განხილული.

კერძო სექტორის დახმარების თვალსაზრისით, ამ სახის წამახალისებელი ფაქტორები არქიტექტურული მემკვიდრეობის ყველა ცალკეული კატეგორიისათვის ერთნაირად მიმზიდველი არ იქნება, რამდენადაც ბევრი რამაა დამოკიდებული თავად ობიექტის სახეობასა და მის მდებარეობაზე (იხ. I ცხრილი), ასევე იმაზე, თუ რამდენად არის შესაძლებელი მისი ფინანსური თვალსაზრისით მომგებიანად გამოყენება.

ხელსაყრელი წამახალისებელი ფაქტორი შეირჩევა გადაწყვეტილების მიღებისა და რესტავრაციისათვის საჭირო ეკონომიკური გათვლის საფუძველზე, რაშიც პროცესში ჩართულმა ყველა მხარემ უნდა მიიღოს მონაწილეობა.

### a) სუბსიდირება

42. სუბსიდიის ერთ-ერთი სახეობა შეიძლება ითვალისწინებდეს შენობის არქიტექტურულ ღირებულებას. მაგ., ლუქსემბურგის წესებით (1985 წ. 1 თებერვალი) მესაკუთრემ ან მობინადრემ შეიძლება მიიღოს გრანტი „1913 წლამდე აშენებული იმ სახის შენობის სარესტავრაციოდ, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ტიპიური და ისტორიული მახასიათებლები, იმ პირობით, თუ სამუშაო თავდაპირველი გარეგნობის შენარჩუნებასა და რესტავრაციას ითვალისიწნებს“. ამ სახის არქიტექტურის შემთხვევაში, ინგლისის მემკვიდრების პროგრამა მოიცავს, მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს საკონსერვაციო არეალებში მდებარე შენობებს და ეფუძნება მთლიანი არეალების დაფინანსების პრინციპს. შეირჩევა მძიმე მდგომარეობაში მყოფი არეალები, რათა შენობების შეკეთებითი სამუშაოების სუბსიდირებამ ხელი შეუწყოს ადგილობრივიეკონომიკური საქმიანობას განვითარებას, ვიდრე ბაზარი არ დაიწყებს ხარჯების დაფარვას, რის შემდეგ გრანტები შეწყდება. ამით დაიფარება დანახარჯების 25%, რომელიც შეიძლება უფრო მაღალიც იყოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი ხელისუფლება დამატებით სახსრებს გაიღებს.

25%-იანი განაკვეთი შემთხვევითი არ არის. მაგალითად, ლუქსემბურგში, თუ კერძო პირი რესტავრაციისთვის გაიღებს 100 000 LFR-ს, სახელმწიფო გასცემს 25 000 LFR-ს. ეს თანხა სახელმწიფოს უბრუნდება სხვადასხვა გადასახადის სახით (საშემოსავლო გადასახადი, დღგ და ა.შ.): სულ საგადასახადო განაკვეთი 24.6%-ს აღწევს, ასე რომ, იგივე პირი იხდის 24.6000 LFR-ს. ფაქტიურად, ეს საქმიანობა სახელმწიფოს არაფერი უჯდება.

სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე და რესურსების სწორად ათვისების მიზნით ზოგიერთი თვლის, რომ ამ სახის სუბსიდია უნდა სხვაობდეს ბენეფიციარის შემოსავლის მიხედვით.

43. ძველი შენობებისთვის განკუთვნილი პირდაპირი თუ არაპირადპირი სუბსიდიები საცხოვრებლების დახმარების სახითაც არის შესაძლებელი, რაც ან საცხოვრებლის ტიპით ან მისი მოსახლეების მდგომარეობის შესაბამისად განისაზღვრება. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საბინაო უზრუნველყოფის სახელმწიფო გრანტები, რომლებიც დაბალი საიჯარო ფასის ბინების პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებს, ასევე შეღავათიანი სესხები სახლების მესაკუთრეთათვის, მესაკუთრე-მობინადრეების ან დამქირავებლის დასახმარებლად საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად, ან კვლავ ძალიან დაბალი საპროცენტო განაკვეთის სესხები, გაცემული სამუშაოს დამკვეთის მიერ.

## b) დაბეგვრის გავლენა რეაბილიტაციაზე

44. საგადასახადო წესებმა შეიძლება დააბრკოლოს ინვესტორები, მფლობელები და ა.შ. იმ გადაწყვეტილების მიღებისგან, რომლიც სხვა შემთხვევაში შეიძლება მომგებიანი ყოფილიყო საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებაზე ფისკალური რეჟიმის ზეგავლენის შესაფასებლად. სახელმწიფო საგადასახადო დარგის ხელმძღვანელმა ორგანოებმა უნდა გამოიკვლიონ ახალი შენობები სარგებლობს მეტი ფისკალური შეღავათებით თუ ძველი, ანდა თუ არსებობს ფისკალური ნეიტრალიტეტი. ფისკალური ნეიტრალიტეტი ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად უნდა იქნეს მიჩნეული, რათა წახალისდეს ინვესტირება, რომელიც მოიტანს გადასახადებამდელ მომგებიანობას.

საგადასახადო წესებით დეფორმირებული ინვესტიციები არ არის სასარგებლო სახელმწიფო ეკონომიკური რესურსების ეფექტური მართვისა და ეკონომიკური ზრდისათვის. ამ გაგებით ეკონომიკური მართვა მომგებიანობის ტოლფასი ცნებაა, ისე როგორც ეს კომერციული საბუღალტრო აღრიცხვით განიხილება. ფისკალური ნეიტრალიტეტი ითვალისწინებს ძველი შენობებისთვის ინვესტიციების უზრუნველყოფას, რასაც, თავის მხრივ, სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს და, საბოლოოდ, დასაბეგრი მოგების ზრდას იწვევს.

იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო სისტემა ყველა ქვეყანაში განსხვავებულია, საჭიროა მსჯელობის განზოგადება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაისვას შერჩევისა და პრიორიტეტების საკითხი სპეციალურ ფისკალურ ღონისძიებებთან კავშირში.

რამდენადაც საგადასახადო რეფორმის ზოგადი ტენდენცია ეუთო-ს ქვეყნებში საგადასახადო ბაზის გაფართოების საპირისპიროდ საგადასახადო ტარიფების დაწევისა და საგადასახადო კრედიტების გაუქმებისკენ არის მიმართული, დაბეგვრა მომავალში შეიძლება უფრო კომერციული საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპებზე დაფუძნებით წარიმართოს. ეს, თავის მხრივ, გაზრდის ფისკალური პოლიტიკის ეფექტიურობას ეკონომიკური რესურსების მართვის თვალსაზრისით.

## c) საგადასახადო შეღავათები

45. მესინას კოლოკვიუმზე[11] ყურადღება გამახვილდა არქიტექტურული მემკვიდრეობის ობიექტების განსაკუთრებულ ბუნებასა (კერძო და სახელმწიფო ინტერესები) და იმ ფაქტზე, რომ ეს განსაკუთრებული მახასიათებელი სრულიად ამართლებს სპეციალური საგადასახადო შეღავათების არსებობას არქიტექტურული მემკვიდრეობის სფეროში, რაც, სხვა ასპექტებთან ერთად, იმასაც გულისხმობს, რომ ამ დარგის გადასახადებისაგან გათავისუფლება ავსებს სახელმწიფო ხაზინას და არავითარ შემთხვევაში არ აღარიბებს მას. მართალია, თუ ზედაპირულად ვიმსჯელებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ გადასახადებისაგან განთავისუფლება და შეღავათების დაწესება სახელმწიფო შემოსავლის კლებას ნიშნავს, მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ისინი ხელს უწყობს კერძო პირების მიერ კულტურის დარგში მეტი რესურსების ინვესტირებას, რაც, სხვა შემთხვევაში, სახელმწიფოს გასაკეთებელი იქნებოდა. ბუნებრივია, ეს დამოკიდებულება ნაკლებ თვალშისაცემია იმ ქვეყნებში, სადაც კონსერვაცია საზოგადოებრივი ორგანიზაციების პასუხისმგებლობაა და არა სახელმწიფოსი.

ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ გადასახადებისაგან გათავისუფლების პოლიტიკა არქიტექტურული მემკვიდრეობის ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია, განურჩევლად იმისა, შენობები დაცულია კანონით თუ არ არის, მაგრამ აქვს ისტორიული, სოციალური ან კულტურული მნიშვნელობა.

უპირველეს ყოვლისა, საგადასახადო ღონისძიებები, რომლებიც კონსერვაციის მომგებიანად წარმართვაზეა ორიენტირებული, საცხოვრებელი შენობებით არ უნდა შემოიფარგლოს. არ უნდა გამოირიცხოს ის შენობებიც, რომლებსაც აქვს კომერციული ფუნქცია ან რომლებშიც ფირმებია განთავსებული ან რომლებიც საქველმოქმედო სოციალურ-კულტურული მიზნებისთვის გამოიყენება.

საბინაო უზრუნველყოფის დაბეგვრის დარგში მეტი გამჭვირვალობაა საჭირო. მაგალითად, საიჯარო შემოსავლის შეფასება პრაქტიკულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებსაც წამოჭრის. საბინაო უზრუნველყოფის დარგში კერძო ინვესტიციების ფისკალური მომგებიანობა სათანადოდ არ არის შეფასებული. საგადასახადო შეღავათების პოლიტიკა ამას უნდა ითვალისწინებდეს და,

11 ანგარიში და გამოკვლევა № 13. არქიტექტურული მემკვიდრეობის სერიები, ევროპის საბჭო, სტრასბურგი, 1988.

ამავდროულად, სადაც საჭიროა, სისტემის გადაფასებას უნდა განიხილავდეს, როცა ეს არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვას ეხება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო შეღავათების თუ დაბეგვრისგან განთავისუფლების სქემა ეფექტიურია მაშინ, თუ გადამხდელი ან თავად სისტემა საბოლოოდ საკმარის შემოსავალს ითვალისწინებს და აანაზღაურებს გადასახადების შემცირებით მიღებულ საშემოსავლო დანაკლისს. მეტიც, შეღავათები თავისთავად გულისხმობს, რომ დანახარჯი გაწეულია, მაშინ როცა საარენდო შემოსავლის დაბეგვრის შეფასების ბაზის შეცვლა ყველა მესაკუთრეზე ახდენს გავლენას. ეს შედარებით არაპირდაპირი გზაა, მაგრამ ადმინისტრაციული თვალსაზრისით ნაკლებ ხარჯიანია და ითვალისიწნებს რესურსების გადაქაჩვას ისტორიული შენობების მესაკუთრეთათვის.

და მაინც, სახლების რეაბილიტაციის დარგში, საჯარო ხელისუფლებამ თავიდან უნდა აიცილოს ორი შეცდომა:

- საგადასახადო შეღავათების პოლიტიკის ნეიტრალიზაცია სავალდებულო გადასახადების წესებით, რომლებიც იმავე ქვეყანაში გამოიყენება, რომელიც ხელს უწყობს სამშენებლო ნაკვეთის შესყიდვას და ახალ მშენებლობებს და, მაგალითად, უშვებს შესყიდვისა თუ სამშენებლო ხარჯების დროში გაჭიმვას;
- არასაკმარისი არჩევითობა საგადასახადო შეღავათების მინიჭებაში, რაც ზედმეტი ინვესტიციების დაბანდების საბაბი ხდება თავისუფალ საბაზრო ზონებში, რომელიც ამ სახის დახმარებას ვერ უზრუნველყოფს (მაგალითად, დიდ ქალაქებში, სადაც ქონებით სპეკულაცია არის გავრცელებული). პირიქით, საგადასახადო შეღავათები უნდა შენარჩუნდეს მანამ, სანამ ინვესტიციები ძალიან მცირე და არამომგებიანია.

46. ყოველმა სახელმწიფომ საგადასახადო ღონისძიებები ქვეყანაში არსებული პირობების შესაბამისად უნდა განახორციელოს, და ისინი განხილული შენობების კატეგორიების მიხედვითაც უნდა განსხვავდებოდეს. გთავაზობთ კონკრეტული ფისკალური სტრატეგიების შესაბამის სამ კატეგორიას:

***i. მცირე მოგების პოტენციის მქონე შენობა, რომელიც ძირითადად კულტურული მიზნებით გამოიყენება***

თუ ამ სახის შენობები კერძო პირებს ეკუთვნის, სასურველია მნიშვნელოვნად შეღავათიანი საგადასახადო სისტემა, რამდენადაც მათი მოვლა-პატრონობა მესაკუთრეს ტვირთად აწვება და ძნელია მათი პირდაპირ თუ ირიბ მოგების წყაროდ გადაქცევა (მაგ., ისტორიული სახლები ან ციხე-დარბაზები, იზოლირებული შენობები, რომელთა კომერციული მიზნით გამოყენება თუ აღდგენა სირთულეებთან არის დაკავშირებული).

***შემოთავაზებული ზომები:***

გადასახადებისაგან სრული განთავისუფლება ან მნიშვნელოვანი შეღავათები: მემკვიდრეობის გადასახადზე, ქონების გადასახადზე, ადგილობრივ გადასახადებზე; ინვესტიციის განთავისფლება საშემოსავლო გადასადისაგან; ჩატარებული სამუშაოს დღგ-სგან გათავისუფლება; სუბსიდირებული სესხები; შეღავათიანი პროგრამა შემოწირულობებისა და სპონსორობისათვის.

***ii. მოგების გარკვეული პოტენციის მქონე ობიექტები, რომელნიც ძირითადად კულტურული მიზნებით გამოიყენება***

ამ სახის შენობების კონსერვაცია შეიძლება წამგებიანი არ იყოს, რამდენადაც ზოგჯერ მათი მომგებიანად გამოყენებაც შეიძლება (მაგ., დიდი ისტორიული სახლები, რომლებიც ღიაა საზოგადოებისათვის).

***შემოთავაზებული ღონისძიებები:***

შეღავათიანი სესხების პროგრამები, რომლებიც შესაძლებელს ხდის გამოყენებისა და მოვლისათვის საჭირო ინვესტიციბს. საგადასახადო შეღავათები, შესაძლოა დროებითი, თუ კულტურული მნიშვნელობის მქონე შენობა ღიაა საზოგადოებისათვის (მემკვიდრეობის გადასახადი, ქონების გადასახადი, ადგილობრივი გადასახადები, საშემოსავლო გადასახადისაგან ინვესტიციების გამოქვითვა, ჩატარებული სამუშაოს დღგ-სგან გათავისუფლება); მეურვეთა და სპონსორთა მიერ შენობათა მეურვეობაში აყვანის ხელშემწყობი ღონისძიებები.

**iii.** ***კულტურული და ისტორიული მნიშვნელობის მქონე ობიექტები, რომლებსაც ძირითადად ეკონომიკური ფუნქცია აქვთ***

ამ სახის შენობების აღდგენა შეიძლება ეკონომიკურად მომგებიან საქმიანობად იქცეს. თუმცა, ხშირად ეს ახალი ფუნქციებით დატვირთვას ითვალისიწინებს. მათი კონსერვაიცა და რესტავრაცია შეიძლება სერიოზულ ხარჯებთან იყოს დაკავშირებული. მომგებიანობა დიდად დამოკიდებულია ადგილმდებარეობაზე.

ამგვარი შენობები შეიძლება წარმოადგენდეს ურბანულ თუ არაურბანულ გარემოში მდებარე არქიტექტურულ კომპლექსებს ან ცალკე მდგარ შენობებს. სხვადასხვა სახის კანონები (ურბანული დაგეგმვა, მემკვიდრეობის დაცვა, საგადასახადო სისტემა) ერთობლივად უნდა მოქმედებდეს, რათა ხელი შეუწყოს სარეაბილიტაციო და გაუმჯობესების საქმიანობის დაწყებას. სახელმწიფო ხელისუფლების როლია კერძო ინიციატივების მხარდაჭერა და საჭიროების შემთხვევაში, მათი არარსებობით გამოწვეული ვაკუუმის შევსება.

***შემოთავაზებული ღონისძიებები:***

კომპლექსები ან ქალაქის უბნები:

- კომერციული ფუნქციის შენობა:
სუბსუდირებული სესხები რესტავრაციისათვის;
დროებითი განთავისუფლება ადგილობრივი გადასახადებისაგან;
მშენებლისა და მყიდველის ინვესტიციების საშემოსავლო გადასახადებისაგან განთავისუფლება (მაგ., საგადასახადო ღონისძიებები, დაკავშირებული „Loi Malraux"-ს გამოყენებასთან დაცულ ტერიტორიებზე საფრანგეთში, რაც იძლევა საშუალებას დასაბეგრი შემოსავლიდან დანაკარგების თავიდან აცილების შენობათა მფლობელებისთვის, ერთობლივი სარესტავრაციო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგად).

- არა-კომერციული გამოყენების ობიექტები (პატარა ქალაქები, გაჩანაგებული უბნები):
სესხები სარესტავრაციო შესყიდვაზე;
დროებითი გათავისუფლება ადგილობრივი გადასახადებისაგან;
საშემოსავლო და კაპიტალური მოგების გადასახადების შემცირება;
დღგ: შესრულებულ სარესტავრაციო სამუშაოზე დღგ-ს შემცირება;
ინვესტიციის გამოქვითვა საშემოსავლო გადასახადის გამოთვლისას
1%-იანი ბეგარა ზოგადად ურბანულ გაუმჯობესებასა და საგანგებოდსარესტავრაციო პროგრამებზე

– ცალკეული შენობები
სესხები რესტავრაციისათვის და დროებითი განთავისუფლება ადგილობრივი გადასახადებისაგან;
მშენებლის/რესტავრატორის და მყიდველისთვის ინვესტიციაზე საშემოსავლო გადასახადების შემცირება;
სამუშაოების დღგ-სგან განთავისფლება;
სპონსორობა - ფონდები - 1% კულტურული ბეგარა;
შესყიდვები ფირმების მიერ, რომლთა ინვესტიციები გამოიქვითება საშემოსავლო გადასახადიდან.

## *C. იურიდიული პიროგები*

### a. საქმიანობის დასაწყებად სახელმწიფო გარანტიების საჭიროება

47. როგორც ზემოთ აღინიშნა, კერძო ინვესტიციების მომრავლებას ხელს უშლის რეაბილიტაციის თანამდევი რისკის საპასუხო გარანტიების ნაკლებობა. პირველი სახის გარანტია არის ფასიანი ქაღალდები, რომელიც აუცილებელი პირობაა უძრავი ქონების დაგირავებით სესხის მიღებისას.

ყველა დამგირავებელ ბანკს აქვს სესხის ლიმიტი, რომელიც ჩვეულებრივ გირაოდ მიჩნეული ქონების საბაზრო ღირებულების 50-80%-ს შეადგენს. ფასს აწესებს მსესხებელი იმ წესების საფუძველზე, რომელნიც ყველა ქვეყანაში განსხვავებულია, რომლის დროსაც გამოიყენება ორი ფაქტორის კომბინაცია: ქონების რეალური ღირებულება (უძრავი ქონების მუდმივი მახასიათებლები) და მისი საწარმოო ღირებულება. კანონმდებლობით ასევე განსაზღვრულია, რომ უძრავი ქონების საკრედიტო ინსტიტუტებმა გირაოს გარდა დამატებითი გარანტიები უნდა ითხოვოს, თუ სესხები ბონების დაზღვევას ითვალისიწნებს.

სადაზღვევო შეთანხმების გამოყენება, რომელიც ზოგჯერ დათქმულია სესხის გაცემისათვის, ფასიანი ქაღალდებით სხვა უზრუნველყოფის მიუხედავადაც კი, გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება მიჩნეულ იქნას ერთადერთ გარანტიად.

48. აუცილებელია სახელმწიფო თუ კერძო გარანტიების სახით გარკვეული საშუალებების შეთავაზება, რის შედეგადაც ხარჯები შეიძლება მთლიანად დაფინანსდეს საკამოდ ერთგვაროვანი პირობებზე. დაფინანსებული ოპერაციები უნდა ითვალისიწნებდეს შესაძლო დადასტურებულ ცვლილებებს შენობის ფუნქციასთან დაკავშირებით (ბიზნესი, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი დატვირთვა). ამიტომ, საჭიროა სახელმწიფო ორგანოებმა ზოგიერთ ქვეყანაში შეცვალონ თავიანთი კანონმდებლობა. მაგ.,

ნიდერლანდებში ადგილობრივი ხელისუფლება უზრუნვბელყოფს სახელმწიფო გარანტიას გირაოს სესხზე, რომლითაც სამუშოას არასუბსიდირებული ნაწილი უნდა დაფინანსდეს.

49. ზოგიერთი იტალიური შემნახველი ბანკი მომხმარებელს თავაზობს „მარტივი კონტრაქტის" სესხებს, რომლებიც არ არის უზრუნველყოფილი გირაოთი, უფრო მცირე თანხებზეა და გამიზნულია ისტორიულ ცენტრებში მდებარე შენობის მეპატრონეთა დახმარებისთვის. თუმცა ეს ნამდვილად კერძო მაგალითია, მისი გამოყენება კი შეზღუდული, სხვა საკრედიტო დაწესებულებებისათვის უპრიანი იქნებოდა ამ მაგალიითის მიბაძვა, რაც მნიშვნელოვნად გააადვილებდა მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და რესტავრაციას.

არსებობს კიდევ სხვა საშუალებები, რომლებსაც გვთვაზობს სეკურიტიზაცია ანუ საბანკო სესხების გასაყიდ ფასიან ქაღალდებად ტრანსფორმირება. ამ მეთოდმა, რომელიც ცოტა ხნის წინ შემოიღეს ევროპაში, შეიძლება შეამციროს ის დაძაბულობა და სირთულეები, რომლებსაც განიცდის საკრედიტო დაწესებულებები (სახელდობრ, გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი). ეს მეთოდი გააადვილებს არა მარტო ღირებულების და პროდუქტიულობის შეფასებას დაფინანსების ყველა ეტაპზე, არამედ მან შეიძლება გაზარდოს ფინანსური ბაზა და, შესაბამისად, გაცემული კრედიტის მოცულობა. ფიქრობენ, რომ ამან ორგანიზაცია-ინვესტორებს შეიძლება შეუქმნას ახალი ინვესტიციებისა და მსესხებელთათვის უფრო საინტერესო სესხების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაშიც, ძალზე საყურადღებოა საგადასახადო ასპექტი.

50. უძრავ ქონებაზე კრედიტებისა და მთავრობის მიერ შეღავათების დაწესების გარდა, ადგილობრივი ხელისუფლების მემკვიდრეობის პროგრამებში მონაწილეობა და მის მიერ პოლიტიკური ვალდებულების აღება ასევე მნიშვნელოვანი გარანტიაა. ადგილობრივი ხელისუფლების მონაწილეობა ერთობლივ სტრუქუტურებში სხვა მხარეებთან ერთად ამ ვალდებულების გამოხატულება იქნება.

## b. პროგრამის მართვის სათანადო სტრუქტურების გამოყენება

**მაგალითები:**

*i. მბრუნავი ფონდები*

51. ევროპის საბჭოს მიერ ადრე ჩატარებულმა სამუშაომ ყურადღება გაამახვილა ექსპერიმენტებზე ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, რომლებსაც ფინანსური რესურსების მოზიდვისა და გამოყენების შედარებით უფრო მოქნილი ორიგინალური სტრუქტურები აქვთ. ამ სტრუქტურების ამოქმედება გულისხმობდა გარკვეულ მხარდაჭერას და, ბევრ შემთხვევაში, ადაპტაციას კანონების მთელი წყებისა (საგადასახადო და სამოქალაქო კანონები, რეგლამენტი ასოციაციების შესახებ, კანონი კომერციის შესახებ, ქალაქგეგმარებისა და მშენებლობის შესახებ დებულებები, დებულება ისტორიულ შენობებზე და ა.შ.). „მბრუნავი ფონდები" ნიდერლანდებში და გაერთიანებულ სამეფოში იმის ნათელი მაგალითია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, რეაბილიტაციის პროგრამის დაწყება კომერციული მოსაზრებებისგან დამოუკიდებლად, სახელმწიფო მხაერდაჭერის გზითაც არის შესაძლებელი.

52. „მბრუნავი ფონდები", როგორც ისინი მოქმედებს ნიდერლანდების ეროვნული სარესტავრაციო ფონდის კონტექსტში, ხელს უწყობს სახელმწიფო რესურსებისა და საგადასახადო შეღავათების მხარდაჭერის პირობებში კერძო ფონდების გამოყენებას. **ძირითადი მახასიათებლები:**

- ფონდს (fund) აქვს ფონდის (foundation) იურიდიული სტატუსი. იგი შექმნილია ნიდერლანდების სამინისტროს მიერ, რომელიც მემკვიდრეობაზეა პასუხისმგებელი, ხოლო მართავს მას ჰოლანდიური მუნიციპალიტეტების სამშენებლო ფონდი (Building Fund for Dutch Municipalities).
- მთავრობასთან ხელშეკრულების შესაბამისად - ამ შემთხვევაში, ძეგლების და ისტორიული ნგებობების კონსერვაციის სამთავრობო სამსახურთან, - სარესტავრაციო სუბსიდიების გადახდა მთლიანად ფონდს ევალება. სხვა სიტყვებით, მოხდა მთავრობის მოვალეობის პრივატიზება. ფინანსურ დახმარებას იგი თავაზობს ასევე მუნიციპალიტეტებსა და პროვინციებს, რის შედეგადაც ძეგლის მესაკუთრეს, რომლის ქონება სხვადასხვა ორგანიზაციების სუბსიდიებით უნდა აღდგეს, საშუალება უჩნდება მიიღოს სუბსიდიები ერთი დაწესებულებიდან.

შემუშავებული დაფინანსების სისტემა აწარმოებს ფულს რესტავრატორისათვის გამიზნული თანხის ნაწილის (თუ ეს უკანასკნელი ექვემდებარება საგადასახადო შეღავათს) დაბალპროცენტიანი სესხის შეცვლით. სუბსიდიის სესხით შეცვლა მნიშვნელოვნად ზრდის რესტავრაციის ფისკალურ თანხას. სხვა სიტყვებით, საგადასახადო შეღავათებისა და ხელსაყრელი იპოთეკური პირობების წყალობით, რესტავრატორი არაფერს კარგავს. მეტიც, ამ სესხების პროცენტითა და მათი დაბრუნებით მიღებული თანხა ახალ რესურსებს ქმნის - ე.წ. „მბრუნავ ფონდებს". შესაბამისად, ფონდი ფართოვდება და პერ-

სპექტივაში მეტი თანხა ჩნდება სარესტავრაციოდ (სახელმწიფო სუბსიდიის ნახევარი - მთელი სამუშაოს დაახლოებით 60%, – მომდინარეობს 3%-იანი სესხიდან).

- ინვესტიცია (მინუს სუბსიდია) დაქვითვას ექვემდებარება, როდესაც საქმე მოვლა-პატრონობის ხარჯებს ეხება.
- გირაოს (იპითეკური სესხი), რომელიც სარესტავრაციო ხარჯების არასუბსიდირებულ ნაწილს ფარავს, ახლავს დაბალი პროცენტი, რომელიც დროის ხანგძლივ მონაკვეთში იფარება (მინიმუმ 10 წელი) და გარანტირებულია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.
- დაზღვევა ზარალზე, რომელსაც საგარანტიო ფონდი გასცემს და რომელიც ფინანსდება საპროცენტო განაკვეთის მაქსიმუმიდან, თუმცა განაკვეთი საგარანტიო სისტემებთან შედარებით მაინც ხელსაყრელია.

53. გაერთიანებულ სამეფოში დაახლოებით 100 ტრასტია, რომლებიც ისტორიულ შენობათა შენარჩუნებას „მბრუნავი ფონდების“ საშუალებით ცდილობს. შენობას შეისყიდიან, აღადგენენ მომგებიანი გამოყენებისათვის და ახალ მოსარგებლეს მიჰყიდიან. მოგება ხელახლა ჩაიდება სხვა ისტორიული შენობის რესტავრაციაში. არქიტექტურული მემკვიდრეობის ფონდი 1976 წელს, ევროპის არქიტექტურული წლის შემდეგ დაარსდა. ეს თვითონ არის თავადაც საქველმოქმედო ფონდი, რომელიც ტრასტებს თავაზობს მოკლევადიან სესხებს, რომლითაც შეისყიდიან და აღადგენენ შენობებს. სესხის მოცულობა დამოკიდებულია შენობის ღირებულებაზე, ასევე არსებობს საერთო ზღვარი. ითვალისწინებენ საკუთარი თანხების არსებობასაც. ამ სახის ზომები ჯერ არ არის ფართოდ გავრცელებული, მაგრამ შესაძლებელია პროცედურის მიღება და ამოქმედება სხვა კონტექსტებში[12].

***ii საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროგრამები (OPAH) ძველ უბნებსა ან სასოფლო არეალებში (საფრანგეთი)***

54. Opération Programée d'Amélioration de l'Habitat (OPAH) —საცხოვრებლის გაუმჯობესების პროგრამა - 1977 წელს დაარსდა საფრანგეთში სამეზობლოს (საცხოვრებელი უბნის) იერის გასაუმჯობესებლად. იგი კომპლექსური პროექტების საშუალებით მოუწოდებს ეკონომიკურ ორგანოებსა და პირებს (მესაკუთრეებს, ვაჭრებსა და ხელოსნებს) მოახდინონ რეინვესტიცია ძველი უბნების აღსადგენად. ადგილობრივი ხელისუფლების თაოსნობასა და ქონების მფლობელთა ნებაყოფლობით მხარდაჭერაძე დაფუძნებული, იგი ყოველწლიურად სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილობრივ საცხოვრელის პოლიტიკაში (მეტ ყურადღებას უთმობს არსებული სახლეიბის როლს და ძველ სამეზობლოებს). სუბსიდიების ნახევარს იგი იღებს ANAH-სგან (Agence Nationale pour d'Amélioration de l'Habitat - საცხოვრებელი სახლების პირობების გაუმჯობესების სახელმწიფო სააგენტო).

ადმინისტრაციული თვალსაზრისით, OPAH წარმოადგენს სამწლიან კონტრაქტს სახელმწიფოს, ANAH-სა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. კონტრაქტი შედგენილია წინასწარული კვლევის საფუძველზე და მიმართულია მკაფიოდ განსაზღვრული სექტორისადმი:

- OPAH-ს ურბანული სააგენტოები მოიცავს არეალებს, რომლებშიც გამოვლინდა პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია საცხოვრებელების ასაკთან, მობინადრეთა ნაკლებობასთან ან არასასურველ უმცირესობათა არსებობასთან.
- სასოფლო OPAH —ები მოიცავს უფრო ფართო არეალებს, დაახლოებით ათიდან ოცამდე ადგილობრივ ადმინისტრაციულ ერთეულს, და მიზნად ისახავს შეებრძოლოს დაუსახლებელი საცხოვრებლის პრობლემას და მოერგოს იჯარით საცხოვრებლის ცალკეულ მოთხოვნებს.

წინასწარული კვლევის საფუძველზე, OPAH კონტრაქტი განსაზღვრავს დასახულ მიზნებს და ხელმომწერთა ვალდებულებებს:

- სახელმწიფო აფინანსებს წინასწარულ კვლევას და მხარდამჭერი და მეთვალყურე გუნდის მუშაობას, რომელიც სამი წლით მკვიდრდება შესაბამის უბანში, რათა კონტაქტი დაამყაროს ყველა მფლობელთან და მაცხოვრებელთან და დააკვირდეს სოციალურ პრობლემებს, რომლებიც აქ შეიძლება წამოიჭრას.
- გამოიყოფა სხვადასხვა სახის დახმარება: საცხოვრებლის შეკეთების პრემიები მფლობელი-მაცხოვრებლისთვის, სესხები სახელმწილფო საცხოვრებლის უწყებებისათვის (HLM), რათა შეისყიდონ და შეაკეთონ ესა თუ ის ობიექტები, სპეციფიკური დახმარება ისეთი მხარდამჭერი საქმიანობისათვის, როგორიცაა მწვანე სივრცეების განვითარება, საფეხმავლო სივრცეების

12 იხ. Reports and Studies, #8, Archhitectural Heritage Series, "Report of the York Colloque", Council of Europe, 1987.

შექმნა და მომსახურების საშუალებების დანერგვა.

- ANA ზრდის გრანტებს მესაკუთრე-მოწათმფლობელებისათვის, თუ ისინი ითხოვენ იჯარას იმ ოდენობით, რომელიც უტოლდება იჯარას სახელმწიფო საცხოვრებელში (HLM) ათი წლის მანძილზე.
- ადგილობრივი ხელისუფლება (ან ხელისუფლებების ჯგუფი) იღებს თავის თავზე მეთვალყურე და მხარდამჭერი ჯგუფის შექმნას სხვადასხვა ზომების მისაღებად, რომლებიც მათი პასუხისმგებლობის სფეროში შედის: წინასწარი გადახდა, რათა გააადვილონ HLM-ის უწყებების საქმიანობა, სარესტავრაციო ნებართვები, დამატებითი დახმარება ნაკლებ შეძლებულ მფლობელებისათვის, ხელოსნობისა და ვაჭრობის მხარდაჭერა, საზოგადოებრივი სივრცეების გაუმჯობესება, ინფორმაცია, საზოგადოების გათვითცნობიერება.

55. ANAH —ს სისტემას არ აქვს პარალელი ევროპაში. იგი შეიქმნა როგორც საკომპენსაციო მექანიზმი 1948 წლის აქტით შემოღებული საიჯარო წესებისა. 1948 წლამდე აშენებული და გაქირავებული საცხოვრებელი სახლების მფლობელები, იხდიან დამატებით გადასახადს TADB-ს, იჯარის 3,5%-ის ოდენობით, გაქირავების იმ ბეგარაზე მეტს, რომელიც სახელმწიფო გადასახადს წარმოადგენს. მეორე TADB, 0,5%-იანი განაკვეთით, შეიქმნა ენერგიის დაზოგვის პოლიტიკის კონტექსტში 1948 – 1975 წლებს შორის აგებული იჯარით გაცემული საცხოვრებლებისათვის.

ამ მოსაკრებლიდან მიღებული შემოსავალი გამოიყენება სუბსიდიების გასაცემად (თანდართული რესურსების მოთხოვნების გარეშე) იმ მფლობელებისათვის, ვინც ნერგავენ კომფორტულ პირობებს და აპირებენ გააგრძელონ საცხოვრებლის გაქირავება კიდევ ათი წლით.

- ANAH-ს წლიური ბიუჯეტის განაწილება, რომელიც ახლა სახელმწიფო სუბსიდიებით საზრდოობს და უკვე აღარ იღებს თანხებს უშუალოდ TADB-დან, შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან:
  - 10% ენერგიის დაზღვევის სამუშაოებისათვის 1948-75 წლებს შორის აშენებული საცხოვრებლისათვის;
  - 40% სუბსიდიები მფლობელებს, რომლებიც საკუთარი ინიციატივით ასრულებენ სამუშაოებს (სხვადასხვა სექტორში);
  - 50% OPAH —ს სისტემის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოებისათვის.

### *iii. ლიზინგის (დაქირავების) სისტემა*

მაგალითი: შემნახველი ბანკის V.E. პროგრამა სიცილიური პროვინციებისათვის (Sicilcassa).

56. ეს სისტემა, რომელსაც შეისწავლის SICILCASS,Aმუშაობს გაყიდვისა და არენდით უკან დაბრუნების პრინციპზე. სარესტავრაციო შენობები გადაეცემა სპეციალიზირებულ კომპანიას, რომელიც მართავს და აფინანსებს ყველა ქმედებას და შემდეგ რეაბილიტირებულ შენობას ძველ მფლობელს მიაქირავებს. ბანკის პროგრამის ფარგლებში ლიზინგურ კომპანიას ასევე შეუძლია გამოსცეს მონაწილეობის სერტიფიკატი, როგორც კერძო ანაბრების პერფორაციის საშუალება. სერტიფიკატის მფლობელი, ამგვარად, ხდება პარტნიორი სარესტავრაციო და ლიზინგის საქმიანობაში და შეუძლია აგრეთვე ეს სერტიფიკატი უკან მიქირავების შეთანხმებისას ქირის გადასახდელად გამოიყენოს.

### *iv . „განახლების იჯარის" პროგრამა*

57. შემდეგ მაგალითს წარმაოდგენს ღონისძიება, რომელიც საფრანგეთის საზოგადოებრივი სამუშაოებისა და საბინაო უზრუნველყოფის სამინისტროსა და საცხოვრებელი სახლების პირობების გაუმჯობესების სახელმწიფო სააგენტოს განხილვის საგანი იყო. მისი მიზანია ბაზარზე გატანა იმ, ცუდ მდგომარეობაში მყოფი სახლებისა, რომლების მესაკუთრეები იქ არ ცხოვრობენ, მაგრამ სურთ შეინარჩუნონ მფლობელობა, თუმცა არ აქვთ საშუალება გაიღონ რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხა. იჯარის ვადა მერყეობს 10-დან 15 წლამდე ორი ძირითადი მიზეზის გამო: სტანდარტულ იჯარაზე სულ მცირე 10 წელია საჭირო მენეჯერის ინვესტიციების დასაბრუნებლად (სესხის ვადა), მაშინ როცა მესაკუთრეები 15 წლიანზე მეტი ვადით ვალდებულების აღებაზე უარს ამბობენ. კანონი № 90-449 (1990 წ-ის 31 მაისი) საცხოვრებელზე უფლების განხორციელების თაობაზე, II თავში აზუსტებს განახლების ქირის კანონიერებას, რომელიც, როგორც მინიმუმ, 12 წლით არის დადებული.

თუმცა, პრინციპში, განახლების ქირა მენეჯერს ან მქირავებელს აძლევს უფლებას, თითქმის უზურფრუქტის მსგავსად, იჯარის საფასურად გამოიყენოს შენობა და ეკისრება ვალდებულება საკუთარი სახსრებით ჩაატაროს სამუშაოები. სამუშაოს დასრულების შემდეგ, მოიჯარე მართავს შენობას საკუთარი მიზნებით, კერძოდ, როგორც იჯარით აღებულ ბინას.

მემკვიდრეობის შემთხვევაში, შენობა განფასდება გარდამავალ ეტაპზე კეთილმოწყობის გარეშე მდგომარეობასა და კეთილმოწყობილ მდგომარეობას შორის, ცვეთის კოეფიციენტის გათვალისწინებით. კონკრეტული შენობის ღირებულება უნდა შეიცვალოს არა მეყსეულად, არამედ თანდათან, დაწყებული შენობის იმ მდგომარეობიდან, როცა იგი არ იყო კეთილმოწყობილი და იმ მდგომარეობამდე, როცა მიიღო საჭირო კეთილმოწყობა, სათანადოდ მოვლილია, თუმცა განიცდის გარკვეულ ცვეთას საქმიანობის დამთავრების მომენტისათვის.

„განახლების ქირის" ამ პროგრამის გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება ყველა სახის მომქმედის (სახელმწიფო საბინაო უზრუნველყოფის დეპარტამენტი, ნახევრად სახელმწიფო კომპანიები, სახელმწიფო გეგმარების დეპარტმანეტი და ა.შ.) საშუალებით, იმ პირობით, რომ ისინი წარმოადგენს შესაბამის გარანტიებს იმისა, რომ საქმიანობა, როგორც თავად რეაბილიტაცია, ისე შემდგომი მენეჯმენტი, სწორად განხორციელდება.

### *V. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა (PPP) ნიდერლანდებში*

58. ნიდერლანდებისათვის დამახასითებელი ამ ტიპის თანამშრომლობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შექმნის ფორმას იღებს, რომელშიც ადგილობრივი ხელისუფლება და კერძო ფირმები იღებენ მონაწილეობას, იზიარებენ რისკს, თუმცა მთავრობამ ასევე შეიძლება შეიმუშაოს „დამცველის" პოლიტიკა, რომელსაც დადებითი შედეგი აქვს. ამ სახის შპს-ებს ხშირად კონკრეტული პროექტები აქვთ, კერძოდ, უბნის რეაბილიტაცია. ჯერჯერობით ამ სახის თანამშრომლობის პრაქტიკულ შედეგებზე არსებული ინფორმაცია მცირეა.

## II. სპეციფიკური ინტერვენციების განვითარება მემკვიდრეობის ამა თუ იმ კატეგორიისათვის

### *A.. მემკვიდრეობის კლასიფიკაცია*

59. თავისუფალი ბაზრის პირობებში კონსერვაციის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებისას შეიძლება ვერ მოხერხდეს ფინანსური ბალანსისა თუ მინიმალური მომგებიანობის უზრუნველყოფა, რაც განსაკუთრებით ორი სახის შენობებთან დაკავშირებით ითქმის:

- დაცული მემკვიდრეობა, რომელსაც გამორჩეულად კულტურული დატვირთვა აქვს (იხ. ცხრილი III, ტიპი 1 და 2);
- არქიტექტუტურული ღირებულების მქონე ძველი შენობები, რომლებიც სუბსიდირებულ საცხოვრებლად გამოიყენება.

კონკრეტული ფინანსური სტრატეგიები, მოქმედი თუ შესამუშავებული, რესურსების მობილიზიბის ხელშემშლელი მიზეზების გასბათილებლად უნდა იყოს მიმართული.

### *B. სახელმწიფო დაკვეთებისა და სუბსიდიების მნიშვნელობა*

60. სახელმწიფო დაწესებულების ბიუჯეტებზე მოდის უმეტესი დატვირთვა ოფიციალური სახელმწიფო ადმინისტრაციული შენობების, მემორიალური ძეგლებისა და კულტურული თუ რელიგიური შენობების კონსერვაციისა, რომელთა წილი ადგილობრივ კოლექტიურ მეხსიერებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მდგრადი და მზარდი საზელმწიფო დაკვეთა უზრუნველყოფს, რომ ეს მემკვიდრეობა უმაღლესი სტანდარტებით იყოს მოვლილი და დაცული. თუ მემკვიდრეობა ოფიციალურად არის დაცული და ამავე დროს, კერძო საკუთრებაშია, აუცილებელია დიდი გრანტების გამოყოფა. კანონით დასაცავი არქიტექტურის კატეგორიების რიცხვის ზრდა (მათ შორის ინდუსტრიული მემკვიდრეობა და XX ს-ის არქიტექტურა) ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება, რომელიც დაცვაზე აგებს პასუხს, უკეთ უნდა გაერკვეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფინანსურ შედეგებში. ევროსაბჭოს მიერ დაწყებულმა საქმიანობამ მემკვიდრეობის ახალ ტიპებთან დაკავშირებით შესაძლებელი უნდა გახადოს ევროპული თანამშრომლობა დაცვის კრიტერიუმების მიღებასთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი გარდუვალი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები.

61. დაცვის ყველა ევროპული სისტემა ითვალისწინებს გრანტებს მოვლა-პატრონობასა და სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, როგორც ერთგვარ კომპენსაციას იმ შეზღუდვებისა და მოთხოვნებისათვის, რომლებიც დაცულ მემკვიდრეობას მიმართ არსებობს. ამ სახის გრანტებით ფინანსდება სამუშაოს ღირებულების 15%-50%. მაღალი ხარისხს დაცვის შემთხვევაში შესაძლებელია 50%-ზე მეტი დაფინანსებაც, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში — ხარჯების მთლიანი ანაზღაურება. ეს ხელს უწყობს დამატებითი კერძო ინვესტიციების მოზიდვას. დაცვის სფეროში შერჩევითობას უნდა ემატებოდეს საგრანტო სისტემის კონსოლიდაცია.

## *C. რეაბილიტაციის მხარდაჭერა სოციალური საბინაო უზრუნველყოფის მიზნით*

62. კულტურული ღირებულების მქონე საზოგადოებრივი საცხოვრებლები სპეციალური საგრანტო სისტემის არსებობას მოითხოვს არა მარტო დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, არამედ საბინაო პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისითაც. ვინაიდან ამ სახის პროგრამები უემეტესად ნოვატორული ხასიათისაა და დაზიანებული ურბანული უბნების განახლების სტიმულირებას ახდენს, ზემოაღნიშნული დამატებითი ეკონომიკური ეფექტების გათვალისიწნებით, გამართლებული იქნება საზოგადოებრივი ბინათმოწყობისთვის განკუთვნილი ოფიციალური სუბსიდიების ახალი მშენებლობების ნაცვლად რეაბილიტაციისთვის გამოყენება.

ევროპის რამდენიმე ქვეყანაში განვითარებას იწყებს არქიტექტურული ღირებულების მქონე საცხოვრებლის განახლების პროგრამების მეტ-ნაკლებად ნებაყოფლობითი პოლიტიკა, რომლის მხარდაჭერა პრიორიტეტული უნდა გახდეს.

### **რენოვაციის მექანიზმების მაგალითები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში:**

63. გაერთიანებულ სამეფოში სახელმწიფო საცხოვრებლის სექტორში სახელმწიფო დაფინანსება 1970 წლიდან გახდა ხელმისაწვდომი. მშენებლობისა და რეაბილიტაციის შეფარდებაა დაახლოებით 50/50. დახმარება გადის საქველმოქმედო ორგანიზაციების საშუალებით, რომლებსაც საცხოვრებლის ასოციაციებს უწოდებენ და რომლებიც უზრუნველყოფენ და განკარგავენ გაქირავებულ ბინებს ღარიბი ოჯახებისათვის ისევე, როგორც ამას ადგილობრივი ხელისუფლება მრავალი წლის მანძილზე აკეთებდა.

მთავრობა ცდილობს საცხოვრებლის დაფინანსების ახალი პროგრამების შემოღებას, რათა სუბსიდიები გამიზნული იყოს სოციალური ბინათმოწყობისათვის ყველაზე ღარიბი ოჯახებისთვის. არსებობს ამის რამდენიმე მეთოდი. ერთი მხრივ, ადგილობრივი ხელისუფლების კუთვნილი საცხოვრებლის მობინადრეებს აქვთ უფლება, შეისყიდონ თავისი ქონება საბაზრო ფასზე იაფად. ამ მობინადრე-მყიდველებს აქვთ საკუთარი სახლის მდგომარეობის გაუმჯობესების პირდაპირი ინტერესი. ეს წარმოშობს ახალ შესაძლებლობებს რეაბილიტაციისთვის, თუმცა თანადროულად არსებობს არასათანადო შეკეთებების რისკიც. მეორე მხრივ, საცხოვრებლის ასოციაციები ჯერაც საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მთავარი მფლობელებია. მათი ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან სულ უფრო იზრდება, თუმცა გარკვეული ცვლილებებია დაფინანსების სისტემებში. მომავალში პროგრამები ნაწილობრივ მაინც კერძო სექტორის მიერ უნდა დაფინანსდეს შემდეგი შეფარდებით: 75% სახელმწიფო ფული და 25% - კერძო. არჩევანი ახალ მშენებლობასა და რეაბილიტაციას შორის თავიდან კეთდება საცხოვრებლის ასოციაციების მიერ, რომლებმაც უნდა დაასაბუთოს თავისი ხარჯები სახელმწიფო უწყებების მიერ შემუშავებული სამოქმედო პრინციპებთან მიმართებით. ყოველი პროგრამა ფასდება მისი ღირსებების მიხედვით, მაგრამ, ერთხელ დადგენილი საცხოვრებლის სუბსიდია ვერ გაიზრდება, რაც შეიძლება რეაბილიტაციისთვის არასასარგებლო გამოდგეს. საცხოვრებლის ასოციაციებს ჯერაც შეუძლია სუბსიდიის ოდენობის გაზრდა დამატებითი გრანტის მოპოვებით ისტორიული ნაგებობისათვის, თუკი ეს ნაგებობა მისაღებია. თუმცა არსებობს რისკი, რომ რეაბილიტაცია კერძო მენაშენეებს ნაკლებ მიმზიდველი მოეჩვენებათ გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო გაზრდილი ხარჯების შიშით.

საფრანგეთში სოციალური ბინათმოწყობის უწყებები თავიდან ახალი მშენებლობების გათვალისწინებით შეიქმნა. თუმც მოგვიანებით, მათ გაუჩნდათ რეაბილიტაციის მოთხობნილება (ენერგეტიკული კრიზისი, სეგრეგაციის შედეგები, და უფრო შეძლებული ოჯახების სხვაგან გადასახლებით გამოწვეული თანდათანობითი ნგრევა). სამოქმედო მეთოდებმა, რომლებიც გამოიყენებოდა ექსპერიმენტულად „საზოგადოებრივი ბინათმოწყობისა“ და „საზოგადოებრივი ცხოვრების“ (HVS) პროგრამებში, ხოლო მოგვიანებით, უფრო ფართოდ, სამეზობლოს სოციალური განვითარების ეროვნული კომისიის მიერ (DSQ, რომელიც მოიცავს 23 სამეზობლოს საფრანგეთში), გამოავლინა, რომ ნაგებობათა ჯგუფების ფიზიკური ცვეთა არის მიზეზი და არა შედეგი მათი მობინადრეების მარგინალიზაციისა. გამოწვლილვითი ტექნიკური და სოციალური ანალიზის საფუძველზე დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელსაც აფინანსებდა PALULOS—ის (პრემია ნაქირავები და საზოგადოებრივი საცხოვრებლის გაუმჯობესებისათვის) სახელით ცნობილი სპეციალური პროგრამა. სახელმწიფო სუბსიდია გამო-

ყოფილია სამუშაოებისათვის ნაგებობის მინიმალურ საცხოვრებელ სტანდარტებამდე მისაყვანად ანდა 1967 წლის 31 დეკემბრამდე აშენებულ ნაგებობებში საცხოვრებლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ეს სუბსიდია ეძლევა იმ მობინადრეებს, რომლებიც ელიან სარგებელს "პერსონიფიცირებული საცხოვრისის დახმარებიდან" (APL).

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაბალფასიანი საცხოვრებლის პროგრამა მომდინარეობს „საცხოვრებლის მხარდაჭერის მე-2 აქტიდან (გამოქვეყნებულია 1985 წლის 11 ივლისს), რომლის განხორციელება „Länder"-ის მოვალეობაა. ამ მიმართებით, ბავარიამ, მაგალითად, ჩამოაყალიბა სამოქმედო პრინციპები იმის თაობაზე, რომ სხვა მხრივ თანაბარ პირობებში ძველი ნაგებობების შეკეთებას მეტი უპირატესობა მიეცემა, ვიდრე ახალ მშენებლობას,. აღიარებული არქიტექტურული და ქალაქმშენებლობითი სტანდარტებიდან გამონაკლისი დაიშვება, თუ სათანადო დასაბუთება იქნება წარმოდგენილი დაცვის გასათვალისიწნებლად. სუბსიდიების ოდენობა ერთი და იგივეა რეაბილიტაციისა და ახალმშენებლობისათვის, მაგრამ სარეაბილიტაციო პროექტებისათვის სუბსიდიები, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ასევე მიღებულ იქნეს ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობის ფონდიდან.

ბავარიაში, ასევე, „Land"-ი გასცემს სუბსიდიებს იმ საცხოვრებლის მოდერნოზაციისათვის, რომელნიც ღარიბ მფლობელებს ეკუთვნის. განსაკუთრებით პრიორიტეტულადაა მიჩნეულია ისტორიულ ნაგებობებში მყოფი საცხოვრებლის მოდერნიზაცია.

## *D. მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები ან გადასახადებისგან განთავისუფლება*

64. არქიტექტურული ღირებულების მქონე სახელმწიფო საცხოვრებლის რეაბილიტაციასთან მიმართებაში მხარი უნდა დაეჭიროს შემდეგ პროცედურებს: ინვესტიციის გამოქვითვა საშემოსავლო გადასახადის შეფასებიდან, დროებითი განთავისფლება ადგილობრივი გადასახადებისგან, შესრულებულ სამუშაოევზე დღგ-ს შემცირება, როგორც მთლიანად განვითარების საქმიანობის ნაწილი.

რაც შეეხება კერძო მფლობელობაში მყოფ, კულტურული ფუნქციის მქონე დაცულ ისტორიულ ნაგებობებს, კანონმდებლობამ მხედველობაში უნდა მიიღოს მოვლა-პატრონობისა და რესტავრაციის ხარჯების მძიმე ტვირთი და უზრუნველყოს, რომ ეს დებეტური ვითარება გამოყენებულ იქნეს ყველა შესაბამისი გადასახადების განსასაზღვრად.

### a) ფისკალური ქმედებების მიმოხილვა ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში

65. თუმცა დაბეგვრა ჯერაც ყველაზე რთულ სფეროდ რჩება, მაინც შესაძლებელია, გადასახადების სხვადასხვა კატეგიროების განხილვისას, გამოირჩეს რამდენიმე მაგალითი ევროპული ქვეყნებიდან. მართლაც, რაიმე საერთო ტენდენციის დადგენა ამ სფეროში საკმაოდ ძნელია. თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ხანგძლივი კამათის შემდეგ მნიშვნელოვანი სიახლეები იყო შემოტანილი, მაგალითად, სამემკვიდრეო გადასახადის სფეროში, ბევრ სხვა შემთხვევაში კონსერვაციის მოთხოვნები და მისი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ღირებულებები ნაკლებად ზემოქმედებს დაბეგვრაზე.

#### *i. საშემოსავლო გადასახადი*

66. საფრანგეთში როგორც სისტემატიზებული, ასევე ნუსხაში შეტანილი ნაგებობები ექვემდებარება ერთსადაიმავე საგადასახადო შეღავათებს: ყველა სახის სამუშაოთა ხარჯები, გაღებული მფლობელის მიერ, ახლა მთლიანად გამოიქვითება მისი დასაბეგრი შემოსავლიდან (1988 წლის 10 თებერვლის განკარგულება) და მრავალი სხვა ხარჯიც მთლიანად გამოიქვითება იმ შემთხვევაში, თუ შენობა ღიაა საზოგადოებისათვის (სხვამხრივ მხოლოდ 50% იქვითება). თუ შენობა კლასიფიცირებულია, როგორც ისტორიული ძეგლი და შეტანილია საგანგებო ნუსხაში, ანდა სპეციალური შეთანხმების საგანი გახდა ეკონომიკურ საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებთან, ან გადასახადების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან, მფლობელს ეძლევა უფლება, უპირველეს ყოვლისა, გამოქვითოს შემოსავლიდან თავისი მიწის დავალიანება და, მეორეც, ყველა სახის დანაკარგის კომპენსირება, რაც მის ქონებასთან დაკავშირებით მოხდა, მისი მთლიანი შემოსავლიდან გამოყოფით.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ვითარება სხვაობს შემოსავლის ტიპის შესაბამისად. თუ შენობის გამოყენება იწვევს დაბეგვრას სასოფლო-სამეურნეო მოგებისა, ინდუსტრიისა და კომერციისა, არაკომერციული მოგებისა ან უძრავი ქონების შემოსავლისა, ძირითადი აღდგენითი სამუშაოები შესაძლოა გამოქვითულ იქნას დასაბეგრი შემოსავლიდან ათი წლის განმავლობაში. მოვლა-პატრონობის ხარჯების დაქვითვა შესაძლებელია გაკეთდეს ისე, როგორც გადასახადის გადამხდელისთვისაა ხელსაყრელი. მეტიც, 1987 წლის მერე, ყველა მფლობელის მიერ დასახლებული ბინა განიხილება როგორც „კერძო საკუთრება", რომელიც არ ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადს. ამჟამად გამოიყენება ტრადიციული პროგრამა და ფედერალური მთავრობა აპირებს ახალი კანომდებლობის შემოტანას 1998 წლის 31 დეკემბრამდე მფლობელის მიერ დასახლებული ისტორიული ნაგებობის ხარჯებზე გადასახადების შემსუბუქების თაობაზე.

ნიდერლანდებში, მოვლა-პატრონობის ხარჯების და, შესაბამისად, რესტავრაციის ხარჯების დიდი წილი პრინციპში ექვემდებარება გამოქვითვას როგორც საშემოსავლო, ასევე კორპორაციული გადასახადიდან. 1985 წლიდან მოყოლებული დაინტერესებულ პირებს ამ შეღავათის დონიდ თაობაზე ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ ფინანსურ მომსახურების განყოფლილებას (Revenue Service Bureau). ამ განყოფლიების გადაწყვეტილებებს ექვემდებარება ყველა შიდა შემოსავალი ნიდერლანდში. ფისკალური შეღავათები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ძეგლების რესტავრაციაში, ვინაიდან საშუალებას აძლევს მფლობელებს, აინაზღაურონ თავისი ხარჯების ნაწილი საგადასახადო შეღავათების მეშვეობით. ამასთან, სახელმწიფო სუბსიდიების დონე დაკავშირებულია იმასთან, გააჩნია თუ არა განაცხადის შემომტანს საგადასახო შეღავათების უფლება.

ნორვეგიული კანონმდებლობა უშვებს საგადასახადო შეღავათებს ყველა სახის ბიზნესისთვის გამოყენებული ნაგებობების საოპერაციო ხარჯებისათვის. იგივე ეხება დაცულ ნაგებობებს. საოპერაციო ხარჯები მოიცავს მოვლა-პატრონობის ხარჯებსაც, თუმცა განათების, სადაზღვევო და ადგილობრივი გადასახადები და სხვ. ასევე ექვემდებარება გამოქვითვას. მეორე მხრივ, გაუმჯობესებასა, გაფართოებასა ან თავიდან აშენებაში ჩადებული თანხები არ ექვემდებარება გამოქვითვას, როგორც ოპერატიული ხარჯები.

ესპანეთის ისტორიული მემკვიდრეობის № 16/1985 აქტის თანახმად შემოღებულია 15%-იანი შემცირება იმ თანხისა, რომელიც ინვესტირებულია „კულტურულ ღირებულების ობიექტად“ გამოცხადებულ შენობათა კონსრევაციაში, რესტავრაციასა ან შესყიდვაში. ესპანეთში ამ კლაისფიკაციას იმსახურებს ძალიან მცირე რაოდენობის ნაგებობები — არა უმეტეს 10 000-სა. გაერთიანებულ სამეფოში კერძო პირებისათვის არ არსებობს საგადასახდო შეღავათი საშემოსავლო გადასახდთან მიმართებაში (თუმცა, გადასახადებისგან განთავისუფლება შესაძლებელია დაშვებულ იქნეს კაპიტალური თანხებისთვის, რომლებიც საჭიროა ობიექტის შეკეთებასა და მოვლისათვის და საზოგადოებისათვის მის გასახსნელად, იმ პირობით, რომ ეს თანხები ჩაიდება აპრობირებულ მოვლა-პატრონობის ფონდში, რომელიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნას რაიმე სხვა მიზნით). მაგრამ ყველა სახის ბიზნესმა, რომელიც იყენებს სათავოსობეს თავის საქმიანობისათვის, შეუძლია მოითხოვოს შეკეთებისა და მოვლის თანხების, როგორც ბიზნესის ხარჯების, გადასახადებისაგან განთავისფლება.

### *ii სიმდიდრის გადასახადი*

67 სიმდიდრის გადასახადი ყველა ქვეყანაში როდი არსებობს, და სადაც არსებობს, ძალიან განსხვავებული ფორმა აქვს. საფრანგეთში, მაგალითად, 1989 წლის ფინანსურმა აქტმა შემოიღო „სოლიდარული გადასახადი სიმდიდრეზე“ (დაბეგვრის ზღვარია 4,000,000 ფრანკი).

მიწის საკუთრება გერმანიაში იბეგრება შეფასების ღირებულების საფუძველზე (გადასახადის საფუძველი არის ყოველი ქონების დასაბეგრი ღირებულების 140%), რომელიც 1964 წლის 1 იანვარს იქნა მიღებული და რაც ნიშნავს, რომ ასეთი ღირებულებები შედარებით ნაკლებად არის შეფასებული. ძეგლის შემთხვევაში, საგადასახო დეპარტამენტის ინსტრუქცია ითვალისიწნებს მისი დასაბეგრი ღირებულების 5%-ით შემცირებას. ეს შემცირება შესაძლოა იყოს 10%, თუ გადასახადის გადამხდელს შეუძლია დაამტკიცოს, რომ გაყიდვის შემთხვევაში ისტორიული ძეგლის სტატუსი გამოიწვევს ამ ქონების გასაყიდი ფასის დაწევას მისი ნაკლები გამოყენებადობის გამო. თუ ძეგლი საზოგადოდ არამომგებიანია, მაშინ ქონებაზე გადასახადის ოდენობა გამოითვლება მისი დასაბეგრი ღირებულების 40%-ის საფუძველზე, თუ მისი კულტურული, ისტორიული ან სამეცნიერო თვისებები იმსახურებს კონსერვაციას საზოგადოებრივი ინტერესებისათვის. მეტიც, გადასახადებისგან სრული განთავისუფლება ნებადართულია, როდესაც ძეგლი გამოიყენება კვლევისათვის ან მოზრდილთა განათელბისათვის, ჩართულია ისტორიული მემკვიდრეობის კონსერვაციის წარმმართავ მიმდინარე ღონისძიებებში, ან ბოლო ოცი წლის მანძილზე მაინც ერთი და იმავე ოჯახის მფლობელობაშია. ვალები, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ ეკონომიკური შედეგები ძეგლისათვის, შეიძლება გამოქვითული იქნეს დასაბეგრი საფუძველიდან მაშინაც კი, თუ ნებადართულია გადასახადებისაგან სრული ან ნაწილობრივი განთავისუფლება.

ესპანეთში, № 16/1985 აქტის მიხედვით ყველა ნაგებობა, რომელიც მიჩნეულია „კულტურული ინტერესის ობიექტად“, თავისუფლდება ყველა გადასახადისაგან.

იტალიას, ირლანდიასა და გაერთიანებულ სამეფოს ამ სახის გადასახადი არ გააჩნიათ. ავსტრიაში არსებობს ასეთი გადასახადი, მაგრამ იგი ისტორიული ნაგებობების განთავისუფლებას არ ითვალისიწნებს. ეს სისტემა ასევე გამოიყენება ნიდერლანდებში, სადაც ხელსაყრელი ზომები იქნა შემოღებული საზოგადოებისათვის გახსნილ ისტორიულ ნაგებობებთან მიმართებაში.

### *iii ადგილობრივი გადასახადები*

68. ადგილობრივი გადასახაებს უხდიან ადგილობრივ ხელისუფლებას, მიწის ან საბინაო გადასახდის სახით. საფრანგეთში ამგვარი დაბეგვრისაგან ისტორიული ნაგებობების განთავისფლების რაიმე პროგრამა არ არსებობს. ესპანეთში, № 16/1985 აქტის თანახმად ისტორიული და მხატვრული ძეგლები, რომელიც მიჩნეულია „კულტურული ინტერესის ობიექტად“, თავისუფლდება ურბანული (მიწის) გა-

დასახადისგან. გერმანიაში საგადასახადო განაკვეთი დგინდება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. როცა ძეგლი ძირითადში „წამგებიანია“, ადგილობრივი ხელისუფლება ათავისუფლებს მფლობელს მისი მოთხოვნის საფუძველზე საგადასახადო განაკვეთის გადახდისაგან. გაერთიანებულ სამეფოში, ქვეყნის საშინაო განაკვეთები ქონებაზე გაუქმებულია მობინადრეთა თითოეულ წევრეზე საერთო ერთიანი გადასახადის სასარგებლოდ. რაც შეეხება ბიზნესის განაკვეთებს, შეღავათის ერთადერთი შესაძლებელი ფორმა არის განთავისუფლება ან გამოქვითვა, როდესაც აღნუსხული ისტორიული ნაგებობა ცარიელია.

### *IV კაპიტალის მოძრაობის, მემკვიდრეობისა და ნაჩუქრობის გადასახადი*

69. 1988 წლის 5 იანვრის საფრანგეთის კანონი ისტორიული ნაგებობების თაობაზე ითვალისწინებს განთავისფლებას კაპიტალის მოძრაობის გადასახადისგან, ნებაყოფლობით ნაჩუქრობაზე, ისტორიული ძეგლის მემკვიდრეობით მიღებისა ან შეწირულობის შემთხვევებში, თუკი მფლობელი სახელმწიფოსთან დადებს უვადო შეთანხმებას. შეთანხმება უნდა უზრუნველყოფდეს იმას, რომ ხსენებული ძეგლი ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისათვის და უნდა აკონკრეტებდეს მისი მოვლა-პატრონობის პირობებს. მასში ასევე ჩამოყალიბებულ უნდა იქნეს საზოგადოებისადმი ძეგლის წარდგენის პირობები და აღნიშნული იყოს მასში არსებული და დაბეგვრისაგან განთავისუფლებული მოძრავი ობიექტები, მათი დაცვისა და მოვლა-პატრონობის გარანტიების მითითებით. თუ ეს პირობები არ სრულდება, მაშინ კაპიტალის მოძრაობის გადასახადი აუცილებლად უნდა იქნეს გადახდილი. ამ ღონისძიებათა მიზანია ხელი შეუშალოს კერძო ქონების დანაწევრებას, რაც ხშირად ხდება მფლობელობის გადაცემისას და ასევე ხშირად იწვევს ძეგლის მოვლა-პატრონობის უგულელყოფას, მის მიტოვებას ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მის შესყიდვას, რაც ზრდის სახელმწიფო ხარჯებს კულტურულ მემკვიდრეობაზე. შეთანხმების პირობები ასევე ისახავს მიზნად არ დაუშვას იმ მოძრავი ობიექტების გაბნევა, რომლებიც ამ ძეგლების არსებით თავისებურებას წარმოადგენს და იზიდავს მნახველთა ინტერესს.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ნაჩუქრობისა და მემკვიდრეობის დაბეგვრისას საგადასახადო საფუძველი იგივეა, რაც სიმდიდრის გადასახადის შემთხვევაში, თუმცა ამ სახის განთავისუფლება ბათილდება, თუ მისი პირობები აღარ იარსებებს მემკვიდრეობის მიღებისა და ნაჩუქრობის აქტის გაფორმებიდან შემდეგი 10 წლის განმავლობაში. ვალები, რომლებსაც ეკონომიკური შედეგები აქვს ძეგლისათვის, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ არის განთავისუფლებული გადასახადებისაგან, ანუ თავისუფალია 60%-მდე, შეიძლება გამოიქვითოს მემკვიდრეობის გადასახადის საფუძველიდან მათი ოდენობის მხოლოდ 40%-მდე. მიუხედავად ამისა, მფლობელს შეუძლია უარი თქვას თავის უფლებაზე გადასახადისგან განთავისუფლებისა, და ამ შემთხვევაში მას შეუძლია გამოქვითოს ყველა ვალი მემკვიდრეობის და ნაჩუქრობის გადასახადების საფუძველიდან, მათ შორის ძეგლის მოვლის ხარჯებიდან გამოთვლილი.

ესპანეთში კაპიტალის მოძრაობის ან მემკვიდრეობის გადასახადებისგანჩგანთავისფლების არანაირი სახეობა ან შეღავათი არ არსებობს. ამ კანონით, 15% შეიძლება გამოქვითულ იქნას საჩუქრის შეფასებული ღირებულებიდან „სუფთა და მარტივი მიძღვნის“ შემთხვევაში, რომელიც მოიცავს ესპანეთის ისტორიული მემკვიდრეობის შემადგნელ ობიექტებს და იმის გათვალისიწნებით, რომ ამგვარი შეწირულობა ეძღვნება სახელმწიფოს ან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, როგორიცაა ინსტიტუციები, ფონდები ან ასოციაციები, რომლებსაც ჰუმანიტარული ან საქველმოქმედო სტატუსი აქვთ. აქტი № 16/1985 და მისი განმახორციელებელი წესების პარაგრაფი 65 ასევე აცხადებს, რომ მემკვიდრეობის გადასახადი, ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი შეიძლება გადახდილ იქნეს მოძრავი ობიექტებით, რომლებიც მიჩნეულია „კულტურული ღირებულების მქონედ“, რომლებიც, რეალურად, ძალიან მცირე რაოდენობისაა, ანდა საერთო რეესტრში შეტანილი ობიექტებით, რომლებიც გაცილებით მრავალრიცხოვანია.

გაერთიანებულ სამეფოში, გამორჩეული ისტორიული ნაგებობების შეზღუდული კატეგორია პირობითად განთავისუფლებულია კაპიტალის მოძრაობის გადასახადისგან, კაპიტალის შემოსავლების გადასახადისგან და მემკვიდრეობის გადასახადისგან, რაც ნიშნავს, რომ იგი შეიძლება გადაეცეს ახალ მფლობელს ღირებულების გადასახადის შემოღების გარეშე. ქონება, რომელიც მოიცავს სახლსა და იმ მიწის ნაკვეთს, რომელიც აყალიბებს მისი ხასიათის არსებით ნაწილს., მაგ., საკარმიდამო სახლის ბაღი, სერტიფიცირებული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ „ინგლისის მემკვიდრეობის“ რჩევის საფუძველზე. განთავისუფლების პირობები მდგომარეობს იმაში, რომ მფლობელი იღებს თავის თავზე ამ ქონების მოვლასა და შენახვას. იგი უნდა გახსნილი იყოს საზოგადოებისათვის დათქმული დროით და თუ იგი გაიყიდება, განურჩევლად რომელ ეტაპზე, გადასახადი უნდა გადახდილ იქნეს, იმ შემთხვევის გამოკლებით, როცა იგი მიყიდეს აღიარებულ ორგანიზაციას, რომელიც შეინახავს მას ეროვნული ინტერესებისათვის. ეს შეღავათები აგრეთვე მოქმედებს ხელოვნების ნიმუშების ან კოლექციების მიმართ, ასე რომ, იგი გამოიყენება, რათა სახლი შენარჩუნდეს თავისივე გარემოში, მასში დაცულ ხელოვნების ნაწარმეოებებთანა და გამართულობებთან ერთად.

იტალიისა და ირლანდიის კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს სრულ განთავისფლებას კაპიტალური ტრანსფერის და მემკვიდრეობის გადასახადებისაგან იმ ისტორიული ნაგებობებისა, რომლებიც კარგადაა მოვლილი და ღიაა საზოგადოებისათვის დროის დათქმულ მონაკვეთში. ნიდერლანდში გადასახადებისაგან განთავისუფლების პროგრამა ისევე მოქმედებს, როგორც სიმდიდრის გადასახადის შემთხვევაში.

### *v. დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ)*

70. კულტურული მემკვიდრეობის სასარგებლოდ დღგ-სგან განთავისუფლების ორიოდე მაგალითი თუა. ესპანეთში, მიუხედავად იმისა, რომ რაიმე სპეციალური მიდგომა რესტავრაციისა ან მოვლა-პატრონობისადმი არ არის, „ნაგებობათა ან მათი საცხოვრებლად გამიზნული ნაწილების რეაბილიტაცია“ იბეგრება დადაბლებული 6 %-იანი განაკვეთით (ნაცვლად 12%-სა). მაგრამ, როგორც ნათლად ჩანს, ეს არ არის გამიზნული კონკრეტულად არქიტექტურული მემკვიდრეობის რეკონსტრუქციის ან რესტავრაციის სასარგებლოდ, არამედ ზოგადად საცხოვრებლის გაუმჯობესების ღონისძიებაა. ნიდერლანდში სოციალური მიზნების მქონე ფონდები (რომელთა საქმიანობა მოიცავს ძეგლების და ისტორიული ნაგებობების შენარჩუნებას) პრინციპში განთავისფლებული არიან დღგ-სგან, ისევე როგორც ბიზნესის გადასახადისგან. გაერთიანებულ სამეფოში არაკომერციულ აღნუსხულ ნაგებობებში შეთანხმებული გადაკეთებები ნული განაკვეთით იბეგრება, თუმცა ეს მხოლოდ უთანაბრებს მათ ახალ არაკომერციულ ნაგებობის მშენებლობას. აღნუსხული ისტორიული ნაგებობების შეკეთება ჯერაც არც ისე უპირატესია, რადგან 15% დღგ-ით იბეგრება.

ბელგიაში, 30 წელზე მეტი ხნის საცხოვრებლის განახლების სამუშაოები იბეგრება 6%-ით (ნაცვლად 19%-ისა).

## b) ძირითადი მხარდასაჭერი სტიმულები

71. როგორც კანონით დაცული შენობებისთვის, ისევე იმ ნაგებობებისთვის, რომლებიც მათი არქიტექტურული ან სოციალური ღირებულების გამო მხოლოდ „აღიარებულია“ საგადასახადო ხელისუფლების მიერ, მინიმალური საგადასახადო წახალისების პროგრამა დღესდღეობით ამგვარ ზოგად მოდელს უნდა მიყვებოდეს:

– საშემოსავლო გადასახადი:

მემკვიდრეობის დაცვის ქვეშ მყოფი შენობის მოვლა-პატრონობისა და რესტავრაციის ყველა ხარჯის გამოქვითვა დასაბეგრი შემოსავლიდან;

–სიმდიდრის გადასახადი:

სრული განთავისფლება ისტორიული ძეგლის მოვლისთვის გაწეული ხარჯების საფუძველზე, როგორც კი ის გახსნილი იქნება საზოგადოებისათვის;

– ადგილობრივი გადასახადები (როგორიცაა მიწის გადასახადი და ტარიფები):

ისტორიული ნაგებობები მნიშვნელოვნად იზიდავს ტურისტებსა და სხვა მნახველებსაც და, აქედან გამომდინარე, ადგილობრივი ან რეგიონალური ეკონომიკის აქტივებს წარმოადგენს. აქედან მოდის ნაწილობრივი ან სრული განთავისუფლება გადასახადებისაგან, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც დასაბეგრი ძეგლი წამგებიანია მფლობელისათვის;

– ქონების გადაცემის გადასახადი:

- სრული განთავისფლება კაპიტალის გადაცემის გადასახადისგან იმ ისტორიული ან მხატვრული ძეგლების შემთხვევაში, რომლებიც მემკვიდრეობით ან ნაჩუქრობით არის მიღებული. ამ კონცესიას სასურველია დაერთოს შეთანხმება სახელმწიფოსა და მფლობელს შორის იმ პირობით, რომ ძეგლის ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისათვის და რომ მოძრავი ძეგლები აუცილებლად ადგილზე დარჩება.
- შესაძლებლობა სამემკვიდრეო გადასახადის გადახდისთვის მოძრავი ძეგლების „ჩუქება“, ხსენებული მოძრავი ობიექტების შენარჩუნების შესაძლებლობით ისტორიულ ნაგებობაში, რომელიც დაცულია სახელმწიფოსა და მლობელს შორის დადებული ხელშეკრულებით.

ამგვარი ზომების მიზანია თავიდან აცილებულ იქნეს ისტორიული ანსამბლების დაქუცმაცება.

– დამატებითი ღირებულების გადასახადი:

დღგ-სგან განთავისფლება სარესტავრაციო და მოვლა-პატრონობის სამუშაოების იმ ობიექტებისათვის, რომლებსაც მოაქვთ მცირე მოგება ან სრულიად არამომგებიანია.

– საერთაშორისო დაბეგვრა:

პრობლემები შეიძლება წარმოიქმნეს მაშინ, როცა სახელმწიფო, სადაც განლაგებულია ძეგლი, არის სხვა, ვიდრე ის, რომელშიც ამ ძეგლის მფლობელი არის გადასახადების გადამხდელი. თუ პირველი სახელმწიფო ითვალისწინებს დაბეგვრის შემსუბუქებას ძეგლისათვის, მფლობელმა უნდა მიიღოს სარგებელი აქედან, განურჩევლად იმისა, არის თუ არა ამ სახელმწიფოს მოქალაქე.

ეს ძირითადად ეხება მემკვიდრეობას და ნაჩუქრობას: ვინაიდან დაბეგვრის ეს სფერო შედარებით

ნაკლებ რეგულირებულია საერთაშორისო შეთანხმებებით, ორმაგი დაბეგვრის რისკი უფრო მეტია, ისევე როგორც დამატებითი დაბეგვრა ერთ სახელმწიფოში ქმნის რისკს მეორე ქვეყანაში მიღებული საგადასახადო შეღავათების გაბათილებისა.

## *E. „მეცენატობისა“ და „სპონსორობის“ ახალი მოდელები*

### a) მემკვიდრეობის „მეცენატობა“ და „სპონსორობა“: ჯერაც ნაკლებგანვითარებული

72. ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების კულტურის მინისტრების V კონფერენციაზე (ლისაბონი, 1987 წ-ის სექტემბერი), მომზადდა მოხსენება ქველმოქმედების ტენდენციებზე ევროპაში[13]. მასში განხილული იყო კომერციული ქველმოქმედების სფეროში ბოლო დროის განვითარება, რომლის ოდენობა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია (იტალიაში 8-10-ჯერ მეტია, მაგალითად, ვიდრე საფრანგეთსა და გაერთიანებულ სამეფოში). VII და VIII ცხრილებში ასახულია ვითარება 23 ევროპულ ქვეყანაში. ზოგიერთ შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს გარკვეული რესურსების გამოყენებას ქველმოქმედებისთვის. ეს ეხება ევროპის არაერთი ქვეყნის შემნახველ ბანკებს (ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია და სხვ.). 1986 წელს ტურინის შემნახველმა ბანკმა, მაგალითად, ხელოვნებასა და კულტურაზე 7.5 მილიონი ECU დახარჯა. ზოგ შემთხვევაში, ფირმებს ევალება გარკვეული თანხების გაღება იმ სახის კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომლებიც მათ თანამშრომლებსა ან იმ არეალს მოუტანს სარგებელს, სადაც ისინი არის განთავსებული (მაგ., საფრანგეთში, მთლიანი ხელფასის 1% ერიცხება ორგანიზაციას „Comités d'Entreprise“).

როგორც ჩანს, ბიზნესის ქველმოქმედება სხვა სექტორებისკენ (სახვითი ხელოვნება, ოპერა, ცეკვა, მუსიკა, გამოფენები და მუზეუმები) უფრო არის მიმართული, ვიდრე არქიტექტურული მემკვიდრეობისადმი. აქედან გამომდინარე, საჭიროა ორი ამოცანის შესრულება.

უპირველეს ყოვლისა, ბიზნესის წარმომადგენლებს უნდა კარგად განემარტოს იმ სარგებლის შესახებ, რაც არქიტექტურული მემკვიდრეობის დაფინანსებას და კულტურული პროექტების განხორციელებას შეიძლება მოჰყვეს (მაგ., ისტორიული შენობის რესტავრაცია, რომელშიც შეიძლება შემდეგ გამოფენები და წარმოდგენები მოეწყოს).

მეორე, უნდა გამოიძებნოს ქველმოქმედების უფრო „პოპულარული“ გზები, რომელშიც წვრილი ფირმები ან კერძო პირების დიდი რაოდენობა ჩაერთვება. საჭიროა საინფორმაციო კამპანიების ჩატარება, რომლებიც ძირითადად კომერციული და სამრეწველო პალატებისა და პროფესიონალური ასოციაციებისკენ იქნება მიმართული.

აქტიური პიროვნებების ჩართვა ხშირად კატალიზატორივით მოქმედებს ამგვარ წამოწყებებზე. ასე, „ფონდი ნეაპოლი 99“ შეიქმნა 1984 წელს კერძო ინიციატივით ორი მიზნის განსახორციელებლად: პირველი, არქიტექტურული და მხატვრული მემკვიდრეობის კონსერვაციისა და გაუმჯობესებისთვის, და მეორე – ქალაქისათვის ახალი სახის შესაქმნელად, რომელიც მის კულტურულ ღირებულებებთან იქნებოდა დაკავშირებული. ფონდი ღებულობს ერთწლიან და მრავალწლიან პროგრამებს, რომლებსაც შეარჩევენ მეცნიერებისა და კულტურის წარმომედგენლები. რესურსები, უპირველეს ყოვლისა, მოდის დამფუძნებლებისა და გულშემატკივართა მცირე ჯგუფისგან. ასოციაციის შექმნით, რომლის საწევრო შენატანმა გაასამმაგა თავდაპირველი დონაციისგან მიღებული მოგება და დაფარა ფონდის სამოქმედო ხარჯები, შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვანი რესურსების დაგროვება ძალიან განსხვავებული წყაროებიდან. ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტებიდან ერთი ყველაზე საინტერესოთაგანის, ალფონსო არაგონელის სატრიუმფო თაღის რესტავრაციისათვის თანხები მოძიებულ იქნა სხვადასხვა ბანკიდან (იტალიის ბანკი, რომის შემნახველი ბანკი, სიენას მონტე დეი პაჩი,.....), ადგილობრივი მშენებლეთა ასოციაციიდან, ISVEIMER-დან და PAVIMENTAL —დან (IRI-ITALSTAT ჯგუფი).

### b) დაინტერესების სტიმულირება

73. ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ საგადასახადო სტიმულები ყოველთვის არ ზემოქმედებს ფირმის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედებისათვის, ვინაიდან სხვა ფაქტორებიც მუშაობენ. მიუხედავად ამისა, დაბეგვრის გავლენის მნიშვნელობა არ უნდა უგულებელყოთ. მიზანშეწონილია შემდეგი სახის პოლიტიკის მხარდაჭერა:

#### *i. კერძო პირებისთვის სასარგებლო ღონისძიებები*

- საშემოსავლო გადასახადები კერძო პირებზე:

კერძო პირებს უნდა ჰქონდეთ უფლება მოითხოვონ საგადასახადო შეღავათები ქველმოქმედების სახით გაღებული თანხის ნაწილზე. პროპორცია სხვაობს სხვადასხვა ბენეფიციარის მიხედვით.

13 "Mécénat en Europe", Jacques de Chalender, Documentation Française –ის გამოცემა, 1987.

**ცხრილი VII**

დაბეგვრის შემსუბუქება კერძო პირთა საშემოსავლო გადასახადზე

| ქვეყანა | გამოხატული პროცენტის სახით | განაკვეთი | გამოხატული როგორც ღირებულება | ოდენობა | შენიშვნები |
|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | დიახ | – | არა | | არალიმიტირებული შემსუბუქება ხარჯებისათვის, რომელიც მოცემულია მუხლში 2.1. (1) |
| ბელგია | არა/ დიახ | 5% | არა/ დიახ | | -/-/ საჩუქარი უნდა იყოს მეტი ვიდრე 1,000 და ნაკლები ვიდრე 10,000,000 ბელგიური ფრანკი |
| კვიპროსი | დიახ | – | დიახ | | ულიმიტო |
| დანია | არა | | დიახ | 1000 Dkr (28 Ecus) | |
| ფინეთი | არა | | არა | | |
| საფრანგეთი | დიახ | 1,5% | არა | | 5%-იანი განაკვეთი ეხება ასოციაციებსა და ფონდ-ებს, „აღიარებულს როგორც საქველმოქმედო“. |
| საბერძნეთი | დიახ | – | არა | | |
| ვატიკანი | | | | | |
| ისლანდია | – | – | არა | | |
| ირლანდია | დიახ | | არა | 100 £ Ir (129 Ecus) | |
| იტალია | არა | დიახ | არა | | შეწირულობის მოცულობა სრულად გამო-ქვითებადია. |
| ლიხტენშტეინი | | | | | |
| ლუქსემბურგი | დიახ | – | დიახ | 10 MLF (23000 Ecus) | |
| მალტა | | | | | |
| ნიდერლანდები | არა | | არა | | |
| ნორვეგია | არა | | არა | | |
| პორტუგალია | დიახ | – | არა | | |
| ესპანეთი | არა | – | არა | | |
| შვედეთი | არა | | არა | | |
| შვეიცარია | დიახ | – | – | | ვითარება განსხვავებულია კანტონების მიხედვით. ზოგ შემთხვევაში, კანტონის გადასახადის 10%. |
| თურქეთი | დიახ | 5% | | | |
| გაერთიანებუ-ლი სამეფო | დიახ | – | დიახ | | შეთანხმების სა-ფუძველზე გაკეთე-ბული საჩუქარი შეიძლება განთა-ვისუფლდეს შეთანხ-მების მხა-რისათვის დასაშ-ვებ უმაღლეს დო-ნეზე. საჩუქრები, გამოქვითული ჯამაგირიდან, 1987 წლის 6 აპრილის შემდეგ, იღებს შემსუბ-უქებას 120 £-მდე წლიურად (126 Ecus) |

(1) წმინდა შემოსავლის 5% ლიმიტის ფარგლებში

(2) შოტლანდიისათვის პასუხებია: დიახ/არა/არა.

**ტაბულა VIII**

**ბიზნესის სპონსორობის დაბეგვრა**

"Mécenat en Europe", Jacques de CHALENDAR, CDCC კვლევა, გამოცემული Documentation Fraçaise-ს მიერ, 1987, გვ. 70

| | **გამოქვითვა ბრუნვიდან** | % | **გამოქვითვა მოგებიდან** | % | **გამოქვითვის ოდენობის ზედა ზღვარი** | **ზედა ზღვარი** | **სხვა კატეგირიაში გადატანის შესაძლებლობა** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | დიახ | ულიმიტო | არა | – | არა | – | არა |
| ბელგია | დიახ/არა/დიახ | ნული/5% | არა | – | არა/დიახ/– | –/10 MFB | არა |
| კვიპროსი | დიახ | ნული | დიახ | ნული | არა | – | არა |
| დანია | არა | – | არა | – | დიახ | 1,000 Dkr (128 ecus) | არა |
| ფინეთი | არა | – | ნული | – | არა | არა | არა |
| საფრანგეთი | დიახ | 0.1-05% | არა | – | არა | არა | არა (იგეგმება) |
| საბერძნეთი | დიახ | – | – | – | არა | – | არა |
| ვატიკანი | | | | | | | არა |
| ისლანდია | დიახ | – | – | – | – | – | |
| ირლანდია | არა | – | არა | – | დიახ | 100-10,000 £ 129-12,900 E | არა |
| იტალია | არა | – | დიახ | ნული | არა | _ | არა |
| ლიხტენშტეინი | | | | | | | |
| ლუქსემბურგი | – | – | – | – | – | _ | – |
| მალტა | | | | | | | |
| ნიდერლანდები | არა | – | დიახ, საჩუქრის შემთვევაში | 6% | ნული | _ | არა |
| ნორვეგია | არა | – | არა | – | არა | | არა |
| პორტუგალია | დიახ | 0.2% (3) | არა | – | არა | _ | არა |
| ესპანეთი | დიახ | 10% | – | | არა | _ | არა |
| შვედეთი | არა | | არა | | არა | _ | არა |
| შვეიცარია* | | | | | | | |
| თურქეთი | დიახ | | ნული | – | არა | _ | არა |
| დიდი ბრიტანეთი | დიახ | 3% (4) | არა | – | არა | _ | არა |

• კანტონთა შორის არის საგულისხმო განსხვავებები. მიმდინარეობს მათი ჰარმონიზაციისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესების მცდელობა.

3. ან წვლილის ღირებულების 50% თუ ის აჭარბებს 2% ბრუნვისა

**მაგალითები**

გაერთიანებულ სამეფოში კერძო პირს შეუძლია ხელშეკრულების საფუძველზე გადასცეს გარკვეული თანხა ოთხი წლის განმავლობაში რეგისტრირებულ საქველმოქმედო ორგანიზაციას. გადასახადი, რომელიც უნდა გადახდილ ყოფილიყო ამ თანხიდან, გამოთხოვნილია ამ საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ისტორიული მემკვიდრეობის მხარდაჭერა ექცევა ზოგადი მიზნის „კულტურული საქმიანობის მხარდაჭერა“ ქვეშ. კერძო პირებს და კორპორაციებს შეუძლია დაქვითონ ყოველგვარი კულტურული შენაწირი 10%-ის ზღვრამდე მათი მთლიანი დასაბეგრი შემოსავლიდან. ინსტიტუციების შეწირულობანი თემისადმი განთავისუფლებულია მემკვიდრეობითი და ნაჩუქრობის გადასახადისაგან, თუ ეს ინსტიტუციები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს ნებაყოფლობით ასოციაციებსა და არა-მომგებიან ფონდებს, ისტორიული მემკვუდრეობის კონსერვაციას უწყობენ ხელს.

საფრანგეთში ქველმოქმედებას კანონიერი აღიარება პირველად 1987 წ-ის 23 ივლისის აქტმა მიანიჭა. ამ აქტის მიხედვით, გადასახადების გადამხდელებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოქვითონ დასაბეგრი შემოსავლის 1,25% იმ საჩუქრებისათვის, რომლებიც საქველმოქმედო ან საზოგადოებრივი ინეტერესების ორგანიზაციებს გადაეცათ და დასაბეგრი შემოსავლის 5% აღიარებული სახელმწიფო ინტერესის მქონე ორგანიზაციებსა ან ფონდებსთვის გაღებული საჩუქრებისათვის. იმავე აქტის მიხედვით, მფლობელებს ეძლევათ ნება გამოქვითონ გადასახადიდან ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ისტორიული ძეგლის ყიდვასა, დაქირავებასა ან მოვლა-პატრონობასთან, იმ შემთხვევაში, თუ ეს ხარჯები ფირმის ინტერესებიდან გამომდინარეობს. ამგვარი ისტორიული რეზიდენციების გამოყენების შესაძლებლობები მოიცავს კლიენტების მიღებას, ვაჭრობის რეკლამირებას, საკონფერენციო და წვრთნის ცენტრების დაარსებას და სხვა მიზნებს. ასეთი საგადასახადო შეღავათების დასამსახურებლად, ეს ისტორიული შენობები აგრეთვე აღნუსხული უნდა იყოს ისტორიული ძეგლების რეესტრში.

***ii. ფირმებისთვის სასარგებლო ღონისძიებები***

- კომპანიის გადასახადები

კომპენსაციის გარეშე გაწეული დანახარჯები (უსასყიდლო საჩუქრები): დასაქვითი თანხის მაქსიმუმი განსხვავდება საჩუქრის ბენეფიციარის შესაბამისად.

დანახარჯი კომპენსაციით: ხელოვნებაზე გაწეული ყველა დანახარჯი აკლდება დასაქვით შემოსავალს, თუ ის პირდაპირ ფირმის სასარგებლოდ არის გაწეული (ყველა დანახარჯი მხატვრული ღირებულების მქონე მემკვიდრეობისა და გარემოს პირობების გაუმჯობესების მიზნით).

- ხელოვნების ნიმუშებზე დახარჯული თანხა, რომელიც გამოიქვითება დასაბეგრი შემოსავლიდან:

ხელოვნების ნაწარმოებებს შეუძლიათ გაამშვენონ და სახელი გაუთქვან მონუმენტურ მემკვიდრეობას: ასეთი ობიექტები არ უნდა იყოს მიჩნეული გამოუსყიდავ ძირითად საშუალებებად, არამედ უნდა გამოიქვითოს გადასახადიდან, თუ კი გამოფენილია საზოგადოებისათვის.

**მაგალითები**

ეს ზომები შემოღებულ იქნა საფრანგეთში 1987 წლის 27 ივლისის აქტით. კომპენსაციის გარეშე გაწეული ხარჯები (უსასყიდლო საჩუქრები) გამოიქვითება კომპანიის გადასახადიდან 0,2-03% -ის დონემდე, ბენეფიციარი ორგანიზაციის ხასიათიდან გამომდინარე. კომპენსაციით გაღებული ხარჯებისათვის (სპონსორობა) იმავე აქტი ავრცელებს ამ დადგენილებას ყველა იმ ხარჯზე, რომელიც წარმოადგენს პირდაპირ სარგებელს ფირმისათვის და გამომდინარეობს ქველმოქმედების, განათლების, მეცნიერების, სოციალური, ჰუმანიტარული, სპორტული, ოჯახთან დაკავშირებული ან კულტურული ბუნების მოვლენების კონტექსტიდან, ან მოვლენებიდან, რომლებიც ეხმარება მხატვრული მემკვიდრეობის გაუმჯობესებას, ბუნებრივი გარემოს დაცვას, ან ფრანგული კულტურის, ენისა და სამეცნიერო ცოდნის გავრცელებას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს აქტი განასხვავებს, ერთი მხრივ, სპონსორობის ხარჯებს (parrainage), რომლებიც წარმოიქმნება ფირმის გაძღოლასთან დაკავშირებით და, მეორე მხრივ, საკუთრივ ქველმოქმედების ან პატრონაჟის (mécenat) ხარჯებს, რომელიც დასაბეგრი მოგებიდანაა გამოქვითვადი.

გაერთიანებულ სამეფოში, მოგების ხარჯები და არა ქველმოქმედებაში ჩადებული კაპიტალური ხარჯები, შეიძლება დაშვებულ იქნას, როგორც ბიზნესის გასავალი და განთავისფლდეს დაბეგვრისგან. ხელშეკრელებითი გადახადები ხელოვნების მხარდამჭერი რეგისტრირებული შენაწირის სახით, უპირისპირდება კორპორაციულ გადასახადს.

***iii** საგადასახადო შეღავათები იმ ფირმებისა თუ უწყებებისათვის, რომლებიც „მეცენატობიდან" იღებენ მოგებას*

- აღრიცხული შენობებისგან მიღებული შემოსავლის განთავისუფლება კომპანიის მოგების გადასახადიდან ან მასზე შეღავათების დაწესება
- შეღავათიანი სახელფასო ფონდის გადასახადი
- დღგ-სგან გათავისუფლება ან დაბალი ტარიფის დაწესება
- განთავისფლება გადაცემის, ნაჩუქრობისა ან მოთხოვნასთან მიმართებაში.

**მაგალითები**

ბრიტანული კანონმდებლობა ითვალისწინებს კომპანიის გადასახადის შემსუბუქებას აღნუსხული შენობებიდან მიღებულ შემოსავალთან მიმართებით. რეგისტრირებული შენაწირი განთავიუფლებულია დღგ-დან მის საქველმოქმედო მუშაობასთან დაკავშირებით, მაგრამ არა ვაჭრობისა ან სხვა ბიზნეს ინტერესებთან დაკავშირებით.

საფრანგეთში ფონდებს მინიჭებული აქვს შეღავათის უფლება 100,000 ფრანგული ფრანკი ოდენობით კომპანიის გადასახადზე, რომლებიც მათ დამფუძნებელ ფირმებს ეხება 24% განაკვეთი მათი მონეტარული შემოსავლიდან და ასოციაციები იღებს შეღავათს სახელფასო გადასახადისაგან. საზოგადოებრივი ინსტიტუციები ან საზოგადოებრივი ინეტერესთა ჯგუფები, რომელთა რესურსები ექსკლიუზიურად გამიზნულია საქველმოქმედო ბუნების მქონე სამეცნიერო, კულტურული ან მხატვრული საქმიანობისათვის, განთავისფლებულია კაპიტალის გადაცემის გადასახადიდან უსასყიდლო საჩუქრებსა და მემკვიდრეობასთან მიმართებით, წინასწარი ნებართვის გარეშე.

***iv.** საჩუქარი ნატურის სახით*

სამუშაოს საქველმოქმედო ორგანიზაციის [შენაწირი] მიერ შესრულების შემთხვევაში, სამშენებლო საქმესთან დაკავშირებული ფირმები შეიძლება დაეხმაროს შემსრულებელს ნატურით, რაც შეუწყობს ხელს მათ რეკლამას საზოგადოებაში.

**მაგალითები**

ინგლისში საქველმოქმედო ტრასტები ღებულობენ ხოლემე დახმარებას ნატურით: მაგ., დარბაიშირში მასალების ადგოლობრივმა მომმარაგებელმა გაიღო ქვის ფიქალები ბეღლების შესაკეთებლად, რომლებიც გადაკეთდა მთამსვლელთა თავშესაფრად.

## c) თანადაფინანსების პროცედურები ("matching grants" წილობრივი სუბსიდია)

74. ეს ღონისძიება, გამოცდილი აშშ-ში, ეფუძენება სახელმწიფო და კერძოჭ რესურსების კომბინირების პრინციპს: სახელმწიფო სესხების კომბინირება კერძო პირებისა და ფირმებისაგან მიღებულ, წინასწარ მოგროვილ რესურსებთან. მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ შეიცვალოს პროექტების ორგანიზატორთა ჩვევა, მხოლოდ სახელმწიფო იყოლიონ პარტნიორად და ამის ნაცვლად, მოზიდულ იქნას ბიზნესის, ინდუსტრიის, მომსხაურების სფერო ისტორიული ძეგლების მდგომარეობის გაუმჯობესების საქმიანობაში. ეს სისტემა საფრანგეთში 1987 წელს დაინერგა და მაშინათვე 200 საწარმოო ფირმა მოიზიდა, რომელთაგან ბევრო ადრე არასდროს ყოფილა ჩართული ქველმოქმედებაში. ეს სისტემა მიზნად ისახავს მემკვიდრეობის სექტორში საქმინაობისათვის ახალი სპონსორების მოზიდვას და ერთი და იმავე რეგიონის სხვადასახვა ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევის სტიმულირებას.

## d) ტრადიციული საქველმოქმედო მიდგომების გამრავალფეროვნება და ფირმების წახალისება: შესაბამისი იურიდიული ბაზის საჭიროება

75. ბოლოდროინდელმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ქველმოქმედება თავისთავად არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ფონდების ნაკლებობის მიზეზი. სპონსორობა სამრეწველო მართვის ახალი ასპექტი და ინსტიტუციონალური კომუნიკაციის ძლიერი საშუალება გახდა. ეკონომიკური თვალსაზრისით რომ ვილაპარაკოთ, ქველმოქმედებაზე დახარჯული თანხა იმით შეიძლება გამართლდეს, რომ იგი ხელს უწყობს ფირმის რეკლამას და მისი იმიჯის გაუმჯობესებას. სამრეწველო ქველმოქმედება დღეს ნაყოფიერ ინვესტიციად აღიქმება. ამ სახის მიდგომა ითვალისწინებს კერძო საწარმოს როლს რესტავრაციასა და იმ სახის ძეგლების მართვაში, რომელთაც ან მხოლოდ კულტურული ღირებულება ან გარკვეული მოგების პოტენციალიც აქვთ. იგი ისტორიულ ძეგლებს „კულტურულ საწარმოებად" აღიქვამს.

შესაბამის დეპარტამენტებთან თანამშრომლობით, კომერციული დონორი ჩამოაყალიბებს დაბალანსებულ, ფინანსურად ღირებულ პროგრამას, რომელიც შეიცავს სარესტავრაციო და მიმდინარე ტე-

ქნიკური ხარჯების ბიუჯეტსა და, ამავე დროს, ითვალისწინებს ძეგლის ხელახალ გამოყენებას, სრულ შესაბამისობაში ამ ადგილის ხასიათთან. ყოველივე ამის შედეგად შემოთავაზებული იქნება მაღალ დონეზე მომზადებული კულტურული და კომერციული „პროდუქტი“. ქველმოქმედების ტრადიციული წყაროები (არამომგებიანი ორგანიზაციები, ასოციაციები, ფონდები, თვით სახელმწიფო) არ არის კარგად მორგებული ამ მოცულობისა და ხანგრძლივობის ინვესტიციებს.

76. უახლოეს წლებში უნდა შემუშავდეს ახალი საკანონმდებლო ბაზა, რომლის ამოცანა იქნება კულტურული პროექტების ინტეგრირება ეკონომიკურ კონტექსტში და რაც შეიძლება მეტი პარტნიორის (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორიდან) მოზიდვა. მაგ., საფრანგეთის 1987 წლის 23 ივლისის აქტით, „ფონდი“ (foundation) განმარტებულია, როგორც საქმიანობა, როდესაც ერთი ან რამდენიმე კერძო პირი ან კომპანია მიიღებას გადაწყვეტილებას შეუქცევადად გადასცეს ქონება, უფლებები, ან რესურსები საზოგადოებრივი ინტერესების არამომგებიანი წამოწყების განსხორციელებლად. ფირმას, რომელიც დააარსებს ფონდს, შეუძლია მას საკუთარი ბიზნესის სახელი დაარქვას. აქედან გამომდინარე, მოთხოვნა, რომლის თანახმადაც ფონდმა საზოგადოების ინტერესების საკეთილდღეოდ უნდა იმოქმედოს, შესაბამისობაში მოდის კანონიერ მოგებასთან (პრესტიჟის თვალსაზრისით), რომელსაც ფირმა მისგან მოელის. საფრანგეთში ამჟამად მუშაობენ „კომერციული ფონდის“ იდეაზე, რომელიც უფრო მოქნილი იქნება, ვიდრე საქველმოქმედო ორგანიზაციები. ამ სახის ორგანიზაციის იურიდიული მხარე უნდა ითვალისწინებდეს დაცვისა და კონსერვაციის მოთხოვნებს და ამავე დროს, იძლეოდეს ძეგლების, როგორც კულტურული თუ ეკონომიკური „საწარმოების“, გამოყენების საშუალებას საბაზრო წესების თანახმად. უფრო მოქნილი საგადასახადო ზომები და (გარკვეულ ფარგლებში) კომერციული მიდგომა გააადვილებს ფირმების მოზიდვას. ახალი ტიპის ფონდი რეალურად შესაძლებელს გახდის პარტნიორობას ფირმებთან კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაციის დაფინანსებაში. ცხადია, აუცილებელია ბალანსის მიღწევა მემკვიდრეობისათვის „სარგებლობის მოტანასა”“ და მის „გამოყენებას“ შორის.

ასევე შესაძლებელია „თანაბარუფლებიანი საინვესტიციო კომპანიების“ მაგალითის მიბაძვა, რომელთაც წარმატებით შეძლეს სააქციო კაპიტალის დაბანდება ბაზარზე ინესტიციისათვის, რომელიც იმდენად მაქსიმალურ მოგებას კი არ ესწრაფვის, რამდენადაც იმ საწარმოების მხარდაჭერას, რომელიც მათ ღირებულად მიაჩნია.

## e) მემკვიდრეობის კონსერვაციის სპეციალური ფონდები

77. კიდევ ერთი ბრიტანული მაგალით გვიჩვენებს, რომ არსებობს სპეციალური მიზნით შემქნილი ტრასტები, რომლებიც კონკრეტულ ისტორიულ შენობებზე ზრუნავს. ზოგიერთი მათგანი მჭიდროდ თანამშრომლობს ამ შენობებში მცხოვრებ ოჯახებთან. არსებობს ადგილობრივ მაცხოვრებელთა ჯგუფებიც, რომლებიც უვლიან შედარებით მცირე ზომის შენობებს, მაგ., ფუნქცია- დაკარგულ ადგილობრივ ეკლესიას. Landmark Trust-ის მფლობელობაშია სრულიად უნიკალური ისტორიული ნაგებობები. მდიდარი ფილანტროპის მიერ დაარსებული, ამ ფონდის ძირითადი მიზანია შეინარჩუნოს ისეთი ღირსებების ნაგებობები, რომლებიც ვერ გადაკეთდება დასასვენებლ სახლებად. მათ რიცხვშია რიგი არქიტექტურული „მოგიჟიანობისა“. 1965 წლიდან მოყოლებული 173 ნაგებობა რესტავრირებულ იქნა და ქირავდება ერთკვირიანი ვადით. რესტავრაციის და გამართულობის სტანდარტები ძალიან მაღალია, მაგრამ ვინაიდან ცხოვრება იქ მხოლოდ შეზღუდული დროით შეიძლება, ისინი არ არის ვალდებულნი თანამედროვე ცხოვრების ყველა სახის კონფორტის უზრუნველყოფისა, როგორიცაა ცენტრალური გათბობა, რომელიც ესოდენ დამაქცეველი შეიძლება იყოს ნაგებობის თავდაპირველი ორიგინალური სახისათვის.

## f) ფირმებს შორის თანამშრომლობა მემკვიდრეობის პროექტების მხარდასაჭერად

78. რამდენიმე პარტნიორის გაერთიანება უკეთეს პერსპექტივას უქმნის საქველმოქმედო საქმიანობას. მაგალითად, იტალიაში დაფუძნდა „ტურინის მხატვრული და არქიტექტურული ქონების გაუმჯობესების საბჭო“, ყველაზე მნიშვნელოვან ადგილობრივ ფირმათა კავშირი. ამ კონსორციუმმა მთლიანად გაიღო ზოგიერთი მნიშვნელოვანი ისტორიული შენობის სარესტავრაციო ხარჯები. ასეთი სახის პარტნიორობამ შეიძლება ფონდის (foundation) ან სხვა სახის ფორმა მიიღოს. სახელმწიფო (საზოგადოებრივი) სექტორისათვის კარგი იქნება კულტურული მემკვიდრეობის პროექტების განხორციელებაში მონაწილეობა. ზემოთ უკვე იყო საუბარი „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის“ (PPP) თაობაზე ნიდერლანდში.

საფრანგეთის 1987 წლის 23 ივლისის აქტის საფუძველზე შესაძლებელია კულტურის სფეროში საზოგადოებრივი ინტერესების მქონე ჯგუფების შექმნა (შესაბამისი იურიდიული სტატუსით და ფინანსური ავტონომიით). ამ სახის ორგანიზაციას ქმნის ერთი ან მეტი საჯარო და/ან კერძო იურიდიული პირი, სულ მცირე, ერთი საჯარო (საზოგადოებრივი) იურიდიული პირის მონაწილეობით. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი ინტერესების ჯგუფებს არ აქვს მოგების მიღებისა თუ განაწილების უფლება, ისინი ექვემდებარება ფისკალური გამჭვირვალეობის წესებს.

## III. დამატებითი ევროპული ინსტიტუციური დაფინანსება

79. ევროპის საბჭოს მუშაობასთან ერთად, EEC ინსტიტუციები, ევროპის პარლამენტის მხარდაჭერით, სულ უფრო მეტ რესურსებს უძღვნიან არქიტექტურული მემკვიდრეობის კონსერვაციას. ეს საქმიანობა განსხვავებულ ფორმებს იღებს.

### *A. ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების ფონდი*

80. ევროპის თანამეგობრობის კომისიამ (გენერალური დირექტორატის კულტურული საქმიანობის განყოფილება) 1984 წლიდან მოყოლებული, დააფუძნა წლიური პროგრამა: „თანამეგობრობის არქიტექტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისა და რეკლამირების საცდელი პროექტების მხარდაჭერა“.

თანხების უფრო ეფექტურად გამოყენების მიზნით, 1988 წელს იქნა მიღებული ოთხწლიანი გეგმა, რომლის თანახმად ძალისხმევა ყოველწლიურად კონცენტრირებულია ერთ კონკრეტულ თემაზე, მაგ.:

1989 წ. – განსაკუთრებული მნიშვნელობის სამოქალაქო და რელიგიური ძეგლები ან ღირსშესანიშნავი ადგილები;

1990 წ. – ისტორიული ნაგებობები ან ნაგებობათა ჯგუფები, რომლებიც განსზღვრავენ ან ახასიათებენ ქალაქურ ან სასოფლო სისტემებს.

1991 წ. – რეწვის, მიწათმოქმედებისა და წარმოების სფეროში ადამიანის მოღვაწეობის მოწმობანი;

1992 წ. – ისტორიულ ცენტრებში საზოგადოებრივი სივრცეების ინტეგრირებული გაუმჯობესება.

ამ გეგმის პირველ, 1989 წელს, კომისიამ თანადაფინანსება გაუწია 24 საცდელ პროექტს (822 წარდგელითაგან), მთლიანობაში 2,400,000 ECU-ს ოდენობით.

### *B. ევროპის საინვესტიციო ბანკის სესხები (EIB)*

81. ბანკი აპირებს მხარი დაუჭიროს ევროპის თანამეგობრობის უპრობლემო და გაწონასწორებულ განვითარებას, სეხების და ფასიანი ქაღალდების გაცემით საინვესტიციო პროგრამების დასაფინანსებლად ეკონომიკის ყველა სფეროში. განიხილავს რა მემკვიდრეობას, როგორც რეგიონალური და ტურიზმის განვითარების ფაქტორს, EIB ჩაერთო ისეთი საქმიანობების დაფინანსებაში, როგორიცაა პომპეის, ჰერკულანუმის და სტაბიის საკონსერვაციო სამუშაოები იტალიაში, ანდა მუზეუმის დაარსება კუნძულ მელოსზე, საბერძნეთში.

### *C. ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდი (ERDF)*

82. ERDF—ის დახმარება კულტურის სფეროში დაკავშირებულია მის სპეციფიკურ მიზნებთან: ჩამორჩენილი რეგიონების განვითარება და სტრუქტურული გაუმჯობესება და ინდუსტრიული დაქვეითების გამო სერიოზულად დაზარალებული არეალების კონსერვაცია. ძველი ნაგებობების მოდერნიზაცია, გაუმჯობესება და რესტავრაცია ამ ჩარჩოებში შეიძლება განხორციელდეს. ხმელთაშუაზღვისპირეთის ინტეგრირებული პროგრამები ასევე მოიცავს არქეოლოგიური გათხრების ადგილებისა და კულტურის მიზნებისათვის განკუთვნილი ნაგებობების გაუმჯობესებას.

ERDF-ის მიერ რეაბილიტაციის მხარდაჭერა ექვემდებარება შემდეგი დირექტივების დადგენილებებს: № 89/440/EEC, (საჯარო სამუშაოების კონტრაქტი) და 88/295/EEC (საჯარო მომარაგების კონტრაქტი).

83. საზოგადოევრივი ან სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელებისთვის გამიზნული ინვესტიციების შემთხვევაში, სახელმწიფო ორგანოების მითითებებით, შეიძლება მიმართვა ERDF—ს დახმარებისთვის, რომელიც შეესაბამება თანამეგობრობის წესებს, ანუ იმ წესებ, რომლითაც ტარდება ტენდერზე მოწვევა, და ასევე გარემოსდაცით და თვით ERDF—ის წესებს. ERDF—ის წესები ითვალისიწნებს, *inter alia*, არა-ანაზღაურებად დახმარებას ინვესტიციის საერთო თანხის მაქსიმუმ 75% ჩამორჩენილ რეგიონებში. პრაქტიკაში, ეს განაკვეთი ცვალებადი იქნება რამდენიმე ფაქტორის გათვალისიწნებით, როგორიცაა ინვესტიციის ქვეყანა და არეალი, ის წვლილი, რომელსაც ინვესტიცია მოუტანს განვითარებას, შემოსავალი, რომელიც შესაძლოა მოიტანოს ამ ინვესტიციამ და პროექტის მნიშვნელობა საზოგადოდ.

## *D. დახმარება წვრთნისთვის*

84. მემკვიდრეობის კონსერვაციაში არაპირდაპირ წვლილს წარმოადგენს დახმარება, რომელიც გათვალისწინებულია წვრთნების ჩასატარებლად მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საქმიანობისა და ხელობათა განვითარებისათვის. ევროპის სოციალური ფონდი მხარს უჭერს სპეციფიკური საქმიანობების საწვრთნელი გეგმების განხორციელებას, რომლებიც გამიზნულია ახალგარზრდების მიერ რესტავრაციის სფეროში სამშენებლო პროფესიების დასაუფლებლად.

ერთი განსაკუთრებით საინტერესო მაგალითი არის ბოლო წლების განმავლობაში ესპანეთში დაარსებული „სახელოსნო სკოლები“ და ღირსშესანიშნავი ადგილების სკოლები, რომლებიც იმავე მიზნით უკვე მოქმედებს რიგ ქვეყნებში.

მასწავლებლების და მწვრთნელი-ოსტატების გაცვლა-გამოცვლა ასევე სასარგებლო იქნება, თუ ევროპულ დონეზე განვითარდება თანამეგობრობის სხვადასხვა ფონდების დახმარებით, იმ „მემკვიდრეობის პროფესიების ევროპული ქსელის“ გათვალსიწინებით, რომლის შექმნა წამოიწყო ევროპის საბჭომ.

მეტიც, ევროპული თანამეგობრობის კომისიის გენერალური დირექტორატის „კულტურის საქმიანობების“ განყოფილება ასევე ყოველწლიურად გასცემს სტიპენდიებს კონსერვაციის სექტორში სხვადასხვა ინსტიტუციებისა და სკოლებისათვის.

## არქიტექტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის დაფინანსების საკითხებზე მომუშავე სპეციალისტთა ჯგუფის წევრები

**BELGIQUE/BELGIUM**
ბელგია

**M. Jean-Louis LUXEN, Président du CDPH, Administrateur général, Ministére de la Communauté française, 7 rue Stevens**
**B-1000 BRUXELLES**
**Président du Groupe de Spécialistes**

**FRANCE**
საფრანგეთი

**Mme Muriel de RAISSAC, Chargée de mission auprés du Directeur du Patrimoine, Ministére de la Culture et de la Communication, 3 rue de Valois, F-75001 PARIS**

**M. Jean-Paul LACAZE, Directeur Général de l'Agence Nationale pour l'Amélioration de l'Habitat (ANAH), 17 rue de la Paix, F-75002 PARIS**

**M. Pierre-Gérard MERLETTE, Agence nationale pour l'Amélioration de l'Habitat (ANAH), 9 boulevard des Capucines, F-75002 PARIS**

**Mme Aude DUFOURMANTELLE, Direction Technicue de l'Agence Nationale pour l'Amélioration de l'Habitat (ANAH), 9 boulevard des Capucines, F-75002 PARIS**

**REPUBLIQUE FEDERALE D'ALLEMAGNE /**
**FEDERAL REPUBLIC OF GERMANY**
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

**D. Rudolf KLEEBERG, Wirtschaftsprűfer, theresienstrasse 19, D-8000 MUNCHEN 2**

**M.Werner von TRŰTZSCHLER Bayerisches Ministerium für Wissenschaft und Kunst, Salvatorplatz 2, D-8000 MUNCHEN 2**

**ITALIE/ITALY**
იტალია

**Prof. Francesco TRIMARCHI, Institut des Sciences Politiques, Universitá di Messina, I-MESSINA**

**PAYS-BAS/NETHERLANDS**
ნიდერლანდები

**Mr. Ab WELGRAVEN, Direqtor, Stichting Nationaal Restauratiefonds, Postbus 15, NL-38070 DAHOEVELAKEN**

**NORVEGE/NOWWAY**
ნორვეგია

**Mr. Erik FRIIS-FAEHN, Senior Executive Officer, Ministry of Finance, PO BOX 8008, N-0030 OSLO**

**ESPAMGE/SPAIN**
ესპანეთი

**M.Jose luis ALVAREZ, Notaire, 34 J. Ortega Y Gasset, E-28006 MADRID**

**ROYAUME-UNI/ UNITED KINGDOM**
დიდი ბრიტანეთი

**Mrs. Vanessa BRAND, Conservation officer for Buildings at Risk, Historic Buildings and Monuments Commission for England, Savile Row 25, Gb-LONDON WIX 2BT**

**Prof. Nathaniel LICHFIELD, Planing Development and Economic Consultants, Star House, 104-108 Grafton Road, GB-LONDON NW5 4BD**

**COMMISSION OF THE EUROPIAN COMMUNITIES**
ევროპული თანამეგობრობის კომისია

**Mr. Theodossios MASTROMINAS, Directorate General X, Information, Communicaton and Culture (Cultural Action), Commission of the European Communities, Rue de la Loi, B-BRUXELLES**

**CONSULTANTS AND OTHER SPECIALISTS**
კონსულტანტები და სხვა სპეციალისტები

**M. J. BEULAYGUE, Directeur adjoint des Relations Extérieures, Compagnie SHELL, 29, rue de Berry, 75397 PARIS CEDEX 08**

**Mme Verena FÜIIEMANN, Secretaryof the Foundation Jubilaums-Striftung der Schweizerischen Bankgesellschaft, Bahnhoftstrassse 45 Ch-8021 ZURICH**

**M. Guy LEYMARIE, Secrétarire Général, Société CARTIER, 7 , place Vendôme, 75001 PARIS**

**M. François LOHEAC, Comite européen des Assurances, 3 rue Meyerbeer, 75009 PARIS**

**Mrs Pirkko METSÄRANTA, Chief Inspector, Ministry of the Environment, Ratak. 3 PB399 SF-00121 HELSINKI**

**Mme Celeste NICOLETTI, Servizio Attivitá Promozionali, Associazione Fra le Casse di Risparmio Italiane (ACRI), Viale di Villa Grazioli, 23 I-ROME**

**M. Flavio TOSSI, Chef du Service "Marketing et communication" Groupement Européen des Caisses d'Epargne de la CEE Avenue de la Renaissance 12 B-1040 BRUXELLES**

**Mme Satu-Kaarina VIRTALA, Government Secretary, Ministry of the Environment, Physical Planing and Building Department, Hämeentie 3-5, p.o. Box 399, SF-00121 HELSINKI**

**Mme Claude WOITON, Chargée de mission Economie/ Culture-Communication, SPONCOM (Foire Internationale du Mécénat), Conseil regional province Alpes Côte d'Azur, 50 rue de Breteuil, F-13006 MARSEILLE**

**COUNCIL OF EUROPE**

ევროპის საბჭო

**M. Ferdinando ALBANESE, Director of the Environment and Local Authorities**

**M. José Maria BALLESTER, Head of the Division for the Integrated Conservation of the Historic Heritage**

**M. Daniel THEROND, Pricnipal Administrator, Division for the Integrated Conservation of the Historic Heritage**

## ჯგუფის წევრების მიერ მომზადებული დოკუმენტები

- New ways of funding the restoration of the architectural heritage, by Mr. Francesco TRIMARCHI – Summary of deliberations, Messina colloquy
- New ways of funding conservation – Information document submitted by the British delegation (CDPH (87) 8)
- Summary of the economic framework, by Mr. Nathaniel LICHFIELD (CDPH (88) 21)
- Memorandum on the situation in the Federal Republic of Germany bu Mr. Rudolf KLEEBERG (CDPH (88) 29)
- Memorandum on the situation in France, by Mrs. Muriel de RAISSAC (CDPH (88) 30)
- Information note on the situation in the Netherlands, by Mr. Ab WELGRAVEN (CDPH (88) 31)
- Credit operations and the possibilities of increased support for the architectural heritage – Information note by Mr. Flavio TOSSI (CDPH (88) 32)
- Sponsorship and the architectural heritage: Incentives: the point of view of big bussines – Paper presented by Mr. Guy LEYMARIE "CARTIER International" (CDPH (88) 37)
- Fiscal aspects of the conservation and restoration of historical monument, by Mr. Rudolf KLEEBERG (CDPH (88) 38)
- Information note on the situation in the United Kingdom, By Mrs. Vanessa BRAND (CDPH (88) 39)
- Legal machinery for incentives and co-ordination of public and private initiatives, by Mr. Francesco TRIMARCHI (CDPH (88) 40)
- The situation in Spain concerning incentives and the mobilisation of new resources for the historic and artistic property heritage, by Mr. Jose ALVARES (CDPH (88) 41)
- Informatin note communicated by the European Saving Banks Group (CDPH (88) 45)
- Information note on the on the situation in Norway, by Mr. Erik FRIIS-FAEHN (CDPH (88) 46)
- Fiscal aspects of conservation and restoration of buildings in Norway by Mr. Erik FRIIS-FAEHN (CDPH (88) 47)
- Housing,mortgage and municipal credit committee – information submitted by the European Savings Banks Group (CDPH (88) 48)
- Note of financing deals, legal machinery for incentives and co-ordination of public and private initiatives – note by Mr. Jean-Paul LACAZE (CDPH (88) 49)
- Fiscal aspects of property conservation and restoration in Spain, by Mr. Jose Luis ALVAREZ (CDPH (88) 50)
- Information note about the provision of security by loans in the form of real estate – Comparative study transmitted by Mr. Flavio TOSSI (CDPH (89) 13)

- **“The renovation lease” – Summary note prepared by the Agence Nationale pour l’Amélioration de l’Habitat (France) – Document forwarded by Mr. MERLETTE (CDPH (89) 14)**

- **The National Restoration Fund, The Netherlands – Outlines for a new structure in the restoration of the architectural heritage – Information note by Mr. A. WELGRAVEN (CDPH (89) 15)**

- **Economc resources generated by historic monuments**
  - **The case of Mont Saint Michel (CDPH (89) 16)**
  - **The case of Charters (CDPH (89) 17)**
    **(Studies carried out by the French Ministry of Culture, with reference to the EEC’s study on “Economic Evaluation of Monumental Heritage”)**

- **Legal mechanisms of concessions (EEC Directive 305/71 on 26 July 1971). Information note submitted by Mrs. SPADA (BONIFICA-GROUP IRI-ITALSTAT) (CDPH (89) 24)**

- **Information note on private funding in Italy, submitted by the Associazione fra le Casse di risparmio italiane (Association of Italian Savings Banks) (CDPH (89) 25)**

- **Fiscal incentives – Contribution by Mr. FRIIS-FAEHN (Norway) (CDPH (89) 43)**

- **Draft Legislation on foundations – Document submitted by the Franch delegation (CDPH (89) 58)**

- **Information document on securitisation, forwarded by the European Savings Banks Group (Mr. Flavio TOSSI) (CDPH (90) 12)**

ვრცელდება უფასოდ
Not for sale

www.mcs.gov.ge
E-mail: info@mcs.gov.ge